ISSC

ჯავჯასიის სტრატეგიული ჯვლევის ინსტიტუტი

სერია **ჯავჯასიის ჯლასიჯოსები**

ნიზამი განჯელი

ხოსროვი და შირინი

მეორე გამოცემა

ისტ-ვესტ
ბაქო 2014

სერიის პასუხისმგებელი რედაქტორი
ელდარ ისმაილოვი

წიგნი გამოიცა კავკასიის განვითარების ფონდის მხარდაჭერით.

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსმა ნიზამი განჯელმა (გ. 1209 წ.) პოემა „ხოსროვი და შირინი“ 1181 წელს შექმნა. იგი შეეხება ირანის სასანიდი მეფის ხოსროვ ფარვიზის (590-628) და მშვენიერი უფლისწულის შირინის სასიყვარულო თავგადასავალს. პოემის მიხედვით, ხოსროვი ირთავს მისი სიყვარულით შეპყრობილ შირინს, მაგრამ მათ ბედნიერებას დიდი ხნის არსებობა არ უწერია. ხოსროვს კლავს მისი ტახტის მოქიშპე, ხოლო შირინი თვითონ იკლავს თავს თავისი საყვარელი მეუღლის ცხედართან.

სპარსულიდან თარგმნა **ამბაკო ჭელიძემ**

მაგალი თოდუას რედაქციით

ISBN 978-9952-489-51-4

© კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი
© საგამომცემლო სახლი „ისტ-ვესტ“

ზოგი რამ ნიზამის „ხოსროვშირინიანის“ შესახებ

ილიას იბნ იუსუფ ნიზამი განჯელის პოემა „ხოსროვი და შირინი“ არცთუ ბევრი ჯულტურული ერის ენაზეა თარგმნილი. ქართულად იგი ოცდახუთიოდე* წლის წინათ გადმოუღია აწ განსვენებულ ამბაკო ჭელიძეს და აგერ ახლა იბეჭდება. ნიზამის ხუთი პოემა და მრავალი ლექსი დარჩა. ლექსებს იგი ალბათ მთელი სიცოცხლე წერდა, ხოლო პოემების შექმნის ამბავი ასეთია: პირველად „საიდუმლოებათა საგანძური“, დაუწერია, მერე „ხოსროვი და შირინი“, ხოლო შემდეგ – „ლეილი და მაჯნუნი“, „შვიდი მთიები“ და „ისქანდერ-ნამე“. ჩვენ არ განვიხილავთ ნიზამის სხვა პოემებს, საამისო დრო და შესაძლებლობა აქ არა გვაქვს, და გავჩერით შევეხებით ზოგ საკითხს „ხოსროვისა და შირინისას“, რომლის ჭელიძისეულ თარგმანსაც დღეს ქართველ მკითხველს ვთავაზობთ.

ხოსროვისა და შირინის სატრფიალო ამბავი მარტო ნიზამის როდი აქვს დამუშავებული, არცთუ პირველს გაულექსავს იგი. მას წინ უსწრებს მრავალი ქრონიკა, რომელიც ამ ისტორიულ პირს, სასანიანთა ირანის მეფეს ხოსროვ II ფარვიზს (590-628) შეეხება, და ბევრი ხალხში გადამუშავებული და შექმნილი თქმულება, ლეგენდა[1]. ხოსროვის შესახები ცნობები იშვიათი არაა, მაგრამ ხოსროვისა და შირინის სამიჯნურო ამბავს არცთუ ხშირად ვაწყდებით პირველწყაროებში. ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელიც შირინს, როგორც ხოსროვ ფარვიზის ცოლს, ახსენებს, არის VI-VII ს.ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფილაქტე სიმოკატა, ბიზანტიის იმპერატორ ირაკლის (610-641) მდივანი. თეოფილაქტე თარიღსაც კი ასახელებს (592), როცა შირინი ხოსროვმა შეირთო[2]. შირინი მოხსენებულია აგრეთვე ბერძენ ჭამთაღმწერელ თეოფანეს (გარდ. 817 წ.) „ქრონოგრაფიაში“. შირინს, როგორც ხოსროვის ცოლს, იცნობენ სირიული წყაროებიც, რომელნიც უკვე ხოსროვის მეორე ცოლს, მარიამსაც, ასახელებენ, შირინი იხსენიება აგრეთვე სომხურ ქრონიკებშიც.

გარდა ქრისტიანულისა შირინს გაგვაცნობენ ისლამის სამყაროს პირველწყაროები. ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნეებმა თ. ნოლდეკემ

[1] პირველი გამოცემის ტექსტი უცვლელად ქვეყნდება.

ხოსროვისა და შირინის ამბის, მისი განვითარების ისტორიის, მათი პირველი წყაროებისა და მათზე შექმნილი ლიტერატურის შესახებ აღმოსავლეთსა და დასავლეთში იხ.: ყაზანფურ იუსუფ-ოღლი ალიევის შრომები: Легенда о Хосрове и Ширин в Шахнаме Фирдоуси. Ученые записки института востоковедения, XIX, 1958 г., стр. 190; Легенда о Хосрове и Ширин в литературах народов Востока, Москва, 1960 г.

[2] Г. Ю. Алиев, Легенда о Хосрове и Ширин в литературах народов Востока, стр. 24.

და ვ. როზენმა თავის დროზე მიუთითეს VIII-IX ს. არაბი ავტორის ჯაჰიზის თხზულებაზე – „წიგნი ჯარგ და ცუდ თვისებათა შესახებ", რომელშიაც შირინი იხსენიება. ხოსროვისა და შირინის ამბავს გვაწვდის არაბი ისტორიკოსი აბუ ჯაფარ მუჰამედ იბნ ჯარირ ატ-ტაბარი (838-923) თავის ცნობილ წიგნში – „მოციქულთა და მეფეთა ისტორია", რომელიც ჯაჰიზის დასახელებულ თხზულების შემდეგ დაიწერა. აქვე უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი წყარო. როგორც ცნობილია, ტაჯიკურ-სპარსული კულტურის დიდმა მესვეურმა ბალამიმ (X ს.) არაბულიდან სპარსულ ენაზე თარგმნა ტაბარის ზემოთ ნახსენები „ისტორია". ბალამის ღვაწლი ძეგლის მხოლოდ თარგმნით არ ამოიწურება, – თავის თარგმანს მან დაურთო ახალი ცნობანი და განმარტებანი. ხოსროვისა და შირინის გარდა აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი პერსონაჟი, რომელიც მათ რომანს უკავშირდება, ესაა ფარჰადი. იგი პირველად სწორედ აქ გვხვდება (მასზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი). ეს ქრონიკები, ბუნებრივია, ხალხში გავიდოდა (არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ხალხიდან მოდიოდეს) და სხვადასხვა ვარიანტს შექმნიდა სხვადასხვა ხალხსა და ჰირობებში. XI-XII საუკუნეებში უკვე ჰოეზიაშიც შეჭრილა ხოსროვის, შირინისა და ფარჰადის სახეები, ზოგი მას შემთხვევით, გაკვრით ახსენებს ლირიკულ ლექსებში (ალაჯი, მას'უდ სელმანი, სენაი, ხაყანი, ფაროხი, ადიბ საბირი, გორგანი), ხოლო ფირდოუსი მთელ ჰოემას უძღვნის თავის ეპოპეაში (მხედველობაში გვაქვს ხოსროვ ფარვიზის შესახებ წიგნი „შაჰ-ნამეში").

რა წყაროებით ისარგებლა ნიზამიმ? უპირველეს ყოვლისა, ფირდოუსის „შაჰნამე" უნდა დავასახელოთ. მაგრამ „შაჰ-ნამეს" გარდა იგი, ეტყობა, სხვა მასალებსაც ეყრდნობოდა. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ჰოემის ანალიზი (შედარება „შაჰ-ნამესთან"), არამედ თვითონ ჰოეტის განცხადება: „ხოსროვისა და შირინის ამბავი იშვიათი როდია, მასზე უკეთესი თქმულება მართლაც, რომ არ არსებობს. თუმცა ასეთი წარმტაცია, ციხე-ჯოშაშია ეს ჰატარძალი გამომწყვდეული, მისი შავი ბარდაშია, ხოლო თეთრი ჰირები არ იშოვება. იმ ქვეყნის მოხუცთა ისტორიების მეშვეობით გავიცანი მე ეს საგანძური. ამ ქვეყნის მოხუცთ მე ამ საქმეს შემაბეს. მის მიღებაში გონი სისუსტეს ვერ გამოიჩენს, ჭკვიანი ხალხის თვალში მას სინამდვილე აქვს. დამალული არაა, ცნობილია, მისგან დარჩენილი ნაშთი ადასტურებს ამას. ბისოთუნის ძირი და შაბდიზის ხატება, ასევე ფარვიზის სასახლე მადაინში: იმ ბეჩავი ფარჰადის ვნებანი, რძის არხის ჯვალი და ჯოშაი შირინისა; იგივ შაჰრუდი და მისი საამო წყალი, ხოსროვის ბინა და სანადირო ადგილი; ბარბადისა და მისი დაჰრუდის ამბავი, იგივ სალხინო სახლი მეფისა ქალაქ შაჰრუდში. ბრძენმა, რომელმაც ეს თქმულება განმარტა (გალექსა), სიყვარულის ამბავი უკუაგდო. როცა სამოცს მიაღწია მისმა სიცოცხლემ, ახალგაზრდობის ცერიდან[3] ისარი გაუვარდა. სიყვარულში, რომელსაც ეს შასთი სჭირდება, მან არ ჩათვალა საჭიროდ სიტყვის (ლექსის) თქმა. არ ვთქვი, რაც ბრძენს (ფირდოუსის) უთქვამს თავიდან, რამეთუ ლამაზი არაა თქმულის განმეორება. იმ ნაწილში, რომელიც მიჯნურობის გარეთ დარჩა, ლექსი გავრანდე გმირი ჯაცის მოსაგონებლად"[4]. აქ მოტანილ ადგილში ზოგი რამის გაგება ჭირს და მისი თარგმანი ჰირობითად მოგვაქვს. ნათელი არაა, რა შავზეა ლაპარაკი,

[3] ზმაა: შასთ ნიშნავს სამოცს და ამავე დროს ისრის მოსაჭიმავ ერთგვარ საცერე ბეჭედს.

[4] ჩვენ გამოყენებული გვაქვს ნიზამის „ხოსროვი და შირინის" დასთგარდისეული რედაქცია, მეორე გამოცემა, თეირანი, 1954 წ. გვ., 32-33.

რომელიც ვითომ ქალაქ ბარდაში ინახებოდა და ზოგი სხვა. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ნიზამი თვითონ ასახელებს წყაროებს და მათ შორის ერთ-ერთი ფირდოუსის „შაჰ-ნამეა".

ვერ ვიტყვით, რომ ნიზამი აღტაცებული იყოს ფირდოუსის პოემით. ზოგი რამ მართლაც არ მოსწონს „შაჰ-ნამეში". ნიზამი ამას თავად გვამცნობს: ფირდოუსიმ პოემაში სიყვარული უკუაგდო, უარჰყოო. ლაპარაკია იმაზე, რომ ამბავში ყოფილა სიყვარული და იგი ალარ აუსახავთ, უკუუგდიათ. ჩანს, ხოსროვისა და შირინის რამდენიმე თქმულებიდან, რომელიც ნიზამისათვის ყოფილა ცნობილი, არც ერთი არ ყოფილა ისეთი, რომელშიც მათი სიყვარული არ ყოფილიყოს ასახული. და ეს მართლაც ასე არის. როგორც ზემოთ გაკვრით გადმოცემულ მიმოხილვიდანაც ჩანს, ამ სიუჟეტს თავიდანვე ჰქონდა სიყვარულის ფესვები გადგმული. ფირდოუსის პოემაში კი წინ საგმირო ამბები და სხვა პოლიტიკური ხასიათის ინტრიგებია წამოწეული, ხოლო სიყვარული უკანა პლანზეა. ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" თავისი ხაზი აქვს, მისი მთავარი მოქმედი გმირი ირანია. ეს ეპოპეა ირანის დახატვას ემსახურება და, ბუნებრივია, ავტორმა ყოველთვის ვერ იპოვოს პოემაში ყველა რომანტიკული წიაღსვლისათვის ადგილი, იგი მეფეთა წიგნს სწერს უპირველეს ყოვლისა და არა რომანტიკულს (თუმცა შიგ მაინც ბევრია რომანტიკული ეპიზოდი: ზაალისა და რუდაბესი, ბეჟანისა და მანიჟესი და სხვ.). სულ სხვაა ნიზამის მიზანი, მართალია, მას ზოგჯერ შეცდომით უწოდებენ რომანტიკული ჟანრის მამამთავარს ახალ სპარსულ ლიტერატურაში (მას სხვა თუ არა, ფახრ ედ-დინ გორგანი მაინც უსწრებდა), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ორი პოემის „ლეილი და მაჯნუნისა" და „ხოსროვი და შირინის" მამოძრავებელი ძალა სიყვარულია (პირველის – პლატონური, მეორისა – ხორციელი, მიწიერი). მართლაც იშვიათი ჰიმნი უძღვნა განჯელმა მგოსანმა ქალისა და კაცის ურთიერთმტკოლვას ამ ქვეყანაზე.

„ხოსროვი და შირინის" ამბავი, მისი ყველა დეტალიც კი ნიზამის ფანტაზიის ნაყოფი შეიძლება არ იყოს, ნასესხები ჰქონდეს. ჩონჩხია სხვისი, ხოლო ხორცი ნიზამის მიერაა შესხმული. ხოსროვისა და შირინის თემა ნიზამის ნიჭსა და ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევდა. გავიხსენოთ, თუ როგორ უხალისოდ მოჰკიდა ნიზამიმ ხელი „ლეილმაჯნუნიანის" დაწერას. როცა მას ეს უკანასკნელი პოემა შეუკვეთეს, პოეტს არც უნდოდა მისი გალექსვა და შვილის, ჭაბუკი მუჰამედის რჩევითა და წახალისებით დაწერა (უნდოდა მუჰამედი ტახტის მემკვიდრის მანუჩჰრის ნადიმი გაეხადა). ნიზამი თვალს ავლებს ლეილისა და მაჯნუნის შესახებ გავრცელებულ თქმულებებს და ჩივის: „არც ბაღია და არც მეფური ლხინი, არც მდინარე, არც ღვინო და ქეიფი. მშრალი ქვიშა და უხეში მთა სანამდე უნდა ლექსო მწუხარებაში (აქ მაჯნუნის მწუხარებასაც გულისხმობს). ლექსი ნიშატმა უნდა დაგაწერინოს და ამბავი და სტრიქონი ერთმანეთს უნდა ეთამაშებოდნენ (შეეწყონ)[5], ხოლო ხოსროვისა და შირინის ამბავს გატაცებით მოჰკიდა ხელი. ეს მომენტი იმაზედაც უთითებს, რომ ნიზამი სიუჟეტის დამუშავებისას საერთოდ დიდ უფლებებს არ აძლევდა საკუთარ თავს, თორემ რა დაუშლიდა, შეეცვალა „მშრალი ქვიშა და უხეში მთაო"

„ხოსროვშირინიანინში" ბევრი საინტერესო დანაშრევი გვაქვს, რომლებიც როგორც „შაჰ-ნამედან", ასევე სხვა წყაროებიდან უნდა მოდიოდნენ. ოცდაათი სიმღერა ბარბადისა ალბათ უძველესი ირანული სიმღერებია,

[5] ლეილი ვო მაჯნუნ, ვ. დასთგარდის რედაქციით, თეირანი, 1954 წ., გვ. 27.

ხოლო ხოსროვისა და ბორზორგომიდის ჯითხვა-პასუხი იქნებ ისტორიული ფაქტიც იყოს, – ეგებ რომელსამე ქრონიკაში ყოფილიყო შემონახული. იქნებ ხოსროვი უგზავნიდა სწავლულს შეჯითხვებს და ეს უკანასკნელი პასუხობდა. ასეთი შემთხვევა გამონაკლისი არ ყოფილა. გავიხსენოთ ავიცენასა და ბირუნის ჯითხვა-პასუხი, სადაც აბუ ალი განუმარტავს მრავალ საკითხს ბირუნის[6]. ამ მხრივ ჰოემა შესწავლილი არაა. თავად იგი არავის შეუდარებია სხვა ძეგლებთან ამ თვალსაზრისით, თვით „შაჰ-ნამესთანაც" კი. ნიზამის მხოლოდ „ისქანდერ-ნამე" შეუდარდა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს", ისიც მხოლოდ სტილისა და მოსფლმხედველობათა გარკვევის მიზნით[7]. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფრიად საჭირო საქმეა, მაგრამ საკმარისი არაა. „შაჰ-ნამეს" მართლაც საოცრად ჰგავს „ხოსროვშირინიანი" ბევრი რამით, მაგრამ ამაზე აქ არ შევჩერდებით.

ზემოთ ვთქვით: ნიზამიმ თქმულების ჩონჩხი აიღო და ხორცი თავად შეასხაო. ამ ჩონჩხში, ბუნებრივია, ჩვენ თქმულების ფაბულას ვგულისხმობთ. ამ ფაბულას ნიზამი საკუთარ სიუჟეტში ქსოვს, შეაქვს ბევრი შინაარსობრივი დეტალი. მაგრამ ამ დეტალებსაც თავად კი არ იგონებს, არამედ ისევ წყაროებს გამოიყენებს. ზემოთ მოტანილი ბარბადის სიმღერები „შაჰ-ნამეშიცაა" მოხსენებული, ნიზამი მას იმეორებს უფრო ვრცლად (ფირდოუსის შვიდი მელოდია აქვს დასახელებული[8], ნიზამის – ოცდაათი), მაგრამ ხოსროვისა და ბოზორგომიდის ჯითხვა-პასუხი მის მიერ უნდა იყოს ჩამატებული. ხალხში ნატარებ, ზედმეტი ხორკლებისაგან დახვეწილ სიუჟეტს ასეთი წიაღსვლები არ ექნებოდა. ასევე, თავად ნიზამის ნახელავი ჩანს ჰოემაში „ქილილა და დამანას" ამბის შეტანა. „ქილილა და დამანა" უძველესი ძეგლია[9]. ბარბადის სიმღერებისა არ იყოს, კიდევ შეიძლება დავუშვათ, რომ მისი ჩანასახი იყო რომელიმე თქმულებაში, მაგრამ ამ სახით, რა სახითაც ნიზამის აქვს, შესაძლებელია, მხოლოდ მისგან მოდიოდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ნიზამი მისდევს „ქილილა და დამანას" იბნ-მუყაფასეულ ვერსიას. შეიძლება იგი უშუალოდ არაბულ იბნ-მუყაფასეულ წყაროს იყენებდეს, მაგრამ უფრო ის გვგონია, რომ მისი სპარსული, ნასრალაჰისეული თარგმანი გამოეყენებინოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, „ხოსროვი და შირინი" ფახრ ედ-დინ გორგანელის (XI ს.) „ვისი და რამინის" გავლენას განიცდისო. ამისი უარყოფაც არ შეიძლება. ორივე ნაწარმოებში ერთი სული ტრიალებს: ვისისა და შირინის მიჯნურნი რამინი და ხოსროვი ძლივს ახერხებენ მათ სატრფოთა გულის მონადირებას, ხოლო შემდეგ კი

[6] Материалы по истории прогрессивной общественно-философской мысли в Узбекистане, Ташкент, 1957 г. стр. 129-165.

[7] შიბლი ნო'მანი' შე'რ ულ-აჯამი (სპარსული ტექსი), II გამოცემა, ტ. I, გვ. 268-282. Е. Э. Бартельс, Низами и Фузули, გვ. 370-389.

[8] ესენია: განჯე არუს, განჯე ბადავარდ, განჯე დიბეიე ხოსროვი, განჯე სუხთე, განჯე ხაზრა, განჯე შადავარდ (იხ. ფირდოუსი, „შაჰ-ნამე", სპარს. ენაზე, ტომი 9, გვ. 2892).

[9] ქილილა და დამანა, ინდური იგავ-არაკების კრებული, ინდურიდან VI ს. სპარსულმა ბურზოემ გადმოიღო, ფალაურიდან თარგმნა აბდალაჰ იბნ ალ-მუყაფამ (გ. 759 წ.), ხოლო 1144 წ. არაბულიდან ახალ სპარსულ ენაზე გადმოიღო ნიზამ ედ-დინ აბუ ლ-მაელი ნასრალაჰმა. XVI საუკუნეში კი ისევ გადააკეთა ვაიზ ქაშეფიმ მაღალფარდოვან სპარსულად. ნიზამი მისდევს იბნ-მუყაფას, მაგრამ განსხვავდება მისგანაც. იბნ-მუყაფასაგან შედარებით აკლია: 1. ტილისა და რწყილის არაკი – გაბრიყვებული აქლემის არაკის წინ; 2. შიშველი ქალების არაკი – რეგვენი ექიმის არაკის შემდეგ; 3. დაბერებული გველის არაკი – ქალად ქცეული თაგვის არაკის შემდეგ; 4. ღვთისმოსავის ბერწი ცოლის არაკი – გლახაკი და ქილა ერბოს წინ; 5. ილადის არაკი. ზოგან სახელიც აქვთ შეცვლილი: ასე, მაგალითად, ბაყაყი, გველი და თრითინა – იხვი, გველი და თრითინას ნაცვლად და სხვ.

ღალატობენ მათ, ირთავენ ცოლს. ეს ამბავი ვისისა და შირინის გოდებას იწვევს. „უძღები შვილნი", რამინი და ხოსროვი, ისევ უბრუნდებიან საატრფოთ, მაგრამ ახლა ესენი სჯიან მათ, ჭირვეულობენ და ახლოს არ იკარებენ, ჯოშეში ჩაიკეტებიან და თოვლში აყურყუტებენ მიჯნურთ. იმართება ხვეწნა-მუდარა და გაუთავებელი დიალოგი ზამთრის სიცივესა და თოვაში. ორივე მიჯნური ისევ განაწყენდება და უკან გაბრუნდება, გაჯავრებული. ახლა ქალები ნანობენ თავიანთ მიუკარებლობას და ახალ ღონეს ეძებენ მათ დასაბრუნებლად. ბოლოს ეწევიან ერთმანეთს. ირანელ მეცნიერს მ. მაჰჯუბს მიაჩნია, რომ ნიზამიმ ეს მომენტები „ვისრამიანის" გავლენით შეიტანა თავის პოემაში[10]. თითქოს საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყვის ჯაცი, რადგან „ხოსროვშირინიანი" 1181 წ. შეიქმნა, ხოლო „ვისი და რამინი" 1055 წელზე გვიან მაინც არ უნდა იყოს დაწერილი[11]. შეიძლება ეს მომენტები ნიზამიმ „ვისრამიანისგან" დამოუკიდებლად აიღო რომელიმე სხვა წყაროდან, ანდა იქნებ მის მიერ შერჩეულ ვარიანტს ხოსროვისა და შირინის ამბისას ჰქონდა იგი. სამიჯნურო ინტრიგების ასეთი დეტალი იქნებ იყო საერთოდ ცნობილი და როგორც ნიზამი, ასევე გორგანი დამოუკიდებლად სარგებლობდნენ იმით. ასეთი პარალელები არათუ ერთი და იმავე, არამედ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დაშორებული ხალხის ლიტერატურაშიც იჩენს თავს[12].

მაგრამ, თუნდაც რომ დამტკიცდეს რითიმე ეს ჩვენი ვარაუდი, ნიზამის პოემაზე „ვისი და რამინის" გავლენა ისედაც უდავოა, ჩვენი აზრით, აქ ყველაზე უფრო თვალში საცემი არის ორივე პოემის ჟანრობრივი ხასიათი – ორივე ლირიკული პოემაა. ამ პოემების ორ მესამედზე მეტი სიუჟეტს არ ემსახურება, პერსონაჟთა სულიერ მდგომარეობის ასახვას არაფერს მატებს, მათი ხასიათის დახატვას არ სჭირდება. ესაა საზღვარს გადასული მონოლოგები თუ გოდებანი პერსონაჟებისა და ავტორთა მრავალსიტყვოვანი ლირიკული წიაღსვლები. ნიზამი, უპირველესად ყოვლისა, ლირიკოსია, იგი ხელიდან არ უშვებს ლირიკული თავისაშვების არც ერთ მომენტს სიუჟეტში. ასეთივეა გორგანი. არა გვგონია, ვისისა და რამინის ფალაურ რომანში ყოფილიყო იმდენი წიაღსვლები, რამდენიც მის პოემაშია, ისე როგორც ნიზამის მიერ გამოყენებულ წყაროებში არაა იგი. ეს არცაა გასაკვირი, ახალი სპარსული ლიტერატურის მხოლოდ ზოგიერთმა წარმომადგენელმა თუ მოახერხა შეექმნა „საქმიანი" რომანი, ისეთი, სადაც დაცული იყოს ზომიერება და ყველაფერი მხოლოდ სიუჟეტსა და პერსონაჟის გამოხატვას ემსახურებოდეს (როგორც „ვეფხისტყაოსანია"). არის სხვა რამეც, რითაც „ხოსროვი და შირინი" ენათესავება „ვის და რამინს" თუ განიცდის მის გავლენას. ეს გახლათ ლექსის მეტრი, ზომა (ჰეზეჯი: ∪ – – – | ∪ – – – |∪ – –). ნიზამი ძალიან ხშირად იმეორებს გორგანისეულ სენტენციებს, ანდაზებს, თქმებს. ჩვენში რატომღაც პოეტის ამა თუ იმ სახეთა განმეორებას დიდ ცოდვად სთვლიან, ხოლო ასეთ რამეს ვინმე ევროპელ კლასიკოსს თუ ალმოუჩენენ, თვალს ხუჭავენ, ასეთი პარალელებისა და გავლენების აღმნუსხავთ არაპატრიოტობას უკიჟინებენ. კულტურის ისეთ მაღალ ეტაპებზე, რომელზედაც ქართული ლიტერატურა და ისტორიოგრაფია

[10] იხ. მისი სტატია, რომელიც ერთვის „ვისრამიანის" მესამე სპარსულ გამოცემას: ფახრ ედ-დინ გორგანი, ვეის ო რამინ, მოჰამედ ჯაფარ მაჰჯუბის რედაქციით, თეირანი, 1959 წ.

[11] K.H.Graf, Wis und Ramin, Zeitschrift der deutschen morgenländischen Gesellschaft, Leipzig, 1869, XXIII, 376.

[12] გავიხსენოთ პარალელი, რომელზედაც მიუთითა ე. ბერტელსმა ნიზამის „ისკანდერ-ნამესა" და რიჩარდ ლომგულზე არსებულ თქმულებებს შორის. იხ. Е. Э. Бертельс, Отголоски тематики Низами в английской средневековой поэзии. Низами, Сборник IV, Баку. 1947 г., стр. 188.

მდგარა, ასეთი განსჯანი, სხვა რომ არა იყოს, უხერხულიცაა. არ არსებობს არც ერთი კლასიკოსი მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც რაიმეთი არ იყოს ვინმესგან დავალებული. აქ არ მოვიტანთ ევროპის ლიტერატურათა მაგალითებს, გავჩერით შევეხებით სპარსულ მწერლობას. აქ, სპარსულ და აღმოსავლურ პოეზიაში, არათუ ფაბულები და სიუჟეტები აქვთ ნასესხები თუ მიბაძვით შექმნილნი, არამედ პოეტური სახეები, ანდაზა-აფორიზმები, ეტიუდებიც კი. მოგეწონათ რომელიმე თანამედროვე სპარსელის ლექსში შედარება, მისი გგონიათ, მაგრამ მერე ირკვევა, რომ იგი ჰქონია ჯამის, ერთ ხანს ჯამის აქებთ ამის გამო, მაგრამ მერე შემთხვევით ნიზამისთან წააწყდებით ამ ხატს, ხოლო შემდეგ გაირკვევა, რომ იგი ფირდოუსის უხმარია ნიზამამდე, იგივე ხატი შეიძლება რუდაქისთანაც აღმოჩნდეს, ხოლო ამ უკანასკნელს იგი თავად აქვს შექმნილი თუ საიდანმე წამოღებული, არავინ უწყის. ასე რომ ვერც ერთი ირანისტი ვერ დაიჩემებს, როცა სპარსულ კლასიკოსს კითხულობს, ეს პოეტური სახე მისიაო. მაგრამ ვერავინ ვერ დაამცირებს ამის გამო ამ კლასიკოსს. რა ვუყოთ მერე, რომ „ხოსროვშირინიანში" იკითხება შეგონება: „არა ყველა მან, ვისაცა აქვს მახვილი მჭრელი, სისხლის საღვრელად ხალხზე უნდა აღმართოს ხელი", რომელიც ორი საუკუნით ადრე რუდაქიმ თქვა. ასეთ საქციელს ისინი არ თაკილობენ და ისე მიმართავენ საჭიროებისამებრ, როგორც ჩვენ დღეს ვინმეს შრომიდან ციტატს მოვიტანთ. ასე, მაგალითად, იგივე ნიზამი „ხოვროვშირინიანში" ეხმაურება რუდაქის ლექსს „ბუიე ჯუიე მულიან", როცა ამბობს: „ფარჩარის ყარი ფახფურს როგორ უნდა დაუყეტო, მულიანის დინება როგორ უნდა შეაჩერო"[13].

„ხოსროვშირინიანში" არის სენტენციები, რომელთაც „ვის ო რამინშიც" ვხვდებით (მდინარის გაღმა გადგმული ხიდის შესახებ, – წყლის ნაყვა), ღამე მაჯა, არ ვიცით, რას ბობს (ე. ი. არ ვიცით, ხვალ რა მოგველის), ჭკვიანები ჩხუბის დროს შესარიგებლადაც იტოვებენ ადგილს, და მრავალი სხვა. გვხვდება საერთო ხატოვანი გამოთქმები (ფეხის მტკრის თვალით ახვეტა, სველი ნაბდის წყლიდან გამოთრევა და ა. შ.), მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს გამოთქმანი შეიძლება მანამდე არსებულიყვნენ და ნიზამის თავად აეღო ხალხისგან თუ სხვა წყაროსგან.

პოემის მთავარი მოქმედი გმირები, როგორც ეს სათაურიდანაც ჩანს, ხოსროვი და შირინი არიან. ამას იმიტომაც ვუსვამთ ხაზს, რომ ზოგი მკვლევარი იქამდეც კი მიდის, ფარჰადს მიიჩნევს ასეთ გმირად[14]. გულუბრყვილობა იქნებოდა, ერთმანეთში აგვერია ცნება დადებითი და მთავარი მოქმედი გმირისა. ხოსროვის ვერაგული მოქმედება ფარჰადის მიმართ, მისი სხვა ახალგაზრდული ცოდვანი იმის საბუთს როდი იძლევა, რომ ფარჰადი, ეს ეპიზოდური პერსონაჟი, რომელმაც ელვასავით გაიარა რომანში, პოემის მთავარ გმირად ვაღიაროთ, ანდა ვამტკიცოთ თუნდაც: ხოსროვი ნიზამის საყვარელი გმირი არ არისო. ფარჰადის სახე, გარდა იმისა,

[13] ხოსროვ ო შირინ, გვ. 328. სხვათა შორის რუდაქის ეს სახე გამოიყენა მეორე სპარსელმა პოეტმა ზაჯანიმ (XIV ს.) ერთ-ერთ უწმაწურ ლექსში. (ლატაიფე ობაიდ ზაჯანი. თეირანი, 1954 წ. გვ. 76). ზაჯანის შემოქმედებაში ფიქსირებულია აღმოსავლეთის ბევრი ანდაზა, დარიგება, თქმულება და ამ მხრივ იგი დიდ ინტერესს იწვევს. მისი გამონათქვამები ემთხვევა არა მარტო სპარსელ პოეტთ (რუდაქი, ჯელალ ედ-დინ რუმი, საადი, ნიზამი, ვაიზ ქაშეფი და სხვ.), არამედ ქართველ მწერალთაც (რუსთაველი, გურამიშვილი, საბა.). ყაზვინელს ბავშვი ორმოში ჩაუვარდა. ჩასძახა: შვილო, მანდ იყავ, არსად წახვიდე, წავალ, თოკს მოვიტან და ამოგიყვანო. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი „რისალეე დელგოშა" და „სად ფანდ".

[14] В. И. Левиантов, Эпоха Низами. Низами, Сборник I, Баку, 1940 г., стр. 49.

რომ იგი ეპიზოდურია, ვერ მოვა ხოსროვის სახესთან თავისი მხატვრული სრულყოფით. აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა პერსონაჟთა სიმპატიურობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენადაა გმირის სახე მხატვრულად საინტერესო და სრულქმნილი. ხოსროვი, შირინი მკვეთრად გამოირჩევიან როგორც ნიზამის, ისე ბევრი სხვა იმ ეპოქის მწერალთა პერსონაჟებისაგან თავიანთი გაორებული სულითა და მოქმედებით. ისინი ადრევე დაშტამპული გმირები როდი არიან, ბოლომდე რომ ისეთნი რჩებიან, როგორებსაც თავიდანვე ვიცნობდით, არამედ, განსაკუთრებით ხოსროვი, ამ მიწის „ცოდვის შვილები" გახლავან, ცხოვრების დუღილში მრავალი მაცთუნებელი მოვლენებისა და ზიგზაგების, ტკივილებისა და სინანულის შემდეგ უეთილშობილეს ადამიანებად რომ მიდიან ამ ქვეყნიდან. სამწუხაროდ, ნიზამის ამ დამსახურებას, როგორც მხატვრისას, რატომღაც არც აღნიშნავენ.

გვინდა განსაკუთრებით შევჩერდეთ ფარჰადის სახეზე. იგი პირველად, როგორც აღვნიშნეთ, ბალამისთან იხსენიება. ამის ცნობით, ფარჰადს უყვარდა შირინი და მისი სახელით ბისოთუნი გაჰკვეთა. ტაბარი კი, რომელმაც, როგორც ეს ვ. როზენმა დაამტკიცა, ფალაური „ხვადაი-ნამაკის" იბალ-მუყაფასეული არაბული თარგმანი გამოიყენა, არ იცნობს ფარჰადს. ამიტომ მიაჩნიათ, შეიძლებოდა, მის ბალამიც არ იცნობდა და გვიანდელი, გადამწერისმიერი ჩამატება იყოს ბალამის თარგმანშიო[15]. ჰოეზიაში ჯერჯერობით პირველი სპარსელი ავტორი, რომელთანაც იგი იხსენიება, ალაჯია (X-XI). მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ ახსენებს მას. მის სიყვარულზე კი არაფერს ამბობს[16]. მას ახსენებს ყათრანიც (XI). მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მესამე ჰოეტი, ვინც ფარჰადს შეეხო, ნიზამი იყოს. ყ. ალიევს ყურადღების გარეშე დარჩენია, ანდა ანგარიში არ გაუწევია კიდევ რამდენიმე ჰოპულარული ავტორისთვის სპარსულ ჰოეზიაში, რომლებიც ფარჰადს იცნობენ. აი ისინიც:

მას'უდ სელმანი (1049-1122):

ნაბორდე ბე ლაფზ ნამე შირინ,
დარ ქუჰ ბემანდეამ ჩუნ ფარჰად[17].

„შირინის სახელი არც მიხსენებია,
[ისე] დავრჩენილვარ მთაში ფარჰადივით"...

ჰამიშე ბადი ბარ თახთე მოლქ ჩუნ ხოსროვ,
მოხალეფე თო გერევთარ შოდეთ ფარჰად[18].

„მარად იყავ სამეფო ტახტზე როგორც ხოსროვი,
შენი მოწინააღმდეგე შეიპყრო ფარჰადივით".

ჰამიშე თა ბესამარჰაიე ეშყ იად ქონანდ

[15] Е. Э. Бертельс, Низами, Творческий путь поэта, Москва, 1956 г., стр. 106.

[16] იქნებ საინტერესო იყოს, რომ ფარჰადი არ გვხვდება ფარსადან გორგიჯანიძის ვერსიაში. შეიძლება, ფარსადანმა არ სცნო საჭიროდ მისი მოთხრობა, თორემ მას, როგორც თავად აცხადებს, ბევრი ვერსია წაუკითხავს და შეუძლებელია, რომელიმეში არ ყოფილიყო ფარჰადი გამოყვანილი.

[17] დივანე მას'უდ სელმან, რაშიდ იასემის გამოცემა, გვ. 94.

[18] იქვე, გვ. 113.

ჰადისე ყესეიე შირინ ო ხოსროვ ო ფარჰად[19].

„მუდამ, სანამ სიყვარულის თქმულებად არ მოიხსენიებენ
შირინის, ხოსროვისა და ფარჰადის ამბავს".

თო ხოსროვე რუზგარე ხიში,
დარ ბანდე თო ჰასედე თო ფარჰად[20]

„შენ შენი დროის ხოსროვი ხარ,
შენს ბანდშია შენი მოშურნე ფარჰადივით".

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ ფარჰადი შეპყრობილია ან ბანდშია დატყვევებული. თუ მეტაფორულად არაა გამოხატული ფარჰადის სიყვარული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რომელსამე ვერსიაში მართლაც დატყვევებული ჰყავდათ ფარჰადი. ვინ დაატყვევებდა მას, თუ არა მისი რაყიფი ხოსროვი.

ფარჰადს ახსენებს ხაყანიც (1120-1199):

თა ჩანდ ქანი ქუჰი ქურა ნაბოვად გოუჰარ,
დარ ქანდანე ქუჰ ოხერ ფარჰად ნეხაჰი შოდ[21].

„სანამდე ამტვრევ მთას, რომელსაც არ აბადია ძვირფასი თვალი,
მთის მტვრევაში ბოლოსდაბოლოს ფარჰადად არ იქცევი".

არა ერთხელ მიმართავს ფარჰადს ფაროხი სისთანელი (X-XI):

ბა დელ შად ბად ჩუნ შირინ,
დოშმანეშ მასთმანდ ჩო ფარჰად[22].

„გულმხიარული იყოს, როგორც შირინი,
მტერი მისი დაღონებული როგორც ფარჰადი".

ონჩე ბი თო ბერ ინ დელასთ აზ ღამ,
ნე ჰამანა ქე ბუდ ბერ ფარჰად[23].

„ის დარდი, რაც უშენობით ამ ჩემს გულშია,
იგი არაა (მეტია), ფარჰადს რომ ჰქონდა".

მოლქე ფარვიზ ბეჩანგ არედ ჰარ ქას ქე ზანად
ჩანგ დარ ხოჯეიე მა ვარ ჩე ბოვად ჩუნ ფარჰად[24].

[19] იქვე, გვ. 114.

[20] დივანე მასʿუდ, გვ. 136.

[21] დივანე ხაყანი შერვანი, ზია ედ-დინ სეჯადის გამოცემა, თეირანი, 1959 წ. გვ. 768.

[22] დივანე ფეროხი სისთანი, მოჰამედ დაბირ სიაყის გამოცემა, თეირანი, 1956, გვ. 43.

[23] იქვე, გვ. 44.

[24] იქვე, გვ. 46.

„ფარვიზის სამეფოს ხელთ იგდებს, ვინც
ემონება ჩვენს ჰატრონს, თუნდაც ფარჰადი იყოს“...

რასთ გოვთი, ქე ჰამჩუ ფარჰადასთ,
ბისოთუნრა ჰამი ქანად ბე თაბარ[25].

„მართალი თქვი, ფარჰადსა ჰგავს,
ბისოთუნს ამტკრევს წერაქვით“.

ჰაზარ ბარ ბე თან რანჯქაშთარ აზ ფარჰად[26]

„იგვემავს სხეულს ფარჰადზე ათასჯერ მეტად“.

ჩანდანქე ბეშამშირ თო ბადხაჰ ფაქანდი,
ფარჰად მაგარ ქე ბეფქანდეასთ ბე მითინ...
ბინანდე ქე დარ ჯანგ თორა ბინად ბა ხასმ, –
ფანდარად თო ხოსროვი ვა ხასმე თო შირინ.

„რამდენიც შენ ავის მდომი ხმლით დასცი,
ფარჰადი თუ დალეწავდა წერაქვით ამდენს...
ჯაცი რომ შეგხედავს მტერთან ბრძოლაში, –
იფიქრებს: შენ ხოსროვი ხარ, მტერი ჯი – შირინი“.

ფარჰადი იხსენიება სენაის (გ. 1126 წ.) დივანშიც:

ყუვათე ფარჰად ო მოლქე ხოსროვ ჩუნ იარი ნისთ,
და'ვა ანდარ ზოლფ ო ხალ ო ჩეჰრეიე შირინ მაქონ[27].

„ფარჰადის ძალა და ხოსროვის მეფობა როცა არ გიწყობს ხელს.
შირინის ზილფზე, ხალსა და სახეზე ნუ ოცნებობ“.

ზე მან ბერხასთ ფარჰადი, აზ უ ბერხასთ შირინი[28].

„ჩემგან წარმოდგა ფარჰადობა, მისგან წარმოდგა შირინობა“.

სინეიე ფარჰად ბაიად თა ღამე შირინ ქეშად[29].

„ფარჰადის გული ხამს, რომ შირინზე დარდი ზიდოს (გაუძლოს მას)“.

კიდევ ერთი მომენტი, რითაც „ხოსროვშირინიანი“ ჰგავს „ვის ო რამინს“, არის „რაყიფული სიყვარული“, რაც ასე იშვიათია სპარსულ ეპიკაში. იქ

[25] დივანე ფეროხი, გვ. 125.

[26] იქვე. გვ. 34.

[27] დივანე ჰაქემ სენაი, თეირანი, 1957 წ., გვ. 268.

[28] იქვე. გვ. 558.

[29] იქვე. გვ. 703.

შეყვარებულთა ხელისშემშლელ ფაქტორად მიჯნურის რაყიფი ყიარ გამოდის, არამედ სხვა რამ ძალა. მართალია, ფარჰადის სახე მაჯნუნისას ჰგავს და მისი სიყვარული უფრო „უზრაულია" (პლატონურია), ვიდრე ხორციელი, მაგრამ მას გაშმაგებით უყვარს შირინი და ხოსროვს გზაზე ეღობება. ისედაც რთულ სიტუაციაში ფარჰადის გამოჩენამ ცეცხლზე ნავთი დაუსხა გამიჯნურებულ ხელმწიფეს.

ე. ბერტელსი გაჯერით აღნიშნავს: ფარჰადი რომ უდაბნოში გაიჭრა, ამით იგი მაჯნუნს უახლოვდებაო[30]. მართალია, თვითონ მაჯნუნის შესახებ არსებულ თქმულებებსა და მისგან შემორჩენილ ლექსებში მაჯნუნი სუფიური ტრფიალით დასენილი მგოსანია[31], მაგრამ ეს ნიზამის როდი ავალდებულებდა სუფი გამოეყვანა იგი. სუფიურად ნიზამი თავიდანვე იყო განწყობილი, ჯერ ჯიდევ „მეხზან ოლ-ასრარში" გამომჟღავნა მან ეს, ხოლო მეორე პოემაში – „ხოსროვი და შირინი" უკვე პერსონაჟის, ფარჰადის სუფიური სახე დაგვიხატა. ფარჰადის სიყვარულის პლატონურობა ხოსროვთან მის საუბარშიც ჩანს, – როცა ცოცხალი აღარ ვიქნები, მხოლოდ მაშინ შემიძლია მასთან გავიყო ლოგინიო, – პასუხობს იგი მეფის შეკითხვაზე. მართალია, პირობას დებს მეფესთან: გზას თუ გავჭრი მთაში, შირინი მე დამითმეო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სატრფოსკენ ისწრაფვის თვითონ მაჯნუნიც, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგება, იგი ან არ, ან ვერ უახლოვდება მას. როგორც მაჯნუნი ლეილის, ასევე ფარჰადი შირინს არა და არ შეახვედრა ჰოტმა. ჰოემაში პლატონური სიყვარულის ასახვას დიდი და ფაქიზი ნიჭი სჭირდება. რაოდენ ძნელია სწერო რომანი, სადაც შეყვარებულთ ჯიდეც უყვართ ერთმანეთი გაშმაგებით და ჯიდეც გაურბიან ერთმანეთს. ასეთი ტრფიალი ლირიკაში დიდ დაბრკოლებას არ აწყდება (ამისი მაგალითიც ბევრია, ზოგი ჰაფიზის მთელ დივანს ყითხულობს, როგორც მისტიკურ ლირიკას), მაგრამ ეპიკაში დიახაც საჭოჭმანებია. არ ვიცით, პლატონური ელფერი ნიზამიმ მისცა ფარჰადს, თუ თქმულებებიდან გადმოჰყვა მას. უფრო პირველი გვგონია. ასეა თუ ისე, „ხოსროვშირინიანში" ორგვარი სიყვარულის ჰიმნია: ხორციელისა და პლატონურის. ნიზანი ფარჰადის სახით მოსწყდა მიწას; მზადდება ნიადაგი „ლეილმაჯნუნიანისათვის"; ფარჰადი ეტიუდია მაჯნუნის სახისა. როგორც ავღნიშნეთ, ნიზამი მიმბაძველია, ამ ტერმინის საუკეთესო გაგებით. „საიდუმლოებათა საგანძური" მან სენაის „ჭეშმარიტებათა ბაღის" გავლენითა და მიბაძვით დაწერა, „ხოსროვშირინიანი", „შვიდი მთიები" და „ისქანდერნამე" კი – ფირდოუსის „შაჰ-ნამესი". ერთადერთი „ლეილმაჯნუნიანია", მანამდე პოემად რომ არ ჩანს და მხოლოდ ქრონიკების, თქმულებებისა და მაჯნუნის ლექსების შთაგონებითა და გამოყენებით შეიქმნა. იქნებ ამიტომაც არ უნდოდა მისთვის ხელის მოკიდება, ცოტა იყო წყაროები და წინამორბედნი. და საოცარია (მხოლოდ შემოქმედის რთული და უცნაური ბუნება თუ იქმს ამას), რომ ნიზამიმ ასეთი შარავანდედით შემოსა ეს უხალისოდ დაწყებული საქმე, – „ლეილ მაჯნუნიანი" ხომ მისი გვირგვინია.

ყოველ შემოქმედს თავისი ბედი აქვს. ნიზამის სიცოცხლეშივე ერგო დიდება, მაგრამ ყოველთვის, ყველას მიერ როდი ყოფილა იგი აღიარებული. ახალი სპარსული ლიტერატურის ისტორიოსი და მიმომხილველი დავლათშაჰი თავის ცნობილ „თაზქირათ უშ-შუარაში" (1485 წ.) ნიზამის

[30] Е.Э.Бертельс, Навой, Москва-Ленинград, 1948 г., стр. 184.

[31] И. Ю. Крачковский, Ранняя история повести о Маджнуне и Лейле в арабской литературе. Алишер Навой, Сборник статей, Москва-Ленинград, 1946 г., стр. 47.

მიაწერს „ვისრამიანის" დაწერას, იმდენად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მის შემოქმედებაზე. თუმცა იგი ფართოდ ჰოპულარული ყოფილა.

ნიზამის გაგებას ხელს უშლიდა და უშლის დღესაც მისი სტილი, მისი მეტაფორების ლაბირინთები, რომელსაც ყველა ბოლომდე ვერ ჩასდევს. ჩვენ გვგონია, რომ სხვა ენებზე, ჯერჯერობით, ქართულზედაც, ამიტომ არ თარგმნილა იგი თავის დროზე. ნიზამის თვით ჩვენს დროშიაც ერთნაირად როდი აფასებენ. ზოგი აქებს, ზოგი – არა. აი, რას ამბობს მასზე ცნობილი ინდოელი ფილოლოგი შიბლი ნო'მანი: „ფირდოუსი ბრძოლის ველის ჯაცია და სამიჯნურო ამბების გალექსვა არ ძალუძს; საადი სატრფიალო და დიდაქტიკური პოეზიის მოციქულია, მაგრამ საქმე ომზე რომ მიდგება, უძლური ხდება..., ხაიამი მხოლოდ ფილოსოფიაშია ოსტატი; ჰაფიზი ლაზელებითაა ცნობილი და მეტი არაფრით; ნიზამის ჯი ომის, მოლხენის, სიყვარულის, ფილოსოფიის, დიდაქტიკის სფეროში უწერია და რაც უწერია, განუმეორებელია"[32].

იური მარი ირანში რომ იყო, იქაურ მწერლებსა და მეცნიერებში გაუკითხ-გამოუკითხავს ნიზამის ამბავი და თვალსაჩინო შვილებს ირანისა, მალექ ოშ-შოარა ბეჰარსა (1886-1951) და სეიდ ნაფისის (დ. 1896 წ.), აი, რა უთქვამთ მასზე. „ნიზამის რეპუტაციას, – განუცხადებია მალექ ოშ-შოარას, – ის ლახავს, რომ მისი ჯარგი ხელნაწერები არ იშოვება. თავიდანვე შეცდომებით გადაუნუსხავთ ისინი, აი, რატომ არ გახმაურდა იგი"[33]. ეგ ვერაფერი სანუგეშო პასუხია და ნიზამის დიდი მოყვარულისა და საუკეთესო მცოდნის იური მარის საამებლად არის ნათქვამი, თორემ განა სხვა პოეტთა მემკვიდრეობა შემოგვრჩა შეურყვნელი? ნიზამის „ხამსე" სხვებზე უკეთ, თორემ უარესად არ შემონახულა. ხოლო სეიდ ნაფისის ი. მარისთვის ნიზამი სულაც არ უქია. ვეჭვობთ, აწ ესოდენ სახელმოხვეჭილი და დიდი მეცნიერი დღეს ამავე აზრისა იყოს. იგი თურმე ხან ამას საყვედურობდა ნიზამის: მისი პოემები ძველი ლეგენდების პირწმინდა განმეორებააო („ხოსროვი და შირინი"), ხანაც იმას უთვლიდა ნაკლად, თქმულებებს დაცილებულიაო („ლეილმაჯნუნიანი")[34].

ძველ კლასიკოსთა შემოქმედებას რომ განიხილავენ, ხშირად ნათლავენ მათ ფილოსოფოსებად, ასტრონომებად, ექიმებად, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ამა თუ იმ ნაწერში გატარებულია რაიმე ფილოსოფია, ნაცნობია ციურ სხეულთა მოძრაობა და მისთ. ზოგი ასეთი მწერალი მართლაც იყო მეცნიერი თავისი დროისა. აღმოსავლეთში ენციკლოპედიური ცოდნა დიახაც ჰქონდა მრავალ მწერალს: ხაიამი (XII ს.) დიდი მათემატიკოსი ყოფილა, ავიცენა (X-XI ს.) ჰოეტიც იყო, ექიმიც, ფილოსოფოსიც, მაგრამ ნიზამის, ისე როგორც რუსთაველს, ფილოსოფოსს ალბათ ვერ დავარქმევდით, ვერც დიდ ასტრონომს და მედიცინის ღრმა მცოდნეს. ეს დღესაა, როცა ასე დავშორდით მათ ყოფას, რომ გვეჩვენება ნიზამი ამ დარგების დიდ მცოდნედ, თორემ მაშინ ყოველი ინტელიგენტი ერჯეროდა, ვთქვათ, ზოდიაქოებში. ჩვენი შორეული წინაპრები არც ისე გულუბრყვილონი ყოფილან, როგორც ზოგჯერ გვგონია. ეგვიპტელ ქურუმებსა და მაიას მოძღვართ იმდენი რამ სცოდნიათ მეცნიერების ზოგ დარგში, რასაც ჩვენ ეს-ესაა მივუხვდით. არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ ხშირად ჯერ ჯიდევ არ გვესმოდეს მათი, გვაკლდეს ცოდნა და იმიტომ. ვფიქრობთ, ამ მხრივ ნიზამიც იქცევს ყურადღებას.

[32] შიბლი ნო'მანი, ტ. II, გვ. 239.

[33] Ю. Н. Марр, Статьи и сообщения, II, Москва-Ленинград, 1939, г., стр. 258.

[34] იქვე. გვ. 265.

რა არის, მაგალითად, ეს ზუალის ანუ სატურნის ფარგალი, რომელსაც ნიზამი ასახელებს[35], ანდა რა გვირგვინია ის, რომელზედაც ნათქვამი აქვს, მუშთარს (იუპიტერს) დაადგაო?[36] რუსული გამოცემის კომენტატორები ყოყმანობენ: რაღაც სხვა უნდა იყოს, თორემ ნიზამის დროს ტელესკოპი არ იყო და საიდან იცოდა, რომ სატურნს „რგოლი" აქვსო[37]. ეს „ფარგარ" (ფარგალი, რგოლი, წრე) ნიზამისთან სხვაგანაც გვხვდება, კერძოდ, „ფარგარე ჰამალ" – ვერძის (ზოდიაქოს) ფარგარი[38]. ასტრონომებმა უნდა გაარკვიონ, რა შეიძლება იყოს ერთი ან მეორე?[39] ასევე, ის იუპიტერის გვირგვინიც შემთხვევითი არ უნდა იყოს. XII საუკუნის სპარსელი მწერალი ნიზამი არუზი სამარყანდელი ერთგან წერს: „იყვნენ არა მარტო იუპიტერსა და სატურნზე უფრო მრგვალნი, არამედ მათზე უფრო ელვარენი"[40]. ფრიად საყურადღებოა „ხოსროვშირინიანში" დაცული ხოსროვისა და ბოზორგმიდის ჯითხვა-ჰასუხი. ამჯერად ერთ მათგანს მივაქცევთ ყურადღებას. ხოსროვი ეკითხება სწავლულს ვარსკვლავებზე: რა არის ეს ვარსკვლავები, გამიგონია, ყველა მათგანი ცალკე ქვეყანაა, მართალია თუ არაო? ერთი წუთითაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აზრები ნიზამის ეკუთვნის. არა, იგი მის დრომდე შემონახული ცოდნის განმეორებაა. გარკვეულ ცოდნას იჩენს ნიზამი მედიცინაში[41], მაგრამ იგი აქაც დილეტანტია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიზამი ერთ-ერთი ძნელად გასაგები პოეტია სპარსულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით მას ხაყანის თუ შევადარებთ. რთული და ღრმა მეტაფორების სიუხვე, ზმები და ნართაულები ძნელად გასაგებს ხდის ნიზამის[42]. მისი ყოველი მეტაფორა დახშულ ჯარებს გვაგონებს, რომლის გალებაზე დიდხანს ვწვალობთ, მაგრამ გავალებთ თუ არა, საოცრად წარმტაც წალკოტში შევდივართ. ზოგჯერ ნიზამის ლექსს ტექნიკურად რთულს უწოდებენ[43], მაგრამ ეს სირთულე სწორედ რომ ტექნიკური არაა. ი. მარი სწერდა ხაყანიზე: „ის ხომ, როგორც ნიზამი, რომლის დედა სპარსელი ჯი არა, ქურთი იყო, კავკასიის კულტურული სამყაროს გარემოცვაში ცხოვრობდა, რის გამოც ორივე ავტორი ნაკლებად მისაღებია თანამედროვე სპარსული ინტელიგენტისთვის"[44]. ე. ბერტელსი შენიშნავდა: „როცა ევროპელი მეცნიერები ჩვენ: ნიზამი ძნელი გასაგებიაო, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენ ჯარგად ვიცით საკარო შაბლონი პოეზიისა, მაგრამ ძალიან ცოტა ვიცით იმ დროის ყოფაზე. ჩვენ რომ ვიცოდეთ ეს ყოფა, ნიზამის ამოკითხვა უფრო იოლი იქნებოდა"[45]. ბერტელსისეული ახსნა უფრო ახლოა სიმართლესთან,

[35] ხოსროვ ო შირინ, გვ. 42.

[36] იქვე. გვ. 439.

[37] Хосров и Ширин, gv. 464.

[38] ხოსროვ ო შირინ, გვ. 166.

[39] ნიზამის ასტრონომიულ ცოდნაზე მხოლოდ ერთ ჰაგარა სტატიას ვიცნობთ: Г.Д.Мамедбейли, Низами как передовой ученый своего времени. Низами, Сборник I, Баку, 1940 г., стр. 105.

[40] Чахар-макале, Москва, 1963 г., стр. 49.

[41] ნიზამის სამედიცინო ცოდნის შესახებ იხ. проф. Э.Эфендиев, Низами и медицина. Низами, Сборник III, Баку, 1941 г., стр. 92.

[42] იხ. H.Ritter, Über die Bil dersprache Nizami's, Berlin-Leipzig, 1927.

[43] Е.Э.Бертельс, Низами и Фирдоуси. Низами. Сборник II, Баку, 1941, стр. 48.

[44] Ю.Н.Марр, стр. 126.

[45] Е.Э.Бертельс, Низами и Фузули, Москва, 1962 г., стр. 480.

ვიდრე ი. მარისა, თუ ეს უკანასკნელი აქ გაგებას გულისხმობს და არა სხვა რამეს.

არა გვგონია, ნიზამის პოეზიაში ყავკასიური რეალიები იმდენი იყოს, რომ სპარსულ ინტელიგენტს ხელს უშლიდეს გაგებაში. ასეთ რეალიებს ნიზამი არ ხმარობს სახეთა შესაქმნელად და თუ ხმარობს, იგი ნაკლები, თორემ იმაზე მეტი არ იქნება, ვიდრე, ვთქვათ, ინდოეთის ყოფითი დეტალებია. ნიზამი ისლამის სამყაროს არ სცილდება და მიმართავს იმ ქრისტიანულ მითებსა და პანთეონს, რომელსაც ყურანით იცნობს ირანელი. საქმე ის გახლავთ, რომ ნიზამისთვის დამახასიათებელია განზრახ გართულება პოეტური სახისა. ზოგჯერ ბაითი ერთი ზმის შესაქმნელადაა დაწერილი. ასე, მაგალითად, ერთგან, როცა ნიზამი ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობაზე მსჯელობს, ამბობს: გორგანიდან ქერმანში მოგვიწევს წასვლაო. აქ შეიძლება ის ვიფიქროთ, რომ პოეტს მხედველობაში აქვს ამ ქალაქების გეოგრაფიული თუ კლიმატური პირობები. ვთქვათ, თუ ქერმანი უკეთესია გორგანზე, მაშინ უთქვამს: იქ, საიქიოს წასვლა უკეთესიაო; ხოლო თუ პირიქითაა, მაშინ პირუკუ მიაჩნია, – აქ სჯობს ცხოვრება საიქიოში ყოფნასო. მაგრამ ამით არ თავდება ყველაფერი: პოეტს ზმა აქვს. გორგან სიტყვა გორგ-ის მრავლობითია და მგლებს ნიშნავს. ხოლო ქერმან – ქერმ სიტყვის მრავალობითია და მატლები იქნება. ნიზამი გვეუბნება: ეს ქვეყანა ხომ მგლებითაა სავსე (საშინელია აქ ცხოვრება), მაგრამ არც იქ მოგვკლის უკეთესი რამ, იქ მატლები შეგვჭამსო.

ნიზამი ხელიდან არ უშვებს სიტყვისაგან პოეტური სახის შექმნის არც ერთ შემთხვევას. ვთქვათ, მას უნდა თქვას: სიბერეში კაცს ლამაზი ქალები ისე აღარ მოუნდებაო. აი, როგორ იტყვის ამას: ვისაც ზეციდან ვერცხლისწყალი გადმოეღვრება, იგი ვერცხლის კერპებს ვერცხლისწყალივით გაექცევაო. პირველი ვერცხლისწყალი ვერცხლისფერ, თეთრ წყალს ნიშნავს და პოეტი იმით ჭაღარას გამოხატავს. მეორეგან, ვერცხლი ნახმარია კერპისთვის. ლამაზ ქალს ნიზამი ვერცხლის ქანდაკებას ადარებს, მაგრამ აქ უბრალო ქანდაკება კი არა გვაქვს, არამედ კერპი, რომელსაც თაყვანს სცემენ. ეს კერპი ლამაზი კია, ვერცხლისაა, მაგრამ ცივია, ცივი გული უდევს და თავის მოთაყვანეთ არ წყალობს (ზოგჯერ ქვის, ე. ი. მარმარილოს კერპებიც ჰყავს ნიზამის). ეს თავისთავად. მაგრამ კერპი თავისი მოთაყვანის მიმართ თუნდაც რომ კეთილად იყოს განწყობილი, თვითონ მოთაყვანე, როცა დაბერდება, გაურბის მას. აქ პოეტი მესამეჯერ გამოიყენებს ვერცხლს, უკვე ვერცხლისწყლის მნიშვნელობით. ვერცხლისწყალი კი, როგორც ვიცით, ერთ ადგილზე არ ჩერდება, მოძრავია. ჩვენ ვერ დავეთანხმებოდით ე. ბერტელსს, თითქოს „ხოსროვშირინიანში“ უკვე ისე აღარ შეინიშნებოდეს სიტყვის თამაშით გატაცება, როგორც ეს „საიდუმლოებათა საგანძურში“ ემჩნევა ნიზამის, თითქოს აქ „მთელი ტექნიკა მთლიანად ემორჩილებოდეს ერთ ამოცანას – რაც შეიძლება უფრო ხელშესახებად გამოკვეთოს მთავარ გმირთა ხასიათები“[46]. „ხოსროვშირინიანში“ უფრო მეტი, თორემ ნაკლები არაა ეს თამაში.

ზემოთ უკვე მოვიტანეთ ე. ბერტელსის ნათქვამი ნიზამის სახეთა თაობაზე, – რომ მათ გასაგებად საჭიროა იმ დროის ყოფის კარგად შესწავლა. მაინც რა წინააღმდეგობას ვაწყდებით, რას მოიცავს ეს ყოფა? იგი მოიცავს ყოველგვარ წვრილმანს, დაწყებული ზოდიაქოებით და დამთავრებული ძვირფასი თვლებითა თუ მინდვრის ყვავილებით. ვთქვათ, ნიზამის სურს

[46] Е.Э.Бертельс, Низами и Фузули, გვ. 227.

გვითხრას: გადი ამ ქვეყნიდან, დააგდე მიწიერი ცხოვრებაო. ჩვენ ერთი ასეთი სახე უკვე განვიხილეთ, როცა გორგანი და ქერმანი იყო ზმის შესაქმნელად გამოყენებული. ჩვეულებრივი სპარსულის მცოდნე მკითხველი შეიძლება მიუხვდეს ამ ჯალამბურს, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, ქერმან ქერმ სიტყვის მრავალობითია და გორგანიც ასევეა შექმნილი. აქ ენის ცოდნა და პოეტური ალღო საკმარისია. მაგრამ თუ მაშინდელ მოძღვრებათ არ იცნობთ, ვერ გაიგებთ „ხოსროვშირინიანის" ამ სახეს, რომლითაც გამოხატულია ზემოთ მოტანილი აზრი, ამ ქვეყნიდან გასვლისაკენ მოწოდება: „ამ ცხრა ხარს გაექეც და ამ მიწის გვარად ხარზე დადევი შენი ბარგი-ბარხანა". უნდა გაირკვეს: 1) რაა ეს ცხრა ხარი, რომელსაც უნდა გავექცეთ? 2) რატა მაინცდამაინც ხარზე დავდოთ ბარგი-ბარხანა, სახედრად სხვა ცხოველები თქმულა. 3) მიწას რატომაა ეს ბარგი-ბარხანა შედარებული? პასუხი ასეთია: ცხრა ხარი ცის ცხრა სფეროა, როელსაც ნიზამი უყურებს, როგორც მატერიალური სამყაროს შემადგენელ ნაწილს. ხარი იმიტომ უწოდა მას, რომ ცაში ხარის ანუ ჯუროს ზოდიაქო ეგულება. ხარზე ბარგი-ბარხანის დადებას იმიტომ გვირჩევს, რომ სახედრად ხარსაც გამოიყენებენ, აქ კი ომონიმად უნდა და იმიტომ იხმარა. ხოლო მიწას იმიტომაა შედარებული ეს ბარგი-ბარხანა, რომელიც ჩვენ უნდა დავდოთ ხარზე, რომ გულისხმობს დედამიწაზე არსებულ ძველ წარმოდგენას, რომლის მიხედვით ვეშაპზე (თევზზე) დგას ხარი, ხოლო ხარზე (მის რქებზე) – დედამიწა. აი, კიდევ ერთი მეტაფორა, რომლის გასახსნელადაც მარგალიტის ცოდნაა საჭირო. პოეტს უნდა თქვას: შირინმა ყური დაუგდო მჭევრმეტყველი შაფურის სიტყვებსო.

„მარგალიტის მატარებელ ყურს ნიღაბი მოხსნა,
მარგალიტივით ყური ზღვას დაუგდო"[47].

შირინმა ყურიდან თავსაფარი მოიშორა და ყური ისე დაუგდო შაფურს, როგორც მარგალიტი უგდებს ზღვას. ნიზამის შედარებები ზუსტია და ის, რასაც ადარებს და ის, რასაც უდარებს, ყოველთვის ერთმანეთს ფარავენ მათი ძირითადი ნიშნებით. რა ყურის გდება იცის მარგალიტმა, რითი უგდებს იგი საერთოდ ყურს, ვის უგდებს ყურს? ახსნა ასეთია: შირინი მარგალიტს ჰგავს, – მასავით ძვირფასია და ელვარე. მარგალიტმა იცის ყურის გდება, იგი ზღვის ხმაურს უგდებს ყურს. რითი? თავისი ნიჟარით (მარგალიტი ხომ ნიჟარაშია), რომელიც მართლაც ადამიანის ყურებს ჰგავს. აქ სხვასაც ამბობს ნიზამი: შირინს ყური მარგალიტის ნიჟარას უგავსო. მაგრამ როგორია ეს ნიჟარა? მარგალიტის ნიჟარა სადაფია, ხოლო სადაფი, მოგეხსენებათ, საამოდ საჭვრეტია. ის ზღვაც ხომ არ ნიშნავდა რამეს, მარგალიტი რომ ყურს უგდებდა? რა თქმა უნდა, – ეს ზღვა მჭევრმეტყველი შაფურის ენაწყლიანი საუბარი გახლავთ, რომლითაც მართლაც მოიხიბლა შირინი. და ბოლოს, თუ რამდენი წინდაწინ გაუთვალისწინებელი რამ ყოფითი რეალიების ცოდნა სჭირდება ნიზამის მკითხველს, ამის საილუსტრაციოდ მივუთითებთ განმარტებაზე, ამ წიგნის ბოლოში რომაა დართული (განმარტება 157).

ნიზამის მეცნიერული შესწავლა ჩვენს დროში დაიწყო, მისი კომენტირება ისევ გრძელდება და არ ვიცით, რაც დრო გავა, უფრო და უფრო გავიგებთ მის ზოგ ბუნდოვან ადგილს, თუ უფრო დავშორდებით მას, რადგან ბევრი ყოფითი დეტალი, რომელიც ნიზამის აქვს სახეთა შესაქმნელად გამოყენებული,

[47] ხოსროვ ო შირინ, გვ. 66.

რაც დრო გადის, უფრო შორეული და უცნობი ხდება.

ჯიდევ ერთ სიძნელეს ჰოემის ლირიკული ხასიათი ქმნის, ჯერძოდ ის, რომ ბაითები უმეტეს შემთხვევაში არც კი უკავშირდებიან ერთმანეთს შინაარსობრივად. ყოველი ბაითი გარკვეული შინაარსის მქონე დამოუკიდებელი ერთეულია. ხშირად ისინი შეგიძლიათ ამოიღოთ ან ადგილი გადაუნაცვლოთ და ამით შინაარსი არ ირღვევა, რადგან, ვიმეორებთ, ჰოემის უმეტესი ნაწილი ლირიკული წიაღსვლების, პერსონაჟთა მონოლოგებისა თუ ლირიკული აღსარებებისგან შედგება. სპარსულ ლირიკაში კი (ღაზელში, ჯერძოდ) ოსტატობად ასეთი ბაითების მქონე ლექსის შეთხზვა ითვლებოდა.

ნიზამის ჰოპულარობას ალბათ ზოგი რამ მაინც უშლიდა ხელს, – თუნდაც მის რთულ ჰოეტურ სახეთა მოყვარე, საკმაო ცოდნისა და გემოვნების მქონე მკითხველებში, – ეს გახლავთ ჰოეტური სამკაულების ჭარბად ხმარება, ზოგჯერ თვითმიზნური გატაცება ხატოვნებით, ჰოეტური სამკაულებით. „ოდეს ტურფა გაიაფდესო", უთქვამს დიდ ჰოეტს და ამ ტურფას, უნდა ვთქვათ, ხშირად აიაფებს ნიზამი. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ იგი ხშირად იმეორებს თავის თავს, ჩვევია ჰოეტურ სახეთა აკვიატება, რომელთა მაგალითი ბევრია და ერთხელ კიდევ აქ არ ჩამოვთვლით.

ანკარად გვინდა შევეხოთ ნიზამის გავლენის საკითხებს. როგორც ცნობილია, ქართული და სპარსული ლიტერატურა საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდითიგვერდ ვითარდებოდა, ხოლო თვით ირანული მოდგმისა და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე ხომ ლაპარაკი აქ საერთოდ ზედმეტია. მით უფრო საგულისხმოა ეს კონტაქტები აზერბაიჯანთან (განჯასა და შირვანთან). მეზობელ აზერბაიჯანელებთან ჩვენ ისეთი ლოიალური დამოკიდებულება გვქონია, რომ თვითონ რკულსაც არ შეუშლია ხელი და მათთვის ქალებიც კი გაგვიტანებია[48]. თბილისთან განჯა უფრო ახლოს იყო ვიდრე, ვთქვათ, ქუთაისი. ჩვენი ოქროს ხანისა და აღორძინების პერიოდის მწერლები ალბათ სპარსულ ლიტერატურას დედანშივე ისე კითხულობდნენ, როგორც ჩვენ დღეს რუსულს ვკითხულობთ. ნიკო მარი მართალი იყო, როცა ფიქრობდა, რუსთაველი ორიგინალში კითხულობდა სპარსულ ლიტერატურასო[49].

არავისი ლიტერატურა არ ყოფილა იზოლირებული, ისე როგორც არცერთი ერი და მისი ენა არ ყოფილა ასეთი. ქართულ ლიტერატურაში, ჯერძოდ, რუსთაველის ჰოეზიაში, სპარსელი მკითხველისათვის ნაცნობი მოტივი, შტრიხი, სიტუაცია, ჰოეტური ხერხები და მისთ. მოსალოდნელი იყო და არის კიდევაც. მაგრამ ყოველთვის უნდა გვქონდეს მთავარის დანახვის უნარი და უნდა გვახსოვდეს, რომ სულ სხვაა ის მასალა, რითაც

[48] ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ხაყანის ჰოეზია რად ღირს. მან საქართველოში იცხოვრა და, ჩანს, ქართულიც იცოდა (მოი, მოიო! – ქართულად უხმობს საკრფოს სპარსულ ლექსში). აზერბაიჯანელი მეფეები თურმე, როგორც ეს ხაყანისვე ერთი რობაიდან ჩანს, ეკლესიაშიც შედიოდნენ და ლოცულობდნენ (გავიხსენოთ დავით აღმაშენებელის შემწყნარებლობა ისლამისადმი): „როცა მეფე აბხაზიდან (საქართველოდან) დაბრუნდა დღესასწაულზე, შუადღეს ეკლესიაში შესვლა ინება". (დივანე ხაყანი შერვანი, გვ. 708: 742: 812).

[49] Н.Я.Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, Известия АН, 1917 г., стр. 420. როდესაც ვმსჯელობთ, ვეფხისტყაოსანში ვისი და რამინი იხსენიება და, მაშასადამე, ამ დროისათვის გორგანის პოემა თარგმნილი ყოფილა ქართულადო, ამას მეცნიერული სიფრთხილე გვალაპარაკებს: ვაითუ რუსთაველი ორიგინალში არ იცნობდა სპარსულ პოეზიას, იქნებ ქართული წყაროებითღა იცნობდეს მასო და მისთ., თორემ ასეთი მსჯელობა მყარ ნიადაგზე არ დგას და, ვთქვათ, იმავე „ვისრამიანის" ქართულად თარგმნის ამავე მეთოდით დათარიღებაც დამაჯერებელი არაა.

რუსთაველი აშენებს თავის ხელთუქმნელ ჯოშას და სულ სხვაა ის მასალა, რითაც სპარსელები ქმნიდნენ შედევრებს. ზოგჯერ ესა თუ ის დეტალი შეიძლება ჰგავდეს ერთმანეთს, მაგრამ ამით თავად ძეგლები ერთმმანეთს არ ემგვანებიან. და გაუგებარია, როდესაც ასეთ შედარებებს მიმართავენ და რომ აჭარბებენ ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ თავს იჩენს მეორე უკიდურესობა, როდესაც მსგავსებებს აღიარებენ, მაგრამ სურთ, განსხვავებანი წამოსწიონ წინ. განსხვავებების მეტი რა იქნება?! იმის გამო, რომ ორი განსხვავებული საგანი ერთი მეორეს რამე ნიშნით ჰგავდნენ, განა საჭიროა, ისინი ერთმანეთს ვადაროთ!

ნიზამის ჰოეზიაში ცოტა როდია მომენტი, რომელიც რუსთველოლოგს დააინტერესებდა. საერთოდ ამ საკითხს ბევრი შრომა ეძღვნა. ამ თვალსაზრისით „ხოსროვშირინიანიც“ არაა ინტერესს მოკლებული და აქ მხოლოდ საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორიოდე მაგალითს.

აღმოსავლურ ლიტერატურასა და ქართულ მწერლობას ბევრი საერთო ძარღვი გაუდით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თვითონ საქართველოც აღმოსავლეთია. ასეც რომ არ იყოს, იგი მრავალი საუკუნე იყო მასთან შესისხლხორცებული. თუნდაც არ ეკითხათ ჩვენს ძველ პოეტებს სპარსული ჰოეზია, და მარტო ქართულ ხალხური თქმულებანი, ადათი, ჩვეულებანი და პოეტური სახეები გადაჰყოლოდათ, ეს აღმოსავლეთი მაინც იჩენდა თავს. განა დღესაც ასე იტყვიან ჩვენში, წარბის ღერი რომ ჩამოუვარდებათ, წერილი მომივაო, როგორც ამას ნიზამის ამ პოემაში ვკითხულობთ; ანდა ფრჩხილებზე თეთრი ლაქა ახლის შეკერვას არ მოასწავებს ცრურწმენით. რუსთაველის ზოგი პოეტური სახე ენათესავება სპარსულ მხატვრულ სახეებს. ავიღოთ, მაგალითისათვის გამოთქმა ჰინდო (ინდო) ვეფხისტყაოსანში. ჰინდო შავის სინონიმია სპარსულ პოეზიაში (მაგალითად, ჰაფიზის „ხალე ჰინდო“ შავ ხალს ნიშნავს), იგი თმისა და წარბ-წამწამის მეტაფორადაა გამოყენებული[50]. გავიხსენოთ შოთას მეტაფორები: „სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა“ (889,1), ასევე „ტარიელ შეკრთა, შეინძრა რაზმი ინდოთა ტომისა“ (1346,2). აქ საოცრად მშვენიერი და მართალი მეტაფორაა შეთხზული: ტარიელის თმა ინდოთა ტომის რაზმსაა შედარებული. ამ სპარსული წარმომავლობის სიტყვას სხვა მნიშვნელობაც გააჩნია: ბრძოლაა და თუნდაც რომ ბრძოლის ასოციაცია გაგვიჩნდეს, ეს სურათის ხატს ხელს არ უშლის, შეიძლება ეხმარებოდეს კიდევაც სრულყოფილად აღწერაში, როგორც ცოტათი ქვემოთ საგანგებოდ ვნახავთ. სპარსულ ლიტერატურაში არა ერთხელ გვხვდება იგივე სახე შავი თმის აღსანიშნავად. ასე, მაგალითად, შორს რომ არ წავიდეთ, ისევ „ხოსროვშირინიანში“ გვხვდება „ტარეიე ჰინდუ“ – ინდოს ჯავები“[51]. ჰაფიზი ერთგან წერს: „შენი ჰინდუსაგან ჯაფა მადგასო“[52], მაგრამ ამ ინდოთი თუ ჰინდუთი მარტო თმა არ იწოდება, იგი ქურდის, ავაზაკის მეტაფორაცაა როგორც ქართულ, ისე სპარსულ ჰოეზიაში. ავთანდილი მოთქვამს: „ინდოთა რაზმი ჩემად ყოვად თქვაო“ (835,2). აქ ინდო მარტო შავი კი არაა, არამედ მკვლელიცაა. სავსებით სწორად განმარტავდა თეიმურაზ

[50] ვიკტორ ნოზაძემ ნათელჰყო, რომ ეს ინდო ინდოელი (ინდოეთის მკვიდრი) კი არაა, არამედ – ეთიოპიელი (იხ. ვიკტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ლმრთისმეტყველება, პარიზი, 1963 წ., გვ. 477-479).

[51] ხოსროვ ო შირინ, გვ. 414.

[52] დივანე ხოჯა შამს ედ-დინ მოჰამედ ჰაფეზ შირაზი, მოჰამედ ყაზვინისა და დოქტორ ყასემ ღანის რედაქციით, გვ. 57.

ბაგრატიონი: „აღმოსავლეთის მელექსენი, ესე იგი პიიტიენი ინდოთა ანუ აბაშთა შავთა რაზმსა ანუ მწყრივსა უწოდებენ, მეტაფორითა მშვენიერთა ქალთა წამწამსა, რამეთუ ვითა მხედრობანი ესვრიან მტერთა საკვდავად ისართა, ეგრეთვე მშვენიერნი და სატრფონი ქალნი ტრფიალთა მისთა წამწამთა მიერ გულისა მოსწყვლელთა გრძნობათა ისართა სტყორცნიან“[53].

მაგრამ ეს განმარტება საკმარისი არაა. თეიმურაზს კი ახსოვს აღმოსავლურ პოეზიაში რომ ინდო ჯლავს ჯაცს, მაგრამ აქ მის მნიშვნელობას წამწამთა ისარში ახურდავებს. ინდო ნიშნავს ქურდს, ავაზაკს, ჯაცისმკლელს (სულერთია, რითი ჯლავს ჯაცს: ისრით თუ ხმლით). აქავთანდილი რომ ამბობს: ინდოთა რაზმი ჩემად ჯლვად თქვაო, გულისხმობს ინდოთა ამ თვისებას, მკვლელობას, ავაზაკობას. ეს რომ ასეა, თვით „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს. გაბოროტებულმა დავარმა იმით დასაჯა ნესტანი, რომ ისინი შავთ, როგორც მერე ირკვევა, ინდოთ, ჩააბარა (ეს ინდონი ადვილად გაიმეტა ფატმანმა და თავის ხალხს მოაკვლევინა.) ინდო როგორც ქურდი და ავაზაკი გვხვდება ნიზამის პოემებშიც (ინდოს ხელს არ მოაჭრიანო, ამბობს ამ პოემაში), სენაი ერთ-ერთ თავის რობაიში ეუბნება სატრფოს:

„რა გასაკვირია, რომ გული წამართვი,
შენ ჰინდო ხარ, – ინდო ხომ მძარცველიაო“[54].

ქართულ ლიტერატურაში ინდო გვხვდება ერთსა და იმავე დროს როგორც ავაზაკის, ისე მცველის მნიშვნელობითაც. რადგან ისინი მსახურებად და მცველებადაც ჰყავდათ აღმოსავლეთში.

ჩახრუხაძე წერს: „ჰე, ნახე სახე: შამბნარისა ხე ჰინდოთა ცვად ყონ ნამუხთალევად“[55]. აქ მუხთალი მიუვალ დარაჯს აღნიშნავს, იგი ავაზაკია სხვათა მიმართ (ამიტომაცაა „თამარიანში“: „ბრძოლისა ველსა, თვალ-უწდომელსა, ინდონი ეყვნეს დამონებულად“. გვ. 456. ე. ი. ეს რა ჯარგი ამბავი მომხდარა, ის ავაზაკი, რომელიც სხვას ატყვევებდა აქამდე, ახლა თავად დაუტყვევებიათო). ჰინდო მცველისა და მძარცველის მნიშვნელობით ერთდროულად ერთ ლექსში მარტო ქართულ პოეზიაში არ იკითხება. აქ სპარსელი პოეტის ქამალ ისმაილის ასეთ ბაითს მოვიხმობთ:

„შენი ზილფი, რომელიც გულის წამღებიცაა და გულის მქონეც,
ჰინდოა, ქურდიც არის და ყარაულობაც იცის“[56].

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი დეტალი ნიზამისას ჰგავს. თუ იგი ნამდვილად და მხოლოდ ნიზამისეულია, აშკარაა, ნიზამისაგან წარმომდინარედ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ აღმოსავლეთის ყოფიდან თუ ლიტერატურიდან წარმომდინარე ასეთ დეტალებისა და მოტივების აღნუსხვის დროს მეტი სიფრთხილე გვმართებს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ, მაგალითად, აღმოსავლური პოეტური სახეები ძნელია რომელიმე ავტორს მიაკუთვნო, ისინი ხშირად მეორდებიან სხვადასხვა ავტორებთან. და, ჩვენი აზრით,

[53] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, თბილისი, 1960 წ., გვ. 275.

[54] დივანე შაქიმ სენაი, გვ. 616.

[55] ჩვენი საუნჯე, II, თბილისი, 1960 წ. გვ. 467.

[56] ალი აქბარ დეჰხოდა, ამსალ ვა ჰექამ (სპარსულ ენაზე), ტ. III, გვ. 1499.

ყოველთვის უნდა გვიჭირდეს „ვეფხისტყაოსანში" ნახმარი ამა თუ იმ სპარსული დეტალის ამა თუ იმ ავტორისთვის მიკუთვნება. არის კი მისი, ვიცით კი ნამდვილად? ასე, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება გრძნეული, რომელმაც „მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა". ეს „მწვანოსანი გრძნეული" „ხოსროვშირინიანშიც" გამოჩნდება: „მწვანე ჯარვიდან მწვანოსნები (ფიცხლად) გარედ გასული, როგორც ჭაუაფხიზელთა წარმოსახვა (გვ. 439).

მივიჩნიოთ იგი ნიზამისეულად? ვერა, რადგან ეს მწვანოსანი „ვის ო რამინშიც" იკითხება[57], გორგანისეულად მივიჩნიოთ? გაგვიჭირდება, რადგან, როგორც ირკვევა, ეს „მწვანოსანი" თუ „მოლიდი" ფართოდ ცნობილი ცნება ყოფილა ძველად, როგორც აღმოსავლეთსა, ისე, თუ გნებავთ, დასავლეთშიაც[58]. ვეფხისტყაოსნის ხატები და რეალიები გვხვდება ათასერთ ღამეშიც[59]. აქ არა მარტო „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სახეები და რეალიები დასტურდება, არამედ ნიზამის პოემებისა და იგავების პარალელებიც იკითხება („ბარამ-გურიანი", „საიდუმლოებათა საგანძური").

ასევე, „ხოსროვშირინიანში" ვკითხულობთ სენტენციას:

> მისი სამართლიანობით ქორი დაემოყვრა მწყერს,
> ერთად სვამენ წყალს მგელი და ცხვარი[60].

ეს ხომ იგივეა, რაც რუსთაველის „თხა და მგელი ერთად სძოვდეს" (1664,4). მაგრამ მოდის იგი ნიზამიდან? საეჭვოა, რადგან ეს სენტენცია ფართოდ იყო ცნობილი აღმოსავლეთში, და გორგანელს გამოუყენებია: „ისეთი უშიშროება და მშვიდობა ჩამოაგდო გორგანში, რომ მგლები ცხვრებს მწყემსავდგენ"[61] და ფირდოუსისაც უთქვამს: „ერთად ასმენ წყალს მგელსა და ცხვარს"[62].

ამ წერილის მიზანი „ვეფხისტყაოსნისა" და „ხოსროვშირინიანის" პარალელების აღნუსხვა არაა, ჩვენ მხოლოდ ზოგ მომენტს ვუთითებთ თვითონ ამ პოემის მკითხველთათვის გაცნობის მიზნით. პარალელები არის, არამედ ასეთ ახლოს მდგარი ხალხის პოეტთა ქმნილებებში, არამედ უფრო შორეულ ძეგლებშიც შეიძლება ასეთი პარალელები ვეძიოთ (ჩვენ ზემოთ დავასახელეთ ჯიდეც ე. ბერტელსის ექსკურსი, „ისქანდერ-ნამესა" და რიჩარდ ლომგულზე შექმნილ თქმულებათა პარალელი). არც იმის უარყოფა ჩანს

---

[57] ვეის ო რამინ, გვ. 218.

[58] იხ. ი. ლოლაშვილი, ჰომეროსი, შავთელი, რუსთაველი. მნათობი, 1960 წ., № 2.

[59] „ათასერთი ღამე" „ვეფხისტყაოსნის" შესწავლის თვალსაზრისით შეტად საინტერესოა. იგი ხშირად ადასტურებს, ხსნის და განმარტავს „ვეფხისტყაოსნის" რეალიებსა და პოეტურ სახეებს. აქაც მაგარ ჭკას (ალმასს) ტყვიის გრდემლით ტეხავენ (იხ. ჩვენი წერილი: „მცირე შენიშვნები „ვეფხისტყაოსანზე", მნათობი, 1962 წ., № 8). აქაც ისე, როგორც ავთანდილის ანდერძშია, მიცვალებულთა მონას ანთავისუფლებენ (იხ. რუსული თარგმნის მეორე გამოცემა, ტ. III, გვ. 114); აქაც ვაჭრულად გადაცმული ლადიან ავთანდილივით და „შაჰ-ნამეს" გმირებივით ჰარუნ არრაშიდი, ჯაფარი და მასრური (1, 92; 1,191 და სხვ.); აქაც იციან ისე ტაბილად მღერა, რომ ჩიტები ინაბებიან, როგორც „ხოსროვშირინიანში", „ვეფხისტყაოსანსა" და „ვისრამიანში" (1,294); აქაც ნითელ ვარდებზე მარგალიტებს აფრქვევენ ნარგისთაგან (III, 73); აქაც გვხვდება ცის მნათობთა „ვეფხისტყაოსნისებური" და ნიზამის „ლეილმაჯნუნიანისებური" დახასიათება (1,160; 1,197); აქაც გვანან მოწიფული ტურფები ალვა მორჩს (1,149. 1,227); აქაც ანათებს სანთლივით ბატის კვერცხის ხელა მარგალიტი (1,158) და სხვ.

[60] ხოსროვ ო შირინ, გვ. 181.

[61] ვეის ო რამინ, გვ. 237

[62] შაჰ-ნამე (სპარს. ენაზე), საიუბილეო გამოცემა, ტ. I, გვ. 194.

დამაჯერებელი, ვითომ ავთანდილი და შაფური არ ჰგავდნენ ერთმანეთს[63]. აქ მთავარი ის კი არ არის, იერარქიულად რა პროპორციაა, ერთი მხრივ, ხოსროვსა და შაფურს, და, მეორე მხრივ, ტარიელსა და ავთანდილს შორის, ანდა ვინ უფრო პატიოსანია: ავთანდილი თუ შაფური, არამედ ის ფუნქცია, რომელიც ამ პერსონაჟთ აკისრიათ პოემებში, – ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვერც ტარიელი ეწეოდა ნესტანს და ვერც ხოსროვი – შირინს. განა ნესტანს არა ჰგავს შირინი მაშინ, როდესაც ხოსროვს მოუწოდებს: წადი, ტახტი დაიბრუნე და მერე შეგეყრებიო? განა გაბრაზებული ხოსროვის ბუზღუნში არ გვაგონდება ტარიელის: „ქალი ომსა რაგვარ მანვევს"? ვიმეორებთ, ამით ჩვენ არაფერს არ ვამტკიცებთ, მხოლოდ მათ ნათესაობაზე მივუთითებთ და არა იმაზე, თუ როგორია ეს ნათესაობა. ჩვენ მხოლოდ თავს ვერ ვიკავებთ, არ აღვნიშნოთ, რომ რუსთაველთან პოულობენ პარალელებს ნიზამის მიერ გამოყენებული სენტენციები: „რომელია ვარდი ეკლის სიძნელის გარეშე"[64]. „ექიმი თუმც სხვას უსინჯავს მაჯას, ავად რომ ხდება, სხვას უწვდის ხელს"[65]. „ჯაბან კაცს დედაკაცი სჯობს"[66]. „ჭკუა ცოდნით გვიძღვის წინ"[67]. „ქონებას თუ დადებ, ის შენი მტერია, თუ გასცემ – შენი გზის დარაჯი (შენი დამცველი)"[68] და სხვ.

ვ.ბახერიანინიშნავდა,ნიზამი„ლეილმაჯნუნიანში"აღარუჩივისსიღარიბეს. შეიძლება იმით იყოს ეს გამოწვეული, რომ ჰამდუნიანი საყმაო შემოსავალს აძლევდაო[69]. როგორც განმარტებებში შევნიშნავთ (იხ. განმარტება 561), ნიზამი აქ ლიტერატურულ ხერხს მიმართავს, – გასამრჯელოთი ემაყოფილი არაა. ყურადღებას იქცევს წიგნის შეკვეთის ამბავიც, სადაც ფირდოუსისა და მაჰმუდის გახმაურებული უთანხმოება იხსენიება[70]. ამ თვალსაზრისით „ხოსროვი და შირინი" საყურადღებო ძეგლია, ერთ-ერთი პირველი წყაროა, რომელსაც იგი დაუცავს. ფირდოუსი და მაჰმუდ ღაზნელი 1030 წლამდე უნდა აშლოდნენ ერთმანეთს, „ხოსროვი და შირინი" კი, როგორც ეს ნიზამიმ გვამცნო („გავიდა ხუთას სამოცდაათიდან ექვსი წელი" – იგულისხმება ჰიჯრა), 1181 წელსაა დაწერილი. თუნდაც ას ორმოცდაათი წელი ცოტა როდია, მაგრამ არც ისე ბევრია, რომ ასე ფართოდ ცნობილი ადამიანების შესახებ მხოლოდ ლეგენდები შეთხზულიყო.

ჩანს, „ხოსროვი და შირინი" ერთბაშად არ დაუმთავრებია პოეტს. პოემაში იკითხება თავი (ტოღრული რომ გამოიბარებს), სადაც უკვე პოემაზეა ლაპარაკი, მას უკვე კითხულობენ და გასამრჯელოსაც კი აძლევენ მის ავტორს. ბუნებრივია, ეს თავი მერე აქვს ნიზამის ჩამატებული[71]. ამავე თავში

---

[63] ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1952 წ., გვ. 223.

[64] ხოსროვ ო შირინ, გვ. 349.

[65] იქვე, გვ. 227.

[66] იქვე, გვ. 121.

[67] იქვე, გვ. 214.

[68] იქვე, გვ. 399.

[69] ზოგჯერ მოაქვთ ნიზამის ბაითი: „ჩემი ხელის გარჯითა ვჭამ იკრას, თუ მორჭმული ვარ, ჩემი საკუთარი განძითა ვარ" (ლეილი ვო მაჯნუნ, გვ. 54). საეჭვოა აქ ხელის გარჯათი ნიზამი მის ხელოსნობას გულისხმობდეს, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ.

[70] ხოვროვ ო შირინ, გვ. 13.

[71] სხვანაირად არც იმის ახსნა შეიძლებოდა, რომ თავის „ანდერძი და დასასრული წიგნისა" – შემდეგ კიდევ მოდის ორი თავი.

მეფე ეუბნება ნიზამის: „იმ წიგნში, რომელზედაც წლებით გაგიწევია ჯაფა, რა მოგვეცა გასამრჯელო ძვირფასი თვალისა თუ განძის"[72]. არავითარი უფლება არა გვაქვს, არ დავუჯეროთ ავტორს და არ ვალიაროთ, რომ „ხოსროვი და შირინი" მისი მრავალი წლის შრომის ნაყოფი არაა. ნიზამის პოემები ერთი ხელის დაკვრით დაწერილად არ უნდა ჩავთვალოთ. თვით „ლეილი ვო მაჯნუნი", რომელზედაც ნიზამი ამბობს: ოთხ თვეში დავწერეო (შეიძლება, ოთხი თვე მთლად ზუსტი არ იყოს: ჩანს, ხატოვანმა თქმამ გაიტაცა პოეტი: ოთხ თვეში დავწერე ოთხი ათასი ბაითი და პირობები რომ მქონოდა, ორმოც დღეში დავწერდიო), ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ მთელი პოემა დაიწერა ოთხ თვეში თავიდან ბოლომდე. „ლეილმაჯნუნიანი" – ბევრ ლირიკულ ლექსსა თუ წიაღსვლას შეიცავს. რა თქმა უნდა, ნიზამის მამა, დედა და ბიძა იმ ოთხ თვეში არ გარდაცვლია, მათზე დანერილი ლექსები და სხვა ლექსებიც, რომელთაც „ლეილმაჯნუნიანის" შესავალში ვკითხულობთ, ვფიქრობთ, ადრე ჰქონდა პოეტს შექმნილი და აქ ცნო მათი შეტანა საჭიროდ. ასევე უნდა იქნეს შეფასებული „ისქანდერ-ნამეში" ჩართული წიაღსვლანი. აღმოსავლელ ავტორთა ცნობები თავიანთ თავზე ორმოცი, ორმოცდაათი, ან ვთქვათ, სამოცი წლისა ვარო, რომ იტყვიან, ისედაც რომ იყვნენ სანდო, იმ მხრივაც არ იქნებოდა სარწმუნო, რომ არ გვეცოდინებოდა პოემის დაწერის დროსა აქვს ეს ლირიკული წიაღსვლა დაწერილი თუ ადრე იყო შექმნილი და მერე შეტანილი პოემაში. „ხოსროვშირინიანის", ჩანს, ნიზამი მაინც დიდხანს აწვალებდა. ეტყობა, იგი იქ თავდებოდა, სადაც შირინი თავს იკლავს. შემდეგი თავები ორგანულად არ უკავშირდება პოემას, ზოგი მათგანი ისევ უბრუნდება ხოსროვის ამბებს, უკვე უადგილოდ, და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ვიღაცამ, გააგრძელა თუ განიმეორა, ანუ ნიზამიმვე დაურთო ერთ დროს თავის ადგილზე მყოფი, მაგრამ მერე დაწუნებული თუ ამოგდებული თავები.

„ხოსროვი და შირინი" ისე როგორც ნიზამის სხვა დანარჩენი ოთხი პოემა, საოცრად გავრცელდა აღმოსავლეთში და მრვალი მიბაძვა გამოიწვია. მის მიბაძვათაგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორ ქმნილებას ანიჭებენ: ამირ ხოსროვ დეჰლევის (1253-1325) პოემას „შირინი და ხოსროვი" (1299 წ.)[73] და მის ალიშირ ნავაის (XV ს.) „ფარჰადი და შირინს" (1484 წ.)[74]. დეჰლევის „შირინი და ხოსროვი" ქართულადაც უთარგმნიათ ჩვენს ძველებს[75].

ორიოდე სიტყვა „ხოსროვი და შირინის" ამბაჯო ჭელიძისეული ქართული თარგმანის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ნიზამი ურთულესი პოეტია და, ბუნებრივია, მთარგმნელი ათას სიძნელეს წააწყდებოდა. მისი ზოგი ადგილი სწავლულთ არ ესმით. პოემა ამბაჯო ჭელიძეს თავიდან ბოლომდე უთარგმნია, ესაა მისი ერთ-ერთი დიდი დამსახურება. ამას ასე საგანგებოდ

[72] ხოსროვ ო შირინ, გვ. 454.

[73] მის შესახებ იხ. Г.Ю.Алиев, Легенда о Хосровс и Ширин в литературах народов Востока, стр. 115.

[74] დეჰლევის პოემა სპარსულია, ნავაისა კი ძველ უზბეკურ ანუ ჩაღათაურ ენაზეა დაწერილი. ცნობილია „ხოსროვშირინიანის" თურქული ვერსიანი შეიხისა და ყუთბისა (XIV). იხ. ანანიაშ ზაიონჩკოვსკი, პოემა ირანსკი „ხუსრევ უ შირინ" ვ ვერსიი ოსმანსკო-ტურეცკიე შეიხი (პოლონურ ენაზე). ვარშავა, 1963 წ.; ანანიაშ ზაიონჩკოვსკი, ვერსია ტურეცკა „ხუსრავ უ შირინ „ყუთბა" (პოლონურ ენაზე), ვარშავა, 1958 წ.

[75] იხ. ა. ბარამიძე, ხოსროვშირინიანის ქართული ვერსიები, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1952 წ., გვ. 293. აგრეთვე, მისივე, „ხოსროვ-შირინიანის" ქართული ვერსიებისათვის", „ლიტერატურული ძიებანი", 1943 წ. I, გვ. 59; ნ. გიგაშვილი, ხოსრო დეჰლევის „შირინ ო ხოსროვ" და ქართული „ხოსროვშირინიანი" (ხელნაწერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.)

იმიტომაც აღვნიშნავ, რომ „ხოსროვშირინიანის“ სრული თარგმანი, აზერბაიჯანულს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, საერთოდ, არ გვეგულება. ჯიდეკ მეტს ვიტყვით, განსვენებულ მთარგმნელს სიფრთხილე გამოუჩენია და ქართულად გადმოუღია პოემის გამომცემლის, ვაჰიდ დასთგარდის მიერ არანიზამისეულად მიჩნეული ადგილები. ეს მისი ნაბიჯი ორმხრივადაა გამართლებული: შემდეგმა ჯვლევამ დაადასტურა, რომ ზოგჯერ ეს უკუგდებული სტრიქონები ნიზამის ეკუთვნის და თანაც, ასეც რომ არ იყოს, ნიზამის პოემის ჩამატებებიც იწვევენ ფართო ინტერესს (ასეთ ადგილები წინამდებარე გამოცემაში ჯვადრატულ ფრთხილებშია ჩასმული). ბუნებრივია, ასეთი უპირატესობით სწორედ ქართული თარგმანი სარგებლობდეს, – ჩვენ ხომ სპარსულიდან თარგმნის დიდი ტრადიცია გვაქვს.

რა თქმა უნდა, ეს თარგმანი, ისე როგორც სხვა ენაზე არსებული თარგმანები „ხოსროვი და შირინისა“, ნიზამის გენიას ვერ გვაგრძნობინებს, მისი თარგმნა ხომ თითქმის შეუძლებელია. ძნელია ჯერ გაგება და მერე გადმოცემა. ა. ჭელიძეს განსაკუთრებით უჭირს პოეტის ლირიკული წიაღსვლების, ფილოსოფიური მსჯელობებისა და რთული პოეტური სახეების გახსნა და გადმოცემა. თარგმანს ერთგვარი ნაჩქარეობაც ეტყობა. როგორც ჩანს, მას შესაძლებლობა არ მიეცა, ერთხელ ჯიდეკ გადაეხედა მისთვის, რათა თარგმანი უფრო დაეახლოებინა დედანთან და ქართული ლექსიც უფრო გაერანდა. მაგრამ ასეც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართველი მკითხველისათვის ამ თარგმანს, რომელსაც, ვფიქრობთ, საერთოდ, დიდი შემეცნებითი ღირებულებაც უნდა ჰქონდეს.

ჩვენ თავიდან ბოლომდე, სტრიქონ-სტრიქონ შევუდარეთ თარგმანი ორიგინალს[76] და შიგ ზოგი რამ შევცვალეთ. მკითხველმა რომ იცოდეს, თუ როგორი მასშტაბის იყო ეს რედაქტირება, ვიტყვით, რომ ზოგი ადგილი ხელახლა იქნა თარგმნილი, ზოგისთვის კი საერთოდ არ გვიხლია ხელი. ასეთი ოპერაცია არ უნდა გაგვაკვირდეს, რადგან ნიზამი შეიძლება ერთს ერთნაირად ესმოდეს, მეორეს – სხვანაირად და, ყოველთვის თუ არა, ზოგჯერ შეიძლება ორივე მართალი იყოს. ზოგი სადავო ადგილი თარგმანისა, რომელიც ჩვენ სხვანაირად გვესმის, მაინც დავტოვეთ, რადგან იგრძნობა, რომ მთარგმნელს უნებლიე შეცდომა კი არ მოსდის, არამედ შეგნებულად ასე აქვს გააზრებული.

ახლა იმას ვამბობთ, ვინ იცის, იქნებ მთარგმნელი იყო მართალი და რედაქტორი შეცდა, ნიზამი ურთულესი პოეტია, ხოლო ამბაკო ჭელიძე ფრიად მაშვრალი მთარგმნელი გახლდათ. იქნებ საჭირო იყოს, რომ სპარსული ტექსტის ამა თუ იმ ადგილის ჭელიძისეული გაგებანი, რომელიც ჩვენ უარვყავით, შთამომავლობისათვის შემოინახოს. ამიტომ მისი ხელნაწერი უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის კაბინეტს გადავეცით შესანახად (მანდვე ინახება „ბუსთანის“ ჭელიძისეული თარგმანის ავტოგრაფი).

ჩვენს დროში ნიზამისმცოდნეობას უდიდესი ღვაწლი დასდო ცნობილმა ირანელმა მეცნიერმა ვაჰიდ დასთგარდიმ. მან საუკეთესოდ გამოსცა ნიზამის ნაწერები და მეტად საჭირო და ძვირფასი განმარტებანი

[76] გამოვიყენეთ ორიგინალის ორი რედაქცია: დასთგარდისეული ტექსტის მეორე და ბაქოს გამოცემა. როგორც აღვნიშნავდით, ბაქოს გამოცემაში შეტანილია დასთგარდის მიერ უკუგდებული ზოგი ადგილი, რაც სწორი უნდა იყოს. ასე, მაგალითად, ერთგან ნიზამი ამბობს: მეფემ შაქარი რომ ალირსა ჩემს ენას, ჩვეულებრივი შაქარი და ტკბილეული რად მინდაო. არაფერით არაა საკვირველი, რომ მომდევნო ორი ბაითი, სადაც პოეტი ამბობს: ჩემი ამბავი ჯალატოზის იგავს ჰგავსო, ნიზამის ეკუთვნოდეს (გვ. 791), და სხვ.

დაურთო. ეს განმარტებანი რომ არა, ბევრი ალბათ ვერც შეისწავლიდა ნიზამის. დასთგარდის განმარტებანი გამოუყენებია ამბაჯო ჭელიძესაც. ჩვენც მივმართავდით მას, მაგრამ ყოველთვის არ გაგვიზიარებია იგი, თანაც დასთგარდი ყველა, არასპარსელისთვის გაუგებარ ადგილებსა და უჩვეულო სახეებს, ბუნებრივია, არ განმარტავს და ქართველი მკითხველისთვის მათი კომენტირება ჩვენ ვიდეთ თავს. როგორც ცნობილია, დასთგარდი აგრეთვე არ განმარტავს მის მიერ არანიზამისეულად მიჩნეულ ადგილებს, რაც ცოტა როდია პოემაში და ძირითად ტექსტზე უფრო ადვილად გასაგები არ გახლავთ. მათი განმარტებაც ჩვენია. თავისთავად ზოგი მეტაფორული გამოთქმა თუ ეპითეტი ერთი-ორჯერაა განმარტებული (ნარგიზი – თვალები; მარგალიტი – კბილები და მისთ.) და მერე აღარ. განმეორებას მოვერიდეთ და მკითხველის მეხსიერებას ვენდეთ.

თარგმანის რედაქტირებისას თვალი გვეჭირა პოემის თურქულ ვერსიებსა და აზერბაიჯანულ და რუსულ თარგმანებზე. ეს უკანასკნელნი, სამწუხაროდ, დიდად არ გამოგვდგომია ან იმის გამო, რომ გაურბიან ძნელ ადგილთა გადმოლებას, ანდა მცდარად ესმით ტექსტი. ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, მადლობით მოვიხსენიოთ თურქოლოგი ვ. ჯანგიძე და ირანისტი ჯ. გიუნაშვილი, რომელთაც საყურადღებო მოსაზრებანი მოგვაწოდეს პოემის ზოგი ადგილის გაგებისათვის.

მაგალი თოდუა

ჩოი, უფალო, წყალობისა გააღე ჯარი,
იყავ ნიზამის ჭეშმარიტი გზის წინამძღვარი!
მომეცი გული, რომ სიმართლე ვიტვირთო შენი
და ენა მჭევრი, რომ გადიდო, ვითარცა გშვენის.
შენი წყალობით ამაშორე ფიქრები ცუდი,
არ მომცე ნება, გზა ვარჩიო სავლელად მრუდი!
შინაარსება გამიბრწყინე სხივებით შენით,
მომეც შეძლება, გადიდებდე შენ ჩემი ენით.
დავითის[77*] მსგავსად განმიახლე, უფალო გული[1],
მიჯურთხე ქნარი, შორს ესმოდეთ ხმა ჩემი, თქმული.
და იმ ჰატარძალს, მე ჩემს გულში რომ მყავს აღზრდილი,
მიეცი, ღმერთო, ამა ქვეყნად სიცოცხლე ტკბილი,[2]
რომ მისი ჯითხვით სილამაზე აზრს მიენიჭოს,
მისი სურნელი სურნელება ხალოხის იყოს.
მისმა ნაწერმა კაცს ჩაუდგას თვალში ნათელი,
მისი მოსმენით ტკბინს მიეცეს სისალე მთელი.
იკითხონ იგი და ეფონონ გულთა შვებადა,
დახსნას ჯარები სიძნელისა, ვის რა ებადა.
შენ არ მოაკლო ჩემს ქმნილებას აზრნი და ზმანი.[3]
იგი და ბედი ერთად იყვნენ, ვით ღვიძლი ძმანი.
შაჰისა თვალში მიეც სიტკბო, მეტი სინაზე,
რადგან შირინი ვარქვი მე მას ტკბილის ჯინაზე.[4]
სიოს მობერვით მისი გული შენ გაახარე,
სიუხვის ცვარი – მარგალიტი მას მოახმარე.
რადგან თანა გვაქვს ჩვენ სიუხვე და სათნოება,
გვიბოძე, ჰოი, რა სახითაც მოგეპოვება.

ერთარსების მიმართ

ესი სახელით, ვისით არსმა სახელი ჰპოვა,
ვისით ცა ბრუნავს და მიწაზე სიმშვიდე მოვა.
ღმერთი შემქმნელი, საქებარი შექმნილთა ენის,
ყოვლად უცილო შემოქმედი არსობის ჩვენის.
მეუფე დიდი, ჩვენ ვისთანაც გვმართებს ვედრება.

[77*] უცნობი სახელები და ტერმინები ლექსიკონშია ახსნილი

მას, უდიდესს და უზეშთაესს ვერვინ ედრება.
ზეცის შემქმნელი, ცის მნათობთა აღმანთებელი,
გონების, სიბრძნის უშუალო მასწავლებელი.
აზრის მიმცემი ყოველთავე ფიქრთა მდარეთა,
გამთენებელი ღამეთა და ბნელთა მხარეთა!
შიში, იმედი, ტანჯვა, ლხენა შენ დაამყარე,
შენით შექმნილა სამყაროში თვით მზე და მთვარე.
ზედა და ქვედა სამყაროის შენ ხარ მფარველი,
მოწმე არსისა და ყოველთა არსთა შემცველი.
მისი არსება არსებათა მფლობელი არის,
ყოველ თვალისთვის იგი ნათლის მომფენი არის.
იგი – მთიების გამგებელი უდიადესი,
დედამიწაზე მარგალიტის უხვად დამთესი.
თვალის ხედვაა ფართო ყველა ვიწროდ მხედველთა,[5]
თანამოაზრე, ამხანაგი მარტო მყოფელთა,
ის მეუფეა და, მის სახელს როცა ახსენებ,
პასუხად – „შენ ვერ მიხილავ მე-ს" ვერ გაიგონებ.
მეფე შენთვისა უკეთესი სხვა არ იქნება,
მას თაყვანი ეც, მეუფება მისი იქება!
უდევს საფუძვლად მთელ სამყაროს იმისი ნება,
მას ვერ მისწვდება შენი ფიქრი და ფუჭი ვნება.
იმის საძებნად ზეცის ბანზე ბევრმა იარა,
ბევრი გაცვითეს ფეხსაცმელი და ის ჯი არა
თვითონ იგიცა, ვინაც იყო ქებულნი გონით,
ისე დაიბნა, შავს თეთრისგან ვერ არჩევს, მგონი.
მისი შეცნობა არავისთვის არ ითქმის ძნელად,
მაგრამ ეს საქმე ეჩვენება ჯაცს საჯვირველად.
იგი მან ნახა, ვინც უარყო ხატება თვისი
და პირმანდილი აიხადა ამქვეყნად ვისიც.[6]
არ არის იგი არც გვიანი, არც არის ჩქარი,
ის ჰგიეს ყველგან, იგი ყველგან იყო და არი.
თუ ეძებ მიზანს შენ ყოველგვარ ქმნილებას შორის,
შენ მათ გულში ხარ და ყველა ის თვით შენში არის.
ვარდივით ასგან ხამს გაიხე ამ ქვეყნის ბაღში,
ამ ტკივილისგან უვნებელი ვერ მიხვალ სახლში.
შენ ხომ იქიდან მოხვედი და აქა დარბიხარ,
აქედან წადი, იმავ ადგილს მიმავალი ხარ.
ყველა სასწორი შემოქმედის ღრმად შესასმენი,
რა არის, თუ არ არგუმენტი, გაგებით ჩვენით?

გონების ძალა თუ არის იქ საქმის მოქმედი,
შექმნის მიზეზი ხდება უკვე თვალშესახედი.
შემეცნებისთვის ნუ გსურს მეტი გზის მითითება,
რადგან იქ წინ მთა ან საშიში ჭა დაგიხვდება.
ხომ იცი, იგი არის შენი სალმერთებელი,
სხვის ძიებაზე ამის გამო აიღე ხელი!
ყველა სანთელი, რომლისგანაც სინათლეს ელი,
არის იმისი დიდებისა მღაღადებელი.
ის ხან მიწიდან, როგორც ვარდი, აფერადდება,
ხან ჯი წყალიდან, მსგავსი ჩვენდა დაიხატება.
ჭკუა გვიბოძა, – გავხდეთ მისი შეცნობის ღირსი,
თვალნი აგვიხვნა, – მორიდება რომ გვექნეს მისი.
მან ცხრა ასოთი გამოსახა ზეცისა გული,
ამ მიწის ტახტზე ნახაზებად გამოხატული.[7]
სულის მცენარეს მიაწოდა გულიდან წყალი,
გონებას სხივსა განუმზადებს იმისი თვალი.
ყოველ ნივთს ღმერთმა გაუკეთა საყელო ექვსი,[8]
ქვეყანას – ოთხი მარგალიტი უძვირფასესი.[9]

ამგვარად შექმნა შემოქმედმა პირველი არსი,
თუ როგორ შექმნა, ვერ გაუგებ, არტყია გარსი.
ქვეყნის დასასრულს თვითონ იგი მოიყვანს თავად,
თუ როგორ, – ამას ვერ გაუგებ, ნუ შვრები ავად!
მეფეც რომ იყო, ნუ გგონია, უკვე ხარ ღმერთი,
მეფე ბევრია ქვეყანაზე, უფალი – ერთი.
მისით ისპობა ყოველივე მოსასპობელი,
ის არის მხოლოდ ამ ყოფადის ძალთა მფლობელი.
უხვად გამცემი, ამ სიმდიდრეს რომ არიგებდა,
პირველად იგი ამ სიკეთეს თვით აგროვებდა.
ყოველ სიმდიდრეს მისცა თვისი სახელწოდება
და ის საკუთრად მხოლოდ თავის საქმეს ხმარდება.
მისცა ერთს ნიჭი, რომ სიმდიდრე უხვად გაიღოს.
ერთსაც სიძუნწე, რომ სასტიკი მომჭირნე იყოს.
უხვად გამცემმა ჯი არ იცის, ვით გასცა ისა
და არც მიმღებმა სალაროდან, რომ მიითვისა.
არც ცეცხლმა იცის, რომ ის არის ცხარე და მწველი,
არც წყალმა, რომ ის ბრწყინვალეა, თვალის მომჭრელი.

ღმერთი არავის თანატოლად არ ჩაითვლება,
ყველა მით ჰგიეს, მასში ეჭვი არ შეიძლება.
ვის ძალუძს ქვეყნად მის ბრძანებას არიდოს თავი,

მის სასახლეში მშვიდობაა, თანხმობა, ზავი.
მან შექმნა მიწა და ბეწვიც არ აიღო ფასად,
ქარი აქროლა, მაგრამ თვით რა გამორჩა ქარსა?
დიდება იმ ძალს, რომ საჯვირველ საქმეს აგვარებს
და რომ ამყარებს დიდგონივრულ წესებს ამგვარებს!

მფარველობისა და შემწეობის შესახებ

ვის მოგზაურნი, ეს ამბავი თუ იცი, ჩემო,
რისთვის დარბიან გამალებით მიწის გარშემო?[10]
მათი ღვთაება ამ ტაძარში ნეტა ვინ არი,
რას ესწრაფვიან ამ მხარეში მი-მო-მდინარნი?
რა ჰსურთ მათ, ასე მძიმე საქმეს რომ ეწევიან,
რას დაეძებენ, ამ დიდ ბინას რომ გაქცევიან?
ეს როგორ არის, ვერვინ მითხრა: „გავიგე ეგო!“ –
ერთს ვინ უბრძანა: „იბრუნეო“, მეორეს – „სდექო“.

მოირთო ჯაბით იგი, ქორფა ვარდისა დარი,
თავის სატრფოსაც შემოარტყა წელზე ქამარი.
ეს არის ჩემთვის საჯვირველი, გაუგონარი,
როგორ შევიჯარ ჯერჰთა სახლში მათი ზონარი.[11]
და გაოცება როს გასცილდა საზღვარს და სამანს,
„ჰოი, ნიზამი, – გადმომძახა შემწემან ხმამან, –
ნუ შეშინდები, ემაგ ჯერჰებს სხვა თუ არ აყვა,
თავის თავს თვითონ ხომ არ სცემენ ისინი თაყვანს!
ისინი მუდამ ტრიალებენ ფარგლისა დარად,
თაყვანისმცემელთ დაეძებენ, მაგრამ აწ ჯმარა! –
შენ თავად ძალგიძს ემაგ შენი ხელის სიდიდით,
მაგრად ჩაჯეტო ჯერჰთა სახლის ჯარები ჯლიტით?
ვითა აბრაამ, სიყვარულის ჯერჰს ეამბორე,
ხოლო ეგ სახლი ჯერჰისაგან ჯი განაშორე.[12]
ჯერჰს თუ შეხედავ, იქმნე მისი თაყვანისმცემი,
მიდი, გათელე იგი ფეხით, ისმინე ჩემი!
სუყველაფერსა, რაც თევზიდან მთვარემდე არის[13],
თილისმა იცავს, უფლის მიერ დარაჯად მდგარი.
მას თუ არ გახსნი, მწუხარებას ვეღარ ასცდები!
და თუ გააღებ, იქვე ქვეყნის განძს წააწყდები!

შენი ბუნება არ დაინდო, შანთებით დალე,
სულიც ალაღე, ნეტარების ჯარები აღე!
მბრუნავ ქვეყანას ნუ უცქერი, თვალის მჭრელია, –

იმისი რთული ჯვანძის გახსნა ერთობ ძნელია!
მე სამყაროში წინამძღვარი არავინა მყავს,
გარდა იმისა ვერასა ვცნობ, რაც მე მინახავს.
მცოდნე რომ ვიყო, საიდუმლოს დავძლევდი მისას,
შევიქმნებოდი ზეციურის შემცნობი ხმისა.
მაგრამ იმ მბრუნავ გუმბათიდან ძლიერ შორს ვარ, და[14]
სხვას რას შევნიშნავ, მათი ბრუნვის და ბრწყინვის გარდა.
ცხადია, ბრუნვა რომ უაზროდ არ შეიძლება,
რომ ამ ბრუნვაში არის რაღაც ძლიერი ნება.
მან უწყის, ვინც არს ყოვლის მცოდნე და გამგებელი,
რომ ყოველ მბრუნავს ახლავს მისი მაბრუნებელი.
როგორც თითისტარს ატრიალებს ქალი ბებერი,
ისე არსებობს ქვეყნის ბრუნვის ღერძის დამჭერი!
მაგრამ თითისტარს ბიძგი უნდა, თუ არ იზრუნე,
თუ პირველ შენ არ ააბრუნე, ჯი არ იბრუნებს!
თუ დააბრუნებს თავის ხელით მას ვინმე ბრძენი,
ერთ ხანს იბრუნებს, ასევეა სამყაროს მძვრელიც.
ასევე არის მოწყობილი ქვეყნის ტრიალი,
გაიგებს იგი, ვისაც უჭრის გონების თვალი.
თუ იშვიათი ღვთის მოვლენა ნიჭს არ გაჩუქებს,
შენ ჯადოსნური მოფიქრება აზრს ვერ გიშუქებს.
წარბის მოვარდნით წერილი არ დაიწერება[15],
ფრჩხილში ჩახედვით სამოსი არ შეიკერება.
წადი, ეძიე და იპოვე სათვალე მუქი
და თუ არ ასე, ვერ გინათებს თვით მთვარის შუქი.[16]
ყველა სურათზე, რომელსაც ჯი აქვს სილამაზე,
მისნებმა რჩევა-მკითხაობა დაიწყეს მასზე;
ზოგმა მიჰრაბად გადიხადა ქერის მარცვალი,
ზოგისთვის ჯიდევ ორი ქვაა მისი ნაცვალი.[17]
თვით ამა ქვეყნის გამუდმებით ჩარხის ტრიალით
იგივე ვიცით, რაც იმ ქვით და ქერის მარცვალით.
არ თქვა თუ: ჯაცნი ცის ბურჯთაგან გამოჩნდებიან,
ისე, ვით ბურჯნი ვარსკვლავთაგან გამოჩნდებიან.
განგების ძალას შენი ვალი რომ შეუსრულო,
ეგ შენი ვალი შენის ძალით ხამს შეასრულო,
თუკი ყოფადი შექმნილია წესთა მიზეზით,
ის რა წესია, რომ შექმნილა ყოფადის წესით?
თუკი ყოველთვის წყალი, მიწა, ცეცხლი და ქარი
ერთმანეთ შორის წასვლა-მოსვლის თანახმა არი,

აგრეთვე, სანამ არ იქნება მისი ბრძანება,
ძეს ადამისას ჯაცის სახე არ ემგვანება.
და არა ყველა ღვთისმოყვარე ღვთისმოყვარეა,
ის, ვინც თავისთვის ყიბლას შეიქმს, თვისმოყვარეა.
თავის თავისგან განდგომაა ღვთისმოყვარება,
არ უნდა იმას დღე და ღამით სხვის მოჯარება.
ღმერთი მორჩილად თვის წინაშე იმას დასახავს,
ვინაც ღვთის გზაზე თავის თავსა არ დაინახავს.
ნიზამი! ჯამსა შეერთების შენ დაცლი მაშინ,
როცა თავისთავს დაივიწყებ, შერწყმული მასში.[18]

შენდობისათვის

Უფალო, როცა თიხა ჩვენი შენ შეაზავე,
დაწერე ჩვენზე წიგნი მტკიცე და საესავე.
როდესაც ჩვენი სამსახური თვით შეგვასმინე,
სავალდებულო აღთქმა ჩვენთვის დაგვადებინე.
თუმცა სუსტნი ვართ, შეგისრულოთ ჰირობა ძნელი,
მაგრამ ვეცდებით შენს სამსახურს, თუ შევიძელით.
შენ რომ გულუხვად მოწყალების გაცემად იცლი,
ამდენ უძლურებს სიუხვის ხელს გაუწვდი, ვიცი.
მაგგვარ იმედით, მრავალ ტოტად რომ გახლართულა,
შენმა სიქველემ ჩვენ ზედმეტად გაგვადიდგულა.
და ეს რომ არა, ჩვენ ვინა ვართ, შენ ჯიდევ ვინა,
რომ შენს ბრძანებას გადავიდეთ, გეურჩოთ გინა?
მოგვეცი ნება, რომ თვით ჩვენს თავს ჩვენ გავეცალოთ,
რათა შენდამი სამსახურით ჩვენ შეგვიწყალო.
საკუთარ თავის არ შეგვფერის ჩვენ სამსახური
და შადრევანი დიდებისა არის სასური.
თუ მორჩილება არ არს ჩვენი ყურადსაღები,
თვით მორჩილთათვის საჭიროა და მისაღები.
რადგანაც შენით ყველა ჩვენგანს გზა მოეძევა,
შენსა ბრძანებას ვინ შემართოს თავის დაღწევა!
ერთ მუჭა მიწის თუ იქნები შენ ჯმაყოფილი,
შენ არა გავნოს, ჩვენ ჯი გვერგოს ნაყოფი ტკბილი!
იმ დროს, როდესაც ჩვენ გვიხდება ცრემლის მოდენა,
შენს წყალობიდან ნუ მოგვაკლებ ბეწვისოდენას!
შენი სიუხვით მოგვიტევე ცოდვები ერთობ,
მოწყალე თვალით გადმოგვხედე, მაღალო ღმერთო!

მიწა ვარ, ტვინი ჩემი შენი მარცვალი არის,
ეს ჩემი გული შენს სანთელზე დამწვარი არის.

შენ ხარ, პირველად მიწისაგან შემქმენი ვინაც,
სხვა ქმნილებებზე უფრო ვინაც გამომაჩინა.
თუ განმინათლე სახის არე, თვალებიც ბარემ
შენ განმინათლე; თუ მოწყალე, მადლობით მარე.
მომე მოთმენა, ჭირში ვიყო გამძლე და მთმენი,
მაგრამ ლხინშიაც არ დამტოვო მესავი შენი!
შენ გამაცანი შენს გულისთქმას და შენსა ნებას,
ჩემი სიმდაბლის რიდის ახსნის მომეცი ნება.
ჩემს საიდუმლო დარიგებას ფრთებს ნუ შეაჭრი,
რაც პირველ მომეც შენი ნებით, მას ნუღარ წამგვრი.
დანაშაული მე უსაზღვრო ჯი ჩავიდინე,
მაგრამ ეს ყდემა შენ მფარველად აღმომიჩინე.
ყველა შეცდომა, ჩემს ნათქვამში რაც გაერია,
შენ გამიხაზე, ვიცი, იგი ერთობ ბევრია.
სამოცდათორმეტნაირი მაქვს გზა წასავალი,
ერთზე ვარდია, დანარჩენზე არის ეჯალი.[19]
მიეც ჩემს რწმენას იმ ემარით გზა წასასვლელი,
ის გზა, რომელიც არის სულის გამოსახსნელი.
ყოველ ნახატში, რაც ჯი ვიცით, მე შენა გძებნი,
შენ მიზანი ხარ, ყოველ ხმაზე გიხმობთ შენ ებნით.
თავბრუ დამეხვა, შენც ვერ მოგწვდი და ყოველ ჟამსა
ყოველ უღირსსა და ღირსეულს ვუყრავ მე ტაშსა.
შენს სამსახურად გავდგი ფეხი გზაზე სავალად,
თუ უაზრო გზას ვადგივარ მე, ამიხსენ ჯვალად!
ქააბის მიმართ მიისწრაფვის დღეს ჩემი გული,
არ ვიცი, იქნებ უდაბნოში დავლიო სული.
ავი და ჯარგი, რაც ჯი მასში მოიძებნება,
შენით შექმნილა, დანარჩენი არის ცთუნება.
ზოგს შენ მოსტეხე ფეხი და მით დაიმორჩილე,
ზოგს ფრთები მიეც გასაფრენად და მოიცილე.
აწ აღარ ვიცი, მე საბრალო ვინა ვარ, რა ვარ,
ბედნიერი ვარ, თუ ბედშავი. და ასე დავალ!
მე მორწმუნე ვარ, თუ ვარ ჯერჰთა თაყვანისმცემი,
შემინდე ყველა, მაპატიე ცოდვები ჩემი!
ჩემი ღირსება-უღირსობა ღირსებით საჯე,
შენ რომ ვერ გგავდე, ნუ მიმძიმებ ამისთვის სასჯელს.
ჩემს მოქმედებას შესწევს განა ძალი იმდენი,

რომ მან დაყანთროს ეგ სიმართლის სასწორი შენი!
ჩემს ნაქნარს შენი მოწყალება ალემატება,
თუ დამიყვავებ თავის ადგილს იგი იქნება.
შენ გემსახურო, – ხალისი და მომეცი ძალი,
არ მსურს შენს იქით ვინმე მყავდეს ნადიმის ცალი.
ვითაც მქონე ვარ ყოფილის თუ არა ყოფილის,
ისეთი გავხდე, ჩემით იყო შენ ქმაყოფილი.
მომეც სიმშვიდე-მოსვენება ქვეყნის საქმისგან,
შენგან მოველი საქმეს მხოლოდ, სხვა არავისგან!
ნუ დამაჯისრებ იმდენ საქმეს, რაც მებევრება,
დამადე ტვირთი, რაც ჩემს ღონეს შეეფერება.
შენი წყალობის უხვი სხივი მიეც ჩემს სანთელს,
ნუ მომიშორებ, შორიახლო მამყოფე სადმე.
შენ გამიღვიძე გული ჩემი ესოდენ მთვრალი,
გამომაფხიზლე, ამიხილე, უფალო, თვალი!
შენ დამაძინე, დაძინების დრო როცა მოვა,
დე, დაჭანეს ვარდი, – ვარდის წყალმა სიცოცხლე ჰბოვა.[20]
მიმართე ჩემი ენის ძალა ისე ამჯერად,
რომ ჩემი საქმე დავასრულო მე ბედნიერად.
მიეცი ჩემს ტანს ამ სიცოცხლის ქმაყოფილება,
მთელ ჩემს არსებას ზომიერი ღვთის მორჩილება.
შენი ბრძანებით თუ გსურს მიმცე ბედის განგებას,
გთხოვ, მიმანებო შემოქმედის უდიდეს ნებას!
ჩემ დატანჯულ სულს შენ მიეცი წამალი ჯაფის,
რომ ის წამალი ფეხის მტვერი იყოს მუსტაფის.

ქება წინასწარმეტყველისა

ალჰამედს, ვინაც არის მთელი ქვეყნის დიდება,
იმის წმიდა სულს მიევლინოს ათასთა ქება!
თვალის ახელა ხალხისათვის ვისაც ენება[21],
იგია თვითონ შემოქმედის ტახტის მშვენება.
ის – ერთგულების მოედანზე სარდლის სადარი,
წინასწარმეტყველთ ლაშქრის თავი, მათი სარდალი;
ცუდთა საქმეთა აღმნუსხავი მრუდედ მავალთა,
გამსწორებელი ნახდენილთა საქმეთ მრავალთა;
სურნელთ მიმცემი განთიადის ტურფა ბაღების,
უფლის სალაროს კლიტე იგი და გასაღები.
ობლებს ალერსით ექცეოდა, მათთვის იწვოდა,

და აჲი ობოლ მარგალიტად მიტომ იწოდა.[22]
შიდაბუნებად მას გარდაქმნას ჯაცთა უთვლიან,
გარეგნულად ჲი ქვეყნის თვალის გახლავთ თუთია.[23]
უფლის ჯანონის დარბაზს მისცა მან ოთხი ზღვარი,
ოთხი მარადი, ურღვეველი ჯედლისაგვარი.[24]
ხმა აღიმაღლა უფლის ნებით სამოციქულო,
გონიერება, ის რომ იცავს, მიტომ დიდგულობს.
დღეს შარიათი მისით არის ფუძედებული
სხვა ჯანონები მის მიერ არს გაუქმებული.
ის მამაცია, მოწყალე და ლომივით მალი
ენა იმისი ხან ჴლიტეა, ხან – მჭრელი ხმალი.
აიაზია რჩეულთაგან გამორჩეული,
ბედნიერებით მაჰმუდობას არს მიღწეული.[25]
ღმერთმა მახვილი მისცა იმას ხელში საჭერად,
რომ შეძლოს რჯინით მან სურათის ქვაზე დაწერა.
თვისი მზრახველნი დაასუსტა და შეარცხვინა,
ამქვეყნად გულქვებს გულით ჯვნესა დააწყებინა.
ის, როგორც ვარდი, მეგობრების აბრუთი ლაღობს,
ის, როგორც სარო, აღმართულა მდინარის ახლო.
ცას ანგელოზნი მისცა, ამცნო მათ მოლის ცმევა.[26]
ჩალმამ იმისამ ქარს ასწავლა მუშჯ-ამბრის ჴმევა.
თავის სამხედრო საჰატიო ჯარზე მსახურად
ხუთის მაგიერ ოთხი ჯერი დაადასტურა.[27]
მეცხრე ცის ტახტზე არის მისი გვირგვინი თავად,
დგას ანგელოზი გაბრიელი მის დასაცავად.
ამოიყვანა ჭიდან მაჰდი, აუშვა ცადა,
მიწისგან შექმნა ავი სული, ჯაცივით სადა.[28]

მოყვარეა და ამხანაგი უფლისა ჯარის,
მისი სასახლის ერთგული და მომვლელი არის.
ტანჯვა-სიმშვიდე აირჩია მთასა და ღრეში,
გველებისა და ხვლიკებს შორის იყო ამ დღეში.
ზოგჯერ ჯბილებზე როყიო ქვებს არტყამდა აქით,
ზოგჯერ ჲი იქით იმავე ქვებს ჯოცნიდა ბაგით.
ჯბილი და ბაგე, ქვას რომ ასე შეეწყო მაშინ,
დღეს მიტომ ბუდობს მარგალიტი და ლალი ქვაში.[29]
... იძინებს[30] თვალი, ხოლო გულს ჲი არ სძინავს, ფეთქავს,
ენა იმისი ხალხს უამბობს, რაც უნდა ეთქვა.
ჩემს მწყურვალ ტუჩებს აქვთ სასტიკი სურვილი მისი,
იგია ჩემი პირისწყალი, მე – მონად ღირსი.

შენს სამსახურში ზოგჯერ მრუდედ ვიყავ მავალი,
რა მეშველება, ცოდვა მაძევს, ცოდვა მრავალი!
როგორც ჯერია, მარხულობას დავიცავ წმიდას,
ეს ერთი თხოვნა შეუსრულე სარგოდ ამ მინას.
აღმართე ხელი სალოცავი ჩემდა საშველად,
სადაც რიგია – ჟამიერად და უეჭველად.
ის საღმრთო საქმე თვით ნიზამის შენ აუხსენი,
ურწმუნოების ზონარი შენ მის წელს შეხსენი!
გული სიმშვიდის სალაროში შენ შეუყვანე,
რაც საშველია, შენ იმისი საშველი ბრძანე!
ჩემი ცოდვები აზიდული მთასავით როა,
ეგ შენი უხვი წყალობის ზღვა უნაპირო.
მიუტევები მის სულს ბოლოს შენ მიუტევე,
ღვთის გულისათვის მიუტევე ერთხელ ისევე!

ამ წიგნის დაწერის შესახებ

როცა ამალა ვარსკვლავების გამოეფინა,
საბედნიერო პირი ქვეყნად გამოაჩინა.
ხალიფამ სისხამ განთიადის სხივი გაშალა,
ქვეყნის სითეთრე მან სიშავეს გამოაცალა.
ქვეყნიერებას სულთნის ქოლგა აფარა ჩრდილად,
წესით ეს ქოლგა მხოლოდ სულთანს რგებია წილად.
გამოიტანეს ფრინველებმა დოლი ხმატბილი,
განთიადამდე მოაყოლეს ხუთჯერ ყივილი![31]
იმ მოძრავ ტახტზე წამომჯდარი ჯემშიდის ჯამით,
სულთანისაებრ ამოვიდა მზე სითამამით.
შვიდთა ფახფურთა სასახლიდან გამოიხედეს[32],
სიტყვა ახალი მათ საქვეყნოდ გამოაცხადეს.
ლექსის თაყანშას ამა ქვეყნად მიეცა ძალი,
ყარახანმა ჯი საწერ-ჯალამს გადასცა ხმალი.[33]
არ მიძინია ღამე, ღამე თუმცა მეჭირა,
მახვილის ნაცვლად მე ჯალამი ხელში მეჭირა.
ამნაირ გულით რომელ ჯარში გამოსვლა ვცადო,
რომელ საგანძურს ჩემი ნებით თავი ავხადო?
როგორ მოვიქცე, რომ მიეცეს ფასი ჩემს ენას?
ან რა ვიღონო, მთელ ქვეყანას ვუტაბობდე სმენას?
ქვეყნიერებამ შემომხედა სახის აღგზნებით,
ათასი ჯოცნა მიძღვნა დიდი სიამოვნებით.

მერე მახარა: „თავს დააღწევ ალბათ მარწუხებს,
გამოგიჭედეს გასაღები, ეს ნუ გაწუხებს.
ასე მიბრძანა ამქვეყნიურ შაჰინშამ თვითონ:
ახალი ტრფობა მოიტანე ამა ქვეყნიდან!
გრძნობის მქონენი, დაიხოცნენ, – თორემ საცაა,
უცეცხლობისგან გაითოშნენ, შველა არცაა.
შენ ხომ სამყაროს შენი ხანჯლის ჰირითა ბასრით
თავზე არსობის თმა მოკვეცე, გაუგე აზრი.
შენ ოტარიდის ჯალამი ხომ ლურსმად გახადე
და ზოჰრას ტანზე აბრეშუმის ჯაბა გახადე.[34]
იესოსავით სულს შეგნება მიეცი მთელი[35],
ვით მოსემ ტრფობას, შენ აღუნთე წმინდა სანთელი!
შენი ფირუზის ბეჭდით უნდა დამტკიცდეს ყველა.
ჩვენ სოლომონის ბეჭდით უნდა მივიღოთ შველა.[36]
ჩვენ ჯარგად ვიცით შენი ფასი, გადიდებთ ყიდეც,
ვინძლო შენც ღვაწლი დაგვიფარო, ჩვენც ნაყოფს ვმკიდეთ.
თუ შენთან ერთად შეთანხმებას ვერ მოვახერხებთ.
ფირდოუსივით – შენგან ჯილდოს უკან მივიღებთ,[37] –
ძალგიძს, ყინულის ბეჭედი რომ ოქროს დაასო,
ჩათვალო იგი მცირედ – მხოლოდ ლუდის საფასოდ.
და ვით ბედნიერს, თუ სიმდიდრის გაქვს მისწრაფება,
მაგ შენს სიხარბეს მოაშორე ეს ბრმა შეგნება!“

რომ ნახა გულმა, ბედი მისი მომხრე ყოფილა,
თვით ბედის გამო ალერსით ბედს მიეძმობილა,
მეგობრის დროა, მეგობრობა შენც მოიწადე,
მასზე მე ვწუხვარ, მწუხარება შენც განიცადე!
ჩემზე ძლიერმა პოეტებმა ესე თქვენს წინათ,
მეფის შეწევნით ბევრმა ლალი გამოაბრწყინა.
ბედით ისინი დაჩაგრულად არ ჩაითვლება,
ნამდვილი ლალი უალმასოდ არ გაითლება.
ლექსების ფასი ულაზათოდ არ თქმულა არსად,
ლექსი სიტურფით თუ ეწევა სიმაღლით ცასა.
მე ამ ქვეყნიდან მყუდრო კუთხე თვით მოვიძიე,
წამოვიმძღვანე ქერის ფქვილი და გზად გავწიე.
ვითარცა გველი, განძის თავზე მორთხმული ვზივარ[38],
ღამით ღამემდე მხოლოდ ლუკმაპურის ფიქრში ვარ.
ფუტკარიც არის ვიწრო სკაში გამომწყვდეული,
მაგრამ მას სკაში ათასგვარი აქვს ტკბილეული.
მეფის შეწევნით ნურვინ იტყვის, ხელმოკლედ ვართო,

თუ გულუხვობა დავიწროვდა, გზა სხვაც არს ფართო!
თუ მსურს, ფრინველი სარკმელიდან ფრენით შემოვა,
თევზიც გახეთქავს მიწას, – ისიც ზევით ამოვა.
იმ სიმდიდრიდან არაფერი თუ არ მერგება,
სხვის ნყალობისკენ არ მაქვს მაინც მე მისწრაფება.
ბევრი მოქმედის საქმე ბრწყინავს მთავარზე მეტად,
დიდებთულთა სვედ და აგრეთვე თვით შაჰის ბედად.
ამ ქვეყანაზე თუ დოვლათი არა მაქვს დიდი,
რაც მაქვს, მითიც ვარ ყმაყოფილი, გული მაქვს მშვიდი.

სადიდებლად ტოღრულ-არსლანისა

ჩვენი სულთანი თვით ჭაბუკი, ჭაბუკი ბედით,
იყოს ბედნიერ მარად ჟამსა, რა გვინდა მეტი!
მნათობი ტახტის და სამყაროს გონების თვალი,
მფლობელი ქვეყნის და ცხოვრების დიდი უფალი,
თავშესაფარი მეფეთა, თვით მეფე ტოღრული,
მეუფე ქვეყნის და სულთანი – სწორი მსაჯული,
მეფე ტოღრული ქვეყნის არსთა მწე-მქონებელი,
ცად და ქვეყნისა, თვით ზღვასავით უხვი და ქველი.
როცა სულთანად გვირგვინს და ტახტს დაუკავშირდა,
იგი არსლანის მაგიერად ტახტზე ავიდა.
მე ამ სალაროს საგანძურის გავაღე კარი,
და ამ შენობის საფუძველი მაშინ შევკარი.
კურთხეულ იყოს ამ დროს ჩემი მხატვრობის ბედი:
ზეცამ თქვა: „იყოს კურთხეულ"! – და ვარ მეც ასეთი.
ასეთი არის ამ ნახატის ბედის განგება,
როგორც მის მხატვარს, მე კეთილად გამომადგება.
ბედის ვარსკვლავი სულთნისა, ცით რომ გამოჩნდება,
სულთანი ქვეყნის დამფყრობელი მაშინ გახდება.

ამგვარი საქმე რომ ეჩვენა გულს მომხიბლველად,
მცირე ხნის მოცდა გახდა მისთვის შესაძლებელად:
ეს დაყოვნება იმით იყო გამოწვეული,
რომ თავად შაჰი ომში იყო საქმეს ჩვეული.
ჰაბაშის თმები მან ამ ომში თამყაჯს მოაბას,
თერაზე, შუშტარი მან აგრეთვე თვით ჩაჯს მოაბას[39]
ქოლგის მაგიერ ანყას ფრთები აქვს დახურული,[40]
გვირგვინი ოქროს ვარსკვლავებით აქვს მას მორთული.
მისი დიდების ქოლგის ჩრდილი ქვეყანას ბურავს,

თვით ჯეიჰუნის გადახტომა ძალუძს მის ქურანს,
შვიდსა ქვეყანას ის გაიხდის ქალამნად თვისა,
თავს ეხურება მას გვირგვინი თვით მეცხრე ცისა.
ხან ჩინეთიდან მეფემ ხარჯი გამოუგზავნოს,
ხან ჯეისარმა მას გიზია გამოუგზავნოს.
მადლობა უფალს, რომ ვერას დროს იმის ღირსებას,
სეფანდის გარდა, ავი თვალი ვერ შეეხება.
მე დედაჩემის მიერა ვარ სეფანდნაკმევი,
განთიადის ჟამს მე იმის ბოლს ბევრჯერ გავყევი.
რადგანაც იგი დააყენებს თუ სურნელს ამოს,
სურვილი ჩემიც შესრულდება ჩქარა მის გამო.
იმ სიტყვისათვის მარგალიტად მიმობნეული,
სულია ქვეყნის და აგრეთვე სამყარო სულის.
ათაბეგს უთხარ: „ჰოი, ქვეყნის მპყრობელო დიდო!
ნიზამი ასჯერ დამნაშავე ყოფილა თვითონ!
დრო არ მოვიდა, აწი იგი რომ გავახაროთ
და ხელმოცარულს რამე საქმე რომ მოვუგვაროთ?
იმ დამწუხრებულს ავუხილოთ თვალები ფართოდ,
ჩვენ მისი წარბის მოჭმუხვნილის მონმენი ვართო.
სეთიმ, მეჰსეთიმ თუ დაწერეს რამე ღაზელი,
უმაგალითო და ჯერ უთქმელ ჯილდოს აძლევენ.
თუ იმის საქმეს ჩვენი ჰური გამოადგება,
ერთი მარცვალი იმისგან ჩვენ არ დაგვაკლდება.
ჩვენს სამფლობელოს თუ მაგარი აქვს საფუძველი,
რა იქნება, თუ აშენდება ერთი სოფელიც?
ჯუთხეში სანამ უნდა იყოს ასეთი მთქმელი?
სიტყვის დიდ ოსტატს სანამ უნდა აკლდეს საჭმელი?
იმიტომ არის მზე მნათობი მდიდარი მუდამ,
რომ მას სხვისათვის სინათლე და სიკეთე უნდა.
ღრუბლის სიუხვემ მით მოიცვა ქვეყანა მთელად,
რომ ქორფა ბალახს მიაწოდა რძე შესასმელად.
მთელი სიცოცხლე ის ფრინველი ტკბილმოუბარი
ჩვენი ხსენებით არის იგი დღეს გულ-დამწვარი.
ჩვენი მარნიდან არ შეუსვამს მას ღვინო ჯამით,
ჩვენს სახსენებელს ახსენებს ის მაინც სიამით.
მოსარჩლე – ჩემებრ ხამს, მისაებრ კი – სამსახური.
შენ – ქაიხოსრო ან რითი ხარ ჩემზე უძლური!"[41]

ნიზამი, რაა ამაყური სახით შეხედვა?..
ქვეყნად დოვლათთან რომ იხმარე ამაყი სიტყვა?..

მეუფე, ვისაც ფაღფური, ან დიდი ხაყანი,
ასნაირ მიზეზს ეძებს, შორის რომ სცენ თაყვანი.
თავს რით იმართლებ, ჰოი, მიწავ და უმიწესო,
რომ გითქვამს სიტყვა საშიშარი ეგრე უწესო!
არ იცი განა, რომ ის არის ამქვეყნად ერთი,
ვითარცა ცაში ერთი სუფევს უფალი ღმერთი.
მის ჯართან, ვინაც მაღალია, ის ქვეშე გდია
და თავმდაბალი ვინც გგონია, თავხედობს დია.
შენ არ გინახავს, ელვა-მეხი რომ დასწვავს რჯინას?
ბებრის ლამჰარი ანთებული თუ როგორ ბრწყინავს?
ასე, მდინარე რომლის ღელვა საშინელია,
ვარდის მომრწყველი, მაგრამ ბაღის დამღუპველია.
სოლომონ მეფე მასთან ერთად დაიარება,
იმას ხან თევზი, ხანაც მთვარე ესაუბრება.[42]
ოქროსმდნობელთა ანგარიშებს აჯეთებს ვინცა,
იცის, რამდენი დასჭირდება ქურაზე მიწაც.

უფალო, სანამ ეს ქვეყანა ლამაზი არი,
სანამდის ზეცა მბრუნავია და მიწა – მყარი,
ქვეყანა მისთვის საგანგებოდ ბედნიერ ჰყავი,
მიწის დამჰყრობელს არ დამართოს ზეცამ რამ ავი!
აჩუქე იმას სიჭაბუკე და ჯარგი ბედი,
სუყველაფერზე მას სიცოცხლე მიეცი მეტი!
ნუ იქმ, ქვეყანას სიახლოვე მისი გაშორდეს,
ნუ იქმ, მის გვირგვინს რომ სინათლის სხივი გაშორდეს!
მიეცი უხვად ამ ქვეყანას სიკეთე მისით,
უდიდე ქოლგა, ცაზე მაღლა აღმართვის ღირსი.
მარადიული უნდა იყოს იმისი სული,
რომ მის ფუძეზე მას სიცოცხლე ჰქონდეს აღთქმული.

სადიდებლად უდიდეს ათაბეგ შამს ედ-დინ აბუ ხაფარ მოჰამედ ბენ იასლდიგეზისა

საბედნიეროდ და მარადის გასამარჯვებლად,
აღვავლენ სიტყვას მის საქებრად და სადიდებლად.
მის შესამკობად მაქვს ჯალამი მე დაჭერილი,
შაჰის სახელზე შევადგინე მე ეს წერილი.
ქვეყნის მეფეთა ბელადია და წინამძღვარი,
ვით წარბი თანაც წყვილია და თან ერთი არი.
მეფე დიდი და ათაბეგი სამართლიანი,

მან მოსპო ქვეყნად უსამართლო ტანჯვა მთლიანი.
აბუ ჯაფარი მოჰამედი ჰატიოსანი,
როგორც მაჰმუდმა, სურს დაიპყროს მან ხორასანი.
ქვეყნის დამპყრობი, მთლად სამყაროს მანათობელი,
ყველგან ერთობის შემქმნელი და წარმომშობელი.
დიდსა და მცირეს იმისგან აქვს მზისა ნათელი,
შამს ედ-დინია ამიტომაც მისი სახელი.[43]
როგორც მზე, სხივებს ცის მნათობებს აძლევს უცილოდ,
ის გვაძლევს სვე-ბედს ავი თვალი ჩამოვაცილოთ.
იმ სიუხვისთვის, რომელიც მათ ხალხს მიაწოდეს,
ორს ჰიროვნებას მოჰამედი ერთად უწოდეს:
ერთი მოციქულს (მოციქული არ იყოს მეტი!),
ერთი მეფედ ზის, რომ განაგოს ამ ქვეყნის ბედი.
ერთი არაბთა ვარსკვლავია და თანაც მთვარე,
მეორე სპარსთა მფლობელია, ტახტზე მჯდომარე.
ერთმა ავისგან განაშორა სარწმუნოება,
მეორემ მხარეს მიანიჭა ტკბილი ცხოვრება.
ვაშა იმ სახელს, ვინც წარმოშვა წყარო ნექტარად,
მისცა სამყაროს ორი მანი ყურში საყარად.
ჯიბრით სამყარო იმის გამო გაიყო შუა,
მას ორი მანი აქვს, სამყაროს ის ერთი თუ აქვს.[44]
თურქებს ქალაქზე დაუწერლად ეკუთვნის იგი,
მას ერთი მანი ძალას აძლევს მეორე – გვირგვინს.
მიმნიჭებელი გირგვინისა თვით სხივოსანი,
რწმენის შემწე, ვის აქვს სახელი გვირგვინოსანის.
მას როცა უნდა გულუხვობით გაგვიხსნას ლარი,
თვითონ არარატს გადაუვლის წყალობის ღვარი.
ზეცა ვერავის დააყენებს იმაზე ზევით,
ის თვითონ არის სხვის დამქცევი და სხვის აღმზევი.
თვით ოკეანეც, მას რომ უმზერს, სირცხვილით იწვის,
მის სიუხვესთან შედარებით წვეთია, იცის.
დაუმადლებლად ვით ზღვა გვაძლევს მარგალიტს უხვად,
ვითარცა ქანმა, ჯაცთ ძვირფასი თვლის ჯარნი უხვნა![45]
მისი მახვილის წვიმა არის რკინის ღრუბელი,
შვიდი სამეფოს ყლიტე არის იმ ხმლის სახელი.
ექვსი ჯარავი აქვს სამეფო მას გამზადილი,
ცხრა ცას საყურე აქვს მონობის ყურში გაყრილი.[46]
ქვეყანა იმას დედისგვარად ეალერსება,
როგორც გაზაფხულს, აქვს სიუხვის დიდი ღირსება.

და ყველაფერი, რაც ეთერის გარეთაც ხდება,
მან ჯარგად იცის, ის ყველაფერს სწვდება და ხვდება.
რა სიბრძნე გინდათ, რომ მას გულში ის არა ჰქონდეს!
რა ბედი გინდათ, რომ მას იგი არ აუსრულდეს?
ძალით და ღონით არის იგი ვითარცა ლომი,
მაგრამ სად ლომი და სად იგი, თუ ატყდა ომი!
ლომია, მაგრამ ხალხი არ ძრწის ამ ლომის შიშით,
მშვიდობა სუფევს მის სამწყსოში, არ ისმის ვიში.
იმისი შუბი ბალანსაც ჯი გააპობს შუა,
ბეწვს ამოაცლის, თვალი ბეწვის მხედველი თუა.[47]
მისი მაკრატლის მოძრაობით რაც იჭრებოდა,
როგორც ლურსმანზე, მტერი იმის წვერზე რჩებოდა.
ყოველი ხმალი თუ ბუდიდან ამოძვრებოდა,
შეუბრალებლად მტრების სისხლით გაისვრებოდა.
მის ქურან ცხენმა თავისებურ მეტი სიჩქარით
ცის შვიდ მოედნის გადალახა მთელი საზღვარი.
ეს დედამიწა იმას დაჰყავს ალვირით ხელში,
ვითა ჯამეჩი შებმულია იმის უღელში.
თხემი მთვარემდე აღუმაღლდა, ზეცამდე – ქუდი,
გვირგვინოსანიც, ვაშა მეფევ, ასეთი უნდა!
მთელი ქვეყანა დაიპყრო მან ფხიზელ გონებით,
ამგვარად არის იგი მუდამ ღვთის ჩაგონებით.
შავი და თეთრი რაც არსებობს ან უფალს დაჰყავს,
შემოქმედისგან გაჩენილი იმას სცემს თაყვანს.
ჯავშანჩაცმული მეომარი ზღვაა მღელვარი,
მტრის წინააღმდეგ მიდის სწორედ, როგორც ისარი.
მომხრეთა მისთა, მთისებრ მაგარ რაინის ხელებით,
მის მოშურნეთა ჩასაქოლად აიღეს ქვები.
მტერი ამაოდ იღლის ენას. ამ ენით ისა
ვითა მაგნიტი მიიზიდავს შუბსა და ისარს.

[შენ ხარ მემკვიდრე, ჰოი, შაჰო, ამ ადგილების,
შენი მემკვიდრე არიან დღეს შენი შვილებიც.
უნდა ჰყვაოდეს მარად შენთვის ეს ყვავილნარი,
მეფის შვილები შენი თვალის სინათლე არი.
როდესაც შენი ქცევა ნახა ამ ქვეყნის ღირსად,
მემკვიდრეობა ქვეყნისა მან შექმნა ზეცისად].
ნუ მოექცევი მოსისხლე მტერს შენ დაუდევრად,

არ დაიჩინოს, ურჩევნია ხელმწიფეს ბევრად.
იალდიგეზმა, ვინაც იყოს ქვეყნის მპყრობელი,
შვიდი სამეფოს სალოცავად ალმართა ხელი.
ორი ქვეყანა ერთ სიცოცხლეს მან ჩააბარა,[48]
რადგან შენ ცოცხლობ, ის არ ითქმის მოკვდაო, არას
ქვეყნის სიცოცხლეს განაგებს ეს ბედით მორჭმული.
უეჭველია, იგი არის ამ ქვეყნის სული.
ის ერთადერთი ჰყავს ქვეყანას, მას შემზერს ერი,
ნუმც დაჯარგვია თავზე ბეწვიც, თუმც ერთი ღერი
არა ჰყოლია დედას შვილი ჯერ ამისთანა,
აბესინიით ჩინეთამდე მას აქვს ქვეყანა.
და მან ერაყში ლალის ღვინო ჩაისხა ჯამში,
ჩავარდა მისი შიშის რისხვა რუმსა და შამში.
ქრისტიანების რჯინის ჯვარი მის მტერთა თავზე
მან როგორც ცვილი, ისე ღეჭა, ჯან-ღონით სავსემ.
შავ ბიზანტიელს, რომელმაც თურქს გაუსწრო ბევრად,
თავს ინდოური მახვილი ჰჯრა იმან ჰინდურად.[49]
მას სანადიროდ აქვს აბხაზი და თვით დერბენდი,
საბრძოლველად ჯი აქვს ხორეზმი და სამარყანდი.
და სხვამ განჯიდან ხუზისტანი დაიპყრო ვინა?
ისფაჰანიდან ომანამდე ვის უდევს ბინა?
ეს ბრწყინვალება არ მოშორდეს იმ მთავარის სახეს,
მუდამ ამკობდეს ეს გვირგვინი ხელმწიფის სახელს
და ყოველივე, რაც ჯი იმას მონად არ უდის,
დე გამოიწვას ყველა ცეცხლში, თუნდ იყოს უდი!
ის, ვინც ამქვეყნად მის მეტოქედ აღძრული არი,
ჩავარდეს წყალში, დასადნობად, როგორც შაქარი.
ყოველი ფიქრი, მისთვის ჯარგი თუ არ იქნება,
თუნდ ქორფა იყოს, სჯობს, თუ იგი მალე დაჭკნება.
ყველა ის ჰირი, რომლისგანაც ის შეწუხდება,
განძიც რომ იყოს, სჯობს, მიწაში თუ ჩაიდებას

ხოტბა და თაყვანისცემა

3 აშა მას, ვისაც მიენიჭა ტახტი შაჰისა!
მას, ვინც ასრულებს ყოველ საქმეს შეწევნით ღვთისას!
იგი ბჭე არის სამეფოსი და ხალიფათის,
მისი ხმლისა და სიკვდილს შუა ბეწვი თუ გადის.[50]

ჯემშიდ მეორე და ფრიდონი არის მეორე,
მე შეცდომით ვთქვი, ეს აზრიც ჯი არ არის სწორე!
ფრიდონი ბჭლარტი როდი იყო შენებრ მამაცი.
შენ მონიფულხარ, თან ლომი ხარ და თანაც ჯაცი!
ჯემშიდს სიცოცხლე გამოსტაცა ზოჰაქის გველმა,
შენ ჯი სიცოცხლე მოგვანიჭა ცის ვეშაპთ ხელმა.[51]
თუმცა მათ ჰქონდათ ტახტ-გვირგვინი თავის საკუთრად,
ტახტსა და გვირგვინს სხვას უბოძებ, ვით ხამს, საჩუქრად.
სჩადიან მრავალ რაინდობას მეფობის გამო,
შენ თვით მეფეც ხარ და რაინდიც ქვეყნის საამო.
ბეჭედი ჰქონდა სოლომონს და შენ – წმინდა რჯული,
დიდ ალექსანდრეს სარჯე ჰქონდა, შენ ზნე გაქვს სრული.
არ დაუნახავთ, რაც შენ ნახე ქვეყნის გამზირზე,
დიდ ალექსანდრეს სარჯეში და ჯამს ჯამის ძირზე.
ვაშა მეფეო! სივაჟკაცით შენ გამახარე,
ურყევი ფუძე სიცოცხლისა შენ დაამყარე.
თუნდ ასი ტახტი სპილოს ზურგზე იყოს დადგმული,
თუ შენ არ ზიხარ, იგი არის ბჭე დაქცეული.
რჯინის მახვილით ეს ქვეყანა გაქვს დაჰყრობილი,
შენ დაიჭირე ოქროს ჯამით ჯამის ადგილი.
რჯინის მახვილით რომ გაავსე მთელი ხაზინა,
ან რჯინისაგან გააჯეთე შენ სარჯის მინა.[52]
როგორც მრჩეველმა, რამდენიმე მოკლე ამბავი
მინდა გიამბო, ამის ნებას თუ მომცემს შაჰი.

მე ჯადოქართა უფროსი ვარ შაჰინშას ჯარის,
შაჰის ჰარუთთა გამღვიძებლად მრეჯავი ზარის.
უპირველესი მე ამ ბაღის ჩიტი ვიყავი,
გინდა, ბულბული მიწოდე შენ, თუ გინდა – ყვავი.
გვიან მოვედი შენთან შენი სიკეთის მდომი,
გვიან მოვედი, მაგრამ ლომი მოვედი, ლომი!
ჯარგა თქვა ქვეყნის მოგზაურმა მოხუცმა: შვილო!
გვიან მოდი და ჯარგად მოდი, ჰოი, ყმაწვილო!
ასეთ ფიქრებში მე ვიყავი დიდხანს გართული,
უფლის მსახურად მქონდა აზრი მე მიმართული.
არ მქონდა ძღვენი საფალფურო, საჯეიფალო,
რომ მომერთმია თაყვანცემით შენთვის, უფალო,
მცირე ოცნებით შენზე ფიქრში გრძნობას რომ ვლევრიდი,
ყოცნით მე იმ შენს წმინდა მიწას შაქარს ვაყრიდი.
არ იყო მეტი წყალი ჩემი ტვინის ღრუბელში,

რომ ყოფილიყო, არ ვიქნები ამ განსაცდელში.
მცირე ნამცეცით ვინ იზიდავს ვეება მზესა,
ბელურით არწივს რომ იჭერდნენ, ვინ ნახა ესა?
სოფლის თავი ვარ, მაგრამ გული იმიტომ მეწვის,
რომ ამის მეტი არა მაქვს რა ოდენი ბეწვის.
ვითარცა გული შენს მსახურად დღისით თუ ღამით
რატომ არ ვდგავარ, ყმაყოფილი არა ვარ ამით.
შაჰს არ იქნება დავუფარო ჩემი აზრები,
რომ სხვებისათვის მე ლოცვის მეტს არასა ვშვრები.
ნიზამი ორის ჯიშისა და ჯილაგის არის,
მასში ნახევრად თაფლი არის, ნახევრად – ძმარი.
სველი ბუნებით იმან წყალი სასმელად მოგვცა,
მშრალი მწირობით მძიმე ტვირთი იტვირთა როცა.
ჩემი მწირობის ხახა თუ გინდ იყოს გამშრალი,
ამ ჩემი ენის სისველეა სიცოცხლის წყალი.
განდეგილობის გამო მუშაის სუნი რომ ვცადე,
ვითარცა ონყა მე ამქვეყნად არ დავიცადე.
მე ეჯალი ვარ, ლხინში ქაცვი რას გამოდგება,
ჩემგან სხვა, გარდა ვედრებისა, რა წარმოდგება?
არ ვიცი შაჰის სამსახური სხვა რამით მწირმა,
თუ არ ყოველდღე მასზე ლოცვა, მადლის შეწირვა.
ჭაუის სირეგვნის ხიფათისგან მომელის შიში,
გულის სიხარბის ცუდ საქმისგან მომელის შიში.
მინდა, სიხარბეს შემოვაძრო შესამოსელი,
მინდა, სირეგვნის შავი ჯაბა დავხიო ხელით.[53]
იმ დროს მე ჩემი სიყვარულით სულ გავშიშვლდები,
იმ დროს მე ჩემი მარტოობით სულ დავმშვიდდები.

ჩემს თავს შენ მოგცემ უნაგირის საბარგო ღვედად,
საბარგო ღვედის მსახურებით თავს ავწევ მეტად.
თუ რომ გამაგდებ, მე ვაჯაცებ შორით შენს ჯარებს,
თუ მიალერსებ – რა სჯობია? ეს გამახარებს.
თუ შენ ერთ ღიმილს მე მაჩუქებ მთოვარის დარად,
ციცინათელის მსგავსად ღამით ვაშუქებ მარად.
შენი წყალობით, ვინც ჯი ღირსი ამისი გახდა,
ამირად იქცა ბევრი, ბევრმაც დაიდგა ტახტი.
მაგ ცისკრის თვალით ვისაც მეფევ, შენ მზერა ასვი,
ჩამოეხადა მაგ ბედნიერს სიავის ფლასი.
რომელ მხარეშიც მზისდაგვარად შენ გაივლიდი,
უხვად მიწაზე ოქროს სავსე ქისებით ჰყრიდი.

მოყვარეთ ოქრო მიაყარე, მტერი ჯი ჰყოდე,
ციხე მახვილად გექცეს, სული – რჯინისა გქონდეს!
შენი ნების და დროშის გარეთ არ დარჩეს ერი,
მიწას არ უნდა ასცდეს შენით ფეხების მტვერი.
შენს თავს გვირგვინი ხელმწიფური ეხუროს ქუდად, –
მეფის მონაგარს მტკიცე ძალა იცავდეს უნდა.
მუშჯის სურნელი მოაფრქვიე შიგნით თუ გარეთ,
იყავ ელვარე, ვითა მზე და ვითარცა მთვარე!
ყოველგან, სადაც ჰირს მიაქცევ ბედის წყალობით,
შენი ავჯანდა უნდა იყოს ქვეყნის დამპყრობი!
მთელ სამყაროში იყავ მუდამ გამარჯვებული,
ჯარი დამპყრობი გყავდეს, მტერი – დამარცხებული!

ქება მეფე მოზაფერ ედ-დინ ყიზილ არსლანისა

სიამე მოგცეს ჰოი, ტაბილო ნიავო დილის,
ჯეთილად გექნეს ასრულება შენი წადილის!
აყოცე მიწას სადღეგრძელოდ დიდი შაჰისა,
ზეზით მოსილი ვარსკვლავთ შორის ტახტზე რომ ზისა.
მზესავით უხვი მნათობია შვილი ქვეყნისა,
რჯულს და სამეფოს თვის მახვილით იფარავს ისა.
მაშრიყის შაჰი და მაღრიბის თავშესაფარი,
ყიზილ-შაჰ, რომლის ქუდი მთვარის ზევითაც არი.
ვით მეჰდის, მასაც დასავლეთი ბინად გაუხდა,
აღმოსავლეთის საზღვარს იგი მიტომ გადასცდა,
მისი ბეჭედი, ერთხელ ცვილზე რომ აღიბეჭდა,
ჩინეთს ხარაჯას, რუმს ჯიზიას ახდევინებდა.
თუ სურს, მახვილით, ვარდისფერად დღეს რომ ელვარებს,
ხანგთა წყაროდან გამოიყვანს რუსთა მდინარეს.[54]
იმას აგრეთვე იმოდენად ღმერთი შემწე ჰყავს,
რომ ინდოეთის სახეს შავფერს ჩამოარეცხავს.
იმისი შიშით, ვინც შორიდან მტერად უხდება,
როგორც რომ მეხით განგმირული, იმგვარად კვდება.
ვით ღრუბლის წვიმა, ის სიუხვეს იძლევა ღვარად,
მთელი ქვეყანა ბრწყინავს მისი მახვილისგვარად.
ღრუბლის სიუხვის ჯონა, როცა სულ გაიშლება,
მცირე ნაშხეფი მისი ასად განაწილდება.
თუნდაც ას ზღვის განძს დაარიგებს იმისი ხელი
და ამ სიუხვით არ ექნება მას ფერჩხილი სველი.

იმისი ტახტის ბრწყინვალება მზეს ემსგავსება,
მისი ღირსება მოგაგონებთ მთვარის აღვსებას...
მიწა შვიდია, შვიდჯერ მეტიც თუ მოიძევა,
თუ არ იქნება მისი მიწა, ქარად იქცევა.
და რომ არ იყოს იგი შემწე ბებერ ზუალის,
დავარდებოდა ძირს ზუალი თავის ბრუალით.
არასს ველ-მინდვრად აქვს საშინლად მღელვარე გული,
ზღვას რომ მიაღწევს, არის იგი დადუმებული.
ვთქვათ და დუშმანი ზეაწევით ზეცასაც მისწვდა,
ამ სასახლეში რას აყოცებს, თუ არა მიწას?..
თუნდაც ასი მთა შეურას ვინმემ მყლავების ღონით,
აროდეს ქმნილა ქვა ოქროსთან თანაბარ წონით.
იმ ქსოვილისგან, ბედით რომ აქვს მას მიცემული,
ოთხ ბოძს აქვს მისგან ძლიერ მაგრად წელი შეკრული.
იმ ხალათისგან, ბედისგან რომ აქვს შეკერილი,
იგი შვიდ მნათობს ქუდადა აქვს თავდახურული;
იმ ცეცხლისაგან, ალმასივით რომ აინთება,
მტერი, თუნდაც რომ რკინის იყოს, მაინც დადნება.
მტერი, ვით დევი, მის რკინისგან შორს იკარგება,
ვისაც მოხვდება, იგი ფეხზე ველარ დადგება.[55]
მახვილით საქმე იმნაირად მან წაიყვანა,
რას იზამს მტერი, თუ კისერი არ მოიფხანა![56]
დამწვარ მტრის ბოლი საკმევლად ხალხს მოეწევა,
ცოდვით მარიხი ბედნიერად გადაიქცევა.
მისი სიცოცხლე მესიასთან ზეიმობს წყვილად,
განკითხვის დღემდე ნეტარება ერგო მას წილად.
ბრწყინვალე ფერი ღირსებას ქმნის იმისი ხმლისა,
როგორც შროშანა ტიგროსისა და ნილოსისა.
ყოველთვის, როცა ხალხს რაიმე დასჭირდებოდა,
მისი სალარო, ვითარცა ზღვა, გადიღვრებოდა.
მისი სიუხვის ზღვა არ ტოვებს ჰატივუცემელს
არც ღარიბ ხაზარს, და არც დიდად შეძლებულ რუმელს.
მის სიყვარულს და რისხვას შორის ჭინჭველის ფეხები
თუ დაეტევა, თავის ცარგვალს იგი ეხება.
ჭინჭველიც, თუკი მისი ნახა სამეფო ჯარი,
ღირსია, ჰყავდეს სოლომონი მსახურად მდგარი.
ყოველი კოღო, მისი გზიდან რომ წამოდგება,
თვითონ ნებროთსაც სიდიადით გაუტოლდება.
სიტყვის ჭიპიდან მისი მუშაკად იღვრება ქება,

თუ სუმბულს შეჭამს, შვლისგან მუშაის სურნელი დგება.[57] –
ეს მისი სიბრძნით ოტარიდი აგროვებს თაველს,
თაველის თანავარსკვლავედში მას მიტომ რთავენ.[58]
ზღვას რომ დაარტყას მან თავისი დამასკის ხმალი,
„ჰე, როგორ ხარო?" – მთვარეს ჰკითხავს ზეცაში ხარი.[59]
მთვარე რომ იქცეს მისი ცხენის ნალისა ტოლად,
ჩამოჰკიდებდა ცარგვალს თავის ჭიშკრისა რგოლად.
მასში ქარავნის წინამძღოლი არის ფარულად,
ძალოვანს თვითონ ცოდნის ძრახი არა სდევს სრულად.
ლხინში ღვინო და მერიქიფე თუ არ დარჩება,
ის თუ დარჩება, რა უშავს, თუ სხვა არ დარჩება?...
აღთქმით რომელიც ყველა აღთქმას აღემატება,
ამა აკვნიდან ქვეყნის მეჰდად ის აღიზრდება.
მეორედ მოსვლა თუმც იქნება შიშის მომგვრელი,
სოლომონი გვყავს, რა შიშია მოსალოდნელი?
ზაჰაქის გველმა თუნდ ისარი ჩაგირჭოს მაგრად,
თუკი ფრიდონის ჯარში ხარ შენ, ნუ თვლი ნურაფრად.
საწუთროს მცხოვრებთ რაც ჰქონიათ ბედის ვარსკვლავი,
დრო არ მოსვლიათ, რომ არ იყოს გულმოსაკლავი.
ვარსკვლავთ სიავით არ გვაქვს შიში უცილობელი,
რადგანაც გვივის მართლმსაჯული და მწყალობელი.
ბედის ვარსკვლავი მსაჯული თუ იქნა ამგვარად,
თუ ბედის ქარით წარმოიშვა, დარჩება ქარად.
ქვეყანა ზეცის თალიის ქვეშე მცირე რამეა,
ეს ზეცის თალი ქვეყნის თავზე სარკის ჯამია.
ამ ზეცის ბურჯზე ვით მოვიდგამთ ჩვენ მტკვრნი ფეხსა,
იქ მიღწეული ღრუბელიც რომ ცრემლს ღვრის და ყვნესის?!

იმ სასახლეში, თუ დრო გექნეს ჰოი, შენ ქარო,
ამ ჩემს სურვილსაც, გთხოვ, რომ გვერდი არ აუარო!
აკოცე მიწას, როგორც მონამ, დიდი სიამით.
უამბე ისე, როგორც ამბობს თვითონ ნიზამი.
თუ მე ვიყავი მცირე ხნით მას განშორებული,
არ დამვიწყნია მე უფალი, ის დიდებული!
მარგალიტივით რომ აიცვა წიგნის ფურცელი,
მას მიენიჭა ქვეყნის მპყრობის შაჰის სახელი.
რადგან ვიცოდი, რომ ეს მეფე, ჯემი მეორე, –
მეორედ მოსვლის დრომდე უნდა ცოცხლობდეს სწორედ! –
თუ გაფურჩქვნილი ვარდი ნახოს მან ჩემი ბაღის,
ამ ქვეყნის შაჰის სახელით მას დაასვას დაღი.

ბედის განგებით მე ამგვარად მაქვს ეს მისჯილი,
სანამ შაჰია, მეც ვარ მისი მონა-მორჩილი!

გამიგონია, იყო ვინმე ქვეყნის მმართველი,
იოსებივით ჰქონდა იმას სახე ნათელი.
მან ტრფობის საქმეს გული ისე დაუკავშირა,
თავს ივიწყებდა და იმაზე ფიქრობდა ხშირად.
იმდენად მის გულს შეამსჭვალა თავისი გული,
რომ იმის სულთან შეაერთა თავისი სული.
ვინმე მას ას ბაღს ვენახისას თუ აჩუქებდა,
ამ წყალობიდან ერთ მარცვალსაც არ აიღებდა.
მისი სატრფოსთვის ერთი ვარდიც რომ მიგერთმიათ,
გაზაფხულივით უყვაოდა სახე ერთიან.
რადგანაც სატრფო მის სიცოცხლედ იყო ქცეული,
მუდამ იმისი ლხენით იყო გახარებული.

მურად-შაჰ, ასე საყვარელი როა ქვეყნისა,
იგი სარჯეა მოქმედებით თავისი ძმისა.
ნუ ქნას, ამ ქვეყნის საგანძური ისე დამცირდეს,
რომ სიამის დროს მწუხარებით მას გაუჭირდეს!
გაბრწყინვებული ეს სამყარო მისად ჰირად ჩანს,
დე, დღე ნოვრუზად ექცეს იმას, ღამე – მირაჯად.
რომ ქარისაგან მისი თმები სუნმონაბერი
ხან ინდოეთის მოგვაჩვენოს, ხან ჩინის ფერი.
ყველა ლამაზნი ჩინის იყონ მის ინდოს ფერი,
ნუ ქნას, რომ სახე მოგელუშოს, გეცვალოს ფერი.
ორგულთ ხელ-ფეხი შეუბორკოს მაღალმა ზეცამ,
ერთგულთ დიბა და აბრეშუმი მარადის ეცვათ!
მორჩილი თუა, ღვინო ასვი, ჰატივი ეცი,
თუ აგიჯანყდეს, არ დაინდო, ვითარცა მხეცი!
ვითარცა ნუზღი ისე შეხვდეს ეს მისი ღირსი,
ჯურთხეულ იყოს ვაჟკაცობა და ყოფა მისი!

ამ წიგნის შედგენის გამო

ჩემმა გულისთქმამ, როცა ჩემში მოყვარე ნახა,
ზეცის დიდების ჯარავიდან მე გადმომძახა:
„ჰოი, ნიზამი, დაუჩქარე, გიგვიანდება! –
ცა უნდო არის, ქვეყნის ბრუნვა სწრაფადა ხდება.
გაგვიზაფხულე, სანექტარო წყარო გვაჰკურე
და ლექსს მანდილი შინ ნაქსოვი წამოახურე!

შენ ამ ბინაში ღირსეული აიღე საზი,
ამ ფარდის რამე გაგვაგონე ჰანგები ნაზი.
ორმოს გათხრიან, თუ უდროოდ სვლა განიზრახე,
თავს წაგაცლიან, თუ უდროოდ რამ დაიძახე.
როგორც ვარდს, ენა მცირეხნობით გქონდეს აღძრული,
ენის სიმრავლით შროშანას აქვს ჰირი შეკრული.[60]
სიტყვა ფოლადად აქციე, რომ ოქროს ფულს ჰგავდეს,
სიტყვა მოჭრილი ფულისგვარად უნდა ბრწყინავდეს.
სიტყვის მახვილი მჭედლივით ჯერ გამოჰკვერე,
ამას რომ იზამ, ელვარება მიეცი მერე.
სიტყვა თუ სრული მოფიქრებით არ წარმომდგარა,
მისი დაწერა და წარმოთქმა არა ღირს, არა!

სიტყვის გამოთქმა და გალექსვა არის ადვილი,
მაგრამ ლექსვის დროს უნდა იყო მხნე, გამოცდილი!
სიტყვა მრავალი თუ გაქვს, იგი ცოტად აქციე,
ერთს ასად ნუ იქმ, ასი სიტყვა ერთად აქციე.
თუ წყალდიდობა თავის ზომას ზე გარდაცდება,
ბოლოს და ბოლოს ყველაარსი შიგ დაიხრჩვება.
თუ ჯაცის სხეულს სისხლის ბრუნვა მეტად აწვება,
საჭირო არის, თუ ის დანით გამოიშვება.
სიტყვა ცოტა თქვი საქმისათვის, მას მიიღებენ
და თუ ბევრს იტყვი, მისგან ბევრ ცუდს შეითვისებენ!
ბევრის თქმა შენთვის თუ ძალიან ადვილი არის,
ბევრს ნურას იტყვი, იგი დიდი სირცხვილი არის!
სიტყვა სულია, ხოლო სული სულია მისი,
მიტომაც იგი სულის მსგავსად ხოტბის არს ღირსი,
შეხედე ჯაცთა, რომ უაზრო გზებით მიდიან,
თავიანთ სულსა რაღაც ლუკმაპურზე ჰყიდიან.
სიტყვა ზღვისაა მარგალიტი, მყვინთავი – მთქმელი
და მარგალიტის მაძიებელს ხიფათი ელის.
თვალმარგალიტის მთლელნი თლის დროს დიდ შიშსა
გრძნობენ,
რადგანაც იმის ღირებულ ფასს ჯარგად იცნობენ.
შენ არ გინახავს, რომ ოსტატი ამ განძს პირველად
მარგალიტს თავის უვიც შეგირდს აძლევს სათლელად?[61]
ფხიზელი ხარ, თუ ვით ღვინით მთვრალს გიჭირავს თავი,
იცხოვრე, მაგრამ ავ საქმისგან შორით იყავი!
შენს ათას მზვერავს რომ არა აქვთ რამ სასყიდელი,
ასნაირ მოთქმით შენკენა აქვთ გაწვდილი ხელი!



უთაურობით ერთხელ სულიც ჯი არ დაბერო!
უთაურობა შენი შენ სხვას არ მიაწერო!"

როს ციური ხმის დარიგებას ყური ვათხოვე,
მე იმ ხმის გამო ჩემი თავი გავიმარტოვე.
მარტოობაში ჩემი გული მთელი ზღვა არის,
და იქ სიცოცხლის წმინდა წყარო სხვადასხვა არის.
მე ავირჩიე მოსათხრობად ერთი ზღაპარი
სამოთხედ შევქმენ იგი ძველი ცეცხლი ტაძარი.[62]
რადგან საჯერჰოს მოხატვის დრო ხელთ ჩამივარდა,
არარა ვქენი, იმ სურათის მოჯაზმვის გარდა.
თუ რომ სიტყვაში (ის წყაროა მაცოცხლებელი)
იქნეს ნებისად, რაც ჯი არის შესაძლებელი,
როცა სიმართლე შემიძლია მოგიყვეთ წმინდად,
სიცრუე აბა რისთვის ვწერო, ან რისთვის მინდა!
ტყუილის მთქმელის, რაც დრო გადის, ფასი მცირდება.
ვინც მართალს იტყვის, ემატება იმას დიდება!
სიტყვა მართალი მისანდოა, ვითარცა დილა,
მას, როგორც ოქროს, დაეძებენ, ისმენენ ტკბილად.
ვითარცა სარომ, რომ აღმართა თვისი ალამი,
არ განუცდია შემოდგომის ჭკნობის ვარამი!

„საიდუმლოთა საგანძური" მაქვს ვითარ განძი,[63]
სხვა რა ვნებანი დამრჩენია, მითხარით, აწი?
მაგრამ რადგანაც არვინ არის ამ ქვეყნის შიგნით,
არ აღუძრავდეს ვნებას არის ამ ქვეყნის შიგნით,
არ აღუძრავდეს ვნებას თავად ვნებათა წიგნი,
მე ამ მწარეში გავურიე ტკბილი ბადაგი,
რათა განვაცხრო ვნების ცეცხლში მწარედ ნადაგი.
ისე ფაქიზად შემიჯაზმავს ეს წიგნი ვნების,
იმის წამკითხველს აღეძვრება ვნება მის ნებით,
როდი მოვავლე ხელი ისეთ ტოტს სხვათა მსგავსად,
რომ ტკბილი ხურმის გარდა ნაყოფს ისხამდეს სხვასა.

სუყველამ ხოსროვ-შირინისა იცის თქმულება,
ამბავი მასზე უფრო ტკბილი არ მეგულება.
თუმც ეს ამბავი არის გულით მოსაწონარი,
დედოფალი ჯერ დამწყვდეული ციხეში არი![64]
თეთრად ნაწერი არავის აქვს ჯერ გაგებული,
ქალაქ ბარდაში იყო შავი დასრულებული.
და მოხუცთაგან ბევრი ჟამი რომ აქვთ განვლილი,
მეც ეს ამბავი იმ დროისა მაქვს შესწავლილი.

და ამა ქვეყნის ხანდაზმულთა, მხცოვანთა პირთა
წახალისებით საქმე ესე თავს ვიდე ტვირთად.
მას მოიწონებს, რომ გაიცნობს გონება, ჭკუა,
ნამდვილად ჩასთვლის ჭკუა, იგი ფხიზელი თუა.
არა ფარულად, ჭეშმარიტად ეს ცხადი არის
და ეს ნაშთებიც სახსოვარი იმათი არის.
მთა ბისოთუნის და სურათი შავი შაბდიზის
და მადაინში საკუთარი ჯოშჯი ფარვიზის.
იგი ფერჰადი თავაშვებით ამყოლი ჟინის,
მდინარე რძისა და სასახლე თვითონ შირინისI
იგივ შაჰრუდი, მისი წყალი ტკბილად სასმელი,
ხოსროვის სახლი, სანადირო გაშლილი ველიI
ამბის მოყოლა ბარბადისა საკრავ დაჰრუდით,
თან დასასვენი სახლი შაჰის, მისი შაჰრუდიI
ბრძენმა, რომელმაც ეს ამბავი გვამცნო პირველად,
ტრფობის ამბავი მოაცილა მან იმათ მთელად![65]
ანდა რა ექნა, როცა ჯაცი სამოც წლის არის,
ძირს უვარდება გასასროლი ტრფობის ისარი.
ჭაბუკობის დროს სატრფიალოდ მას რაც მოსწონდა,
მის სიბერეში მნიშვნელობა აღარა ჰქონდა.
არ ვამბობ იმას, რაც ბრძენმა თქვა, სულ სხვაა იგი,
თქმა უკვე ერთხელ ნათქვამისა არ არის რიგი.
გარდა ამისა, რაც გამორჩა იმ ბრძენს ტრფობაზე,
მე სიტყვას ვიტყვი საგანგებოდ სხვა გმირობაზეც.

რამდენიმე სიტყვა სიყვარულის შესახებ

ჩემთვის ტრფობაა უკეთესი სხვაგვარ ყოფაზე,
ნუ ქნას, ვიცოცხლო ტრფობის გარეთ ამ ქვეყანაზეI
ცას ტრფობის გარდა მოსაპყრობი თვალის არა აქვსI
ქვეყანას ტრფობა თუ არ უძევს, წყალი არა აქვს.
მისდიე ტრფობას, ჭკვიანური ეს არის ქცევა,
ყველა ჯარგი და გულკეთილი ტრფობას ეწევაI
ქვეყნად ტრფობაა, დანარჩენი თვალთმაქცობაა,
გარდა ტრფობისა ყველაფერი თამაშობაა.
უსიყვარულოდ ეს ქვეყანა თუ იცოცხლებდა,
ამ საწუთროში საცხოვრებლად ვერვინ გაძლებდაI
ვინაც რომ ტრფობას არ განიცდის, სულით მდარეა,
თუნდაც სიცოცხლე ასი ჰქონდეს, მაინც მკვდარიაI

ვისაც რომ ტრფობის ჯადოქრობა არ გაეგება,
იმას არასდროს ელირსება რაიმე შვება!
ნუ ხარ ვირივით ჭამისა და ძილის მოყვარე,
თუნც ჯატაც იყოს, წმინდა გულით ის შეიყვარე!
ტრფობით ჯატამაც რომ მოგიგოს, იცოდე ომი
სჯობს, ვიდრე შენთვის იყო გულით მედგარი ლომი.
არ ხარობს თესლი, თუ არ არის ტრფობის მარცვალი,
ტრფობის სახლში აქვს ყველას მხოლოდ რწმენა და ძალი.
რა არის ტაბილი ვით ტრფიალის წვა-დაგვა, დარდი?
ზეცა ვერ ტირის, ვერ იცინის უმისოდ ვარდი.
[მსმენია, ვითომ მიჯნურია გონარეული,
ჯერჰთმსახურების ჟინი ამით იყო აღძრული!]
თვითონ გებრები თვის წინაშე ცეცხლს რომ ანთებენ,
მზის ტრფობის გამო აღგზნებულნი ცეცხლს აღმერთებენ.
ნუ გეგონება, სულის მეფე თითქოს გულია,
სიცოცხლის სულდგმა, ეს იცოდე, სიყვარულია!
სათქმელი თვისი სიყვარულმა ყველგან გააბა,
მისთვის ერთია, ლათი არის ის თუ ქაბა.
ტრფობა რომ ჩაძვრეს მაგარი ქვის გულის სიღრმეში,
იგი იქ სატრფოს მარგალიტსაც ჩაიგდებს ხელში!
თვითონ მაგნიტსაც რომ არ ჰქონდეს ტრფობისგან ძალი,
ვერ მიიზიდავს იგი რჯინას, დარჩება ცალი.
ეს სიყვარულმა მიანიჭა ქარვასაც ძალა,
რომ მიიზიდოს ქარვამ თვისკენ მსუბუქი ჩალა.
ბევრი ქვა, ბევრი ძვირფასი ქვა არის, მათ თვითონ
არ ძალუძთ, რჯინა ან სხვა რამე რომ მიიზიდონ!
ყოველ ჯურს, ქვეყნად უთვალავი რომ იმყოფება,
ყველა იმათგანს თავის გულში აქვს მისწრაფება.
ცეცხლს მიწის გულში გასასვლელი სადმე თუ არ აქვს,
მიწას გაბზარავს, ამოხეთქავს ქვესკნელით ჩქარა.
წყალი ჰაერში რამდენსაც არ გაჩერდეს მაღლა,
ერთხელ იქნება, ძირს ჩამოვა, მოუწევს დაღვრა.
ბუნებას ლტოლვის გარდა სხვა რამ არ ესაქმება,
ეს ლტოლვა ბრძენთა მიერ ტრფობად განისაზღვრება!
თუ დაჟვირვებით განიხილავს და არა უცებ,
სიყვარულია ქვეყანაზე ყველაფრის ფუძე.
თუ ტრფობისაგან ცა ოდესმე დაიცლებოდა,
დედამიწაზე ცხოვრება არ შეიძლებოდა!
ტრფობის გარეშე თუ სიცოცხლეს არ განვიცდიდი,

ამ გულს გავყიდდი და სიცოცხლეს შემდეგ ვიყიდდი!
ისე მწვავს ტრფობა, ცეცხლის ბოლით გავრუჯე ცანი,
თვალთა სინათლე დამიბნელდა, რა ტრფობა ვცანი.
მე სიყვარულით ამ ამბავს რომ შევუარ წელი,
სასიყვარულოდ მივიწვიე ქვეყანა მთელი,
ნუ ქნას, რომ დარჩეს ამისაგან რამე უშვერი!
არამედ ტაბილი სასმენი და ჯარგი ნაწერი.
მე ჯეთილი ვქმენ და თუ ჩემზე ბოდვას დასწერენ,
მით ჩემდა ჯილდოდ თვით თავიანთ ცოდვას დასწერენ!

პატიების თხოვნა წიგნის გალექსვის გამო

როცა შინ ვიჯექ, ჩაჯეტილი მყუდროდ ბინაში,
ვმასლაათობდი ლექსით ჩემით ზეცის წინაშე.
ხან ჩემი ფიქრით ვარსკვლავების ვაღწევდი დონეს,
ხანაც ანგელოზთ საიდუმლო ხმა გავიგონე.
მე მეგობარი ერთი მყავდა – დიადი ღმერთი,
იგი იცნობდა ჩემს ხვაშიადს, ის იყო ერთი.
თავდადებული არის ჩემთვის, ლომივით მძლავრი,
მტრის თავზე იგი ხმალი არის, ჩემს თავზე – ფარი.
ამ ქვეყანაზე მე ცოდნასთან დამაჯავშირა,
ჟმაყოფილება ამ ქვეყნისა მით გამიხშირა.

მოვიდა ღამე ოქროს რგოლის შესადარები
და ვერცხლად ქმნილმა ხელთ აიღო რგოლი ჯარების.[66]
მოვიდა იგი გამჯიცხველი აღელვებული,
ჰქონდა ჩემდამი საყვედური მას მომართული.
„ვაშა შენ, აზრთა მფლობელობით დიდად ცნობილო!
უკვდავ სიტყვათა სამეფოში ძლევამოსილო!
ამდენ მარხვაში მოგეწია ორმოცი წელი,
არც სიტყვებსა და არც ამ ფურცელს არ ახლო ხელი!
შენ დიდმარხვაში გედგა ფეხი და ახლა ცდილობ,
ლეშის ძვალი ღრნა და თან მარხვა მით გაიხსნილო.
აჯი არ იყავ ამქვეყნიურ ვნებებზე ხარბი,
აჯი არ გქონდა მისწრაფება სოფლისკენ ჭარბი!
[ჯერჰის მსახურთა ცბიერება გაუშვი ხელით,
ვითა ზარდუშთი ნუ ჯადოქრობ საქმითა ჭრელი.]
ხომ გაქვს შუბივით მომახული ჯალამი ბასრი,
და განძი გიდევს დაჯლიტული. აქვს განა აზრი,
ოქროს სპილენძი გაურიო და გარყვნა მითი,

ამიტომ არის ოქრო ვერცხლზე ფასს მეტს რომ ითვლის.
ვით ყარუნს განძი რისთვის გიძევს მიწაში ქანად,
მგოსანთ ოსტატი დღევანდელი შენ არ ხარ განა!
ღვთის ღაღადის დროს თუ შენი ხმა მაღალი არის,
რატომ გებრების წესი შენთვის ახალი არის?
ლექსის მცოდნენი შენს გულს ახლა მყვდარადა სთვლიან,
ზორაასტრელნი თუ იყითხვენ, ცოცხლადა სთვლიან".

მეშურნეობით რაც გინდ მითხრან სიტყვები მწარე,
მე არ მექნება არასოდეს სახე მწუხარე!
ტაბილი საქმისგან რაც ყოფილა გულმოსახდენი,
მეც იმას ყურში შევასმინე სიტყვა რამდენი!
იმ ფარჩისაგან ჩემ მიერ რომ იყო მორთული,
მისი სურათით მოიხიბლა იმისი გული.
ის გულქვა ყაცი ამ სურათის პირველ ნახვაზე
დადუმდა ისე, როგორცა დუმს სურათი ქვაზე.

მე იმას ვუთხარ: „ეგ დუმილი რაღასთვის არი?
სადა გაქვს ენა? ერთი ტაბილი რამე მითხარი!"
ასჯერ თავდაჯერით მითხრა: „ჰოი, მონა ვარ შენი.
შენი სახელი უნდა ვაქო ამ ჩემი ენით".
შირინის ამბავს გულდასმით რომ მივაჰყარ სმენა,
მისი სიტყბოთი ჩამოვარდა მუცელში ენა!
მხოლოდ შენა გაქვს ჯადოქრული ცოდნა და ძალი,
მხოლოდ შენ ძალგიძს, შექმნა ჯერჰი, ქააბის ცალი.
რამეთუ პირი მომითაფლე ეგოდენ ტაბილად,
რომ ენა შაქრად გადამექცა ყელში ნამდვილად!
თუ ენა ჩემი მოვიკვნიტე შაქრის მაგვარი,
იგიც შენსავით შეიქნება ტაბილმოუბარი!
დაბოლოს, რადგან გამონახე გზა წინ მდებარე,
მას მორჩი, რასაც საფუძველი შენ ჩაუყარე!

დაე, დოვლათი შეგეწიოს, გეწიოს ნიჭი,
დაე, დაგიტაბეს, რაც გინდოდეს, გექნეს, რაც გიჭირს!
რად დგახარ ეგრე ამ გვირაბში ფეხებშეკრული,
ერაყის ნაღდით აგივსია ეგ ხელისგული![67]
გაიყვა ცხენი ქალაქ განჯის გალავნის გარეთ,
ლომის ლაგამი ხელთ გიჭირავს, მიუშვი ბარემ.
დიდ მოედანზე შენი ცხენი თვით წაიყვანე,
შენ თვით მწვანე ხარ და დოვლათის ტოტიც არს მწვანე![68]
ჩვენს ხანას ტაბილი სიტყვის მთქმელი არავინა ჰყავს,
თუ ჰყავს, შენსავით ენამჭრელი არავინა ჰყავს!

ჰომაისგვარად საქმეს ჩრდილი გადააფარე![69]
ეგ სახელმწიფო ბუკიოტს ნუ გადააბარე!
სანთელს ბაძავენ და ფარვანაც არიან თვითონ,
თავიანთ სახლში თუ ნათობენ, ნათობენ ვითომ?
ორი მანძილით რომც გაშორდნენ ქალაქის ჯარებს,
ვერვინ შენიშნავს იმათ მბჟუტავ ჭრაქებს და ჯვარებს.
შენ ჯი მზე ხარ და ემაგ შენი ჩახჩახა მზეთი,
აღმოსავლეთი გაცისკროვნდა და დასავლეთიც.
რომ გამოჩნდები შენ, ვინ უნდა დაგიდგეს წინა,
შენთან ხუნდება ყველაფერი; სხვა ვინ, შენ ვინა!
ძალის სამყარო შენში თავის საფარველს ხედავს,
ლექსის ქვეყანა შენ გადიდებს – წინ გაჭრილ მხედარს.
[ერთი მეორეს ჰურსა ართმევს სუყველა ველად
განა დისკოა მრგვალი, მზე რომ ერქვას სახელად?
ხე უდაბნოში თუ საკმევლად უდისა არის,
მწიფე ხურმა ჯი თვით საჭმელად მაჰმუდის არის".]
„ეჰეი, ბედო, – შევუტიე ჩემს იღბალს ცხარედ, –
არ ხარ ყასაბი შენ და შენი არ ვარ მე ცხვარი!
სულს ნუ დაბერავ, რომ არ ჩაქრეს ჩემი სანთელი,
სულის შებერვა იესოსი მოსეს არ შველის.[70]
ჩემი ცეცხლის ალს ნუ აღვივებ შენ შენდა თავად!
თვით ვარ სანთელი ჩემი თავის თვით დასაწვავად.
მე მინა ვარ და თუ დამიწყე ქვების დაშენა,
ჩემი სახელით შეიძლება ქვეყნის შერცხვენა.
მე სპილენძი ვარ, მაგრამ გარეთ ზარნიში მფარავს,
ლეშივით ვყავარ, მაგრამ სიო ვარდის სუნს მპარავს.
ბღენძიაობის მეტს ვერ ნახავ შენ ჩემში, ვერა,
მე ვიბღინძები და თავისთავს ვბერავ და ვბერავ.
ზეცამ ვითომდა გამაჩინა მე ნამდვილ ლომად,
მაგრამ ლომი ვარ, ჩვრით ნაკერი, თავი მით მომაქვს?
არ ვარ ის ლომი, მტერს ჰირისჰირ შევება ომით,
საკუთარ თავთან ვიბრძვი, მეტის არცა ვარ მდომი."
მხიარულება ძველებური იყო, წავიდა!
ამპარტავნება ჭაბუკური იყო, წავიდა!
თვითგანდიდება, ბავშვური და გიჟური ქცევა,
შემინდე, იყო ოცნება და თავბრუს დახვევა!
როცა სიცოცხლე ოცდაათ წელს გადაშორდება,
არ შეიძლება დაუდევრად ყოფნა-ცხოვრება!
სიტკბო სიცოცხლის ორმოც წლამდე თუ შეიძლება,

ორმოცი წლისას ფრთა-ბუმბული გამოეცლება!
ხუთჯერ ათისას არ ექნება ღონის სიზუსტე,
თვალის სიბნელეს უერთდება ფეხის სისუსტე!
სამოცმა წელმა შესამჩნევად უნდა მოგხაროს,
სამოცდაათზე იარაღი უნდა დაჰყარო!
და ოთხმოცსა და ოთხმოცდაათს მიაღწევ როცა,
გატყდები წელში, არ მოგიწევს სიმწარის მოცდა.
შემდეგ ას წლამდე თუ მიაღწევ ცოცხალ-მკვდრის დარი,
ვერ გაგარჩიონ, ცოცხალი ხარ თუ უკვე მკვდარი[78]*.
მაშ, ის სჯობია, მუდამ იყო ლხინით და ლხენით,
და შემოქმედი სულ ადიდო საქმეთა შენით.
სიხარულის დროს აენთები, როგორც სანთელი,
პირზე ღიმილი გექნება და თვალებში – ცრემლი.
ტირილის შემდეგ დილა სხივით რომ გათენდება,
სიცილის ელვა შენს ტუჩებზე თვით აენთება!
რადგან უტირლად არ იქნება ჯაცის სიცილი
და ამ სიცილით არ იქნება შეიჯრა ჯბილი,
გასწავლი მე შენ, თუ შეიძლებ, რომ შეისმინო,
უნდა უტირლად ქვეყანაზე ტკბილად იცინო!
რომ გაიცინებ და იქნები ბედმოღიმარი,
სიცილით მიეც გაჭირვებულს შესაწევარი!
ხომ დაინახე ცაზე მზე რომ იცინის დღისით,
სხვას რომ აცინებს სიხარული ეს არის მისი.

ხოსროვისა და შირინის ამბის დასაწყისი

ასე თქვა ბრძენმა, ვინაც იყო ენამეტყველი,
ვისაც ახსოვდა ამნაირი ამბები ძველი:
როცა გაშავდა მთვარე დიდი ქასრისა ყოფის[71],
გადასცა ჰორმუზს იმან თვისი ტახტი სამეფო.
ხალხს განაგებდა ქველმოქმედი ჰორმუზი იგი
და სახელმწიფოც ალაშენა წესით და რიგით.
თავისი მამის გადმოიღო წესი მთლიანად,
ჰქონდა სიუხვე მას და რწმენა საფუძვლიანად.
სურდა ამქვეყნად გამრავლება ჩამომავლობით,
და მონაგარი რომ ჰყოლოდა უფლის წყალობით.

[78] აქ თარგმანს აკლია ერთი ბაითი:
„გინდა ას წელს დარჩე, გინდა ერთი დღე იცოცხლე,
ამ ხალისიან სასახლიდან მაინც მოგიწევს გასვლა".

ამდენი აღქმის აუსრულა ღმერთმა წადილი,
მამათა სქესის მისცა შვილი, მაგრამ რა შვილი!
მარგალიტს ჰგავდა შენაძენი თვით შაჰის ზღვისგან,
ჩირაღი იყო, ნაბოძები უფლის სხივისგან.
ბედით ნაკურთხი და მემკვიდრე თვისი მშობელის,
გვირგვინოსანი ბედნიერი, ქვეყნის მფლობელი!
მამამ ხოსროვად თავისი ძე შეიცნო თვითონ,
ხოსროვ ფარვიზი მას სახელად უწოდა მიტომ.
მიტომ დაერქვა ამ შაჰის შვილს ხოსროვ ფარვიზი,
რომ იყო დიდად მოყვარული ყველა ამისი.

მუშკივით ჰყავდა გახვეული ძიძას ფარჩაში,
მარგალიტივით შენახული სუფთა ბამბაში!
სახე – თვით მზეზე ბრწყინვალე და თვალის მომჭრელი,
ტაბილმოღიმარი, როგორც დილა ლხენის მომგვრელი.
რძესა და შაქრის შეზავებულს რომ ჰგავდა თვითა,
იმ ყმაწვილს უწყეს გამოკვება შაქრით და რძითა.
შაჰის მეჯლისში დაჰყავდათ ის, ვით მთვარე ბადრი,
ბავშვი კი არა, ხელში თითქოს ეჭირათ ვარდი.
რადგან აკვნიდან იგი ყველას იმედსა ჰფენდა,
მთელი ქვეყანა სიყვარულით სულში იძვრენდა.
ყოველი წელი, რაც ემატა ხელმწიფის ძესა,
სიბრძეს მატებდა იმ ბავშვს, ჭკუით ისედაც ბრძენსა.

ხუთის რომ გახდა, საოცრება თუ რამე არის,
მას ჩაიდენდა ეს ყმაწვილი გასაოცარი.
ექვსის რომ გახდა, საროსავით ის იზრდებოდა,
ექვსი განზომვის გაგებას თვით ეტანებოდა.[72]
ისე ცნობილი გახდა მისი ნათელი სახე,
რომ იფიქრებდი: იოსები მისრელი ვნახე!
მამამ ურჩია მას სწავლისათვის მიეყო ხელი,
რომ ამ ქმნილიყო მწარედ მისი წუთისოფელი!
ამ სიტყვის შემდეგ მცირე ხანმა რომ გაირბინა,
ყოველ საქმეში საქმის ცოდნა გამოიჩინა.
ისეთ ზომამდე მისი სიტყვის ცოდნა აღწევდა,
რომ ზღვად იქცა და მარგალიტებს უხვად აბნევდა.
მჭევრმეტყველებით მისი სიტყვა წყლის დენას სჯობდა,
რომ მის წინაშე წინააღმდეგ ვერავინ ბჭობდა!
გამჭრიახობით, სიფაქიზით ბეწვსა ხვეწავდა,
და თუ ეწადა, დააწყლობდა სიტყვას ბეწვადაც.[73]
ცხრა წლის შემდეგ რომ დაასრულა თავისი სკოლა,

გველეშაპებთან და ლომებთან შეეძლო ბრძოლა!
და როცა ლომგულს შეუსრულდა, მას, ათი წელი,
ოცდაათი წლის დევგმირსაც ჯი მოტეხა წელი.
თვით ლომის ბრჭყალებს თავის ძლიერ ბრჭყალს გაუყრიდა,
დიდი ხის ბოძებს ლერწამივით ხმალითა სჭრიდა.
ნასროლი ისრით გამონასჯულს გახსნიდა ძუას,
შუბს რომ ისროდა, გააფრენდა აბჯრის რგოლს შუა.
სავარჯიშოში როცა ისარს ისროდა ისა,
ჯარგად იცოდა, მოარტყამდა დანიშნულ მიზანს.
ვისაც ძალედვა მოეზიდა ათიოდ მშვილდი,
ეჭიდებოდა ხოსროვის მშვილდს და ჯი ვერ შლიდა.
მისი ქამანდი ათ ქამანდსაც სჯობნიდა ცხადად,
ერთი მოქნევა იმ ქამანდის ჯი ღირდა ცხრადაც.
მისი ისრის წინ თეთრი დევი თუ დადგებოდა,
ისიც ტირიფის ფოთოლივით ათრთოლდებოდა.[74]
სხივი შუბისა პირდაპირ ქვას თუ მოხვდებოდა,
ტინიც რომ იყოს, შუბი გულში ჩაუჯდებოდა.

მისი სიცოცხლე თოთხმეტ წლამდე როცა მივიდა,
მის სიბრძნის ფრინველს უკვე ფრთები ამოუვიდა!
განსჭვრიტა ყოფნის საიდუმლო იმან ფარული,
ქვეყნის ავ-ჯარგის ანგარიში შეიგნო სრული.

ბოზორგომიდი იყო ბრძენი და მეცნიერი,
გონიერებით და შეძლებით მეტად ძლიერი.
მიწა მის ფეხქვეშ იქცა მცირედ, ნაწილ-ნაწილად,
თვით ზეცის სივრცე გაეზომა გონებით წვრილად.
ხელში ეჭირა საიდუმლოს გამოსაცნობი,
ყლიტე ხელთ ეპყრა თვით ზეციურ განძთა საწყობის.
გამოიბარა ერთხელ იგი ხელმწიფის ძემან,
ინდურ ხმალივით ენა თვისი იშიშვლა ბრძენმა.
მონახა იმან მარგალიტი იმ ცოდნის ზღვიდან,
მოჰჯიდა ხელი სიყვარულით ჯალთაზე თვითონ.
გული ნათელი სწავლისათვის აიგიზგიზა
და იმისაგან ბევრი სიბრძნე მან შეითვისა.
ზუალის ფარგლით შუაგული ვიდრე მიწისა
იგი დიდებით ახსენებდა შემოქმედს ცისა.[75]
მალე სიბრძნეში დაემგვანა უძირო ზღვასა,
ბრძენთაგან ნასწავლს ფლობდა სიბრძნეს სხვასა და სხვასა.
უცოდნო გულმა შეცნობამდე თვით მიაღწია,
მისმა ნაბიჯმა შაჰობამდე თვით მიაღწია.

როცა გამოჩნდა ჯაშუშობა იმ საწუთროსი,
საიდუმლონი მოტრიალე იმ სამყაროსი,
მამის მსახურად ყოფნა იყო იმის შვება,
მუდამ ეწადა, აეხდინა იმისი ნება.
თვით ქვეყნის, მპყრობელს იგი ქვეყნად უყვარდა მეტად,
ქვეყანა რაა, რა ედრება იმ ტრფიალს ნეტა!
რომ ყოფილიყო ქვეყანაზე ზავი დღეგრძელი.
მან შეამოკლა გამოწვდილი მტრის გრძელი ხელი.
გამოაცხადა მან საქვეყნოდ ბრძანება ასე:
„ვაი მას, ვინაც სხვას დაჩაგრავს, დავჩაგრავ მასვე!
თუ სადმე ცხენით გაივლიან სავსე ყანაში,
წართმევის მიზნით თუკი შევლენ მეხილეს ბაღში,
თუ რომ სხვა ქალის სახეს ვინმე მიაცქერდება,
ან თუ ლამაზი ვაჟის სახლში იგი დაჯდება,
მართლმსაჯულებას ენიჭება ჩემგან ღირსება,
რის გამო ბევრის ფეხს ბორკილი აღარ აცდება!"
[ანუშირვანმა რომ სიმართლის ფუძე ჩაჰყარა,
ქვეყნად მშვიდობა და სიკეთე მით დაამყარა.]
შაჰს სამართალში თუ არა სჭირს უდარდელობა,
ექნება მუდამ მის ქვეყანას თვით ჯანმრთელობა!

ხოსროვის ქეიფი მინდორში და ჰორმუზის მიერ მისი დასჯა

ერთხელ, შემთხვევით მხიარული თავგასართველად
განთიადის ჟამს გაემგზავრა ხოსროვი ველად,
როცა გაწყვიტა მან ნადირი აურაცხელი,
იმ დროს გამოჩნდა შორით ერთი ტურფა სოფელი.
რომ დაინახა იმ სოფელთან მწვანე ახალი,
იმ მწვანე ველზე გაიფინა საჯდომი ხალი.
იმ მწვანე ველზე იგი წითელ ღვინოსა სვამდა,
სანამდის ვარდი ჰირყვითელი წავიდა სადღაც.[76]
როცა მზეს ლაჟვარდ ცის ტატნობზე მოაყლდა ძალა,
ალამი სახლის მან კედლებზე ყვითლად გაშალა.[77]
როდესაც სულთანს გაქცევით დრო დაუდგა ავი,
დროშა დახია, შეიყერა მან ჩადრი შავი.
მერანის ალვირს ცის თაღიდან ძირს ეწეოდა,
და ორი ხელით ხმალით ზეცას ემუქრებოდა!
როცა დამარცხდა და შეიქნა ჯიგარდამწვარი,

ლოტოსის დარი მზემან წყალში ჩააგდო ფარი.[78]

მეფის მემკვიდრემ იმ სოფელში მონახა ბინა,
და მთვრალმა სხვებსაც შიგ ქეიფი დააწყებინა.
დაჯდა იმ ღამეს მეგობრებთან ღვინის სასმელად
და ღვინის სმაში გაატარა ის ღამე მთელად.
ორღანონის ხმით მისი ყურთა სმენა ტკბებოდა,
არღავანისფერ ღვინოს სვამდა და ითვრებოდა.
სურა ციმციმა ღვინის ჰქონდა მას ავსებული,
ღვინისგან ჰქონდა მას სიცოცხლე მინიჭებული.

მაგრამ მერანმა, რომ ეჭირათ ცუდი ლაგამით,
ვიღაცის ყანა გააფუჭა იმ დილის ჟამით.
ერთმა მონამაც, ქეიფობდნენ სანამ ისინი,
რამოდენიმე მოიპარა ბაღში ისრიმი.
დილის რიჟრაჟზე მზემ სხივი რომ მოჰფინა ველად
და ღამის თავი განაშორა დღის სხეულს ხელად,
შავმა ყორანმა, შავ ჩიჩახვით და ფრთით რომ არი,
თუთის ფრთების ქვეშ დასდო ჯვერცხი ოქროსმაგვარი.[79]
ღამემ ზურგიდან მოიშორა ნახშირის ტვირთი,
მიწის დაფიდან აიღო თან თავისი თითი.

ორიოდ პირმა, გაიძვერამ, შეხედა მტრულად,
და ეს ამბავი გააქცუნეს შაჰთან ფარულად:
„გუშინ ხოსროვი უწესრიგო რამეს შვრებოდა,
თვით შაჰინ-შაჰსაც ჯი არაფერს ეხათრებოდა!"
მეფე გაჯავრდა: „რა უქნია, მითხარით ჩქარა!"
„უსამართლობა ჩაიდინა, ცოდვად ეს ჯმარა.
მისმა მერანმა მწვანე ყანა შეჭამა მთელად,
მონამ ყურძენი უმწიფარი სულ დაანელა!
ღამით მწირს ძალით წაართვა მან ვიწრო ადგილი!
უცხოს ყურამდე აღწევდა მის ჩანგის ხმა ტკბილი!
თუ მას იზამდა უცხო ვინმე, არა მემკვიდრე,
მტვრად წავიდოდა უფლის მიერ მისი სიმდიდრე!
ექიმი ნესტარს სხვის ძარღვებში მშვიდად ატარებს,
მაგრამ თავის ძარღვს შიშისაგან ხელს ვერ აჯარებს."
მეფემან ბრძანა: „აღადგინონ სიმართლე ისევ,
და მის მარდ მერანს ხანჯლით ფეხი მოაჭრან მყისვე!"

მონა აჩუქეს ყურძნის პატრონს, მქონე დარდისა,
მლაშე წყალს წყალი შეურიეს მყისვე ვარდისა.[80]
იმ სახლში, სადაც ხოსროვს ჰქონდა ბარგი-ბარხანა.
თვით სახლის პატრონს მისცეს ტახტი, რომ ჰქონდა თანა.

მის მეჩონგურეს ჯი დააძვრეს შემდეგ ფრთხილები
და იმის ჩანგსაც დაუწყვიტეს ყველა სიმები!

ნახე სასჯელი? თუ ვით სჯიდნენ უკეთურს ძველად,
თვისი და სხვისი ერთი იყო იმათთვის ყველა.
როდესაც იყო მოსამართლე ჯანონმდებელი,
მან თავის შვილსაც ისე მკაცრად შეახო ხელი!
ცეცხლის მსახურთა ზნე ჰქონიათ ესოდენ მშვენი,
მუსულმანობავ, შენ რას შვრები, სირცხვილი შენი!
მუსულმანნი ვართ ჩვენ და გებრი მას ეწოდება,
თუ ის გებრია, მუსულმანი რაღა იქნება?
ნიზამი, ისევ შენს ამბავზე დაიწყე წერა!
თორემ ამ რჩევის ჩიტმა ცუდად დაიწყო მღერა.[81]

მოხუცების შუამავლობა ხოსროვის მამასთან შვილის შესაჯერებლად

ნახა ხოსროვმა, რომ სასირცხვოდ თავი გასწირა,
თავის საქმეში მთელი არსით ის ჩაიძირა.
მიხვდა, რაც რამ ჰქონა, დასტურ იყო ცუდი და ავი,
დაასკვნინა თავის მამას სიმართლით თავი.
ცუდ საქმის გამო წაიშინა მან თავში ხელი,
ამ სიმწარისგან არ დამჯდარა საათი მთელი!

დარბაისლები გამონახა მოხუცნი ერთობ,
და იმათ თხოვა: „მამა მეფეს შემაჯერეთო!" –
ეგება შაჰი მათ თხოვნაზე დაეთანხმება,
წარსული ცოდვის ვალი იმას არ გადახდება.
და დასუდრულმა ხელთ აიღო თვისი მახვილი,[82]
ასტეხა ყველამ ამის გამო ვაის ძახილი.
ბოლიშის მოხდით მიუძღოდნენ მოხუცნი ფარვიზს,
ტყვე თუ არ იყო, არ ეგონა ფარვიზი არვის.
ტახტის წინაშე რომ მივიდა, მოსთქვამდა ძალზე,
ვით დამნაშავე ერთხმებოდა იგი მიწაზე;

„ჰოი, შაჰინ-შაჰ, მეტ სატანჯველს ნუ მომაყენებ,
ჰქენი სიკეთე დიდკაცური და მომასვენე!
იოსები ვარ და შენ მგელი ნუ კი გგონივარ[83]
თვით ჰატარა ვარ თუმცა ცოდვა დიდი მქონია.
არ შემშრობია მე ტუჩებზე ჯერ კიდევ ხსენი,
ლომებრ ჩემს სისხლზე ნუ იხარებ, სიკეთე ჰქენი!

ჰქენი წყალობა, მცირე ჭეშა მაგ მონაგრისა,
ვერ შეძლებს თვითონ აიტანოს რისხვა მამისა.
თუ შემცოდე ვარ, შენი ხმალი, ჩემი ჯისერი!
თუჯი შენ მომჯლავ, შევიქნები მით ბედნიერი.
ყოველი სევდის ატანისა მაქვს მე უნარი,
ოღონდაც მეფის დროშა იყოს გაუხუნარი!"

ეს რომ წარმოთქვა, მიწის პირზე მონურ-მორჩილად,
როგორც რომ ჩრდილი, დასდო თავი მიწაზე ფრთხილად.
რომ დაინახეს დაამსწრეებმა საქმე ამგვარი,
ატირდა ყველა და დაიწყეს მოთქმა და ზარი
(და იმ მოთქმის ხმამ თვით ზეცამდე ჯი მიაღწია
ვაი-ვუის ხმამ შაჰის გულიც ჯი შეარყია),
რომ: „ბავშვი ასე ჰატარა და მშვენიერება,
სჩადის იმ საქმეს, რომელიც არ შეეფერება
სახელმწიფოს ხომ შვილისათვის ცუდი არ უნდა?
მის მამასაც ხომ თავისათვის ცუდი არ უნდა!
რასაც შენ გიზამს შენი შვილი, იცოდე ისა,
იმასვე უზამს მისი შვილი შემდეგ იმისა.
შენი ავ-ჯარგით შენს მონაგარს ნუ განასხვავებ,
რადგანაც იგი თვით შენნაირ გზას დაიჯავებს".

ნახა ჰორმუზმა თავის შვილი ბედით მორჭმული,
სულით და გულით იყო უკვე განკურნებული.
ის, როგორც შვილი, იყო უკვე გულისხმიერი,
რომ გახდა იგი შეგნებული და ღვთისნიერი.
აკოცა თავზე, მზრუნველობა დიდი აჩვენა,
როგორც მემკვიდრე, ჯარის თავად ის დააყენა.
და ამის შემდეგ ხოსროვი რომ დადგა სხვა გზაზე,
მთელმა ქვეყანამ დაიმღერა სხვანაირ ხმაზე.
სახის იერი დიდ სიმართლეს მას უმტკიცებდა,
ქვეყნის მფლობელი ყველგან მზიურ სხივებსა ჰფენდა.

ხოსროვის მიერ პაპის ანუშირვანის სიზმარში ნახვა

როცა გაშალა ღამემ მისი შავი დალალი
და როს ნათელი სულ შთაინთქა ბნელეში ვალალით
და როცა ცაზე, ისე როგორც ჰქონია წესად,
მთვარემ წაართვა ასპარეზი ჯაშჯაშა მზესა,
წავიდა ხოსრო ღვთის ტაძარში მოსალოცავად,

ადიდა ღმერთი წმინდა გულით და დაჯდა თავად.
დიდი განცხრომით მიეპარა მის თვალებს ძილი,
რა წინა ღამის იყო იგი ძილგატეხილი.

თვისი ბაბუა ნახა ძილში მან სასახელო,
უთხრა: – „ახალო მზევ, ამ ქვეყნის მანათებელო!
თუ ოთხი რამე იყო შენთვის გულის აღმძვრელი,
მინდა, ოთხი რამ გითხრა ფრიად გასახარელი.
ერთი ეს არის: რომ შეჭამე მჟავე ყურძენი,
არ დაღრეჯილა იმ სიმჟავით ეს სახე შენი, –
გულის წარმტაცი ჩაგეხვევა შენ იმის ნაცვლად,
მისებრი ტკბილი არ ენახოს ამქვეყნად კაცსა
[სიტკბოს მიაღწევ მხოლოდ მისი სიმშვენიერით,
მისი მაგვარი არვინ მოვა ამქვეყნიერი.]
მეორე: შენს ცხენს იმათ ერთხელ თუ მოსჭრეს ფეხი,
შენ კი ამისგან არ დაგეცა თავზარი, მეხი, –
შავ ცხენს შეიძენ, მის უკეთესს, შაბდიზს სახელად,
ვერ მიეწევა ცივი ქარი გაფრენილს ველად.
მესამე: მეფემ გლეხს რომ მისცა ტახტი საჩუქრად,
უბედურება არ აღძრულა შენდა სამუქრად, –
ჩაიგდებ ისევ დიდებულ ტახტს ხელში მეფურად,
რომ იქნეს იგი შენახული ოქროსებურად.
მეოთხე ისა, რომ ჩაიყალ შენს გულში ბრაზი,
როდესაც მუტრიბს ჭანგი დასჭრეს, აართვეს საზი, –
ნაცვლად ბარბიდი მოგეცემა დამკვრელად შენა,
მისი ხსენებაც კი დაგატკბობს, არათუ სმენა,
ქვის მაგიერად შენ მიიღებ ოქროს და ლალებს,
ოთხი კენჭის წილ ოთხ მარგალიტს იპოვი მალე!"

მეფის მემკვიდრემ ამის შემდეგ, რომ გაიღვიძა,
გაკვირვებულმა ხელმეორედ ღმერთს თაყვანი სცა.
მთელი დღე-ღამე ამის შემდეგ ხმას არ იღებდა
და ჰაჰის ნათქვამს საიდუმლოდ ყურსა უგდებდა.
[გულში ფიქრობდა, რაც იმ ღამის სიზმარში იგრძნო,
რომ ყოველივე, ვით რიგია, მას გამოეცნო!
მთელი დღე-ღამე იგი მუდამ მის ფიქრში იყო,
ძველი ზიანი საკეთილოდ რომ ამხდარიყო.

მივიდა შაჰთან ერთ დღეს იგი გულანაძგერი,
ჰქონდა ლოყები ანთებული, ვით ცეცხლის ფერი.]
და მთელი ღამე ბრძენ კაცებთან ის ბაასობდა,
ეკითხებოდა უამბობდა და მასზე ბჭობდა.

შაფერის ნაამბობი შირინისა და შაბდიზის შესახებ

ლიდად განთქმული ჰქონდა ყველგან შაფურს სახელი,
ჰქონდა დავლილი ყიდით ყიდე ქვეყანა მთელი.
იგი მხატვრობას თვით მანისაც ჯი ასწავლიდა,
ევკლიდოსსაც ჯი იგი თავის მოწაფედ სთვლიდა.
ყალმის ოსტატი და მხატვარი რამ იშვიათი,
უყალამოდაც იხატოდა მისგან სურათი.
ისე წყლიანად თავის საქმე მას გამოჰყავდა,
რომ თვით წყალზედაც ჯი მშვენიერ სახეს ხატავდა.

მიწას აყოცა, ფარვიზის წინ დახარა თავი,
წარმოთქვა სიტყვა ყაცის გულის მოსახიბლავი:
„თუ ნებას მომცემს მთელი ქვეყნის დიდი მპყრობელი,
მის ერთ მეასედს მოგახსენებ, რაც მაქვს სათქმელი!"
ნება უბოძა ხოსრომ და თქვა: – „ჰოი, ყმაწვილო,
თქვი რამე ჯარგი და იმედი არ გააწბილო!" –
ენა გაშალა ენამჭევრმა შაფურმა მაშინ
და გაურია სურნელება და ფერი თქმაში:
„სანამ არსებობს, მონა იყოს სამყარო თქვენი,
შენს სასიკეთოდ წარიმართონ წლები და თვენი!
მაგ შენს მშვენებას სიჭაბუკე ნუ მოშორდება,
ყოველიმც შენი მისწრაფება აგისრულდება.
გამწარდეს, ვისაც სიტყბოება მისი არ უნდა,
დაიქცეს, ვისაც აშენება მისი არ უნდა!
ბევრი ვიარე ექვსთაღიან სამყაროს გზაზე,
საჯვირველება ბევრი ვნახე მთელ ქვეყანაზე.
ქოჰესთანს იქეთ შორს არაა გზა წასავლელი,
იქ, სადაც არის დერბენდის ზღვის ნავსაყუდელი,
ბრძანებლობს ქალი მეფის გვართა ჩამომავალი,
ისფაჰანამდე ღელავს მისი ჯარი მრავალი,
ყოველი მხარე არანისა თვით სომხეთამდე
იმ ქალის ნებას აღასრულებს, მხარეს ფლობს ამდენს.
არა აქვს მხარე, რომლის ხარკს არ იღებდეს ისა
აქვს ყველაფერი გარდა ტახტის და გვიგვინისა.
ათასი ციხე მაღალ მთებში ცის მიმწვდენი აქვს,
განძთა ხაზინა, ღმერთმა უწყის, თუ რამდენი აქვს.
რამდენიც გნებავს, ჰყავს ოთხფეხი შინა ცხოველი,
მასთან ფრინველი და თევზები აურაცხელი.
არა ჰყავს ქმარი, მაგრამ ცხოვრობს ყეთილმოსილად,


کهی کشتا بساتے زخمہ رود
بہ جامی کہ باد این عیش مدرود
کهی با بار بدگشتی می از جام
بزن کاسپاں بکیت باد فرجام
ملک بر یاد شیرین تلخ باده
لبالب کرده و بر لب نهاده
بشادی مه زمان میخور دکاے
بدین پیمان تا زشب بگذشت پاے

თავის ბედნიერ სიცოცხლეს ის ატარებს ტაბილად.
ვაჟკაცზე მეტი მტრის შეტევა მას შეუძლიან,
უდიდეს ქალად ქვეყანაზე იმიტომ სთვლიან.
შემირა არის სახელი იმ ქვეყნის მფლობელის,
შემირასა აქვს „მეჰინ-ბანუს" დიდი სახელი.
როგორიც უნდა ჰავა იმას, რბილი თუ გრილი,
წლის ყოველ დროსთვის განიმზადა ყველგან ადგილი.
გამოზაფხულზე მულანშია მოსვენებული,
რომ მისი ფეხის მტვერი იყოს მწვანით შემკული!
ზაფხულში იგი მიდის მუდამ სომხეთის მთაში
და დანარნარებს თავად ვარდი ყვავილთა ბაღში.
შემოდგომაზე ის ყოველთვის აბხაზს ეწვევა
და ხალისიან ნადრობას ის იქ ეწევა.
ზამთარში მუდამ ქალაქ ბარდას მიელტვის გული,
ქალაქი ბარდა თბილი ჰავით არის განთქმული.
ოთხი დრო წლისა იმგვარად აქვს მას განზომილი,
ყოველი დროის ჰავა იყოს საამო, ტკბილი.
ყველგან, ყოველთვის სულსა და გულს იგი ახარებს,
ლხენა-თამაშში წუთისოფელს ტკბილად ატარებს.
ციხე-დარბაზი აქვს, ზედიზედ ერთმანეთს ერთვის,
არავინ უვის, ძმისძულიღა დაუდის ერთი."

შირინის სილამაზის აღწერა

„ვერია იყო? არა, მგონი, ის იყო მთვარე,
გვირგვინი ერქვა, თავსაბური ებურა გარეთ.
ღამის მნათობი სხივმოსილი, ვითარცა მთვარე,
აგვრიალებდა უკვდავების წყაროებრ თვალებს.
ტანამართული, ვით ხურმის ხე, ვერცხლის ასულის
ხურმის საკრეფად ორი ზანგი ხეზე ასული.[84]
რომ მოიგონა სილამაზე იმ ტურ-ტკბილისა,
გაივსო პირი შაქრის წვენით ხურმის ხილისა.[85]
ყბილ-მარგალიტმა რომ დაიწყო სხივთა ციალი,
გადასცა სადაფს შორით თავის ყბილების წყალი.[86]
ორი შაქარი აყიყია თითქოს ცვრიანი,
ორი ნაწნავი ქამანდია არა გვიანი.
ნაწნავის რგოლით ყაცის გულში ჩაეშვა დარდი,
ნაწნავთა მწვანით მოეკონა თვით ყონა ვარდის.
მისი თმებისგან მონაბერნი მუშკის სურნელი,

ნარგიზისათვის ასატანი შეიქნა ძნელი.[87]
თვალთმაქცმა თავის თვალთმაქცური ჯადოქრულ ძალით
მოაჯადოვა ენა თავის ბოროტი თვალის,
მან ჯადოქრულად გულის ცეცხლი აანთო ცხარი,
ტუჩთა ას ენამ გადაყარა ასჯერ შაქარი.[88]
მარილი მის ტუჩს თვით ღიმილში აქვს გარეული,
მარილს არა აქვს სიტკბო, მაგრამ მას ჯი აქვს სრული.
იმისი ცხვირი არის, როგორც ვერცხლის მახვილი,
და იმ მახვილით არის ვაშლი შუა გაჭრილი.[89]
ვითარცა მთვარეს, ძალუძს ლაქი დაასვას ფარჩას,
თავად ჯი მასზე ერთი ლაქიც არა და არ ჩანს.[90]
იმის სანთელთან შენ უამრავ ჰეჰელას ნახავ,
იმის სინაზით გულმოხიბლულს შენ ყველას ნახავ.
როდესაც სიო ეფერება ამ ყეყლუცს თავად,
მას ხან ყარყუმად გამოაჩენს, ხან ჯიდევ – წავად.[91]
აქვს თვალთმაქცური ჯომწიობის უებრო ნიჭი,
ნიჯაჰი ვაშლის და ღაბაბი, როგორც თურინჯი.
ესოდენ ტურფა და ლამაზი იმისი სახე
ციდან ვარსკვლავებს სწყვეტს, ასეთი მშვენება ნახე!
აქვს ორი ძუძუ, – ბროწეული უმწიფრო მარად,
ზედ ვარდი ფურცლებს აყრის იმათ დირემის დარად.[92]
იმისი ლალი ჯოცნის ჰასუხს ალარ იძლევა,
რადგან ის ლალი თუ გაიხსნა სულ დაიბნევა.[93]
მისი ყელის ჯავრს ჩაუგდია ჯაფაში შველი,
„ჩემს ყელს იმისი ყელი სჯობსო, ვინ მყავსო მშველი",
შველის თვალებით, წმინდა წყალით როა ავსილი,
თვით ლომჯაცებს აქვთ იმისაგან ჯურდღელის ძილი.
ათასი გული აავსო მან მწარე ეჯალით,
ერთმა გულმაც ჯი ვერ მოგლიჯა ის ვარდი ძალით.
ღამით სიზმარში ნახულობენ, რად გინდა რამე, –
დღისით ვერ სჭვრეტენ, ისე როგორც მზეს ვერ ვჭვრეტთ ღამე.
თავის თვალებით, თუჯი იგი დაუჯვირდება,
ყოველი შველის თვალი ასჯერ მით დამცირდება.
მისი ელამი ნარგიზები იმგვარად ჯრთიან,
რომ შურით ერმის ყვავილსაც ჯი ბაზრად ჰყიდიან.[94]
საზეიმოა მისი წარბი ახალმთვარული,
ვინც ნახა, ყველას გაუწირავს იმისთვის სული.
გაჰჯვირდებოდა თვით მეჯნუნი, ის რომ ენახა,
ლეილი ყაიმს თუ შეძლებდა მასთან ხელახლა.

ამაყი სახის, თითქო ყველას აშინებს მითი,
ათი ყალამი აქვს ხელში მას, ის ათი თითი.
იმის სახესთან მთვარე მოჩანს ვით ხალი შავი,
ღამეს აქვს ხალის გაკვეთილი წასაკითხავი.
თვით მარგალიტი შურით უმზერს მის ყურსა და ყელს,
სიკეთე მისცეს ასეთ ძვირფას განძის გამყიდველსl
მითქმა-მოთქმა და აღშფოთება გულგასახარი,
ასი ათასი ჯოცნა ტუჩზე, როგორც შაქარი.
ხუჭუჭი თმები აქვს მას ნაზი, გულამაძგერი,
ბაგე და ჯბილი მარგალიტის და ლალისფერი.[95]
იმ ლალითა და მარგალიტით შაქარს აბნევდა,
და სიხარულად შეუცვლია რამდენი სევდა![96]
ჭკუა ფუჭდება მისი მთვარის სახეზე ცქერით,
გული და სული შფოთავს თმების სიმშვენიერით.
უნარი ღელავს მისი წმინდა სიცოცხლის გამო,
და ფშვენას მისას მონად ექცა თვით ამბრი ამო.
სახე ასკილის აქვს და სუნიც, როგორც ასკილი,
ბაგე ტკბილი აქვს და სახელიც შირინი, ტკბილი.[97]
დაშაქრულ ენით მისი ბაგის ნექტარსაც გრძნობენ,
იმის ქალობას მეჰინ-ბანუს მემკვიდრედ სცნობენ.
მზუთუნახავნი, იმ სამეფოს ძლევამოსილნი,
არიან ყველა მისი ნების მონა-მორჩილნი.

დიდებულთ შვილნი, ჰირისახე რომა აქვთ მთვარის,
სამოცდაათი ქალი იმის მოახლედ არის.
სიტურფით ყველა სათითაოდ სულს დაგიწყნარებს,
სინაზით ყველა მთელი ქვეყნის გულს გაახარებს.
ამშვენებთ ჩანგი და სიამით ჯამსა სწურავენ.
ვით მთვარე, ვანით – ვანისაკენ ლხენით ცურავენ.
მთვაროვან სახეს თმები მუშკის სურნელს აფრქვევენ,
ხან სურნელოვან ვარდ-ბუჩქებში ღვინოსა ლევენ.
ნილაბით მათი ნაზი სახე არ იფარება,
მაგრამ მათ მაინც ავი თვალი არ ეკარება.
სიმშვენიერით ქვეყნად ვერვინ ვერ შეედრებათ,
ამ ქვეყანაზე ლხენის მეტი რა ესაქმებათ?
თუ დასჭირდებათ ძალადობა იმ ტურფა ქალებს,
ამოაძრობენ სჰილოს ეშვებს და ლომებს – ბრჭყალებს.
თუ შეუტიეს, მთელ ქვეყანას სულ გადასწვავენ,
ისრებით თვალებს ვარსკვლავებსაც აუკერავენ.
ჯაცთ სამოთხეში ეგულებათ ფერია მუდამ,

მიტომ მათ მხარეს ჩვენც სამოთხე ვუწოდოთ უნდა.
[ერთი ბაღი სულ სავსეა იმ მშვენიერებით,
ხელში უჭირავთ ბაღი, სავსე ტკბილ სიმღერებით.
იმათი ჰირი უტკბესია ბევრად შაქარზე
და სურნელებაც მათ მეტი აქვთ თვით მუშკ-ამბარზე.
მაჰინ-ბანუ, ვთქვათ, იმა ქვეყნის პატრონი არი,
მისია იგი, ოქრო-ვერცხლით ასე მდიდარი.]

შაბდიზის აღწერა

ხორში რაში მას უბია ისეთი ჩქარი,
რომ სირბილის დროს ვერ დაიჭერს იმის მტვერს ქარი.
სიჩქარემ მისმა განაცვიფრა ძე ჯაცის ჭკუა,
თევზია, მორევს ასე რომ სჭრის? მაშ იხვი თუა!
ერთ გაქანებით იგი მზისკენ რომ გასწორდება,
ცის შვიდ მოედანს უსათუოდ გადაშორდება.[98]
რჯინის ფლოქვები მისი ზოგჯერ დიდ მთის მთხრელია,
ზოგჯერ, ვით გემი, თვით ზღვის სივრცის გადამჭრელია.
ქროლვით საწუთროს ჰგავს ფიქრივით ფიცხი და მალი,
ღამისებრ მცოდნე და დილისებრ ფხიზელი, მჯრთალი.
შაბდიზი ერქვა შავს სახელად და ღამის მითი
შაბავიზზედაც უფრო იყო მიჯნური თითქმის.[99]
ოქროს ბორკილი იყო მისთვის გამზადებული
და იმ ბორკილით მას ფეხები ჰქონდა შეკრული.
არც შირინივით მშვენიერი მე არ მინახავს,
არც შაბდიზივით ღამის ფერი მე არ მინახავს".
როცა შაფურმა დაასრულა ეს საუბარი,
შეექნა შვება მძინარი და ტრფობა – მღვიძარი.
ყოველი სული ტურფა შირინს ჰატივსა სდებდა,
ენატკბილობას მისას ყველა ადასტურებდა.
აქეს შაფური, ვენდობითო ჩვენ გემოს მისას,
ჩინელ ოსტატებს რაიც მოსწონთ, მას მოსწონს ისა.[100]
ხოსრომ ეს საქმე იმოდენად ამოიჭინა,
რომ მისი დარდით მოუსვენარს ალარ ეძინა.
[ერთხელ შაჰს ამან გრძნობა ისე ააშლევინა,
იტყოდი, ეშმამ სწორი გზიდან გადააცდინა.]
მთელი დღე იგი ამ ამბავსა სჩხრეკდა, ჩიოდა,
იმ აზრის გარდა მისგან არა გამოსდიოდა.
რამდენიმე დღეს ამ ოცნებას ის ატარებდა,

მშრალი ამბითაც იგი თავის გულს ახარებდა.

როდესაც საქმე მას ხელიდან გამოეცალა
და მოთმინებამ მისმა უკვე დაჯარგა ძალა,
მოიხმო მარტოდ იმ ამბისა მომყოლ-მღერალი
და იმ ამბისა უთხრა იმან სიტყვა მრავალი.
მას უთხრა: „ჰოი, მოხდა, როგორც გული ზრახვიდა!
ვხვდები იმ საქმეს ისევ, ხელით რომ წამივიდა.
ამ საქმისადმი თუ სიყვეთეს შენ გამოიჩენ,
მორჩი ბარემ და ვაჟკაცობის სახელს შეიძენ!
გრძელად ნუ იტყვი, თქმა შაქარზე მოკლედ გასწურე
და იმის შემდეგ ხუზისტანში შენ გაეშურე![101]
ვითარცა ჯერჰის მალმერთებელს გეჭიროს თავი,
ხელში ჩავიგდო ის წარმტაცი მზეთუნახავი.
თან დააჯვირდი, თუ აქვს გულში ლმობიერება,
ადამიანებს იგი ახლო თუ ეყარება!
თუკი რომ სურათს ზე დაიმჩნევს ის სანთელისგვარად,
დაჰკარ ბეჭედი, რომ დააჩნდეს მასზე აშკარად.[102]
თუ რკინის გულის აქვს, მო, უკან არ მოიხედო,
მოდი, მითხარ, რომ ციცი რკინა უქმად არ ვჭედო!"

შაფურის წასვლა სომხეთში შირინთან

აიწას აკოცა მეფის წინ და გაშალა ენა:
„დაე, ხელმწიფეს მუდამ ჰქონდეს ლხინი და ლხენა!
ხედავდეს ყარგი თვალით იმას ყეთილმზრახველი,
ნურცა ჰქონია ავთვალს მისკენ გზა წასასვლელი!"
როცა შეასხა ქება მეფეს იმ სასახელომ,
ყვლავ ასე უთხრა: „ჰოი, დიდო ქვეყნის მპყრობელო!
როდესაც ყაცი ჩემს დახატულს შეხედავს, მან ის
არჟანგად იცნოს და ნახატი ეგონოს მანის.
ამოძრავდება ყაცი, როცა თავს გავუყეთებ,
დაიწყებს ფრენას ჩიტი, როცა ფრთას გავუყეთებ.
ნუ დაგიყრია, მეფევ, გულზე წუხილის მტვერი, –
წუხილის მტვერი არის ყაცის სიცოცხლის მტერი.
შემწეობისთვის ისეთნაირ საქმე ვეწევი,
ყოველ უმწეოს, ვით რიგია, მე შევეწევი.
გულმაგრად იყავ და ყოველთვის მით გაიხარე,
საქმეს ერთგულად გავუძღვები და მოვაგვარებ.
და სანამდე ვარ, ერთ წუთსაც ყი არ მოვისვენებ,

ჯანჯრის მუხლებს და ფრინველის ფრთებს გამოვიყენებ.
არ დავიძინებ, სანამ შენაც არ დაგაძინებ,[103]
არ მოვალ, სანამ სატრფოს შენთან არ მოვავლინებ.
ცეცხლიც რომ იყოს, რაინის სალტი გარს შემორტყმული,
ლალიც რომ იყვეს, ქვის შვაგულში მოთავსებული,[104]
მე გამოვიყვან ჩემი ძალით იმას იქიდან,
იმ ცეცხლს რაინიდან და აგრეთვე, იმა ლალს ქვიდან,
ხან ვარდებს ვიხმარ, ხან ეჯალსაც ჯი მოვიხმარებ,
შევხედავ საქმეს და მით საქმეს მე მოვაგვარებ.
თუ საქმე ჩემი მის მსახურად ჯეთილად ახდა,
ზვარაჯად მომაქვს საქმე ჩემი ხელმწიფის ტახტთან.
და თუ ამ საქმეს მოგვარებულს მე ვერ გაჩვენებ,
წამსვე შაჰინ-შაჰს მის შესახებ მე მოვახსენებ".

სიტყვა რომ ითქვა, სიტყვის მთქმელი წამოდგა ხელად,
მოირთო თვით და განემზადა გზად წასასვლელად.
[ღია ჯარიდან გამოვიდა, ვითარცა ქარი,
სადაც მივიდა, ყველგან იყო გულგანახარი.
არ უძინია, მოსვენებაც არ ჰქონია რა,
მან ხოსროვიდან შირინამდე ერთ თვეს იარა.]

და უდაბნოდან, უდაბნოში გაიბა გზები,
სომხეთის მთისკენ ისწრაფვოდა ზევით და ზევით.
მზეთუნახავებს, ვიცით, ჰქონდათ ასეთი რიგი,
რომ ზაფხულობით მოსალხენად ვიდოდნენ იქით.
მთები ყვაოდნენ. ყვავილს თვალი გამოეჭყიტა,
ზაფხულის მაცნე ქანაობდა სერებზე ტიტა.
იმ არემარის უამრავი ქვები ლაჟვარდი
შემოსილიყვნენ ყვითელი და წითელი ვარდით.
იქ, სადაც მთების უმაღლესი მწვერვალი იყო,
ზურმუხტისფერი ფართო ხალი ზედ გაშლილიყო.
ჯერა მის მთიდან ყველგან, ვიდრე გაშლილი ბუღრა,
ყვავილი ყვავილს ჩაწნულიყო, ვითარცა თუღრა.
და იმ მიჰრაბზე, საფუძველი როა ერაყის,
იგი ციხეა და საცავი თვით ენჰარაყის.
ტინის ტაძარში იყო ძველად აშენებული,
შიგ ქრისტიანთა ბერთა იდგა მთელი ჯრებული.
მერე შევიდა ქრისტიანთა ტაძარში იგი
იმგვარად, როგორც იყო მათი წესი და რიგი.

შაბდიზის წარმოშობა

ამას მცოდნე მწირმა ამნაირი უთხრა სიტყვები,
როცა გათალა იმან სიტყვის ძვირფასი ქვები:
„ამ მონასტრის ქვეშ ერთი დიდი, ღრმა მღვიმე არი,
შიგ შავი ქვა დგას ჯიშიანი ცხენისმაგვარი.
[გაზაფხულობით ეს ქვისაგან გამონაყვეთი
საჯვირველია, რაც გინახავს ყველაზე მეტი.]
ვარსკვლავთ შეყრის დროს ყოველ ჟამით რამქელეს მხრიდან
ფაშატი ცხენი საგოლაროდ აქ მოდის თვითონ.
ას ფარსანგიდან ამ მღვიმესთან მორბის ცხოველი
და იყარგება მასში ისე, ვით ხვრელში გველი.
ცდილობს, დაიცხროს ამ შავ ქვასთან სხეულის ვნება,
ჭინმორეული იგი ამ შავ ქვას ეტმასნება.
განგების ნებით იცხრობს იგი აქ თავის ვნებას,
ემორჩილება ყველაფერი განგების ნებას.
და ყველა იმ ჯვიცს, რომელიც ამ თესლიდან არის,
საწუთროს ქროლვის თვისება აქვს, სიჩქარე – ქარის.
ასე მოგვითხრობს დღეს ის ჯაცი ჭკუამაღალი,
რომ შაბდიზია იმ შავი ქვის ჩამომავალი“.

იმ მონასტრის ქვის ახლა ნახვაც რომ მოიწადო,
ვერას იპოვი, თუნდაც მისთვის ბევრი ეცადო.
და იგი ციხე, ენჰარაყად რომ წოდებულა,
ნახავ, თავიდან ბოლომდე სულ ჩამონგრეულა!
ვით მგლოვიარე, მოტირალი, იმ მთა ნითელში
ზის მარტოდმარტო ის ნანგრევი შავ სამოსელში.
ამ ადგილებზე მოვლენილა ღვთის წყრომა ციდან
და დალეწილი ჰყრია ქვები ციდა და ციდა.
და მთის გმინვიდან, რაიც ზეცას მიწიდან ეცა,
ზეცა შეძრწურდა და შუშები დაემსხვრა ზეცას.
ზეცით ასეთი მაგალითი მრავალი არი,
მაგრამ ეს საქმე მხოლოდ წარღვნას თუ არის დარი.
დაახლოებით მთისთვის ასე ოთხასი წელი
საბედისწერო რომ გამხდარა და გულისმძვრელი,
შენ, ერთი მუჭა მიწისა და ჰეშვის წყლის გუნდამ
მარადისობის იქონიო იმედი უნდა?
პირველ სიტყვაზე მოდი ისევ, ნიზამი, ჩქარა,
რა გაეწყობა, რაც იჩივლე, დღეს ისიც ჯმარა!

როცა დავარცხნეს ღამის შავი ხუჭუჭა თმები,
დღის მნათობს უკვე ფარვანასებრ დაუწვეს ფრთები,
ნარდის ფიცრის ქვეშ, ფერად როა აბნუსის ხისა,
რომ დაიმალა ჯამათელი სანდარუსისა, – [105]
ამ დროს მუშთარმა მოიტანა ჯარგი ამბავი;
„მეფეს და შაფურს ორივესო აშორდა ავი!"

იმ ძველ ტაძარში შაფურმა თვით სიბრძნით მოსილმა
გამოისვენა სიარულით გზაში დაღლილმა.
სურდა სიმართლე მოხუცთაგან იმა ტაძრისა,
ვინც იყო მცოდნე ამ მოძრავი, ძველი ჩარხისა.[106]
იმ მშვენიერთა ადგილი ხვალ ეჩვენებინა,
რომელ წყალსა და მწვანეზეა იმათი ბინა?
ბრძენთა – მოხუცთა დაწვრილებით უთხრეს ყოველი,
თუ სადაც იყო მათი სამყოფ-გასართობელი:
„ამა ვეება მთების ძირას, როა ქვიანი,
მწვანე მოლია და აგრეთვე ველი ტყიანი.
დილით ლამაზნი ღვინისაგან შეხურებულნი,
სურნელ მწვანეზე იქნებიან ერთად რებულნი".

როცა ინათა, ბნელი წარხდა როცა ღამური,
როდესაც ყარყუმს გამოექცა სიასამური,[107]
ელბრუსის მთიდან რომ ალმოხდა მზისა ნათელი,
ჯემშიდის სარკემ განაახლა ქვეყანა მთელი.
გათენდა ჯიდეც, მშვენიერი დილა რამ არი,
ადგა შაფური, შემოირტყა წელზე ქამარი
და წინ დაიდო ყვავილებით მორთული ველი,
ველზე ვარდებსაც მოეღერათ ლამაზად ყელი.
ხელში აიღო მან ნებივრად ქაღალდი, ზედაც
ხოსროვი ისე გამოსახა, თითქოს მას ხედავ.
მას ამ სურათზე მოხერხება მცირე დასჭირდა,
ფარულად იგი იქ მახლობელ ხეზე დაჰკიდა,
თვითონ ქაჯივით გაიარა შეუმჩნეველად,
ამ დროს იმ ადგილს ლამაზებიც მოვიდნენ ყველა.
იმ ქორფა მოლზე ქორფა სახით დასხდნენ ლამაზად,
ხან წიფლის ყლორტებს, ხან თაიგულს ჰკონავდნენ ნაზად,
ხანაც ვარდისგან გამოწურულ ვარდის წყალს ღვრიდნენ,
ხან კი ღიმილით ტუჩებიდან თეთრ შაქარს ყრიდნენ.
ცოლ-ქმრობის წესი ჰქონდა იმათ ჯერ უხილავი.

ქალწულობისთვის მოისყიდეს თავისი თავი.
ისხდნენ თავისთვის მეგობრულად თითო, ორ-ორი,
ხელუხლებელნი იყვნენ, როგორც ვარდის ჯოჯორი.
მოჰქონდათ ღვინო და გულთბილად მას შეჰყურებდნენ,
მოჰქონდათ ვარდი მთვარესა და ვარსკვლავებს ხელთა,
ქაჯთა დაეთმოთ ეს ქვეყანა, ჯაცთ დრო ეხელთათ.
ყველა იმათგანს აქვს სიწმინდე და სათნოება,
და ჩვეულებრივ ჩანდა მათი უბიწოება.
უცხო თვალთაგან ჰქონდათ თავი მათ დაფარული,
და მით მთვრალებმა წამოიწყეს ცეკვა-დავლური.
ხან ეს ხალისით ვარდის ყვავილს ასხამდა ხოტბას,
ხან ის ბულბულთან იმღერებდა, იმგვარად მოტყბა.
მათ არ იცოდნენ, ლხენის გარდა თუ რამე იყო,
მათ არ ენახათ, თუ რამე სხვა სიამე იყო.

შირინის სახე იყო მაშინ იმ ქალთა შორის,
როგორც რომ მთვარე გაბადრული ვარსკვლავთა შორის.
თვით მოყვარეთა მოსაგონრად ლხენით ტოკავდა,
ხან სხვას ასმევდა იგი ღვინოს, ხან თვითონ სვამდა.
და მაშინ, როცა თვით სურათმა მან, მსგავსმა მთვარის
ხოსროვის სურათს უცაბედად მოჰკრა იქ თვალი,
უთხრა ლამაზებს: „ის სურათი მოიტათ მალე,
ის ვინ დახატა, ნუ დამალავთ, თქვენ გენაცვალეთ!"

რომ მოიტანეს ის სურათი წინაშე ქალის,
ქალი იმ სურათს დააცქერდა გულის ჯანჯალით.
მას ვერც გულს მისცემს, რომ მისგანაც გული მიიღოს,
არც ისეთია, რომ მოხვევნა შესაძლო იყოს!
რამდენს უმზერდა, როგორც მთვრალი, ისე ხდებოდა;
რამდენ ჯამს სცლიდა, იმდენადაც გონს აკლდებოდა.
ხედავდა იგი, ვნებით გული რომ დაებნიდა,
დაუმალავდნენ, მაგრამ იგი კლავ მოსძებნიდა.
მეთვალყურეებს უკვე შიში გაუჯდათ ტანში,
რომ შირინს ალბათ გადარევდა სურათი ვაჭის.
დახიეს იმათ ის სურათი მთლად მშვენიერი,
რომელსაც ჩინურ ნახატების ჰქონდა იერი.

როცა შირინმა ის სურათი მოსთხოვა ქალებს,
უთხრეს: „სურათი ალქაჯებმა შორს გადამალეს.
თვალთმაქც ფერიას ამ ველიდან ჩვენ გავექცევით,
წავალთ სხვა ველზე და ვიცხოვრებთ კეთილი ქცევით!"
რა მუჯამარმა იმათ ცეცხლი შეუგზო ცხელი,

დასწვეს სეფანდი და იმ ველზე აიღეს ხელი.[108]
ჩაქრნენ ვარსკვლავნი, ცეცხლის ბოლი რომ ააყენეს,
და ტაიჭები სხვა ველისკენ მათ გააჭენეს.
[იმ ადგილიდან იმ ბინამდე გულის აღრევით
გულის დამწველნი მიდიოდნენ სხეულის რხევით.
როცა ქვეყანა იქცა მათგან სულ ყვავილნარად,
იმათი სახე ანათებდა ნათელ დღისგვარად.
როცა ამ ჯრების გული გათბა შირინის სხივით,
სიმთვრალის გამო მოერიათ ძილი დიდი ხნით.
იმ სიხარულით იგი მთვარე გახდა მწუხარე,
როცა ვარდს ძილი მოერია, გავიდნენ გარეთ.
ის ყეყლუცები გაეშურნენ თავის ბინაზე,
სადაც მათ მიჰხვდათ უდარდელი ძილის სინაზე.]

შაფურის მიერ ხოსროვის სურათის გამოჩენა მეორედ

რომ ამოვარდა ვარდისფერი რაში და ნალი
ვითარცა ტალზე დაჰკრა ქვაზე, ავარდა ალი,
გააღო ჯარი საიდუმლო საგანძურისა,
ნათლით შეამკო მთა და მთელი ქედები მთისა.[109]
ისევ დაადგა გზას შაფური, ვითარცა წინათ,
მივიდა, სადაც იმ უბიწოს დაედგა ბინა.
ისევ დახატა მან ხოსროვის სურათი მყისვე,
იგივ ქალაღდი გამოფინა ისევ და ისევ.
ისევ მოვიდნენ ყეყლუცები ნაზი ალერსით,
დაიწყეს მოლზე თამაშობა თავიანთ წესით.
თან შესცინოდნენ მთვარეს ოქროს ფარჩაჩაცმულნი,
მთვარეზე მეტად ჰქონდათ სახე თან გაბადრული.
ვნებათაღელვას ჯერ ნახევრად გამოიჩენდნენ
და ამ საქციელს თანისთანად თვით უმატებდნენ.
თამაშობას რომ მორჩებოდნენ ის თოჯინები,
ხელახალ თამაშს დაიწყებდნენ სრულ დაჟინებით.
შირინმა როცა გაახშირა თვალის ტრიალი,
იმ უსხეულო სურათს მოჰკრა უეცრად თვალი.
ამოსაფრენად აფრთხიალდა სულის ფრინველი
და ჩაუვარდა გულ-მუცელში სიტყვა სათქმელი.
თუკი მთვრალი ხარ, მაშინ ცოტა ძილიც ჯარგია,
მიწას დანამულს მცირე წყალი დიდად არგია.
მეგობრებს ჰკითხა: „ეს ამბავი რა ზმანებაა?“

თავს ატყუებდა მხოლოდ, რომ ის მოჩვენებაა.
მან მედიდურმა საროტანას ერთსა უბრძანა,
რომ ის სურათი იმწუთშივე იქ მოეტანა.
წავიდა მთვარე და სურათი დამალა მანაც,
მზისა დამალვა ლაფ-ტალახით იქნება განა!
მიუგო: „ქაჯმა წაგვართვესო სურათი ისევ,
ეს მერამდენედ მოგვეპარა, ვერ ვიგრძნეთ, ისე!"
იმ ადგილიდან თავიანთ ბარგს დაავლეს ხელი
და ვარდებისგან დაიცალა სრულიად ველი.[110]

ბაფერის მიერ ხოსროვის სურათის ჩვენება მესამედ

საღამოს, როცა ჯვლავ გამოჩნდა შავი ფასკუნჯი
და ერთი ცალი იაგუნდით გაივსო ჯუჭი,[111]
ანჯარქის ველზე დაისვენეს იმათ იმ ღამით
და სვამდნენ ღვინოს მხიარულნი ავსებულ ჯამით.
ღვინით მთვრალებმა დაიძინეს ველში ერთ პირად,
ვარდი ეფინათ ძირს, ხელში ჯი ღვინო ეჭირათ.
როცა დღემ ღამის ჯალთებიდან ამოჰყო თავი,
ქვეყანამ თაჯი დაიხურა თავზე მბრწყინავი.[112]
ფირუზის ტახტზე შემოსილნი ისხდნენ გვირგვინით,
ღვინის მსმელები წრუპვა-წრუპვით თვრებოდნენ ღვინით.
აქედან ერთად ფერისუზის დიდ მონასტერში
მიფრინდნენ იგი ღამაზები ერთად ერთ დღეში.
ისინი მწვანე სამოთხეში დასეირნობდნენ
და ცის სიმწვანეს დასაჰყრობად ძირს ეწეოდნენ.
მწვანე ფარდაგი ბალახისა, ვით სული ბრძენის,
და ჰავა ნაზი, საყვარელი ვით ღვიძლი ძენი,
ზეფირი – ბევრად უკეთესი სამოთხის ქარზე,
და ვარდის ზღვათა მარგალიტი იყო მიწაზე.
იქ ტიტა ქვისგან თითქო ჯერჰთა სალოცავს ჰქმნიდა,
დილის ნიავი მწვანე სათიბს თმებსა ვარცხნიდა.
და გადაწნოდა მოღაღანე ვარდების ფენას
გვრიტის ღუღუნი და ბულბულის საამო სტვენა.
ცელქი ჩიტები დახტუნავდნენ ხეთაგან ხეზე,
ტოტიდან ტოტზე სჯუჰდებოდნენ და იყვნენ ესრეთ.
ყურეში ჩიტებს ყური ყურზე აქვთ მიდებული
და ვარდს უმღერენ ასე, ვარდზე შეყვარებულნი.
იმ ყვავილნარში ჯვლავ მოვიდა იგი მხატვარი

და ჯვლავ დახატა ის სურათი, პირველისგვარი.
ნაზმა ფერრიამ რომ იხილა მწვანე შემკული,
ჩამოჯდა ღვინის შესასმელად, თავის ჯრებულით.
მის მოლვარე თვალს უჩვენა ჯვლავ საკვირველი
იგივ სურათი, ვითა იყო იგი პირველი.
გაოცებული იყო ქალი ამ საქმით მეტად,
ვინ იყო, ასე სასწულს რომ იქმოდა, ნეტა?
მშფოთვარე გულსა დაეუფლე თმენის ნიათი,
ადგა, მივიდა, ჩამოიღო იგი სურათი.
მან იმ სარჯეში დაინახა თვისი ნიშანი,
რა ჰპოვა, გონი დაეკარგა მცირედი ხანი.
იმას იმდენად დაეკარგა სიტყვა სათქმელი,
რომ ახლა მისი მოყოლაც კი იქნება ძნელი.
ობობას ქსელი რომ კეთდება ბუზთა საჭერი,
მას სანადიროდ ჰუმაიზე დაუდგა ჯერი.[113]
იმ წყაროში რომ ალქაჯებმა სახლი ააგეს,
ხედავ, ფერიას თუ გონება ვით დაუკარგეს?
საქმის საშველად რამ თათბირი თუ მოიძევა,
კაცი კი არა, თვითონ დევიც ვერ გაიქცევა.

როცა ვარდოვან სახეებმა იმ დროს მიწაზე
ასვარდოვანი მოწყენილი იხილეს ასე,
მიხვდნენ, არ იყო ეს ფერიის ნამოქმედარი,
საკვირველია და უბრალო საქმეც არ არის.
ამ საქმის შიშით აუშფოთდათ იმათ გონება,
იმ უცხო სურათს დაუწყეს მათ გალობით ქება:
„თავს არ დავზოგავთ, სიცოცხლესაც კი გავიმეტებთ,
თუ იმ სურათის შესახებ ჩვენ რამეს გავიგებთ".
ნახა შირინმა, რომ მას მართალს მოახსენებენ,
საქმის საშველად თვით საქმიან საშველს ეძებენ.
შველა ითხოვა, ქალმა მოთქმა ატეხა მწარე.
მეგობრებია მეგობართა დიდი დამხმარე.
ყოველ საქმეში მეგობარი გვჭირდება, ერთი,
რომელსაც იგი არ სჭირდება, ესაა ღმერთი.
მრავალ საქმეში მეგობარი მოგვეხმარება,
ხამს მეგობარი, თუკი საქმის ხამს მოგვარება.

უთხრა ლამაზმა იმ კეკლუცებს, რაც მოენება:
„იმა სურათის გამო არ მაქვს მე მოსვენება.
მოდით, ეს საქმე რათა ჩვენ სხვას გავაგებინოთ,
ამ სურათისთვის ნუ მოვიკლებთ სასმელად ღვინოს!"

და ერთხელ კიდევ ქეიფობის მიზეზი ნახეს,
იშოვეს ღვინო და თამაში კვლავ გააჩაღეს.
წარმოთქვეს იმათ სასიმღერო ტკბილი ღაზელი,
იმათს ხმაურში ისმებოდა უხვად სასმელი.
ტკბილ შირინს ახლა მწარე ღვინო ეჭირა ხელში
და დამთვრალიყო ამქვეყნიურ ბოლმით და ეშხით.[114]
შირინი სასმისს რომ დასცლიდა ბოლომდე, იმ წამს
დაეხმობოდა სურათის წინ ჯოცნიდა მიწას.

როცა სიმთვრალე მიჯნურისა გაძნელდა მეტად,
შირინმა თვისი მოთმინება რომ ვეღარ კეტა,
[მიმართა სურათს: „ჰოი, ჩემო სულისკვეთებავ,
რა სურათი ხარ, რომ მე შენი არ გამეგება?
მე რომ მცოდნოდა შენი რამე, შენი სახელი,
თვით შენი მონის ვიქნებოდი მონა მხლებელი.
შენი ფარეშის მოწაფედ მე შევიქმნებოდი,
შენი მხატველი ხელის მონა მე გავხდებოდი.
დიდება იმ ხელს, ეს სურათი რამაც გვაჩვენა,
რომ შირინივით არ ექნეს მას შენ გამო წყენა.
მხატვარო, იგი მიმზიდველი შექმენი რისთვის,
რომ შირინს ტანჯვად გადაექცა ეგ ტრფობა მისი!"]

ლამაზთაგანი ერთი გზაზე მან დააყენა:
„რომელ გამვლელსაც დაინახავ ამ გზაზე შენა,
ჯარგად გაიგე, თუ ამ გზაზე რისთვის მოილტვის?
ჰკითხე სურათის შესახებ მას, თუ რამეს იტყვის!"
ბევრი რამ ჰკითხეს იქ გამვლელებს ფარულად, ცხადად,
მაგრამ სურათის მცოდნე მაინც არავინ ჩანდა.
დასუსტდა მეტისმეტი ტანჯვით შირინის ტანი,
რომ არვინ გაჩნდა იმ სურათის ამბის მომტანი;
იგრიხებოდა იმ ტანჯვაში ის გველისდარად,
თვალთაგან ცრემლის მარგალიტი ჰყარა და ჰყარა.

შაფურის გამოჩენა

ამოჩნდა უცებ ჯადოსანი იგი ფრინველი,
დაიწყო ფრენა ჯადოსნური გასაკვირველი.
ნახა შირინმა, რომ შაფურის სახემ პირველად
მისცა ნიშანი ნაცნობობის გამომხატველად.
შაფურზე აზრი აღებული არ ჰქონდა ჯერა,
გასცა ბრძანება, თუმც ქაღალდზე არ დაეწერა.

უთხრა, რომ იგი ცეცხლთმსახური აქ მოიწვიონ
და იმ ამბავის შესახებ მას რამ ათქმევინონ.
იქნებ იცოდეს იმ სურათის გარემოება,
რას წარმოადგენს ან ბინა სად მოეპოვება?
მსახურთა მისთა აქეთ-იქით ბევრი იარეს
და მწირს თავისი მოსაზრება გაუზიარეს.
[რომ მოისმინა ეს ჯითხვები შაფურმა ბრძენმა,
თქვა გულში: ახლა ჯი მომხედა ჩემმა გამჩენმა!
თუ ბედი ხოსროვს მეგობრულად გაუწვდის ხელეს,
მისთვის ამნაირ ჯეთილ საქმეს არ გააძნელებს.]
ამბობდა ლოცვას შაფურ ჩუმად ჰირდამუწული:
„ახლოს მაქვს საქმე, რომ ვიყავი დაშორებული.“
ნადირის ფეხი მის მახეში რა მოეჩვენა,
იმის ფეთებით სულიერად მან მოისვენა.

უთხრა: „არისო საიდუმლოს გამხელა ძნელი
და დაწვრილებით არც არის აქ იგი სათქმელი“.
მსახურთა მისთა ნაზ შირინთან ყვლავ მიირბინეს
უამბეს ყველა, მწირისაგან რაც მოისმინეს.
მათმა ჰასუხმა შეაწუხა შირინი მწარედ,
გული და სული აუდუღდა, გავარდა გარეთ.
წავიდა იგი, ელავდა ვით ვერცხლი ახალი
და წურიალებდა მის ფეხებზე ოქროს ხალხალი.
წარუდგა შაფურს მოთმინება გამოლეული,
წერწეტი ტანით, ვითა სარო მიმორხეული.
ჰქონდა მკლავები ბროლისაებრ გარს შემორტყმული,
თავი და თმები მუშკს აფრქვევდნენ, ვით გაზაფხული.[115]
თმების ქამანდი ეხვია მას ტანსა და წელზე,
ხანაც სად იყო გაფანტული, მხრებზე და ყელზე.
იყო ნახატი ნაკეთობით გასაკვირველი,
მხატვარს დაება იმის გამო ენა და ხელი.
ლამაზ თოკინას მიუგავდა იმ ტურფას ლოყა,
და თოკინებით მოთამაშე თვით თამაშს მოჰყვა.[116]
მოსტაცა გული შირინს მთელად იმ ინდოელმა,
თურქივით უნდა გამოსტაცოს შირინის ხელმა.
სურდათ, თურქულად იმ ინდოელს რომ დასცემოდნენ,
ტრფობით ლამაზნი იმ ინდოელს გარს ეხვეოდნენ.[117]
ყურს, მარგალიტის მატარებელს მოხნა საბური,
ვით მარგალიტმა ზღვას, მის სიტყვებს დაუგდო ყური.[118]
სიტყვას ამბობდა მარილიანს, ნაზად უცქერდა

და ჩვეულებრივ მწირთაგვარად იგი ამღერდა:
„მცირე ხნით ჩემი, გევედრები, ნაცნობი გახდი,
ნუ განმარტოვდი, ერთ წუთს ჩემი თანმგრძნობი გახდი!"
იმ ჯადოსანმა ის ღაღადი რომ მოისმინა,
დაშოშმინება გულის ოდნავ მან ამჯობინა.
იმ ენის ოსტატს ამ ნარგიზის თვალის ნათელით
ენა დაება, და თვითონაც წავიდა ხელით.
ნაზი ფერიის ქება ენას ჯვლავ ათქმევინა,
დაჯდა ფერია და ისიც ჯი დაისვა წინა.
ჰკითხა: „შენ ვინ ხარ და აგრეთვე საიდანა ხარ?
ვხედავ, რომ თითქო შენ ჩემსა ჯარგსა ნაცნობსა ჰგავხარ".
უთხრა: „ჯაცი ვარ საქმეებში დიდად გართული,
ავი და ჯარგი მაქვს მე ბევრი ქვეყნად ნახული.
ღმერთს, რაც რამეა, აღმართია ის თუ დაღმართი,
არ დაუფარავს საიდუმლო ჯერ ჩემთვის მათი.
დასავლეთიდან აღმოსავლის მხარე რომ არის,
ვნახე ქვეყნები სათითაოდ ყოველი მხარის.
შესწავლილი მაქვს მე თევზიდან მთვარემდე არე,[119]
ვიცი ყველაფრის საიდუმლო შიგნით და გარეთ".

როცა შირინმა ნახა, იგი იქებდა ჭკუას,
ჰკითხა: „სურათი ესე შენთვის ნაცნობი თუა?
[უცხო რამეა, თუ ეს სახე ჯაცისა არი?
ჯაცის სურათი არ იქნება იყოს ამგვარი.
მთელ ქვეყანაზე შეიქნება მოთქმა, ყვირილი,
თუკი ამგვარი სახის გაჩნდა ადამის შვილი.
რომ ცოცხალ იყოს, აღმშფოთველი რამ იქნებოდა,
რომ სული ედგას, გულთმხიბვლელი რამ იქნებოდა!"]
ხოლო ჰასუხად მიუგებდა მისი მხატავი,
„აშორდეს მაგ შენს ჯეთილ სახეს მტრის თვალი ავი!
ამ სურათისა მოთხრობაა ძალიან გრძელი,
საიდუმლება მისი მაქვს მე მოსაძებნელი.
თავით ბოლომდე, რაც მე ვიცი, თქმა შეიძლება,
გეტყვი, სხვებისგან ეს ადგილი თუ დაიცლება".
შირინის ნებით ლამაზები იქედან ადგნენ
და ვით ვარსკვლავნი, იმ ბინიდან შორს გაიფანტნენ.
ნახა შაფურმა მოედანი დაცლილი ასე,
გადაისროლა სიტყვის ბურთი მის მოედანზე:
„ახლა რომ უმზერ, ის სურათი, წმინდა სახისა,
ჯაცის ხატია, მანათობლის შვილი ქვეყნისა.

ვით ისქანდერ და დარიოსი არის მხედარი,
დარიოსის და ისქანდერის აქვს სახსოვარი.
სიყეთით იგი იწოდება ზეციურ მზედა,
ჯემშიდის თესლი ხარებულა მიწასა ზედა.
შაჰინ-შაჰ ხოსროვ ფარვიზ ჰქვია იმას სახელად,
ვისაც დიდება ქვეყანაზე ერგო ამხელა.
[ის უხვი არის, ვითარცა ზღვა გულმადლიანი,
ქებული არის, ვით ნუშირვან სამართლიანი.
მნათობთა გვარად ანათებს მის სახის ნათელი,
განათებული არის მთელი ორ ქვეყნის ველი".]

ასე მღელვარე სიტყვები თქვა იმან ერთპირად,
და ამნაირად სული სულთან დააკავშირა.
[შირინის გული იმოდენად მოაჯადოვა,
თითქო სიცოცხლეს და ქვეყანას გამოეთხოვა.]
ამბობდა სიტყვას და შირინი გონსა ჰკარგავდა,
მაგრამ მის ნათქვამს დაჟვირვებით გულს ინერგავდა.
ყოველ მის სიტყვას იგი მეტად უჟვირდებოდა
და ახალი გზის მოსანახად ემზადებოდა.
ფერადი სიტყვა გამოჰქონდა ფარდის შიგნიდან,
იჭამდა ჯიგარს და წითელ ლალს იღებდა ქვიდან.
არ ჰქონდა შაფურს საიდუმლო ან დასაფარად,
თავის მიზანი გაამჟღავნა უკვე აშკარად:
„ჰოი, ფერიავ, ნუ დაფარავ სათქმელს ამჯერად,
სიტყვა მინაში მოსჩანს უკვე ფერიის ფერად.
ნუ ხარ ვარდივით ფოთლებშუა გამომღიმარი?
სიტყვა შიშველი უნდა იყოს, როგორც შაქარი.
თუ გსურს, წამალი სამკურნალო რომ მოიხმარო,
ექიმს შენ შენი სატკივარი არ დაუფარო!"
შირინ თმებჯაჭვა მისი სიტყვით გახდა მღელვარე,[120]
შეშფოთდა, ჰოი, ვაშა, ვინც ეს ღელვა მოჰგვარე! –
მაგრამ თუმც ტრფობა მისი ჯალთის დამჭერი იყო,
ისევ იმ გზიდან ის არ უნდა გადამცდარიყო.

ნახა, მოყვასი მოსულიყო გულის ოხადა
და თავის გულის მდუღარე ქვაბს თავი მოხადა.
შაფურს მოუჯდა, გული ჰქონდა უკვე მაგარი,
გახსნა პირი და გადმოჰყარა ტკბილი შაქარი.
ასე მიმართა: „ჰოი, მწირო, გაფიცებ ღმერთსა,
მე დამიფარე, დამიცავი, ამას გთხოვ ერთსა.
რამე თუ საქმე აშლილი მაქვს, არვინ მყავს ფარად,

აწეწილი ვარ თავად ჩემთა ჯულულთა დარად.
ამ წარმტაც სურათს ისე ტრფობით ვუკავშირდები,
მთელი დღე-ღამე თითქოს იმის ტრფობით ვგიჟდები.
მო, ამ საქმეში ჩემთვის იქნებ რამეს ეცადო,
რომ მეც, დრო დადგეს, მაგიერი გადაგიხადო.
და ისე, როგორც საიდუმლო მე შეგასმინე,
შენც ეგე შენი სიტყვის ძალა გამოაჩინე!".
[რომ თქვა ეს სიტყვა, სასიცოცხლო შესუსტდა ძალი,
სირცხვილით მიწად დაეშვა ის სიცოცხლის წყალი.
ამბობდა იგი ამ სიტყვას და მთვრალ ნარგიზიდან
მარგალიტების ძეწკვი მთვარეს ზე ჩამოჰკიდა.[121]]
და იმ თვალთმაქცმა, საშველი რომ მოიწადინა,
სხვა თვალთმაქცობას მან სიმართლის თქმა ამჯობინა.
ვით სამაჯური, პირველად მას ხელზე ემთხვია
და ფეხზე ოქროს ხალხალივით შემოეხვია.
ასჯერ შეჰფიცა: „სანთელი ხარ შენ მეგობრების,
ღირსი ტახტისა და დიდება გვირგვინოსნების.
ღამეზე უფრო შენი მავნე, დე, იქნეს ბნელი,
ახალ მთვარეზე იყავ უფრო შორსა მჭვრეტელი!
ვფიცავ მას, ვისაც ჩვენს საშველად უჭირავს თვალი,
რა შემომფიცე, მინდა გითხრა სიტყვა მართალი.
ის სურათია თვითონ ჩემი ნამოქმედარი
და ნაკეთები თვით ხოსროვის სახიდან არი.
ყველა იმ ნახატს, მხატვარს რომ აქვს თვით დახატული,
მას მსგავსება აქვს, მაგრამ იმას არა აქვს სული.
მხოლოდ იმისი მხატვრობა მაქვს მე შესწავლილი.
სულის ჩადგმაში მე არ ძალმიძს მიდევდეს წილი.
ხოსროვის სურათს რომ უყურებ, იქცევი ისე
და რა იქნება, როცა ცხადად იხილავ მასვე!
იხილავ, მაგრამ რას იხილავ, იხილავ მზესა,
ჯერ ყმაწვილია, მაგრამ ვით მზეს ქვეყანა ესავს.
ჯოხტა ვაჟია ის გულადი და მარდი მხტომი,
ტრფობის დროს შველი, ბრძოლის დროს ჯი – მამაცი ლომი.
ვარდის ყვავილი, ქარისაგან მოუგრეხელი
და გაზაფხულის ქორფა ყლორტი მოუტეხელი.
შიმშადისგვარად აყრილია იმისი ტანი,
ლამაზი არის იგი, როგორც თეთრი შროშანი.
ჯერ მის ისარი არწივის ფრთით არ შემკობილა,
მისი შროშანი წყლიდან ჯერ არ გამოჩენილა.

ჯერ მზის სახეზე ღრუბლის ნისლი არის გამქრალი,
მზის და ღრუბლისგან არ აქვს შიში და საფიქრალი.[122]
გააღო სუნით ერამისა მან ასი ჯარი
და ორი ლოყით ორი როქი მოიგო მთვარის.
ცხენზე ჯდომის დროს არის, როგორც როსტომი მარდი,
ღვინის სმაში ხომ იგი არის ქეიყობადი!
და თუ გააღო სამოწყალოდ მან განძის ჯარი,
ყარუნის განძის გვირგვინს მტვერში ამოსვრის ქარი.
სიტყვას რომ იტყვის, მარგალიტებს მარჯნიდან არფქვევს,
მახვილს რომ იძრობს, ლომი გარბის შიშისგან თავქვე.
სიტყვას რომ იტყვის მარგალიტებს წაართმევს მარჯანს,
ხმალს რომ მოიქნევს, ახლო-მახლო ნადირი არ ჩანს.[123]
მისი მერანი რომ დაიძვრის, ადგება ქარი,
ვერ დაეწევა ვერაფერი, მთაც ლახოს, ბარიც.
ჩამომავალი არის იგი თვით ჯემშიდისა,
და ღირსება აქვს, უფლის დიდი წყალობით, მზისა.
მისი ამალა ქვეყნის გზაზე ვეღარ ეტევა,
მისი ალამი შვიდი ტახტის ზევით იწევა.
ოქროს რომ გასცემს, აქლემები ფარსანგზე დგანან,
რჟინას რომ დასცემს, ქვაც ვერ უძლებს, მაგარი თანაც.
რომ აქვს მახვილი, სხვა ფოლადი მასთან რა არი?
გახვრეტავს ჯავშანს, თუნდ ალმასის იყოს მაგარი.
როდესაც ხმალით ვარჯიშობას დაიწყებს ისა,
მოქადაგეებს აძლევს იგი მახვილს ღაზისას.[124]
მისი ნაბიჯი დედამიწას აჩნდება, დაღად
რაღა იმისი სიჩქარე და ჩარხისა რაღა!
მასთან შეჯიბრში ბლაგვი არის თვით ზეცის ხმალი,
ისეც ვერ იტყვი, ზეცა სჯობს თუ ის სჭარბობს ძალით.
მისი სინაზე მშვენებაა სალხინო ჯრების,
უნარით სავსე და ჯრებული მშვენიერების.
კეთილდღეობის იმას დიდი მომავალი აქვს,
რაც იღბალია, მასაც სწორად ის იღბალი აქვს.
ამდენ ღირსებით იგი, მთელი ქვეყნის მნათობი,
დღისით თუ ღამით ავსილია მაგ შენი ტრფობით.
შენი სახე აქვს ერთი ღამე სიზმრად ნახული,
იმ ღამის შემდეგ მას გონება აქვს დაჯარგული.
არც ღვინოსა სვამს და არც სხვასთან ჯამს ეტანება,
არც ღამე სძინავს და არცა დღე აქვს მოსვენება.
შირინის გარდა არავინ სურს თავის მოყვარედ,

ნუ ქნას, რომ ლხენა ექცეს ვინმეს ასეთ სიმწარედ!
მე იმან თქვენთან გამომგზავნა დღეს მოციქულად,
შენ იცი ახლა, მე ავ-ჯარგი გიამბე სრულად".

ამგვარად ფერად მარგალიტებს იგი ხმარობდა,
სიტყვებს რამდენიც ჯი იცოდა როდი ზარობდა.
და იმ ტაბილ სიტყვებს ის შირინი ვნებააშლილად
სვამდა სიხარბით თვით უტაბილეს სასმელზე ტაბილად.
ჰა და ჰა, უძლებს და ვერც უძლებს, თავს ძლივს იკავებს,
ღონეს მოიკრებს, არ ეცემა და დგას იქავე.
სული მოითქვა, უთხრა მერე: „ჯაცი ხარ ბრძენი,
რით შეიძლება საქმის შველა, ეს ამიხსენი!
[მეგობართაგან მახლობელი არავინა მყავს,
ამ სატანჯველში მე მშველელი არავინა მყავს.
ვიხრჩვები ბოლმით, მაქვს უწყალოდ გული მოკლული,
გავხდი ვით ვირი, უმწეო და ლაფში ჩაფლული.
იყავ შენ ჩემი ნამდვილი გზის მაჩვენებელი,
მომეც საშველი, მწუხარების გამქარვებელი! –
რადგან ეს ტანჯვა ჩემს გულშია დაბუდებული
და ჩემი ტანიც ამითია ცეცხლმოდებული."]

შაფურმა უთხრა: „ჰოი, ტურფავ, მზის შესადარო,
დაე, დამშვიდდეს შენი გული და გაიხარეს!
[რომ ჩავარდება აღელვებულ მორევში ნავი,
მაშინ ნაპირზე გასვლით უნდა დაიხსნა თავი.
აქედან სახლში გაეშურე გახარებული,
ამ სიხარულის მიზეზი გაქვს შენ მოცემული.]
ჯერ საიდუმლო შენ არავის გაუზიარო,
ხვალიდან ველად სანადირო უნდა იარო.
როგორც ვაჭაცი, გაბედულად შეჯექ შაბდიზზე
და სანადირო გაეშურე ველ-მინდვრად ისე.
ნუ იზამ, ჯალთა შენ სხვა ვინმემ რომ დაგიჭიროს,
არც მაგ შავ შაბდიზს უკან დევნა სხვამ დაუპიროს.
შენ, ვით ვარსკვლავმა, შენს ნებაზე გაქუსლე ველი,
მეც გამოგყვები, ეს სიჩქარე თუ შევიძელი".

ერთი ბეჭედი, მონაცემი თვით ხოსროვისა,
გადასცა შირინს, უთხრა: „წადი, წაიღე ისა.
გზაზე ახალ შაჰს სანახავად თუ შეეყარე,
ახალ შაჰს უნდა დაენახვო ახალი მთვარე.
შენ იმის მერანს ნამდვილ ოქროს ნალითა ნახავ,
თავით ფეხამდე მის სამოსელს ლალითა ნახავ,

ქუდი ლალის და ყაბა ლალის და ლალი წელზე,
სახე თვით ლალის და თვით ლალი უწყვია ხელზე.
თუ ვერ შეხვდები, მადაინის ჯოშაი იკითხე,
შაჰინ-შაჰის გზას დაადექ და წადი იქითკენ!
გზას რომ მოიძევ მადიანის მიმართულებით,
ნახავ სწორ სავალს და იშვიათ რამეს სრულებით.
მეფეს აქვს მოშგუ, ის მორთული არის ლამაზად
და იმაში ჰყავს მას მრავალი მხევალი ხასად.
მოშგუს ეზოში შენი ცხენი სწრაფ შეაჭენე,
შაჰის ბეჭედი მონა ქალებს ნიშნად აჩვენე.
იმ ყვავილნარში, ვით გუნდის ხე, დადექ მზიანად,
ნაყოფიანი ტოტი იყავ ხალისიანად.
[დადექ, სანამდე მოვა შაჰი ბედით მორჭმული,
ახვალ მიწიდან, ტახტი როა ცაში დადგმული.]
იხილე თვითონ შაჰის სახის სიმშვენიერე,
მაგ შენი სულის მისწრაფება მით დააჯერე.
შენ გვირგვინი ხარ, მე კი ჩრდილი ვარ შენი თაჯის
და რა გასწავლო, დარიგებით ამაოდ გაგრჯი".

ამ სიტყვის შემდეგ თვით შაფური როცა დამშვიდდა
და ნახა, ხერხი სჭრიდა მისი და ფრთებსა შლიდა,
გაშორდა შირინს ჯმაყოფილი, იმედით სავსე,
დატოვა მარტო მთვარე იგი, როგორც მზე ცაზე.
მივიდა რბენით თვით შირინთან ლამაზთ ყრებული,
გარს შემოერტყნენ ზეცის ქალწულს გახარებულნი.
უბრძანა ვარსკვლავთ იმ ქალწულმა, რომ ჰგავდა მთვარეს
„უნდა გაიქცეთ ამ ბინიდან ღამით სხვა მხარეს.
ვინ ნალიანმა არაბულმა მთაში იაროთ
და იმ მთის მადნის განძეული ზე ამოთხაროთ!"
გაიქცნენ წამსვე ის ლამაზნი მისნი მრავალნი,
მთვარისებრ მნათნი და ქარივით ჩქარა მავალნი.
მუსაიფობდნენ ათას რამეს გზაში სუყველა
და ამნაირად სამშობლოში დაბრუნდნენ ხელად.
დაისადგურეს, შეისვენა სუყველამ ცოტა,
მხოლოდ შირინი ვერ დგებოდა, ჯრთებოდა, ძრწოდა.
ღამით ქვეყანას რომ დააწვა უკუნი შავი
და ძილს ქვეყანამ ვერა და ვერ წაართვა თავი,
მწვანე სამოსი აბრეშუმის – მზეს დააფარეს,
წითელი ვარდი კი ტირიფის ჩრდილში დაჰყარეს,
შირინმა მეჯინ-ბანუს უთხრა: „ქვეყნის ნამდვილო

პატრონო, მინდა, რომ წავიდე მე სანადიროდ.
ჩემო უფალო, გეაჯები, მომეცი ნება,
შაბდიზი ავხსნა და გავხედნო, ეყო, რაც ება.
შევჯდები მასზე და ამ ველზე მე გავჭენდები,
სალამო ჟამზე შენს წინაშე ისევ გავჩნდები".

ამაზე ბანუმ უპასუხა: „ჰე, მთვარევ, ნაზო,
ასი სამეფო რომ მომთხოვო, გიბოძებ ასსო!
ამას ჯი ნუ მთხოვ, – შავი ფერის შავი შაბდიზი
გაჭენების დროს მალი არის და თანაც გიჟი.
ცის ქუხილივით მქუხარეა, როდესაც გრგვინავს,
და მთის ქარივით მძაფრი არის, როდესაც ფრინავს.
ღმერთმა ნუ ქნას და, როცა იგი გაქუსლავს, მაშინ
მის ნატერფალით ცეცხლი ჩნდება თვითონ ღრმა ზღვაში.
თუ არ დაიშლი, შავი ცხენი, ღამეს რომ ვადრით,
შენ რას დაგაჯერებს, ის ღამეა? შენ – მთვარე ბადრი.
მოსდე ლაგამი სარაინდო და მოსახდენი,
შეაჯექი და ვით რიგია, ისე გაწვრთენი".
ვარდივით სახემ თვით ვარდივით მას გაუცინა,
აჯოცა მიწას, თაყვანი სცა და დაიძინა.

შირინის გაქცევა მეჭინ-ბანუსგან მადაინს

როცა ჩინელმა მეხაზინემ დილის ჟამს ნაზად
მარგალიტისა ყუთს დაადო ზედ ოქროს რაზა,[125]
ყუთიდან გარეთ გამოვიდა სურათი ჩინის,
რომ დაენახა მას სურათი თვით თვალთაჩინის.
ჩინის ჯერჰებმა დასდვეს თავი მის სამსახურად,
ვითარცა სარო დადგა ყველა იქ მედიდურად.
შირინმა ერთად როს შეხედა თავის დობილებს,
ზეაღტაცებით შესძახა მან იმ ენატკბილებს:
„ბისმილლა, ველში წავალ ახლა გახარებული,
ვინძლო, ფრინველი ჩემს მახეში იქნეს გაბმული!"
სარაღუჯები მოიშორეს ქალებმა მყისვე
და სამსახურად ტურფა შირინს უახლნენ ისე.
ვით ქუდოსანმა ვაჟკაცებმა, ქალებმა სწრაფად
ჩაიცვეს ტანზე, სანადირო მოირგეს ჯაბა.
ვით იყო წესი, უდაბნოში თავმომწონები
ნადირთ სამუსრად მიდიოდნენ, როგორც მონები.
ყველანი შირინს სალტესავით გარს ეხვეოდნენ,

თუ დაჯდებოდა, ისინიც თვით მასთან ჯდებოდნენ.
გავიდნენ მინდვრად სასახლიდან ისე საჩქაროდ,
თითქოსდა ხიზრმა უკვდავების მიაგნო წყაროს.[126]
უდაბნო იგი ცხენთა რბენით მათ გაიარეს.
იმ უდაბნოდან სხვაც მრავალი დალახეს მხარე.
იყვნენ ის ბაღის ფერიები, გულის მომკვლელნი,
მინდორში, თითქო სამოთხეში, თვით უდარდელნი.
მიწა სიმწვანით დაფარული, სახტომი შველის,
ჰავა მუშკივით გამომცემი ნაზი სურნელის.
და ბოლოს ველში გააფრინეს თავის მერნები,
მიუშვეს ცხენებს სადავე მათ თავიანთ ნებით.

ქალი მამაცი, შავ შაბდიზზე იყო შემჯდარი,
იყო მხედარი ჩინებული და ცხენი – ჩქარი.
როდესაც მეტი სიჩქარისგან გახურდა რაში,
გაუსწრო თავის თანამხედრებს სირბილით გზაში.
იფიქრეს: „ცხენმა აიშვაო თავისით თავი!"
ვერ მიხვდნენ, რომ მას ზურგზე აჯდა მისი მთოკავი.
მისდევდნენ უკან მას ჩრდილივით დაჭიმულ ძალით,
მაგრამ ჩრდილისგან მის მტკვრსაც ვერ ხედავდნენ თვალით.
დილამებამდე მისი ძებნით გაუწყდათ ნირი,
და უიმედოდ ისევ უკან იბრუნეს ჰირი.
ყველა მათგანი ჰატრონისგან რომ გარეთ დარჩა,
გულდათუთქული, ყველა მეტად მწუხარედ დარჩა.
მეჰინ-ბანუის სასახლეში, მის სამწუხაროდ,
დაბრუნდნენ ნაზი ვარსკვლავები მარტო, უმთვაროდ.
თვალით ახვეტეს იმათ მტკვერი ჰატრონის გზაზე:[127]
და უთხრეს: შირინს შეემთხვაო ასე და ასე.
დატრიალდაო შირინის თავს განგება შავი,
შავმა ვარსკვლავმა დამართაო უთუოდ ავი.
იქ მეჰინ-ბანუმ მათი სიტყვა რომ მოისმინა,
ძველი სიმწარე თავის გულში წარმოადგინა.
თავის ტახტიდან ჩამოვიდა მწუხარე ძალზე,
თავს ედო მიწა, თავად თავი ედო მიწაზე.
სიმწრით ხელები უცებ თავში მან დაიშინა,
თვალთაგან ცრემლის ნიაღვარი გადმოედინა.
თავის შირინზე ივალალა, ხშირად ახსენა,
ძმის მწუხარება განუახლა, არ მოასვენა.

ცრემლით მოთქვამდა: „ჰოი, მთვარევ, ლამაზო აზომ,
მე ავმა თვალმა შენი თავი წამართვა, ნაზო.

ვარდი იყავი, მოგიტაცა შენ ძალით ქარმა,
რომელ ეულებში გადაგაგდო, მე ცნობა არ მაქვს.
რა ჰქენ, რომ დაგმე სიყვარული ჩვენი ასეთი,
განა ამნაირ მეგობრობას ჩვენთანა სწევდი?
ვით შველის ნუკრი, ამ ქურციყებს რომ გაექეცი,
ნეტა, რომელი ლომის მსხვერპლად გადაიქეცი?
ვით მთვარე, ვარსკვლავთ ჯრებულიდან რისთვის დაგეშორდი,
ნუთუ შენ მზე ხარ, რომ ყველასგან გაგვიმარტოვდი?
სად არის სარო, ჩემ სულისგან რომ ჰქონდა ველი,
ჩემს სულთან ჰქონდა იმას ძარღვად ტოტი ყოველი!
ეგ შენი სახე მთვარე არის მანათობელი,
მე ის დავკარგე, ვინ მოითბო იმაზე ხელი?
[გულის ნათელო, ახლა შენი სიყვარულისგან
დღეს ღამისაგან ვეღარ ვარჩევ და ღამეს – დღისგან.“]

ღამით დილამდე მოთქვამდა ის იმნაირ ხმაზე,
ემატებოდა დარდზე დარდი, ტანჯვა – ტანჯვაზე.
და მზე როდესაც ამოვიდა ბეჟანის ჭიდან,[128]
განათდა ქვეყნის თვალი მყისვე მის სინათლითა.
თავგამოდებით აიშალა იმისი ჯარი
და მის ბრძანებასღა ელოდა იქ ფეხზე მდგარი:
„თუ, განთიადზე, თვით მეჰინის ბრძანება არი,
ცხენს გავაქანებთ შირინისკენ, როგორც ისარი“.
მეჰინ-ბანუმან არ ათხოვა იქ წასვლას ყური,
არც თვით წავიდა, არც სხვის წასვლას მისცა დასტური.
იმას სიზმარში ჰქონდა დარდი წარმოდგენილი,
ვითომ ხელიდან ჰყავდა ქორი შორს გაფრენილი.
ქორის გაფრენით თუ ჩავარდა დღეს განსაცდელში,
ის ქორი ისევ უსათუოდ მოვა მის ხელში.
უთხრა მათ: „თუნდაც გადავიქცეთ ჩვენ თვითონ ქორად,
ზეცის ყოველი საიდუმლოც გავიგოთ სწორად,
არ შეიძლება და არც ჩვენი თავგამოდებით
შაბდიზის ფეხის მტვერსაც ჯი ჩვენ ვერსად მივწვდებით.
გაფრენილ ფრინველს, მოშორებულს, ფეხით ვინ სდია,
ან ნადირს უკან, ხაფანგი რომ გამოუცდია!
მტრედი რომ წავა, რისთვის გინდა მასზე ვალალი,
კვლავ კომჯზე მოვა, თუ იქნება იგი ალალი.
ამ განშორებას მე მანამდე მოვითმენ მისას,
სანამ არ ვნახავ ნალის სხივებს მე მის მერნისას.
ის დაკარგული განძი თუკი ვიპოვე ისევ,

გულით განვდევნი დარდის ისრებს, ახლა რომ ვისევ.
ჯვლავ საგანძურში დავაბრუნებ მე იმ განძს ხელად,
იმ განძის გამო მექნება მე მადლი სათქმელად".

ჯარს მეჰინ-ბანუს საუბარი მოესმა როცა,
სხვა გამორჩევა არ დაურჩათ, თუ არა მოცდა.
ხოლო შირინი მიმავალი თავის შაბდიზით,
ფარვიზის გამო მთელ ქვეყანას ტოვებდა მისით.
როცა მნათობი იმ ციურ ცხენს მიაჭენებდა,
მთელი დღე-ღამე მიმავალი არ ისვენებდა.
ამოიჯეცა ქალმა ჯაბა ვაჟკაცურ წესით,
და მიდიოდა სოფელ-სოფელ სხვადასხვა გეზით.
წინ სახიფათო იდო გზები და სავალალო,
მიჰქროდა მთა და უდაბნოში უგზო-უკვალოდ.
მთის მსგავსი, ქარის მსგავსი იყო იმისი რაში,
ქარიც მთასავით მოიტოვა მქროლავმა მთაში.
გაგიგონიათ ალბათ ყველას ერთი ზღაპარი,
რომ მიიღტვოდა გზაზე ქალი, ვით ჯადოქარი.
მან გადააგდო ერთი სარკე და სავარცხელი
და მისი ძალით ჩაიკეტა გზა წასასვლელი.
თითქოსდა ზეცამ იმ სავარცხელს ხელი მოჰკიდა,
ერთით ტყე შექმნა, მეორეთი მთა ამოზიდა.
ქალმა სარკე და სავარცხელი რომ გადაჰყარა,
სიმაგრით თავად გადაიქცა მთის და ტყისგვარად.
ჩავარდა შირინ ამ ძნელ გზაზე მეტად შავ დღეში,
მტვერში მოსვრილი ხეტიალით მთასა და ტყეში,
მის სახეს უკვე ტანჯვისაგან ფერი ეცვალა
და სულიერად ამის გამო ბევრი ეწვალა.
ეძებდა ნიშანს დანიშნულს და მირბოდა ისა,
ორ კვირას რბოდა იგი მთვარე ორი კვირისა.[129]
მის მერანს იგი არავისთან არ აჩერებდა
და კითხვა-კითხვით მთელ ქვეყანას შეაკერებდა.
მიაქროლებდა თავის ქურანს მინდვრად და ველად,
საწუთროს ჩარხის დაავიწყა მით სრბოლა ყველას.

შირინის ბანაობა წყაროს წყალში

ეთერმა ეთერმა რომ წარმოშვა სითეთრე დილის,
ხოლო სიშავეს გარდაუწყდა იმედი ტკბილი,
ათი ათასი რომ დაეშვა ნარგიზი ძირსა,

ყვითელი ვარდი ზე აღმოხდა მშვენება ცისა,[130]
ტურფა შირინმა გააჩქარა თავისი ცხენი,
მისცა სიმწარეს მან ერთბაშად გული ნატკენი.
გამოჩნდა შორით, ვით სამოთხე, იქ მწვანე ველი,
შიგ მოდიოდა უკვდავების წყარო სასმელი.
ის ნელი წყალი, რომ ბრუნავდა გულგასახარად,
იმ უდაბნოში გადაიქცა სიცოცხლის წყაროდ.
გზის სიძნელისგან მას სხეული ჰქონდა დაღლილი,
თავით ფეხამდე ჰქონდა იმას მტვერი დაყრილი.
წყაროს გარშემო მიმორბოდა ცხენზე შემჯდარი,
მაგრამ საფრთხე ვერ დაინახა ვერავითარი.

ჩამოხტა იგი და დააბა ცხენი ერთ მხარეს,
თვალი მოავლო მან სიფრთხილით გარემო არეს,
წყალში შესვლას რომ აპირებდა სხივმნათი ქალი,
ზეცას შორიდან მოედინა თვალებში წყალი.
ტანთ გაიხადა სოჰაილმა, გამოჩნდა თეთრი,[131]
ატეხეს შურით ვარსკვლავებმა ყვირილი ერთი.
ცისფერი ფარჩა მოიფინა სხეულზე უღვთომ,
წყალში შევიდა და ქვეყანას ხანძარი ურთო.
თვისი სხეული შემოსა მან მუქ-ლურჯის ფერად,
შროშანი წყლისა შეუერთდა ასჯილს ამჯერად.
იმის გარშემო ფარჩის ფერად გალურჯდა არე,
ლურჯი ცის მხრიდან ამოვიდა ჯამჯამა მთვარე.
იმისი ვერცხლის ტანი წმინდა წყალში ტოკავდა,
ამით სინჯაფზე ის ყარყუმის როკვას მოჰგავდა.[132]
გინახავთ სადმე განიბანოს წყაროში ვარდი?
განიბანოს-თქო, – ვარდი წყალში ამონაზარდი.
მან როცა თვისი თმების ბადე ჩააგდო წყალში,
თევზის მაგიერ თვით ის მთვარე გაება მასში.
მუშკით წარმტაცად დაიმშვენა თეთრი ქაფური,[133]
სამყაროს იმით შხამი ჰქონდა გულზე ნაპკური.
იქნებ ჰქონოდა იმას ცნობა რამ წინასწარი,
რომ დღეს იმასთან მოვა ერთი ვინმე სტუმარი!
იმ წყაროს წყალში ის შაქარი რომ ციალებდა,
უცხო სტუმრისთვის ტკბილ დასალევს თუ ამზადებდა.

ხოსროვის მიერ შირინის ნახვა წყაროზე

ერთმა მოხუცმა, წიგნები რომ უკითხავს ფარსზე,
ფარსელ მეფეთა შესახებ თქვა ასე და ასე.
როცა გაგზავნა ხოსრომ კაცი სომხეთში თავად,
იმ მშვენიერი საროტანის მოსაკითხავად,
მთელი დღე-ღამე მოლოდინი იმისი ჰქონდა,
ჰირობისამებრ ნახვის ჟინი იმისი ჰქონდა.
დილა-საღამოს, დიდი შაჰის მსახურად მდგარი
მზად იყო იგი მის წინაშე, ვით მზე და მთვარე.
ის იყო მისი თაჯის თვალი, რა გრძნობდა ამას,
შვილს თავის გვირგვინს უძახოდა სვიანი მამა.
ძვირფასი იყო შაჰის თვალში ცდა ყოველგვარი,
სანამდე თვალში არ გაუჩნდა მას სატკივარი.

დუშმანმა მისმა, დახეთ, მისი სატრელად სისხლის
მოსწრა დირემი და ზედ სიქა აჭდო ფარვიზის.
ყოველ ქალაქში დაგზავნა ის მოჭრილი ფული
და აჯამის შაჰს აუღელვა იმითი გული.
დირემის შიშით და ძალოვან ხმლითა მოხტომის
ბებერ მგელს უკვე შეეშინდა ჭაბუკი ლომის.
ისე განსაჯა ყველაფერი შაჰმა ამაში,
ხოსროვს ჭადრაკში რომ წაეგო მისი თამაში.
მან მოიფიქრა, სამაცდუროდ რამ მოიგონოს,
ახალი შაჰი რომ შებორკოს და დააღონოს.
ღრმად დააკვირდა იგი თავის გარემოებას,
ვერა გაუგო საიდუმლო ბედის განგებას.
რომ არ შეეძლო ხოსროვის გზის მას შეჩერება,
არც რამ მიზეზით ახალ მთვარის მას შეჩერება.
რაც კი რაიმეს მისი გული მოინდომებდა,
მას მიაღწევდა, ქვეყანაც ვერ დააბრკოლებდა.

ბოზორგომიდმა ეს ამბავი რომ გაიგონა,
ახალ შაჰს ჩუმად დაეძებდა და ის იპოვა.
უთხრა მას: „ვარსკვლავს მოაქვს შენთვის რაღაცა ძნელი,
მეფეს მიზნად აქვს მოგაყენოს დიდი სასჯელი.
რამდენიმე დღით შენ აქედან უნდა შორს იყო,
წადი საჩქაროდ, მაგრამ თავი არ დაივიწყო.
იქნებ უკვამლოდ შენი ცეცხლი კვლავ აბრიალდეს,
ბედის ვარსკვლავი ბედნიერად შემოტრიალდეს!“

ნახა ხოსროვმა, რომ საწუთრო დაუდეგარი

მის დასაღუპად ამდგარა და მოსპობს, ეგ არის.
ეახლა იგი სასახლეში მუშაისთმიანებს,
უთხრა ანდერძი მთვარესავით ნაზსახიანებს:
„მსურს, გასართობად მცირე ხანს მე წავინადირო,
ორიოდ ჯვირით ამ სახლიდან გავინაპირო.
თქვენ დარჩით აქ, რომ მხიარული დრო გაატაროთ,
იამეთ, ახლოს მწუხარება არ გაიჯაროთ.
თუ მოვა ბალში ბროწეულით როა მჯერდსავსე,
ფარშავანგივით შემომჯდარი ყორანის ფრთაზე,[134]
შიგ შეიყვანეთ, ის ძვირფასი სტუმარი არის;
იგი მზე არის, თქვენ ბადალი თუჯი ხართ მთვარის.
[თქვენ მას წარბშეჯვრით და ურიგოდ არ მოეჯიდოთ,
ყოველთვის, როგორც დიდი პირი, უნდა ადიდოთ.
თუ ეს სასახლე იმას ოდნავ მოეწონება,
არა ჰკადროთ რა, მეტ-ნაკლებად რაც ეჩვენება.]
ეცადეთ, იმან არასოდეს არ მოიწყინოს,
გაართეთ ჯარგად, გულიანად რომ გაიცინოს.
თუჯი ამ სახლში სიამით ვერ დაისადგურებს,
ის, როგორც ხიზრი, თვით უდაბნოს ჯვლავ მიაშურებს.
იმ უდაბნოში, საითაც ჯი ცხენს გააჭენებს,
იმ მზეთუნახავს დიდი ჯომჯი იქ აუშენეთ".

რადგანაც ტრფობას მისცა გული პირობით დიდით,
ესე ყოველი უფლის ნებით თქვა, მისი რიდით.
ეს რომ განაგო, წინ გაიჭრა ვითარცა ქარი
ფერიათ ჯარით – სოლომონის მით იყო დარი.
მიწის მფხრეწელი მისი ცხენი მან გაახურა
და სომხეთისჯენ მიწის ტეჯნით მას მიაშურა.
მას შაჰის შიშით დარდისაგან გული სტკიოდა,
ერთის მაგიერ ის ორზომა გზას გადიოდა.
ბედის განგებით იქ უმტყუნა ქურანმა მასაც,
სადაც ის მთვარე თვით მუშაისფერს იბანდა თმასა.
უბრძანა მსახურთ, დასასვენად რომ მოიცადონ
და დაღლილ ცხენებს მათ საჯვები რამ მიაწოდონ.
თვით მარტოდმარტო, უმოახლოდ, თავისაწევით
შამბნარისაჯენ გაეშურა სხეულის რხევით.
შემოუარა ფირუზისფერ ყვავილთა არეს,
მის შუა გულში მოჰკრა თვალი წყალს მოელვარეს.
არწივი, როგორც ფარშავანგი, ება ხის ძირზე,
ჩამომჯდარიყო იქ ხოხობი წყაროს ნაპირზე.

ცხენი ნალითა მწვანე ბალახს ნელ-ნელა სპობდა
და მის შესახებ ხოსროვ ნელი სიტყვით ამბობდა:
„ის ტურფა ჩემთვის შობილიყო, რა იქნებოდა,
ის ცხენი ჩემი ყოფილიყო, რა იქნებოდა!
მან არ იცოდა, ღამისფერა და იგი მთვარე
მის სასახლეში იქნებოდნენ მალე მდგომარე.
ბევრჯერ ყოფილა, ჯარს მოადგათ სატრფონი თავად,
მიჯნურთ ჯი თვალზე ლიბრი ეჯრათ, ეძინათ ავად.
ბევრი სიმდიდრე, გზაჯვარედინს რომ მოადგება,
თუ ვერ გაიგებს ჯაცი, ისევ დაიჯარგება.
ჩვეულებრივად მან დაზვერა ყოველი მხარე
და უცაბედად დაინახა მან იგი მთვარე.
ხედავდა შიშველს, შიშით გული მას აღელვებდა,
მეტად შფოთავდა, რამდენიც მას მეტად ხედავდა.
ქალწული ედგა მთვარესავით ელვარე წინა,
მას აქ ჯი არა, ცაში უნდა ჰქონოდა ბინა.
არათუ მთვარე, ვერცხლის წყალი იყო ნამდვილი,
ნახშების მთვარე, ვერცხლის წყლიდან გამოყვანილი.[135]
ლილისფერ წყალში ის ვარდივით იღიმებოდა,
მას აბრეშუმი ლილისფერი ჭიპზე სწვდებოდა.
ნუშის ყვავილად ჰქმნიდა წყაროს ვარდის სხეული,
და იმ ყვავილში იყო იგი, ვით ნუშის გული.
ის ნებივრობდა მრთოლავ წყალში სხვადასხვაგვარად,
ბრწყინავდა წყლისებრ იგი ვარდი გულგასახარად.
ყოველი მხრიდან თმების ნაწნავს ის ივარცხნიდა,
ვარდზე დაყროდა ია მარჯვნით, ია მარცხნითა.[136]
მისი ზილფები თუ იყო რამ სიავის მქნელი, –
ყოველ თმის ბეწვში გამოჩანდა მისაში გველი, –
ეუბნებოდა ნელ ჩურჩულით იგი შაჰს ყურში:
„ჩვენი მონა ხარ, ყურმოჭრილი ჩვენს სამსახურში“.
თუჯი განძია, ის თვით განძის ჯადოქარია,
თმებს არხევს ისე, თითქო განძი გველს აბარია.[137]
ჯადოქარს ჯერ არ ჩაუგდია ის გველი ხელში,
თუ გველმა მოსპო ჯადოქრები წუთისოფელში.
დაჯარგა ბაღის გასაღები მებაღემ ჯრულმა,
გააღო ბაღის ჯარი თვითონ მჯერდბრონეულმა.
გულს ბრონეულის გემო რადგან ჰქონდა ნახული,
გადაიხლიჩა დარდისაგან, ვით ბრონეული.
[მოძრაობის დროს მიხრა-მოხრა რომ გაუძნელდა,

მიწა მომაყვდავს დაემსგავსა, ზეცა განელდა.]
და იგი წყარო რომ შეიქმნა მთვარის ადგილად,
საკვირველია, მზე გაშორდა თვის გზას ადვილად.
როდესაც ხელით იგი წყალს შორის გადაასხამდა,
ზეცა იმ მთვარეს მარგალიტებს ხელზე აბამდა.
იმისი ტანი, ვით თოვლის მთა, სხივებსა ყრიდა,
მისი დანახვა ხოსროვს უკვე ჰირში ნერწყვს ჰგვრიდა.
რომ ნახა შაჰმა ბროლივით ყელმოღერებული,
მზედ გადაიქცა, რადგან ცეცხლით აევსო გული.
გადმოაქცია თვალებიდან მან წვიმის ღვარი,
წყლის საქანელზე დაინახა მან მთვარე მდგარი.[138]
შირინმა ერთ ხანს ვერ შენიშნა ირგვლივ ვერავინ,
თმების სუმბული ხელს უშლიდა ეგრძნო მზვერავი.
როგორც რომ მთვარემ, შავ ღრუბლიდან ამომავალმა,
უცებ შაჰინშა დაინახა შირინის თვალმა.
ნახა ჰუმაი, რომ ხოხობზე დამჯდარი ხარობს,
ხადანგის ხეზე ამოსულა ჯენარი სარო.[139]
წყაროში ურცხვად მზერისაგან უცნობი თვალის
ისე ათრთოლდა, როგორც წყალში სხივები მთვარის.
იმ სიტყბოს წყარომ სხვა ვერარა ვერ მოაგვარა,
ღამისფერი თმა მთვარის სახეს გადააფარა.
ამბრი ასხურა მთვარეს ღამის განმანათებელს
დღის სინათლეში იხურავდა მზე შავ ღამის ბნელს.
შიშით სევადი ვერცხლის ტანზე შემოიქარგა,
დიახაც, რომ ვერცხლს ჯი უხდება სევადი ჯარგად!
იმ მთვარის სხივზე ისე გახდა ხოსროვის გული,
როგორც რომ ოქრო წმინდა ვერცხლის წყალშერეული.
მაგრამ რომ ნახა მონადირემ ლომი ფიცხელი, –
რომ ხელთ უმწეო ჩავარდნია ირემი ველის,
არ დაიჭირა ლომმა ძალით იგი ნადირი,
და არცა სურდა ლომს იმისთვის ჩაევლო ჰირი.
მან გონივრული მოთმინება გამოიჩინა
და ანთებული ცეცხლებრ გული დაიშოშმინა.
გამოიჩინა ვაჟკაცური რიდი ნამდვილი
და სანახავად დაისახა მან სხვა ადგილი.
წყაროს გარშემო სიარულით გულს იოხებდა
და სხვა მხარისკენ ცქერით იგი თვალს იყოლებდა.
ორმა ყვავილმა სიყვარულის იხილა წყარო,
მაგრამ ვერც ერთი ვერ დარწყულდა და ვერცა ხარობს.

მას პირველ დღესვე წყაროს თვალმა შეუყრა გზები
ეს წყაროს წყალის გამო თვითონ იხილა ჭები.
ყველას წყაროსთან სურს ჩამოხდეს, ჰქონდეს სადგური,
წყაროს ცივ წყალში გაარბილოს გამხმარი პური.
აქ კი ესენი ვეღარ დადგნენ, დატოვეს წყარო,
სამოთხე დათმეს და სამყოფად არჩიეს ხარო.
ვერ ნახავ, წყაროს გულის ცეცხლი ისე გაექროს,
რომ მწყურვალს ფეხი მის ტალახში არ გაესვაროს.
თვით ქვეყნის მზეც კი მოელვარე, სისხლისა წყარო,
ამ წესით არის, რომ ევლება გარს მთელ სამყაროს.
სანამდის შაჰი შირინს შორით ეკრძალებოდა: –
ქალის წაყვანა უემაროდ არ იქნებოდა! –
ნაზი ფერია ამოვიდა ფრთამალი, ჩქარი,
ჩაიცვა ჯაბა და მოახტა შაბდიზს ვით ქარი.

იფიქრა თავად: „ეს ვიღაცა ვაჟი რომ არის,
რომ ტრიალებდა ჩემ გარშემო, ვით ჩარხი ჩქარი,
ეს მიკვირს, ჩემი თუ არ არის ის მეგობარი,
როგორ მომხიბლა, თუ ტრფიალი ჩემი არ არი?
გამიგონია: სავსეაო ყელამდე ლალით,
თუ იგი არის, რად არ ამჯობს ძვირფასი თვალი?"
მან არ იცოდა, რომ შაჰები სამოსს იცვლიან,
რადგანც გზაზე ისინი მტრის შიშით იძვრიან.
ვნება გულისა აქეზებდა: „ადექი ზევით,
ეგ შენი ვარდი გაატაბილე შაქრისი შერევით!
ის ხატი იყო, ეს სიცოცხლით არის ავსილი,
ის ზღაპრად იყო, ეს სიცოცხლე არის ნამდვილი!"
იფიქრა იმან და შესცვალა აზრი ერთავად:
„ორი მიჰრაბი არ ივარგებს ერთ სალოცავად,[140]
ერთი ჯათხიდან ორი ღვინო არ დაიცლება,
ორი არსების შეყვარება არ შეიძლება.
თუ ეს ჭაბუკი თავად მართლა ხოსროვი იყო,
მაინც არა ხამს მის ძიებას მე ხელი მივყო.
ფარდის იქითა მდგარმა მნახოს, ვით არის წესი,
ვინც გარეთ ფარდას არ იფარებს, ის მტვერში ჯვნესის.
დაუფარავი ესე საქმე არ არის ჯიდევ,
ფარდიდან გარეთ მე ერთბაშად რად გამოვიდე!"
თვისი არწივი ფრთაასხმული მან ააფრინა,
მისი ნალის ხმა თევზს და ჯუროს გააგებინა.[141]
სირბილში უკან ჩამოტოვა მან დიდი ქარი,

ჩქარ მოძრაობით ის ცის ჩარხის ბადალი არი.
მიაქანებდა იმ ფერიას მთელი სიცხარით,
ეშმაკის თვალსაც გაუსწრებდა იგი სიჩქარით.
ერთი წუთიც და მას ხოსროვმა თვალი მისწია,
თავის მეტი მან სხვა ვერავინ ვერ მოიძია.

აქეთ და იქით აქროლებდა ის თავის მერანს,
ვერც გული ნახა და ვერც გულისწარმტაცი, ვერა.
ჩამოხტა იგი, სადაც იყო იმ წყაროს წყალი,
სძებნა ყოველმხრივ, მარგალიტი, ვერ ჰპოვა ჯვალი.
[დარბოდა შაჰი მის ჯვალდაჯვალ ყოველ მხარეში,
იტყოდი, ღრუბლის ნიღაბია თითქოს მთვარეზე.]
ჰჯვირობდა იგი, ასე როგორ გაიშვა თავი,
სად გაქრა ახლა ასე ჩქარა გულმომხიბლავი!
იგი ხან ხეებს შესცქეროდა მაღლა ჰაერში,
თითქოს მჯდარიყო ფრინველივით ხის ტოტის წვერში.
ხან წყაროს წყალით დაიბანდა ხოსროვი თვალებს
და წყალში ვით თევზს დაეძებდა ის თავის მთვარეს.
ზოგჯერ თვალის წყლით ხიდს აბამდა და აჯეთებდა,
ზოგჯერ იმავ ხიდს იმ წყაროს წყლით იგი ანგრევდა.[142]
მოსტაცა წყალმა იმ დროს იმას სინათლე თვალში
და ტივტივებდა აქეთ-იქით, ვით თევზი წყალში.
ისე ჯვნესოდა, რომ იმისი ჯვნესა-გოდებით
შფოთავდა ზეცა უსასოო მის მოქმედებით.
მთვარის, შაბდიზის ძებნად ბაღში თვალს აცეცებდა,
ხან ქორს ეძებდა, ხანაც ჯიდევ ყვავს დაეძებდა.[143]
დარბოდა, როგორც სანადიროდ გასული ქორი,
რადგანაც ყვავმა მისი ქორი წასტაცა შორით.
ფრთამალ ყვავისგან იგი იყო მთლად დადაღული,
ქვეყანა მისთვის, ვით ყვავის ფრთა, დაბნელებული.
შავ ყორნად იქცა მისი ქორი თეთრი ფრთიანი,
ეჯლის ხედ ექცა მას ტირიფი მუშჯ-ამბრიანი.
ხოსროვი წელში მოიხარა ტირიფის დარად,
ლოყას ურეცხდა ცრემლი, თვალთ რომ სდიოდა ღვარად.
მისი ტირიფი მოიღუნა გზის დარდისაგან,
დიახ, წესია, – ჩოგანს სთლიან ტირიფისაგან.[144] –

ჯიგარდამწვარმა ჯვლავ დაიწყო მოთქმა-გოდება;
„დამეწყო, – ხედავთ? – ვით ხმელ ბალახს, ცეცხლის მოდება.
გამიზაფხულდა და ნაყოფი მისი ვერ ვჭამე.
ეფრატი ვნახე და წყლით ბაგე ვერ დავილამე.


نازشیرین چه میکشد پرویز
نازگاوان چه میکشد شبدیز
بپرسید از زبان سرو بالا
که این با دیگران چون خورشید والا

ხელი მარგალიტს უვიცობით მე ავაცილე,
ახლა ჯი ჩემს გულს გამეტებით ქვა დავაზილე.
ვნახე ვარდი და ვერ მოვწყვიტე დილით რომ იყო,
ვაი, როდესაც დამიღამდა, ქარმა წაიღო.
ვნახე, ნარგიზი იყო წყალში პირმოცინარე,
წყალი მდინარი იმისაგან იყო მძინარე.[145]
როცა წყალს სძინავს, ვიცი, ოქროდ იქცევა მიწა,
ის სარო ნაზი ვერცხლისწყლად ჯი რად გადაიქცა?[146]
ფასჯუნჯის ჩრდილი იყო მუდამ ჩემი მფარველი,
ჩემს ტახტს საწუთრომ ჩაუყარა თვით საფუძველი.
მე მთვარესავით ბნელში ჯალთა გავშალე სხივთა,
ხოლო თავად ჯი ბნელში დავრჩი, მნათობი თვითონ.
თოქალთო ჩემი ამ სისხლისგან ალარ გაშრება,
ჩემთვის საშიში ამ ლახვარზე რალა იქნება?
წყაროდან თითქოს ალმოცენდა ლამაზი ვარდი,
ცხადად არ იყო, მას მე ძილში ნახულსა ვადრი.
ახლა რომ ვხედავ, იმ წყაროსთან ვარდი არ არი,
სჯობს, ეჯალივით ვიყო ბარემ ცეცხლზე დამჯდარი.
ვინ დამაბედა, დატოვეო ეგ შენი მთვარე,
თუ ბედი ამ გზით მოდიოდეს, სხვა გზით იარე!
რომელი ქაჯი ჩემს ბუნებას დაუკავშირდა,
რომ ამ ერამის ბალიდან ის სადღაც წავიდა.
ყველა გზა თმენის არის ჩემგან შესაქებელი,
გარდა იმისა, ნადირს რომ მე გავუშვი ხელი.
ცეცხლი სულისა ჩემის უნდა ავანთო დიდად,
რათა ზედ ჩემი მოთმინება მეც დავწვა მშვიდად.
მე იმ წყაროსი რომ შემესვა თუნდ ერთი ცვარი,
არ იქნებოდა ჩემი გული მწვადად შემწვარი.
ინდოელს უთქვამს: თუ ჩაიგდო ხელში რამეო,
ნუ შეინახავ, მოასწარი, ჩქარა ჭამეო!
წითელ-ყვითელი ვარდი ბაღში ვინაც მოწყვიტა,
შემდგომად იგი მის სინანულს არ განიცდიდა.
აწ ჯიგრით უნდა დავაქციო სისხლისა ღვარი,
გულიდან უნდა გამოვიღო ტანჯვის ისარი.
დავიშენ ხელებს თავპირშივე გულანაძგერი.
„ჰოი უფალოს" დაიყვირებს ყველა თმის ღერი.
ვინძლო დარდისგან ჩემი გული უფრო დამშვიდდეს
და ჩემი თონის ცეცხლი ოდნავ მაინც გაცივდეს.
ჩემს თვალთა ზღვიდან მარგალიტი ვყარო ისეთი,

რომ არრა დამრჩეს გულ-მჯერდზე გუარის მეტი.[147]
თუ ვინმეს ტანზე გამოაჩნდა ძირდიდა დიდი;
თუ არ გამორწყა, აბა როგორ უწამლოს, რითი?"

ხეტიალობდა წყაროს ირგვლივ იგი მჯვნესარე,
ხელით ისრესდა თვალთა თვისთა მომტირალთ ცხარედ.
ზოგჯერ მიწაზე ეცემოდა გონდაბნეული,
ხან ჯი, როგორც ვარდს, წყარო ჰქონდა გულში ჩაჯრული.
ხელიდან სარო რომ გაექცა ის მშვენიერი,
მის საროს სხივი დაეჯარგა, ვარდსა ჯი – ფერი.
დაეცა სარო მიწას, როცა დაჯარგა ძალა,
თრთოდა, ვითარცა ქარისაგან გამხმარი ჩალა.
თქვა: „იგი მთვარე თუჯი იყო ადამის შვილი,
ამ ქვეყანაზე ექნება მას სადმე ადგილი.
მაგრამ თუ იგი ფერიაა, ხელმიუჯარი,
ფერია ალბათ ამ წყაროსთან მრავალი არი.
იმ ფიქრს გულში ხომ აწ ვერავინ ვერ გაიჯარებს,
რომ ხოსროვ-შაჰი წყლის ფერიას თვით შეიყვარებს.
იმ დღეს ეს საქმე ჩემს გულის ჭინს ვერ დამიამებს,
რადგან ფერია სულ გაურბის ადამიანებს.
იხვს ქორი, აბა როდის იყო, გაუხდა წყვილად,
ფერიამ როდის შეიყვარა ჯაცი ნამდვილად!
მე სოლომონის უნდა მექნეს თვისება ჯერე
და ფერიების დაჭერაზე ვიფიქრო მერე!"[148]
[სოლომონისთვის არის იგი შეფერებული,
არა ხოსროსთვის, უძლურებით რომ სძვრება სული.
სული და გული ჩემი სისხლით უკვე სავსეა,
არ ვარ სოლომონ და რა ვქნა მე, რომ ეს ასეა!
სად შეიძლება, ეს ამბავი რომ ვაღიარო,
მერწმუნოს, ვისაც საიდუმლო გავუზიარო?
ამ შფოთისაგან მისი გული სულ გაოცდება,
ამ უაზრობით გონება ჯი გაუფუჭდება".

ზეცამ იმის ბედს სავალი გზა სწორი უჩვენა,
ვით ეშხით მთვრალმა, მან იგი ვერ გამოიყენა.
ის იმ მთვარეზე თავისთავად გულში ფიქრობდა,
ვით ეშხით მთვრალი, ის ოცნების გზაზე მიჰქროდა.
მან ჯიდევ სხვა გზით თავის გულში წარმოიდგინა:
„რად უნდა ვჭედო უვიცობით მე ცივი რჯინა?[149]
მე არას მომცემს, ეს ამბავი რომ გავამჟღავნო,
გარდა დარდის და მწუხარების, რომ ჩემ თავს ვავნო".

თავის დარდს დარდი მოუმატა იმ სარომ თანა,
ტანჯვის ნიაღვარს თვისი გული თან გაატანა.
ალარა ჰქონდა მას ამ გზაზე საშველი სხვაი, –
ასი გოდება, ასი მოთქმა და ასი ვაი.]
ასეთ ფიქრებში ბჭობდა და თან გული სტკიოდა,
გულის წამღების შესახებ ის ბედს უჩიოდა.
მან უიმედოდ გულწარმტაცზე გული დახურა,
სომეხთ სატახტო ქალაქისკენ ის გაეშურა.

შირინის მისვლა მადაინს ხოსროვის სასახლეში

ცა როს სიკეთის გამოჩენას მოიწადინებს,[150]
ჯერ ფარდას ახდის და თამაშით იმეცადინებს.
გლეხისთვის თუკი მოინდომებს განძის ბოძებას,
ისე დატანჯავს, კი არ ჯობდა მისი მოცემა!
ეკალ-ბალახა თუკი გზაში არ იქნებოდა,
ვარდსა და შემშადს ფასი ვისგან დაეღებოდა?
უნდა შორიდან მცირედი ხნის ალის მოდება,
სიმშორის შემდეგ ტკბილ არს ტრფობა და შეერთება.
როს განშორება ხოსროვისგან შირინს მოუხდა,
სიახლოვიდან შორს წასული ძლიერ შეწუხდა.
ის კითხვა-კითხვით ფარვიზის სახლს რომ დაეძებდა,
მადაინისკენ თავის შაბდიზს მიაჭენებდა.
რომ მოეძებნა თვისი საქმრო, ცდილობდა ქალი, –
მოწყობილიყო და პირზედაც შეესხა წყალი.[151]
შევიდა შიგა და იმ მხევალთ შეატყობინა,
გასეირნება ბაღში სარომ მოიწადინა.
შირინის სახეს ქალთა გროვამ როცა შეხედა,
შურისგან ყველამ დაიკვნიტა ტუჩები ქვედა.
ყველა მეფურად შეეგება დიდი ალერსით,
არ განასხვავეს ხოსროვისგან თავიანთ წესით.
თანაც ამბობდნენ, რომ ხოსროვი კეთილი გზითა
ცეცხლის საძებნად წასულიყო აქედან ვითა,
მოიღო ცეცხლი, როგორც დილა, გულის ამღგზნელი,
იმითი გულებს გაუჩინა ცეცხლი დამწველი.
მას შემდეგ, რაც კი მათ იმისი სცნეს ვითარება,
მისცეს სხვადასხვა შეკითხვები, აკარება:
„ვინა ხარ, რა ხარ, რა სახელის, რომელი მხრიდან,
რა გვარისა ხარ, რა ფრინველი, რომელი ხიდან?"

მაგრამ ფერია იმ ჯეჯილუცებს უმხელდა არას,
მოიშველია ტყუილები, ნამდვილი ფარა:
„გრძელი გამოვა, რომ გიამბოთ წმინდად ყოველი,
ხოსროვი მოვა და გაიგებთ, ხოსროვს მოველი.
როცა ხოსროვი შორი გზიდან აქ მობრუნდება,
ის თვით ამ ამბავს დაწვრილებით თქვენ მოგიყვებათ.
არ მიაყენოთ ოღონდ ამ ცხენს რამე სასჯელი,
ამ ცხენის ფასი არის განძი აურაცხელი“.

როცა სტუმარმა მათ სათქმელი მოუყვა ასე,
ბევრი ანაზეს, უალერსეს, ჰატივში ჩასვეს.
ასხურეს ჰირზე ვარდისწყალი უხვად იმ მთვარეს,
შაჰის თავლაში დასაბამად ცხენი წაჰგვარეს.
მორთეს ახალი ტანსაცმელით სტუმრად წვეული,
ჩააცვეს ძვირად საღირალი რამ ფარჩეული.
შეხვედრის ვარდი გაიშალა მის თვალთა წინა,[152]
დამშვიდდა სულით და ნებივრად იქ დაიძინა.
[იმგვარად იყვნენ განწყობილი ფიქრები მისი;
რა მოხდა მერე, თუ არაა სახლში ფარვიზი!
და თუ ხანდახან რამე ფიქრი დააღონებდა,
გულს თვით ფარვიზის მოგონებით მოიფონებდა.]
სეფექალები, რომელნიცა იმ ჯოშჯში იყვნენ,
შაქარბაგოვანს იქ თავიანთ ტოლადა სთვლიდნენ.
ტაბილტუჩიანიც მათთან ყოფნას არ თაყილობდა,
სეფექალივით ყოფილიყო, ამას ცდილობდა.
[შეყვარებულის გზისკენ ჰქონდა ნიადაგ თვალი,
რომ მისი ყოფის იგი იყო დამაფიქრალი.]

შირინისთვის ჯოშჯის აგება

როცა შირინმა დაიმკვიდრა თვისი ადგილი,
ტაბილ ბაგეთაგან გობით თაფლი ჰქონდა დენილი.
ერთი თვის შემდეგ მშვიდ ცხოვრებას რომ მისცა თავი,
ცნა ხოსროვისა სხვა ქვეყნისკენ წასვლის ამბავი.
რომ მამის შიშით სანადიროდ იგი წასულა,
და იქიდან კი სომხეთისკენ გამგზავრებულა.
ასტკივდა გული, უწამლობით განუკურნელი,
რადგან მის საქმეს არა ჰქონდა რამე საშველი.
რამდენიმე ხანს ამნაირად ის სახლში იჯდა,
მოუთმენლობის გამო იგი თითქო გაგიჟდა.

ბოლოს მიუხვდა, ის მხედარი ის იქნებოდა,
რომელიც მისკენ გამალებით იცქირებოდა.
[რომ ის მიჯნური საყვარელი იმისი იყო,
შაქრის მფრქვეველი, მომხიბვლელი, იმისი იყო.]
ქვეყნის მშვენება ხოსროვ იყო, მაშინ იმ მხარეს
მას რომ უმზერდა, როგორც რომ მზე უცქერის მთვარეს!
ის თავისთავად თავის თავში ხელებს იცემდა,
იტანჯებოდა თვითონ და ყვლავ ტანჯვას ითმენდა.
ითმინა, მაგრამ მოთმინება არ ეყო დიდხანს: –
„ავად გავმხდარვარ და წამალი სად ვპოო, მითხარ!
[თუ ორივეს გვსურს, განვიდიდოთ სიამოვნება,
ასეთ ადგილზე მოლხენა არ გამოგვადგება.]
აწ ჩემთვის ჯოშჯი, სადაც არის მწვანე მარღზარი,
უნდა აშენდეს, სად მთიანი ადგილი არი.
მე მთის შვილი ვარ, ყვავილნარში გაზრდილი ლაღად
სიცხემ წითელი ვარდი ჩემი უწყალოდ დაღა".
ანუგეშებდნენ მას ჯერჰები გულისდადებით:
„სანთელო ჯერჰთა, სანთელივით ნუ ჯი დადნები!
ჩვენმა უფროსმა გამონახა შენთვის ადგილი,
რომ აგიშენოს ჯოშჯი, სადაც ჰავაა გრილი.
თუჯი შენ ბრძანებ, ბრძანე ბარემ იგი ამხელად,
რომ ბინა მთაში აგიშენონ შენ უეჭველად.
თქვა: „დიახ, უნდა ამიშენონ მე იმისთანა,
როგორი ჯოშჯის აშენებაც შაჰინშამ ბრძანა!"
სეფექალებმა, შურით სავსე რომ იყო ყველა,
ჯოშჯის საშენად ჯირითხურო მოიხმეს ხელად.
[მას უთხრეს: „ჰოი, შენ, ოსტატო და მეცნიერო,
მომგვარებელო ყველა საქმის, ყოვლად ძლიერო,
შენს ხელში არის ყოველგვარი საშველი ჩვენი,
ტანჯვა-სევდისგან ჩვენი გული გამოიხსენი.]
აქ არის ერთი ჯადოსანი დიდად განთქმული,
იგი ბაბელთა მთიანეთით არის მოსული.
[ჯადოქარობა იმოდენად მას ეხერხება,
სამერის ჯადო თამაშობად მოგეჩვენება.]
თუ ეტყვის მიწას: „ჰოი, მიწავ აღსდეგი ზევით!" –
მტვერად ქცეული განიბნევა მაღლა აწევით;
თუ ეტყვის ზეცას: „ჰოი, ზეცავ, აბა შეჩერდი!" –
ცა ვერ გაბედავს გააჯეთოს ნაბიჯი ერთი.[153]
[იმას მორჩილებს მთისა და ღრის ყველა ნადირი,

მგელთან და ცხვართან და გველებთან აქვს მას თათბირი.]
ითხოვა ჩვენგან იმან ჯოშჯის ადგილი, ვრცელი,
სადაც რომ ჰავა უნდა იქნეს თვით ცხელზე-ცხელი.
ხალხი იმ ადგილს ნაკლებ უნდა ეტანებოდეს,
და ჯადოქარის ჯადოებს არ ეკარებოდეს.
ჯადოქარს რამე დაბრკოლება გამოუძიე,
იმისთვის ჰავა საშინელი ამოურჩიე,
აქ ააშენე ჯოშჯი, როგორც შეეფერება,
ითხოვე ჯილდო, რაც კი შენს გულს დაეჯერება!"
შემდეგ მას ფარჩა, დინარია თუ ბეწვეული,
მისცეს უზომო და ამასთან ხარვარით ფული.
ოსტატი იგი მოიხიბლა განძის მიღებით
და მყის შეუდგა თავის საქმეს თავგამოდებით.
ეძებდა ადგილს, ხალხისაგან შორით მდებარეს,
გორით გორაზე, მთიდან მთაზე სხვადასხვა მხარეს.
ნახა ადგილი, კაცს რომ ტანზე ცეცხლი ედება,
ადგილი, სადაც ერთ კვირაში ბავშვიც ბერდება.
ათი ფარსანგი იყო შორით ქერმანშაჰიდან,
რის ქერმანშაჰი, შორს იყო თვით მთელი ქვეყნიდან.
მივიდა იქ და აშენებას შეუდგა ხელად,
ააგო ჯოშჯი ჯოჯოხეთში მან საკვირველად.
იგრძნობდა ყველა, ვინც კი იქ ცხენს გაატარებდა,
იმ ჯოჯოხეთში ფერია ვერ გაიხარებდა.
[თუ მართალს ვიტყვით, ვით კანჯარი განგებით ბედის,
რომ გაშორდება მხეცთ და ნადირთ, რა უნდა მეტი.
შირინი ამით სრულიად არ შეწუხებულა,
ვაშლის ნიკაპი მისი ლეღვად არა ქცეულა.
იმ მოშურნეებს შურისგან რა შეეძინება,
ყველას მოუვა ის, რაც მისთვის ღმერთმა ინება.]
მუშკსახოვანი დრო ღამისა რომ მიიწურა,
მყისვე შირინმა სასახლიდან ჯოშჯს მიაშურა.
მოუწიფელი გააყოლეს მონა ქალები,
ტრფობის სიავე არ ეხილათ ჯერაც თვალებით.
იმ ციხე-ჯოშჯში იყო ვიწროდ გამომწყვდეული,
როგორც მარგალიტს იტევს თავად ქვის ვიწრო გული.[154]
ხოსროვის დარდის რადგან ჰქონდა გულში ზარები,
საამქვეყნო და საიმქვეყნო დახმა ჯარები.
[როდესაც ზენა რამეს ჯარგსა გვპირდება ჩვენა,
თავიდან ჯარგსა გამოგვიჩენს იგივე ზენა.]

ხოსროვის წასვლა სომხეთში მეჰინ-ბანუსთან

როცა ხოსროვმა მიატოვა წყაროს ადგილი,
მას თვალით წყაროს დენამ უკვე განუფრთხო ძილი.
რამდენიც იგი იმ წყაროდან შორს მიდიოდა,
უიმედობის გამო უფრო გული სტკიოდა.
მეორე მხრით კი, იგი მაინც იყო იმედით,
რომ მზე არ იყო ამოსული ჯერ კიდევ ქედით.
„მე ხომ დღეს ამ გზით აღმოსავლეთს მივეჩქარები,
ვფიქრობ, მზის ნათელს უსათუოდ ვეზიარები!"
როს ვარდმა განვლო ქოჰესთანის მხარეთა ზღვარი,
მისი ამბავი მიუვიდათ მარზბანებს ჩქარი.
დიდებულები გამორბოდნენ წინ შესახვედრად,
ოქრო და ფარჩა მისართმევად მოჰქონდათ ერთად.
[ნახა ჯემშიდის საუცხოო რამე ადგილი,
ტყე წითელი ხის და მტირალა ტირიფთა ჩრდილი.
როგორც ბოსტანში, ყოველგვარი მწვანილი იყო,
არც ერთი არე უმწვანოდ არ დარჩენილიყო.
მუდამ შრომანა და ახალი ვარდი რო იყო,
ფერად-ფერადი ყვავილნარი უსაზღვრო იყო.]
ნახა ჯეჯლუცნი მშვენიერნი, გულმომხიბვლელნი,
ხოსროვის ნათელ სახის ნახვის ფრიად მსურველნი.
ქალებთან ყოფნა სასიამოდ იმას ეჩვენა
და რამდენიმე დღე ისურვა მან იქ დარჩენა.
[შაჰინშამ ლხენა-სიხარული გაიორჯეცა,
თვით ორ ჯვირამდე ნეტარებას იგი მიეცა.
ამ დიად ლხინში მოიტანეს დასაჯრავები
და მომღერლებმა შეაზავეს სამღერლად ხმები.
ლალივით ღვინოს ჩაასხამდნენ ჯამში სალხენად
და დილიდანვე საღამომდის სვამდნენ უცდენლად.

ამ ლხინის შემდეგ რამდენიმე დღე დაახანა,
ლხენით რომ გაძღა, სალხინოდან მან წასვლა ბრძანა.
თუმც ლხინში იყო და თან ხელში ჯამი ეჭირა,
მაგრამ მას გული შირინისთვის ისევ ეჭირა.]
იქით წასულმა მან მუღანში დაისადგურა.
მუღანიდან კი ბახერზანის გზით გაეშურა.
და მეჰინ-ბანუს ეს ამბავი რომ მოხვდა ყურად,
მყის მოემზადა, შეხვედროდა ხოსროვს მეფურად.
მასთან შეხვედრით იყო იგი ფრთებგამოსხმული.

გააწყო ჯარი მისალოცად გამზადებული.
ძვირფასი ნივთი, უამრავი მეფურ-სვიანად,
გაგზავნა მისთვის სალაროდან თავაზიანად.
მონები, განძი, მარგალიტი, ფარჩა ნაჯერი, –
წერის დროს მდივნებს გაუფუჭდა ჯალმისა წვერი.
შევიდა სახლში, სადაც იყო ქვეყნის მპყრობელი.
ჰკადრა სალამი ქვეყნის მპყრობელს აურაცხელი.
მოართვეს მეფეს დასაჯდომი ტახტი პირველად,
ის დაჯდა, სხვები იდგნენ ფეხზე მის წინ სუყველა.
„როგორ ბრძანდები? – აქ შაჰინშამ აიდგა ენა, –
ღმერთმა გიბოძოს სულ ახალი ლხინი და ლხენა.
მოულოდნელით სტუმრობითა დაგღალეთ ეგებ,
ო, ღმერთმა ნუ ქნას, გამძიმებდეს სტუმრობა ეგე!"

და მეჰინ-ბანუმ რომ ისმინა ასეთი თქმული,
მის სამსახურად შემდეგ უფრო მოიცა გული.
ამოისუნთქა, როგორც გრილმა ნიავმა დილის,
თხოვა შემოქმედს, შაჰს მიეცეს ყოფნა ჯეთილი!
ბედის ვარსკვლავმა მისცა მის ზურგს ძალა იმგვარად,
რომ გადაიქცა ის ხოსროვის თავშესაფარად.

და მთელი ჯვირა, სადაც იყო ხოსროვის ჯარი,
ყოველ წუთობით მოდიოდა ზღვა საჩუქარი.
შვიდი დღის შემდეგ, როცა დადგა დღე სასურველი,
არვის უნახავს ქვეყნად სხვა დღე ისე ნათელი.
მწვანე მინდორზე იყო შაჰი ტახტზე დამჯდარი,
როგორც სულთანი, ვისაც ბედი ჰყავს მეგობარი.
ირგვლივ ყვავილი მრავალგვარი ყვაოდა ნაზად,
დამგვანებოდა ზოგი ეშხით თვით ნაზთა თმასა.
შაჰის საჯდომი მსახურებით, მასთან რომ ჰყავდა,
ავსებულს მწვანე საროებით ბაღს წააგავდა.
ადუღდა ყველას პირში სიტყვა, ვის რა ეწადა,
მათი სახელი გაიწია, აღხდა ზეცადა.
აიშვა თავი ქეიფმა და დროისტარებამ,
ღრეობა არვის ეხათრება, არც ეზარება.
თვით მეჰინ-ბანუ მიწის ჯოცნით იმას ეახლა,
და თხოვა ხოსროვს: „გაჭირვება მაწევს მე ახლა.
სატახტო ბარდას მიეც შენი მოყვარე ხელი,
ზამთარი იცის იქ ნიადაგ შვების მომგვრელი.
ჰავა თბილია იმ მხარისა და ზომიერი,
არის იქ წყალი და ბალახი უზომოდ ბევრი.

[ყვავილებია იქ მიწაზე ძირს დაფენილი,
ხეები არის ზეცის თაღზე თავმიბჯენილი,
იმისი მიწა მწვანით არის ახლა მოსილი,
მისი ნაძვები ჭაბუკია ზე ტანთაწვდილი.
წყაროთ ნაპირზე იქ ხეები არიან თანაც,
იქ არის ვარდი წითელი და არის ზაფრანაც.
იქ ყოველი დრო გაზაფხული არის ახალი,
მხარე სალხინო, და ნადირიც არის მრავალი.
თუჯი ინებებს ამას შაჰი, ქვეყნის მპყრობელი,
მოინადიროს გასართობი ის ტურფა ველი".]

დათანხმდა ხოსრო, უთხრა: „ადე, წაიყვა სხვები,
წადი და შემდეგ თვით მე უკან თან გამოგყვები!"
და მეორე დღეს ხოსრო თავის ჯართ ადგილიდან
„თეთრი ბაღისკენ" გაემგზავრა უკვე დილიდან,
მშვენიერ ადგილს მიიტანეს ბარგი-ბარხანა,
მეფის ტახტი და გვირგვინიც იქ მიზიდეს თანა.
ყოველ მხარეზე გაშალეს მათ ბევრი ჯარავი,
ყველა მოეწყო, უადგილო დარჩა არავინ.
მეჰინ-ბანუს ჯი ქვეყნის მპყრობელს რასაც შეჰპირდა,
ამა პირობის შესრულება არ გაუჭირდა.
შაჰი იქ მთელი დღე და ღამე ქეიფსა სწევდა
და ჰქონდა უხვად მწარე ღვინო და ტკბილი სევდა.[155]

ხოსროვის მიერ ლხინის გამართვა და შფურის დაბრუნება

ერთ ღამეს, ღამეს ნოვრუზისას ბევრად რომ სჯობდა, –
რის ღამე, იგი თვით ბედნიერ დღესაც სჭარბობდა, –
იყო მოლხენა ჯარავებში შაჰთან ერთობით,
ნადიმი მეტად უზომო და გულგასართობი.
ბჭობა-ბაასი ზოგჯერ დინჯი და გონივრული,
სიტყვები დიდად სახუმარო და მოსწრებული.
შაჰის ჯარავის გარეშემო წარჩინებული
ალანურ ნაბდის ფარდა იყო შემოვლებული.[156]
ფოლადის ხმლები ამართული მათ ჰქონდათ თანა, –
უნდო ჰირების თავი ყველა ქარს გაეტანა.
ჯარავის შიგნით სურნელოვან წყლით მონარწყავი,
უდით და ამბრით სადედოფლო იდგა ჯარავი.
მხიარულება დიდებული, სასმელი – ამო,

უდის და ამბრის ბოლი ადგა ჯარავს და სამოსს.
სომხის ნახშირი ცხარე ცეცხლის გამომცემელი,
ზანგურ სიშავით არის იგი ვნების აღმძვრელი.
ვითა მუშქ-ნაფე, ბალახებში როცა იდება,
სიწითლის შემდეგ იგი შავი ფერისა ხდება.
ტირიფის მუშაი, იმისგან რომ უდი მზადდება,
სიშავის შემდეგ, ეს მაოცებს რატომ წითლდებაl
ეს შავი როგორ გააწითლა ცეცხლმა ამჯერად
შავი ფერი ხომ არ იცვლება სხვანაირ ფერადl –
თუ საწუთროსგან თვალთმაქცობა მან შეითვისა
და იმით ჩვენგან მოიტაცა სიშავე თმისაl
ჯოცონთა ბაღში გლეხი იმ შავ ნახშირს რომ სწვავდა,
იასა მჯიდა და ყაყაჩოს წითელს თესავდა.
ვით მთის ყორანი, გამოეწყო შავ სამოსელში,
მოაწვა სისხლი ცეცხლისფერი პირსა და ყელში.
არწივმა ისრად გაიჯეთა თვისივე ფრთები
და შავმა გველმა გაისროლა წინ ხვითო ნებით.
[ღამემ ლალის ქვა ყელსაბამად თვით შეიძინა,
ფრანგმა ხმლით უცებ შავ ზანგს თავი გააგდებინა.]
და შავი მოგვი, იგი რწმენით ინდოეთელი,
როგორც ზარდუშთი, მოვიდა აქ ზენდის მჯითხველი.
წარხდა მდივანი ჰაბაშელი ბულგარეთს ხელად
გამოიყენა მან საქმეში სინგური მელნად.[157]
და ამის გამო თვით ზამთარი გადიქცა ტაბილად,
ცეცხლი ვარდივით აელვარდა ფიცხელი. თბილა.

სურამ ღვინისამ მოიღერა მამლისებრ ყელი,
(როცა მამალი თავის დროზე ყიყლიყოს მღერის).
ღვინის მამალმა როს აანთო ცეცხლის ფოცოცი,
ხან გვრიტი შესწვა შურის ცეცხლზე, ხან ჯაჯის ხორცი.
მიმოდიოდა მათ სუფრაზე შემწვარი, მწვადი,
ზოგჯერ მთის როჭო ჩინებული და ზოგჯერ ბატი;
ვაშლსა და თურინჯს ტუჩი ტუჩზე ჰქონდათ მიდგმული,
ვით ოქროს დოქში ლალის ღვინო წითლად ჩასხმული.
ია-ნარგიზით იყო სავსე ჯარავთა გარე
და ვარდის ბაღად გადაიქცა მთელი ის არე.
მრავალ ნარინჯსა და ბროწეულს, – ლხინის მშვენებას, –
ნოვრუზის ქარი არ აძლევდა წამს მოსვენებას.
ქვეყნიერებას ჩაუდგეს მათ ახალი სული,
განთიადს შეხვდნენ ღვინითა და ხელში სასმურით.

ჩანგზე დაჯრული ისმოდა ხმა სიმღერებისა, –
ჩამოიხია ფარდა ყველა მიჯნურებისა.[158]
ტკბილი სიმღერა ფალაური ჩანგის ქვითინში
თვით ცეცხლის ჯოცონს დაანთებდა ცივი ქვის გულში.
ქამანჩამ იწყო უკვე მოსესნაირი ლოცვა,
მომღერალის ხმა თვით მუსიკის ჰანგს როდი მოსწყდა.
ღაზელის მთქმელი თავის ჩანგურს ებულბულება,
მხიარულება, იყოს მეტი მხიარულება!

ოჰ, რა ბალია ეს სიცოცხლის ბალი რომ არი,
რომ არ ავნებდეს შემოდგომის მსუსხავი ქარი!
რა ჯარგი ბინა იქნებოდა ამ საწუთროის,
მარადისობის საფუძველი რომ ჰქონდეს დროის.
ამით ცივდება, ის სასახლე გასახარელი,
თბილად შიგ ზიხარ და გეტყვიან: „ადე, რას ელი!"
ამ ქვეყნის საკანს, საფუძველი რომ აქვს უგვანო,
უნდა ღვინის სმით იგი ჩქარა ქარს გაატანო.
ცოდნა ხვალის და გუშინდელის არვისგან მჯერა, –
ერთი წავიდა, არ დამდგარა მეორე ჯერა.
დღეის დღე არის, საწუთროში რომა გვაქვს ნაღდად,
და მასაც მხოლოდ საღამომდე ეძლევა ვადა.
მოდი და ვიყოთ, მხიარულად, ლაღად ვიცინოთ,
სული და გული მოგვილხინოს ჯამჯამა ღვინომ.
განვაგდოთ ძილი მთელი ღამის და გავიცინოთ,
რადგან მიწის ქვეშ ძლიერ ბევრი უნდა ვიძინოთ.

შაფურის მიერ შირინის ამბის მოტანა ხოსროვთან

აღფე მთვრალია, ღვინო ხელთ აქვს მერიქიფესა,
გაისმის ჩანგის სევდიანი სიმების ჯვნესა.
მხევალი ეტყვის, ვით საროს ხე, ტანატყორცნილი,
გულწარმტაცთაგან ხოსროვისა, ნაზი და ტკბილი:
„უნდა შემოსვლა მონა შაფურს შენთან ამბორით,
ბრძანებ, მოვიდეს, თუ ახლავე გაგშორდეს შორით?"
სიხარულისაგან ხოსროვს ცეკვა-ხტომა ეწადა,
მაგრამ მყის თავის შეკავებას იგი ეცადა.
ბრძანა მოყვანა მან სადგომში იმ შაფურისა,
სიხარულისგან სულ ადუღდა გული შაჰისა.
მას აკი ძლიერ აღონებდა აქამდე შიში,
შიშით გამსკდარი გული ხოსროვს დაჰქონდა ვიშით.

როდესაც გზაზე დღენიადაგ გვიჭირავს თვალი,
თვალიც გვტკივა და გულზეც ცეცხლის გვედება ალი.
ყველა ნაღველი მწარე არის, ადვილი – როდი,
ყველაზე მწარე ჯი, რომ უცდი და ის არის მოდის.
დეე, ნურავის ნუ ექნება თვალები გზაზე! –
ჯაცი ჭკნება და დღე ჯაცისა მოკლდება ასე.

დაბრუნდა ამ დროს ის მანივით დიდი მხატვარი,
დაუწყო მიწას ჯოცნა მდაბლად მან მრავალგვარი.
ჯოცნიდა მიწას ერთ ადგილზე მის სამსახურად
და ვით მორჩილი, ერთ ადგილზე იდგა მონურად.
მიიღო შაჰმა იგი იმ წამს დიდის დიდებით,
დასვა თავისთან და სადგომი დასცალა სხვებით.
ჰკითხა ამბავი ყველაფერი მთისა და ბარის,
შესანიშნავი მოვლენა იქ თუ რამე არის?
ჭკვიანმა ჯაცმა ლოცვით მაღლა აღაპყრო ხელი,
რომ ექნეს მარად შაჰს სიცოცხლე დაულეველი.
გამარჯვებული იყოს მტერზე იმისი ჯარი,
თავზე ეხუროს მას გვირგვინი, სამეფოს ფარი!
ასრულდეს მარად ბედნიერად მისი იმედი.
ყოველდღიურად მოემატოს ახალი ბედი.
მონის ამბავი, მძებნელი რომ იყო საშვილის,
ფეხსაფენია, წინ გაშლილი საჯმაოდ გრძელი.
„შაჰმა თქმა ბრძანა, ვით არა ვთქვა ჩემი სათქმელი,
შაჰის მადლს ვეძებ, ვით არ ვძებნო ეს საძებნელი!"

თავით ბოლომდე მოჰყვა იგი, რაც რამ იცოდა,
თქვა ყოველივე, რისი თქმაც ჯი შეიძლებოდა.
თვის დამალვაზე (ფრინველი რომ თვის გუნდს მოსწყდება),
გამოჩენაზე (მთაში წყარო რომ გამოჩნდება).
ყოველ წყაროზე წასვლა ყოველ განთიადისას,
გამოჩინება მუყანასებრ ყალბი მთვარისა.[159]
შესახებ იმა სურათის და სურათთა სხვათა,
როგორ მოხიბლა, შეაყვარა მართლა და მართლა.
და მით, რაც თავის სასარგებლოდ გამოიყვანეს, –
იმის შედეგად თურქესტანში შაჰი გაგზავნეს.
ახალ გაზაფხულს, როცა სიტყვა მიუახლოვდა,
ხმა უნებური იმ დროს ხოსროს გულით აღმოხდა,
მას შეევედრა: „ის მზექალი, მითხარი სწორედ,
ვით, რანაირად ჩაგივარდა, განიმეორე?"
უთხრა: „მოვიქეც ისე, როგორც გონი მიჭრიდა,

შემდეგ ხოსროვის ბედმა იგი თვით გადაწყვიტა,
მეისრის თვალი ჯაშუშად რომ გადავაქციე,
მეშვილდის დუქნის გადალმაც ჯი გადავალწიე,
[თავით ბოლომდე გავზომე იმ ქვეყნის მთაბარი,
თვით ის მხარეც ჯი, სადაც არის რუმის საზღვარი,
ვით ძალმიძს, სიტყვით მისი სახე მე რომ შევამჯო,
მე იმის მუშჯის ქამანდზე რა ვილაჰარაჯო?[160]
მის სილამაზის მე აღწერას თუ მოგიყვები,
სულ დაადუმებს ამ ჩემს ენას იგი სიტყვები.]
ხელში ჩავიგდე იგი სარო, თვალებციალა,
ის გულქვა ჯერჰი, გარს რომ ერტყა ვერცხლი ბრჭყვიალა.[161]
რა ვნახე, ჭკუამახვილი და ჰიგაბადრული,
ყოველ თმის ბეწვში ჰქონდა ქცევა ქრისტიანული.
ვარდივით სახე, ასე ნაზად გადანახული,
მთელი სხეული ჰქონდა ისე, ვით ნუშის გული,
თავით ფეხამდე მისი ტანი გავზომე მე თვით,
ორი ქვეყანა გადანასჯა იმან ერთი თმით.[162]
ტუჩები ვიწრო და ჩამჯდარი ძალის ძალ რჯალში,
ვით ხუზისტანი მოქცეული ჭინჭველის თვალში,
არ შეხებია მის ტუჩს ტუჩი მის სიცოცხლეში,
გარდა ბროლისა, ვნებით მთვრალს რომ ეჭირა ხელში.
არ გაუწვდია სხვისთვის ხელი მას თანაგრძნობის,
მხოლოდ თავის თმებს შეხებია, ისიც ცელქობით.
მის თმაზე ბევრად მისი წელი უწვრილესია,
იმისი ბაგე მის სახეზე უტკბილესია.
[თუ რომ ფერია ნახავს იმის მშვენიერებას,
დაჯარგავს დარდით იგი თავის გონიერებას.
მისი წარბები ისე არის შეერთებული,
ვითარცა მშვილდი გასასროლად ლარმომართული,
სახე, ვით ვარდი, საროს ხეზე აყვავებული,
ორი ნარგიზი ქვეყანაზე ხელალებული.
ორი ვარსკვლავი, ორი თვალი მთვარის სახეზე,
მანათობელი ბევრად უფრო ცისკრის ვარსკვლავზე,
იმისი ლალი არის წყვილი, ვით ნუშის გული,[163]
ერთიმეორეს სჯობს ასო და მთელი სხეული.
რომ ვნახე იგი, მოთმინება გამიქრა ხელში,
ვიგრძენ, ნადირი რომ გაება ამ დროს მახეში.
ამგვარ თვალთმაქცურ ქცევით იგი მოვხიბლე მთელად,
ვამოძრავებდი ქვედა ბაგეს შეუმჩნეველად.

მდგომარეობა აღვუწერე შაჰისა ასე,
რძით მოვიტყუე, როგორც ბავშვი, ის მთვარის მსგავსი.
რომ ვნახე, მის თავს მოუნახავს თავის ადგილი,
და შაჰის ტრფობით არის იგი გულშებორკილი.
მას დაწვრილებით მოვუყევი შაჰის ამბავი,
ისე, რომ იმით მთვარის ტანმა დაჯარგა თავი.]
თუმცაღა ქვეყნის აღმაშფოთი იყო ის მთვარე,
შაჰის სურათზე გახდა იგი თვითაც მშფოთვარე.
როცა მოვლესე წასასვლელად გული იმისი,
მოვიშველიე მაშინ მისთვის შავი შაბდიზი,
წამსვლელი მთვარე იმ მერანის ზურგზე შემჯდარი,
მე გავაგზავნე. ხომ ვყოფილვარ ჯადოქრის დარი!?
მე ჯი დროებით იმ ადგილზე მწუხარედ დავრჩი,
რომ ამ სიშორით მხედრისაგან მე გარეთ დავრჩი.
ახლა ჯი ვიცი, დიდი ტანჯვა გზაში გასწია.
მეფის სახლამდე, როგორც იქნა, მან მიაღწია!"

შაჰმა ჩაიკრა იგი გულში ცეცხლურ ანთებით,
თავით ფეხამდე შეამკო ის მარგალიტებით.
თავს დააფარა მოწყალების მას უხვი ჯალთა,
აქო და აქო, საქებარი მართლა და მართლა!
[თავით ბოლომდე, რაც იცოდა, ყველა ახარა,
ასე, რომ ხოსროვს არაფერი არ დაუფარა.]
წყაროს ამბავი, მთვარის მიერ თავის დაბანა,
შაჰმაც ყოველი მთელ სიმართლით მას მოუყვანა,
მეფემ თვით რაც ჯი ნახა გზაში, ის სანახავი,
თქვა სათითაოდ ყველაფერი, ჯარგი და ავი.
დარწმუნდნენ მასში, რომ ფრინველი ის დიდი სულის,
შორს მადაინში იყო ჩქარი ფრენით წასული.
დაასკვნეს ასე – და შაფური მეფეს ჰპირდება,
რომ, ვით ფარვანა, მის სხივს უკან გაეკიდება.
ზურმუხტი უკან დაუბრუნოს წიაღსა თვისა,
ბაღს დაუბრუნოს მან რეჰანი იგი ბაღისა.

შაფურის მეორედ წასვლა შირინის მოსაწვევად

Ამაოა მხარე, როცა მისით ამოა გული,
ამოა დღეცა, მხოლოდ დღენი ახალგაზრდული.
არაფერი სჯობს ჩვენს სიცოცხლეს აქ ყოფნის დროში,
არც ჭაბუკობას არარა სჯობს ამ საწუთროში.

ქვეყნის უფალი როცა ქვეყნის წინამძღვრად იყო,
ჭაბუკი იყო და ჭაბუკი გულმაგრად იყო.
[არა ყოფილა არასოდეს ისეთი სული,
იმისი მჯობი ჯეთილი და გულმხიარული.]
მას არ შეუსვამს უსიმღეროდ ყლუპი ღვინისა,
არც უმუტრიბოდ ჰქონებია ჭამი ლხინისა.
მომღერალს იგი ფეხის ქირას ჯი არ აძლევდა,
სამაგიეროდ სიმღერისათვის განძს არ აკლებდა.
მოლხენით იყო და თან ღვინო ეჭირა ხელში;
მას მეჰინ-ბანუ მხიარული მიუჯდა გვერდში.
მეფემ მადლობა გადუხადა მას თავის წილად,
სხვა დროზე უფრო მოეკიდა ახლა გულთბილად.
როდესაც ჭამმა მოაწია ჰურის ჭამისა,
მობედსა სთხოვა აღსრულება მან ბარსამისა.
ყოველ შესმის დროს შაჰი თავის წესებს იცავდა,
ბარსამის ყოველ ჩვეულებას თვით ინახავდა.
ხოლო ბარსამი დადგენილი არის იმგვარად,
რომ ქეიფის დროს, ვით წესია, სრულდება მარად.
და ყველაფერზე მობედისგან ნება ეგების,
თორემ ზოგი რამ არ იჭმევა სულაც ეგების.
ღვინის სასმელად სხედან ამ დროს გვირგვინოსნები
და ბედნიერნი ამა ქვეყნის მანდილოსნები.
შაჰი ბანუსთან სავსე ჯამით ღვინოსა სვამდა
და ლაპარაკში მრავალნაირ აზრს გამოთქვამდა.
ბოლოს და ბოლოს, მწარე ღვინით როდესაც ითრო,
შაჰმა შირინზე ჩამოაგდო ბაასი თვითონ.
მიჰყვა და მოჰყვა ყვლავ შირინზე იქით და აქით,
ხარობდა გულით, მწუხარებდა ყასიდად ბაგით.
„მეჰინ-ბანუსი ის ნამდვილი ძმისწული არი,
ტანად სარო და როგორც ვარდი ჰირმომღიმარი.
გავიგე, შავმა მერანმა ის შორს გააქცია,
და ვით ფასკუნჯი, უხილავად გადააქცია.[164]
მოვიდა დღისით ჩემთან ერთი მოამბე ჩქარი,
თან მოიტანა მან ამბავი გულდამწვარ მთვარის.
თუკი დავრჩები აქვე ყვირა მე ორიოდე
მიტომ, რომ ბინა და სამყოფი მისი ვიცოდე.
გავგზავნე ჯაცი, დააბრუნოს უკან საჩქაროდ,
ფრინველის მსგავსად ის უკანვე ფრენით მომგვაროსი"
და მეჰინ-ბანუ რომ შეიქნა ამის გამგონი,

დაჯარგა სიტყვის მან უნარი, თმენა და გონი.
მეფის წინაშე განირთხო ის, ვითარცა მიწა,
მორთო ყვირილი გულის სიღრმით, ძირს რომ წაიქცა:
„ის მარგალიტი სად არის, რომ ვნახე სიზმარში,
არა ჯალთაში, იმალება არამედ ზღვაში.
თვალის მარცახით ზღვის გულიდან მას ამოვძირავ,
სიცოცხლეს მივცემ და სიცოცხლეს მასვე შევწირავ!"
შემდეგ შაჰის ტახტს ემთხვია ის გულით მღელვარე:
„უნდა აჯოცონ შენს ტახტს ვნებით ზოჰრამ და მთვარემ.[165]
თევზით მთვარამდე მაგ შენს გვირგვინს თავს ევლებიან.
და ალმოსავლეთ-დასავლეთი გემონებიან.
[შენმა ნათქვამმა სიტყვებმა მე მომილბო გული,
და მწუხარების ბორკილიდან ვარ აშვებული.
ვინაიდან შენ ეს გულმკვდარი გაახალისე,
იმედი არის, ვით რიგია, მოეპყარ ისე.]
აჯი ვამბობდი: მოვა-მეთქი იგი ნამდვილად,
შეუერთდება მეფის ბედი მას თავის წილად.
შენი ილბალი ჩემთან მიზანს თუ მიეწევა,
ჩვენი ნადირი ხაფანგიდან ვერ გაიქცევა.
თუკი მოამბეს გზავნის შაჰი მის საძებნელად,
უნდა მაცნობო მის შესახებ მე უეჭველად.
რადგან გოლგუნი ეს სირბილში ცხენი ქებული,
უნდა ვაჩუქო მას, შაბდიზთან დაბადებული.
სირბილში ქვეყნად შაბდიზს ვერვინ ვერ უბამს მხარსა,
თუ არ გოლგუნი, მათებრ რაში არ არის არსად,
თუკი შაბდიზი წაყვანილი ჰყავს იმა მთვარეს,
არც გოლგუნს ვხედავ მე სირბილში შაბდიზზე მდარეს.
და თუ შაბდიზი აქ შემთხვევით არ არის ახლა,
გოლგუნის გარდა ვინ გვიშველის, იგი აქ გვახლავს".
მეფემ ბრძანა, რომ იგი რაში შესახედავად
თავის თავლიდან თვითონ შაფურს მიჰგვარონ თავად.
და იმწუთშივე თავის ხელით შაფურ მამაცმა,
სასწრაფოდ იგი მარბენალი იქვე შეკაზმა.
მყის მადაინის სამთავროსკენ გასწია ჩქარა.
მთვარის ძებნაში უკვე ერთმა თვემ გაიარა.

როს სასახლეში არ აღმოჩნდა მთვარის მაგვარი,
შემდეგ თვით იმან იმავ ჯოშკის მოძებნა ჯარი.
მან ჯოშკის ჯარებს უკაკუნა რამდენი ხანი,
მოვიდა კაცი, გადასცა მას შაჰის ნიშანი.

შიგ შეიყვანეს, ვით სტუმარი გასახარელი,
იმ სასტუმროში, სადაც ჰყავდათ იგი სანთელი.
როგორც შევიდა იგი ჯოშაში, შაფურ ჯეთილი,
ნახა დილეგი ამ ქვეყნიდან შორს მონყვეტილი.
იჯდა ის ლალი, ჩაჭედილი ქვის განახეთქში,
სამოთხისგვარი რალაც ვიწრო ბნელ ჯოჯოხეთში
მას მარგალიტის ყდემით სახე გაუხდა ლალი,
თაყვანი სცა მას, მიწას ადო ჰირი და თვალი.[166]
ქება შეასხა მთვარეს ისე, ვით ეჯადრება,
ჰკითხა მზის ტანჯვა-მწუხარების გარემოება:
„როგორ იყავი, რად მოგეჰყრნენ უმართლოდ ყიდე?
შენგნით შენს მონას დაეკარგა სულის სიმშვიდე.
მე იმედი მაქვს, ეს ტანჯვაა უკანასკნელი,
სწამს ჩემს გულს ისე, რომ გექნება ანი საშველი.
გწამდეს შენც ასე, რაც გასწიე შენ გაჭირვება,
ამ გაჭირვებით მოგეცემა მაგიერ შვება.
რა ადგილია იგი გულის გამჯავრებელი,
ვინ არის შენზე ესდენ შურის მაძიებელი?
განა დილეგი შენი ეშხის შესაფერია,
ამ ჯოჯოხეთში როგორ გასძლებს ნაზი ფერია!
[ედემის ბალი საფერიო მუდამ დარჩება,
ჯოჯოხეთში კი ის უთუოდ დაიტანჯება.
სამოთხის ჩიტო, ჰოი ნაზო, ნახატო ჩინის,
ამ ჯოჯოხეთში რომ დამჯდარხარ, რად არ გეშინის?]
არ მესმის სწორედ, რად ირჩიე ეს ქვები სალი? –
იქნებ იმიტომ, ქვაში თქმულა ჩაჯრული ლალი".

ჩინის ნახატმა როცა ნახა ჩინის მხატვარი,[167]
სურვილთა ყლიტე სახელოში ჰქონდა მდებარი.
მორცხვად სახეზე მიიფარა ხელები მყისვე,
ჰკადრა მადლობა და პასუხი ასმინა ისე:
[„ჰოი, ოსტატო, გამოცდილო სიტყვის თამაშში,
შეცთომით ბრძანე, რომ თქვი: ლალი არისო ქვაში.
ცეცხლის ქურაში ვარ მე ახლა ძალად ჩამჯდარი,
მე ამ ადგილზე ჩამაჯინეს ნახევრად მკვდარი.
არავინა მყავს თანამგრძნობი ჩემს მეგობრებში,
იყოს ჩამჯდარი ჩემებრ მკაცრად ქვებსა და მთებში.
ნუ მკითხავ ტანჯვას, მე იგი მაქვს დაუთვალავი,
ნუ ეძებ ჩემს დარდს, რასაც მაძლევს საწუთრო ავი.
რას ეძებ ჩემგან, ამდენად რომ გული ვიტკინე,

ჯანსაღად მყოფმა გაჭირვება რომ შევიძინე!
მე რომ მხედავდნენ, შურისაგან გულზე სდებოდნენ,
ისე, რომ შურით აღძრულები თითქოს ჯდებოდნენ.
მაქვს მარგალიტი, გასახვრეტი იგი არ არის,
მინდა ბევრის თქმა და სათქმელი იგი არ არის.]
ჩემს ნახულ ტანჯვას სიტყვიერად თუ გადავშლიდი,
ჩემს გაჭირვებას დაწვრილებით თუ ჩამოვთვლიდი,
სიტყვა მას ვერ იქმს და მოსმენაც მისია რთული,
მისთვის ჯალამი უნდა იყოს წვერმომართული.
მე იმ მოშგუში, შენ რომ ბრძანე, უკვე ვიყავი,
შიგ მცირე რამე ვნახე მხოლოდ გულმოსაკლავი.
იქ მსახურ ქალებს ვნებიანად ეჭირათ თავი, –
„მონავ, დრო შენ გაქვს, დრო იხელთე, ჯარგად იყავი!..“
როგორც ვენერას, გაეშალათ მკლავნი და ხელნი,
ვნების სასწორზე გასასყიდად იდგნენ შიშველნი,
და რადგანაც მე სიქალწულის ვიყავ მოყვარე,
იმ ერთი მუჭა ჯგუფისაგან წავედი გარე.
როცა იმათგან ჩემი გული გავაცალკევე,
საჭიროება ჩემი ჯოშკის ვისურვე მევე.
ეს ჩემი გული შურისაგან ბევრი ატირეს,
და ამის გამო მე სრულიად გამინაპირეს.
მე ეს შავი ქვა გადამექცა მუდმივ სათმენად
და სიმწარისგან შავი ფერი გულმოსასვენად.
რადგან მარგუნეს ეს ადგილი გულის დამწველი,
იძულებისგან აღარ იყო მეტი საშველი“.

უთხრა შაფურმა: „ახლა დროა, წამომყევ თანა;
დიდმა ფარვიზმა შენს შესახებ ამგვარად ბრძანა.
[შაჰი ფარვიზი მეჰინ-ბანუს შინ სტუმრად უხის,
ღამე დღე არის მისთვის და დღე არის ნოვრუზი.
შენს მოლოდინში ის იმედით მუდამ სავსეა,
არა სვამს ღვინოს, თუმცა სავსე ჭურის თავზეა.
მე შენთვის მოვრთავ შაჰის სახლს და მის არემარეს,
მე შევყრი ერთად ქვეყანაზე მზესა და მთვარეს!“

რომ მოისმინა შაქარ-ბაგემ, ზე წამოვარდა,
ხოსროვის გამო მან თამამად წელი გამართა.
მყისვე შირინი გამოვიდა გარეთ ჯოშკიდან,
ისე, ვით ლალი გაჭირვებით გამოვა ქვიდან.
და მას რომ ჰყავდა ის შაბდიზი, მერანი მისი,
ხოსროვს დაუთმო, რაში იყო მხედრისა ღირსი!]

გამოიყვანა ცხელ ციხიდან შესვა გოლგუნზე
და წაიყვანა, რათა ხოსროვს ეფონოს გულზე.
როცა შირინი წამოახტა იმ გოლგუნს ცხარეს,
სირბილში ბევრად გაუსწრებდა ვარჯვლავს და მთვარეს.
ისე ფრინავდა ის გოლგუნი ფასკუნჯი ვითა,
ფასკუნჯზე იჯდა მთვარის მსგავსი ფერია თვითონ.
იქ ჯი ხოსროვი მოლოდინით ჯრთოლდა და თრთოლდა,
ელოდა გულით, თავის სატრფოს რომ შეხვედროდა.
ცუდია, როცა სატრფოს დიდხანს უცდი და ელი,
მაგრამ თუ შეხვდი, გავიწყდება წარსული ძნელი.
მას რა სჯობს, როცა გათავდება ბევრი ლოდინი,
მიზანს ეწევი, მოიცილებ ვარამს ლოდივით.

ხოსროვის მიერ მამის სიკვდილის შეტყობა

Oჯდა შაჰი და ღრმა ფიქრები მას აწუხებდა,
თუ მისი ბედი აბა როდის გაიღვიძებდა.
მოვიდა მაცნე და საჩქაროდ შაჰს მოახსენა,
ჰინდთა ამბავზე მან სპილოსთან მომართა ენა.[168]
ჩინის ჯამივით ჰქონდა თვალი ცრემლით ავსილი,
როგორც ზანგის თმა, იყო იგი წელში მოხრილი.
ჰირმოხატული თან მანშური მან მოიტანა;
„შაჰმაო ჩვენმა მიატოვა ტახტი, ქვეყანა.
ასრულდა მათზე საგანგებო ბედის ტრიალი,
ასცდა ინდოეთს თავის მწყემსის ფხიზელი თვალი.[169]
ორი ელვარე მარგალიტი ძალით მოსწყვიტეს
და იგი ძაფის მაგიერად ნემსზე ააგეს.
ორი სამზერი უნებურად მეფეს დაუვსეს
და სურმის ნაცვლად თვალზე ბასრი დანა გაუსვეს.
რომ იუსუფი დაეჯარგა, დივანი მისი,
ბარემ გახადეს იაკობის იღბალის ღირსი.[170]
ბედმა შენ მისი თვალი მოგცა ქვეყნის სამზერად,
შუბის მაგიერ იმას ჯოხი ხელში საჭერად.
ქვეყნის უფროსმა ამქვეყნად რომ დახუჭა თვალი,
უნდა იყისრო აწი თავად იმისი ვალი“.

იმათი ტახტის ვინცაჲ იყო ერთგული ჯაცი,
ხოსროვს აცნობეს საიდუმლოდ, შეეძლოთ რაც ჯი:
„ღვთის გულისათვის, საქმე ესე აწ მოაგვარე,
წახდა ქვეყანა და წამოსვლას აქეთ უჩქარე.

იჯდე, არ დაჯდე, ეს იცოდე, არ დადგე, იდგე,
გამოემართე ჩქარა აქეთ, ადრეა ვიდრე!"
ნახა ხოსროვმა, რომ საწუთრომ ასე ინება,
ბედის ქამანდი მის ქონგურებს ეპოტინება,
იგრძნო – საწუთრო საზოგადოდ უპირო არი,
ლილას ბეყამი ურევია და თაფლსა – ძმარი.
ამ მიწის სახლის ხასიათი არის ამგვარი,
ზოგჯერ ჯრაზანა ბუდობს მასში, ზოგჯერ – ფუტკარი.
მტერობა ტრფობას ეყოლება მოცილედ მუდამ,
მწარე ტკბილს ქვეყნად აფუჭებდეს ყოველთვის უნდა,
საწუთროს ქვიშით ყველა წყარო ამოივსება,
ჯოჯა ქვას ქვეყნად ვერასოდეს შეეთვისება,[171]
თუ ყოფადის გზა არის შენთვის ტანჯვა-წვალება,
არყოფნის გზაზე შეგიძლია შენ განსვენება.
ჩქარი დააგდე სული – ტვირთი, – წაიღებს ქარი,
დაჯეტე ჩქარა მიწიერი დილეგის ჯარის!
საწუთრო ესე ყაჩაღია, მას მუდამ ველით,
სუსტად ნუ ჩასთვლი, სისუსტის დროს არ გტაცოს ხელი.
შენ ამ დუქანში ვერ იშოვი ძაფის ერთ ბოლოს,
რომ უკანიდან იმან ნემსი არ მოაყოლოს.
ვინც შესვა ხაპით ისე ცივი წყალი სასმელი,
იგი წყალმანკით იმ ხაპივით გახდა ყვითელი.
ხე მაშინ არის სრულად ყვავილგამონაღები,
როდესაც სრულად გაიშლება მისი ტოტები.
სანამ საწუთრო ორად ჯაცს არ გადაუტეხს წელს,
არ გაიმეტებს იგი მანამ წამალს წასასმელს.
თუ უსიყვდილოდ ჯაცს სუდარას არ ჩააცმევენ,
ყაჭივით, – ჯობს, თუ მას სულ არას არ ჩააცმევენ.
რად გინდა, აბა, ჩასაცმელად ძვირფასი ფარჩა,
თუ იგი შენი განბანვის დროს ვილაც სხვას დარჩა.[172]
ტანისამოსი ჩაიცვი მზის და მთვარის დარად,
სანამ იქნები, იგიც შენთან იქნება მარად.
დაბერტყე ჯალთა, თუ რამეა შიგ თვალთმაქცური,
და იმყოფინე, თუ გუდაში გაქვს ერთი ჰური!
ჰოი ქვეყანავ, უსამართლო რატომ ხარ შენა,
მე რატომ მტანჯავ იმისთვის, რომ ილხინო შენა?
გსურს შემაწუხო, დალხინება შენი არ მინდა,
გსურს დამანგრიო, აშენება შენი არ მინდა!
ხორბალს აჩვენებ, მოტყუებით ჯი ქერსა ჰყიდი,

დამშალ ქერს გვაძლევ ხორბლის ნაცვლად შენ, ცრუ და
ფლიდი,
პურად მომყუზე და ქერივით ყვითლად მაქციე,
ქერიც ვერ ვჭამე, ისე დამფქვი, ფქვილად მაქციე.[173]
გეყო ამდენი ჩვენთვის ყალბი ხორბლის ჩვენება,
ჩემი თავის კი წისქვილის ქვად გამოყენება.
ეს მიყობს ღამით ღამემდე ამ ჭაში მჯდომარე
მე ქერის მჭადით გავიხსნილო, ვითარცა მთვარე.
ნიზამი, თავი, ვით მესია, გაიმარტოვე,
მთელი ქვეყანა თივის მჭამელ ჯოგს მიუტოვე.
ბალახი ძოვე, ვირზე იჯექ, უკეთესია,
თვალი გეჭიროს, გამოცხადდეს უნდა მესია.
ვირივით მუდამ ტვირთი ზიდე წუთისოფელში,
ვარგია ვირის ხორცი მხოლოდ მის სიცოცხლეში.

ხოსროვის ტახტზე ასვლა მამის მაგიერ

როცა გაიგეს გარდუვალი უფლის ბრძანება,
რომ მეფე ჰორმოზს გაუცუდდა შაჰობის ნება,
ბედის განგებით ხოსროვ-შაჰი სვებედნიერი,
მის სამეფოში შეიქნა აწ ტახტის დამჭერი.
თუმც შირინისთვის ჰქონდა გული მას განწირული
ქვეყნის დათმობა მისთვის იყო აზრს მოკლებული.
ერთი მხრით, ჰქონდა საზრუნავი მას სამეფოსი,
მეორე მხრით კი, აწუხებდა დარდი სატრფოსი.
ქვეყნის შენებას მან საფუძვლად დაუდო გული,
და სამეფოში დაამყარა მშვიდობა სრული.
იმდენად იყო მოწყალე და სამართლიანი,
რომ მთელს ქვეყანას დაავიწყდა ანუშირვანი.
როდესაც მთელი ქვეყანის ზრუნვას ის მორჩებოდა,
შემდეგ ლხინსა და ნეტარებას მიეცემოდა.
სალამოობით ნადიმობა ჰქონდა მას ხშირი,
არ იყო დრო, რომ არ ჰქონოდა სმა და სეირი.
გულდამცხრალს როცა მოაგონდა გულმომხიბლავი,
სთხოვა მახლობელთ, რომ ეამბნათ მისი ამბავი.
შეატყობინეს: „ჯარგა ხანი არის გასული,
რომ ამ ციხიდან გაიყვანეს ის ბარგაჯრული.
არ ვიცით, იგი თუ შაფურმა სად წაიყვანა
და ან თუ შაჰის უნებურად რად წაიყვანა".

შაჰი საწუთროს თვალთმაქცობას რომ დააჯვირდა,
გაშტერდა, მისი გამოცნობა ჯი გაუჭირდა.
შირინისაგან მისი ხსოვნის მოსაგონებლად,
შაბდიზის რბენა დარჩა სევდის დასაამებლად.
მთვარის სახსოვრად ღამის ფერი შემორჩა რაში,
იმედით ძვირფას თვალს ეძებდა ტინსა და ქვაში.[174]

შაფურის მიერ შირინის მოყვანა მეჰინ-ბანესთან

როცა შირინი თვით შაფურმა იქ მოიყვანა,
მეფისთვის ამ დრომ საკმარისად დაიგვიანა.
შიგ შეიყვანა ჯვლავ გოლგუნზე შემჯდარი სწორედ
მეჰინ-ბანუის ყვაილნარში ისევ მეორედ.
მინდორს საროს ხე მისცა მან და ბაღს – დედოფალი,
მზე ცის სამყაროს, და სხივებით აანთო თვალი.
ამ დროს იმისი მახლობელნი და მოყვარულნი,
დღემდე რომ იყვნენ შირინისთვის შიშით მოცულნი,
მოვიდნენ, ნახეს, სიხარულით მიწას ჰკოცნიდნენ,
დაეცნენ მისი ფეხის წინ და ვეღარ მოსცილდნენ.
მრავალი ქება და დიდება მას შეაწიეს,
ქვეყანა ცეცხლის სალოცავად გადააქციეს.
მეჰინ-ბანუ ჯი ვერ იტყვი, თუ ვით ირეოდა,
სიხარულისაგან თავის სახლში ვერ ეტეოდა.
ბებერს მოჰგავდა სიჭაბუკე დაბრუნებულსა,
მკვდარსა მოჰგავდა ჯვლავ სიცოცხლე დაბრუნებულსა.
იმისი თავი სიყვარულით გულს ჩაიძვრინა,
მითი სიცოცხლე იმ ქვეყანამ ჯვლავ შეიძინა.
ტრფობა-ალერსით იმოდენად გულს უფონებდა,
ასი ბაითით იმოდენს ვერ მოიგონებდა.
სამეფო განძი და თვით მეფის სხვა შენაძენი
უბოძა მას და თან ეს უთხრა: „რაც გინდა, ჰქენი!"
სირცხვილის ტანჯვით მისი თმა არ შეურხევია,
ნიშნის საგები დრო მისთვის არ შეურჩევია.
იცოდა, რომ ეს საქმე იყო მიჯნურთ ჩვეული.
შეყვარებულთა გატაცებით გამოწვეული.
[ესიყვარულა, უთხრა: „ჰოი, ყვავილთ სანთელო,
თვალის სინათლევ და აგრეთვე მთვარის ნათელო!
ნუ ქნას, რომ ერთ წუთს ან ოდესმე მარტო დამტოვო,
ჩემი სიცოცხლე მხოლოდ შენით მე უნდა ვჰოვო.

თუ შეგიძლია, არ ააღო დედაშენს ხელი,[175]
რადგან უშენოდ სიცოცხლეა აუტანელი!"

როდესაც ბანუმ შირინს სიტყვა უთხრა ამგვარი,
მის შემდეგ იმას დააფრქვია სიტყვის შაქარი.]
შაჰს მუდამ მასზე ეჭირა თვის თვალი ხილული,
მისი ამბავი რომ ჰქონოდა მას გაგებული.
მადუღარ ღვინის ჭურს ძალათი თავს ახურავდა,
მზის ნათელ სახეს ლაფ-ტალახით იგი მურავდა.[176]
რჩევას აძლევდა, რომ ბრძანება მისი მიეღო,
გულს უმხნევებდა, რომ ჯურნება მისი მიეღო.
ეფერებოდა მას უზომოდ და უანგაროდ,
პირველი მისი პირობა რომ ჯვლავ მოაგვაროს.
სამოცდაათი სეფექალი მისცა მორთული,
მათთან თამაშით რომ ადვილად გაირთოს გული.
საწუთრო, ტიკინთ თამაშობას თვით რომ ასრულებს,
თვის ტიკინებად გადააქცევს მის მოყვარულებს.
შირინმა როცა დაინახა იგი ქალები,
მთვარის სხივებით მორთო უცებ ის ვარსკვლავები.
თვისი ცელქური თამაშობა ჯვლავ მოიგონეს,
წინანდებურად მოჰყვნენ ლხენას, რაც კი იღონეს.

ხოსროვის გაქცევა ბაჰრამ ჩუბინისაგან

სიტყვა თუ ითქმის, მხოლოდ მაშინ გასაგებია, –
აზრი რკინისა მუდამ ოქროს გასალებია.
ხმლით ას მეომარს მოაზროვნე ერთი სჯობია,
ას ქუდის ყალიბს მეფის ერთი ქუდი სჯობია.
აზრით მთელ ლაშქარს შენ გასტეხ და მოუღებ ბოლოს
ხმალით ერთიდან ათ კაცამდე თუ მოკლავ მხოლოდ.

ბაჰრამ ჩუბინმა, გონიერმა, როცა შეიტყო,
ხოსროვ ფარვიზი უკვე ქვეყნის მჭყრობელი იყო,
მის თავს ხოსროვის აწუხებდა გვირგვინის დარდი,
ჩაიგდებს კიდეც ხელში იგი, ის ჭკუამარდი.
ბაჰრამი ხოსროვს ცილს სწამებდა, ამბობდა ამას:
„ხოსროვმა ჰორმუზს დასთხარაო თვალები, მამას!"
მან არ იცოდა, იოსები ვინც წაიყვანა,
თვალის სინათლე იაკობის წაიღო თანა.[177]
მისწერა იმან საიდუმლოდ ყველას ბარათი,
დაამახინჯა, რაც შეეძლო, ჯარგი სურათი:

„ეს ბიჭი ქვეყნის გამგებელი როგორ იქნება,
ამ ქვეყნის შაჰად მამის მკვლელი როგორ იქნება!
იმასო ღვინის ერთი ყლუპი, ვერაგს და უღირსს,
ასი ძმის თავსაც ურჩევნია და უფრო უღირს.
მისცემს საჩუქრად მთელ სამეფოს ჩანგის დაკვრაში
მთელ სამყაროზე უფრო უყვარს მღერა-თამაში.
მას თავქარიანს თვისი საქმე არ გაეგება,
ჯერ ამქვეყნიურ ავ-კარგისა არ აქვს შეგნება.
ჯერ კიდევ იგი სიყვარულით არის დამწვარი,
ჯერაც შირინის ჭინი ამქვს მას თავში ჩამჯდარი.
ასეთ აუგით როცა თავი კაცს მოეჭრება,
მოჭრილი თავი მეორედ არ გამოებმება.
[როდესაც ცეცხლი დაინთება, ბოლიც ადგება,
როცა ჩაქრება, ის მაშინვე ნაცრადა ხდება.
ვინც კი მამასთან ასეთ მძიმე საქმესა შვრება,
ასეთ კაცისგან კეთილი სხვას ვით შეეყრება?]
სჯობს, რომ ფეხებზე ბორკილები დავადოთ მძიმე, –
სანამდე უნდა ვეთამაშოთ ამაო იმედს!
თუ ჩვენ ბორკილქვეშ რამეფერად გამოსწორდება,
თუ არა, როგორც მისი მამა, ისე მოკვდება.
თვითონ თქვენ დახვდით, დაიჭირეთ ის ავის მდომი,
მეც მოვალ თქვენთან გამალებით, ვითარცა ლომი!"

აი ამ ლომმა ამნაირი ბოროტ განზრახვით,
ჩამოაშორა მეფე ხოსროვს მრავალი ხალხი.
[ხალხი, როგორც ზღვა, ერთიანად მაშინ ღელავდა,
როყინ-ყაყანი იმისი მთელ ქვეყანას ძრავდა.
და თვით ბაჰრამი ამგვარ ჭადრაკს რომ თამაშობდა,
ფარვიზის ბედი მის შესახებ სხვაგვარად ბჭობდა.
მოხდა ისე, რომ, როცა ერთი სვლას აკეთებდა,
სჰილოს თამაშით მეორე მას მატს უკეთებდა.]
შაჰი თავის ბედს თავაშვებულს უკვე ხედავდა,
თავის ხალხს მისგან განშორებულს უკვე ხედავდა.
ოქროს აბნევდა, არ ჰქონოდა იქნებ ვაება,
ამ ბრმა ოქროთი იქნებ მტრისთვის თვალი აება!
როდესაც მტერმა დაიჭირა საბრძოლო ველი,
ხოსროვის ხალხმა მყის ბრძოლაზე აიღო ხელი.
როცა დასუსტდა მეტისმეტად ზურგი ფარვიზის,
ტახტის ზურგიდან გადავიდა ზურგზე შაბდიზის.[178]
იმ დიდ როყინში მისი თაჯი რომ ვერ იძროდა,

თავი იქითკენ განაშორა, თაყს რომა სჯობდა.
გვირგვინოსანი უგვირგვინოდ დარჩა ამხელად,
ამ ქვეყანაზე სხვა მოვიდა ქვეყნის მმართველად.
როდესაც შაჰი, საწუთროსგან ყბად აღებული,
გაექცა ძლიერ ბაჰრამის ხმალს დამარცხებული,
ბრძოლის ჭადრაკზე რომ იყო ის სისხლის საღვრელად,
რომელ უკრედშიც გადავიდა, „შაჰ" უთხრეს ხელად,
[იმ დიდ შეჯიბრში გმირ ბაჰრამს რომ ცხენი მიჰყავდა,
თამაშობის დროს იგი თვით შაჰს გზებს შეუკრავდა.
იმ ხელოვნებით ბაჰარამმა რომ გამოიჩინა,
შაჰს იმან ბრძოლის მოედანი დააცლევინა.][179]
ასგვარ სიფრთხილით, უგზო-უკვლოდ, ცოტად თუ მეტად,
აზერბაიჯანს მიაღწია მან თავის ბედად.
აქედან იგი გადავიდა ჯიდეც მუღანში,
ბედს მისი ჯერჰთან აქ შეხვედრა ჰქონდა მუღამში.

ხოსროვის და შირინის შეხვედრა ნადირობაზე

ასე ამბობდა გამოცდილი ენამეტყველი:
როცა მოვიდა იმ მინდორში ქვეყნის მფლობელი,
ხოცავდა ნადირს აქეთ-იქით ყოველ მხარზე,
ამ დროს გამოჩნდა თვით შირინიც იმავ არეზე.
თვის დობილებით, მომხიბლავად რომ მორთულიყო,
იმ დღით მინდორში სანადიროდ გამოსულიყო.
[იქ, იმ მინდორში მხიარულად მიმოდიოდა
და სააშიყო ტაბილ სიმღერებს შორს გაჰყიოდა:
„მითხარი, ჩემი სატრფოს საქმე როგორ გასწორდა? –
ბედის ანცობით თავის მამულს რომ ჩამოშორდა.
იმ თამაშობით რად განდიდდა ბაჰრამი გმირი,
რად დაეხმარა საწუთრო მას, გამტეხი პირის?
მისი ამბავი აქამდე ჩვენ ვერ ვიღეთ ყურად,
სად წაიყვანა ის განგებამ თვის უნებურად?"
მეფეს გული და გონებაც ჯი სულ გაუწბილდა,
საკუთარ ტახტს და გვირგვინს იგი სულ ჩამოსცილდა.
იმ ბედშავს ბედი მეფობისა ხელთ რომ გაუძვრა,
იმის სამეფოს ინდოეთი დაესაკუთრა.[180]
სატრფოს გულისთვის მისი გული შეწუხდა უფრო,
გაშავდა, როგორც შავი ღამე, მისი საწუთრო.
გაოცდა იგი მისი ბედის არა მოყვრობით,

ხან ეცემოდა, ხან დგებოდა განგების მტრობით.
ჩიოდა შაჰი ამ საწუთროს მოქმედებაზე,
ამდენნაირი მიზეზი რომ განავრცო მასზე.
ამბობდა: „ამას არ ველოდი ბაჰრამისაგან,
რაც მიყო, ეს არ მომეწონა მე იმისაგან.
საწუთროს მიერ იმდენად ვარ შეწუხებული,
ვცადე სიმწარე, და ჯერ სიტკბო არ მაქვს ნახული.
გულდახშულსა მაქვს უსაშველოდ ტანი ტანჯული,
სამეფო ტახტი მაქვს მისგან შორს მიტოვებული.
წუხდება გული განუწყვეტლივ შირინის ცოდვით,
გამევსო თავი იმის გამო ოხვრით და ბოდვით.
ერთი მხრით გული უმეგობროდ მაქვს დარჩენილი,
მეორე მხრით ვარდს ეჯალი აქვს შემორჩენილი.
თუ სიმწარისგან მეფის ბაგე არის შეკრული,
სიმწარის შემდეგ უნდა იქნეს სიტკბო ნახული!“]

ერთმანეთს შეხვდა მონადირე მინდორზე ორი
და ნადირს ერთად გამოუდგნენ ვითარცა ქორი.
ორი მეისრე, ვით საროს ხე შესახედავად,
ერთიმეორეს უნიშნებდა ისარს საკრავად.
ორი მიჯნური თავის ეშხით იყო დამთვრალი,
მიჯნურობითა შორს დაეგდოთ მხლებელთა ჯვალი.
ერთს, შაჰსა ბედმა მისცა თაჯი თან სატარებლად,
მეორეს ასი თაჯი მისცა მოსატაცებლად.[181]
ერთს ვარდის პირზე ამოსვლოდა სუმბული ნაზი,
მეორეს ჯიდევ ვარდის ირგვლივ სუმბული აზის.
ერთს ხუჭუჭები შემოავლო, ამბრის, ყურებზე,
მეორეს ქამანდს მინამგვანი თმები აქვს მხრებზე.
ერთი თავისი ყელსაბამით მთვარესა სჯობდა,
მეორე ღაბაბს ყელსაბამად მთვარეს უთმობდა.[182]
ერთიმეორეს თვალი თვალში რომ გაუყარეს,
ერთიმეორის თვალებიდან წყალი დაღვარეს.
ალარც თვით შირინს შორდებოდა თვითონ ფარვიზი
და არც თვით გოლგუნს სცილდებოდა შავი შაბდიზი,
ერთიმეორის მეგობრობის მიზანი ჰჰოვეს.
ერთიმეორის ნაცნობობის ნიშანი ჰჰოვეს.
[ჰკითხა ერთ იმა ქალწულთაგანს და ტანად საროს:
„ჰოი, შენ, მთვარევ, მშვენიერო, მზის შესადარო!
რასა მღერიან იგი გულის მომხიბლავები,
ან რას ამბობენ მშვენიერნი ცის ვარსკვლავები?

ეტყობა მთვარეს, რომ ის დიდი გვარის შვილია,
არ იტყვი, იგი თუ რომელი შაჰის შვილია?"

უთხრეს შაჰს სიტყვა ლამაზებმა მოსახიბლავი:
„შირინი არის სწორედ იგი მზეთუნახავი".
რომ გაიგონა მზე შირინის შაჰმა სახელი,
გამხიარულდა, თუმცა დარდი ჯი ჰქონდა ძნელი.
ჯვლავ გამოჰჯითხა იმ ნაზ მთვარეს ხოსრომ ყოველი
რომელიც იყო ვით ალვის ხე, მზისებრ ნათელი.
ერთმა რქვა: „არის იგი ალბათ შაჰი ფარვიზი,
აბნევს სიმდიდრეს მთელი წლობით ხელი იმისი"
ერთიმეორის სახელი მათ რომ შეისმინეს,
შეყვარებულთა ორთა ერთად ამოიგმინეს.]
ორივე ფიცხი, ამ სახელის გაგონებაზე,
მოსწყდნენ უნაგირს და დაეცნენ ერად მიწაზე.
გავიდა დრო და, როდესაც მათ თავი ასწიეს,
მიწას ცრემლების მარგალიტი ზე დააფრქვიეს.
ერთს მეორესთან რაც ჯი ჰქონდა რამ საჯითხავი
იმუსაიფეს ყოველივე ჯარგი და ავი.
ბევრი სათქმელი გონიერად მათ მოაგვარეს
და მოკლე სიტყვას მოთმინება წინ წაუძღვარეს.
როგორც ფრინველი, მოწიდანვე ჰაერში გაჩნდნენ
როგორც ფრინველი, უნაგირზე ისინი დასხდნენ
აქნევდნენ ალვირს ცხენოსნები ყოველი მხრიდან
პირნათელები მოდიოდნენ ყოველ ჯიდიდან.
ის მზე და მთვარე დაინახეს იმ პირნაზებმა,
რომ შეყრილიყვნენ იქა ბურჯზე იმ ეშჯბაზებთა
ჩავარდა მათი სიყვარული თვით ცეცხლის ალში,
მერანი მათ ქვეშ იყო, როგორც ვირი ტალახში.
გაშტერებული იყო ყველა, ვინც ჯი მისდევდა,
რომ თვითონ ხოსროვს შირინისგან ვეღარ არჩევდა.
შეატყობინეს საყვირით ხალხს ყოველის ღონით,
რომ ეს ბალჯისი მოვიდა და ის სოლომონი.
ყოველი მხრიდან, ვით ლაშქარი, იქ თავს იყრიდნენ
და მათ გარშემო მორჩილებით თან ქედს იხრიდნენ.
როცა მოგროვდა ჯარ-ლაშქარი მთების ჯალთაზე,
მიწამ ყვირილი ხარს ასმინა, დამძიმდა ძალზე.[183]

შირინმა უთხრა ხოსროვს: „ჰოი, სახელოვანო,
არა მარტო მე, ათასები გყავს, გეთაყვანოს;
შენი გვირგვინით თვით ზეცაა ბედღირსეული,

შენი ტახტითა მიწა არის თავაწეული.
ყოველი მიწის შვიდ სამეფოს თვალის გამზირზე
ქვეყნის რჩეულნი დგანან შენი მონობის პირზე.
აქ შორიახლოს, თვითონ თქვენი წყალობით ისევ,
საყუდარი გაქვს რამ სენაჯი გზაჯვარედინზე.
თუ დიდი შაჰი მომეპყრობა ჯეთილმოქცევით,
ქამარს შეიკრავს შენი მონა თავის აწევით.[184]
თუ ჭიანჭველის ნოხ-საფენზე გაივლის სპილო,
მერე ჭინჭველის დაბრიყვებას ნურავინ ცდილობს".
მეფემ თქვა: „შენ ჩემ სტუმრობას დღეს თუკი მიიღებ,
მე გავცოცხლდები, ჩემ სიცოცხლეს თუკი მიიღებ"
თავი დახარა შირინმა და შეასხა ქება,
ადიდა იგი, როგორც მეფეს შეეფერება.
მეჰინ-ბანუსთან გაჩქარებით ჯაცი აფრინა,
სტუმრად მიყვანა შაჰინშასი შეატყობინა.
მეჰინ-ბანუმაც ამ დიდ ამბავს რომ მოჰკრა ყური,
მან ყველაფერი გაამზადა შაჰინშაჰური.
შეხვდა წინ იგი გამზადილი ძვირფას ნივთებით,
მზე და მთვარის წინ დააბნია დიდის დიდებით.[185]
და შეიყვანა მან ხოსროვი დიდ სასახლეში,
სადაც ხეები იდგნენ ისე, ვით სამოთხეში.
იყო შენობა ცის თაღამდე თავამწვდენელი,
თან ორი დიდი მოედანი ფართო და გრძელი.
მიართვა დიდი ბოდიშით მას განძეულობა,
როგორც აქვთ შაჰებს საზოგადოდ ეს ჩვეულება.
არა იმდენად მცირე იყო იგი ყოველი,
რომ მისი დათვლა ყოფილიყო შესაძლებელი.
მეფე ყოველ ჯამს თვით შირინის საქმისა გამო,
თავს არ ზოგავდა, ყოფილიყო მისთვის საამო.

მეჰინ-ბანუს შირინისთვის ანდერძის მიცემა და დამუნათება

ვლეხმა მიწაზე თუ მარცვალი ჯარგი დათესა,
ამოიზრდება ის მარცვალი ჯერავ უეთესად.
თუკი სუფთა ჯაცს გვარი თვისიც სუფთა ექნება,
ამქვეყნად ჯალთა არასოდეს არ დაესვრება.
მეჰინ-ბანუმაც, ვისაც გვარში სიწმინდე ჰქონდა,
ხოსროვ-შირინის ამბავი მან ჯარგად იცოდა.
იცოდა იმან ორ მიჯნურთა მოყვრობის ძალა,

თუ ვითარ იყვნენ ერთად, როგორ ცეცხლი და ჩალა.
მან უთხრა შირინს: „ჰოი, შვილო ჭკვიანო ჩემო,
შეგფერის მეფეთ ხელმწიფობა რომ დაიჩემო.
ციმციმი შენი, – და თუნდ ასი სამეფო შაჰის,
თმის ბეწვი შენი, – თუნდ სამყარო თევზის და მთვარისა!
ბედი ამ ყველა მახლობელთა შენ გეჩრდილება,
პატიოსნებით შემკულია შენი ქმნილება.
ქვეყნის ნათელი შენი სახის სხივებით არი,
შენი სინაზე არის წმინდა თავშესაფარი.
შენ თვით განძი ხარ, არ უხლიათ ჯერ მისთვის ხელი,
ქვეყნის ავ-კარგში ხარ ჯერ ისევ გამოუცდელი.
ქვეყანა თავის თვალთმაქცობას ბევრს მოგაჩვენებს,
განძს მოიპარავს და იაგუნდს დააზიანებს.
მე როგორც ვატყობ, ცდილობს ესა ქვეყნის მფლობელი,
მუდმივ ჯავშირის სამეგობროდ რომ მოგცეს ხელი.
ეს ქვეყნის მეფე თუკი შენს გულს შეუყვარდება,
ჩანს, ხელთ ნადირი იშვიათი ჩაგივარდება.
მაგრამ თუ მასთან მოუთმენლად მიგერჩის გული,
ნუღარც მენახო, დარჩე მისგან მოტყუებული.
არ უნდა მოხდეს, მხოლოდ ტკბილი ენისა გამო,
რომ ტკბილი ჰალვა შენი, შვილო, ხოსროვმა ჭამოს!
დაგიმორჩილებს ეს საქმე და გაილანძღები
და სხვის ტრფობაზე უსათუოდ შენ გაიცვლები.
[თუმც უბინო ხარ და თან დიდი სახელის მქონე,
გაქვს სილამაზე და ყოველ მხრივ ხარ თავმომწონე,
თუ გადაუხვევ სიწმინდის და ზნეობის გზიდან,
შენს ხელმწიფობას მოუწევდა სირცხვილის ზიდვა.
თუნდაც სიცოცხლეს წყაროდ იქცეს იმისი ჟინი,
მაგ შენი ტრფობით გაძლება ის, როგორც რამინი.[186]
როგორც მეჯნუნი, ტრფობის გიჟად არ გადაიქცე,
როგორც ლეილა, დაიცავი ტრფობის სიმტკიცე.[187]
არ უნდა მისცე გული ტრფობის დიდ განსაცდელში,
გულის აღვირი არ ჩაუგდო ეშმაკებს ხელში.
ეგ მთვარის ლოყა ურცხვი ფრჩხილით არ მოიფხაჭნო,
თუმც აშიყი ხარ, აჩქარება საქმეში არ ჯობს.
უპირველესად, ვინც ხარ, თუ გაქვს მისი შეგნება,
უნდა ხელმარჯვედ წასწიო წინ შენი ცხოვრება.
ქალები თუმცა თვით იჭერენ ლომგულს ჟინიანს,
მაგრამ კაცები მათზე მაინც კი იცინიან.]


ისე იცხოვრე მზიურ სახის სხივრთა დონეში,
რომ პურზე უწინ არ ჩავარდე იმის თონეში.
ამბობენ, ათი ათასი ჰყავს ნაზსახიანი,
ყველა ტუბილბაგე და აგრეთვე ჯაჭვისთმიანი.
მისი გული თუ ამდენ ვარდის გულს გაახარებს,
რას იტყვი, იგი მარტო ერთ ვარდს ვით შეიყვარებს?
დიახ, თუ ხელი მარგალიტთან ვერ მიუწვდება,
მაშინ უყიდლად ის მარგალიტს არ მოეშვება.
თუ დაინახავს შენს ალთქმას და შენს ჯაი სახელს,
მოითხოვს ჩემგან უეჭველად იგი მაგ შენს ხელს.
ცის ჯეთილყოფას იგი შენთვის შემოაბრუნებს,
ქვეყნის მეფობას იგი შენთვის შემოაბრუნებს.
შენ თუ მაგ შენი ქცევით ჯარგი თვითონ იქნები,
შხამის მაგიერ თერიაქი მისთვის იქნები.
თუ შენს ტრფობაში იმას ხელი მოემართება,
შენ ან სირეგვნე, ან სიმთვრალე დაგემართება.
ვისივით ჯაი სახელისგან შორე დარჩები,
პირშერცხვენილი და ნაძრახი სწორედ დარჩები[188],
თუ ის მთვარეა, ჩვენ თვითა ვართ მზე მშვენიერი
ქაიხოსროა? – აფრასიაბ ჩვენ ვართ ძლიერი.
ჯუდში ჩანჩალი არ ივარგებს, გქონდეს შეგნება,
ქალი სჯობს ჯაცსა, ვაჟკაცობა თუ არ ექნება,
ვარდი სინაზით, ფეროვნებით როდესაც ყვავის,
წყვეტენ, უყნოსვენ, მერე ისევ სხვას ყნოსვენ ყვავილს.
ღვინოს, როდესაც ღვინის თასში დოქით ასხამენ,
გადაასხამენ, თუ არ მოსწონთ, სხვა ღვინოს სვამენ
შენ თვითონ იცი, როცა დროა თავგამოჩენის,
აშიყობაზე უფრო ქალწულს ქმარი შეშვენის".

შირინის ყური ამგვარ რჩევამ რომ მიიზიდა,
ეს რჩევა ყურზე, ვით საყურე, ჩამოეკიდა.
იმისი გულიც ამ სიტყვების თანახმად ბჭობდა,
რადგან თვითონაც თავის გულში ასე ფიქრობდა.
შვიდი მთიების წინაშე მას ხელად შეჰფიცა
სინათლის წიგნით, რომელიც მათ სამყარომ მისცა:
„რაგინდ რომ მქონდეს მისწრაფება იმისი ტრფობის
არ დავთანხმდები, თუ არ იქნა პირობა ქმრობის!"
როდესაც ბანუმ ნახა იგი, ფიცს რომ აძლევდა,
შეეტყო მას, რომ მისი გული დიდად გამხნევდა.
მას დართო ნება: ამის შემდეგ ჯოშჯში თუ გარეთ

დაჯდეს ის შაჰთან ამაყად და პირმოღიმარედ,
იმ პირობით, რომ არ ინდომოს მარტო დარჩენა
და თქვას საჯაროდ, რაც სათქმელად უნდა მის ენას.
[შემირას გვერდით მხიარულად შირინი დაჯდა,
მისი სიწითლე გარემო ველს ნითლადა აჩნდა.]

ჩოგბურთის თამაში ხოსროვისა შირინთან

ორე დღეს, როს განთიადზე მნათობის ძალით
მარგალიტები გაიკრიფა წითელი ლალით.
წინამავალმა როცა მზისა ჯართ ბანაჯიდან
მუშთარს გადასცა და ვენერას აღვირი თვითონ.[189]
ის მარტოდმარტო სათამაშოდ მისჯენ რებული,
ეს მარტო ნათობს, მაგრამ ახლავს ვარსკვლავთ ჯრებული.
სამოცდაათი ქალიშვილი ვითა ძე ლომი
შირინისაჯენ გაემართა შექცევის მდომი.
ვაჟკაცობაში ყველა არის ისფანდიარი,
ისრის სროლაში იყვნენ, როგორც როსტომ მხედარი.
ჩოგნის ხმარება იმათ ისე ემარჯვებოდათ,
რომ თვით ცის თაღზეც ბურთი ვერსად გაექცეოდათ.
საროს ხეებსა დაეჯიდათ არყის ისარი,
როგორც საროს ხე, არყის ჯეხზე იყვნენ დამსხდარი.[190]
ყველას პირბადე დახურული ჰქონდა, ვით მთვარეს
და გაეშურნენ მორჩილებით შაჰინშას მხარეს.
გამოეგება მას ეჯიბი მეფისა თავად,
მეფეს ნიშატი მოემატა, არ იყო ავად.
მიუალერსა შირინს და თვით წამოდგა ფეხზე,
მოჰყიდა ხელი და მოისვა მარჯვენა გვერდზე.
რა ნახა? ქალნი მოცინარნი მხიარულ გულით,
სახლი აღსავსე შაქარით და შაქარყინულით.
რადგან იმათ აქვთ მკლავის ძალა და მამაცობა,
დიდ მოედანზე შეუძლიათ მათ ცხენოსნობა.
და იგიც თხოვნით იმა მუშაის ნიღბიანების[191]
მოედნისაჯენ გაექანა ცხენის მჭენები.
როს სათამაშო მოედანზე მოხვდნენ ქალწულნი,
სიხარულისგან იყვნენ ყველა ფრთებგამოსხმულნი.
წავიდა ყველა მთვარე ისე, როგორც მზის სხივი,
ჯაბად იცნობდა და ყოფილან თურმე არწივი.
ნახა ხოსროვმა, ის ქალწულნი ბუნებით ორი;



სეირნობის დროს მტრედნი იყვნენ, ნადირთან – ქორი.
უთხრა მან შირინს: „გავაჭენოთ ეს ჩვენი რაში,
დავიწყოთ ჩვენ ამ ფართო ველზე ბურთის თამაში!"
მეფის ჩოგანზე იმწუთშივე დააგდეს ბურთი,
შეიქნა შუღლი მოედანზე და ფართიფურთი.
ჩოგანთ სიმრავლით ტირიფის ტყედ იქცა ის არე,
მიწამ ტირიფით სანდლის ფერი გადასდო მთვარეს.
ყოველი ბურთი, ჩოგანი რომ ქარსა სტაცებდა,
ხელჩავლებული საყელოში მზის ბურთს ამტვრევდა
აქეთ იბრძოდა ის მთვარე და მისი ამალა,
იქით ხოსროვმა ქვეშევრდომნი მისნი ამალა.
ლომიც, ირემიც თამაშობის ხალისს იჩენდნენ,
და თავს ხოხბებიც ქორებივით მედგრად იჭერდნენ.
ხან მზეს გაჰქონდა ჩოგნით ბურთი, ხან მთვარე სძლევდა,
აძლევდა შირინ ნაძლევს და ხან შაჰი აძლევდა.[193]
ბურთით და ჩოგნით როცა გული დაიშომშმინეს,
შემდეგ მოედანს გარეშემო შემოურბინეს.
შაბდიზ-გოლგუნი მოედანის გარშემო რჯალით
დღე და ღამისებრ გარს უვლიდნენ ტრიალ-ტრიალით.[194]
იქედან ისევ გაეშურნენ უდაბნოსჯენა,
ნადირთ სამუსრად გარეშემო დაიწყეს რბენა.
ვინ უწყს, ყირაზე რამდენნაირს დაჰყრიან ნადირს,
არავის ძალუძს ან აღრიცხვა, ან დათვლა მათი.
იმ ლამაზთაგან უამრავთა ნასროლთა შუბთა
შამბნარად იქცა ის მინდორი ჯანჯრებზე სულ მთლად.[195]
ყოველ მხედარ ქალს ხელთ ეჭირა ისარი მჭრელი,
და იმ მინდორზე, რაც ჯი იყო, გაწყვიტეს შველი.
მეფემ რომ ნახა ის ქალები ლომის დარები,
გაჯავრებული დარჩა მათი ცხენის ტარებით.
ყველა მათგანი მოედანზე ჰუმაის ჰგავდა,
ნადირობაზე ვეშაპივით ქვეყანას ძრავდა.
მეფე ფარულად თვით შირინის გულში ხედავდა,
თუ ნანადირევს საჩუქრად მას რას მოუტანდა.
შველის თვალები დაინახა მოულოდნელად
და შაჰი ნადირს გამოუდგა გაქცეულს ველად.
დამთვრალმა შველმა ამოიძრო უცბად მახვილი
შველი ჯი არა, ლომი იყო იგი ნამდვილი.
იმ მონადირემ ლომგული რომ იყო ნამდვილად,
დახეთ, როგორი მონადირე მოინადირა!

ცის ფარშავანგმა დააძვრინა ბაღიდან თავი,
ვარდის საყრელად იმავ ბაღში მოვიდა ყვავი.[196]
იმ ფარშავანგებს ის ბრწყინვალე ფერი ეცვალათ
და ყვავის ფერად სიბნელეში ჩამოსხდნენ ყვალად.
ჩამალა ყველამ სახეები ბუდეში თბილად
და დაღლილებმა დაიძინეს დილამდე ტკბილად.
თაყვანისცემით მეორე დღეს მივიდნენ ჩქარა
და მეფის სახლში ჩვეულებრივ ჩამოსხდნენ ჯარად
იმათ ჩოგბურთის თამაშობა ყვლავ გაახშირეს,
ისევ მინდორში ნადირებზე წაინადირეს.
იმ მთვარეებმა იქ თვე ერთი გალიეს ისე,
ყვლავ ჩოგანი და ნადირობა, ისევ და ისევ!
შაჰი ჯი ამ დროს თავისუფალ დროს დაეძებდა,
შირინთან ერთი რამე სიტყვის თქმას აპირებდა.
არ მოუვიდა დრო შაჰს თვითონ იმოდენ ცხადად,
რომ დაყოვნება საზიანოდ არ გაეხადათ.
დაღამებისას შირინი რომ შინ ბრუნდებოდა,
ტრფობის ფასკუნჯი იმ დროს იმას თან მიჰყვებოდა.
შაჰინშამ უთხრა: „ხარ მეფეთა ჩამომავალი,
მაგ შენს მშვენებას შემოსცქერის სამეფოს თვალი.
მოდი ხვალ დილით, პირველად ამ გულის საყრელად
ვიყოთ ფირუზის გუმბათის ქვეშ სვებედნიერად.
მოვიღოთ ღვინო და სალხინოდ ის მოვიხმაროთ,
გავმართოთ ლხინი, მხიარული დრო გავატაროთ.
ლხენა გვექნება თუ წუხილი ამ საწუთროში,
ეს ჩვენი გული ვერ გაძლება ამ ძველ ხაროში.
[დაიწყე, თუ გინდ ფერიდუნით მეფე ჯამამდე,
ან ვინც ყოფილან მეფეებად თვით ამ ჭამამდე.
ლხენის ქვეყნიდან ცის უფსკრულში რომ გაემგზავრნენ,
ოქროს ტახტიდან მიწის გულში რომ გაემგზავრნენ.
გვაქვს სიჭაბუკე და დროვლათი მოგვეპოვება,
რად გავიმწაროთ სიჭაბუკის ლაღი დროება.]
თუ გავშორდებით ამ უმწეო ქვეყნიერებას,
ტანჯვას ლხინი სჯობს, უბედობას – ბედნიერება!"
თვალზე ხელები აიფარა ქალმა მორცხვობით,
აკოცა მიწას და წარმოთქვა: „ღამე მშვიდობით!"
ელანდებოდა მეფეს მთვარე მშვენება ღამის,
ფიქრობდა, როდის დადგებოდა დილის სიამე.
[მეორე დღეს ყვლავ განთიადზე ის პირნათელა

წავიდა იქ და წაიყვანა ჯეელუცნი ყველა.
ხოსროს ხალიჩას თავმდაბლური უყვეს ამბორი,
შეიკრეს წელი მორჩილებით და დასხდნენ შორით.
შაჰის სახელით სვამდნენ ღვინოს ვნებით შემყურე
და, ვით მონებმა, გაიკეთეს ყურში საყურე.
ჯარგია ღვინო, თუ მერიქიფე თუ არ გშორდება,
ვინც ღვინოს დალევს, სამუდამოდ ქვეყნად დარჩება.]

გამოზაფხულება და ხოსროვისა და შირინის ნებართება

რომელმაც შექმნა მომხიბლავი სიმწვანე ცისა,
ყოველ სიმწვანეს მისცა ფესვი სიჭაბუკისა.
ჭაბუკთ და მოხუცთ, ყველას ერთად თავ-თავის წილად,
ქვეყნად სიმწვანეს ის შეუცვლის წითელ ყვავილად.
ქაესის ტახტის მიწით ვარდი იმას ამოჰყავს,
ია მდელოზე ფარშავანგად იმას ამოჰყავს.
ბევრი ფრინველი ტრფობაზე კვლავ იმღერებს მაღლად,
ბევრი ტრფიალი ძველი ისევ აღდგება ახლად.
ხოსროვის სული შირინისთვის შვებით რომ თრთოდა,
ქვეყანა ახლა შვება-ლხენას მას უქადოდა.
როს გაზაფხულის სიხალისემ და ტრფობის ძალამ
ვარდების ყლორტებს ძველი ჯანი შემოაცალა,
ვარდი ლხენისგან ბაღში დროშად ამართულიყო,
მტრედების ჯარით ყვავთა გუნდი გარიყულიყო.[197]
იასამანი – მერიქიფე, ნარგიზს ჯამი აქვს,
ია დამთვრალა ღვინის სუნით, ვარდს სიამე აქვს.
ნიავმა ბადე გადახადა დედათაწულებს,
მოუწოდებდა უსაქმობით გულმოქანცულებს.
ჩრდილოს ნიავმა ყოველი მხრით გაიხმაურა,
ვინ ხარისთვალას შეახალა თვით სჰილოსყურა.
მიწის ხალიჩა ყაყაჩოს ამ ღება ნაჯადმა,
თვითონ ყაყაჩო ჯი მარზანგუშს ექცა აჯვნადა.
ჯენარმა ნაძვმა მწვანე ველზე თავი ასწია,
ტიტამ ჯი ტრფობით გარს ჰერანგი შემოიხია.
იამ ხუჭუჭი გადიყარა თავის ნაზ მხრებზე,
ნიავმა ასკილს შეუბერა ნელად ყურებზე.
ჯეელუც ყვავილთა აიფარეს ხელი სახეზე,
სხვათ ჯოჰწიობით სავარცხელი დაისვეს თმებზე.
ზეცამ ველს ცვარად მარგალიტი ზე დააყარა,

ბრილიანტი და ზურმუხტი მან ერთად შეჰყარა.
გალვივდა მიწის ღიპი ისე, როგორც ორსული,
გაჩნდა მცენარე იმ ჭიპიდან ზე ამოსული.
შვლის ნუკრი, დედის ალერსით და რძით გამაძღარი,
დარბის დედასთან მწვანე ველზე დაუდეგარი.
ტაბილი ხოხბები ჭრელ ყვავილებს ფრთით ეხებოდნენ,
ყვავილნი ჭრელად მათ ბუმბულზე იხატებოდნენ.
[მწვანეთა ჯარით ავსებული ბაღი და ველი,
ყველა მათგანი ენთო როგორც წმინდა სანთელი.
ყოველ მდელოზე ქორფა ნაძვი იყო მდგომარე,
ყოველ არხებში მიდიოდა წყარო მჩქეფარე.
ყოველი მხრიდან წითელ ვარდის ხედვა აღწევდა,
სიმწვანის ჯაბას იგი ასგვარ ნაჭრებად ხევდა.]
ყოველ ხის ტოტზე გაზაფხული იყო გაშლილი
და ყველა ყვავილს ხელთ ნესარი ჰქონდა დაყრილი.
ბულბულის სტვენით და დურაჯის ამდენ ჯაჯანით,
გამოელია მოაშიყეთ თმენის საგანი.

ამნაირ დროში, ასე როა აშლილი ვნება,
უსიყვარულოდ ყოფნა დიდი ცოდვა იქნება.
შირინს და ხოსროვს დღე და ღამე შეუწყვეტელი
ჰქონდათ უსაზღვრო მოლხენა და სიამე მთელი.
ხან წითელ ღვინოს მწვანე ველზე ხალისით სვამდნენ,
ხან მთის ჯალთებზე წითელ ვარდის ყვავილსა ჯრეფდნენ.
ვარდ-ყვავილებით ხელში ისევ ღვინით და ღვინით
მოვიდნენ შაჰრუდს იმ დღეს ასეთ ლხენით და ლხინით.
თვისი მერნები შაჰრუდის წინ დააბეს იმათ,
ჩანგთა ხმაურით და სიმღერით დასხდნენ ნადიმად.
ტაბილი შირინის მომღიმარე ბაგემ და ჯბილმა
შაჰრუდის შამბიც შაქრის ლერწმად აქცია ტაბილად.
ისე ბრწყინავდა არემარე იმაა ადგილის,
როგორც რომ სადაფს აელვარებს წვიმა აპრილის,
მისმა ზილფებმა აიაფა თვით ამბრი ძვირი,
შაქარსაც მწარედ მოგაჩვენებს ბაგე და პირი.
მეტი სიცილით იგი თაფლს რომ შაქარს ურევდა,
ხუაზისტანს ესმა შაქრის ლერწმის უბედურება.
ჰქონდა მას ტანი, ტანწერწეტას ვითარცა საროს,
ვარდის ბუჩქს სარომ უთხრა: „ჩემი მხედარი ხარო"[198]
ვარდმა, ნარგიზს რომ მიაშტერა თვალი ამჯერად,
თვით დაიფლითა თავისთავი ნაჭერ-ნაჭერად.

იასამანი, ვარდთა შორის თავს რომ იქებდა,
მისი ყურმოჭრილ მონობასლა თუ შეიძლებდა.

ხოსროვის მიერ ლომის მოკვლა ქეიფობის დროს

ასეირნება ერთხელ მინდვრად ხოსროვს ენება,
შირინის სახეს არემარის ჰგავდა მშვენება.
ვისაც ამგვარი სატრფიალო თან გახლავს ტაბილი,
გასართობია ამ დროს შენთვის ყველა ადგილი.
მწვანე მდელოზე მათ ადგილი ნახეს ისეთი,
არ იზრდებოდა სხვა ბალახი, შროშანის მეტი.
ამ სამოთხისგვარ მიდამოში მათ დაისვენეს
და მეფისათვის იქ ჯარავიც აჯი ააშენეს.
[ორმა მოწამემ, ორივ მთვარის რომ იყო სწორი
ოქროს ჯარავი აიშენა ვარსკვლავთა შორის.]
მონა ქალ-ვაჟნი ისე იდგნენ ჯარვის გარშემო,
როგორც ჯრებული ვარსკვლავების მთვარის გარშემო.
ხოსროვ-შირინი ერთ ადგილზე დასხდნენ მორჭმულად,
შორით ტანჯული, მხოლოდ ახლა იყვნენ ერთსულად.
მათ დოქით ლალი ეძლეოდათ მერქიფის ხელით,
ღიმით ამბობდა: „დეე, იყოს შვების მომგვრელი!"
ღვინო და სატრფო საფიქრალი მისი შეიქნა,
შაჰინშა ამ ორ ღვინით მთვრალი უკვე შეიქნა.
მოვიდა უცებ ერთი ლომი, ტყის ნებიერი,
სცემდა კუდს მიწას და იდგა მით ჰაერში მტვერი.
ლაშქრის ბანაკში შევარდა ის გაცოფებული.
დაფრთხა ლაშქარი ამის გამო შიშით მოცული.
ჯარვის გარშემო გაიარა ამაყურ ქცევით,
პირდაპირ ხოსროვს მიაშურა ქედის აწევით.
შაჰი ლომს უცებ შეეტაკა მძაფრ გახელებით,
შილიფად, უხმლოდ და უკავშნოდ, მარტო ხელებით.
ყურისძირამდე მოიწია მშვილდისა ლარი,
სტყორცნა ისარი და ლომიც მყის დაეცა მკვდარი.
უბრძანა მსახურთ, რომ მოკლულ ლომს მოჰკვეთონ თავი,
მერე კისრიდან, ესეც ბრძანა, გააძრონ ტყავი.
[ისე გაფრთხილდა ამის შემდეგ ქვეყნის მპყრობელი,
არ იქნეს უხმლოდ აღარც მთვრალი, აღარც ფხიზელი.]
მას შემდეგ გაჩნდა თვით შაჰების ჩვეულებაში, –
უჭირავთ ხმალი ხელში ყოველ წვეულებაში.

თუმცალა ლომისსახოვანი იყო ფარვიზი,
მეფე იყო და უნდა ჩანდეს სიდინჯე მისი,
მაგრამ სიმთვრალით იმან ლომთან თავი გასწირა
და ამ სიმთვრალის გამო ლომი მან დაიჭირა.

ძლიერი მჯლავი, იმით ლომს რომ დარია ხელი,
ამიტომ გახდა მთვარის მიერ დასაჯოცნელი.
ჯოცნისას ჰირი ჰქონდა როგორც სასმელი ტაბილი,
ჯოცნისგან შაჰის ხელი ჩანდა შაქარდაყრილი.
შემოაგლიჯა შაჰმა შაქარს ბეჭედი ტუჩზე,
შაქარი ჰირში უნდა იყოს, არ ხელისგულზე.
აჯოცა ტუჩზე და უთხრა მას: „თაფლია ტაბილი!"
თან მიუთითა, რომ აქ არის ჯოცნის ადგილი.
ჰირველი მაცნე ესე იყო იმ შაქრის ჯამით,
ხოსროსგან შირინს რომ მიართვა ცნობა სიამით.
თუმც შემდეგ ასი ჯამი შესვა იმან სასმელი,
მაგრამ მაინც არ დაივიწყა ჯამი ჰირველი.
ღვინო, რომლითაც სავსე იყო ჰირველი თასი,
სხვა ას თასზედა მეტი არის იმისი ფასი.
ჰირველ ჯამჯამა თასს მოჰყვება სიტყბო და ნება,
ბოლო თასს დურდო მოჰყვება და მწარდება შვება.
ვარდი როს ჰირველ წყაროს ჰირზე ამოიზრდება,
იმისი სუნი ას ყვავილნარს აღემატება.
განძი სადაფის ჰირველ გვამში რომ იმალება,
იგი მრავალგვარ მარგალიტებს აღემატება.
ყოველნაირი, რაც ჯი არის სასმელ-საჭმელი.
იმისი სიტყბო ზევით არის თავმოსახდელი.
ორთა მიჯნურთა, – ეს შარბათი რომ ამოსწოვეს,
ტრფობის აღვირი ტანჯვის ხელით მათ მოიპოვეს.
თუნდ ერთი წუთით თავისუფლად თუ მოხვდებოდნენ,
ვით რძე და ღვინო, ორივ ერთად შეერთებოდნენ.
ვითარცა ქურდმა მოსაპარად რაიმე ნახოს,
ხოლო დარაჯი მთვრალი ეგდოს თუნდ იქვე ახლოს.
ერთი თვალით რომ ისინი მტერს უთვალთვალებდნენ,
მეორე თვალით ურთიერთ ეშხს გაიცადებდნენ.
თუ რამ შემთხვევით მტრის თვალები დაბრმავდებოდნენ,
მაშინ ერთ ჯოცნას გამალებით მოიტაცებდნენ.
სანამ აშიყი იყო მორცხვად და გულხმიერად,
ალარ აძლევდა ტუჩზე ადგილს სიმურღს ცბიერად,
და იმ საათში ღვინით მთვრალი თუ იქნებოდა,

მეფეს ჯოცნაში ისიც ალარ ჩამორჩებოდა.
შაჰს ისე მაგრად ჩახვეული ის გულში ჰყავდა,
რომ მისი სახე ფერად წითელ აბრუშემს ჰგავდა.
[მეფე შირინის ისე იყო ვნებით შემყურე,
რომ მისი ეშხით გაიკეთა მონის საყურე.

როს მეჯლისიდან უცხო ხალხი გავიდა ჯარში,
ვით ფარშავანგი, გადავარდნენ იმ ყვავილნარში.
ლალის ტურჩები მათი მხოლოდ ჯოცნაზე ბჭობდნენ,
ერთიმეორეს დაშაქრული ჯოცნით ახრჩობდნენ.]
ჯოცნით და ლოშნით, ქალი ადრე თუკი ღვივოდა,
ახლა მის ვარდებს ჰირზე ია ამოსდიოდათ.
რცხვენოდა დიდად ამ სილურჯის მშვენიერ მთვარეს,
ლურჯად ხედავდა თვითონ მთვარე მთელ არე-მარეს,
ფხიზელი იყო თუ მთვრალივით თავი ეჭირა,
ხელში ვარდის წილ უმარილი მუდამ ეჭირა.[199]

იგავის თქმა ხოსროვის, შირინის, შაფურისა და გოგონების მიერ

ელვარე ღამე დღეზე უფრო სხივმონადები,
სინათლე ქვეყნის, მთვარის სხივით, ღამის აღმნთები.
სიო ღამისა თვით სიცოცხლის მიმნიჭებელი
და არ ნიავი, ყელაპტარის ჩამაქრობელი.
ღამის სიბნელეს ერთი რამე ედო სარჩულად,
სიცოცხლის წყარო იყო იმ დროს მასში ფარულად.
ვერას ნახავდი იმ ღამისფერ მოსაბურავზე
უბიწოების გარდა, იმას რომ ადგა თავზე.
ჩამოაშორა დილის სიომ მტკვერი სარკიდან,
გამოაჩინეს ვარსკვლავებმა ბილწი მაღლითა.
ის ღამე თითქოს საგანგებო მიზნით ყოფილა,
იმ ღამის ნატვრა თითქოს თავის დედით შობილა,
ერთ მხარეს ზოჰრა ბრილიანტებს აელვარებდა,
და მარგალიტი ყიაფობდა იქით მთვარესთან.
მიწა ხომ მთელი ხარვარობით წმინდა მუშას წვავდა,
ჰავა ღალიას სურნელოვანს ნაზად ზელავდა.[200]
მუშაის სურნელი იყო მთელი ლხენის მომგვრელი,
ამბრშენარევი შეიქნა სულ მიწის სურნელი.
ქვეყნის ბუნებამ გაზაფხულის ნიავის ხელით
ჰავა აქცია სუნმომფრქვევი, ვით საამეველი.

ზოჰრა მთელ ღამეს სასიამო ჰანგებს მოთქვამდა
და ჯვირის მთვარე ფიალათი ღვინოსა სვამდა.
ვარსჯვლავთა ჯრებულს მნათობებთან ქეიფი ჰქონდა,
ცის შუაგულზე ოტარიდი ცეკვით დახტოდა.
ეჟვანჟღარუნა ფრინველებმა თავისი ნებით
ღამის დარაჯი ფრინველები აფრთხეს ეჟვნებით.
ნადირნი ტყისა, თავის ლუკმით გახარებულნი,
მოჰყვნენ სიმღერას, თავის ბინას შეეედლებულნი.
თუმცა სხვადასხვა ხმით და ჯილოთი ამ დროს მღეროდნენ,
მაგრამ სულ ყველა ღამის ჰანგებს ეთანხმებოდნენ.
მეფე ჯი იყო ფერიდუნის ტახტზე მორთხმული,
ჯემშიდის ყიბლას მიელტვოდა იმისი გული,
შირინის სახის ბრწყინვალებით ისე იშვებდა,
სანთელს და ჩირაღს არასოდეს ის არ ინთება.
ცელქი ნიავი ყვავილთ სუნით რომ მიმოჰქრიოდა,
ხოსროვისაგან მას შირინთან სიტყვა მოჰქონდა.
[„ჰოი, შენ მთვარევ, ღამაზთა და სხვათ მომხიბვლელო,
ჩირაღო ვარდის ბაღისა და ღამის სანთელო!
რა იქნებოდა მეფობა და ყმაწვილჯაცობა,
თუ მწარე ექნა იმას მთელი სიცოცხლის გრძნობა?
წარმავალია, თვითონ იცი, ჯარგიც და ავიც,
მაშ, მოდი, ერთად ვიქეიფოთ, ვალხინოთ თავი.]
განა ამაზე ჯარგი ღამე მოგვევლინება,
განა ამაზე ნაზი სუნი მოედინება?
ამდენ შეხვედრით რატომ ერთურთს შორიდან ვხედავთ,
თუ თვით სხივი ვართ, რატომ სხივში ამრიგად ვხედავთ?
თუ რომ სისხლი ვართ, შენი სისხლიც რად არ დუღდება
და თუ დუღდება, რატომ ჩემთვის ფარულად ხდება?
ჰაერი გრილი რით არ მოგწონს, დამიგდე ყური,
თორნე ცხელია, რად არ უნდა მივაჯრათ ჰური![201]
ახლად ზაფხული არ მოგვივა ჩვენ ყოველ დღეში,
არ გაგვებმება ჩვენც ნადირი მუდამ მახეში,
ჭკუით სჯობია, რომ შეჭამო, რაც საჭმელია,
რასაც ვერა იქმ, არ იქნება, უეჭველია,
ჰური, საჭმელად მონადირეთ რომ წაუღიათ,
ხომ ნახე, იგი თეჯზთ და ფრინველთ შეუჭამიათ.[202]
მგელი მოთქვამდა, რომ მელია ცბიერი იყო:
„მე რაც მოვრეკე, შენი ჯერძი ჯი გამხდარიყო",
ასეთი ფიქრით იმ მთვარესთან ის მიდიოდა

და მთვარესავით ის მზეც გზიდან გადადიოდა.[203]
მეორე მხრით ჯი დევი ჰყავდათ დაჯავებული,
ანგელოზს ეჰყრა იგი ფიცქვეშ დაყენებული.
აქეთა მხარეს შაჰის ტახტი იყო დადგმული,
და რამდენიმე მონა იდგა ჩამწკრივებული.
შაჰის ტახტის წინ დარაჯივით იდგა შაფური,
და იმ განძისკენ ეჭირა მას თვალი და ყური.
მეორე მხარეს საყვარელი მზე იჯდა ერთი,
გარშემო ათ ქალს ბროწეულის ჰქონდათ გულ-მკერდი:
ფერანგისი და სოჰაილი, ალვისხისტანა,
აჯაბნუში და ფალაქნაზი, ჰამილა თანაც,
ჰუმაიუნი, სამან-თურქი და ფერიზადი,
ხოთან-ხათუნი, გოვარ-მულქი და თან დელშადი.

ვარდის წყალი და წმინდა ღვინო სვეს წარამარა
და ღვინომ სახე მათი წითლად ააელვარა.
როდესაც დათვრნენ, მათ სირცხვილი ჩამოიშორეს,
ჭკუა განერა: იგი თვის გზას გაუდგა შორეს.
მეფემან ბრძანა: „რამდენიც ხართ გულმომხიბლავი,
უნდა თქვათ ჯერით თვითეულმა თითო იგავი!"
დასხდნენ ლალების მექონენი ფარჩით მოსილნი,
მთვარე შემოსეს, ჰქონდათ ლალი ყურში გაყრილი.
წარბი მშვილდია, ზედ წამწამნი უდევთ ისრებად,
არ ასცილდება მიზანს მათი დანამიზნები.
თითო მათგანმა გახსნა თავის შაქრის საწყობი,[204]
შაქარს იმდენი არც ჯი ჰქონდა სიტყბო საყოფი.
[ვერცხლისტანოვანთ ლხენის სიტყბო რომ განიცადეს,
პირზე სიმორცხვის საბურავი ჩამოიხადეს.
ყველა ლამაზი სახისა და გასაჯვირველი,
ყველა მშვენიერ სიტყვისა და იგავის მთქმელი;
როცა გაიგეს მათ ხოსროვის ბრძანება ტკბილი,
სიხარულისგან გაიშალნენ, როგორც ყვავილნი.]

პირველ დაიწყო ფერანგისმა თვისი მარულა:
„ერთხელ მიწაში შეინახეს განძი ფარულად
იცოდა დიდმა ფერიდუნმა, განძი სად იყო,
გათხარა მიწა და ის განძი ზე ამოიღო".[205]

ვერცხლისტანიან სოჰაილმა თქვა: „ის ხოხობი
ნაძვის ხის ძირში სათამაშოდ იყო ნამყოფი.
მივიდა იმ დროს შევარდენი ერთ ღამის პირად
და ის ხოხობი მშვენიერი მოინადირა".

აჯაბნუშ ამბობს საპასუხოდ, შაქარზე ტაბილი:
„ამბრის სურნელის ვარდი იყო ბაღში გაშლილი.
სამოთხის ჩიტი მოვიდა იქ ფრენა-ნავარდით,
და მოიტაცა ამბრის ვარდი თავის ნისკარტით".

თქვა ფალაქნაზმა უკეთესი სხვებზე იგავი:
„ქვეყნის გამზირზე ცალი თვალის მქონე ვიყავით,
მანამდის, სანამ არ მოვიდა მეორე თვალი,
რომ ორი თვალით დავინახოთ სიცოცხლის ალი".

ჰამილამა თქვა: „იყო წყარო წმინდა, ნათელი,
მოვიდა, მორწყო იმან მწვანე ყვავილთა ველი;
ჭაბუკი ლომი მოვიდა იქ გზიდან მწყურვალი.
და იმ წყაროთი გაისველა ჰირი გამშრალი".

ჰუმაიუნ თქვა: „ერთი ლალი იყო მადნისა,
უშიშარ ადგილს ინახოდა ფარულად ისა.
მოვიდა თვითონ შაჰი იმის მოსატაცებლად
და გაუკეთა თავის გვირგვინს დასამშვენებლად".

სამან-თურქისგან იყო ასე ეს ნაამბობი:
„გაშორდა სადაფს მარგალიტი ღამის მნათობი,
ბედმა შაჰისთვის გააკეთა ყელშესაბმელად
და ის იაყუთს მიემატა მაშინვე, ხელად".

ფერიზადმა თქვა: „მშვენიერი მთვარე ერთ ხელზე
დათამაშებდა მხიარულად ნადირთა ველზე,
ამ დროს მოვიდა მზე ზეციდან მოულოდნელად
და აიტაცა იგი მთვარე გულს ჩასაკვრელად".

ხოთან-ხათუნმა თავის სიტყვა თქვა გონივრული:
„მარტოკა იყო ის შიმშადი ფარჩით მორთული,
მას მიეტმასნა უცებ სარო რამ საკვირველი,
ნეტარ არს ერთად ის სარო და შიმშადი წრფელი!"

გოვარ-მალექსმა თავისუფლად გაშალა ენა:
„მოუხდა ზოჰრას მცირე ხნობით მარტო დარჩენა,
ბედმა სიუხვის ხელი იმას აწ გაუშვირა,
ზოჰრას მუშტარი სამუდამოდ დაუკავშირა".

როცა მოვიდა სიტყვისათვის შაფურის ჯერი,
ახალი სიტყვით სიყვარულზე თქვა ყველაფერი:
„შირინ ვით თაფლი ჯამში იყო ჩასხმული ერთ დროს,
შაჰინშა ბოლოს გარდაიქცა იმისთვის ერბოდ.
მე იმისთანა ხელოვანი ჯაცი გახლავართ,
ზაფრანი ვურთე და მოვხარშე ასეთი ჰალვა!"
შემდეგ ფალაურ ენაზე მან გამოაცხადა:

„ვაშა ქვეყანას, რომ ორივე ერთად დაბადა!
ორივემ ერთად ეს ქვეყანა აიელვარეთ,
ერთურთს არ ასცდეთ, და ჯავშირი თქვენ დაამყარეთ.
[დაე, ქვეყანას ანათებდნენ მზიური სხივით,
დაე, ჰყვაოდნენ გამუდმებით ძეწნა-ვარდივით.
დაე, შაჰინშას აუსრულდეს გულის წადილი
და ნურც ჰქონია იმის გულში ტანჯვას ადგილი!“]
როცა შირინმა სიტყვას თაფლა ბაგეთა ჯარით,
აივსო ჰავა მუშქითა და ვეღი – შაქარით.
მორცხვად უცქერდა მიწას იქ და წარმოთქვა მხოლოდ:
„უსიყვარულოდ იყო გული, საკრფო – უტოლოდ.
როცა შაფური ჩაერია საქმის საშველად,
ამ ჩემმა გულმა ძველი საქმე დახია ხელად.
ბედის განგებით ჩვენს თავზე თუ რამე წერია,
მე ასე მიწერს და რასაც წერს, ჩემი ჯერია.
[მან ხელოვნებით სიყვარული ალმიძრა გულში,
და ჯადოსნურად ამიტეხა ვაი და უში.
და სიყვარულით მე ასეთი დღეები ვნახე.
ეს მისით მოხდა, რომ დამეგო ტრფიალის მახე.
იგი ჯადოქრულ გავლენაზე მე მილოცავდა
და თან მის ჰასუხს საიმედოს მე მიჯითხავდა.
თუმცა უზომო განვიცადე მე სივაგლახე,
თუმცა ათასი სინანული ტრფობისა ვნახე]
და თუმცა ხელში მას უჭირავს ალვირი ჩემი, –
მე დიბის მსგავსად მოხატული და ტურფა ვრჩები.
აი, ეს ჯამი ვინაც მომცა, იმას შეფერის,
მის წინ მორჩილად ქედს იდრეკდნენ მეფეთ მეფენი.
მისის ჩრდილის ქვეშ მასთან ერთად ვიმეფო მარად
და იყოს ბედი და ქვეყანა მის წინამძღვარად!“
როდესაც მორჩნენ თავთავიანთ სათქმელს ასულნი,
ხოსროვმა ეს თქვა: „ლომი იყო ველად გასული.
ჰქონდა ერთ ირემს იმა ლომის გზად საბუდარი
და მძვინვარე ლომს გამოაბა ყელზე ბაწარი.
მე ის ლომი ვარ, რომ შირინმა თავის ნებისად,
ამ ჩემს ჯისერზე გამომაბა ჯაჭვი თმებისა.
ანი რომ შირინს არ შეეხოს ეს ჩემი ხელი,
გავქრები, როგორც ქარისაგან ქრება სანთელი.
მძვინვარე ლომი თუკი მოვა ჩემს საბრძოლველად,
შირინ თუ გახლავს, მე ყოველთვის დავძლევ მას ხელად“.

ამხანაგები, მეგობრები, შეყრილნი ვეღად,
იგავთ ამბობდნენ და იგავნიც მოსწონდა ყველას.
მეგობრის გული დაფა არის მიწა წაყრილი,
თუ ხელს შეახებ, გამოჩნდება სუფთა ნაწილი.
შირინის სული მეორე მხრივ უფრო გაცხელდა,
იმისი გული ხოსროვისთვის უფრო გახელდა.
[თუჯი მიჯნურმა თავის მიჯნურს გული ატკინოს,
ვერასა ნახავ მასში, გარდა რამ სამარცხვინოს.]
გაავსო იმან ლალის ღვინით ჯათხა სასმელად,
მისცა ხოსროვს და უთხრა: „შესვი, ჰო, შესვი ხელად!
შესვი ეს ჯამი, იგი ტკბილად შენ შეგერგება,
შირინის გარდა ყველაფერი დაგავიწყდება!"

ხოსროვის სახე, როგორც ვარდი, გადაიშალა
და გაუთლელი წმინდა ლალით თვით გაითალა.
ზოგჯერ ამბობდა: „ჯათხავ, მოვა საცაა დილა!
იტირე მწარედ, რომ შირინმა იცინოს ტკბილად!"
ხანაც: „ჰე, დილავ, მაგ ჯბილებს ნუ გამოიჩინებ,
ცას ნუ აცინებ და ჩემზე შენც ნუ გაიცინებ!"
[ზოგჯერ ამბობდა: „გული ტრფობას დავუჯავშირე,
თუმც მწუხარებით გული ჩემი უკვე გავწირე!"]
იმ ქალთა ხელით მეფის მეჯლისს რომ ამშვენებდა,
ზეცა ხელბეჭედს იმ დილამდე ათამაშებდა.
მისცა ბეჭედი სანაძლეო, დილა რომ იყო,
მამლის ყივილზე ის ბეჭედი იმან წაიღო.
ქალებმა როცა გამარჯვება დაიმსახურეს,
იმ მინდვრებიდან თავის ქალაქს ჯვლავ მიაშურეს.
ბევრი ილხინეს, ერთი ბეწო არა სწყენიათ,
ასე გულსავსედ ალბათ დიდხანს არ ულხენიათ.

და მეორე დღეს ქვას დაემსხვრა როს შუშა მზისა,
როცა წყვდიადი გახდა ბინა ადამის ძისა,
მათ ხელმეორედ ხელში ღვინო აიღეს მინით
და ტკბილი ღვინით გაატარეს დროი ყიჟინით.
გულბროლიანნი მოიტაცა ზეცამ და მაშინ
გულბროლიანთა აქ დაიწყეს ცეკვა-თამაში.
ყურძნის ნაწურით მათ სიამე ახლად აქციეს,
სულის მოლხენით ისევ ღამე ახლად აქციეს.
თან იგავები გუშინდელი ჯვლავ ჩამოსთვალეს,
თანაც გათლილი ლალი ძველი ისევ გათალეს.
[შაჰი დამჯდარი ლხინში ამ დროს თვით მზესა სჯობდა,

დამშვიდებული გულით ომზე აღარ ფიქრობდა.]
ხოსროვის გული სატრფოს გამო მხოლოდ ღელავდა,
ბაგეთა ჯოცნის მოსაგონად ღვინოსა სვამდა.
ღვინო ფერადი, – ფარშავანგი იყოს უგველოდ,
ტუჩები ტკბილი და ხერმა ჯი იყოს უეჭლოდ.[206]
ერთ ხელში ღვინით თასი ჰქონდა მას ავსებული,
მეორე ხელში ჯი ეჭირა მას თაიგული.
ღვინოსა სვამდა და თანაც იმ ვარდსა ყნოსავდა,
გულის ძიება ჰქონდა მას და სატრფოც იქ ჰყავდა.
მას მწარე ღვინით სულის ძალა გადაემეტა
და ამ დროს ტკბილად შორინისკენ მიმოიხედა.
თვალის ნიშნებით უამბობდნენ ერთურთს ქართულებს,
რადგანაც ტუჩებს არ ეცალათ ჯოცნით გართულებს.
[მას რა სჯობია, რომა ჯამში ღვინო ჩაღვარო
და შაქარი ჯი ნუშის გულებს უხვად აყარო!][207]
იმავ ნიშნებით პასუხობდა, შირინიც ლომსა,
არც მას ეცალა ტუჩებისთვის, ალერსის მდომსა.
თვალების ჩაკვრით უთხრეს ერთურთს სიტყვები მთელი
და ჯეკლუცობით თქვეს, რაც იყო ყველა სათქმელი.
მთელი ის ღამე დარაჯივით მათ გაატარეს
და მრავალ ღამის მოგონებით კვლავ გაიხარეს.

ღვინის შედეგად ხოსროს სახე ოფლმა დაღარა,
მაგრამ ის მაინც არ ეშვება ქეიფს, აღარა!
როგორმე ნახოს მან შირინი დამთვრალი ძალზე
და დაიწვინოს შაქარტკბილი თავისვე მკლავზე.
შემთხვევა ისე ბედნიერი როდის მოხდება,
ხოსროს ისარი მის ნიშანში როდის მოხვდება?
გულმხიარული გულმხიბლავის დასანახავად,
მხიარულობდა და დილამდე ხტოდა ერთავად.
როდესაც შაბდიზს ღამისას იქ იმ გოლგუნმა მზემ
ამოსდო ოქროს ლაგამი, ვით ვარდი ტირიფზე,
ის მზე და მთვარე ნადირობის ეშხზე მოვიდნენ,
შაბდიზს და გოლგუნს ორივენი ერთად შეასხდნენ,
მუღანის მხრიდან გაემგზავრნენ ერთად შაჰრუდში
და ქეიფობდნენ ღვინით, ჩანგით იქ ყოველ წუთში.
ზოგჯერ ყველანი ერთად იყვნენ მდინარის პირზე
და ნადირობდნენ ფრინველ-თევზზე და სხვა ნადირზე.
ზოგჯერ ნაპირზე წყალსა სვამდნენ აშლილი ჟინით,
გააძღეს სრულად ეს ქვეყანა ჩანგით და ღვინით.

ზოგჯერ დარბოდნენ, სადაც იყო მანდურის ველი,
და ამოწყვიტეს, თუ სად იყო ჯანჯარი, შველი.
იმგვარად ჰქონდათ დღეები მათ მოფიქრებული,
ხან ქეიფით, ხან ნადირობით იყვნენ გართული,
იმ ღამის რძალმა დაიხატა ხელზე სურათი
და მოსართავად მოსაბური მოიხურა თვით.
მეფის საცოლე თვის ტახტიდან წამოდგა ხელად,
სტუმართ ჯრებული თავის სახით მოჯაზმა მთელად.
ყველა ლამაზი შირინს გაჰყვა, ყველა მას ართობს,
ამდენ ქალებში ერთადერთი შაჰია მარტო.
შაქარი ბევრი და ნუში ჯი მცირედი იყო,
ერთი მიმინო და მრავალი ჯი მტრედი იყო.[208]
ყველამ ხოსროვის სადღეგრძელოდ აიღო ღვინო,
ყველას ერთგვარი ჰქონდა ამ დროს სამღერ-სალხინო.
ღამე უჩანგოდ და ულხინოდ არა ყოფილან,
ერთ წუთს უთასოდ და ულვინოდ არა ყოფილან.
[თუ არის ღვინო და სატრფო გყავს ხელმოხვეული,
ამ დროს ტანჯვისთვის აღარ უნდა გიცემდეს გული.
ყოველთვის უნდა მინდორსა და ბაღში იარო,
იყო მთვრალი და მინდორ-ველში დრო გაატარო.
სატრფო როცა გყავს, ლხენა უნდა გაიორჯეცო,
ყოველ მინდვრისკენ სანეტაროდ თვალი აცეცო.]
ღვინო, მიჯნური, სიჭაბუკე და ყვავილნარი,
ამაზე მჯობი სხვა სიცოცხლე ქვეყნად არ არი.
ვარდ-ყვავილებში სიხალისე და სიარული
და სატრფოს ხელით ღვინის შესმა და სიხარული!
სატრფოს ჯისერზე უნდა იყო ხელმოხვეული,
ვითა ნარვანას ჩახვეული ჰყავს ბროწეული.
ცალ ხელში სატრფოს ჯალთა უნდა გეჭიროს მარჯვედ,
მეორე ხელით გაუსინჯო სულს ცემა მაჯის.
თვალების ჩაჯვრით ზოგჯერ ძებნა გულის საშველის,
ნარდის თამაშში ზოგჯერ ჯოცნა ვნების ამშლელი.
ხან მიიჯარი ყვავილივით შენ გულის პირში,
ხან უთამაშე იის ჯონა მას ყურის ძირში.[209]
ხან საიდუმლო ყურში ჩუმად გაუზიარე,
ხან ჯი უამბე შენი დარდი და სიმწუხარე.
ეს არის ყოფნა და ეს ყოფნა ქვეყნად არ არის
და თუჯი არის, ერთი წუთის მეტად არ არის.

ამემ ისეთმა, გაზაფხულს რომ შეეფერება,
გვაჩვენა თავის სიკეთე და ბედნიერება.
განათდა ღამე მთვარის სხივით, ვით დღე ნათელი,
მისწვდა ღვინის თასს დასალევად მნათობის ხელი.
და იმ მთვარეში მზეზე უფრო რომა ღვიოდა,
დასხმული ღვინო ძეწნის ჩრდილში მიმოდიოდა.
სტვენამ ფრინველთა და მერქიფის ძახილმა: „შესვი!"
ამოაცალა მწუხარების სუყველას ფესვი.
მთვარე წყაროსთან საიდუმლოს აღიარებდა,
დილის ნიავი მათ შინაარსს ქვეყნად აბნევდა.
ტანსაროები ყოველ მხარეს მიმოდიოდნენ,
ყოველ საროზე გაზაფხულის ვარდნი ღვიოდნენ.[210]
თასის მაგიერ ზოგს ეჭირა დაირა ხელში,
ზოგს ვარდის წყალი სასხურებლად ეჭირა ხელში.
[სეფე-ქალები ბრწყინავდნენ, ვით მზის ნაპერწკალი,
ჩაესხათ თასში გამზადილი სიცოცხლის წყალი.]
რამდენიმე წრე ღვინის ჯამმა რომ ჩაუარა,
ძილის სიმძიმემ ყველა მათგანს თავს დაუარა.
ამხანაგები იყვნენ ღვინით დამთვრალნი ყველა,
მეფესთან ერთად დაეპირნენ შინ წასასვლელად.
იყვნენ დამთვრალი მერქიფენი ტანმოთენთილი,
ცხვირჩამოშვებულ მომღერლებსაც დააწვათ ძილი.
სალხინო სუფრა თუ გარეშეთ აღარ აჰურებს,
იმ ვარდს მიაგავს, ეჯალი რომ აღარ აწუხებს.
შაჰმა ან უკვე მოთმინების გზა მიატოვა,
მან სანადირო გზები უფრო შეავიწროვა.
თმების ნაწნავი დაიჭირა თავის სატრფოსი,
გამოიყენა მან შემთხვევა ამნაირ დროსი,
ტუჩში აკოცა, უთხრა: „შენი მონა ვარო მე,
მოვედი ჩიტი შენს მახესთან, საკენკი მომე!
რაც კი წავიდა სიცოცხლიდან, უშვი, წავიდეს,
დღე იწყებოდა და იწყება ახლა თავიდან.
მე და შენ აქ ვართ და ჩვენ გარდა ვინ არის აქა?
სიფრთხილის შიშზე ნურას იტყვი, რა არის აქა:
ერთ საათს მაინც იყავ ჩემთვის გულის დამწველად,
თუ ჩემს ბედად ხარ, ამ ჩემ ბედზე დარჩი ამ ხელად.
ბევრი ხე არის, ჯერ ნაყოფი არ აქვს მობმული,



სანამ ვიქნები ნეტა შენგან მოტყუებული?
ხიდი თუნდ იყოს ნაჯეთები ლურჯი ქვისაგან,
თუ წყალზე არ დევს, სარგებელი რაა მისაგან?[211]
ყასაბის ძაღლი ჯიგრისათვის წევს დაკლულ ცხვართან,
მაგრამ ამაოდ, იგი რჩება თავის ჯიგართან.
ღრუბლებით თუნდაც გადაშავდეს მთელი ცა, განა,
თუ არ მონვიმა, იგი რამეს უშველის ყანას!
აბა რად გინდა, თუკი მლაშე ამოვა წყალი,
ყველა მწყურვალს აქვს იმისაგან პირი გამშრალი.
მით რა იქნება, საწამლავი რომ ჯამში ჩასდო
და სიტკბოს გამო იგი ჯარგად გამოაცხადო?
სველ მარგალიტის სიკეთეზე ცუდს ვით გაბედავ?[212]
როცა სველია მარგალიტი, მაშინ ხამს ხვრეტა,
ბატკანი როცა რძეს წოვს, მაშინ უნდა შეჭამო,
რომ დაბერდება, მგლისთვისაა იგი საამო.
ხუნდი მტრედისა გასაფრენად რომ გაიზრდება,
შაჰის ხელიდან იგი ქორის ბრჭყალებში ხვდება.
მაგ ხუთი ბრჭყალით გიჟ ლომივით ნუ მოიქცევი,
თორემ ეს ხუთი ბრჭყალი არის ლომის წამქცევი.
მთის ირმებს თუ აქვთ აწეული ამაყად ყელი,
ქამანდის მსროლელს მაგიერად აქვს მკლავი გრძელი.
უდაბნო ველის ჯეირანი თუ არის ფრთხილი,
მეფის ძაღლებსაც შეუძლიათ ჩქარი სირბილი!
ნუ დამიმალე ეგ თმები და ეგ შენი ხალი,
მომეცი ხარკი, გაისტუმრე ბარელამ ვალი!
ვაჭარს შაქარი თუნდაც ჰქონდეს ასი ხარვარი,
რას წარმოადგენს, დაეტილი თუ ჯი აქვს ჯარი?
თუ მაგ შენს ლილას გამოუჩნდა ვინმე მყიდველი,
ნილოსშიც იდგე, გადმოშალე ეგ საქონელი!"

ხმით უნაზესით თქვა სიტყვები მან იშვიათი,
პასუხი მისცა ისე ტკბილი, ვით ტაბარზადი:
„არ გამოდგება ჩემისთანა უღირს-უმგვანი,
დაჯდეს იმ ტახტზე, სადაცა ზის გვირგვინოსანი.
ეს ჩემი ვირი, მე არ ვფიქრობ, ასე ვარგოდეს,
არაბულ ცხენაზე ამხედრებულს ალარ ჩამორჩეს.
მე მხედრობაში მოქნილობა არ მაქვს საჭირო,
რომ გაბედულად გამოვუდგე ლომს სანადიროდ.
ჯეჯილუცობაა მხოლოდ ჩემი ყოფნის მიზანი,
გაცხელების დროს შაქრის ჭამას მოაქვს ზიანი.

ამ გაცხელებამ გაგვიაროს, გავიდეს ჟამი,
მერე მე შაქრის ჯვნეტით დავტკბე, შენ ყანდის ჭამით".[213]
მის შემდეგ იმან ლალზე დასდო ალმასი მჭრელი,
ზურმუხტს დარაჯად დაუყენა ყიდევაც გველი.[214]
იმისი ქედი თუ ქედმაღალს წინ მიუძღოდა,
იმისი გული, ჰოი, ღმერთო, არ ეურჩოდა!
მედიდურობით ეკალივით დაიწყო ჩხვლეტა,
ეკალს წითელი ვარდი ესხას, რა უჭირს ნეტა!
[ნაძვის ხე შაჰის ალერსებას როცა ხედავდა,
რომ შაჰი იმის მოტაცებას ურცხვად ბედავდა,
ალერსებისგან შაჰთან თავი მან შეიკავა
და მის წინ მჯდარი ის საჩქაროდ წამოხტა თავად.

მეფემ ყოველ წუთს სიყვარულის უმატა ვნებას,
სულივით გულში იხუტებს და ვნებისგან დნება.
ღვინით დამთვრალი ფეხმოსხლეტით ძირს ეცემოდა.
ვნებააშლილი ყოცნით ფეხზე ქალს ეხვევოდა.
სათნო მოქცევით და ალერსით ხელებსა ხვევდა,
მის ლალის ბაგეს ის ყოველ წუთს ყოცნას სტაცებდა.]
და თუმცა რისხვით აეყარა ლომებრ ფაფარი,
შიგნით ყარყუმის ბეწვი ჰქონდა გადანაფარი.
მისი წარბები, მშვილდივით თუ იმართებოდნენ,
თვალთა ისრები მოალერსე მიზანს ხვდებოდნენ:
წამწამთა შუბით, ბრძოლის რიგი როცა მოვიდა,
ყოველ ბრძოლის დროს იგი ათას მშვიდობას ქმნიდა.
„მარილით ნუ სწვავ დაჭრილ ტუჩებს, – ეუბნებოდა,
თითო „ნუ იქმში", ასი „ქმენი" იმალებოდა, –
ფარჩის ნიღბის ქვეშ ვერ მაკოცებ მე შენ ფარულად,
მაგრამ ყელ-ყური ყოცნისათვის ღიაა სრულად".
ერთი მხრით ბაგე დაიდუმა თავისი ჩქარა,
მეორე მხრით კი მონის რგოლი ყურს გაიყარა.
ის ცალი თვალით დაუდეგრად რომ ეკლესცობდა,
მეორე თვალით კი ხელახლა ბოდიშს ითხოვდა.
თავს რომ მისწევდა, მისი თმები მეჯლისს ქარგავდა,
ჰირს იბრუნებდა, მისი ქედი ვის არ ხიბლავდა!
როდესაც ნახა მან ხოსროვი ატეხილ ვნებით,
და შეცოდავდა, უნებურად იყო თუ ნებით,
მაშინვე მეფეს შეუბრუნდა, დადგა ზურგითა,
მაგრამ ის ცეცხლი ვერ დაშრიტა თეთრმა გოგირდმა.[1]
და ახლა, როცა შაჰს აჩვენა თავისი ზურგი,

ეუბნებოდა: მოდარაჯედ მექმენო თუ გინდ!
შეცდომითა ვთქვი, აჩვენა მას სპილოს ძვლის დაფა
და ამით უთხრა: „დაიბრუნე ტახტიო სწრაფად!"[216]
იქნება ჰქონდა ანგარიში მას სხვანაირიც,
რომ ჩემი ზურგი მიჰრაბია მისთვის, ვით ჰირი.
მას ერთი მხარე ხელიდან თუ გამოეცალა,
სხვა მხარეზე აქვს მასზე უფრო სინათლის ძალა.
ოჰ, რა ჯარგია ეს სინაზე მშვენიერ ქალთა,
თვალმომხიბლავი რომ არიან მაძებარ თვალთა!
თვალის ფახურით, გაიძახის: „წა, ადე ზევითო!"
მეორე თვალი გულს გაუხსნის: „ნუ გაიქცევი!"
ას სიცოცხლედ ღირს სატრფოს იგი ფარული ვნება,
როს ასწილად სურს და „არ მინდას" ჯი გეუბნება!

ხოსროვის პასუხი შირინს

ნახა ხოსროვმა, ის ჯეელუცი, მთვარის მსგავსება,
არ ცდილობს, ხოსროვს მიანიჭოს რაიმე შვება,
ამაყად უთხრა: „ჰოი, ქალო, სიამევ ჩვენო,
სანამდე გინდა, საყვედურით არ მომასვენო?
თუ ღვინო შესვი და შემასვი მეც იგი ხელით,
რად უნდა ვიყო მე მთვრალი და შენ ჯი ფხიზელი?
ფხიზლად შენ ჩემთან ნუ იქნები, დაჯარგე გონი!
რადგან შენც ჩემებრ მიჯნური ხარ. არა? ჯი, მგონი.
აბა, რად გინდა სიყვარულის ფარვა და მალვა,
თუ სიყვარულმა სახმილივით დაგიწყო ალვა!
თუ გინდა გულში საიდუმლო შენი დამალო,
უნდა შეიძლო, რომ შენ გულთან შენც ივალალო.
თან შენი ბუჯი დამარცხების აახმაურე,
მოედნის ჭიდან მაგ ჯარავით შორს მიაშურე!
ის გასაჭირი ბასრი ხმლით რომ წინ დაგიხვდება,
ქედმაღალთათვის გაქცევაა ჰატიოსნება.
ხმალთან თამაშში, ეს ამბავი შენ უწყი ჯარგა,
ქედმაღალ გმირმა თვითონ თავის თავი დაჯარგა.
თუ შენს გულს უნდა, რომ მიჯნურის დარდი არ ზიდოს,
უთხარი, მისი ჯეელუცობა მაინც გაჰყიდოს:
„მოყვასი ვარო", მითხრას, დეე, ვიტყუო თავი,
ასე სჯობს ჩემთვის და არც შენთვის იქნება ავი.
ზოგჯერ მომხდარა, უმჯითხავეს ხუმრობით ვისმე,

და მერე მართლაც დროთა ბრუნვა წასულა ისე.
რა ჯარგადა თქვა ერთმა ბრძენმა: „შენ თვითონ თავად
შენთვის სულ ჯარგი იმჯითხავე, არ ახდეს ავად!
ცუდს იმჯითხავებ – საქმეც ცუდად დაბოლოვდება,
ჯარგს იტყვი, ჯარგი ისეთივე წინ შემოგხვდება".
მე შენი ლალის ჯოცნითა მაქვს აღსავსე გული,
ნუ იზამ, ამას, იგიც მექნეს მე აჯრძალული.
თუ გსურს, რომ აწი ავიჯერო ჩემი ტუჩებიც,
ახლა ნუ მიზამ, თორემ მშთანთქავს ცეცხლი უცები.
ვშიშობ, რომ ხვალ არ დაიჯაწრო შენი ლოყები,
თუჯი მე შენი გულქვაობით დღესვე მოვკვდები.
არ მოგშორდება ჩემი ცოდვა და ჩემი სისხლი,
მიჯნურთა სისხლი უნდა იზღოს მისხით და მისხით.
ასე მგონია, სიყვარული არ გინდა, არა,
არც ჯოცნა გინდა, რაც იჯოცნე, გგონია, ჯმარა.
ვერ ვბედავ, ტუჩებს ვერ გიჯოცნი, – არ გამიჯარებ, –
მაშ, რას ვაჯოცო, შენს სახელოს თუ სახლის ჯარებს?
არ ვამბობ: ჯოცნა, ვითა სარჩო მომეცი-მეთქი,
ტუჩის ჭაშნიჯი, შესასმელი, მომეცი-მეთქი,
მომეცი ერთი ჯოცნა, ათი რომ მოგცე უჯან,
ეს მეტ ხელს მოგცემს, ანგარიში ვაჭრული თუ გაქვს.
თუ ვაჭარი ხარ და ცალობით გიდევს შაქარი,
ჯობია, რომ არ დამიჯეტო მაგ შაქრის ჯარი!
თუჯი გააღებ, გაიღება იგი შენთვისაც,
თუ სულ დაჯეტავ, იჯეტება იგი შენთვისაც.
თუ წყლის მზიდველი ჭის წყაროდან ბევრს ეზიდება,
იმ ჭიდან წყალი უფრო მეტი ამოდინდება.
[როდესაც ყველა ესე იცი შენ თვითონ ჯარგად,
ამჰარტავნობა ქვეყანაზე არაფრად ვარგა!
შენ არ გეჯუთვნის, რომ წამართვა მე ჯაბის ჯალთა,
თუ რა დღეში ვარ, თავად ხედავ, ძვირფასო, ნათლად.
ეგ შენი ლოყა ვარდია და ეგ ბაგე – ყანდი,
შევცდი, ეგ ბაგე სიცოცხლისა წყალია, ნამდვილ!
სიცოცხლის წყარო ვინაიდან თვით შენში არი,
გაჭირვებულებს აბა რისთვის დაუხშე ჯარი?
იმ შაქრის გამო ამიტეხე გულს შიშის ქარი,
მაჩვენე იგი და ხელ-ფეხი და შემიჯარი.]
გულში ჩაგიძვრენ, ვით წვიმის წყალს შავი ღრუბელი,
შენით ცოცხალ ვარ, სიცოცხლეს ხმლით ვით ვახლო ხელი?

შენმა ხუჭუჭმა, ინდოსავით რომ ელავს შავად,
ასე ჰირწმინდა გამცალა და გამქურდა ავად.
[შენმა თმამ გული თუ წამართვა, სასურველია,
ინდოს ქურდობა საზოგადოდ უეჭველია.
მე ქურდს დავიჭერ, თუ იმაში მომცემენ ფარას,
ქურდს არ დავიჭერ, თუ იგი მე თვით მომიპარავს.]
თუ შენს ინდოელს ქურდობაში არ დავიჭირავ,
ინდოელივით ტურდობას მე სახელს შევწირავ.
ქურდს თუნდაც ასი იარაღი ეჭიროს ხელში,
თუკი შესძახე, შეშინდება, შეძვრება ხვრელში.
მან ინდოელს კი ქურდობაში ვერვინ აჯობა,
ქურდსაც აქვს ზოგჯერ თავისთავად მარჯვე კაცობა.
თმების ქამანდი გადამაცვი ამ ქედზე წყვილად,
გამხდარ ნადირთან ამ ღამით შენ იყავ კეთილად!
იყიდე გული, რომ მე სული შემოგაძლიო,
იყავ მერქიფე, რომ მაგ ხელით ღვინო დავლიო.
შეხვედრის ღამით ტუჩი ღიმით მაქვს ავსებული
და მეგობრობის ლამპარიც მაქვს მე ანთებული.
[ბუზანკალი ვარ, ნუ მიმალავ იმ კვნეტა შაქარს,
ნუ დამწვავ ცეცხლზე, – შემიცოდე, – როგორც მუშკამბარს]
მონობის რგოლი უნდა ჩემს ყურს იშოვოს შენი,
იყიდე მონა, მოგეყიდო ახლავე, ჰქენი!
კოცნათა დათვლა თვითონ მინდა რომ დავივალო,
მკოცნე და მკოცნე, რომ ისინი ვთვალო და ვთვალო!
მოდი, ორთავემ ერთმანეთით ვიწიოთ ბედი,
ბედი კარგია, ჩვენც კარგისა რა გვინდა მეტი.
ერთი ამ ღამით განვაახლოთ სიამოვნება,
რომ სახვალიოდ ეს ქვეყანა არვის ექნება.
ამ ღამის ნაღდით, მოდი, ერთად მივიღოთ შვება,
ჩვენ სახვალიო ნისიასთან რა გვესაქმება?
ნუ ათამაშებ მაგ თმებს, მისგან რას გამოელი,
მე მეთამაშე და მიიღე ეს ჩემი ხელი!
მიყვდება გული მე შენს გამო, მიწამლე რამე,
ჩამიყარ გულში სიყვარულით, სიცოცხლე მამე!
ჰოი, უტკბესო სიცოცხლეზე, სასმელო წყარო,
მსურს სულის მსგავსად შეგითვისო და გავიხარო!
[ასო მანსა ჰგავს თითქო შენი კოხტა ტუჩები,
ასო ჯანსა ჰგავს თითქო შენი თმის ხუჭუჭები.
არ მიყვირს უკვე, თუ მაქვს დარდი მომეტებული,

მე თვით ვარ შენი სიყვარულით აშფოთებული.
მეტია შენი სურნელება თვით მუშაამბარზე,
რა ვთქვა სხვა შენზე, თავად ვარდზე თავად შაქარზე!
მაგ ტაბილი ტუჩის მონა არის თვითონ შაქარი,
თუ შენ სიტყბო ხარ, ეს შაქარი თვით რაღა არი?]
რაა შაქარი, როცა გეოცნი თავზე ან ფეხზე,
ყველა მათგანი უტკბესია თვით ერთმანეთზე.
ტყუილუბრალოდ არ გიწოდეს „ტკბილი“ სახელად,
ყველა სხეულმა შენში სიტკბო დამალა მთელად.
სჯობს, ამ ლხენის დროს მოწყენილი რომ აღარ იყო,
არ იქნებოდი შირინი, რომ ტკბილი არ იყო.

შირინის პასუხი ხოსროვს

შირინმა უთხრა: „არ შეგფერის გატეხა პირის,
მოინანიე, რასაც ფიქრობ, არ გითხრან ძვირი.
რომ ცუდი არის შაჰისათვის პირის დაგმობა,
ცუდად გამოვა ქვეყანაზე ცუდი საქმობა.
ნუ ეძებ წყაროს, რომ პატივი ჩემი გარეცხოს,
მას ნუ მოითხოვ, რისი ნებაც მე არ დამერთოს.
მაგ ცუდი მიზნით მე თვით ცუდად გადავიქცევი,
შენ ცეცხლად, მე ჯი თავად უდად გადავიქცევი.
არ მქონდა ტრფობა, გული ტრფიალს ეტრფოდა თვითონ,
მოვიდა ტრფობა, როგორ ვიყო გულცივი ვითომ!
ტრფობის ბაზარში თუ რაიმე ავიღე წილი,
შენთან ყოველ წუთს ნეტარება მექნება ტკბილი.
საკუთარ თავთან ხომ თამაში არ შეიძლება,
ყოველი საქმე ხომ საამოდ არ მოგვარდება.
ხალხის ნაწილი თუ განცხრომის მსურველი არის,
ნაწილი კიდევ ძებნად ჯარგი სახელის არის.
[არ უნდა მისცე ვნებებს თავი, გაჭირდეს თუნდაც,
ფეხის ზომაზე გადაადგა ნაბიჯი უნდა.]
რად უნდა იყო სითავხედის გამომხატველი?
ორ სახელოვანს რად დაგვედოს ცუდი სახელი?
ან იმას რა სჯობს, შევირცხვინოთ ჩვენივე თავის
შენდობა ვთხოვოთ უფალს, თუ რამ გვიქნია ავი.
ქალის დაძლევას არ იყადრებს კაცი ჭკვიანი,
თუ შენს თავს დასძლევ, კაცობაა ეს რიგიანი.
ვინაც დასძლია თავის თავი, იგი განდიდდა,

თავის დამძლევი ყველა ქვეყნის კიდემდე მისწვდა.
მე ტაბილი ხე ვარ და იმნაირ წყალსაც ვიძლევი,
თან ჰალვა არის, თან შარბათი ტაბილდასალევი,
პირველად დატკბი შენ ამ ჩემი სასმელის გამო,
ნუ ჩქარობ მასთან, ჩემი ჰალვაც ახლავ შეჭამო.
შარბათზე ადრე შენ ეს ჰალვა ნუ მოიწვდინე,
ჰალვას მერე ჭამ, შარბათი კი იწვნიე წინეთ.
როცა შაქარი ჩვენ პირში გვაქვს უკვე საჭმელი,
ხუზისტანისკენ რალად უნდა გავწვადოთ ხელი?
ეს ცივი წყალი იმოდენად საამო არი,
რომ შეიძლება მით ჩაქრეს ეს ცეცხლის ხანძარი.
წყალი თუ თავზე გადაგივლის, მოაქვს ზარალი,
თუნდაც რომ იგი იყოს ნამდვილ „სიცოცხლის წყალი".
[მქონდეს სიმდიდრე, რაც სიმდიდრე ამ ქვეყნისაა,
უშენოდ ტაბილად რომ ვიცხოვრო, შხამი ისაა.
იმავ უფალმა, სიყვარული დაბადა ვინაც,
სიყვარულს შუა ფათერაკსაც დაუდო ბინა.]
თუ რომ ეს გული შენებრ ტრფობას დაეთხოვება,
იმ გულს სიცოცხლე შემდეგ აღარ მოეპოვება.
[ბევრი დავარდა, ვინცა იყო ბევრის მჭამელი,
და დარჩა ტანჯვა-გოდებაში მრავალი წელი.
თუმცა მათ ჭამეს სასიამო და ქორფა ხილი.
თუმცა მათ ჭამეს სხვა კი არა, შაქარი ტაბილი.]
მაგრამ სიცხიანს რომ აჭამო არა ხამს ჰალვა,[217]
უფრო მოუწევს მეტ სიცხეში ხრუკვა და ალვა".

ხოსროვის ვედრება შირინის წინაშე

აეფემ რა ნახა, საქმეშია გადაუხრელი,
ენაჩქარია, გუნებით კი მშვიდი, მომთმენი,
ვედრებით უთხრა: „ჰოი, ქვეყნის მანათობელო,
მეგობრის ლანძღვა სინაზეა, სჯობს, მოვინელო.
გონიერია და ეს არის შესაძლებელი,
დახმარებისთვის საჭირო დროს შეიყრა ხელი?
მოვრბივარ შენთან, შეერთება მწადია შენთან,
ვაჯობებ ყველას, ვერ წამართმევს ვერავინ შენს თავს.
ვხედავ, რომ შენი თმებისგან ვარ მაგრად შეკრული,
შენ ჩემს ხელში ხარ და ხელიდან მე ვარ წასული.
არ ვამბობ, ფიცი ერთგულების რომ გაგიტეხო,

მაგრამ ჩემს ჯოცნას უარყოფით ჯი არ შეეხო.
[მე გულდაქანცულს ტრფობით ხელი არ მომიმართე,
რომ შემიყვარებ, მე გულის დარდს მით მომიმატებ,
როცა ცეცხლია ამ ჩემს გულში, რად ამაყდები?
სიხარულის დროს უქეიფოდ რაღადა ხდები?
თუ ჩემზე დარდს და მწუხარებას აღარ ეწევი,
ესდენ უგულოდ და მწუხარედ რაღად მექცევი?
ვამბობ ტირილით, ტკივილებით ტვინგადამწვარი.
ჰოი, საროს ხევ ცოცხალო, და, მთვარევ მთა-ბარისა!
ტრფობის ბალითა ამოავსე ეს ჩემი უბე,
იცი სიმწარე განშორების და ნუ დამღუპე!
ვით ავი თვალი, შენგანა ვარ მე შორს წასული,
ვით მავნეს შენი ტუჩებისას, მეტანჯვის გული.
ხედავ, ვიტანჯვი, ამ ჩემს ყოფნას შენ შემოხედე,
წამალი ლალის შაქრისაგან მე გამიკეთე[218].
პირობისამებრ მიეც შენს ტყვეს მხიარულება,
ბედით მომაკვდავს მიანიჭე თავისუფლება.
შეხვედრის ბალის ვარდით ბარემ ამივსე გული,
რამეთუ იცი, მარტოობამ დამიფრთხო რული.
თუ რომ იმ ვარდის წყლისაგან მე ან გავისვრები,
იმ ყვავილების სუნისაგან ჯარგად გავხდები.
შენ მთვრალი იყო, მექნეს ხელში შენი თმა რბილი,
თუკი ლხინია, აი სწორედ ლხენის ადგილი.
თუ შენთანა ვსვამ, მხიარული ვით არ ვიქნები,
თუ შენა გხედავ, მხიარული ვით არ ვიქნები?
ოქროდ მექცევა ქამარი, თუ ჩემთან აქ არი,
თუ გავიცინე, პირი ტკბება როგორც შაქარი.
თუ ჩემთან წახვალ, – ვითა გველმა დაჯარგოს ხვითო,
უვარდო ეკლად მე დავრჩები, უეკლოდ – თვითონ.
თუ ჩემი თავის დარდისგან შენ განმარტოვდები,
მე თავის თავსა, და შენ კიდევ დარდს განშორდები,
ჭამე ჯიგარი, სანატრელი სხვა არვინა მყავს,
ამ ჯიგრის გემოს გამსინჯველი სხვა არვინა მყავს.
თუ არ იქნება შენი სახე გულის მომკვლელი,
დარჩება გული, მაგრამ სახე შვების მომგვრელი?
თუკი იქნება თვალი შენზე გაჯავრებული,
ის შეიქნება ყველას თვალში დამცირებული.
სიცოცხლეე შენგან თუ წავიდა თავისით ჯარში,
მოხდება მისი ქორწინება, მაგრამ – სიზმარში.

სასაყვედურო ერთმანეთში თუ რამ გვექნება,
მის შეამავლად შენი თმები გამოგვადგება!"
როცა არაკის დათავებით დაიტაბო ენა,
აიღო სატრფოს თმები ხელში და მოისვენა.
[განთიადამდე მთელი ღამე მოთენთა დარდმა,
ტალახში ჩაფლო და ვაგლახში ჯეჯლუცმა ვარდმა.]
ზეცამ როდესაც იაგუნდის აიღო ჯამი,
იაყუთისფრად იქცა მიწა ცისკრისა ჟამით.
[როცა სამყაროს შაჰმა ხმალი იძრო ალგზნებით,
ღამისა შაჰმა სამეფო დღეს დაუთმო ნებით.
მთელ სამეფოში შაჰის ქოსმა დაიგრიალა,
სულთნის ალამი შვიდ ადგილზე აფრიალა.[219]]
ადგა, აიღო მეფემ ხელში თავისი ჯამი,
ჯერ გუშინდლიდან იყო ღვინით ძალზე ნასვამი,
იგივე სევდა მას ჯალთაზე ჩამოეკიდა,
და იმავე ნამჯას ფიცხი ცეცხლი წამს მოეკიდა.
ვნება გაცხელდა, ცეცხლის ალი ნაპერწკლებს ჰყრიდა,
ცეცხლი ტრფობისა ჩალა-ბულულს არ მოერიდა.
[როს ცეცხლისაგან მისი გული სულ აჰილპილდა,
შირინის გული ამის გამო უფრო დარბილდა.
მის სულში ცეცხლი ისე იყო გაღვივებული,
რომ მას ჰირიდან ჰქონდა ენა გადმოგდებული.]
მკერდბროწეულას მოეჭიდა ის მაგრად მყისვე,
დიბას რომ ტახტზე გადააჯვრენ, იმგვარად, ისე.
იმდენს ეცადა, გაუძალდა ატეხილს ვნებით,
გაშორდა ლომი თავის ჯანჯარს ბედის განგებით.
მეფემან ნახა, იყო იგი მოესვენარად,
[უთხრა: „ნუ ცხარობ, დიდო მეფევ, ახლა ამგვარად!
ჰოი, მეფეო, გმონებს მთელი ქვეყნის ქმნილება,
სუყველა შაჰი მაგ შენ ნებას ემორჩილება!]
ეს რა გამოვა, ვნებათღელვა ვერ დაიოკო
და მე შენს თვალში შემარცხვინო ვით ხარჭა, გოგო!
ვნებას ნუ აჰყევ, მისი ბოლო არ ევარგება,
ვარდი თუ დაჭკნა, სურნელება დაეკარგება.
ხოჯამ თუ იცის ლაჰარაჯი მომეტებული,
მისი მსახური შეიქმნება უფრო დიდგული,
შენს მორჩილებთან არას გარგებს ეს შეწუხება,
ისევ სიმკაცრე მირჩევნია ან გაჩუმება.
ცხენი მეფისა თუ დაოჭლდა, ხელმწიფე ნებას

როგორ ეწევა! უეჭველად გაუჭირდება.
როს გათავდება ხელმოცარვა და ჭამი გავა,
შენი სურვილიც შენთან მოვა, ნუ შიშობ, თავად.
უგნურებაა ასეთნაირ ბრმა სიმთვრალეში,
ფეხზე ბორჯილი ჰქონდეს ჯაცსა, ჯამი ჯი ხელში!
ეძიე ტახტი, მე ჯი აგერ არა ვარ განა?
მე სად წაგივალ, შენ ჯი ტახტი დაიპყარ მანამ.
[ტახტით მიაღწევ, თუ ისურვებ, ყოველ შენს ყოფას,
თუ იგი არ გაქვს, ვერ მიაღწევ ისე შაჰობას.
შაჰობის გარეთ ეგულებათ ბედი ყოველი,
ეპოტინება იმას მუდამ მრავალი ხელი.]
შენ არ მინდიხარ უდოვლათოდ დასანახავად,
მე და დოვლათი უნდა ვიყოთ ერთად, ერთთავად.
დოვლათის მდომი შენთვის სულსაც ჯი გავიმეტებ,
საკუთარ თავის მტერი არ ვარ, უარვყო ბედი!
ილხინე, როცა წინ დოვლათი გიძს გაღებული,
ნუ სწუხარ, როცა ჯარგ დღეზე ხარ დაბადებული.
ჯერ ბედი, შემდეგ ეძიე, რაც გულმა ინება,
განძს ვერ მოიძევ, თუ არ გყოფნის შენ მოთმინება.
თმენით სურვილი სულ ადვილად შეისყიდება,
სიმშვიდით სატრფოს გულიც მშვიდად მოგეჯიდება.
ჯერ ენა გინდა, მერე სიტყვა, თუ გინდა, გქონდეს,
ღვინოს დაწურავ შენ, ყურძენი გექნება ოდეს.
დიდი სიცხარე ბრძენის საქმეს არ მოუხდება,
თხა იქით-აქეთ რბენით არა, არ გასუქდება.
ამგვარი ქცევით არ გამოვა რამ საეთიღო,
შაჰის სურვილს რომ შევუერთდე თვით მე უცილოდ!
თუ მე აწ შენთან ტრფობისათვის თავს გამოვიდებ,
მე ის სატრფო ვარ შენს ამ ქცევას თავს განვარიდებ.
ფადიშაჰობას ქვეყნისას შენ მოჰჯიდე ხელი,
რომ შენთან ვიქნე, თუჯი ბედი იქნა მფარველი.
თუ მხოლოდ ასე გავაგრძელეთ ეს ნაცნობობა,
ვშიშობ, ვაითუ დაგეჯარგოს, მეფევ, მეფობა.
მაგრამ, ვაითუ, ხელმწიფობა არ დაგეჯარგოს,
მაგრამ მე ჯი შენ ხელი მჯრა და დამჯარგო, ჯარგო!
ქვეყნის მეფობა ძველთაგან გაქვთ მონიჭებული,
სხვების ხელში ეს იქნებოდა დანაშაული.
ვინც ჩქარა იძვრის, მან აიღო ქვეყნიერება,
ქვეყნის დამჰყრობელს სიზანტე არ შეეფერება.

ის ყოველივე, უფროსობით რაც ჯი მოგვარდა,
სიდინჯეს ითხოვს მისაღწევად, მეფობის გარდა.
თუჯი მეფეებს დააჯვირდი, გეცოდინება,
მან გაიმარჯვა, ვინც არ მიჰყვა ჭამთა დინებას.
სიჭაბუკე გაქვს, ლომის გული და თან მეფობა,
გაქვს თაჯი მეფის და აგრეთვე ყველას შეცნობა.
მაგ შენ სამეფოს გაუხსენი შფოთისგან ფეხი.
შეები შენს მტერს, თავს დაატყდი ვითარცა მეხი.
იმ ინდოელმა შენი ბარგი რომ გაიტაცა,
სამკვდრო თაჯი, ტახტი ჯარგი რომ გაიტაცა,
ხმლითა განგმირე უსათუოდ მისი სხეული,
იქნება მოსპო ის თიღისმა მისი წყეული.
მეფისა ხელსა, ელხინოს მას ან თუ ეჭიროს,
ხან ხმალი ხელში და ხან ჯამი უნდა ეჭიროს.
შენგან მარტოჯა ერთი ხმალი არის საჭირო,
რომ ექვსი ქვეყნის მთელი ჯარი ხელთ დაიჭირო.
ქამარს შეიჯრავს ზეცა შენთან ბრძოლა-ჭიდვაში,
და შენთან ერთად იგიც შენს მტერს ქვას დასცხებს თავში.
მეც მოსახმარად მაგ ბრძოლაში ხელს გავშლი თავად,
თუ არა, მაინც ზეავიშვერ შენს სალოცავად".[220]

ხოსროვის წასვლა შირინისაგან

ღელდა მეფე იმ ცეცხლისგან, მის წინ რომ გაჩნდა,
გაჯავრებული მიტომ შაბდიზს ზურგზე შეაჯდა,
თქვა: „ახლავ უნდა წავიდეო, – ღამე ნებისა! –
თუნდ ცეცხლის შემხვდეს დაბრჯოლება, თუნდაც ზღვებისა,
იცოდეს ღმერთმა, რომ ცეცხლიდან არ მოვბრუნდები
და არც ზღვისაგან ერთი ბეწოც არ დავსველდები.
არვის ეგონოს, არ დამწამოს არავინ ცილი
თითქოსდა ძილი მინდოდეს მე, შორს ჩემგან ძილი!
[ჩემმა გაცნობამ, არ მგონია, რამ გავნოს შენა,
მგონი, რომ ჯიდეც მოგიწიოს ჩემს ჯუდში რბენა.]
მინდა, რომ მიწა ამოვთხარო მე სპილოს ზომის
და სპილოს ჩემსას შევასწავლო რჯენა და ომი.
ვიქცევი სპილოდ, სასთუმალს თავს არ დავაჯარებ.
არა იმ სპილოდ, თიხის სპილოს რომ შევადარებ.
სირეგვნით ვირი ავიყვანე მე სახურავზე,
სიბრძნით დაბოლოს ჩამომყავს ის ისევ მიწაზე.[221]

[ღვინო არ მისვამს და შენ მაინც მთვრალი გამხადე,
განგებ ეს გული დაცემულად გამოაცხადე.]
და თუკი დოქის ჯარგად ვიცი მე გაკეთება,
მისი მიწაზეც შემიძლია მე დახეთქება.
ჩემში თვალებით უნდა ცეცხლის აგიზგიზება?
ცეცხლში წვას უნდა ჩემ მხრით სწავლა და შეთვისება?[222]
ხანაც ხიფათის რალაც შიშით ჩემი შინება,
ხან ვაჟკაცურ საქმისადმი წახალისება?
[შიშის მომგვრელნი გახლავთ ლომი მძვინვარე, მკაცრი,
ჭკუას სწავლობენ ქალებისგან ასევე კაცნი.]
მე შენმა ტრფობამ ტახტ-გვირგვინი დამაკარგვინა,
ბევრის ტანს ტრფობამ თავის თავი დააკარგვინა.
და შენი ვნება მე თავში რომ არ აღმგზნებოდა,
ეს თავი ახლა უგვირგვინოდ არ იქნებოდა,
[ეს გული შენ და შენს ტრფობას რომ შეუკავშირდა,
შაჰის სამეფო ხელიდანვე მაშინ წავიდა.
შენი ტრფობისგან ბევრი ვნახე, – ეწვოდა გული,
ვარდს შევცქეროდი, ჯაფა კი არ მქონდა ნახული.
გამოვეკიდე შენს სიყვარულს უბირი კაცი,
დამათრო ტრფობამ, ვით დავეხსნა არ ვიცი, არც კი!]
ბედის ქამანდი კისერში რომ მე წამიჭირე.
მე დამიხსენი მაშინ, როცა ტყვედ დამიჭირე.
პირველად ღვინით დამათვრე მე, შენი მორჩილი
და სიმთვრალის დროს ფეხს დამადევ მძიმე ბორკილი.
როცა დავთვერი, მეუბნები: „ადექო", კიდევ,
„და შენს ფხიზელ მტერს საბრძოლველად გამოეკიდე!"
დიახ, ავდგები და მოძულეს შევეჭიდები,
მაგრამ, როდესაც მე ამ ჭიდან ზევით ვიქნები,
მე განზრახვა მაქვს, რომ გზა ჩემი წინ წავიმძღვარო
და საქმე ჩემი ჩემის ნებით თვით მოვაგვარო.
მივიღებ რჩევას შენსას და ჩემს მხედველობაში
მოვიხმარ ყველას, მისაღები რაც არის მასში.
ჩემი ცხოვრება – შენ გამაცან მე ყველაფერი,
აქსა და ჯარგზე შენი სიტყვა მოკლედ მოსჭერი.
პირველად მე თვით დიდებული ბედის ვიყავი,
თან ტახტი მქონდა, თანაც თაჯით შემკული თავი.
ქვეყნის გამზირზე მაწანწალად მე შენ გამხადე.
შავდღიანი და უბედური ძალად გამხადე.
შენ რომ მე თასმით არ მიგეკარ შენს უნაგირზე,

რომელი ქარი გადმისვრიდა ამ მიწის პირზე!
დიახ, ჩვენს შორის იყო მცირე ჯამი ნეტარი,
შენი ამბავი იყო ჩემთვის ტკბილი შაქარი.
ახლა, როდესაც ტრფობისაგან მე განმიშორე,
უნდა აწ მაინც მაღირსო მე პასუხი სწორედ.
წასვლა-მოსვლაში არ ვიყავ მე გაუგებარი.
და არც თუ ისე ცუდი ზნისა ვიყავ სტუმარი.
ვიჯექი, სანამ ჩემკენ გქონდა თვალი და ყური,
წავალ აწ, როცა მე ხურჯინში ჩამიდევ პური".[223]

შემდეგ გილანურ ცხენს მოახტა იგი მხედარი
და გილანის გზით წაიყვანა თავისი ჯარი.
შირინის ტრფობა მან თვის გულში მტკვრით დაფარა,
რუმისკენ წასვლა მოუთმენლად მან ააჩქარა.
ყაჩაღთა შიშით მოიხადა გვირგვინი გზაზე,
ქუდი დაირქვა და წავიდა ხელმწიფე ასე.
მახვილის შიშით ჩასაფრებულ მცველთა ბაჰრამის,
გზაში ის ვეღარ ისვენებდა ვერც ერთი წამით.
ჰყავდა არწივი ოთხფრთიანი, ძირს მიმავალი,
ნიანგის დარი ერტყა წელზე ელვარე ხმალი.
მიაჭენებდა მონასტრისკენ თავის მალ მერანს,
ვინძლო, ვარსკვლავთა საიდუმლო აუხსნას ბერმა.
მოხვდა ის უკვე მონასტერში ამ გზაზე გავლით,
სად ბრძენი ბერი საიდუმლოს შაჰს შეასწავლის.
იმისი რჩევით აელვარდა სახე მეფისა
და ბევრი სიბრძნე იმისაგან მან შეითვისა.
იქიდან ზღვამდე გაემგზავრა იგი სიჩქარით
და ასე სწრაფად გადიარა მთელი საზღვარი.
იქიდან ისევ რუმისაკენ ის გაემართა
და გამოცხადდა კონსტანტინე კეისრის კართან.
დიდად ეამა, რომ გაიგო ამბავი მისი,
რუმის სულთანმა მიიწვია სტუმარი ღირსი.
თავი ჩასთვალა ბედნიერად მან ამის გამო,
მისი სტუმრობა ნეტარებად ეჩვენა ამოდ.
ცნა კეისარმა: ბედი მისი კარზე მომდგარა,
ტახტი და თაჯი ორივ ერთად მას ჩააბარა.
მეფემ ხოსროვში იმოდენი სიკეთე ჰპოვა,
რომ თავის ქალი მარიამი მას მიათხოვა.
ორივე მეფემ, როგორც არის წესი და რიგი,
ბევრი პირობა შეკრეს მტკიცე, აქეთ და იქით.

მეფე-დედოფლის ამბავს ახლა ეხება რაცა,
ხოსროვმა რუმის ხალხს როგორი პასუხი გასცა,
როგორ გააწყო ნიატუსთან მხედრული მწყრივით,
მორთო რიგები მრავალფერად ფარშევანგივით,
მე მას არ ვამბობ, რაც სხვამა თქვა ამაზე წინათ.
მე მღვიძარი ვარ, წინამორბედს ჯი დაეძინა.
თუკი სხვას მე არ დავაფასებ, რაც ელირება,
ასე მომელის სხვებისგანაც მე დამცირება.[224]

ხოსროვის ომი ბაჰრამთან და ბაჰრამის გაქცევა

რამდენიმე დღე ხოსროვ-შაჰი იქა ლხინობდა
და მეგობრობას მეფის ჯართან იგი ცდილობდა.
უბოძა ჯარი ჯეისარმა აურაცხელი,
ოქროთი საქმე ოქროსავით გაუწყო ხელად.
ჯარი ხოსროვ-შაჰს უამრავი მისდევდა გზაზე,
ზათქით და ზარით ველი იძრა და შეჯდა მთაზე.
რომ ინძრეოდნენ რჯინის მთები, ასული ცამდე,
იტყოდი, მიწა ინძრევაო თავით ფეხამდე.
ორმოცდახუთიათასამდე დევი ვაჟკაცი,
ამოარჩია მეომრები, გმირი მამაცი.
დაეცა მტერს და საბრძოლველად იხმო ბაჰრამი,
ჯავშანი მისი ჯაბა გახდა, ჩაჩქანი – ჯამი.[225]
ნახა ბაჰრამმა, რომ გაუხდა ბრძოლა საჭიროდ,
იწევდა ომში, როგორც ლომი ხტის სანადიროდ,
მაგრამ ბედი რომ ცბიერ მელად გადაიქცევა,
მას ლომგულობა და მეფობა რას მიეწევა?
[და მიდიოდა მეფე ჯარით იმ ბრძოლის ველად,
ბაჰრამის ჯავრი ჰქონდა იმას ამოსაყრელად.
მეფეს ბაჰრამი როცა თავის ახლოს ეჩვენა,
თავისი ჯარი მისი ჯარის წინ დააყენა.]
პირისპირ დადგენ ერთმანეთთან ხმალამოწვდილნი,
ჯარის გული და ჯიდე ჰქონდათ გამაგრებული.
[მხედრებმა ცხენი მოედანზე რომ შეაჭენეს,
გმირებმა ერთურთს საბრძოლველად სახე აჩვენეს,
ჯარი რუმისა, როგორც რომ ზღვა, ისე ადუღდა,
ის ღრუბელივით იძვროდა და მეხივით ქუხდა.
როცა პირისპირ შეეტაკა ორი ლაშქარი,
ერთიმეორეს გაულეს მათ მტრობისა ჯარი.

ვითარცა ელვა, ამართული ჰქონდათ მახვილი,
პირით ქაფს ჰყრიდნენ, ვით აქლემი, ჭუაშეშლილი.]
ისრისა ტყორცნა, ჩახაჩუხი და ელვა ხმლისა,
გაგლეჯდა სპილოს თავის ტვინს და ნაღველს ლომისა.
ქოსის გრიალი მკვდრის ყურამდეც კი მიაღწევდა,
ცოცხალ ჭკვიანებს კი ერთბაშად ჭკუას ართმევდა.
ოქროს ნალებით დაჭედილი ბედაურების
სამკაულებად ჩანდენ სისხლთა ნაკადულები.
ცხენთა ჭიხვინი, ცეცხლის ღელვა შიშის ზარს ჰგვრიდა
და დედამიწას ვერცხლის წყალსაც ყურში აყრიდა.
მხედრები შეხვდნენ მოლტვარე ხმლებამოწვდილი,
უზაბარივით იდგნენ ერთად კბილმოლესილი.
გაჩნდა სიკვდილი, მასთან საფარს ვინც ამზადებდა,
შფოთის ამტეხებს იგი თვითონ ათამაშებდა.
შუბები გულში ბასრი წვერით რომ მიძვრებოდა,
მაშინ განკითხვის დრო და ჟამი უკვე დგებოდა.
შუბთა სიმრავლე, აშვებულ ტყეს რომ წააგავდა,
დამარცხებულებს წასავალ გზის ფიქრს უკარგავდა.
იმ ტყის კანკარი ლომს ვერსად ვერ გაექცეოდა,
ვერც ლომი ხმალის მოქნევას ვერ გაექცეოდა.
ისე გარბოდა შიგ ჯავშანში რკინის ისარი,
როგორც ვარდებში მიმოძვრება ზენარი ქარი.
არწივთა ისრებს სისხლით ჰქონდათ მოსვრილი ფრთანი
ისე, რომ სვავებს გაუჭირდათ ბარათთა თვლანი.[226]
ჯავშნისმხვრეტელი შუბითა და ისრებით ბასრით
მებრძოლებს ძილი მოერიათ, წაერთვათ აზრი.
სისხლის ზღვის ღელვით, რომელიცა ცასა სწვდებოდა,
მანჯუყის ტაშტიც სისხლით მთელად გაივსებოდა.[227]
შუბებმა გლოვით და ტირილით ჩაჰკიდეს თავი,
თმებს უწეწავდა იქ ფარჩამებს გრიგალი ავი.
წინამძღოლები დახოცილი იმდენი ყრია,
ვერ დაიტია მიწამ, ჯიბე ჩამოიხია.
ძირს გადააგდეს ავგაროზი იმათი მხსნელი,
ერთი ხმალს ურტყამს, მეორეს კი ეცემა ხმალი.
იმ მეომართა ხმებში იყო შეერთებული
საყვირისა და თანაც ზურნის ხმა დიდებული.
იყო გაშლილი წითლად ფარჩის ბაირაღები
და ბრიალებდნენ როგორც ჩალა, ცეხცხლმონადები.
რამდენი ხმალი და მახვილი ელავდა ომში,

იმდენი ქვა და ქვიშაც ჯი არ იყო მინდორში;
რამდენი შუბი და ისარი იყო ნასროლი,
არ დაცვენილა ძირს ცვენის დროს ხიდან ფოთოლი.
შეადგა შაჰმა სპილოს ზურგზე ტახტი მორთული
და შეჯდა თვითონ იგი მასზე ხმალმომართული,
მძვინვარე სპილოს ბოზორგომიდ წინ მიუძღოდა,
საბედისწერო ასტროლაბი მას თან მიჰქონდა,
იხედებოდა შიგ და თანაც ის დროს ეძებდა,
მოპირდაპირე როცა ომზე ხელს აიღებდა.
დრო რომ მოვიდა, უთხრა მეფეს: „აბა, უჩქარე,
ბედის ვარსკვლავი გწყალობს ახლა და გაიხარე!
მტრობის ჭადრაკზე როს იქნები ფეხდანაბჯენი,
წასწიე სპილო და მეფესაც როქი უქენი.
[ბაჰრამის ჯიბრით მისი გული ომში რომ დუღდა,
ლომის გვარ იყო და ლომივით ხმამაღლა ქუხდა.
მამაცნი ხმლებით ბრძოლის ველზე რომ გამოვიდნენ,
როგორც ლომები, ფიცხლავ ჯანჯრებს გამოეკიდნენ.]
შეირხა მეფე, მამაცურად მწვრთნელი სპილოსი,
ბაჰრამთან ღელვით მიიწევდა, როგორც ნილოსი.
რომ შეუტია მან სპილოთი, რაც ჰქონდა ჯანი
და მოაქცია სპილოს ფეხქვეშ ის ჰილოტანი,
დამარცხდა მტერი საბოლოოდ, ქვეყნის დამწველი,
შეიქნა ზეცა ხოსროვ-შაჰის ბედის დამცველი.
იმდენი სისხლი მიდიოდა მორევ-მორევად,
რომ იგი სისხლი თავს ბურთივით მიაგორებდა.
[მტერი იძლია, გაიმარჯვა შაჰინშამ მტერზე,
და დღეს უბრალოს როგორც ნოვრუზს შაჰინშა შემზერს.]
რუმელთ ქამანდი, ჯაჭვივით რომ იყო ნამდვილად,
როგორც ზანგის თმა, გადაიქცა იგი გრეხილად,
ინდური ხმლითა, ვისაც თვალით ჯი განიცდიდნენ,
თავს, როგორც ინდოს შავხუჭუჭ თმას ხმალითა ჭრიდნენ.
ბაჰრამიანებს სულ დაებნათ ჭკუა-გონება,
თითქოს სიცხიდან გაუჩნდათ მათ ტვინის ანთება.
არვინ გადარჩა, დღე დაუდგათ ისეთი მკაცრი,
მხოლოდ ბაჰრამი გადაურჩათ ორიოდ კაცით.
ლომკაცისაგან ბაჰრამს გება შურის არ ასცდა,
როგორც ბაჰრამი ჯანჯარს სცემდა, ის ისე დასცა.[228]
ყოველთვის, როცა თვალით უნდა სხვა გაეგმირა,
სხვისი თვალისაგან იგი თვითონ ჯი განიწირა!

არვინ მინახავს, თვალით თავი არ განეგმიროს.
რჩება მხოლოდ ის, ვინც საკუთარ თვალს განერინოს.
ხოსროსგან იყო ბაჰრამ აღვირამოდებული,
დაემორჩილა მტრის გულს მისი სული და გული.
საწუთროს ბევრი ჯალო უწვავს თვის ცეცხლის ალში, –
ყომარბაზს ალარ ესწავლება ყომრის თამაში.[229]
რომელი სარო არის მაღლა აზრდილი მისგან,
რომ არ მოხარა იგი წელში მწუხარებისგან;
რომელ წითელ ვარდს ზრდილა იგი თვალის სამზერად,
რომ ის დაბოლოს არ შეეცვალოს მას ყვითელ ფერად?
დაშაქრულ ლუკმას ვერ ჩაყლაპავ შენ ყოველ დღესა,
ზოგჯერ ჩვენ სუფთა ღვინოს დავლევთ, ზოგჯერ ყი – თხლესა.
სახლს ზოგჯერ ლხენის, ზოგჯერ გლოვისდაგვარად რთავენ,
ხან ფეხს ურტყამენ, როს ცეკვავენ, ხან – კედელს თავებს.
ზოგ ადგილს ჩანგი მომღერლისა ხმაურობს ლაღი,
ზოგან მტირალი ოხრავს, გოდებს, გულს უზის დაღი.
და ხმას ყოველსა, სალხინოა ის თუ საწყენი,
დიდხანს ვერ ისმენს ქვეყანაზე ყურები შენი. –
თონე ცხელია, ეს ბალახის ხარბი მჭამელი, –
გინდ ვარდი შესდე შიგ და გინდა – ეკალი ხმელი.
ქვეყანა ამლაყ ცხენზე არის მუდამ მჯდომელი,
იმისგან წიხლი არის მუდამ მოსალოდნელი.[230]
ზეცა ცისფერი სწრაფლმსბოლელი ცხენია, ცხენი,
იმისი გზიდან უნდა ჩქარა გაიქცეს ბრძენი.
არ შეიძლება, სხვა ვინმეს რომ შენ ეყრდნობოდე,
წარმავალია ეს სოფელი, უნდო ბოლომდე.

ბაჰრამ ჩუბინზე როცა იქნა ბედი გამწყრალი,
ხოსროვს უბოძა მან ერთთავად ტახტი და ხმალი.
მოლუშულ შუბლით გაეშურა ჩინისკენ თავად,
შუბლს წაწერილი ასე ახდა იმისთვის ავად.
როგორც მან, სხვებმაც განიცადეს ასეთი რისხვა,
ამქვეყნად ასე ითამაშებს ჯიდევ ბევრი სხვა.

ხოსროვის ტახტზე ასვლა მადაინში ხელმეორედ

როდესაც მთვარე შემობრძანდა თევზის ბურჯიდან,
ფარვიზის მთვარე თვით შაჰობის ბურჯზე ავიდა.
ჯურომ, ვენერამ, ჯიბორჩხალამ იმას ამჟამად,
ბედნიერება მიანიჭეს დღეს ერთი სამად.

ვერძის სფეროზე დაეჯიდა მზე ვითა მძივი,
აჰა, ზუალმაც საქანელას ესროლა სხივი.
და ოტარიდმა რომ დაიწყო სვლა ტყუპის ხაზით,
მარიხის მიმართ გაემართა იგი თამაშით.
მარიხს გაუვსო ჯუდიანმა ღვინის ფიალა,
ზუალმაც თვალი ფიალისჯენ შეატრიალა.[231]

იმ ვარსკვლავთაგან გახდა მეფე ქუდბედნიერი,
ფირუზის ტახტზე მიტომ დაჯდა მეფე ძლიერი,
გაისმა, თეთრით, ვინემ იყო შავი და ბნელი,
აღმოსავლიდან დასავლეთამდე შაჰის სახელი.
მოხდა ხელმწიფის საქმე, როგორც ბედი უწერდა,
საწუთროს მიერ ხოსროვს დღენი ჯვლავ გაუგრძელდა,
იმისი ტახტი მიწიდანვე ასწვდა ზეცაში,
თვალ-მარგალიტი უამრავი დათესა ზღვაში.
ქვეყნის მნათობნი მარგალიტნი შეყრილნი ერთად,
ღამით ყოველთვის ანათებდნენ მთვარეზე მეტად.
ტახტის გარშემო შეიკრიბენ დიდი ლომები,
სულ დღეგრძელობას ულოცავდნენ ჯარგის მდომები.
მთელი ქვეყანა გახალისდა მის ბეჭდის თვალით,
ამბობდა: „არის ყოველივე გამჩენის ძალით!"
ანარეკლ სხივებს იგი ისე უხვად აბნევდა,
რომ ხორასანის მზის სინათლეს აძლიერებდა.[232]
გავარდა უკვე ხმა ლხენისა ყოველ საზღვრამდე,
თვით მარავიდან მოყოლებით ქალაქ ბალხამდე.
რომ მიენიჭა ტახტ-გვირგვინი მას სადიდებლად,
გაჩნდა შირინის თვალიც იმის მოსატყუებლად.
არც იგი ტანჯვა ამოაგდოს ძალუძს გულიდან,
არც ძალუძს იხმოს, ჯვდება ვისი სიყვარულითა.
თუმც მარიამმა მას დაუდგა ტახტი მაღალი,
იესოს ცამდე აღამაღლა მეფე ახალი[233],
თუმც მეფე იყო, ჰქონდა განძი აუარება,
არ შორდებოდა უსატრფოოდ მას მწუხარება.
არ ვამბობ, ლხენა-თამაშს იგი არ მიჰყვებოდა,
ლხინობდა, მაგრამ ლხენას გული არა შვრებოდა.
[მას სატრფოსაგან ჰქონდა გული მოუსვენარი
და უსატრფოოდ შხამი იყო მისთვის შაქარი.]
ხან შუმი ღვინით დათრობას და ტკბობას ეძებდა,
ხან ტირილის დროს წითელ ღვინით ჯამს აივსებდა.[234]
ხან გულს ეტყოდა: „ჰოი, გულო, რა გსურს, რა ყოფა

ამქვეყნად: ტრფობა-ალერსი თუ ფადიშაჰობა?
ერთად არ მოვა ეს სამეფო და სიყვარული,
ამ ორში მხოლოდ უნდა ერთი გინდოდეს გულით!
რა ჯარგად უთხრეს იმ ლომებმა იმ ვეფხვებს გზაში:
„ჩოჩორს მოიგებს ეს ვირი ან წავა ზინგანში“.[235]
მე სამეფოსთან მეგობრობა რომ მქონებოდა,
გულს ეს მეფობა უკეთესი ეგონებოდა.
ვიყიდი, თუკი ჰყიდის ვინმე სვებედნიერი,
ას სამეფოში მომცეს სატრფოს ერთი თმის ღერი.
მე ღამით ბაღში ჩემს სატრფოსთან ვიყავ მძინარი,
და სასთუმალთან იჯდა ჩემი ბედი მღვიძარი.
როდესაც ბედმა დაიძინა, მე გავიღვიძე,
მაგრამ უგულო, უსატრფოო ჯი დავრჩი ისე.
[ასი სამეფო უსატრფოო თუკი მექნება,
ას ვარდს მოვწყვეტ და ყველა ჯარგად მომეჩვენება.
თუმცა სამეფოს სამსახური მე მერგო წესად,
სატრფოს შეხვედრა მიმაჩნია მით უმეტესად.
საროთა ბაღში ვიყავი მე დილით შესული
და უცებ სარომ მოიტაცა ეს ჩემი გული.
მე იმ ხის გამო როცა უკვე გონი გამიქრა,
ალარც ჯი ვიცი, გულში იგი რა გზით ჩავიკრა.
საით წავიდა, ვაი, იგი გულმომხიბლავი,
სულს რომა ჰკვებავს იგი თავის სულის მკვებავი!]
სად არის ის დრო ახალ-ახალ მეჯლისთა მორთვის,
შეყვარებულთა შეყრისა და ერთ ნოხზე მორთხმის?
მშვენიერებთან ნეტარებით დაჯდომა გვერდში,
მშვენიერების შაჰინ-შაჰის ჩაჯონვა მკერდში!
ანდა შირინი, მშვენიერი, ტკბილმოუბარი,
ტკბილი, ვით წყარო სიცოცხლისა და უებარი!
სად არის იგი სიამე და ის უძილობა,
ღამით დილამდე რომ იყო იქ იგავთ ცილობა?
ის შაქრიანი ვარდის ტოტი ნეტა სად არის,
შაქარი ვარდზე რომ მოვკრიბე მთელი ხარვარი?
[რამდენი ტურფა, მშვენიერი და გულსანდომი! –
ერთს ვეღარ ვხედავ, ვინც ჯი იყო ჩემთან ნაჯდომი.]
ის დედოფალი სიყვარულით განახელები,
ხან ღვინოს სვამდა, ყელზე მეჭდო ხანაც ხელებით,
ხან ჩვენ ვარდივით გვქონდა პირი პირს მიდებული,
ხან ბუმბულივით თმები თმებზე გვქონდა მიბმული;

ხან მთვრალთ, მოთენთილთ გვქონდა თავი გაბრუებული,
ხან ჯი ფარულად ვიყავით ჩვენ ჩახუტებული.
ხან ღვინოს ვსვამდით, გემრიელად, როგორც სისხლს მტრისას,
ხანც ვნებივრობდით გულის ნებით ტახტზე მთვარისა.
სიტყვები რაც ჯი თვითონვე ვთქვი ან გავიგონე,
ის ცხადი იყო, თუ სიზმარი, ვერ მოვიგონე.
მეუბნებიან: „გაიცინე, ვით სახე მზისა,
გოდება როდი გაანათებს გზას ჯემშიდისას!"
მუდამ ღიმილი ჯაცის პირზე ვერ მოვა, ვერა,
მასში სიცილი დაეტევა ან ცივი ბგერა.
ვინ მოვიძიო ან საშველად მე ვის მივმართო?
მქონდა ზაფხული, ისიც ქარმა წაიღო მარტო.
ჩემი ოცნება სიმხდალისგან ყოველდღიურად
ჩემს გულს სატანჯველს უმატებდა ის თვალთმაქცურად.
მე უმტერობით თუ გამიხდა განძი უთვლელი,
მით უსატრფოოდ მომემატა მე სატანჯველი.
მე ის ჩიტი ვარ ჩავარდნილი ასეთ შავ დღეში,
მატყლის ბუდიდან აბრეშუმის მოვხდი მახეში.[236]
თუ ვარდის ბაღში შესავალი მაქვს მე ადგილი,
რა მაქნისია, თუ ფეხზე მაქვს ოქროს ბორკილი?
არც ამ ბორკილის შეიძლება მოხსნა ფეხიდან,
არც ამ ბორკილით შეიძლება წასვლა ამ გზიდან.
მე ჩემი დარდი, შეიძლება, თვით ვერა ვხიდო,
სხვების დარდები მე, დაბოლოს, თავს როგორ ვიდო?
მე უნდა მყავდეს ჩემი დარდის ასი მზიდველი,
მე ასი დარდი რომ თვით ვზიდო, იქნება ძნელი.
მე ვირის ტვირთი ავიკიდე ზურგზე საზიდად,
გაუკვირდებათ თვითონ ვირებს ეს საქმე დიდად.
მზისა და მთვარის ხალი როა ძირს დაგებული,
ერთად ყოფნისგან აქვთ სხივები განათებული.
ეს ჩემი გული მიტომ არის სხივს მოკლებული,
რომ ჩემს სატრფოსთან არა ვარ მე შეერთებული.
ვით ვარსკვლავები რომ არიან ყვავილად ბაღის,
იმასა სწუხან, რომ აკლიათ სხივი ჩირაღის.
მიტომ არა გვწვავს სანთლივით შუქი სანთლის,
ეს დაფანტული სხივია, ის – სხივთ ჯრება მთელი.
არ უნდა ჩემს გულს, ტახტ-გვირგვინი რომ დავიჭირო,
არ მინდა მე, რომ გული ჩემი დარდით გავწირო.
ამ გულს შავდღიანს მოუკიდა ღამე შავბნელი,

ტანს ციებიანს მისცა სიცხე აუტანელი.
ვერ ეტეოდა თაგვი თურმე ღრიანკლის ხვრელში
და კუდზე ჯიდევ ცოცხს იბამდა, – ვარ ასეთ დღეში.
შავია მუდამ შავი ზანგის სახე სამზერი,
ავად თუ გახდა, მიეცემა წითელი ფერი".

მეორე მხრივ კი საყვედური თავს უთხრა ასე:
„უნდა იცოდე შენ დოვლათის ყადრი და ფასი!
თუ სიმდიდრე გაქვს, შენი ბედიც მშვიდად იქნება,
სიმდიდრით სატრფო შენთან ღვინოს დაეწაფება.
ქვეყნის სიმდიდრის უარყოფა არ არის წესი,
ქვეყნის სიმდიდრე ვინც უარყო, ის ჭირში ჯვნესის.
უდოვლათობით ვერვინ მიზანს ვერ მიეწევა,
დოვლათის უკეთ სხვით სახელი არ მოიძევა.
დოვლათი თუ გაქვს, მით ყველაფერს ჩაიგდებ ხელში,
თუ მარცვალია, ფრინველი თვით მოვა მახეში.
ჰური დათესე, რომ სიცოცხლე მან მოგანიჭოს,
მავნე ბალახი თვითონ ხელმა უნდა მოგლიჯოს.
ყოველ საქმეს აქვს დოვლათისთვის სხივნათელობა,
უნდა მოშორდეს მით ჩვენ საქმეს უდავლათობა!"

ასეთი რამე მეფემ ბევრი იგავი ბრძანა,
ტრფობა რომ მოვა, იქ მოთმენა იქნება განა!
მოთმენით იყო, შორს სატრფოსაგან მყოფი მოწყენით,
ითმინა, მაგრამ ბედს ეწია მერე მოთმენით.

შირინის მოთქმა ხოსროვის განშორების გამო

ასე ჩაწერა თვის რვეულში სიტყვის ამწონმა,
მან სიტყვის თქმის დროს როცა ბევრი გასწია შრომა:
დარჩა შირინი ხოსროვისგან მიტოვებული,
აღეძრა ვნებით მას მაშინვე სული და გული.
სველი ნუშიდან წყალს ვარდისას ღვრიდა ულევად,
ვარდის წყალს იგი ნუშის ყვავილს ზე ასხურებდა,
ნაიქცა იგი უცებ, როგორც დაკლული ცხვარი,
ხელებს ფეხებზე იცემდა ის გულგანამწარი.
მისმა სხეულმა სიუძლურით დაკარგა ძალი,
გაწვრილდა გული მისი, როგორც ჭინჭველის თვალი.
ქარს გაატანა ჰავამ ნამჯა მისი მომკილი,
სისხლის ცრემლებით იყო მისი ყალთა გასვრილი.
აშლოდა ჭკუა ბეჩავს მისი თმებივით შავად.

ჩიტივით იყო ის მახეში გაბმული ავად.
სატრფოს სიშორით მიჯნურს საქმე წასვლოდა ასე,
მკერდი თვალთ ზღვისა მარგალიტით დაჰქონდა სავსე.
ძირს ეცემოდა, ვერ დგებოდა ვითარცა მთვრალი,
ხანაც ერთმანეთს სცემდა ხელებს განგებამწყრალი.
ცეცხლის ხანძარი ჰქონდა გულში მას ანთებული,
ის ცეცხლის ბოლში იყო თავით ჩაჯიდებული.
რათა ის ბოლი წასულიყო, სად ჰქონდა გული,
რომ დაეფარა ხვაშიადი გადამალული.
გაიხსნა ძაფი მარგალიტის ნაზ თვალზე სწრაფად,
თვალის წამწამი გაუყარა მარგალიტს ძაფად[237]
უძილობისგან ჰქონდა ვნება შეუწყვეტელი,
უძილობისგან ჩაქრობოდა თვალიც, სანთელიც,
ხახა გამშრალი, ტუჩი მუნჯად ჰქონდა შეკრული,
თვალთა ცრემლების მარგალიტთან იჯდა მორთხმული.
საროს სხეული, როგორც ძეწნის ფოთოლი თრთოდა,
მუშჯს სურნელება, ატლასს სილბო სულ დაჰარგოდა.
ერთ ხანს მიწაზე გორაობდა დარდმორეული,
თმების ხუჭუჭი ჰქონდა მტვერში მიმობნეული.
როგორც ასკილმა, მოილესა მან თითის ფრჩხილი,
დახია იმით ყაყაჩო და ვარდი ყვავილი.[238]
ხან შაქრის ტუჩებს ის ნუშიდან წყალს დაასხამდა,
ხან უნაბის ტუჩს, როგორც ნიგოზს, ჯბილით იჭამდა.
ხან ბურთისგვარად აქით-იქით იარებოდა,
ხან ჩოგანივით ერთ ადგილზე იტუნებოდა.
ცრემლთა მარილი უძილობით თვალს აწუხებდა,
მისი ნარგიზი მის ყაყაჩოს წყლითა აძლებდა.[239]
და დაიტანჯა, ქეჯნა იგი ტანჯვამ და ვნებამ
და დადნა ისე, როგორც წყალში ქაფური დნება.
ზაფხულის ვარდი მოლეკარე, ვით მთვარე ცაზე,
დაიბნა, როგორც ვერცხლისწყალი დედამიწაზე,
სულს დაეტაკა მწუხარება შეუპოვარი
და განადგურდა უმიწყალოდ გულის ლაშქარი.
შესხდნენ ცხენებზე შესატევად მესაფარენი,
შესატაკებლად მოემზადნენ ჯიდეც ჯარები.
ჯიგრის არედან, მის გულ-მკერდში მოურიდებლად
მიმოდიოდნენ ხაზინათა მოსატაცებლად.
ასნაირი ცდით ძლივსღა სული დარჩა ცოცხალი,
მაგრამ რად გინდათ, ცოცხლად მკვდარსა ჰგავდა საწყალი.

ზოგჯერ თავის გულს იგი წყევლა-ჯრულვითა გმობდა,
ზოგჯერ გულიდან, ვით უგულო, მოთქმით უხმობდა.
ხან ბედს ეტყოდა: „ჰოი, მწარე ტანჯვის შემქმნელო!
შენ არ შექმენი ეს მახინჯი საქმე საძნელო?!
სასურველ ჩემსას დაამატე ეს გული მთელად,
ჯერ მომეც ხელში და მერე ჯი წარმართვი ხელად.
ჩაეფლო განძში ფეხი ჩემი მოულოდნელად
და ასე ფუჭად გავაბნიე ის განძი ყველა.
იმ გაზაფხულით შენ რომ იგი დააჯილდოვე,
ვარდი წაართვი და ეჯალი ჯი დაუტოვე.
იმ სამყაროში რომ აანთე ბედის ლამპარი,
ის შენ გადმოგცეს, შენ ჯი მასზე ატეხე ქარი.
სიცოცხლის წყაროს შენ თამამად შეახე ხელი,
ის დაიმალა და ვერ შესვი მისგან სასმელი.
იმ სამზადიდან ცეცხლის მეტი არარა გერგო,
იმ ცეცლისგანაც ტანჯვის მეტი არარა გერგო.
იმ ცეცხლისაგან შენს იმედად მხოლოდ ბოლია,
მაგ შენს სინანულს სარგებელი არ მოჰყოლია.
ხან ანგელოზი მოწყალებით რომ იქცეოდა,
წინაგითხრობდა, რომ ჯეთილი სვე გეწეოდა.
ხან ვნების ეშმას ცოტას გაწყდა, თან გაეტანე,
იქნება ხოსროვს ტრფობის ჯვალზე წავყვეო თანა!"
[ნანობდა მეტად თავის ბედზე ის გულჯეთილი,
რომ მისი ბედი იყო ცუდად გადაწყვეტილი.
თავსა ეტყოდა: „ასე ცუდი ზნისა ნუ ხარო,
რად თქვი სათქმელი ისე ცუდი და სამწუხარო?
რომელ ცოდვის გზამ სწორი გზიდან გადაგაცდინა,
რომელ ეშმაკმა შენდობა შენს სულს მიაწვდინა?
თუჯი ოდესმე დაივანე იმ მთვარის ახლო,
ვით მოსთხოვ პატივს, რომ შაჰინშამ ხელი არ გახლოს!
რაც ვარ, ღირსი ვარ ასჯერ მეტის მე უეჭველად,
სიცოცხლის წყარო რომ ხელიდან წავიდა მთელად."]
ამდენ წვალებით და გოდებით და მოთქმით ავით
გაანაჰირა, როგორც იქნა, თავისი ნავი.
ათასი მოთქმით მიჰყვებოდა ის თავის გზასა
და გზაზე ეგდო ტალახისა თუ მტვრისა მსგავსად.
მეჰინ-ბანუის სასახლეში მან გაიარა
და შაჰის საქმე ყველაფერი მან ალიარა.
ბანუის გული თანაგრძნობით მას შეეგება:

და უამრავი მისცა რჩევა და დარიგება:
„ეს ტანჯვა ჯიდევ მოითმინე მცირეოდენი,
არვინ ყოფილა სატანჯველში თავისი დღენი.
არ ჩქარობს ბედი ისე, როგორც ვარდი იშლება,
წყლისა სიჩქარით ისე ჩქარა ხიდი იშლება.
აბა, ბურთისგან შეისწავლე, შვილო, იგავი, –
ძირს რომ ეცემა, წამოხტება მყისვე იქავე.
თუ არ გაღივდა, თესლი როგორ ამოიზრდება,
თუ არ გაისჯვნა, საქმე ისე ვით გაიხსნება!
ჯობს, თუ ნასურვი ხელში გვიან ჩაგივარდება.
ვინაც ჩქარა სვამს, იგი უფრო მალე დათვრება.
გზაში სირბილი მუდამ ჩქარა არ შეიძლება.
ვინც ჩქარა დარბის, იგი უფრო ჩქარა იღლება.
სამოცი მანი ვირს ადვილად აეკიდება,
და სამოცდახუთ მანსაც ჯი არ შეუშინდება.
მინახავს წვიმა, რომ დაასხამს ჯოკისჰირულად,
დაუშვებს მაგრად, მაგრამ მალე შეწყდება სრულად.
საქმის სიძნელეს დღესვე მედგრად უნდა ებრძოლო.
ვინ იცის, ხვალ მას თუ როგორი ექნება ბოლო!
[შენ მემკვიდრე ხარ თვით მეფური ამაყობისა,
სამაგალითოდ უნდა გქონდეს საქმე ტრფობისა.
შორით წვა-დაგვის ატანის ნუ შეგეშინდება,
არ ვარგა, დიდკაცს არა ჰქონდეს სულ მოთმინება,
არ უნდა იყო შენ თავხედი და უსირცხვილო,
ტრფობის გულისთვის ხალხის თვალში არ შერცხვე, შვილო!
თუ მოღალფლდები, ეგ სახელი დაგიმცირდება
და თუ მოითმენ, მიაღწევ მას, რაც დაგჭირდება.
სულმოკლეობას და შენს სევდას თუკი აჰყვები,
ბოლოსდაბოლოს შენი საქმით შენვე შერცხვები.
თუ დღეს ხოსროვი ტახტისათვის მტერს ეომება,
იქ ხელს აიღებს, ისევ ჯარზე შენ მოგადგება.]
ხოსროვის საქმე შენ დიდ დარდად გადაიქციე,
მრავალი ტანჯვა-დაკნინება მისთვის გასწიე.
მით რა დაკარგე შენ, იმისგან თუ ვერ იამე?
არ უწვნევია იმას შენი ჯერე ხომ რამე!
მოთმენის დროა, ეგ სიჩქარე თვით შეანელე,
თუ არა ძალით, ისე აღმა არ წავა ღელე.
როცა დრო მოვა, წყალი თვითონ ძირს დაეშვება,
ბედნიერება მოუსვლელი თვით არ დარჩება.

ავი და ჯარგი შენგნით მაშინ დაინახება,
საქმის ბოქლომი შენი ულიტით რომ გაიღება.
ბევრია დიბა, რომ გამოსჩანს წითელ-ყვითელად,
რომ შეიჯერავ, ხუნდება და ხდება ცისფერად.
ბევრი ადგილი ვიცი, მტვერსღა ხედავდა თვალი,
მაგრამ შიგ ჰქონდა იაყუთი, ფირუზი, ლალი".

ამაოდ როდი არიგებდა მას ბანუ ტაბილად, –
მოუთმენელი გაუხადა მოთმენას წყვილად.
[მთვარის სინათლე ღამით მიწას ეფინებოდა,
ვით თოვლი წყალში, სინათლეში თვითვე დნებოდა.
ამ დროს ბევრი რამ ერთმანეთს მათ გაუზიარეს.
და ლაპარაკით გულის დარდი ზე ამოყარეს.]
ამ დროს მოვიდა მათთან იგი შაფურ ჭკვიანი
და მოუტანა ამბავი თან მათ საქმიანი.
[„ჰოი, ალვის ხევ, მთვარესავით ხარ სხივოსანი,
ვით თოვლი წყალში, რომ დამდნარა ეგ შენი ტანი,
იყავი როგორც ასფურცელა, ვარდი წითელი,
გაგყვითლებია სახე ახლა, როგორც სანთელი.
არ ვარგა, ჰოი, მშვენიერო, მოუთმენლობა,
აჩვენო შენს თავს ესოდენი უსამართლობაა"]
ამ სიტყვით გული მოთმინებით დაიშოშმინეს,
ხოსროვის გამო სიხალისე გამოიჩინეს.
დამშვიდდა იგი წუთისოფლით დღეგანამწარი,
გულიც და ბედიც ჰქონდა ორთავ მოუსვენარი.

მეჰინ-ბანუს ანდერძი შირინს

ეჰინ-ბანუი მას ცდილობდა მთელი დღე-ღამე,
რომ იმ მშვენიერს ოდნავად არ სწყენოდა რამე.
ერთხელ შირინი თვის წინაშე მან დაიბარა
და მონყალების მას სახელო გადააფარა.
სალაროს ულიტე მისცა, უთხრა: „მოჰყიდე ხელი,
მოხუცი დედა შენ წინაშე სიყვდილს მოველი,
[გაბარებ მე შენ ჩემი ხელით ამ ქვეყნის საქმეს,
გაძლევ ქვეყანას და აგრეთვე ამ ჩემს სიცოცხლეს.
გულით ჭაბუკურ მოქმედებას გამოვეთხოვე,
იმედი ჩემი სიცოცხლისა თვით მივატოვე.
როცა მე წავალ, იქით გქონდეს თვალი და ყური,
რომ შეინახო ჩვეულება შენ ხელმწიფური,

ამა ქვეყნიდან წასვლის რიგი მეც არ ამშორდა,
ავი და ჯარგი წუთისოფლის ჩემთვის გასწორდა".
როდესაც ბანემ ეს ამბავი თქვა სამწუხარო,
ამ სიტყვით მეტად შეაწუხა ის ვერცხლის სარო.
ასე შეწუხდა ამის შემდეგ მთვარისმაგვარი,
ნარგიზით მთვარეს მიაყარა ვარსკვლავთა ჯარი.[240]
ცოტა ხნის შემდეგ იმას გულზე დააწვა დარდი,
ზაფრანისფერად შეიცვალა წითელი ვარდი.]
დაუდგა უკვე იმის სხეულს სისუსტის ჯერი,
დაიმორჩილა უძლურებამ ტანი ძლიერი.
დღე და დღე მისმა სიუძლურემ როს ძალი ჰპოვა,
სხეული სულს და სული მიწას გამოეთხოვა.
ქვეყანამ იგი მოაცილა თავის სულს თბილსა,
ქვეყანაც, სულიც შეატოვა თვის შირინს ტკბილსა.
შავ უკუნეთში მზე იმისი ჩავიდა ციდან,
წაიღო ბარგი შავ მიწაში მეფის ტახტიდან.
ასეთი არის, ყოფის წესი ასეთი არი,
ყოველ გაზაფხულს აქვს თავისი ბოლო და ზღვარი.
ისეთი შუშა ჩვენ ქვისაგან ხელთ რა მოგვეცა,
რომ იგი შუშა იმ ქვისაგან არ დაილეწა.[241]
იგი მეშუშე სამყაროში რომ სუფევს ასე,
ხან შუშასა ჰქმნის თვალთმაქცურად, ხან შუშას ამსხვრევს.
რა გამოვიდა გააჯეთა თაფლი ფუტკარმა,
მერე ადგა და იგი თაფლი თვითვე შეჭამა.
ამ დიდ ყალიბში, რომლის ქუდში დაქროლავს ქარი,
ნურას ამაყობ, ერთი მუჭა ის მტვერი არი.
ქარი, რომელიც გადააგდებს თავიდან გვირგვინს,
ბალახს არ ერჩის, მაგრამ საროს აწუხებს იგი.
ამ სახლს, რომელსაც ჯედლები აქვს ქარებზე მდგარი,
ნუ გაიკვირვებ, რომ არ იყოს მტკიცე და მყარი.
რად იხლართები ამ მახეში მახრჩობელაში,
მჩუტე თხილის მეტს შენ ვერაფერს ვერ ნახავ მასში.
აქ მელები და ჯურდღლებივით ნუ ცქვიტე ყური,
მელიის შიშით უნდა გქონდეს ძილი ჯურდღლური.
მრავალი ლომი და ნადირი ბარსა და მთებში
ჩავარდნენ ერთად ამ მელური ვეფხვის ყლანჭებში.
მე დავაკვირდი და ასეა ეს გამოცდილი,
ქვეყნის სიამე არის როგორც ხელის ქავილი.
პირველ ფხანაზე თითქოს გული დაგიმშვიდდება,

მაგრამ დაბოლოს ხელზე ცეცხლი მოგეკიდება.
საწუთროს ჯამი ღვინით სავსე გემრიელია
პირველ შესმაზე, მაგრამ ბოლოს მათრობელია.
შეწყვიტე წყენა, ეს ქვეყანა წყენად არა ღირს,
შეწყვიტე ლხენა, რადგან ლხენა ლხენად არა ღირს!
თუნდაც ქვეყანა შენ დაიდო წინ შესაჭმელად,
ეგ შენი კუჭი იმას მაინც ვერა ძლევს მთელად.
ასი განძი გაქვს ან არა გაქვს არც გროში ფული,
მაინც შენ ერთი კუჭის საზრდო გაქვს მოცემული.
აგრეთვე, ვისაც კი ჯანი აქვს ძლიერ მაგარი,
გაჭირვებისგან არ იქნება ის გულწამხდარი.
ხოლო როდესაც დაგეჭდობა დავრდომის დაღი,
ტყუილა არ ღირს, ღმერთს შესთხოვო, გამყოფოს საღი.
პირი იმდენად მოგაჩვენებს ღიმილს თავისას,
რამდენს განიცდის გემოვნებას ხასიათისას.
უიმედობა თვითონ კაცის ყურს რომ მისწვდება,
მას თავისუფლად სავალი გზა დაავიწყდება.
საწამლავია ეს საწუთრო, გულს უძევს შხამი,
მას გაექცევი დაღუპვისგან ცოტ-ცოტა ჭამით.
ბევრს ნუ ჭამ, როგორც ამ საფლავში ჭამს ჭიაყელა,
შეიკარ წელი ცოტა ჭამით, ვით ჭიანჭველამ.
ცოტა ჭამითა არ მოელის არავის ვნება
და ბევრი ჭამით ყოველი დღე მრავალი კვდება.
რა საჭიროა ბალახების ამდენი ჭამა,
მერე კი წამლად ბალახების ხარშვა და წალვა.
ვინც იცის ჰურის წამლისაებრ ზომით ხმარება,
იმას წამალთან არაფერი არ ესაქმება.
რაც არ შეჭმულა, იგი არის ჰირმოცინარი,
რაც კი შეჭმულა, იგი არის უკვე წამხდარი.
წუთისოფლისგან თუ არა ხარ ბევრის მთხოვნელი,
იმასთან შენი ყონა ალარ იქნება ძნელი.
ამ ქვეყნის დარდი გულში მას არ მოეძებნება,
ვისაც ჩვენსავით მასში ბინა ალარ ექნება.
ამ უდაბნოში საცხოვრებლად ვინც დამკვიდრდება,
პეშვი წყალი და ლუკმაპური დასტურ სჭირდება.
გულს ნუ გაიტეხ, ჰოი, კაცო, სულით მწუხარევ,
ცუდია გულის გატეხა და სულის სიმწარე!
ამ ქვეყანაზე იმან ჭამა დიდი სირცხვილი,
ვინც ქვეყნის გამო არის მუდამ გულგატეხილი.

საზრდოს ნუ დარდობ, ნუ იფუჭებ გუნებას ავად,
ვინც გაგაჩინა, საზრდოს იგი გიშოვის თავად.
ზეცას, ამნაირ თვალთმაქცობით რომ არს განთქმული,
დღისა და ღამის ჭრელი ცხენი ჰყავს აშვებული.
ამ ჭრელი ცხენით წასვლა-მოსვლა ჟამიერს ვხედავთ,
ჯერ ერთი აზის, ხვალ მეორე ერთმანეთს მხედრად.
[ამ ძველ საჯანში არვინ არის თავისუფალი,
არ არის ჯაცი, რომ არ სწვავდეს მას ჭმუნვის ალი.
ყველა თავისი საქმით არის მუდამ გართული,
ყველას საქმეში სიმწარისგან უღელავს გული.]
მამას რომ ახრჩობს მწუხარების ნიაღვრის წყალი,
ის მოკვდა, შვილიც არ დარჩება ერთ დროს ცოცხალი!
თუ დაიღვრება შენი ხელით იმ მკვლელის სისხლი,
ალალია და არ ეგების ზღო სისხლი მისი.
შენ რა შვილი ხარ, მიპასუხე ამაზე ჯერე,
შენი მამის მკვლელ იმ ინდოელს თუ მოეფერე!
მოხარე მშვილდი, მშვიდად ზურგში ისარი ჰკარი,
შენს ზურგის უკან რამდენია მის მიერ მკვდარი.
სამყაროს სანამ მშვილდის ლარი არ გაუწყდება,
მასში ნადირი არავის არ გაუსუქდება.
ლომის ბუნაგზე თუკი უდევს ირემსა გზანი,
რას იბალახებს, ხიფათნია იმისთვის მზანი.
როგორ დამშვიდდი, ამა ქვეყნად რომ დაჰყავ ხანი, –
უკნიდან ქარი გიბერავს და წინ გიდევს ხრამი!
ნუ გიხარია, ამ ზღვას ხმა რომ გაუქმედია,
ჯაცის დახრჩობა ჯერ იმას არ შეუწყვეტია.
რომელი სახლი ნახე, იყოს შიგ გაზაფხული,
რომ იმ სახლიდან ის ბოლოს არ იყოს წასული?
ამქვეყნად ის სჯობს, რაც ბრძენს მწარედ მოეჩვენება,
ტკბილი სიცოცხლე მაინც მწარედ წაესვენება.
სიცოცხლისაგან ვისაცა აქვს დასმული დაღი,
სიკვდილის პირზე ის იქნება ნამდვილად ლაღი.
დიდებულები, დიდება რომ აწვალებთ ხელებს,
ვითარცა ვარდი, ჯოცნიან მათ მწყვეტელთა ხელებს.
მქადაგებელი იტყვის, თუნდაც იგი ბზე იყოს,
შენ დააბნიე, რომ მე იგი გზიდან ავიცო.
თუ მწირი არის: „ცხოვრება მაქვს, ხომ იცით, ძნელი,
შენ ის გააგდე, რომ ჩავიცვა მე ტანსაცმელი“.
რადგან მუდმივი არარაა ამ საწუთროში,

მთელი სიმდიდრე ამ ქვეყნისა არა ღირს გროში.
ჩვენ ძღვენს არყოფნას ვუმზადებთ და მიწასაც – საგზალს,
მოდი სპეტაკი მაინც ვიყოთ, არა გვაქვს სხვა გზა!
ასე თქვა ბრძენმა, ვისაც ჰქონდა სალი გონება:
„ავი და ჯარგი სიკვდილის დროს აიწონება“,
იქ ბევრი ქალი დაეუფლა დიდებულ სახელს
და ბევრ მამაკაცს გაუყვითლდა შიშისგან სახე.
უფალო, ფეხი როცა ქვაზე მოხვდება ჩემი
და იმ მორევში დამემსხვრევა მე ჩემი გემი,
ნიზამის მაშინ მოსვენების დღენი აღირსე,
შეუნდე მას და მოწყალება შენი აღირსე!

შირინის გამეფება

როცა შირინი იმ დიდებულ ტახტზე აბრძანდა,
თევზით მთვარემდე ეს სამყარო ედემს ბაძავდა.[242]
მთელმა სამეფომ გაიხარა, გალაღდა მხარე,
რაც ტუსაღები დაეჭირათ, სულ გამოჰყარეს.
ყველა დაჩაგრულს მოხსნა ჯირთი, აღირსა შვება,
არავის ვნება! – აი, მისი ბრძანება, ნება!
საბაჟოებზე მოხსნა ყველგან საქვეყნო ბაჟი,
არ მოითხოვა გლეხებისგან წლიური ხარჯი.
გაიერთგულა ქალაქი და ყველა სოფელი,
რომ სალოცავად ყველამ ერთად აღმართოს ხელი.
შეიქნა ქორი ქათმის თვისი და მეგობარი,
წყალს ერთად სვამდნენ მის სამწყსოში მგელი და ცხვარი.
ქვეშევრდომებმა, ვინც ჯი იყო იმისი მიწის,
ერთგულებაზე ყველამ ერთად მიიღო ფიცი.
ქვეყნის სიკეთეს იმოდენად მან მიაღწია,
პერის მარცვალი ერთი ასზე მეტად აქცია.
თუ მეფესა აქვს ქვეყნისათვის მიზანი დიდი,
ეკლის მაგივრად ამოუვა მას მარგალიტი.
ხეს უნაყოფოს უნაყოფო ტოტი აქვს მარტო,
შაჰს კეთილმოქმედს ფეხები აქვს გაშლილი ფართოდ.
რაც ჯია ქვეყნად, ჯარგი არის იგი თუ ავი,
მისი ხელმწიფის ნაქნარია, მით მოაქვს თავი.
გონიერება თუ დაეცა თვით შაჰის თვალში,
არც საქციელი დაურჩება ხელმწიფეს ვალში.
რადგან შირინმა შაჰინ-შაჰის არა იცოდა,

მეფობდა, მაგრამ გული მისი მწარედ იწვოდა.
თუმც ქაიხოსროს მას სამეფო მონებდა მთელად,
დაწანწალებდა ის შმაგივით მინდვრად და ველად.
ყოველ ქარავანს იმის ამბავს ეკითხებოდა,
მაგრამ ნიშანი ხოსროვისა არსად ჩნდებოდა.
როცა გაიგო, რომ ხოსროვმა ბედის განგებით
მიწიდან ტახტი ცას უწია დიდის დიდებით,
ძვირფას განძის და მარგალიტის გულუხვად ბნევით
მან ჩვეულება მეგობრული ასწია ზევით.
მაგრამ ეს იყო, გული ედო მარიამს ქვისა,
არ გადუხვევდა თავის ზრახვას და ნათქვამს თვისას.
მეფეს პირობა ჩამოართვა ჯერ კიდევ რუმში:
სხვათა ტრფიალზე არ ეფიქრა ფიქრითაც გულში.
როცა შირინმა ამნაირი რამ გაიგონა,
ამგვარ ამბავმა მეტისმეტად ის დააღონა.
შეწუხებული ჩაიძირა მოთქმა-ვაგლახში,
ვით სახედარი იძირება ტლაპო-ტალახში.
იმ ერთ წელიწადს, რაც მეფობა შეუძენია,
არც თუ ჩიტისთვის, ჭინჭველისთვის არ უწყენია.
მის თვალთა მსგავსად, მას გულზედაც დააწვა ძილი,
საქმეც თავისი თმასებრ ჰქონდა მას აწეწილი.[243]

შიშობდა იგი, რომ აშლილი მისი გონება
დაარღვევს ნამუსს, რაც არავის მოეწონება.
სხვანაირ საშველს ვერ ხედავდა ჯენარი სარო,
რომ სული თვისი განეწმინდა, ვით წმინდა წყარო.
ხოსროს ძიებას შეუდგება ის მარტოდმარტო,
მარტო იდარდებს სადარდებელს, ვით ახლა დარდობს.
წაერთვა გონი, ფეხზე დგომის არ ჰქონდა ღონე,
შეყვარებულმა ასე იცის, ტრფიალის მქონემ.
ტახტი ხელქვეითს ჩააბარა (ვის ჰქონდა თავი!),
გულში ნაღველი უბრუნავდა ავი და შავი.

შირინის მისვლა მადაინს

ეციხლად შეჯაზმავს გოლგუნს იგი ტრფობისგან ხელი
(შაფურს ეჭირა ცხენი მისი გოლგუნი ხელით),
იმ ლამაზთაგან, წასვლის დროზე რომ ახლდნენ თანა,
რამოდენიმე იმათგანი თან წაიტანა,
რომ ყოველ ადგილს მეგობრულად მას მოუარონ,

მისი დარდი და სიხარული გაიზიარონ.
წაიღო ბევრი მან დინარი და ტანსაცმელი.
თან შინაური ცხოველები აურაცხელი,
ძროხა და ცხვარი და აგრეთვე აქლემი, ცხენიც,
ავსებდნენ ზღვისებრ მთა და ვაკეს ყველა ესენი.
იქიდან სწრაფად თავის ჯოშაში მივიდა იგი,
უკან მიჰყვება საქონელი წესით და რიგით.
თავის სადაფში მარგალიტი მოექცა ისევ,[244]
ქვას დაებრუნდა თვალი, ძალი მოეცა ისევ.[245]
მოვიდა თავის ადგილზევე თვითონ ხაზინა,
მწუხარების ქვის სამშობლოში წავიდა მინა,[246]
იმ მარგალიტმა, იქ ქვიანი მთები რაც არი,
ისე აანთო, როგორც მოგვმა თვისი ტაძარი.
იმისი სახე, გაზაფხულის რომ იყო დარი,
ცეცხლის ტაძარში თითქოს ტიტას ყვავილი არი.
ჰაერის სიცხეს მისი ვნება ეთხოვა თითქოს,
ისეთ შინაგან ვნებათ ღელვით ღვიოდა თვითონ.
გაიგო მეფემ, მეგობარი ახლოს მოვიდა,
მისი იმედი სანუკვარი ახლოს მოვიდა.
მაგრამ ის მაინც მარიამის შიშზედა ბჭობდა,
დღისით თუ ღამით მარიამი მას დარაჯობდა.
სატრფოს მოყვანის ვერ აიღო ნებართვა, ვერა.
მასთან წასვლა კი ვერ შეიძლო თვითონაც კერა.
მხოლოდ მის ამბავს თუ იგებდა შორიდან ასე,
ქარსა და გრიგალს გულს უშვერდა იმ მთვარის გზაზე.
არ იყო დრო, არ მოეგონა ის მომხიბვლელი,
იგრიხებოდა იგი ფიქრში, ვითარცა გველი.

ხოსროვის მიერ ბაჰრამ ჩუბინის სიყვდილის შეტყობა

ღილით, როდესაც შაჰი თავის ტახტზედა აღხდა,
რუმის ლაშქარი თავს დაესხა როდესაც ზანგთა.
მოვიდა ამ დროს იოსები ნარინჯით ხელში,
მთვარის თურინჯი, ვით ზელიხა, მოტეხა წელში.[247]
ზეცის თვალებმა ცბიერი რომ არის იერად,
შეჯრული წარბნი გაიშალეს აწ ლმობიერად.
ფირუზისფერად გაანათეს გუმბათის თავი
და გამარჯვების მთელ ქვეყანას ამცნეს ამბავი.
დრომ მოისვენა ყვირილისა და ყაყანისგან,



მიწა დამშვიდდა უსამართლო ქცევა-ლანძღვისგან.
საბედნიეროდ და ლამაზად ახლად შემკული
იყო ხოსროვის ჯვლავ მეფური ტახტი დადგმული.
სარაფარდები, ხელმწიფური ჯარვები დიდი
ზეცას სწვდებოდნენ ახლომახლო, ჯიდემდე ჯიდით.
თვითონ ფახფური, ჯეისარი და თვით ხაყანი
იდგნენ შაჰის წინ მოწიწებით, დიდი თაყვანით.
ყოველ ჯუთხეში მოამზადეს მათთვის ადგილი,
განცხრომით ჯდომა ყოფილიყო რათა ადვილი.
მისი მხლებელნი, რიგით-რიგზე მის ირგვლივ მდგარნი,
თავდახრილები იყვნენ საგნის მსგავსნი და დარნი.
ყველამ იცოდა მეფის ძალი და ცუდით თვალით
ვერც შეხედავდნენ, – ვაი მაშინ იმათი ბრალი!
თვალ-მარგალიტი, ბნელი ღამის მანათობელი,
იმდენი იყო, რომ დღეს შურით მოჰფინა ბნელი.
შეიარეს ჯაბა სპილოებმა სარტყელით წელზე,
სარტყელის სიგრძე მიუწევდა ათ მილ სიგრძეზე.
იმათი შიშით ცეცხლი წყლადა გადიქცეოდა,
ოქროც შიშითა ვერცხლისწყლადა გადიქცეოდა.

იჯდა ხოსროვი თავის ტახტზე სავსე სიჯეთით,
ჭაბუჯი გულით, ჭაბუჯი თვით, ჭაბუჯი ბედით.
მოაწყო ტახტი, ვით წესია ფადიშაჰური,
მისთვის გამრთობად მოიხმო თან ბევრი მსახური.
იდგნენ ოქროთი მოჯაზმულნი და მდუმარენი,
ჯედლის ნახატად გარდაიქცნენ მათი სახენი.
იმის ტახტის ქვეშ დედამიწა დიდად დამშვიდდა,
დიდჯაცთა წესით დაბალი წრის ჯაციც განდიდდა.
იმ სახელმწიფოს ღია ჯარში, იმ სისხამ დილით,
მახარობელი შემოვიდა ვინმე ჯეთილი.
აჯოცა მიწას, უთხრა: „მედგრად გეჭიროს თავი,
ამ ქვეყანაზე მუდამ ქვეყნის მეფედ იყავი!
ოქროს მოიხვეჭ შენ უამრავ ოქროს ტახტიდან,
ხე მოიხვეჭა სამუდამოდ ბაჰრამმა თვითონ.[248]
ჩუბინის სახლით სიხალისე ნავიდა ჩქარა
და სამუდამო სამყოფელი მან ჩაიბარა.

[მეფე ცუდ გულზე დააყენა ამგვარ ამბავმა, –
სახლიდან გარეთ გაიტანა ბარგი ბაჰრამმა.
თავის გულში თქვა: „ქვეყნის საქმე ამგვარად ხდება,
ასე ყოფილა, ასე არის, ასე იქნება.

ბაჰრამმა ქვეყნით თვისი ბარგი თუ გაიტანა,
ხოსროვს გვირგვინი და ეს ტახტი შერჩება განა?"
დიდმა ჯაცებმა, ვინც ამჟამად შაჰის წინ იდგნენ,
ქვეყნის ამბავი მათ ძალიან ჯარგად იცოდნენ.
ყველა მათგანი ახალ ლოცვას აღიარებდა,
ყველა მათგანი ამ ქვეყნის განძს უხვად აბნევდა.]
შაჰმა ამგვარად საწუთროსთან გულგანაშხამზე
წარმოთქვა ერთი იგავი მან თვითონ ბაჰრამზე:
„სანამ საწუთრო თვისი ჯოხით ცემას მარგუნებს,
ზეცა მეჯოხე მანამ ჯოხით დამიჯაჯუნებს.
ჩვენი ქვეყნის ხემ თუ ამჟამად ნაყოფი მოგვცა,
ჩუბინის მთვარე აღმოსავლის ხედ გადაიქცა.
იგი ჯი არა, თუმც ბაჰრამი თვით გური არის,
დაბოლოს მაინც ეს სამარე სადგური არის.[249]
თუ ბაჰრამ-გურმა ამ მახიდან გაიშვა თავი,
მოდი და ნახე ბაჰრამების ასი საფლავი.
ქვეყანა, სანამ ქვეყანაზე მას მეგობრობდა,
მის მეფობას და ხელმწიფობას ის ხელს უწყობდა.
რა იქნა ლომი, რომ გვიტევდა ხმალამოწვდილი,
თავბრუდახვეულს რომ უნდოდა ჩვენი სიკვდილი?
სად არის ხმალი, ქვეყნად ცეცხლი აღაგზნო ვინაც,
ჯინაღამ დროშაც ქავიანთა ჩვენ შეგვირცხვინა!
ბევრი ბრძენ ჯაცი, ლომისგან რომ დაბადებულა,
უბრალო მოკვდავთ მანქანებით მტვრად წაღებულა.
მრავალი მგელი ახალგაზრდა მელას კუდიანს
ცბიერი ქცევით შიგ მახეში გადაუგდია.
მგელი თევზს უცქერს და მელა ჯი რჯინას – მახისას,
მელის და მგელის ამბავი ჰგავს ბედს თვით შაჰისას.[250]
ბევრნი მეფენი უკერიან ტყუილის მთქმელთა
და ემართებათ მათ ამბავი მგელთა და მელთა.
და ბოლოს, საქმე როცა არის ცუდად განსჯილი,
ფარჩის მაგიერ გაეყრებათ გულში მახვილი.
ამპარტავნობით ეჯარგებათ გვირგვინი მათი,
არ იამაყო, თუნდ სამეფო გმონებდეს ათი!
[ბევრიც გინდოდეს ბუნებით შენ ჰალვა საჭმელად,
თუ ბევრი სჭამე, იგი სიცხეს გაგიჩენს ხელად.]
ლამპარი მხოლოდ ზეთისაგან როს დაინთება,
თუ ბევრი იქნა ზეთი, ლამფა თვითონ ჩაქრება.
საჭმელს მარილი რომ ერევა, იჭმევა ჯარგად,

მაგრამ უზომოდ მლაშე ჯერძიც ხომ აღარ ვარგა!
თუ ჭამ მასზე მეტს, რაც არა გაქვს საჭიროება,
პირში ხომ ლუკმა უგემო მძორს დაემსგავსება!
იმდენი ჭამე, რასაც ითხოვს შენი სხეული,
რაც რამ იქნება შენთვის საღი და შერჩეული.
მდგმურსა ამ ქვეყნის, ამ დარბაზში რომ იმყოფება,
დარდი და ლხენა ერთნაირად მოეთხოვება,
ნუ გსურს, რაც არ ხარ, მასზე უფრო მეტი ადგილი,
ფარდაგზე მეტად ნუ გექნება ფეხი გაწვდილი.
ნუ ღელავ ზღვისებრ, რაც არ ძალგიძს, ნუ იზამ შენა,
ნუ ფრინავ მაღლა, თუ არ ძალგიძს შენ მაღლა ფრენა.
რაც დაგჭირდება, იმდენი თქვი, არ გინდა მეტი,
ჭილობს ვინ მოქსოვს ოქრომკედით, თუ არა ცეტი.
მშვენიერად თქვა გონიერმა სიტყვა ამგვარი:
„ჰალიღას მოსწონს ჰალიღა და შაქარს – შაქარი".
არ არის ჯარგი, თქვა: ახალი სულ ჯარგი არსო,
ან: ძველი წესი და გზა ყველა მიეცეს ქარსო.
წინაპართ ჯანდელს დასამტვრევად ქვა დაუშინო,
ობლებს ქონება რომ წაართვა და შეიძინო,
ვინაც რომ მიწა დახნა და შიგ თესლი ჩათესა,
მე ხომ არა ვთქვი, თვით მარცვალმა თვითონ თქვა ესა.
ხის ყველა თესლი არ ამოდის, როგორც შეფერის,
ყველა საარავი იარაღი ტყბილად არ მღერის,
ბევრი ყოფილა რაინდულად, ხელთ ხმლითა მდგარა,
მაგრამ მათ მთვარეს დღეს ღრუბლების ზეწარი ფარავს.
ვინც ლომს დაიჭერს, ნუ უცქერი მას სისხლის მსმელად,
იმის სისხლს იღებს, თუმც ჯი იღებს გვიან და ძნელად.
მხედარს, რომელიც ამღაყ ცხენზე არის შემჯდარი,
იმ ჭრელ ცხენის ქვეშ ჯიდევა ჰყავს ფერი ორგვარი.[251]
ნუ დაენდობი, იგი ვეფხი ოხერი არის,
ერთი გული აქვს, მაგრამ თვითონ ორფერი არის.
ხელმწიფე თუ ხარ, ქვეყნის მტრობა არ შეიძლება,
ვერაგს რომ ჰქონდეს ხელმწიფობა, არ შეიძლება.
ვირი საბძელში თუ ჩავარდა თვით უცაბედად,
ვაი ბზეს, თორემ ვირს რა უჭირს საბძელში ნეტა!
ვით მოშორდება ბუზი ჰალვას, ვით იზამს ამას,
ყვავი ყვავია, რა ქნას, უყვარს ყვავს ლეღვის ჭამა!
სახლის საშენად, ძმაო, ვერცხლი ნუ გინდა სხვისა,
თორემ, იცოდე, გავარდება ძირი შენს ქისას.

მრეცხავის ჭუჭყმა ამ ბაზარში – არ დაიზარო –
ნელსაცხებელით ათარისა არ დაგისვაროს.[252]
ნუ გაჩუმდები, საჭიროა ყვირილი როცა,
სამარცხვინოა ისეთ დროში მოთმენა, მოცდა.
გამიგონია, რომ მდაბიო ჯაცების წრეში,
ყოფილა ვინმე ერთი ჯაცი ჭკუაუხეში.
და როცა მასთან ვინმე ბალღი ჩხუბს დაიწყებდა,
იგი დიდების გასარტყმელად ქვებს აიღებდა.
უთხრეს: „ბავშვები მოხუცებულს თუ გემტერება,
მოხუცებულთან მოიქეც, ვით შეგეფერება!"
მან სიცილით თქვა: „დიდებს თუ არ გაეცინებათ,
ბავშვებს სიგლახე აბა როგორ ეცოდინებათ!"
როდესაც ფეხის დასჯა უნდა ვეზირს, თუ დასტურს,
ფეხების ნაცვლად თავს ჭრის ჯაცსა, ასეც ხამს, დასტურ!
დიდჯაცურ ჩაგვრას ნუ დაეძებ ნურა ღარიბში,
მას დიდჯაცური თავისთავთან აქვს ანგარიში.
ჯარგი ჯაცის ნაჯლს შენი თვალი არც ჯი შეავლო,
ღირსების ნახვა ავ თვალისგან უნდა ისწავლო.
ღირსებას ნაჯლად დაინახავს თვალი ცბიერი,
ყვავის თვალს სჭვრეტდე! ფარშავანგის ფეხს ნუ უცქერი![253]
შენც ცდები ხშირად და ტყუილს რომ ფარდა ახადო,
შენც სხვების სიტყვას უსაბუთოდ წუნი არ დადო.
შენს ნაჯლზე თვით შენ ცალი თვალი გააღე მარტო,
სხვების ნაჯლზე ჯი ასი თვალი გააღე ფართოდ?
სარჯის მაგივრად ნუჯი ცდილობ ნაჯლის შეტყობას,
შენ სარჯე არ ხარ, მოიშორე ეგ თავხედობა.
ერთი ღირსება არის ჯარგი თვითონ სარჯისა:
არვის წინაშე არ გაამხელს იგი ნაჯლს სხვისას.
იგია ხოლმე ცუდი ჯაცი: არ იცის თავად
და სხვას რომ მაინც გათათხავს და ახსენებს ავად.
თვით შენს მტერსაც ჯი ნუ აიგდებ ნურსად აბუჩად,
თორემ, რა იცი, საქმეს მუდამ ჰირი არ უჩანს.
შენ იმ ჯურდღელზე დიდი ნუჯი გექნება გული,
ოქროთი რომა ის ხანჯალზე გამოხატული,
რადგან ლომები, იმავ ხანჯალს რომ მოლესავენ,
იმით ისინი მრავალ ჯურდღელს გამოსწელავენ.[254]
მდორე სახის წყალს ნუ შეხედავ შენ დამცინავად,
ფიცს რომ გატეხავ, მოგექცევა იგი პირშავად.
ცეცხლს გულს ნუ ანდობ, ახლა ცოტას რომ ბჟუტავს აქა,

მოვა დრო, იგი ას ძნას თავის ალებით შთანთქავს.
შენ ლომის ლიმილს, რომ შეხედავ, ნუ გიხარია,
ჯბილებს დაგიყრეჭს, მაგრამ მისი ჯბილი ხმალია.
ვინაც თავს იქებს გულადობით მის გმირობაში,
ის ლომის სახელს მოიხვეჭავს ლომთან ბრძოლაში!
როცა შაჰებთან ჰქონდა ბაჰრამს შუღლი ფიცხელი,
შაჰებთან შუღლით მოიხვეჭა შაჰის სახელი.
სჯობს, შენზე ნაკლებს თუ არიდეს შეეჭიდები,
დიდებთან შებმით მოგეცემა ძალი დიდების.
ძლიერთან ბრძოლით, არა უშავს, თუ დამარცხდები,
მცირესთან ბრძოლა თუ წააგე, მცირე გახდები.
ხვითქი მით არის, ზღვასთან იცის ბრძოლა ნამდვილი,
წვრილ ღელის წყალში იჩეკება თევზები წვრილი!"

როცა ხოსრომ თქვა ამნაირი აზრი მრავალი,
დიდმა პირებმა გადმოღვარეს თვალთაგან წყალი.
ძირს ჩამოვიდა ის ტახტიდან გულგანამწარი,
წარმოსჯდა წყალი ნარგიზიდან ვარდისწყლის გვარი.
მთელი სამი დღე იგლოვა მან გმირი ბაჰრამი,
აღარ ახსოვდა იმას ტახტი და აღარც ჯამი.[255]

ლხინის გამართვა ხოსროვის მიერ

ოთხი დღის შემდეგ დიდი ლხინი მათ გააჩაღეს,
და მაღალი ხმით სიმღერებიც ჯი შემოსძახეს.
[იგი მეჯლისი ხალხისათვის იყო სალხინო,
დაისისფერი დიდ ჯამებში ჩაასხეს ღვინო.
ჩანგსა უკრავდა, მოსაკრავე გამოდიოდა,
კუჭიდან ღვინის ორთქლი პირში ამოდიოდა.]
აძლევდა უხვად მოწყალებას ზღვის უხვი ხელი,
მიწაზე იყო მარგალიტი აურაცხელი.
მეფეს სმისაგან მაგრად ღვინო რომ მოეკიდა,
შირინის ნახვის დარდისაგან ხელით წავიდა.
უბრძანა, რომ იქ მოიყვანონ ბარბადი ჩქარა,
და იმისაგან შაჰს გულჭირი გადაეყარა.

ოცდაათი ჰანგი ბარბადისა

აჩნდა ბარბადი, როგორც ნაზი ბულბული მთვრალი,
ეჭირა ხელში ბარბათი მას, როგორც რომ წყალი.
ას სიმღერიდან, რომელიც მას ჰქონდა ამჯერად,

ამოარჩია ოცდაათი ჰანგი სამღერად.
იმ ოცდაათი ჰანგისაგან, სასმელს რომ ჰგავდა,
ხან გულს იტკენდა და ხან ყიდევ ჭკუას ყარგავდა.
აჰა, ბარბათმა ბარბადისამ ხმა ამოიღო,
მშრალი სიმისგან იმან სველი მღერა დაიწყო.
„ქარის მოტანილ განძის" როცა ღვარი სდიოდა,
ყოველ ბგერის დროს ტუჩებიდან განძი სცვიოდა.[256]
როცა „ნათხარ განძს" სიმღერის დროს იგი სწონიდა,
მიწა ხარსა და განძსაც ზევით უხვადა ჰყრიდა.[257]
როდესაც იგი უკრავდა იქ „აწონილ განძსა",
ცეცხლს გაუჩენდა იგი თუნდაც საგანძურს ასსა.[258]
როდესაც იგი „მარგალიტის შადრევანს" ჰქმნიდა,
იტყოდი, თითქოს მისი ტუჩი მარგალიტს თლიდა.[259]
„თაყდისის ტახტის" როდესაც მან აუშვა ზარი,
სამოთხემ მისი თაღებისგან გაუღო ყარი.[260]
„ზარ-ტახტის" როცა დასცხო მერე მან დასაკრავი,
ტახტმა მეფისამ ხარის ხმისებრ ასწია თავი.
„ქაუსის ყუთით" მან შაქარი როცა გამოსცა,
შაქარყინულმა ამ დროს იმას ტუჩზე აკოცა.
როდესაც ჰიმნი „მთვარე მთებზე" დააღიღინა,
იმისმა ენამ მთვარე მთაზე ჩამოიყვანა.
„მუშაის მარცვალი" რომ დაიწყო სიმღერა ახლად,
მსმენელნი მისნი მყის ხოთანში გადაასახლა.[261]
„მზის შესამკობი" როცა იყო ჩანგი დაკრული,
მთელი თვე იყო იმის ჰანგით მზე მოკაზმული.
„შუადღე" რომ თქვა მეჯლისისთვის მან მოსაწონი,
მაშინვე ბრძენმა შუადღემდე დაკარგა გონი.
„მწვანე მწვანეში" როდესაც ხმა ყველგან გავარდა,
გადამხმარ ბაღში უცებ მწვანე ამოიზარდა.
„რუმის ყლიტე" რომ წამოიწყო ჰარმონიულად,
რუმელთ და ზანგთა განძთა ყლიტე გაიღო სრულად.
იმ „საროს ბაღზე" ტაბილი ჰანგი როცა მოვიდა,
საროსა ტყეში წლობით ქარი აღარა ჰქროდა.
როცა მსმენელებს „სწორი საროს" ხმა გააგონა,
თვით სწორი სარო გახდა მისი მორჩილი მონა.
მან „ტაბილი ღვინის" მელოდია როცა აფრქვია,
სიტაბოთი მასთან ტაბილი ღვინო ვის დაკარგვია.
„სულის სიამის" სიმღერის დროს რომ გაჰკრა წყირა,
არავინ დარჩა, მისთვის სული არ შეეწირა.

რომ აუწია „ნაზ-ნოვრუზი" გასაკვირველად,
ნოვრუზობისთვის იმდღესავე მოირთხა ყველა.
და „სრა-სასახლე" რომ დაიწყო მუშაისსურნელა,
ყველა სასახლე მან აავსო მუშაით სულ ნელა.
„მეჰრეგანი" რომ წამოიწყო ახალ ჰანგებით,
წაართვა გონი მაშინვე ხალხს ტრფობის აღგზნებით.
„ექთიდი ჰირის ჩენის" როცა სიმღერა იწყო,
იმ წელში ყველა ჯეთილ გზაზე დამდგარი იყო.
როს „ღამის ფერის" წამოიწყო ბარბადმა მღერა,
ვერ დაიძინა მით იმ ღამეს ვერავინ, ვერა.
როცა დაიწყო მან სიმღერა „ბედნიერ ღამის",
არვის უნახავს ღამე წინათ ბედნიერ ამის.
და „ბედნიერ დღეს" რომ დაუდგა თავისი ჯერი,
ბედნიერების გადაედო სამყაროს ფერი.
„მთის ჯაბის" მღერა როდესაც მან იქ გაახურა,
ჯაბების მსგავსად მოუყარა მათ თავი სრულად.
მან „ნახჩირგანი" დაამღერა ისე ადვილად,
რომ ზოჰრას გულიც მისი ჰანგით მოინადირა.[262]
„სიაუშისთვის შურისგებას" რომ მოჰყვა ენა,
სიაუშების სისხლით უცებ გაივსო სმენა.[263]
„ირეჯისათვის შურისგებას" ხელი რომ მიჰყო,
ირეჯის გლოვა ქვეყანაზე ისევ დაიწყო.[264]
„საამო ბაღის" რომ დაიწყო შემოძახილი,
გაგემრიელდა შაქარივით მწარე ხის ხილი.
გულის აღმგზნები ამნაირი ტკბილი სიმღერა
ბარბადმა გრძნობით რამდენჯერმე გაიმეორა.
მღეროდა ბარბად და თანდათან უკეთ მღეროდა,
იძახდა ხოსრო: „ჰოი, ვაშა", – და შეხაროდა.
ისეთი წესი ჰქონდათ იმ დროს შემოღებული,
ყოველ ვაშაზე მისცის ქისით მან ოქროს ფული.
რამდენ სიმღერას იგი იმ დღეს თვით აუწევდა,
მეფეც იმდღესვე სხვადასხვაგვარ განძებს აძლევდა.
რამდენნაირიც თქვა მან ჰანგი გულის ანთებით,
მეფემ იმდენი მისცა ჯაბა მარგალიტებით.
ვაშას ძახილით ხელგაშლილი უხვად გასცემდა,
ვაშას ეტყოდა, ოქროს ხალათს თან უბოძებდა.
ამ ქვეყანაზე თუ შენ მეტად მოგიწონებენ,
იმ შალის ხალათს ყისერზე არ მოგაშორებენ.
იყავ ამაყი, მოწყალება ნუ გინდა სხვისი,

სხვისი წყალობის თოჯი შენვე მოიხსენ ჯისრით.
ჯმაყოფილებით შენს სიხარბეს აუბი თვალი,
ჩემგან – წვეთისგან ისწავლე, ვით გახდე ზღვა წყალი,
მე მიმიცია მეფისათვის ამდენი ლარი,
რაიმე ჯილდო მიმიღია? – არავითარი.
ხელმოკლე ვიყავ, მაგრამ ლექსი ჯარგი მქონია,
არც ის მაძლევდა რამეს, არც მე რამ მითხოვია.
ჩემთვის ის ჯმარა, ბევრი მქონდა ძვირფასი თვალი,
ზღვას მარგალიტი გავუხშირე და ქანებს – ლალი.
ნიზამი, ოქროს ხალათია ქვეყნად უთვლელი,
შენ სათნოების ხალათი გაქვს, არ უშვა ხელი!
მაგ ლამაზ სიტყვით შენს საყელოს თუ მორთავ ახლა,
იმით შენ ყველა ქედმაღალზე იქნები მაღლა.

ხოსროვი შირინს მარიამს შეაქებინებს

რომ ბადრმა თავი ცის ჯიბიდან ამოჰყო ნელად,
და მთვარის ჯალთა გადიფარა მიწამ ნათელად,
ლხინიდან ხოსრო დასაწოლად რომ გაეშურა,
შირინის სევდამ იმას თავი ჯვლავ გაუხურა.
[მცირე ხნით დაჯდა მარიამთან მოუსვენარი,
თავის სახლის წინ დახურა მან სიამის ჯარი.
ყოველ ჯარიდან უცხო ამბავს მას მოუთხრობდა,
თან ყოველ წუთში ის შირინის იგავს ამბობდა.]
თავგადასავალს შირინისას რომ მოჰყვებოდა,
მარიამს ხახა სიმწარისგან უმაწარდებოდა.

ერთხელ ხოსროვი მარიამთან დაბრძანდა მთვრალი,
ქრისტეს ხსენებით, თავის ჭკუით, დაატყბო ქალი.
უთხრა: „შირინი, რაც შორს არის, უკეთესია,
ჩემს წყლულს მარილი მისი არ სწვავს, უკეთესია.
მაგრამ ვიცი, რომ მტერმა ის ქნა, გულით სურს რაიც
და ჩემი ბრალით გაბახდება საბრალო ქალი.
მე თუ მას ვეტრფი და ის ჩემთვის თუ ძვირფასია,
რაღა თქმა უნდა, რომ შენთვისაც იგი ასეა.
მომეცი ნება, იმ ჯოშჯიდან აქ მოვიყვანო,
მოშგუში მსახურთ ჩავაბარო ის სათაყვანო,
მე არ შევხედავ და, თუ ნახავს მას ჩემი თვალი,
მოედოს ჩემს თვალს დასაწვავად აწ ცეცხლის ალი!"

თქვა მარიამმა: „ხარ ამ ქვეყნის დიდი მფლობელი,

ბრწყინვალე, როგორც ვარსკვლავი, ცის მანათობელი.
შენი მეფობა ქვეყნად ზეცამ თვით დააწესა,
ემორჩილება თვით უდაოდ შენს სიბრძნეს დღესაც.
თუნდაც შირინი ჰალვასავით რომც იყოს რბილი,
ალარ იქნება იგი შენთვის საჭმელად ტკბილი.
შენთვის ჩემი ცდით მოვამზადე ჰალვა ნამდვილი,
შენ ცივი ბრინჯი ნეტა როდის გექნება თბილი!
შეჭამე ხურმა, ის უეჭლოდ გაამებს მხოლოდ,
რადგანაც უფრო ტკბილი არის ჰალვა უბოლო.
მე ჯადოქართან, იმ ცბიერთან მქონდეს ადგილი, –
ბაბილონური თვალთმაქცობა შეძლოს ნამდვილი?[265]
რათა თავისი (მან რომ იცის ათასი ხრიკი)
ცბიერებითა მე მახეში მაბამდეს იგი!
მე განმარიდებს, შენ ადვილად მოტყუილდები,
შენ დასთანხმდები და მე კი შენ ჩამოგცილდები.
მე ჯადოქრობა შესწავლილი კარგად მაქვს მისი,
ასე ადვილად მომატყუებს ვერავინ, ვიცი.
ბევრი ქალია, ორმოცდაათს ვერ არჩევს ასით,
მაგრამ ოტარიდს გაუხუნა მზაკვრობის ფასი.
ქალი კეცებზე დახატული ყვავილის დარად,
გარედან არის მომხიბვლელი, შიგნიდან – არა.[266]
არ შეიძლება, თუ გინდა თქვა სიტყვა მართალი,
ნდობა ცხენისა, ნდობა ხმალის და ნდობა ქალის.
ნდობა კაცია, ქალს იგი ვერ გაუტოლდება,
თუკი ქალს იტყვი, ვაჟკაცობა ჩამოგშორდება.
ბევრ კაცს უქნია ვაჟკაცობა მეგობრობაში,
ქალისგან ერთი არ უნახავთ სწორი თამაში.
კაცის მარცხენა გვერდით ქალი ნაშობი არის
მარცხენა მხარეს ნუ დაეძებს მარჯვენა მხარეს![267]
ღვთისაგან შორს მყოფს შენს გულს ისე რად უკავშირებ,
იმის ნაყოფად შენ ტანჯვის მეტს ვერას მიიღებ.
თუ იმას გასდევ, მრავალ ტანჯვას გადაეყრები,
ბეყეურათი არა კაცად არ ჩაითვლები.
მაშ, წადი მარტომ შვება ნახე, ლხენით იყავი,
როგორც სოსანი, თავისუფლად გეჭიროს თავი!"

შემდეგ ამისა წმინდა გულით, გონების ძალით,
კეისრის თაყვით და შაჰინშას ტახტით მაღალით,
სალი ჭკუით და მოფიქრებით მან დაიფიცა:
„თუ ამ მხარეში გზად გაივლის შირინი, იმ წამს

მოვიბამ ყელზე მუშაის ბაწარს მე ჩემის ნებით
და შენი ჯავრის დასახრჩობად დავეკიდები.[268]
ისა სჯობია, თავისი დღე ხევხუვში დაჰყოს,
სჯობს, ბაიყუშმა რომ სოფელი თვალით არ ნახოს.
[მე რაც ვიცოდი, ყველაფერი თვით ვაღიარე,
გინდა, დამშვიდდი, გინდა, შენი გზით გაიარე.]"

დარწმუნდდა შაჰი, რომ ეს საქმე თავს არ იდება,
ერთ მამაკაცზე ორი ქალი ვერ მორიგდება.
მან თავის ნათქვამს სხვანაირი სიტყვა დასძინა,
მიუალერსა, მოთმინება გამოიჩინა.
ეს იყო, ამ დროს თვით შაფურიც ეწვია სწორედ,
ათასი ხერხით მოჰქონდა მას ამბავი შორით.
მერე პასუხიც ხოსროვისგან მიჰქონდა ასე,
მკერდდასისხული რომ უთვლიდა ნაღველით სავსეს.
ამგვარ მოქცევით იყო შირინ გაჯავრებული;
როგორ ითმენდა უმისობას ხოსროვის გულის!
თანაც იცოდა, რომ ეს არა განდგომით არის,
არამედ მისი მოთმინება შაჰობით არის.

ხოსროვის მიერ შაფურის გაგზავნა შირინის მოსაყვანად

ერთხელ ხოსროვმა გადაუხსნა იმ შაფურს გული:
„სანამდე უნდა ვიყო სატრფოს დაშორებული?
მოიყვა ღამით სასახლეში მთვარე ახალი,
რომ შევინახო, როგორც ყუთში ძვირფასი ლალი.
ჩემი მეფობა, პატიოსნად რომ გესაბრო,
ნებას არ მაძლევს, ახლოს ვიყო მე მასთან უფრო.
ვშიშობ, მარიამს საქმე ესე არ იამება
და ვით იესო, იგიც ჯვარზე თავად ეცმება.
ისა სჯობია, იმ მთვარესთან რამენაირი
მე საიდუმლო მეგობრობის მქონდეს ჯავშირი.
თუმცა მის გზაზე მე ფეხები დავიწვი უკვე,
მაინც მოვუვლი იმას დამწვარ თითზედაც უკეთ.
თუ იმ თვალთმაქცის ამ ფერიას თვალი მოხვდება,
დევად იქცევა და საომარ რაშზე შეჯდება".

მიიღო მეფის დავალება მხატვარმა ნდობით:
„მოგიყვან იმ შენს ჩინის ნახატს, იყავ მშვიდობით!"
მივიდა ჯოშაში, ალერსებით რომ ჰგავდა ზღვასა,
სიტკბოთი ბადაგს რომ მოჰგავდა და არა სხვასა.

მოუყვა შირინს თავიდანვე სულ დაწვრილებით:
დრო არის, დოვლათს მოეფერო შენ შენის ნებით.
შენს სანადიროდ მეფეს რაში ჰყავს დიდებული,
მარიამისგან ჯი აქვს ხმალი დაჩლუნგებული.
იმისგან მეფეს იმოდენი მოუთმენია,
მაგრამ ჯეისარს პირს ვერ უტეხს, ამის რცხვენია.
[გონარეული არის მეფე წუთისოფლისგან,
რომ სასიცოცხლო სხივი უკვე გაბრუნდა მისგან;
გული დღე-ღამე სავსე ჰქონდა ცეცხლით და წყალით,
ვეღარ ეღირსა სიხალისეს გული საწყალი.
მას მხოლოდ შენი ნახვა უნდა შენ გეძებს ვიშით,
მაგრამ მაგ ურცხვი მარიამის დიდი აქვს შიში,
თუ მარიამი არის მისი თანამეცხედრე,
არ უნდა იგი და შენ ახლა სიყვარულს გვედრებს.
ვინაც ჯი ერთხელ თაფლის ნექტარს დაეწაფება,
ყოველი სიტკბო, რაც უნახავს, დაავიწყდება.]
მოდი, ჩვენ შევსხდეთ და ორივემ ცხენს გავუტიოთ
და ხოსრო შაჰის მოშგუისკენ ერთად გავწიოთ!
ხოსროვთან ჩემად მხიარული დრო გაატარე
და დაადგება შენს მეტოქეს იმით დღე მწარე".

ШИРИНИС СЪЧВЕДУРИ ШЪФУРИС МИГЪРТ

Ъერ3ма марткъам, мтварем, твитонг гзъареулма,
тавбрудасхмулма, хосровисагъан моШоребулма,
гамгнаребулма шеуцвира: „3ои, Шъфуро,
унда грцхвенодес шени тавис, цвтис умадуро!
ну амбоб исетс, рамац квини дамакарвина,
геуошъа, рац ткви, да ан иги рам гатквевина?
ара ковели маргалиткъ гаихвритъба,
ара коведи мосул ситкваис тква шеидлеба.
ар шеидлеба коведи цкълис шесма габедо,
ар шеидлеба, рац гсурс хедит ромм гаакетво.
ар джлмидж, шени унесоба ромм мовитмино,
шенс умартлобас самартъали мсурс гавучино.
амгвар хедобит шемокмедидмц шенг гагишоребс,
ч'уамц ам сакмес нурасодес ну моги6онебс!
шенг миера вар ме шакобас гандшоребули,
ахкъа ци цдилоб, амомаджро гвамидан сули.


მე უვიცობით მომემატა ტანჯვა და დარდი,
დარდმა გამახმო, მაგრამ ახლა წყალში ჩავვარდი.
იქ მიწაც ფეხქვეშ რომ მეწვოდეს, რატომაც არა,
თმით დავუგვიდი მიწას, მაგრამ მეყოფა, ჯმარა.
ჯურტნის მკეთებელს ვირი შიშით გაურბის მუდამ,
მაგრამ მას ქერის გამყიდველთან მირბენა უნდა.
რატომ ვიდარდო, მარგალიტი თუ არ გავყიდე,
თუ არ მიხმობენ, ქარებრ სხვასთან როგორ წავიდე?
თუ უნაგირი დამისველა აუზის წყალმაც,
ზღვაში ცხენდაცხენ რატომ შევალ, რა ძალა მადგას!
როგორ მიბრძანებ, ასე როა წამხდარი გული,
დავჯდე ვეშაპთან პირზე ნიღაბაფარებული.
[გულია ლხენა-ვნებისათვის ნახევრად მკვდარი,
ჭინდაჯარგული მარტოდმარტო არის დამჯდარი.
ამ სიმწარეში, როგორშიაც შირინია დღეს,
არავინ არის, ჩემსავით რომ გული ეწვოდეს.
არ მიმიღია მისგან რამე იოტის წონა,
ერთი წელია, ერთი წუთით არ მომიგონა.
არ იყო ჩემგან დღე და ღამე დავიწყებული,
უფალმა იცის, არ ვიყავ გულაცრუებული.
გული სატრფოსთვის უნდა იყოს სულ გამსჭვალული,
მაგრამ სატრფოსაც უნდა თვითონ ეწვოდეს გული!
თუ გაუცუდდა მარიამთან მას თვისი ვნება,
ღვინის მოსურნეს არ ექნება ღვინის სმის ნება.
სად შეუძლია ჩემს თავს, შეძლოს რამ ანგარიში,
რა წარმოდგება ჩემნაირი უმწეოს ფიქრში!
თუჯი შირინი, ხოსროვ, შენ არ შეგეთვისება,
შენ მარიამზე უკეთესი არ გეღირსება.
უთხარი იმას, ვისთანაც ხარ ახლოს მდგომარე:
თუ იგი გეტრფის, მასთან ტრფობა შენც მოაგვარე.
ეგრე სიჭარბით ენას სიტყვა რომ ათქმევინე,
განა იმიტომ, რომ ტკბილი რამ გამაგებინე?
შენა გაქვს ქონი, მე ჯი ნაცვლად ბევრი მაქვს ტკბილი,
იმ ქონისაგან შეიძლება ტკბილს გაჰკრა კბილი.
რა უნდა გითხრა ამ ამაო ლაპარაკიდან,
რას გამოველი შამშადის და ვარდის ბაღიდან?
ამ ცარიელ დოლს სანამ ვურტყა, რაც ცოცხალი ვარ,
თუმც შირინი ვარ, მაგრამ ბოლოს მეც ხომ ქალი ვარ!]
იმ სასახლეში მე თუ შესვლის არა ვარ ღირსი,

სჯობია ისევ, არ ვისურვო სასახლე მისი.
ნახე, რამდენჯერ ჩემი ბედი მე აქ მიცდია,
რამდენი ტანჯვა-მწუხარება აქ განმიცდია.
ნუთუ ამდენ ხანს იმ უპირომ ვერ შეძლო განა
მშრალი სალამი მაინც ჩემთვის გამოეგზავნა!
ქალურ საბურავს სანამ ვიყო მე მოკლებული,
ჯაცური ხმალი სანამ მქონდეს დაჯიდებული!
არ გამოდგება, რომ ჩემგვარი მანდილოსანი
თანამეცხედრე იყოს მეფის გვირგვინოსანის.
როდესაც ჩემ წინ გამოცხადდა ბედი ავთვალი,
მარილი დაჭრილს დააყარა და წყლულს – ეჯალი.
ვარდებსა ვჯრეფდი და ეჯალი შემომრჩა ხელში,
საქმეს ველტვოდი და გავები მძიმე ულელში.
თვით ცუდი ვქენი, სხვისგან რა მაქვს მე სავალალო,
ჩემი ხიფათი მე სხვის ავ თვალის რად დავაბრალო?
ერთს ვუთხარ: სული ეს არის და ესეც ქვეყანა,
სულს ახლა მართმევს, ქვეყანა ჯი წაიღო თანა.
არა სუყველას, ვისაც ცეცხლი უცვივა ენით,
დაიწვავს ჰირსა ცეცხლის ენით, – გვასწავლის ბრძენი.
ყოველგვარ სასწორს ორი თეფში აქვს გამობმული,
ერთზე ქერს დებენ, მეორეზე დევს ოქროს ფული.
სასწორი, ხოსრომ მე რომ მომცა ხელთ დასაჭერი,
ცალთავა არის და ისიც ჯი სავსეა ქერით.
ჩემს გულს ქერი რომ უნდა მისცენ და ცოტა ისიც,
სხვა რა ძალა აქვს, თუ არ შეჭმა ძალათი მისი!
მე ვარ თიხისგან ნაეთები დედოფლისგვარად,
ნაწახნაგარი მხოლოდ თვალის მოსატყუარად.
მეფეს საწოლში რისთვის უნდა თიხისა ქალი,
სანთლის თურინჯი ყვავილებში რას იზამს ძალით!

მის გამო ბევრი საოცრება ჩამიდენია,
შენს გარდა მასზე ლაპარაკი სხვებთან მრცხვენია.
იმ გზის ყაჩაღმა რა მიყო მე, იმ სისხლის მსმელმა,
გარდა იმისა, რომ ცეცხლს მიმცა იმისმა ხელმა!
მე აქა ვცხოვრობ, ის ჯი იქ სხვას ეტრფის საზარი,
მეორე ტრფობის გაახურა მან იქ ბაზარი.
თუმც ჩემი სახე ძლიერ ჰგავდეს ქვისაგან ნათალს,
მას რომ შეხედავს, სირცხვილისგან გადნება მართლაც!
მე მისთვის ძაღლის ერთგულება მქონდა ნამდვილი,
რომ ვფიქრობ, ძაღლის უნდა ვიყო რძით მე გაზრდილი!

ძაღლმა მაჯობოს, თუ სანამდის ვცოცხლობ და ძალმიძს,
მისი სიცრუე არ გავაგდო ჯარში ვით ძაღლი!
ამ ჩემს გულს თუნდაც გადავუგდებ მე ძაღლებს ხელად,
თუკი ძაღლის გულს მოუნდება ეს შესაჭმელად.
გული ისა სჯობს, ისეთს თუ არ შეაჩერდება,
ვინც ძაღლს უყურებს და ჩვენს გულში არ იხედება.
სჯობდა, რომ მე არ ვშობილიყავ დედით ჰირველად
და თუ მშვა დედამ, რად არ მიმცა ძაღლს შესაჭმელად!
მე თუ მრუდე ვარ, სიტყვას მაინც ჯი ვიტყვი მართალს,
დარჩა აუგი რამე, მე რომ არ დამემართა?!
[ჩავაგდე ჩემი თავი საძრახ-სასაყვედუროდ,
მოვიდა ჩემი განკითხვის დღე საუბედუროდ.
სული და გული წვალებაში სულ დაიცარა,
უბიწო ტანი აუგებით სულ გაისვარა.]
ათასი სწორი ფარდა საქმეს ჩამოვაფარე
და ახლაც მრუდე ფარდას მაძლევს ჩემი მოყვარე.
წავიდა წყალი ჩემი, მისი თმაც არ დასველდა,[269]
რა ენაღვლება იმას ჩემი დარდი და სევდა!
გზის ყაჩაღს როგორ უნდა ჰქონდეს იმისი ნება,
რომ მან წაართვას ჩემისთანას პატიოსნება.
მან მე ისეთი გამიჩარა ბრძოლა ნამდვილი,
რომ სამშვიდობო აღარ რჩება მეტი ადგილი.
რადგანაც იმას აღარ ახსოვს ტრფიალი თვისი,
მეც ქრთილის ფასად არ ვიყიდი მეფობას მისას.
ტრფიალით მისით თავი მქონდა მის წინ დახრილი,
მქონდა მე მისი მწუხარება მეტად განცდილი.
[წადი, უთხარი: მარიამთან ყვლავ იგოლარე,
მარიამია მისი ახლო მოტრფე, მოყვარე.
მე ძირს ვაგდივარ უძლურად და ფეხზე ვერ ვდგები,
ხელი აიღე, უთხარ, ჩემზე, მე მაინც ვკვდები.
არ ყმარა განა, წამივიდა ნიშატი ხელით,
ახლა რომ ვზივარ ცოცახალ-მკვდარი, ტრფობისგან ხელი!]
გული ბრმა არის, მისი თვალი ვერ იხედება,
რა გულით ბრმა და რაღა, ვინც სულ ვერ იხედება!
თავის მოფხანით არვინ არის ჩემზე მზუნველი,
იმის ტრფიალში თავსა ვიფხან თვით ჩემი ხელით.
ეს ჩემი ენა მისით არის დაჭრილი მთელად,
რასაც ის ამბობს, იგი უჭირს ენას სათქმელად.
მან ჩემს ტრფობაზე, ჯობს, ახლავე მითხრას უარი,

არვისით ქმნილა ჩემი ბედი, მისიც ნუ არი!
ამნაირ ბედით ვით ჩემ გვერდით დაწვება იგი?
თავმომტკივანის აბანოში ყოფნაა რიგი?
გული მითხრობდა, საწუთროსგან ვიცოდი თავად,
მსურს თუ არა მსურს, წავიყვანდი საქმეებს ავად.
დიახ, ხომ არის სათანადო გამოცდილება,
გულის ამყოლი რომ უთუოდ დაიტანჯება.
ახლა ეს ჩემი თვალი აფრქვევს მარგალიტს უხვად,
რა უნდა ვნახო იმის მეტი, რომ ვტირ და ვწუხვარ!
თუ ჩემთვის ჯოშჯის გარეთ ყოფნა მშვენიერია,
მე იქ არ წავალ, თუკი ბედად ეს მიწერია.
ჯეისრის ქალიც რომ მოვიდეს, არმც თუ შაფური,
ლანძღვით გავაგდებ ამ ჯოშჯიდან, ცემით ჰანლურის.
ჯვლავ არაკებით მომატყუოთ, ხომ არ ვარ მთვრალი,
ვერ წამიყვანენ მე აქედან ვერაფრის ძალით.
მე თუ ისინი თავის ჭკუით უგნურად მთვლიან,
მე იგი ვიცი, ბაბილონშიც რომ არ იციან![270]
ეს სატრფოს მართებს ქედმაღლობა, მიჯნურს ჯი არა,
თვით ნალი ცეცხლში აქ აგდია და იქ ჯი არა.[271]
ხოსრო ჯი არა, ქაიხოსროც რომ იყოს იგი,
მთვარეზე ხელის ამართვა ხომ არ არის რიგი!
ჯობს, თუ მთვრალ ნარგიზს იგი მალე ჩამოშორდება,
როგორც სოსანი, ჩემ წინ ხელით ხელს დაეყრდნობა.
და თუ ვნებათა ღელვით უნდა ჩემი გარღვევა,
ისეთს ვიდუღებ, რომ ჯავშანი შემოალღვება.
გავგზავნი ჩემს თმას, რომ იღონოს რაიმე ღონე,
მოთმენამ მისმა ჩამოიხრჩოს თავიც ჯი, ვგონებ.
ვეტყვი თვალებს და თვალის ჩაჯვრით ერთი-ორითა,
მე იმის მერანს ვათამაშებ ასე შორიდან.
ჩემი თმის სურნელს ჩავყრი ცეცხლში მე დასანთავად,
და როგორც უდი, იმას ცეცხლზე მე დავსვამ თავად.
ნაწნავის თრთოლით მე თვით იმის ტანს ავათრთოლებ,
თვალთა ჯადოთი მოვგვრი ძილს და ძილს გავაყოლებ.
ვეტყვი ჩემს ფიქრებს, მოეხვიოს მას ძილში ჯარად,
ამ მიწა-წყალზე მოაქანოს წყალივით ჩქარა.
[ჩემს მთვრალ ნარგიზებს მე იმგვარად მოვლესავ დღისით,
რომ ის ამალამ მოიყვანოს ჩემთან შაბდიზით.
მაგრამ სანამდის მარიამზე მიუწევს გული,
უგულობისგან მას სირცხვილი აქვს დაჯარგული.]



جو فرها ز آن نگار خود چنان دید
بمهر خویش او را مهربان دید

بدستش آهن از دل خرد بگشت
بدست او کجن بر پای من بست

بدستش آهن از دل خرد بگشت
بدست او کجن بر پای من بست

بدستش آهن از دل خرد بگشت
بدست او کجن بر پای من بست

چو کوه آتشین بگشت او پدیدار
ز بیم کوه کمتر نعره زد زار

بجوشید از هوای آن دل زار
بسان مهر بر مه موج پیدا

دلش در بر طپید و جان همی داد
جگر خسته همی غلطید در خاک

دلش طاقت نبود از بیم دلدار
رمیده هوش گشت و شد گلو خشک

بسان مهر بر مه موج پیدا
جگر خسته همی غلطید در خاک

پس از یکدم چو مهر و جان همی جوش
بهوش آمد دل مسکین از آن جوش

چو روی او بدید آن ماه نو دید
بروی اندر فتاد و خاک می بوسید

გამშორდი, მე დღეს მახრჩობს თვითონ ცრემლების ღვარი,
შენ ვერ ასწავლი ტირილს, ვისაც დედა ჰყავს მკვდარი.
მე მოგონებით მისით მუდამ მიხარის გული,
იმას კი ვყავარ მთელ ყოფაში დავიწყებული.
არა აქვს იმას ტრფობის სუნი გულმოსახდენი,
არც არის ტანჯვა იმის გულში ბეწვის ოდენი.
იმ უმადურმა ჩემს ტრფობაში გატეხა ჰირი,
მაგრამ საწუთრო უფრო არის ამ საქმის გმირი.
[შიმშილის გამო მე არ მიწუხს ამჟამად გული,
არც მთლად ისე ვარ, ეს იცოდე, მოშიებული.]
იმდენს მოვითმენ და, მგონია, ეს შეიძლება,
რომ მისი ტრფობა ჩემს გულიდან ამოიშლება.
გულის ქამანდი მის ამაყ ქედს რად გამოვაბა
ან ტრფობის ძაფი ცეცხლს კისერზე რად გამოვაბა?
მე მიწა ვარ და იგი ცასთან შემიწონია,
მიწას ზეცასთან მეგობრობა როდის ჰქონია?
ყველა არსება მხოლოდ თავის ტოლთან მიიღტვის,
მტრედი თვით მტრედთან და ქორიც კი ქორთან მიიღტვის.
არ შეიძლება, ქარი მტვერთან ვერ გაჩერდება,
ცეცხლი და წყალი აბა ერთად როგორ დადგება?
არ შევხვედრივარ, განშორების რად მეშინია,
თუკი მკვდარი ვარ, პატიმრობის რად მეშინია?
სიმდიდრის მქონეს თან სდევს შიში და მწუხარება,
ხელცარიელ კაცს ქურდის შიში არ ეკარება.
ის ჩიტი არ ვარ, ვინმემ სადმე დამიგოს ძუა,
ქორი ადვილად ვერ დამიჭერს, ჭკუა მაქვს, ჭკუა!
ხოსროვი ჩინის სამხატვროში თუა გაზრდილი,
მლაშე მიწიდან არ ერგება მას თაფლი ტკბილი.
შაბდიზი თუკი ცის ცხენივით გამფრენი არი,
გოლგუნსაცა აქვს შესაფერი ძარღვი მაგარი.
თუ მარიამის ხე გადიქცა, როგორც შაქარი,
ჩემი ახალი ხურმაც არის მისი მაგვარი.
თუ იმით დიდობს, რომ მეფური ახურავს ქუდი,
არც მე მახურავს აქ გვირგვინი ძალიან ცუდი.
[ტანჯვა-წვალება ნახული მაქვს მე უთვალავი,
მინახავს ქვეყნად ბევრი კარგი და ბევრი ავი.]
არ მინდა, იგი გამწარება რომ დავივიწყო,
მე სულს მართმევდა, მარიამი მოლხენით იყო.
[იმ ბრძენმა კარგად მისცა იგავს ეს განმარტება,

რომ სიტყვას უნდა დიდი ცოდნა და ყურადღება.]
ერთს მარგალიტი სურდა დიდი და წვრილი ჰპოვა,
ერთს ძმარი სურდა, ამ დროს თაფლი მან ტაბილი ჰპოვა.
ყოველთვის ცხვარის მყერდს და ბარკალს ვერ იშოვნიან,
ბარკალს მოგცემენ და თან ყისერს დაგიწონიან.

არ გავყვებოდი ტრფობას, მე რომ ბედი მქონოდა,
არ გავტანჯავდი ჩემს თავს, მე რომ ასე მგონოდა.
მე ვცულუტობდი, ჯმაყოფილი მით იგი იყო,
ტყუილს ვამბობდი, ყველაფერი მართლად მიიღო.
გულს არ სცოდნია ჩემსას ესე საქმე-ბაზარი,
ღმერთი მაფიცე, გინდა რამე უფრო საზარი.
მე სიტყვის ძაფი ასე წვრილად უკვე დავგრიხე,
იმ ბნელ ღამეში მე ადვილად იგი დავგრიხე.
მე ასე ცივად სანთელივით სანამ ვეგდები,
მე ავენთები! თუ არადა ლეშად ვეგები.
მე მას არც ვაქებ, არც ვაგინებ (ნუ ხარობს, ნუმც წყინს!),
ჰოი, უფალო, შენ ხომ ჩვენი ყოველი უწყი!
ჩემს ტუჩს მას მივცემ, ვინც იქნება გულით მსურველი,
ჰალვას ვერ შეჭამს ყველა, ვისაც მკლავი აქვს გრძელი.
იგი ყვავილი, თვის მიწაზე რომ უნდა იყოს,
უმჯობესია, ვიდრე ქარმა იგი წაიღოს.
სჯობს, ველში ძაღლმა დამიჭიროს, როგორც ნადირი,
ვიდრე მტარვალი ლომისაგან მხვდეს გასაჭირი.
უთხარ, მოვიდეს ვაჟკაცურად, თუ მოახერხებს,
მის მაგიერად მოციქულებს ნუ უწყვეტს ფეხებს.
როცა ლომები ნადირობას დააპირებენ,
თავიანთ გამყოლთ ისინი თვით წინ გაუსწრებენ.
ჩემთვის ფეხები თუ შეუკრავს დოვლათს და ბედსა,
შენ ხარ საყრდენი, არ გავყვები გზად შენსა მეტსა.
განა ტომარა სხვების ზურგით გაიზიდება
ან განა ჯაჭვი სხვისი კბილით დაიღეჭება?
მას რა აზრი აქვს, სხვისით თავი რომ დავაკერო,
არ მსურს, ლოდინით ჩემი თავი რომ დავაბერო.
[თავი მე თვითონ გავიწამე, მე მიდევს ბრალი,
მე ამ დილეგში რომა ვზივარ, დავბერდი ქალი.
თავისი ცოდნით ვისაც კი ხმა ამოეღება,
მას არ ჩაიდენს, რითაც იგი გაილანძღება.]
ამ სიბერეში ღვინო შევსვა? გულს დამრჩეს ავლად?
რომ აიყრება, ქურთი თვისას დაკეტავს თავლას.

მე უვიცობით გაბმული ვარ ამგვარ მახეში,
ან ჩემი ცოდნით ჩავვარდები ისევ ჯარგ დღეში.
არ გაგიგია, ჯადოქარმა რომ თქვა ამაზე:
„ყველა ბოლსა აქვს წასავალი ხვრელი თვის გზაზე".
მე რაც ჯი ვნახე იმ ტანჯვით და ვაი-ვაგლახით,
გულიდან უნდა იყოს, არა სატრფოს დანახვით.
ქურდი, მე ვიცი, თავის სახლის არ არის ქურდი,
მე შემომხედე, თავი თვისი თვითონ გავქურდე!
ვერ გაექცევი საკუთარ გულს, ვერავითარი
ხერხი ვერ გიხსნის, ქურდს არ ძალგიძს უკეტო ყარი!
ლალს თუკი ვარჩევ სწორად, იგი რაღად ვიკითხო,
სოფელს თუ ვხედავ, გზის სიშორე რაღად ვიკითხო?
თვით ჩემმა გულმა თავის თავზე ცუდად იფიქრა,
თავისი ხელით ნაჯახი თვის ფეხზე დაიკრა.
გული მაქვს, მაგრამ სარგებელი არა მაქვს მისგან,
ჯობს, შევიკავო თავი თვითონ ასეთ გულისგან.
გული ბოროტად გადამექცა და სატრფო – მტერად,
მით უგულოდ და უსატრფოოდ დავრჩი ამქვეყნად.
ამ გულმა ერთხელ სატრფოს გულთან სიამე ჰპოვა,
მიტომაც მოხდა, რომ სიამეს გამოეთხოვა.
ბედისგან დარდი განუცდია ამქვეყნად ყველას,
მაგრამ ჩემებრი, არსაიდან რომ არ ჩანს შველა!
ფარულად სანამ უნდა ვიყო ცეცხლმოდებული,
ყოველდღიურად როგორ ვიყო გამწარებული?
ეს მოთმინება გადამექცა მე მწარე ჭინად,
ჩანს, საბრისაგან გამაკეთეს ბავშვის ტიკინად.[272]
თუმცა შორსა მაქვს სამშობლო და ჩემი ქონება,
არავის ძალუძს, ეს იცოდე, ჩემი მონება!
უანგაროზე და აზატზე რომ გითხრა სწორი,
ბრძანება არ სჭრის, ეს ისეთი რამეა ორი".
შემდეგ სადაფის მარგალიტი შაქარს შეახო,
შაქარყინულმა და უნაბმა ხმა ამოიღო:[273]
„თუ შაჰი იტყვის, რომ მას ახლა ჩემი აქვს ტრფობა,
უთხარ, ამგვარი არ ივარგებს ჩემთან ცელქობა.
იტყვის: ჩემს გამო განთიადის მომლოდნელია, –
უთხარ: იძინოს, ჯერ ადრეა, ღამე გრძელია.
იტყვის: შირინთან აბა როდის უნდა მივიდე? –
უთხარ: მარიამს მიხედე და ხმა გაიკმიდე!
იტყვის: ჰალვისკენ მსურს გავწიო ეს ჩემი, ხელი, –

უთხარ: რას იგრძნობს ჰალვის გემოს მთვრალი და ხელი.
იტყვის: ჩემს მყერდში იგი უნდა ჩაჯრული იყოს, –
უთხარ: მაგ ფიქრზე იმან ხელი უნდა აიღოს.
იტყვის: რომ უნდა დავაყარო ტუჩზე შაქარი, –
უთხარ: ნუ ლესავს იგი ჯბილებს, ტუჩი შორს არი.
იტყვის: მის ხალის და ზილფების ხელთ ჭერას ველი, –
უთხარ: რა? ვერა, ვერ მოგართვესს ჰა, იქით ხელი!
იტყვის: რომ მთვარის ლოყაზე მსურს ლოყის დადება, –
უთხარ: როქის წინ შაჰი აბა ვით გაჩერდება?[274]
იტყვის: დავიჭერ ხელით იმის ბურთს ნიკაპისას, –
უთხარი: პასუხს თმის ჩოგანით მიიღებს მისასს!
იტყვის: მას უნდა გამოვწუწნო ლალის ტუჩები,
უთხარ: შორიდან ნერწყვი ყლაპე, თუკი გაძღები.
ჩემი სიყვდილი თუა მისთვის ხელმისაცემი,
უთხარ: მის ხელში იმყოფება დაღუპვა ჩემი.
მის განშორებით თუ მიყურებს ამაყი თვალით,
უთხარ: მე წავალ, შენ თვითონ კი აქ დაჯექ ძალით.
თუკი დაიწყებს ის შეხვედრის კვლავ დაჭინებას,
უთხარ: გაჩუმდი, სანამ მე თვით არ მოგცემ ნებას.
[ახლა კი მინდა, ახლად სახლი რომ ავაშენო,
ჩემი ოცნება სხვა ფარდიდან რომ მოგაჩვენო,
ჩემი ზილფებით შენ გაგიჩენ ციებ-ცხელებას
და ჯადოქრობით მიგაძინო, მე მეხელება.
თუ ჩემი ტანი შესახედად ხეს მიგავს ლამაზს,
გული ქვის მიდევს, გეუბნები, არც ვმალავ ამას".]

მან ეს სიტყვები ტუჩებიდან რომ გადმოჰყარა,
ჩანდა იმაში საშინელი ქალის მუქარა.
როდესაც იგი ბროლის მინას ქვაზე ამტვრევდა,
მისი ლალები ამ დროს მათთვის ზავს ამზადებდა.
როდესაც შაფურს შეშლილივით ის გაუხელდა,
თანდათან გულში ეს სიგიჟე მას გაუნელდა.
სიმშვიდით უთხრა: „ჰოი, ჯაცო, ტყბილმოუბარო,
სიტყვა შენს ჰირში ისე მოდის, როგორც მთის წყარო.
თუ დროს იშოვი, მოახსენე ჯერ შაჰს სალამი
და გადაეცი ეს სიტყვები ჩემი ნათქვამი,
შირინმა თქვა-თქო: ცუდო სატრფოვ, დამრღვევო წესის,
სადაა შენი საუბარი, თაფლზე უტკბესი?
შენზე ვფიქრობდი, მაგრამ, ჩემო, შენ განმერიდე,
სხვა მშვენიერი განა შემდეგ ვეღარ იყიდე?

ან შენში არის ჩემზე ფიქრი სულ აღმოფხვრილი,
მოშურნისათვის მიგიცია გულში ადგილი.
უმართლო გული, დაე, გექნეს სამართლიანად,
შირინის ხვედრიც მოგეგონოს, დე, მადლიანად!
ვით ბედს მძინარეს, სიყვარული არა გწამს შენა,
ვითა საწუთროს, შეთანხმება არა გწამს შენა.
შეურაცხყოფილს რას დამეძებ, ბედით ონავარს,
თავისუფლება მომანიჭე, თუკი მონა ვარ!
შენს გვერდში ჩემს თავს შენზე მცირედ მე არა ვხედავ,
როგორც ხელქვეითს, შემოხედვას რისთვის მიბედავ?
შენის ფეხის ქვეშ ნუ მომაქცევ შენის მიღწევით,
თორემ მე ჩემს ფეხს დავდგამ შენი ჯარიბჭის ზევით
და თვალზე ცრემლებნადუღარი ცხარე პილპილით
მოგიყვან თვით ჩემს ჯარის ბჭესთან ჯვენსა-ტირილით.
არ გწამს არავინ შენი თავის სურვილის გარე,
არ უნდა იყო მარტოდმარტო თავის მოყვარე.
როდესაც მაგ შენს გულის სწრაფვას მხოლოდ ახსენებ,
სხვის მისწრაფებას შენ როდისღა წინ დააყენებ?
როცა გიჭირდა, როცა გზაზე ბალახს გლეჯავდი,
თანაც ათობით ამ საქმისთვის მშვილდებს ლეწავდი.
შირინს ის შენი მწუხარება მიჰქონდა გულთან
და რომ დაეხსენ, დაგავიწყდა შირინი სულმთლად?
[სანამდე ვიყავ შენს მეგობრად შენს აივანში,
მეც ვსვამდი ღვინოს შენთან ერთად შენს ბაღ-ბოსტანში.
ვბრწყინავდი მე შენს გამოჩენილ სტუმართ ჯრებულში,
ჩემს გამო იყო, სიხარული რომ გქონდა გულში.]
შენს ბაღში ჩემგან მონაწური სისხლი დავღვარე,
ბაღმა რომ ხილი გამოისხა, გამაგდე გარეთ.
შენი ცეცხლისგან ვერ ვიგრძენი მე სითბო რამე,
შენი ბოლისგან ვბრმავდებოდი მთელი დღე-ღამე.
ვაი სირცხვილო, ჩემი ტანი გატეხე ხელით,
დიდი რომ გახდი, დაამცირე ჩემი სახელი!
მდიდრები როცა თავის საქმეს არ ხედვენ ცუდად,
ჩაგრულებს უფრო იწყალებენ, სიკეთე უნდათ.
როცა დამცირდი, შენი ნდობა დავიმსახურე,
როცა გამდიდრდი, ჩემ წინაშე თვალი დახურე.
ცრემლთა მორევში სანამ უნდა ვატარო გემი,
სანამდე გიხმო ჩემდა შველად მიჯნური ჩემი!
შენ უმეგობროს მეგობრობა მე გაგიწიე,

როდესაც საქმე არა გქონდა, მაშინ მომძიე[79]*.
როს ჩემი საქმე სალანძღავად გადააქციე,
ეგ შენი ფარი სიყვარულის მდინარეს მიეც.[275]
ბარათი ჩემი სიკვდილისა შენ განამზადე
და განშორების სატანჯველსა მიმეცი ამდენს.
გაწვრილდა გვამში, როგორც ძაფი, ეს ჩემი სული,
ნუ გასწევ, იგი ადგილზეა თავით მიბმული.
ნუ ჩასცემ მახვილს შირინს ძალად ჯავრზე მოსული,
ჯმარა, რომ შუბი თვით რუმში გაქვს შენ წალებული.
ლამაზი ხატი როცა მხოლოდ რუმშია შენი,
სომხეთის ჰალვას შესაჭმელად ჩამოეხსენი.
რუმის ბაღიდან რომ გაქვს ბევრი ვარდი წითელი,
სომხეთის ტახტის დაჰყრობაზე აიღე ხელი.[276]
ნუ იზამ, რადგან სიცხისაგან ცეცხლი გაჩნდება,
და ცეცხლისაგან იმწუთშივე ბოლი ადგება.
ათასს ჯავშირი ღვინის სმისათვის აქვს მეგობრული,
ტანჯვისთვის ერთი მაინც გყავდეს შემონახული.
შენ შენი საქმით შემაწუხე, დამტანჯე მართლა,
მახეში მითრევ, არ მაფარებ, რომ მიხსნა, ჯალთას.
საწუთროს ჯალთა ნუ აავსე ეკლით და ძეძვით,
ნუ აყრი მარილს გულდაჭრილებს, ხომ ხედავ, ეწვით!
შენ დიდ შაჰებთან ქეიფის დროს ძილი გაქვს ტაბილი
და რას დაეძებ, რომ არა აქვთ ყარიბებს ძილი,
[ორი ურემი რუმაული რად გინდა ნეტა,
სომხეთით ერთ ტვირთიღა თუ შენს ურემს ედვას?]
მომეც საშველი მე, ამჟამად რომ ვარ ტანჯული,
ვარ მხოლოდ ჩემი მწყალობელი ღვთის მოყვარული.
ისევ მახეში გაბმულად სცან შენი ფრინველი,
რომ გადიფრინა ერთხელ ჯიდევ უდაბნოს ველი.
ნუ იზამ ისე, რომა ლაფში ჩაეფლოს ვირი,
შეყვარებულმაც გაოცებით დააღოს პირი!
ცეცხლს ნუ შეუნთებ, სული მაინც დამწვარი არი,
დაიხსენ შენთვის სალოცავი ჩემი ტაძარი.
იმ ცეცხლში, ჩემში რომ იყო ის ტრფობის აღმგზნები,
ვაი რომ უნდა ჩემი ტრფობის დაიწვას ძნები!
ყოველ ძარღვს ჩემსას შენი დარდი დაუსვა გველად,
თმების ძირები ვნებისაგან დავგლიჯე მთელად.
მთელი დღე-ღამე მოსვენება ჩემთვის არ არის,

[79] მეორე გამოცემაში ეს ბაითი არ იკითხება.

შენგან მცირედი შებრალება ჩემთვის არ არის.
მოთმენა როგორ შევიძლო ამ გაჭირვებაში,
ასე ჯოჭლობით რანაირად მივიდე სახლში?
ჩემი ცრემლი და ვაი თუჯი დაითვლებოდა,
ზღვა ნამად, ჩინჩხვრად ჯოჯოხეთი გამოჩნდებოდა.
ზღვაში დამეწვა ჩემი გემი და ჩემი ნავი,
ხან ჯოჯოხეთში, ხან ედემში მგონია თავი.
ასე რომ არა, ჯოჯოხეთში რისთვისღა ვხარობ,
რისთვის დავეძებ უკვდავების ამაოდ წყაროს!
[ისევ ჩავარდა მის მახეში იგი ფრინველი,
გადაიფრინა იმან ისევ უდაბნოს ველი,
ზღვის შავარდნისკენ გამალებით იგი ყვლავ მიჰქრის,
რომ სულ გამხეცდეს შავარდენი უდაბნოს მინდვრის.
ნუ იქმ, რადგანაც ჩემი თმები ყვლავ იმღელვარებს,
მეგობართათვის მეგობრულად გააღებს ჯარებს.
ან ჩემს ფარდიდან ამოიღე საკრავი თარი,
სხვანაირ ფარდზე იმღერე და თან დაუკარი.
თუჯი ჩემს ფარდზე შენ სიმღერას დაამახინჯებ,
ამ ჩემს ალერსსა და სიყვარულს სხვას მივანიჭებ.
დედაბრის ლამპარს თუ კარგად არ მოეკიდება,
პატრუქს ამოსწევს და მის შემდეგ ყვლავ აინთება.
ჩემს ლამპარს ჯერ არ ჩაქრობია პატრუქის ალი,
ისე ანათებს, ვით თავლაში ძვირფასი თვალი.
მე შემიძლია თვით საკერპე რომ ავაშენო,
რაოდენიმეთ სისულელე რომ მოვაჩვენო.
მე ჩემს ოცნებას საიდუმლო ფარდა ავხადო,
და სხვას უგულომ სიყვარულით გული მივანდო,
მიჯნურის სახე ამ სინაზით რომ გაჩენილა,
ჩანს, ეს ქვეყანა სიყვარულით არ გამოცლილა.]
ცუდ გულზე როგორ არ ვიქნები მე დღეს უშენოდ,
ვიყავი შენთან შარშან მე და ვარ წელს უშენოდ.
შენ თვით მიწა გაქვს და მიწის აქვს იმას ჯარები,
მე კი წყალი მაქვს, წყალი თავზე გადასარები.
ცრემლთა მორევში სანამ უნდა ვატარო გემი,
სანამდე გიხმო ჩემდა შველად მიჯნური ჩემი!
ეს ჩემი საქმე უშენობით არ მოთავდება
და ქცევას ჩემსას შენი ქცევა უდევს თავდებად!
იცი, ვინც ყვდება, სანამდისინ სულ არ მოყვდება,
მანამ იმედი სიცოცხლისა არ ეკარგება.

ჭკუა ცოდნისკენ მიმითითებს ჭკუაშემცდარსა,
მაგრამ ტრფიალი მის დავთარში რომ არ ჩანს არსად!
ჭკუის მერანზე ახალგაზრდა თუ ვინმე მჯდარა,
იგი მიჯნური არ ყოფილა, არა და არა!
ლხენის წამალი ჭკვიანისგან უნდა გაჯეთდეს,
რომ უჭკუოებს დასაცველად იგი მიეცეს.
მიჯნური ვერა, ვერ მოითმენს, წესი ეგ არი,
თუ მიჯნურია, უნდა იყოს დაუდეგარი.
მოთმენა მუდამ ტრფობას არის დაშორებული,
არ არს მიჯნური, ვისაც დიდხანს მოუთმენს გული.
ამგვარად შირინს თუ აქვს სული დარდით მოცული,
ხოსროვისაგან დარდი იყოს შორზე წასული!"

როცა მან შაფურს ეს ამბავი სრულად გადასცა,
შაფურმა მის წინ მოწიწებით მიწას აჯოცა:
„ჩვენს საუბარში შენი აზრი უდიდესია,
ყველა ნათქვამი ისე არის, როგორც წესია",
მის შემდეგ, რასაც იგი გულში ფიქრობდა თავად,
არც ერთ სიტყვას მას არ ეტყოდა აუწონავად.
სიტყვას ღირსება ცოდნით მიეც და მოიმარჯვე,
როგორც რომ ოქრო, ასწონე და ისე დახარჯე.

ფარჰადის ტრფობის დასაწყისი

ნაზი ფერია, დახატული, ფარჩაჩაცმული;
ჯერჰი, გულქვა და ვერცხლისფერად ყელმოქარგული.
[ნახატი ჯერჰთა სამხატვროსი – სახე ჩინური,
სწორი საროს ხე – მწვანე ველის, ქალი ღვთიური,
შაჰთ სანატრელი, დიდი გვარის სამყაროს თვალი,
ვნების აღმძვრელი მთელი ქვეყნის, ირანის ქალი.]
იმ ხეივანში ის ლამაზი რომ ბინადრობდა,
იგი რძის გარდა შესაჭმელად არას ხმარობდა.
თუმც ასნაირი ჰალვა იმის სუფრაზე იყო,
მისი საჭმელი ფაშატის და ცხვრისა რძე იყო.
რადგან ოთხფეხი ცხოველები მათ შორსა ჰყავდნენ,
რძის მოსატანად იმისათვის დიდად ზრუნავდნენ.
და გარეშემო საცხოვრებელ ხეივნის ველის
სულ ხარისძირა ბიბინებდა, ვით შხამი გველის.
ამ შხამბალახას მწყემსი როგორც ჯი შენიშნავდა,
თავის ჰირუტყვებს სხვა ადგილზე გადაიყვანდა.

შირინის გული რძის შესახებ ანგარიშობდა,
ამჟამად საქმის მოგვარება როგორა სჯობდა.
რომ რძის მოტანა სასახლეში იმ ადგილიდან
იმის მსახურებს ცისმარე დღე ძალიან ღლიდა.
როს ღამემ შავი თმები ზურგზე გადაიყარა,
ოქროს მთვარისა რგოლი ყურში მან გაიყარა.
იმ დარდის გამო, იმ მთვარეს რომ გული ეწვოდა,
ვითარცა გველი, ქალი ისე იკლაკნებოდა.

შაფურმა მის წინ მოიხარა მუხლები ნელად,
მრავალნაირი გაამზადა სიტყვა სათქმელად.
ის მოსაზრება იმ ალვის ხეს წინათ რომ ჰქონდა,
შაფურის ბრძენმა გულმა იგი ადრე იცოდა.
ვარდისლოყებამ თავის სიტყვა რომ დაასრულა,
მისი მსმენელი ყაყაჩოსებრ გაწითლდა სრულად.
ულოცა, როგორც ინდოელი ფერიებს, მითი
ადიდა, როგორც ოტარიდი მუშთარს ადიდებს:
„არისო ვინმე საქმის მცოდნე ჯაცი ოსტატი,
ბრძენი ჭაბუკი, სახელია მისი ფარჰადი.
ყველაფერს სწვდება მისი ჭკუა მეტად ცხოველი,
მან ეკლიდოსის მოძღვრებანიც იცის ყოველი.
ის ხელოვნებით გასაკვირველ რალაცას სჩადის,
წარაქვი მისი თვითონ თევზის ზურგამდი ჩადის.[277]
ის ხელოვნურად წითელ ვარდისფერს გაამზადებს
და რკინით ჩინის ლამაზ სურათს ქვაზე აკეთებს.
იმის მარჯვენას დიდი რუმი ჰკოცნიდა მთელად,
იგი ნაკახით მარმარილოს აქცევს სანთელად.[278]
[მისებრ ოსტატი ქვეყანაზე კერ არ ყოფილა,
ადამის შვილი იმნაირი კერ არ შობილა.
სანთელს და რკინას ერთნაირად სჭყლეტს მისი ხელი,
მის წინ თუნდ გრდემლი ყოფილა და თუნდა სანთელი.”

პასუხი მისცა შირინმა მას პირდაშაქრული:
„შენ უნდა იქნე ამ საქმეში ახლავ ჩაბმული.
მასში დღეს შენი მეგობრობა მე დამიმტკიცე,
თუ არა, ვაი შირინს, უნდა ქვა თავში ვიცე!
ეს ჩემი გული შენით არის მსასოებელი,
ყოველ საქმეზე უთუოდ შენ გიწვდება ხელი”.
ემთხვია მიწას მთვარის ფეხთან გმირი შაფური:
„ყეთილი მოგცეს და შორს შენგან თვალუბედური!
შენდა სამონოდ მზად ვარ, დავდო ეს ჩემი თავი,

რასაც მიბრძანებ, შევასრულებ, მშვიდად იყავი!
ვიცი ყოველი ხელოვნება, რაც კი წესია,
მოვაწყობ საქმეს ისე, როგორც უკეთესია.]
მაგ ოსტატობით თუ ეს საქმე დღეს მოხერხდება,
ამ წყაროს ვარდი შენს ეკალზე ამოიზრდება.
ყოველი საქმე, თუ არ იცი, საძნელო ხდება,
ჯერ საქმის ცოდნა და მის მერე საქმის კეთება!
ბეჭდის კეთება გსურს? აკეთე, და თუ არ იცი,
არა რკინისა და ოქროსი, – სანთლის და მიწის.[279]
თუ შენ მიბრძანებ მის მოყვანას, მე ავასრულებ,
თვით თუ არ მოვა, ჩემი ძალით დავიყაბულებ.
ჩვენ ხომ ორივე გაჩენილი ერთად ვართ ბედით,
ორივე ერთი ოსტატიდან ჩვენ გამოვედით.
და ჩვენ მივიღეთ, რისიც გვქონდა ნიჭის ნასახი:
მომცა ჯალამი სამხატვრო მე, იმას – ნაჯახი."[280]

როცა შაფურმა ამ მოთხრობით დააშოშმინა,
რძეზე წუხილი შირინს გულით ამოედინა.
და როდესაც დღემ ნათელი მზის სარკე ახურა,
ასთვალა ღამემ, როს ასივე თვალი დახურა,
მოვლო შაფურმა დაკვირვებით ადგილი მათი,
ჩაიგდო ხელში, როგორც იქნა, მარტო ფარჰადი,
[უთხრა: „ჰოი, შენ, ამ დროების დიდო ოსტატო!
გიხმობს შირინი, რომ შენ იმას გამოეცხადო".
ჩაფიქრდა ამ დროს ის ფარჰადი, ვით შავდღიანი,
ნუთუ იქნება იმისათვის დღე მადლიანი?
მან რა იცოდა, თუ საწუთრო არ ასვენებდა,
თუ ჯვლავ უარეს განსაცდელში ჩააყენებდა.]

შირინს მშვენიერს მეტისმეტად ეს გაუხარდა,
დიდკაცთა წესით ფარჰადს ტახტიც კი გაუმზადა.
უშველებელი ქვის ოსტატი მთისებრ მოვიდა,
მისი დანახვა ადამიანს შიშის ზარს ჰგვრიდა.
ვით ერთი სპილო, იყო იგი მსხვილი, მაღალი,
ორი სპილოსი ჰქონდა იმას ღონე და ძალი.
მეთვალყურენი უფერებდნენ მას თავის ღირსად
და სადგომიც კი განუმზადეს შესაფერისად.
იმ ფარდის გარეთ თვით ფარჰადი იყო დამდგარი,
სამსახურისთვის წელი ჰქონდა შეკრული ქამრით.
ფიქრობდა: „ბედი ათამაშებს ამგვარ თოჯინებს,
ამ ფარდის გარეთ თამაშობით რას მოგაჩვენებს?"

ქვეყანამ უცებ წამოიწყო რაღაც განგაში
და ფარდის უკან თოკინებმაც იწყეს თამაში.
შირინს სიცილი მოერია შაქრისმაგვარი,
დაიწყო ამ დროს უდარდელად ტაბილი ხარხარი.
იმან შაქრის და იაგუნდის ყუთი გააღო,
იქედან ლალი და შაქარი მან ამოიღო.[281]
ახალ ხილს, მისი ხურმა უხვად რომ იძლეოდა,
მისი სიტკბოთი ხურმის სიტკბო დაიძლეოდა,
საჭმელად იგი ტკბილი ხურმა, რძეშენარევი,
იყო თაფლივით საწვეულო გადასარევი.
ტუჩის კალთიდან იგი იმდენ შაქარს აბნევდა,
რომ შაქრის კალთით ხუზისტანში იგი აღწევდა.[282]
იმას შირინი იმის გამო ერქვა სახელად,
ლაჰარაჯის დროს ტკბილი ენა ჰქონდა სათქმელად.
იმის სიტკბოზე რა უნდა ვთქვათ გასაკვირველი?
მის სიმღერის დროს იძინებდა თევზი, ფრინველი.
როცა ტუჩებით სიტყვის სასმელს მოამზადებდა,
შაქარყინული ყურთ მონობის რგოლს დაიდებდა.
ხალხთა კრებულში, სადაც იგი ტუჩს გააღებდა,
არვინ იყო, რომ მისთვის სულს არ გაიმეტებდა.
ვის ყურშიც მისი ტკბილი სიტყვა კი გაიარდა,
თუნდაც პლატონი ყოფილიყო, გონს დაკარგავდა.
როცა მოსმენა მისი სიტყვის ფარჰადს მოუხდა,
აღტაცებისგან გულ-მუცელი სულ აუდუღდა,
მთელი ძალ-ღონით, რაც შეეძლო, შეჰყვირა ძალზე,
გახდა უძალო და განერთხო იგი მიწაზე.

დაიწყო ხოხვა მიწის პირზე მან დაუთვლელი,
იკლაკნებოდა და სცემდა თავს ძირს, როგორც გველი.
ნახა შირინმა იგი ესდენ ტანის ცახცახით,
უცემდა გული, როგორც ფრინველს გაქცეულს მახით.
თითქოს საშველი მისცა სიტყვით რამე ახალი,
მაგრამ მით მაინც მოიტანა მახის მარცვალი.
ამავ დროს უთხრა: „ჰოი, მცოდნევ, დიდო ოსტატო!
მინდა, რომ ერთი სიხარული მე მომმიმატო.
ჩემი თხოვნაა, ჰოი, ყაცო გონით ავსილო,
ამ ჩემს გულს ტანჯვის ბორკილი რომ შემოაცალო.
ჭაბუკურ ხელით და ოსტატურ სულისკვეთებით
მიდი, იმ კოშკზე ჰქენი საქმე თავგამოდებით,
ფარა შორსა გვყავს, რძის მოტანა გვიჭირს საშინლად,

გვიღონე რამე, რომ მივიღოთ იგი ადვილად.
ცხვარი აქიდან ორ ფარსანგზე ბინადრობს ჩვენი,
უნდა გაეეთდეს ქვისგან რძისთვის არხი სადენი.
ჩემმა მწყემსებმა რომ მოიწველონ იქ ჩემი ცხვარი
და მსახურებმა აქ მიიღონ რძე მონატვარი".
[ბედს ამ საქმეში ჩვენთვის ჯარგი თუ არ დაზარდეს,
მსურს, რომ ეს საქმე უსათუოდ მალე მოგვარდეს.
რაც გინდა, ჩვენგან მოითხოვე, რომ შეიძინო,
და ამ საქმეში სისუსტე არ გამოიჩინო!"]

შირინის სიტყვა იყო ისე გულმომხიბლავი,
რომ ჭკუისაგან დაიცალა ფარჰადის თავი.
სიტყვის მოსმენის ჯიდევ ჰქონდა იმას შეძლება,
მაგრამ სრულებით არ შეეძლო აზრის გაგება.
[მან მონდომებით სუყველაფერს ხელი მოჰკიდა,
იმ ტკბილი სიტყვით მას გონება მთლად წაუვიდა.]
უნდოდა, რამე უპასუხა, მაგრამ ვით? რითი?
და სიუძლურით მიიფარა მან თვალზე თითნი.
მიმართა მსახურთ, რომ აუხსნან მას ყველაფერი:
„მთვრალი ვარ მე და მთვრალის გული ხომ არის შტერი.
არ ვიცი მე, მან თუ რა მითხრა, მოდით, მითხარითl
, მიიღეთ ჩემგან მაგიერი რამ საჩუქარი!"
იმ მსახურებმა ის ნათქვამი წარმოადგინეს,
და ყველა სიტყვა მას ხელახლა გააგებინეს.
როგორც გაიგო ეს ნათქვამი თვითონ ფარჰადმა.
დაიდო თვალზე მოწიწებით ყოველი აღთქმა.
მას ამ საქმეში ვაჟკაცობით თავი მოსწონდა,
რომ ლამაზებთან მას ლამაზი რამ საქმე ჰქონდა.

წავიდა იგი და აიღო წერაქვი ხელში,
შეყვარებული მიდიოდა ოხვრით და ხვნეშით.
[ჰკითხა: „ადგილი, აბა, იგი სად იმყოფება,
სადაც შირინს აქვს რაღაც დიდი რამ მისწრაფება?"
ერთმა ნამდვილად მცოდნე ჰირმა იგი ადგილი
აჩვენა იმას, – რაიც დღესაც არის ცნობილი.]
ასე დაგლიჯა მან წერაქვით ის მხარე მთელი,
გადიქცეოდა იმ დარტყმით ქვა, ვითა სანთელი.
წერაქვით იგი გრანიტის ქვას იმგვარად ფხვნილდა,
ყოველი დარტყმით ორ ძვირფას თვალს იღებდა მითა.
როდესაც იგი თავის წერაქვს ქვაზე დაჰკრავდა,
ყოველი ქვიდან წმინდა ლალი მას გამოჰყავდა.[283]

ერთი თვის შემდეგ, რომ იბრძოლა, გრანიტის ქვიდან
გამოადინა წყაროს ღელე, როგორც რომ ზღვიდან.
ცხვრის ადგილიდან სასახლემდე რომ მოატანა,
მან ორჰირი ქვის სწორი არხი გამოიყვანა.
იმას რომ მორჩა, იქ აუზი მან გააკეთა,
სამოთხის აუზს იგი ბევრად გადაამეტა.
ისე ლამაზად გააკეთა იმ ქვების მილი,
რომ არსად დარჩა ჩასატევი ბეწვის ადგილი.
და ის აუზი ისე იყო ამოკვეთილი,
გამოირბენდა მისგან წყარო ამო, კეთილი.
საქმე ყოველთვის მაშინაა მძიმე და ძნელი,
როდესაც ჯარგად არ მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი,
ასი მთა, თუნდაც მთელ ფოლადად ის გადაიქცეს,
ადამიანის ხელში იგი უნდა დაიქცეს.
რაც უნდა იყოს, ყაცი მასთან რაღაცას ხდება,
სიყვდილის გარდა, იმასთან კი ყველა მარცხდება.

შირინის წასვლა ფარჰადის სანახავად

ვადასცეს შირინის, რომ ფარჰადის ნამოქმედარი,
ერთ თვეს ნაშრომი აუზი აწ რძისა მზად არი,
რომ მთელი ღამე წამოსული რძე ჩვენი ცხვარის
მოვა აუზში გაუცდენლად, ვით ნიაღვარი.
მოვიდა იგი იქ, სამოთხის სახისმაგვარი,
დარბის რძის წყაროს გარეშემო გულგანახარი.
ისე ეგონა, ეს აუზი გასაკვირველი,
ნამოქმედია არა ყაცის, თვის უფლის ხელის.
დიახ, აქ თითქოს ყაცის ხელის არაფერია,
აგერ სამოთხე, რძის წყარო და ქვაზე ფერია.[284]
შეაქო დიდად თვით შირინმა ფარჰადის ხელი,
ვისი წყალობით შექმნა მან ეს გასაკვირველი.
როცა გაშორდა ჯაფა, ახლოს ის მოიყვანა,
სხვა მახლობლებთან იგი ახლოს მოისვა თანა.

„შენს ოსტატობას ჩვენ სხვა საქმეს ვერ გავუყადრებთ,
შეგირდის ხელფასს ჩვენ ამისთვის ვერ შემოგკადრებთ!“
ძვირფასი თვალთაგან იმის ხელში რამდენიც იყო,
ზოგ-ზოგი თავის საყურედან თვით გამოიღო,
ყოველი ფასით თვით გვირგვინის შესაფერისი,
სათითაოდ კი დიდი იყო ღირსება მისი,

გაიძრო ყურით და ბოდიშით სთხოვა: „მიიღე
ეს საჩუქარი გინდ შეიბი, გინდა, გაჰყიდე!
როცა დრო მოვა, არ ვიქნებით სულ ასე ავად
ვფიცავთ, სამსახურს დავაფასებთ ჩვენ შენსას ყვლავაც!"
ამ განძისათვის მან მადლობა ჯერ აღიარა,
ჯერ გამოართვა, შემდეგ ფეხის წინ დაუყარა
და გაეშურა გამწარებით უდაბნოს მხარეს
მთელ უდაბნოში, ვით მდინარე, ცრემლს ღვრიდა ცხარეს,
შიშით, რომ იმის საქმეს სხივი არ მოჯლებოდა,
ის ვაჟკაცურად ყველა სულდგმულს ერიდებოდა.

ფარჰადის მოთქმა შირინის სიყვარულის გამო

როცა ფარჰადმა შირინს გული დაუკავშირა,
მოთქმა-გოდება მის ტრფობაზე მან გაახშირა.
ტანჯვა-ვაებით წუთისოფელს ის შესჩიოდა,
არარა საქმე ხელიდან არ გამოსდიოდა,
არც მოთმინება, რასაც მოსდევს იმედი-შვება,
და არც იმედი, რომ ექნეს მით მას მოთმინება.
უძლურებაში მისი გული იყო ჩაფლული
და ჰქონდა ხელი უძლურ გულზე მას მიდებული.
[შირინის გამო ვერ წაართვა თავი სატანჯველს,
ურევდა თავის გულის დარდებს შირინის ნაღველს.]
ენა საქმის და საქმე – ტკბილი მას წაუვიდა,
სხეულის ძალა, თვალზე ძილი მას წაუვიდა.
ვით მავნე სული, ყაცისაგან იყო გამდგარი,
ვით ავადმყოფი, ლოგინიდან სიცხით ამდგარი.
ხეტიალობდა მთა და ბარში მოუსვენარად,
მოთქვამდა იმავ მთა და ბარში გულშესაზარად.
სარო სხეული, ვით ვარდის შტო, სულ მოეხარა,
სამოსი ვარდის ფოთოლივით მიყარ-მოყარა.
დოქურ ტირილით, ბულბულივით მომთქმელმა დარდით
გადაინასკვა გული, როგორც ყოყორი ვარდის.
მის მწუხარებას თანამგრძნობი არავინ ჰყავდა,
მეგობართაგან ხელშემწყობი არავინ ჰყავდა.
ორად გადიქცა მით, რომ გზაზე ეკალსა სთხრიდა,
რაღა ეკალი, თავის ფეხში ლურსმანს იყრიდა.[285]
არა, ამ ეკლით მწუხარების ჯალთას იხევდა,
არა, მახვილით მოსაკლავად თავს იმეტებდა.

სიშორისაგან იმას სევდა გაუმეორდა,
მოთმინებას ჯი ამის გამო თვით ჩამოშორდა.
ყოველ საათში სისხლის ცრემლი იმას სცვიოდა,
ყაყაჩოსფერად ჰირის სახე მას უღვიოდა.
ტირილით ჰავას სევდის ქუდი გადმოაფარა,
თვით ზეცას გული სივალალით მთლად გაებზარა.
ვით ბავშვს, რომელსაც მოესურვა ჯამით სასმელი,
ჯერ წყალს არ იცნობს, და არ იცის ძიძის სახელი.
სიცხით ნაართვა სიყვარულმა სიმშვიდე სულის
და აუდუღა ერთიანად შვიდი სხეული.[286]
მოიცვა გულის ცეცხლმა მისი გონება მთელი,
და სიცხისაგან დასწვა იგი როგორც სანთელი.
ჭრილობისაგან მის გულსა აქვს ასი ნახვრეტი,
მის სულს არა სურს არაფერი სიკვდილის მეტი.
ტანჯვა-ვაისთვის ის ჰირდაჰირ სამიზნო გახდა,
უბედურება მისი ყოველ საზღვრებს გარდახდა.
შირინის ტრფობის გამო ისე მწარედ ტიროდა,
რომ იმისი ხმა, ვინ იცის, თუ სად არ მიქროდა.
გულს მოსვენება დაეკარგა, ბედი ჯი მოკვდა,
მისდევდა თვის გულს და შეკრული ბარგი მოჰქონდა.
მტერს და მოყვარეს გაურბოდა (დარბოდა მარტო),
როგორც ეშმაკი – რკინას, ანდა შელოცვას – ჯადო.[287]
ტანჯვამ იძალა და ეს ტანჯვა ატკბობდა მასა,
იყო ნანგრევში შენახული განძისა მსგავსად.
აშინებს დარდი, ფხიზელია იგი თუ მთვრალი,
როგორც გველს ქვა და აგრეთვე მგელს მწყემსის ჯომბალი.
უკვნესდა გული, მისი თვალი ცრემლმა მოიცვა,
მთელი ჯიგარი ტანჯვის ცეცხლზე მწვადად შეიწვა.
უწამლობისგან არა ჰქონდა იმის დარდს შველა,
უზომო დარდი მოსწოლოდა, მტანჯველი ყველა.
ის მარტოდმარტო იყო სევდას თავმიცემული,
შორს მეგობრისგან სატრფოსაგან მიტოვებული.
შირინის ტრფობა ჰქონდა გულში ჩახუტებული,
ფარჰადის თავი ჰქონდა მუდამ დავიწყებული.
არვინ შემბრალე, – ტანჯვით ჯამი რომ გაეგზავნა,
არც მეგობარი, – მისთვის რამე რომ გაეგზავნა.
თუკი შირინის ფეხის მტვერი აქ მოატანდა,
ვითარცა სურმას იმას თვალში ამოისვამდა.
თუ იმის გაზაზე რამე ბალახს დაინახავდა.

მას აყოცებდა და დიდებით ქებას ასხამდა.
ის თავის სახეს დასანახად ხალხს არ ანდობდა,
იგი ტაბილ სიტყვას, შირინის მეტს არას ამბობდა.[288]
სიყვარულისგან მისი გული ისე დაბრმავდა,
თუ გული ჰქონდა, მისი ცოდვა ყველას დასწვავდა.
ვინც თავის გულში ცეცხლს აანთებს გაუნელებელს,
ქვეყანა იმას არ გაუშვებს სრულად დაუწველს.
როცა მის სახელს ეს ჭაბუკი გაიხსენებდა,
იმის სახსოვრად ყოცნით მიწას არ ასვენებდა.
როდესაც იმის სასახლისკენ თვალს მიაქცევდა,
ტანსაცმლის ნავლად ის თავის სულს ნაჭრებად ხევდა.
ვით გიჟი ცხენი, მთელ მიდამოს რომ მოედება,
მინვდრის ცხოველებს სამეგობროდ უკავშირდება,
და ამ ველში რომ განიცადეს ლხენა და ჭირი,
იმის გარშემო შეიკრიბა ყველა ნადირი.
ერთი გვერდს უწვა, მიჰყვებოდა სხვა ადგილებზე,
ერთი ყალთაზე ჰყოცნიდა მას და ერთიც ფეხზე.
ზოგჯერ შველებთან თავისუფალ განცხრომით ხტოდა,
ზოგჯერ ირმებთან ამხანაგურ დოღში გარბოდა.
[ხანაც შველებთან განუწყვეტლივ მიმოდიოდა,
ხანაც ყანჯრებთან მეგობრული კავშირი ჰქონდა.]
ხან ირმის ცრემლებს აგროვებდა თავისი ხელით,
ხან ლომების კუდს ვარცხნიდა ის ხის სავარცხელით,
[ზოგჯერ სხვადასხვა ნადირნი მას მეგობრად ჰყავდა
ზოგჯერაც ქორთან და არწივთან იგი ფრინავდა.]
დღისით შველებთან ამხანაგურ დროს ატარებდა,
ღამით ირმებთან საიდუმლოს იზიარებდა.
მთელი დღე-ღამე ხის ჩარხივით იგი ბრუნავდა,
საჭმელ-სასმელზე დარდისაგან აღარ ზრუნავდა.
იგი იმ ბილიკს პირველად რომ დაადგებოდა,
თუკი გზა იყო, თუნდ ერთი თვეც თან მიჰყვებოდა.
ასი კედელი თუნდაც რომ წინ დაუხვდებოდა,
ვერ შენიშნავდა, თუ შუბლი არ გაუტყდებოდა.
თუ თვალში ვინმე გამეტებით ისარსა ჰკრავდა,
იგი შიშისგან წამწამებსაც არ დახუჭავდა.
სიარულის დროს თუკი გზაში ჭა დახვდებოდა,
იგი ბრმასავით იმ ჭაშივე ჩავარდებოდა.
იმისი გული ვერც ცოცხლობდა, ყოვნაც არა ღირს,
მარცხი წინ გზაში, მარცხი ზევით და აგრეთვე ძირს.

ერთი ღამე და ასნაირი ტანჯვის ტარება,
ერთი გული და ათასობით ჯი მწუხარება.
სასახლისაკენ თუ მთისაკენ გზას რომ სჭედავდა,
იმისი მოთქმა და გოდება ქვას გახვრეტავდა.
ლხენა ტანჯვისგან რომ ჰქონდა მას მთლად წართმეული,
ის ლხენა ასჯერ უფრო მეტად განდევნა გულით.
ტანჯვა რომ იყო იმის გულთან თვით განწყობილი,
მას თვით მოჰყავდა ორჯერ უფრო ჩქარი სირბილით.
მწუხარე სახეს ცრემლთა სისლით ის ირეცხავდა,
სევდის მორევი თვალებიდან მას გამოჰყავდა.
თვით არ იძინებს, თუმცა ძილი თვალებს ედება,
მოსულ მეგობრებს წინ ჯარი არ დაეყეტება.
ბარგს და ბარხანას ის საკუთარს ვეღარა სცნობდა,
ბარგი-ბარხანა სახლში მას სხვა ვინმესი ჰქონდა.
საკუთარ სხეულს შურის თვალით იგი უცქერდა,
სხვისი სხეულის სილამაზეს გულში იჭერდა.

დარბოდა იგი მოუსვენრად დღისით და ღამით,
სანამ საკუთარ ღონეს სრულად ჯარგავდა ამით.
უნდოდა, ტანი მისი ისე რომ გამხდარიყო,
სატრფოსთან, როგორც ერთი ტანი, ისე მდგარიყო.
ვერ მიხვდა ჩიტი, გალიაში რომ ალარ იყო,
მეფე წავიდა, ალარავინ სახლში არ იყო.[289]
იგი ტრფობის ჟინს იმოდენად ადიადებდა,
რომ თავისაგან თავის სატრფოს ვერ ანსხვავებდა.
თუ სინათლეს და ცეცხლის ჯარებს დაინახავდა,
ის განშორების და შეხვედრის წუთს შენიშნავდა.
ყველა სურათი, რომელიც წინ დაუდგებოდა,
იგი ბედნიერ ვარსკვლავად მას ეჩვენებოდა.
ვინ არის იგი, რომ ტრფობაში ბედს ეღირსება?
თუ ეღირსება, თვითვე ძნელად შეეთვისება.
ყველა სურათი, რაც გამოვა, ჯარგად თუ ცუდად,
მას გარდაქმნიან, თვის ნებაზე, როგორაც უნდათ.
ყოველ ყვირაში იმ ფერიას ესტუმრებოდა,
და სანახავად მოშორებით მისგან დგებოდა.
ის ამის შემდეგ ყვლავ უდაბნოს მიაშურებდა
და მწუხარებას მიყნურისას იდასტურებდა.
დაღამებისას მოდიოდა იგი მხეცივით,
იმ აუზიდან სვამდა იგი რძეს შერბეთივით.
იმ რძის გარდა მას სხვა სასმელი არსადა ჰქონდა,

აუზის გარდა წასასვლელი არსადა ჰქონდა.
ღამით აუზის საფეხურს ის არ სცილდებოდა
და იმ აუზის გარეშემო ეხეტებოდა.
ამბავი ესე ცნობილ იქმნა მთელ ქვეყანაზე,
ჯიდით ჯიდემდე გაისმოდა ყველა ენაზე.

ხოსროვის მიერ ფარჰადის სიყვარულის შეტყობა

ერთმა, რომელიც მოხვდებოდა შაჰს მახლობელად,
რაც მოხდა, მან შაჰს ყველაფერი უამბო მთელად:
„შირინის დარდით ფარჰად ისე გადარეულა,
რომ მისი საქმე ქვეყნის ამბად გადაქცეულა.
იმისი ტვინი სევდისაგან რომ შერყეულა,
ამ სევდის გამო ის უდაბნოს გზით გაქცეულა.
იმ გულწარმტაცის დარდისაგან, ვით გიჟი რამე,
თავფეხშიშველი დარბის თურმე მთელი დღე-ღამე.
ამბობს: გულიო შირინისთვის მაქვს განწირული,
იმის ძახილით ქვეყანა აქვს გაყრუებული.
იგი მორიდე არც ბავშვის, არც მოხუცის არის,
არა აქვს შიში არც ხმალის და ალარც ისარის.
იმისი გული იმ მთვარეს არ ეძმობილება,
იმის მოთქმაში მოჩანს მარტო ჯმაყოფილება.
უნდა აცდინოს რამეგვარად ის ვერცხლისტანა,
იგი ამისთვის თავის თავსაც ივიწყებს თანა.
ყოველ ჯვირაში იგი ჯოშჯთან მოდის სალამით,
პასუხს რომ იღებს, ჯმაყოფილი ბრუნდება ამით“.

მეფეს გულგამწყრალს, შეწუხებულს ამგვარ ამბავზე,
ალეძრა შური საშინელი მზეთუნახავზე.
ორი მეტოქე ერთმანეთსა სჯობდა ღირსებით,
ორი ბულბული უმღეროდა ერთ ვარდს ალგზნებით.
როცა ერთ ნივთს ჰყავს ორი ვინმე ჯაცი მყიდველად,
იმ ნივთის ფასი უფრო ზევით აიწევს ხელად.
ხოსროვის გული სიხარულის გამო ღელავდა,
რომ მას მეტოქედ ერთი ვინმე მიჯნური ჰყავდა.
შემდეგ სატრფოზე ჯიდევ უფრო ალეძრა შური,
და მან ეს შური შექმნა რაღაც თავისებური.
იმისი ფიქრი უმწეობით იყო მოცული,
რადგან მას ფეხი ჰქონდა უკვე ლაფში ჩაფლული.
როცა მოქნილ ტანს სნეულება რამ გაუჩნდება,

სწორი საროს ხეც თვის სიმაღლეს უცებ მოსწყდება,
სნეულს არ ძალუძს მოიშოროს თვით სატკივარი,
რადგან სნეულის აზრიც თვითონ სნეული არის.
ჯანსაღობაში თქმული სიტყვა ჯანსაღი არის,
სისუსტეში ჯი ყველა აზრი ნაძრახი არის.
ექიმი თუმცა არის სხვისი მაჯის მსინჯველი,
თუ ავად გახდა, უნდა მისცეს სხვას თვისი ხელი.

ბჭობა ხოსროვისა ფარჰადის საქმის შესახებ

ახლობელთაგან რამდენიმე მოიხმო პირი,
დაჯდა იმათთან და მან სიტყვა თქვა ამნაირი:
„იმ ტრფობით შეშლილ ჯაცთან საქმე ვით მოვაგვაროთ,
იმ ქვის ოსტატთან თვალთმაქცობა რამე ვიხმაროთ.
თუკი ვაცოცხლე, ჩემი საქმე იმით წახდება,
თუ მის სისხლს დავღვრი, ამით ცოდვა მე დამედება.
ბევრი ვეწვალე მეფობაში უმართებულოდ,
მაგრამ ლხინსა ჯი ვერ გავმართავ მე უკრებულოდ.
მე რაღაც ახალ ლხინს მიმართავს ახალი მთვარე,
გახადა ვიღაც რეტიანი ჩემი მოყვარე“.

ბრძენმა ჯაცებმა მას პასუხი მისცეს ამგვარად:
„ჰოი, წყალობით შენი ბედი გხედავდეს მარად!
შენ ხარ მფარველი ქვეყნად დიდი გვირგვინოსნების,
მაგ შენი ფეხის მტვერზე არის ფიცი შაჰების.[290]
ქვეყანა აძლევს შენს სიცოცხლეს დიდ დღეგრძელობას,
ბედი მოყვარე იწყებს შენზე თვის მხედველობას.
ჩვენ თუ რეტიანს თუ რამ ტკბილი სიტყვით მოვთოკავთ,
რჯინას ჯი არა, წმინდა ოქროს ბორკილს გავჭედავთ.
სევდიანისთვის ოქრო არის შვების მომგვრელი,
შვების შეძენა ოქროთია შესაძლებელი.
პირველ მოიხმე ღვთის იმედით იგი ამ ჯერზე,
და დააყარე მზის სიუხვით ოქრო ჯისერზე.
ოქროთი იგი ტრფობის სჯულს მთლად შორს გადუდგება,
ის ამ ოქროთი თვის ტკბილ შირინს ჩამოშორდება.
ბევრი თვალია – ამ ოქროთი დაბრმავებულა,
ბევრი რჯინაა, ოქროთი რომ დარბილებულა!
თუ რომ ოქროთი ჩვენ მას ხელს ვერ ავაღებინებთ,
ჯობია ისევ, თუ ქვის მტვრევას დავაწყებინებთ.
როდესაც იმას მეტად შავი დღე დაადგება,
ქვასთან ბრძოლაში თვით სიცოცხლეს დაეთხოვება“.

ხოსროვის მიერ ფარჰადის მოწვევა

ამ აჰმა, როდესაც ჯრების სიტყვის სცნო ხასიათი,
ბრძანა, რომ დროით მოეწვიათ მასთან ფარჰადი,
[ხოსროვ შაჰინშამ თვის ქურუმებს ასე უბრძანა,
რომ ის ჭაბუკი უსათუოდ იქ მოეყვანათ.
„უნდა გავგზავნოთ ვინმე, რათა იგი მოძებნონ,
და მისი საქმე სათითაოდ ჩვენ მოგვახსენონ.
ჯადო, ლოცვები, ყველაფერი გამოიყენონ
და უეჭველად იგი ჩემთან აქ მოიყვანონ“.
მათ მოიყვანეს ათი ჯაცი უნარიანი,
ყველა საქმეში მცოდნე, ყველა გონებიანი.
ქვეყნის მპყრობელმა მეთაურებს ასე უბრძანა:
„ისეთი ვინმე ცნობიერი არ იცით განა,
რომ ეს ამბავი იმან ჯარგად იცოდეს თავად
და ქვეყანაზე დარჩეს მისგან ესე ამბავად?
ჩემი ამბავი მთელ ქვეყანას რომ მოედება,
ვინაც გაიგებს, ყველას დიდად გაუკვირდება.
უნდა მოიხმოთ და თავისი მას ათქმევინოთ,
მას ყოველივე უნდა ძალად შეაგნებინოთ.
პირველ, თუ რა აქვს ამ საქმისათვის მას განზრახული,
აგრეთვე იმის შესახებ, თუ რას უთხრობს გული?
თუ ოქრო მასთან სულ ამაოდ დაიკარგება,
თუ მისი ტრფობა ყიდევ უფრო გაუძნელდება,
ის პირნათელი და ახალი მთვარის ნახატი
თუ უყვარს, თუნდა ხოსროვ იყოს, თუნდა ფარჰადი!
მასთან რომ მიხვალ, მიუტანე სალამი ჩემი,
უთხარი, რომ გვაქვს მასთან სიტყვა გადმოსაცემი,
ჯერ გაუფანტე ყოველგვარი მეტი ეჭვები,
შემდეგ უთხარი საიმედო ჩვენგან სიტყვები.
იგი არ უნდა გააჯავრო ახლად რამეთი,
გულმოსავალი ერთი სიტყვითაც არ უთხრა მეტი.
ყოველი საქმე სიტყვით არის შესაძლებელი,
გარდაცვალებულს აღარა აქვს სიტყვა სათქმელი!“

ერთ-ერთი ხასი წინამძღოლი მისი სახლიდან
გავიდა გარეთ, თითქოს ცეცხლი გავიდა ქვიდან.
უთხრა მეგობრებს: „გაიქეცით ჩქარი სირბილით
და მომიძებნეთ იმ ფარჰადის ბინა-ადგილი,
რომ ხოსროვს, რაც აქვს ამ შემთხვევით რამე სათქმელი,

გული გაეხსნას და ამ საქმეს გაუშვას ხელი.
ფარჰადის დარდი სიხარულით იმან შესცვალოს,
არავითარი ანგარიში აღარ დასთვალოს.
ვინც მას მოიყვანს ხოსროვის წინ რამე ძალათი,
ამ სასახლიდან მიეცემა იმას ხალათი".[291]
მათ სათითაოდ დარიგება გადასცა სწორად,
და ის ამბავიც მათ ხელახლა გაუმეორა.
მეთაურებმა მიაშურეს საძებარ მხარეს,
ფარჰადის მიმართ, რაც შეეძლოთ, ფეხს აუჩქარეს.
ყოველ მხარეზე მიდიოდნენ გაჩქარებული,
ვით წყაროსაკენ გარბის ხოლმე მოწყურებული.
ეძებდნენ ყველგან უდაბნოში მთასა და ბარში,
ვერ მოიძიეს იაგუნდი ვერსად მადანში.[292]
ეძებდნენ, ღამე სანამ შავად არ შეიფერა,
სანამ დღემ თავის მოძრაობა არ შეაჩერა.
როცა დღის ტახტი ყაჩაღურად ჯვლავ მოიტაცეს,
მავნე სულებმა როცა ღამეს ბაჟი გადასცეს,
როცა დღის სხივმა სასიცოცხლო ბედის ქედიდან
ღამის ბოქლომი გასაღებით გააღო თვითონ,
თეთრი აისი შავი ღამის ხელებში მყოფი,
განთავისუფლდა, ვით სიცხისგან ავად ნამყოფი.
დღემ თავმომწონედ ნათლის სახე გამოიჩინა,
ჰატარძალივით ჰირახდილმა ყველას შესცინა.
ცისა და მიწის სხივნათელი ისე ბრწყინავდა,
ჯემშიდის ჯამის ბრწყინვალებას ის წააგავდა.
ამ დროს მზე ისე დიდებულად ამოსულიყო.
მიწა მარჯანით სადაფივით ავსებულიყო.
ყველა ყუთხეში ყვავილები ამოზრდილიყო,
ლხენა-სიამე იმათ გულში გადაშლილიყო.
ქვეყანა იყო ვარდისგვარად გადაფურჩქნილი,
საწუთრო, როგორც დედოფალი, ჯოხტად მორთული.
მთა და მინდორი ელვარებდა თუთის ფრთასავით,
იყო ყოველგან მარჯანის და ფარჩის საცავი.
ჩრდილოს ნიავმა ჩამოჰყარა ვარდის ფოთლები,
მაგრად დავარცხნა სავარცხელით სუმბულის თმები.
ვარდის ჯარვები გააყეთა ბაღის ყუთხეში
და ყვავილები მიიტანა ჩირაღის გვერდში.
ყოველ ხის ტოტზე გამოსჩანდა წითელი ლალი,
ყოველ თვალიდან მოდიოდა ანჯარა წყალი.

წითელი ვარდი და ყაყაჩო მასთან ყვითელი
იქ ვარდის წყალმა მოიტანა, ვით ფარჩა გრძელი.
ლურჯ იას ტიტამ გაუცინა ჯოჰწიად მდგარმა,
ვარდის ნიღაბი მოიტაცა ნავრუზის ქარმა.
წყაროსთან ჩრდილში საროს ტახტზე თავს ნაზად ხრიდა,
ყოველი ტოტი ხეებისა დირემსა ჰყრიდა.
ყვავილთ სურნელი მოაბნია ბოსტანს და ბაღში
დილის ნიავმა ყოველ ადგილს და ყვავილნარში.
სატრფოს თვალივით ნამიანმა ღრუბელმა ხელად
მიწას ქარ-წვიმით შეურია სურნელი მთელად.
ირემ-ჯანჯარნი, მწვანე ველში რომ მიმოდიან,
ყველა ისინი თავის ტოლებს ლაღად ეტრფიან.
ღუღუნებს მტრედი გარეული ბაღში და ველში,
ჯაჯაბი მარტო დაჯაჯანებს ქვიან მთის წვერში.
დილით ბულბული, როგორც მთვრალი თავგამოჩენით,
მოდის მდელოში მხიარული გალობა-სტვენით.
ვარდის საქებრად შროშანებმა გაშალეს ენა,
და მთვრალმა ტიტამ ღვინის ჯამით იწყო მოლხენა.[293]
ყვავილთა გუნდი გაიზარდა ყოველ კუთხეში,
მწვანე ხალიჩა გააფინა უდაბნო ველში.
ისმის ბულბულის სატრფოს გამო ჯნესა და ზარი,
როგორც ფარჰადი, დარდისაგან გულგადამწვარი.
ჯნესოდა იგი და ამ ღაზელს როცა ამბობდა,
როგორც მიჯნური, ის უგულო ამგვარად ბჭობდა:
„რად არის, ასე სატრფოსაგან რომ გარეთ დავრჩი?
ეს რა ბედია, რომ მისაგან მწუხარედ დავრჩი?
ჯარგი იქნება, ამდენ დარდს და მწუხარებაში
რომ დავინახო სატრფოს სახე ამ ტარებაში!“
ყოველ ღამობით ის მამაცი ახალგაზრდები
არ იძინებდნენ, თუ არ იყო დღე ანანთები.

როს ზანგთა მეფის ბაირაღი დაბლა დაეცა,
და დადგა რუსი მეციხოვნე, – ციხე დაეცვა,
მისცეს ქვეყანას ფარჩა ოქრომკედით ნაკერი,
დაადგეს მეფეს თავზე თაჯი ოქრონაფერი,[294] –
ერთმა შიკრიკმა დაჯვირვებით გზის სიშორიდან
შენიშნა ჯაცი, მომავალი მეორე მხრიდან.
ნახა ჭაბუკი, ფერიდუნის ჰქონდა იერი,
ლეგა ვაჟკაცი ლეგათაგან, და ღონიერი.
მისცა სალამი, როგორც იყო მოსალოდნელი,

და ამის შემდეგ გამოჰყითხა მისი სახელი.

მიუგო: „მე ვარ ფარჰად გმირი, ბედით დასყრილი,
შირინის ტრფობის გამო გავხდი ყველგან ცნობილი.
შირინისაგან ტკბილი სიტყვა არ მომეყარა,
გამწარებული წუთისოფელს ვატარებ მარად.
არც თანამგრძნობი ამ ტანჯვაში, არც მოზიარე,
ვტირი მუდამჟამს და ამგვარად ვარ მგლოვიარე.
როგორც უმწეო, გული არის შვებით დაცლილი,
სახეზე მტვერი მიჯნურობის მაქვს მე დაყრილი.
ვერც სიტყვას ვამბობ, რადგანაც მაქვს ენა დაბმული,
ვერც საჭმელს ვეძებ, რადგანაც ვარ ძალს მოკლებული.
ხან მკვნესარე ვარ, ვით ქუხილი გაზაფხულისა,
ხან ვარ მტირალი, როგორც წვიმა შავი ღრუბლისა.
უცხოობაში არავინ მყავს გვერდში მჯდომელი,
მწუხარებაში არავინ მყავს მე მახლობელი.
მესაიდუმლე არვინ მყავს, გავუზიარო,
არა მყავს ტოლი, გასაჭირში რომ მოვიხმარო.
სურვილზე ფეხი გადამიცდა ასე ერთბაშად,
ავი და ჯარგი დამავიწყდა ასე ერთბაშად.
მტერის გულისად ჩემი თავი თვით გავიხადე,
დარდისგან თავი ჩემი ისევ ქვის თავზე დავდე.
მე თვალებიდან მწუხარების ცრემლი დავღვარე,
მთელი არსებით იმ ჩემს დამწველ ცეცხლს მივებარე.
ამ წამებაში ჩემს სიხარულს ერთობ დავშორდი,
ამ სისასტიკით კიდევ უფრო დარდში ჩავვარდი.
არვინ იკითხა, თუ აქამდე როგორ მიჭირდა,
არც თვით დარდი და მწუხარება არ შემიმცირდა.
არა მყავს ქვეყნად მე არავინ ავ-ჯარგის მთქმელი,
ვის უნდა ვუთხრა, შენ ხარ-მეთქი ჩემი მშველელი?
ეს ჩემი სული თვით ბაგემდე მოსული არი,
როგორც სანთელი, ვდნები ჩემი ცრემლების ღვარით.
ვით ვარდმა, ჯაბა დავიგლიჯე სიჭაბუკეში,
არ მაქვს იმედი სიცოცხლისა მე თავის დღეში.
როცა დავიწყე ჯლდე-ღრეებში გიჟური რბენა,
გული – ხელიდან და საქმიდან წავიდა ენა.
ჩავვარდი სიცხის გენიაში, სუნთქვა გაცივდა,
მე აქ დამტოვე გასაჭირში, შენ შენთვის წადი.
დღეს ის დევები სუყველანი ჩემგან შიშს გრძნობენ,
ვერ გამიგია, თუ ისინი მე შაჰად მცნობდნენ".

ტაბილადა უთხრა: „ჰოი, ვაჟო და მეგობარო!
შაჰინშას უნდა, რომ რამეთი შენ გაგახაროს.
ამ სიმწარისგან ხოსროვ შაჰი შენ მოგასვენებს,
იგი შირინთან შენ თვით ტაბილად მიგაღწევინებს".

„ამ სატკივარში იყავი შენ ჩემი მფარველი,
ხოსროვ-შირინის ამბის თქმაზე აიღე ხელი;
მორჩა სიცოცხლე, ჩემი ტოლი ჯერ არ მინახავს.
ნამდვილ მეგობრად მხეცის მეტი არავინა მყავს.
ჩემს სულსა და გულს მაგ სიტყვებით რისთვის მიღონებ,
ინდოელ სჰილოს შენ ამჟამად რისთვის იგონებ?
შირინისაგან მწარე მაქვს მე ყოფა-სურვილი,
როგორც ფრინველი, მახეში ვარ ორფეხჩადგმული.
გაბრუნდი ისევ აქედან და ჩქარა იარე,
ჩემი ამბავი, წადი, ხოსროვს გაუზიარე.
უთხარ: წავედი, ბევრი შრომა მისთვის გავწიე,
ვერც რამ ნაშენი, ვერც ნანგრევი ვერ მოვიძიე.
თუ ამ ტრფობაში სატრფოსაგან შორით ვიქნები,
ტანჯვა-სატკივარს მალე ხელში ჩავუვარდები".

ჯვლავ ხელმეორედ შაჰის ჯაცმა გაშალა ენა,
ქვეყნის შეფიცვით, დარწმუნებით მას მოახსენა:
„იმის სახელით, ვინაც შეჰქმნა სამყარო მთელი,
იმის სახელით, ვინც განავრცო უდაბნოს ველი –
რომ მე ამ გზაში არ მაქვს საქმე სხვა სათაყვანო,
გარდა იმისა, რომ მე შაჰთან შენ მიგიყვანო!"
როცა გაიგო, რომ შაჰი მას ჯარგად იცნობდა,
ყოველ მიზეზის გარეშე რომ იმას ითხოვდა,
წამოხტა ფეხზე იგი სახეგასვრილი სილით,
იმ ადგილიდან იმწუთშივე წაჰყვა სირბილით.
შირინის სახის მოგონებით ნაბიჯსა სდგამდა,
მღეროდა ღაზელს და ტირილით „ვაის" მოთქვამდა.
ჯვლავ ერთი ჯვირა ორივენი ერთ გზას მისდევდნენ,
ღამეს და დილას მთვარესავით გზაში ათევდნენ.
ერთ ჯვირის შემდეგ საამო დღე იყო დამდგარი,
ვით ჰატარძალი, საქორწილოდ გულგანახარი,

ახალი შაჰი ოქროს ტახტზე იყო დამჯდარი
და გულში ჰქონდა მას შირინის სახე დამტკბარი.
ცეცხლივით ღვინო ჯამში იყო ელვად ჩამდგარი,
მერქიფის ხელში ელვარებდა, ვით სხივი მთვარის.
მოლხენით ჰქონდა ხოსროვს გული და ხასიათი,

მას მოახსენეს, რომ მოსულა უკვე ფარჰადი.
ბრძანა: „ამ წუთში ის ფარჰადი აქ მოიყვანეთ,
მისი მოყვანა აქამდისინ რად დაახანეთ“?
ჯარის ეკიბნი სასახლიდან გავიდნენ გარეთ
და სასახლეში ის ფარჰადი მას შემოჰგვარეს.
როცა მოვიდა სასახლეში ის ეშხით მთვრალი,
გიჟი ლომივით იმწუთშივე მორთო ღრიალი.]
როცა მოჰყავდათ ის მთასავით უშველებელი,
მას მოჰყვებოდა უკან ხალხი აურაცხელი.
იმისი ტანჯვა იყო უკვე თავმიღწეული,
და უძლურებით იყო იგი გონდაბნეული.
ზედ ემჩნეოდა, იყო მეტად მოუსვენარი.
დაიწყო მისთვის თვით საწუთრომ გლოვა და ზარი.
[არც შაჰის ჰქონდა მას რაიმე შიში და რიდი,
არც მეჯარეთა მორიდება ჰქონია დიდი.
რომ მიიყვანეს შაჰინშასთან იმათ ფარჰადი,
არ იყო იმის გულში იმ დროს ტოლობა მათი.]
მან არც ხოსროვსა და არც მის ტახტს შეხედა თვალით,
ის როგორც ლომი, მიწას მძიმედ დაეყრდნო ბრჭყალით.
შირინის დარდი იმას ისე სულს უხუთავდა,
არც თავისთვის და არც ხოსროსთვის არა ზრუნავდა.
ბრძანა შაჰმა, რომ მოფერებით მას მოუარონ,
ყოველ მის ნაბიჯს უხვად ოქრო ზედ დააყარონ.
დასვეს ის სჰილო მაღლა დიდი ჰატივისცემით,
გადააყარეს თავზე ოქრო დიდის დიდებით.
რადგან თვის გულში მარგალიტი ის ერთი იყო,
ოქრო, ლალი და მიწა მისთვის სულ ერთი იყო.
როდესაც სტუმარს ოქრო თვალში არ მოუვიდა,
ბაგედან განძსა გოვარისა ხოსროვი ჰყრიდა.
ყოველ კითხვაზე, ხოსროვი რომ იმას აძლევდა,
ყოველი სიტყვით მოსწრებულად უპასუხებდა.

ხოსროვისა და ფარჰადის გაბაასება

ვირველად ჰკითხა ხოსროვმა, თუ: საიდან ხარო?
უთხრა ფარჰადმა: რომ ნაცნობი ქვეყნიდან ვარო.
ჰკითხა: რაგვარი ხელოსნობა იმათ იციან?
უთხრა: სატანჯველს ყიდულობენ, სულსა ჰყიდიან.
ჰკითხა: გაყიდვა კაცის სულის არის კი რიგი?

თქვა: მიჯნურთაგან საკვირველი არ არის იგი.
ჰკითხა: აბიყი ვით რიგია, თუ გულითა ხარ?
უთხრა: გულით შენ ლაჰარაკობ, მე სულითა ვარ.
ჰკითხა: შირინის ტრფობა შენში თუ რაგვარია?
უთხრა: სულზეო უფრო მეტად იგი მტკბარია.
ჰკითხა: ყოველღამ მთვარის ნახვა თუ გაქვს განცდილი?
უთხრა: თუ მძინავს, დიახ, მაგრამ სად არის ძილი!
ჰკითხა: მის ტრფობით გული როდის გაგეწმინდება?
უთხრა: როდესაც შავ მიწაში დამეძინება.
ჰკითხა: იმისთვის სათანადოდ თავს გამოიდებ?
უთხრა: მე ჩემს თავს იმის ფეხის წინ გადავაგდებ.
ჰკითხა: თვალები იმის გამო თუ გეტკინება?
უთხრა: ეს თვალი მის წინაშე მუდამ იქნება.
ჰკითხა: რომ ვინმემ იგი თავის ხელში ჩაიგდო?
უთხრა: რომ რკინას შეეყრება, თუნდაც ქვა იყოს.
ჰკითხა: მისკენ რომ ვერა ნახო შენ გზა საჭირო?
უთხრა: რომ მთვარეს შორის მხრიდან უნდა ვუმზირო!
ჰკითხა: შორს ყოფნა მთვარისაგან რაღა წესია?
უთხრა: რომ ტრფობა მთვარის შორით უკეთესია.[295]
ჰკითხა: თუ იმას დასჭირდება, რაც გაგაჩნია?
უთხრა: რაც მოვა, ყველაფერი უფლის საქმეა.
ჰკითხა მას: მიზანს თუ მიაღწევ შენ სასურველად?
უთხრა: კისრიდან მოვიშორებ ჩემს ტანჯვას ხელად.
უთხრა ხოსროვმა: მის ტრფობაზე აიღე ხელი!
მან თქვა: სატრფოსგან ეს არ არის შესაძლებელი.
უთხრა: დამშვიდდი, ამ საქმეს ვერ მიაღწევ შენა!
უთხრა: სიმშვიდე ჩემგნით არის ცოდვის ჩადენა.
უთხრა: წადი და მოთმინებით დარდი დასძლიე!
უთხრა: ტანჯულ სულს მოთმინება არ შეუძლია.
ჰკითხა: მოთმენა ხომ არ არის საძრახად თქმული?
უთხრა: მაგას ხომ გული იზამს, არ არის გული.
უთხრა: მაგ ტრფობით შენი საქმე გაგიძნელდება.
უთხრა: მიჯნური უკეთესს არ მოელოდება.
უთხრა: ნუ აძლევ სულს, მას გული აქვს წაღებული!
უთხრა: მტრებია, თუ არა ჰყავთ შეყვარებული.
[უთხრა: ნუ ბრძანებ, ჰოი, შაჰო სამართლიანო,
უნდა შენს მსხვერპლად გახდეს აწ ის ჰირმადლიანი.
უთხრა: შელოცვით ნუ მოხიბლავ მას ეშმაკურად.
უთხრა: შელოცვა შემეძლება ბაბილონურად.[296]

ჰკითხა: ეგ სული გაცრეცილი რადა გაქვს შენო?
რა იქნებოდა მის ტანჯვისაგან რომ მოისვენო?
პასუხი მისცა: ჰოი, შაჰო, ქვეყნის მპყრობელო,
სული მისია – სხვა რაღა მაქვს სახარბიელო.]
ჰკითხა: მის ტანჯვის გამო შენში შიში ვისია?
უთხრა: ეს ტანჯვა განშორების საკმარისია.
ჰკითხა: შენს გვერდში არასოდეს ის არ დაწვება?
უთხრა: როცა მე არ ვიქნები, კი შეიძლება.
ჰკითხა: როგორი არის იგი წმინდა ტრფობაში?
უთხრა: არავინ იცის, გარდა თვის ოცნებაში.
უთხრა: უთუოდ განიშორე შირინის ტრფობა.
უთხრა თუ: როგორ შეიძლება უსულოდ ყოფნა?
უთხრა: ის ჩემი გახდა უკვე, ჯობს დაივიწყო!
უთხრა: ფარჰადმა მასზე ხელი როგორ ავიღო?
ჰკითხა: თუ იმას შევიერთებ მე ჩემი წესით?
უთხრა: რომ ზეცას ცეცხლში გავხვევ მე ჩემი ჯვნესით.
როცა ხოსროვი მის პასუხით მეტად დაღონდა,
მეტი შეკითხვის მიზანი მას აღარა ჰქონდა.
მეგობრებს უთხრა: „ზღვა და ხმელი მაქვს მე ნახული,
არვინ მინახავს სიტყვით ასე მოხერხებული.
ვხედავ, ოქროთი ჩვენ იმასთან ვერას გავხდებით,
ვით ოქრო, უნდა ვსინჯოთ ქვაზე ის ყურადღებით."[297]
მოლესა ენა, ვით ფოლადის მახვილი მჭრელი,
ალმასი მან ქვას ჩაუყარა, ვით საფუძველი.
„ჩვენ გვაქვს ერთი მთა, ის გასავლელ გზაზე წინ გვხვდება,
მასზე მგზავრობა ჩვენ ყოველთვის ძნელი გვიხდება.
უნდა გაეთდეს იმ დიდ მთაში გზა გასავლელი,
რომ წასვლა-მოსვლა იქნეს ჩემთვის შესაძლებელი.
ამ საქმისადმი არვის ხელი არ მიუწვდება,
საქმე შენია და სხვას არვის არ ესაქმება.
გაფიცებ შირინს, რომ მიეცი გული შენ ბედად,
სხვა დაფიცება მე არ ვიცი ამაზე მეტად.
ამ გასაჭირის დროს მო ჩემთან, მიხელმძღვანელე,
ვით გაჭირვებულს გაჭირვებას ნუ გამიძნელებ.
[ჩემგან ჯარგის მეტს ვერასოდეს ვერასა ნახავ,
აგიხდენ ყოველ სურვილს, რასაც შენ განიზრახავ.
თვით აივანთან ჯარს ავაბამ შენს სასახლეში
და სატურნამდე აგამაღლებ შენს სიცოცხლეში".]
რჯინისხელიან ჯაცმა უთხრა გულის სიღრმიდან:

„ავიღებ იმ ქვას უსათუოდ ხოსროვის გზიდან
იმ პირობით, რომ იმ სამსახურს თუ შევასრულებ
და მეფისათვის იმ ქვის საქმეს თუ დავასრულებ,
ხოსროვის გულმა იცნოს ჩემი ერთგულება,
ინებოს თვითონ შირინისგან ჩამოცილება".
ამით ხოსროვი იმ ფარჰადზე იმდენად გასწყრა,
სურდა, იმისთვის დანით ყელი გამოეღადრა.
თქვა: „პირობაში საშიშარი არაფერია,
ქვა არის იგი, რაცა ვბრძანე, განა მტკვერია,
თუნდ მიწა იყოს, მისი მოჭრა როგორ იქნება?
და თუ წაიღებს, სად შეიძლებს იმის წაღებას?"
გაცხარებით თქვა: „მაქვს პირობა მე დადებული,
თუ მას დავარღვევ, ეს ჯაცობა არ არის სრული.
შეუდექ საქმეს, მკლავის ძალა გამოიყენე,
წადი ახლა და ხელმარჯვება შენი გვაჩვენე".

ფარჰად უგულომ რო გაიგო სიტყვა მისაგან,
მთის მისამართი მოიკითხა მას შაჰისაგან.
ხოსროვმა მთისკენ უჩვენა მან გზა წასასვლელი,
ბისოთუნი რომ ეწოდება იმას სახელი.
და იგი მთის ქვა, რომ ელავდა გრანიტისგვარად,
მისი სიმაგრე ეტყობოდა იმას აშკარად.
ადგა და იმა ადგილიდან მხიარულ გულით
წავიდა ფარჰად, როგორც ცეცხლის მთა ანთებული.
[როგორც ისარი გასროლილი, გავარდა გარეთ
და მთა ბისოთუნს მიაშურა იმან სიჩქარით.]
იმ მაღალ მთასთან მივიდა ის, ვითარცა ქარი,
წელი შეიკრა და მომართა რკინა მაგარი.
ჯერ კლდეს ფარჰადმა მორიდებით დაუწყო ცქერა
და სურათები მშვენიერი მასზე დაწერა.
იქვე შირინის სურათი მან ამოსჭრა ქვაზე,
რომ მანის ნახატ არჟანგს ჰგავდა ერთ დანახვაზე.
შემდეგ ამისა მოიმარჯვა წვერი ნაჯახის,
ძერწა სურათი შაბდიზისა და ხოსროვ შაჰის.
ამ სურათებით დამნახავის თვალს აგრძნობინა,
მან სიჭაბუკით ტრფობის გამო რაც ჩაიდინა.

მეფე ამნაირ თვალთმაქცობას რომ აკეთებდა,
იმით შეხედე დედაბერი რა ხრიკს უგებდა.[298]
მან მოტყუება მოინდომა მახეში მგლისა,
მგელი დალუპა და გადარჩა ამითი ისა.

მაგრამ მან თუჯი ვერაგობით სხვას უმტრო ავად,
ეს ვერაგობა თვით იწვნია სხვისაგან თავად.
ავს ნუ ჩაიდენ, ცხვარს ჯბილი აქვს დაბერებული.
მაგრამ გატყუებს, შენს დაღუპვად მიერჩის გული.
თუ რომ ცოდვით არ ამოსულა ვარსკვლავი შენი,
რად უნდა იყო ავის ჯუდი, ცოდვის ჩამდენი?
[ქორწილი ყველას არ აქვს ბედით მინიჭებული.
ბევრგან ეშმაკი ზის და დოლი აქვს დამალული.]

მთის ჯვეთა ფარჰადის მიერ და მისი გოდება

როცა ფარჰადმა დაასრულა საჯეთებელი
და იმ ჯედლის ქვის მხატვრობაზე აიღო ხელი,
არ ისვენებდა დღე და ღამე, ის შეუპოვრად
ჰკვეთავდა ჯლდის ქვას გამუდმებით სატრფოს სახსოვრად,
ჯლდის დასანგრევად იმან უკვე მომართა მკლავი,
ჰკვეთავდა ლოდებს და იყო თავდაუზოგავი.
ყოველ ჯლდის ტინზე, რომელსაც ის ხელს მიაწვდენდა,
მთელი მთის ქვიდან ერთ საბურჯეს ჩამოანგრევდა.
ერთი დარტყმისგან მთელი მთა სულ ძირს იყრებოდა,
ხალხს მის გრიალზე შიშისაგან სული სძვრებოდა.
წამწამთ ალმასით იაგუნდებს შუა აპობდა[299]
და თავის ამბავს იგი ამ დროს მთას უამბობდა:


„ჰოი, მთავ, რაც შენ ეგ გრანიტის ქვა გაქვს ამჯერად,
ქმენი გმირობა, გადაიქეც ნაჭერ-ნაჭერად;
შიშველი სახე დაიკაწრე, ჰატივი მეცი,
რომ დაგცემ წერაქვს, წვრილ-წვრილ ქვებად გადაიქეცი!
თუ არა, ვფიცავ სულს, ვისიც მაქვს მე სიყვარული,
მანამ, სანამდე მიდგას მე ამ ჩემს ტანში სული,
არ მოისვენებს ტანი ჩემი შენთან ბრძოლაში.
მექნება სული შენთან მუდამ ვნება-ძრწოლაში".
[ელვარ მახვილით იგი სიჰ ქვას თლიდა, აპობდა,
და განცდილ ამბებს თავის თავთან ლაპარაკობდა.]
დაღამებისას, როდესაც რომ სევდის მინდვრიდან
ჩამავალი მზე მთის წვერვალებს აღწევდა თვითონ,
სიშავე თეთრზე იხატოდა, ზედ აჩნდებოდა,
დროშა დგებოდა და სულთანი დაბლა ჯდებოდა.[300]
იგი ხანდახან იმ სურათის წინ დადგებოდა,
და იმ ქვაში მას წმინდა ლალი ეჩვენებოდა.[301]

იმ სურათის ფეხს ემთხვეოდა ის თავდახრილი,
და გაისმოდა, ვით საყვირი, მისი ყვირილი:
„ჰოი, მიჰრაბო, სალოცავო შავი თვალების,
მიეც წამალი მისთვის ტანჯულს მაგ მოწყალებისI
შენ ვერცხლისტანავ, დაამძიმე ეს ჩემი გული,
შენ გამო ვიქენ მე საბრალო გზადაყარგული.
შენ თვით ქვაში გაქვს, როგორც ლალი, ფეხი ჩადგმული,
მე ამ ქვისაგან, როგორც ლალი, გამიტყდა გული.[302]
[არა გაქვს გულზე მოდებული შენ ჩემგან მტკერი,
ასე უზომო დაუდევრად რად გამიწყერი?
თუკი ოდესმე ანგარიშში მე მომიგონებ,
ქვასა და ლალში მოვსპობ მტრობას, იმდენს ვიღონებ.
თუ არ გამიშვებ, ისე, როგორც მე ვიმყოფები,
რას გამიხდება ჩემს ხელში ეს უბოძო მთები[303]
შენის იმედით ამ ყლდეებს ვთხრი თავგამოდებით,
მოდი, მიყურე, ვით მტანჯავ და ვით მეურჩები?"]
ზოგჯერ იმის წინ ის ტირილით მწარედ მოთქვამდა,
ტირილის შემდეგ ბოდიშობდა, სულს მოითქვამდა.
შემდეგ იქიდან მთის გადაღმა ის მიდიოდა,
თვისი დარდი და მწუხარება ზურგით მიჰქონდა.
უცქერდა იმ ყოშტს, სადაც იყო ის სათაყვანო,
მოთქვამდა: „ჰოი, საროს ხეო, ვარდტანოვანო.
ჯიგარდაწურულს გული მაინც ამიელვარე,
ჯაცს ხელმოცარულს, მოდი, საქმე მასწავლე ბარემI
მიეც უმიზნოს შენ მიზანი შესაძლებელი,
უიმედო ჯაცს შენ იმედით შეუწყვე ხელი.
მე თვითონ ვიცი, შენ არასდროს არ მომიმგონებ,
მიჯნური ჩემზე უკეთესი შენა გყავს, ვგონებ.
მე მიჯნური ვარ, დღე და ღამე შენზე მლოცველი,
დასწვავს ქვეყანას ჩემი მითქმა ქვეყნის დამწველი.
შენ როცა გული ხოსროვისთვის აგიჩქროლდება,
ჩემებრ ყარიბი შენ როდისღა მოგაგონდება?
ზიხარ, შირინო, ლხენით ქორფა ვარდისმაგვარად
და აფრქვევ შაქარს, შენ ხოსროვის მოსაგონარად.
[შენ ხალხთან ზიხარ მხიარული და მომღერალი,
ლხინს ესწრაფები, ტანჯვისგან ხარ თავისუფალი.
შენ ყოველთვის ხარ ჩემზე რაღაც ხელაღებული
და ხოსროვ შაჰის სიყვარულში ჯი ხარ ერთგული.]
საბრალო ფარჰადს მსხვერპლადა აქვს სულ გამზადილი

ტაბილი შირინის სიცოცხლისთვის სიცოცხლე ტაბილი.
თუმც შენი ალით არ მანათებ, ძვირფასო, შენა
და რაც ქაბა მოვილოცე, მიხშირე ქშენა.[304]
მე შენი ტრფობით, ჰე, სანთელო, მნათობო ბნელში,
როგორც დღეს ხედავ, ვარ იგივე დღის განსაცდელში.
ამ დერეფანში, ასე ვიწროდ როა შექმნილი,
ჩემი არსებით ვარ ქვისაგან გამოკვეთილი.
მე ავმა ბედმა დამიჭირა ჯაბისა ჯალთა,
ბედი მსახვრელი დამემტერა, ამგზნები ალთა.
თუმც ჩემი სახე რკინისა და ქვისგან არ არი,
საშველი ქვისა და რკინისაგან მაქვს საძებარი.
ნუღარ დამტანჯავ ამის მეტად დაგვით და წვითა.
ნუ მოკლავ ყარიბს შენი ძალით, როგორც გველს ქვითა!
შენთვის ცხვრის ფეშხო მიუწვდომი იქნება განა,
როცა ყასბები, ეგ თვალები, მუდამ გზად გყვანან!
მე მარტოდმარტო ამნაირად ვარ დატვირთული,
სიგამხდრის გამო ვარ სირცხვილით თავჩაღუნული.
მე შენი ეშხით ვიწვი ასე და შორსა ვრჩები;
არ აქვს ფარვანას ძალა, რომ არ დაიწვას ფრთები.
მით შენთან ახლოს ვერ მივაღწევ მტვერი და მიწა,
რამეთუ ვშიშობ, შენთან ახლოს დავიწვი იმ წამს.
[შენ მომიყვანე აქ და ქვაზე მიმაჯარ მკერდით,
ნახვედი ჩემგან და დაჯექი ხოსროვის გვერდით.
არ ვიცი, რომელ მიწა-წყლისგან ვარ წამოსული,
რომ ზეცისაებრ ვერ ვისვენებ და ვშფოთავ გულით.
ვარ შორს, არ ძალმიძს შენი სახლის ბჭესთან გარება,
გადვიქეც ისე, როგორც შენს მტერს გაეხარება.
ვარსკვლავი ჩემი დაბადების რომელი არის,
ჩემებრ ავ ბედზე გაჩენილი რომელი არის?]
ვფიცავარ, ჩემებრ ჯაცს ხომ ფიცი დაეჯერება,
მომჯალი, მიჯობს, აქ მაინც არ გამეჩერება.
განა ამ ტანჯვის ბორკილიდან მიბოძებ შვებას,
სიკვდილი ბევრად მირჩევნია ამგვარ ცხოვრებას!
ჩემს დღეზე განა რამ ვარსკვლავი თუ ამოსულა,
ჩემნაირ ბედის ჯერ არავინ დაბადებულა.
ჩემს ბედზე ალბათ დედაჩემმა დამწყევლა ჯრული:
„აგშორდეს ყველა სიამე, რაც გინდოდეს გულით".
საწუთროს ხმალი თუჯი არის ასეთი ძნელი,
რატომ შენ ფრჩხილი შეგაჭრა და მე – მწარედ ხელი?

نه اسب ار کوه زر بودی مدیش — سقط گشتی بزیر کوه سیمین ش — جو عاشق دیدگان معشوق حالاک — فرو خواهد فتاد از بارهٔ خاک

بگردون اسب را باشه‌سوارش — زجا برداشت و آسان کرد بارش — جنانش میبرد اندر کوه و کوه — که موکب ماند از دنبالش انبوه



بقصرش بر دار انسان بزرد — که موی تن بتن نیازرد — نساندش بر بساط نو بنی گاه — بنوبتگاه خویش آمد دگر راه

جو آهو پیزه بر کوی حریده — زشور پستان بکو رستان رسیده — همان آهنگری با خاره میکرد — همان پنگی با من باره میکرد

საწუთროს ძუძუ თუჯი ჩემთვის რამეს იმეტებს,
შენ რძეს რად გაძლევს იგი დღეს და მე – სისხლის წვეთებს?
გაფიცებ იმ რძეს, მოგცა დედამ პირველ სასმელად,
როცა დაჯდები იმ აუზის რძის ტბილად მსმელად,
მაგ რძე და შაქრით შენც ახსენე ჩემი სახელი,[305]
მწყურვალს ხომ მხოლოდ რძით და შაქრით აქვს სარგებელი.
რძისთვის, ვით მწყემსთან, მე ისე მაქვს ხელი გაწვდილი,
მე შენს სიყვარულს ისე ველტვი, ვით რძეს ყმაწვილი.
მეც მომიგონე, როგორც ის რძე შენთან მტბოვარი,
ნუ დამივიწყე როგორც ბავშვი ძუძუმწოვარი.
თუ რომ ჯამით ტუბილს არ მომაწვდი მე შენი ხელით,
პირი ტუბილი მაქვს მაინც შენი ტუბილი სახელით.
რადგან შენ გარდა მე მეგობარს ვერავის ვპოვებ,
მე უმეგობროდ და უმწეოდ ნუ მიმატოვებ.
ენა დაილბე ხმელი ბაგე მით დამისველე,
შესცვალე ბარემ დღის სინათლედ ღამის სიბნელე!
თუ მარტო შენთან ღარიბივით დროს გავატარებ,
როგორც მდიდარი, ჩემს სიცოცხლეს წინ წაგიმძღვარებ.
ღარიბი ჯაციც ასე ფიქრობს ძალიან ხშირად
და უქონელი შეიქნება ბედნიერ პირად.
ნუ დასწვავ იმ გულს, მოყვარული ვისიც იყავი,
წუთისოფელში დიდი შემწე მისი იყავი.
სილამაზეში ყარიბი ხარ, ჰოი, შენ მთავრევ,
ყარიბებს მთელად ნუ დატოვებ შენი გზის გარეთ,
შენ დღეს არ გიჭირს და არა ხარ ყარიბთა მცნობი,
უფრთხილდი, როცა დაგიდგება დღე ყარიბობის.[306]
სიხარბე გულის ჩემს ყოფაში მქონდა ჩაჯრული,
იმედი ამ ჩემს ბავშვობაში მქონდა ჩაფლული.
მე ამ ორთაგან უიმედოდ ვარ დაჩენილი,
ამ ტანჯვისათვის სამუდამოდ ვარ გაჩენილი.
[მე ჩემს გულს ვუთხარ – იყოს სატრფოს გულის მსახურად, –
მივაღწევ გულის წადილს ნებით თუ უნებურად.
თუნდ ერთი ღამე იქნები შენ ეგრე მღვიძარი,
მოგესმის ყურში ჩემი გულის ჯვნესა და ზარი.]

ვაი, ამქვეყნად შენი ახლო ვინც ნაცნობია,
გაჭირვებამდე ყველა შენი თანამგრძნობია.
შენს განსაცდელში არ იწუხებს არავინ თავსა,
მომეშველეო, შენ უყვირი, დგას ის ხის მსგავსად.
ნუ შესვამ ჩემს სისხლს, შენთვის ბევრი სისხლი ვაქციე,

როგორც ყარიბმა, შენს ქალაქში ძლივს მოვაღწიე.
ცუდი რა ვქენი, რომ დამიწყე მტერობა შენი,
ცუდად გათავდა, თუ რომ ჯარგი ცუდადა ვქენი.
შენზე ოცნება სინამდვილედ წარმოვიდგინე,
ურია ვიყო, თუ სხვა ცოდვა რამ ჩავიდინე.
ერთგულ სატრფოსთან არ გატეხო ჰირი და ნდობა,
არვის არვისთვის არ ჰქონია ეს ულმერთობა.
თუ მე ქარი ვარ, ჰოი, ტურფავ და ტანად სარო,
როგორც რომ ძეწნამ, შენც უნდა ძირს თავი დახარო.
მე თუ მიწა ვარ, განძო, მიწა ვყოფილვარ შენი,
ამ მიწისაგან სალოცავი შენ ააშენე.
თუ არ მიმიშვებ, ჰე სანთელო, მე შენ ამხელად,
მე შენს ლამპარში რომ ვდნებოდე ქონის სანთელად,
ისე მომჯალი შორიახლო შენს საძირკვლიდან,
ისევ შენ მომჯალ და არა სხვამ, ვიხარო მითა.
მე ის ბურჯი ვარ, ფრინველნი რომ ღამე სხდებიან,
და ყოველ ღამეს მეგობრებად მე მიხდებიან.[307]
[გათენებამდე მე ტირილით ღამეს ვატარებ,
მწირო და ბერო, მოთქმა ჩემგან ისწავლეთ ბარემ.]
მინდა, ღამის ჭამს რომ იხილო ჩემი ტირილი,
დილით ახტომა და ღამით ჯი დამფრთხალი ძილი.
ფოლადის გული თუ გაქვს და ის ქვისგან არ არის,
ეს ჩემი გული შეიბრალე, დაჭრილ-დამწვარი.
მე ყოველ წუთში დარდს განვიცდი შენთვის ასჯეცად,
შენც ჩემთვის მაინც განიცადე ნამცეც-ნამცეცად.
მე გაბმული ვარ, როგორც მძიმე უღელში ხარი,
შენ შენთვის მიხვალ, არ გიცვლია ჩემს შველად მხარი.
წყალობა ქენი მისთვის, ვინაც შენთვისა ჯდება,
ნუ იქმ სიავეს, იმ გულზე ხელთ რომ გივარდება.
უნდა იცოდე, რომ არ არის ეს თვალთმაქცობა,
ნამდვილადა მწამს, რომ არ არის ეს თამაშობა.
მე შენს ხელში ვარ, ვით უღირსი, უბრალო ჩალა,
თუ არა, მთაც ჯი მორჩილებს დღეს ჩემს ხელის ძალას.
მე მკლავის ძალა მაქვს თვით მთაზე მომეტებელი,
რა არის ჯარი, როცა მთა მაქვს წინ ამართული?
თუ მახვილს ვიხმარ და დავიძვრი მე ჩემი ღონით,
ფარვიზ-შაბდიზი ჩემთან ქრთილსაც ჯი არ იწონის.
ის ფარვიზია, შირინი თუ ფარჰადი არი,
ყველას სახელი ხუთ ასოთი არის შემდგარი.[308]

თვითეულ სახელს ხუთი ასო რომ უწერია,
მარტო ხოსროვის ხელში ყოფნა რაღა ჯერია?
არ ვიცი მტერი ჩემზე მეტად დამარცხებული,
დამარცხებაში ჩემზე უფრო სახელდებული.
მაგრამ ეს ჩემი უბედობა მაქვს შეგნებული
და თვით ბედისგან ვარ უარეს შიშით მოცული.
უბედურების მომტანი მე გზაში თვით მხვდება,
ბედნიერების მოქმედება ცუდად მიხდება.
ნუ ქნას ნურავინ, თუნდაც ტახტზე მჯდომელი იყოს,
რომ ბედი მისი უფრო ცუდის მდომელი იყოს.
ვშიშობ, ამ მთასთან ბრძოლა მექთად დამეჯარგება,
მოგება ჩემს მტერს დარჩება და მე – მწუხარება.
ვინც მე ამ საქმის შესრულება მიბრძანა თავად,
ეს დამასაქმა იმან ჩემდა დასაღუპავად.
[ამით საწუთროს განზრახული აქვს მტრობა ჩემი,
მაგრამ მე რაღა შუაში ვარ, ბრალი რამ მე მიძს?
მე რას მოვიგებ, ჩემი ბედი სწორედ ის არი,
რომ მე განმგმირავს გასროლილი ხოსროს ისარი.
თუ მტერმა თვისი ხმალი მკრა და მე დამჭრა ფეხში,
რა ბედენაა თუ არ ექნა ან ხმალი ხელში!
ვინც ამ საქმისთვის გამოგზავნა ჩემი ინება,
სიცოცხლის ფასად მომცა მან მე ეს მოთმინება.
არ დაინგრევა ჩემი ხელით ეს მთა მთლიანად,
მაგრამ მე მაინც ხელს ვყოფ საქმეს იმედიანად.]
ამ გასაჭირში მე სიკვდილი მეადვილება,
სული წუხს ჩემი და წუხილი სულს ეცილება.
და ამ ტრფობაში მეტად დიდი სიძნელე მხვდება,
რომ გული ქვაზე დავდე მე და ქვა გულს ედება.
ტანჯვაში გული, შესაძლოა, გაიქვარჯინო,
მაგრამ ამ დარდთან თვითონ რჯინაც ჯი ვეღარ რჯინობს.
მე შენი ტრფობით ვით სანთელი ისე ვიწვები,
გულით, სხეულით, დარდისაგან სულ მთლად ვიწვები.
[არ მსურს ოდესმე დავინახო თვალით წამალი,
სანამ მიდგს სული, დავიფლითო მსურს სული ძალით,
შენ ყარუნი ხარ სილამაზით, მე – მათხოვარი,
და დღეს ეს ჩვენი განშორებაც იმისგან არი.]
მე თუმც ოქრო და ვერცხლი არ მაქვს თავზე საყარად,
შენი ფეხის წინ დაგიყარო ხარვარ-ხარვარად.
ეს ჩემი სახე სულ გაყვითლდა ცრემლებისაგან,

ხან ოქროსა ვთხრი, ხანაც ჯიდევ ვერცხლს იმისაგან.
მე შენი სევდით, ჰე, სანთელო, ქვეყნის ლამპარო,
ძილში და ცხადით არ მაქვს ღონე, რომ გავიხარო.
თუ მღვიძარე ვარ, მწუხარება გულზე მაწვება,
თუ მძინავს, მაშინ ჯიდევ დარდი დარდს ემატება.
ძილში და ცხადად მე შენ გამო თუ ასეთი ვარ,
თავშესაფარი ჩემთვის სხვებზე უეთესი ხარ.
მოდი, გავწირო ხალხი, სული შენ შემოგწირო,
არა ვარ ქაჯი, რომ გაქცევა შორს დავაპირო.
ვინც ვაჟკაცობას ამნაირად ველარ გაბედავს,
იგი ქვისაგან იარაღით ჯაცს გამოჰკვეთავს?
მე ქვასა ვკვეთავ, ჩემს ხელობას არ ვფარავ, არა,
მე რაც წინ მიდგას, იმის შუბლი არა მაქვს, არა![309]
ვინაც ხალხის წინ არის ბედის გალატებული,
იმას ქვის შუბლი აქვს და წარბნი აქვს მას შეკრული.
მისდამი, ვინაც მოწყალეა, ნუ დამიწდები,
რადგან მას მოსდევს იასავით მორცხვი განცდები.
უსირცხვილობით ვინც თვალთმაქცი უსაქმურია,
მას ნარგიზივით ოქროს ქუდი თავს ახურია.[310]
ვინ არის ქვეყნად, დაცემული იყოს ჩემსავით?
ვერ ნახავ თვის ტომს მოკლებული იყოს ჩემსავით.
არავინ შემრჩა მეგობარი გულსასურველი,
რომ დაცემის დროს ასადგომად მომჯიდოს ხელი.
ამ ხალხში გულის შემატკივარს ვერ ხედავს თვალი,
რომ სიკვდილის დროს გამისწოროს მე სასთუმალი.
მე იმოდენი მქონდა ტანჯვა მოუხეშავი,
რომ მის საძირკველს უკვე მსხვერპლად შევწირე თავი.
თუნდ ასი წელი ვიყო მარტო ჭაში ჩამჯდარი,
გოდების გარდა ჩემთან ახლოს არავინ არი.
რბენა მთა-ველში ასი წელიც თუ მომიხდება,
ამ დროს თვით ჩემი ჩრდილის მეტი თან არ გამყვება.
რაღაც ძალური მოთმინებით მე დარდში ვზივარ,
ცოფიანივით აქეთ-იქით ისე დავრბივარ.
ძაღლებს ამქვეყნად აქვთ ადგილი და სამყოფელი,
ბალახს მიწაზე აქვს თავისი ფეხდასადგმელი,
ვეფხვებს მთაში აქვთ, ღრადოებში თავშესაფარი,
ნიანგის ბინა დიდ მორევსა და ზღვაში არის, –
მე უბინაოდ დავრჩენილვარ დიდ გულისწვაში,
მე ვერც მიწაში მოვისვენებ და ველარც ქვაში.

რადგან ჩემს მიწას მწუხარება არა სცილდება,
ჩავალ მიწაში და იქ ყოფნა გაადვილდება.
ნუ ქნას ნურავინ ასე მწირი და უსახლკარო,
ამ სიმწარეში მე სიცოცხლე ვით გავატარო?
შენთან თვით მოდის, როგორც ქარი, ჩემი სიყვდილი,
შევცდი, მანდ მოდის ჩემი მიწა ხელგამოწვდილი.
როცა შენა ხარ, არ ვიცი, მე რად ვიმყოფები,
სოფელი შენ ხარ, იმ სოფელში მე რად ვითვლები?
არ ითქმის, მე ვარ, როცა შენ ხარ ამ ქვეყანაზე,
მაშინ ხომ უნდა ვიფიქრო მე მარტო ჩემს თავზე.
თუ წავალ სადმე, მიზანსაა ეს მოკლებული,
გზას ვერ გავიგნებ, რადგან ნისლით არის მოცული.
ამ სახლში რბენით ფეხი რომ გვაქვს ჩვენ გაცვეთილი,
მოსვლა ძნელია, როგორც ვხედავ, წასვლა ადვილი.
ნაბიჯი ჩემი მერანისა ფიცხელი არის,
ვერ ვცნობ, ადგილი დასასვენი რომელი არის?
რადგანაც ტანჯვა მე ერთ წუთსაც ჯი არ მასვენებს,
არა მსურს, ბედი თუ სიამეს ვინმეს აჩვენებს.
ხომ იცი, გულო, ჭკუიანებმა რომ მიგვითითეს,
რომ ზღვაში ჭკუის მარგალიტი წმინდად გახვრიტეს:
„ვისაც ექნება ხასიათი სუსტი ბუნების,
მას უნდა სხვებიც მისებრ იყოს ნაძაბუნები".
ჩემთან ვისიმე სიყვარული როგორ მოიცლის,
როდესაც თითო ბეწვი ათას ტანჯვას განიცდის?!
ეს მიკვირს: ჭკუის ზეთი ტკინში აღარა მრჩება,
როგორც სანთელი, ჩემი გული როგორ იწვება!
ამ დარდისაგან ჩემგან მხოლოდ ნაცარი რჩება,
მაგრამ ნაცარში ნაკვერცხალი ხომ ინახება!
ჩემი ნაცარი აიფანტა ვით ნიავ-ქარი,
გულში ხალისი და ფეხებში ძალა არ არი.
ასი ქვის ჯედელს მოვიფარებ, ასიც თუ ჯმარა,
რომ სხვათა სახე არ ვიხილო, არა და არა!
გულს არ მივანდობ აწ სხვა სურათს მე წარამარა,
მარტო ერთ სურათს ვეტრფი და ის ჩემთვისა ჯმარა!"
ის იმ სურათზე ამდენ ამბავს რომ მოჰყვებოდა,
იმისი გული სიხარულით გაიშლებოდა.
როდესაც ღამე იმ მხარედან პირს იბრუნებდა,
ლაშქარი დღისა თავის ალამს ზევით ასწევდა."

ის ამის შემდეგ დღე და ღამე თავს არ ესავდა,

მთის ულდეზე დარტყმით თავის წერაქვს უფრო ლესავდა.
ღამით დილამდე მარგალიტებს აფრქვევდა იგი,
ხოლო დღისით ქვას ებმებოდა, ვით ჰქონდა რიგი.
ქვას და მარგალიტს ნაჯახით რომ ერთად აბნევდა,
ქვას და მარგალიტს ერთმანეთში იგი ურევდა.[311]
ქვეყნის გამზირზე ეს საძნელო საქმე ფარჰადის,
ამბავი მთების დაქცევისა შეიქნა ცხადი.
ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ქვის ოსტატები,
რომ დაენახათ საკვირველი ეს ნაკეთები.
ქვა და რკინისგან იყვნენ ყველა გაკვირვებული,
რეტიანისგან ჰქონდათ იმათ რეტი დასხმული.
[თვით შემოქმედის მიერ იყო ეს მონაგვარი,
არა ზღაპრული მოჩვენებით ნამოქმედარი.
ნუ ქნას, ვინმეზე ბედმა მთელად აიღოს ხელი, –
არარა საქმე არ მოუვა კაცს უფრო ძნელი.]

შირინის წასვლა ბისოთუნში და მისი ცხენის დაფორხილება

ერთ მშვენიერ დღეს, წუთისოფლის ლაღად ბრუნვაში,
იჯდა შირინი თვის მახლობელ ქალთა წინაშე.
ამბობდნენ სიტყვას ყველაფერზე, რაც შეხვედრიათ,
ავი და კარგი რაც ოდესმე გამოუცდიათ.
ერთი წარსულში დროს ტარებას აღიარებდა,
და იმ წარსულის მოგონებით გულს ახარებდა.
ერთიც ბედნიერ მომავალზე ლოცვებს ამბობდა,
ეგება მეტი სიხარული გულს დაატკბობდა!
ყოველგვარ სიტყვას, რომელიც გულს დაამშვიდებდა,
ამბობდნენ ყველას, რასაც ენა კი შეიძლებდა.
სიტყვა ბოლოს რომ გადაება, ვით ჯაჭვი გრძელად,
ბისოთუნამდე მიაღწია იმან სათქმელად.
შირინმა თავის მეგობრებთან თქვა ნაზი ქცევით:
„დღეს ბისოთუნზე მსურს ავმართო ალამი ზევით.
ვნახავ, თუ იგი რკინისძარღვა კაცი ფარჰადი
რაგვარად ანგრევს ულდისმაგვარ ქვას თვისი ფოლადით.
ეგების იგი ულდეს რომ ანგრევს ზათქით და ზარით,
გულს ნაპერწკალი მომხვდეს მისივ, წავიდეთ ჩქარა!"
და ბრძანა: ცხენსო უნაგირი დაადგით ხელად,
ნიავს აკვანი განუმზადონ შორს წასასვლელად.
ვერ ნახეს იმ დღეს ეძებეს და გოლგუნი მისი

და შეუჯაზმეს სულ სხვა ცხენი, შირინის ღირსი.
[როგორც ვაჟკაცი, იგი მარდად ცხენს წამოახტა,
როგორც მზე, იგიც შინაგანად მხურვალე გახდა.
ვითარცა მთვარე, იგი მთაში ბილიჯს მისდევდა
და ვერცხლის წვიმას იგი გზაზე მიმოაბნევდა.]
გავიდა გარეთ, რა ვთქვა, ისე, ვით გაზაფხული,
ლამაზად ისე, თვით ნახატი რამ დახატული.
თან გაჰყვნენ, ქორფა ნარგიზები რომ ჰქონდათ თვალად,
ვით ვარდის ჯონა, ლამაზები ჯვალად და ჯვალად.
ის ტანწერწეტა, მთელი სახე რომ უბრწყინავდა,
როგორც ფრინველი, თავის ცხენით ის მიფრინავდა.
ცხენზე შეჯდომა იმას ისე ეხერხებოდა,
ათ ნაბიჯიდან უნაგირზე შეახტებოდა.
[მიტორტმანებდა სხივმოსილი ის მომხიბლავი
ლამაზთა შორის წინ და უკან, როგორც ვარსკვლავი,
როცა ბისოთუნს მიაღწია საროს ტანადმა,
იმისი სახე დაინახა შორით ფარჰადმა.
გაყვითლდა იგი და მოდუნდა სატრფოს ეშხისგან,
გადიქცა უცებ, ვით უძრავი ქანდაკი მისგან.]
ნალი ცხენისა დილის ნიავს ლურსმანსა სცემდა
და დედამიწას ფარგალივით წრეს უკეთებდა.
მუშაის სურნელის ფრქვევით იგი როცა მივიდა, –
იმ დიდ ქვის მთასთან მოელვარე იგი ვერცხლის მთა, –
მისით, მზესავით მნათობით და ჰირმშვენიერით,
ყლდეებს მაშინვე გადაედო ლალის იერი.
ვითარცა მთასა მთის მებრძოლ ჯაცს თვისკენ იწევდა,
მთასაებრ ცხენით მთის მთხრელისკენ იგი იწევდა.
იმ ლალის ხსოვნით, იქ ფარჰადი ფიცხი და ხელი
ყლდეს ისე თხრიდა, ყოფილიყო მადნისა მთხრელი.
გულქვის სახსოვრად ის დიდი ქვით იტანჯებოდა,
მაგრამ იგი ქვას თვით სასტიკად ეურჩებოდა.
ისეთ ქვის წონას იგი ხელით რომ ამოთხრიდა,
ვერა სასწორი იმას ხელით ვერ ასწონიდა.
ჯაცი მთის მსგავსი, თავის ღონით მთას რომა თხრიდა,
ტანჯვა იმისი დამავენდის მთასაც უდრიდა.
იმ ქვის შუაგულს იქ იქამდის იგი ჰყოდავდა,
სანამ, რაც სურდა, მასში მას არ გამოიყვანდა.
გრანიტის სახეს იგი სისხლის ლალით რეცხავდა,
და თან გრანიტის ქვიდან ლალი მას გამოჰყავდა.

როცა შირინის ლალის ბაგის ცნობა გაიგო,
იტყოდი, თითქოს ქვიდან ლალი მან ამოიღო.
მის ხელში რჯინა გულზე უფრო მეტად გაცხელდა,
რჯინასთან ერთად ქვა ტალახზე უფრო გათხელდა.
ის ერთი ხელით მიწასავით ლოდებსა სჭრიდა,
მეორე ხელით ქვის დიდ ლოდებს გულზე იყრიდა.
იმის გულს ჯერჰის სიყვარულით მწარედ ჰაჭრავდა,
ჯერჰი თუ ჰყავდა, ქვიდან ჯერჰი რად გამოჰყავდა?
[ჯერჰის დანახვა სასაცილოდ იმას ეჩვენა,
მოშურნე გულმა იმის გამო დაიწყო ფრენა.
სატრფოზე ღელვით იგი მეტისმეტადა წუხდა,
ეწვოდა გული და სხეულში სისხლი უდუღდა.
გაუხდა გული სატრფოს ეშხით გაუბედავი,
მოდუნდა მისი გონება და ჩაჰკიდა თავი.
ვით დაკოდილი ტყის ფრინველი, დარდით წვალობდა,
ჯიგარდაჭრილი, იგი მიწას ეხეთქებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ, ვით ბნედისაგან ძირს დაცემული,
გონზე მოვიდა ღელვისაგან იმისი გული.
ჯვლავ, მეორეჯერ ნახა: მთვარე ამოსულიყო,
ვერ გამოერჯვა მისი სატრფო, იგი თუ იყო.
რომ დააჯვირდა, გახდა მისთვის ეს დასაჯერი,
დაიწყო ბორგვა და მიწიდან წამოდგა მტკერი.
მოთქვამდა მწარედ და ხმამაღლად იგი ყვიროდა,
რა ვთქვა, იმ სატრფოს სიყვარულით იგი სტიროდა.
ასგვარ წვალებით აქით-იქით სხეულს სტყორცნიდა,
ორასჯერ მაინც სატრფოს ცხენის ფლოქვებს ჰკოცნიდა,
თვალიდან სისხლის ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა,
სიშტერის გამო მისი ენა არას ჩიოდა.

რომ ნახა მთვარემ, ჯაცს გონება სულ დაკარგვია,
ლალის ბაგიდან მან შაქარი გადმოაფრქვია:
„როგორ ხარ, ფარჰად, ან აქამდე როგორ იყავი,
ამ მთის მაგარ ქვას ნეტა რისთვის შეკალ თავი?
რა გსურს, რას შვრები, საითა გაქვს გზა წასასვლელი,
ამ ჯლდის ქვისა და რჯინისაგან რას გამოელი?"
აიდგა ენა, ყაყაჩოსებრ გადაიშალა,
როგორც ბულბულმა სურნელ ვარდზე, სიტყვა გასთალა:
„ჰოი, სატრფოვ, ხარ გულწარმტაცი, გულმომხიბვლელი,
შენა ხარ შაჰი დიდებულთა და მბრძანებელი.
ბედია შენთვის მოწყალე და თავდადებული,

შენი იღბალი არის მუდამ ფეხგამართული.
ჩემს ბედად დღეს მე რა ვარსკვლავი შემომეყარა,
რომ მე ჩემს სურვილს მივხვედრივარ დღეს ამისგვარად!
ნამდვილად ჩემი ბედი უკვე ძილს გამოექცა,
რომ ჩემი მთვარე ჩემ ცხოვრების წვერზე მოექცა.
დღეს ჩემი გული განათლდა თვით ამ გასაჭირზე,
როგორ მოჰყევი, ჰოი, სულო, დიდი მთის ძირზე?
ჩემი ვარსკვლავი მე დღეს ისე არ მეხმარება
და შენებრ ჯარგი მე ახლოს არ მომეჯარება.
შენ ის ნაძვი ხარ, რომ არა აქვს არარა დარდი,
საიდან უნდა მოიგონო ნეტა ფარჰადი?
მე დღეს შენ გამო, რომ იცოდე, დიდად მრცხვენია,
რომ არც რა შენი შესაფერი არ დამრჩენია.
ამდენს ტანჯვაში სულის მეტი არა შემრჩა-რა
და თუ მიბრძანებ, იმასაც ჯი განველტვი ჩქარა.
როცა აქ მოდი, ვნებათ ღელვა შენ ამიშალე,
ერთი შეხედვით ჩემს სულს ტანჯვა გამოაცალე.
დარჩი მცირე ხნით, შენი ცქერით ვიქნე დამტკბარი,
გულის წადილზე ერთ წუთს შენთან ვიყო დამჯდარი.
იმ საათიდან, მილიდან რომ რძეს მიირთმევდი,
შემდეგ ჩემს სახელს შენ ერთხელაც არ ახსენებდი.
რიგი არ არის, ჰოი სატრფოვ, გულის დამწველო,
შენ ლხინში იყო, მე ჯი მადგეს დღე უსაშველო.
შენს სიახლოვეს, ვით თვისიანს, თუ დამაჯენდი,
შენ მე მარგალიტს და შაქარსაც უხვად მომფენდი.
მიბრძანე საქმე შენ იმგვარი საკეთებელი,
რომ გაბტერდება მისგან ყველა ჭკუათმყოფელი.
მე მითხარ: „წადი, სიხარულით დაიტკბე გული,
მე ჯი მინდა, რომ საქმე მქონდეს მოშორებული.
ვფიქრობდი, ჩემი მონაწილე შენ იქნებოდი,
თაჯით და ტახტით თანასწორი გამიხდებოდი.
შენთვის საჭირო ისე ვიყავ, ჰოი, შენ მთვარევ,
რომ გასაჭირი რძის შესახებ მე მოვაგვარე!"

სახემზიანმა ამის შემდეგ უთხრა ტკბილ ენით:
„რამდენიმე დღე მაგ საქმეში იყავ მოთმენით,
თუ მაგ საქმეში არის რამე გარემოება,
ვნახავთ მაინც, თუ რას მოიტანს ჩვენ წინ დროება.
მწუხარებაში სამუდამოდ არვინ დარჩება,
საწუთროს ნდობით ვერავინ ვერ მოეყიდება.

არვის დატოვებს მის ავ-ჯარგში ეს თვე და წელი,
ერთ წუთში სხვებზე შეიცვლება იგი ყოველი.
თუკი ამოთხრი ამა მთიდან გასასვლელს მთელად,
აღარ ექნება შაჰს მიზეზი რამე სათქმელად.
შემდეგ ამისა შენს მზეს ჰირი გამოუჩნდება,
იღბალის მთვარე აღმოსავლით აღმობრწყინდება".

ფარჰადმა იმას ხელმეორედ მისცა პასუხი
და უთხრა შირინს, რომ არ იყო შიგ რამ საწუხი;
„ჩემგან იკითხე თვითონ ჩემი გარემოება,
ვამბობ: უშენოდ ჩემი ბედი თავქვე დადგება.
როდესაც შენი ტრფობის სწავლით მე გამახარე,
გულით და სულით მწუხარების ხელში ჩამყარე.
გულმომხიბვლელო, გულდამწველო, მაგ ეშხისაგან
დღეს ღამისაგან ვეღარ ვარჩევ, ღამეს, – დღისაგან.
როცა ჯვნესაში ყვირის შიშით ჩემი სხეული,
მხეცების ჯოგი სტირის ჩემგან მთაში ჩვეული.
წინათ ტირილით უდაბნოში მიმოვბრუნავდი
და არასოდეს მე ჩემს თავზე არა ვზრუნავდი.
ირემ-ჯანჯარი ისხდნენ ჩემთან უშიშრად ყველა,
ვეფხვი და ლომი ითვლებოდა ჩემს მახლობელად.
არასა ვჭამდი, არ მძინავდა მე ღამე მთელი,
არ ვცნობდი ქვეყნად, თუ რა იყო ჩემი სახელი.
ღამაზო, მე ის ყარიბი ვარ ახლა ნამდვილად,
რომ შენს ტრფობისაგან განშორება მერგო ჩემს წილად.
ამ თვალებიდან მომდის ცრემლი აუარება,
ქვას და რკინასთან ბრძოლაში მე ის მეხმარება.
ამ შავ ქვის ასე მოუსვენრად შორით გადაყრით
ვთხრი ჩემს სიცოცხლეს საბოლოოდ, – მთაში ქვის მოთხრით,
მე ხომ მივდივარ, მსურს შენ დარჩე წუთისოფელში,
ვით ბაღის სარო, იქნე მარად სიჭაბუკეში.
მაგ შენს ბაგეზე უნდა იყოს ტკბილი ღიმილი,
ნუ ქნას, რომ იყოს რამე დარდი ზედ დარჩენილი!
ეგ შენი სარო უნდა იყოს ცად ატყორცნილი,
ეგ შენი გული უნდა იყოს ლხენით ავსილი".]

შაქრისბაგოვანს ჰქონდა თასი რძით ავსებული,
მისცა და უთხრა: „ჩემს სახსოვრად დაიტკბე გულით!"
და გამოართვა ვაჟმა შირინს ეს ნაჩუქარი
და გემრიელად მიირთვა მან, როგორც შაქარი.
თუ შირინია მერიქიფე, მოსამსახურე,

რძე ჯი არა, თუნდ შხამი იყოს, შესვი, მოსწურე!
როცა მიჯნური დათვრა უკვე ჯამის ნარჩენით,
იმ მეჯლისიდან მერქიფე თვით წავიდა ფრენით.
მოეშვა მისი ტანი ამდენ ოქროს ხმარებით,
დაეცა მისი ცხენი ძვირფას განძის ტარებით.
ცხენი არ ჰყავდა ოქროს მთაში გამოჩვეული,
ჯოჭლობდა იგი, იმ ვერცხლის მთის ქვეშ მოქცეული.
ასე ამბობდნენ, რომ ქარივით ცხენი ფეხმალი
დაჯოჭლდა, როცა ზედ ეჯიდა ძვირფასი ლალი.
ნახა მიჯნურმა ცხენზე მჯდომი სატრფო, სულიჯო,
რომ ქარისაგან ის ძირს უნდა დაცემულიყო,
მივარდა იგი ცხენს, თავისი მხედრითურთ ხელად
ზე აიტაცა და მით საქმეს იმან უშველა.
[და გააქცია ის იქიდან დიდი სიჩქარით,
სულ ჩამოტოვა ცხენმა უკან მხლებელთა ჯარი.]
მის ჯოშში იგი წაიყვანა, ისე უვლიდა,
რომ შირინის ტანს, ერთ ბეწვსაც ჯი არ შეუშლიდა.
დატოვა იგი იმის ჯოშში დიდ ხალიჩაზე
და თვით გაბრუნდა სამუშაოდ თავის ადგილზე.
ის თან იმავ ქვით რჯინეულის მჭედლობას სწევდა,
თან იმა რჯინით გრანიტის ქვას ნაცრად აქცევდა.
ტანჯვის მთა მის გულს მთის ქვასავით ზე აწვებოდა,
ქვიან მთის წვერზე თავით ქვაზე ეხეთქებოდა.
ვით შველი, თვალი მწვანე მთისკენ რომ მისდიოდა,
შურისტანიდან გურისტანში შიშით მირბოდა.[312]

ხოვროვის მიერ შირინის ფარჰადთან წასვლის შეტყობა

ქვეყნის უფროსი ხოსრო შაჰი ყოველ დროებით
შირინის ამბავს იძიებდა თავგამოდებით.
ათასზე მეტი მას ჯაშუშად ჰყავდა მსტოვარი,
ფარულ საქმეთა შეტყობაში სწორუპოვარი.
თუნდაც თუ ცხვირზე იგი მთვარე თითს მიიდებდა,
მას სათითაოდ სხვისგან შაჰი წამს გაიგებდა.
იმ დროს, როდესაც რომ შირინმა ფარჰადი ნახა,
არა მთა, იმან რაღაც ციხე ფოლადის ნახა, –
შეატყობინეს ქვეყნის უფროსს ხელად ამბავი,
თუ როგორ ნახა ფარჰადმა ის მზუთუნახავი:
„მას ხელში ღონე საშინელი ისეთი ჰქონდა,

ყოველ დარტყმაზე მთა ძირამდე დაინგრეოდა.
იმ საათიდან ნეტარებას იგი განიცდის,
ქვისებრ სიმაგრით ქვასთან ბრძოლით თავის თავსა ზრდის.
იმ რაინით ქვაზე იგი ასეთ მიზანსა აღწევს,
ბისოთუნის მთას სულ უბოძოდ ის გადააქცევს.[313]
ის წერაქვსა სცემს, როგორც ლომი ომში მედგარი,
რალა წერაქვი, თავად არის რაინისებრ მყარი.
აჯობებს მელა, რადგან ჭკუით აღემატება,
თუ მგელთან ბრძოლა რამ შემთხვევით მას მოუხდება.
ქერის ტომარა თუ დინართან სასწორზე დადეს,
თუკი მეტია, ყაფანს მყისვე თავისკენ დასძლევს.
თუკი ერთი თვე თავის ღონე იმას შერჩება,
იმ მთის ზურგიდან მალე გარეთ გამოიჭრება".

შაჰს ქვის მთლელისგან უმწეობა დაეტყო ძნელი,
რომ იძულებით ლალზე უნდა აიღოს ხელი,
და ჰკითხა მოხუცთ, რომელთ ჰქონდათ გამოცდილება:
„როგორ მოვიქცეთ და ამ საქმეს რა ეშველება?"
ბრძენთა მოხუცთა მოახსენეს მეფეს გულთბილად:
„თუ გსურს, გაიხსნას ამგვარ საქმის ჯანძი ადვილად,
გაგზავნე ვინმე მცოდნე მასთან ამბის სათქმელად,
რომელიც ეტყვის: მოკვდა შირინ მოულოდნელად.
[უნდა უდაოდ ერთი ვინმე ღვთისგან წყეული,
რომელსაც ღმერთი არ სწამს და არც რაიმე სჯული,
ენატარტალა ავი ზნისა და ცუდი სახით,
ყოველ საქმეში ექნეს ცუდი თვისება ძაღლის.
ვით ძაღლი, იყოს ის საქმეში ცრუ, საძაგელი,
როგორც ფოცხვერი და ან მგელი დაუნდობელი.
არ აჯეთებდეს საქმეს რამეს საფუძვლიანად
და თუ აჯეთებს, ინგრეოდეს ძირფესვიანად,
ერთ ხარვარ ჰურის მჭამელი და მაინც უღონო,
ათასი რამის გამგონი და მაინც უგონო.]
რამდენიმე ხნით მისი ხელი საქმეს მოწყდება
და დაყოვნება მის საქმეში მით გამოჩნდება".

მოიხმეს იმათ ვიღაცა ცრუდ ენამეტყველი,
შუბლი შეჯრული და სახითაც შიშისა მგვრელი,
როგორც ყასაბი, თითქოს სისხლის საღვრელად იჯდა,
ნავათის მსგავსად თითქოს ცეცხლის ბურჯღულებს ჰყრიდა,
ავი სიტყვები იმას ბოლოს მათ შეასწავლეს,
ოქრო აღუთქვეს, ხოლო რაინით ის დააშინეს.

გაგზავნეს იგი სადაც იყო ის მთა მაღალი,
წავიდა და თან დააყოლეს რისხვა ახალი.

როდესაც ფარჰადს შეავლო მან თვალი ნაძრახი,
ნახა, ფოლადის ეჯირა მას ხელში ნაჯახი.
მხეცი ლომივით თითქოს იგი თვის ჯავრს იყრიდა,
გიჟი სპილოსებრ გახელებით ქვის ყედელს სჭრიდა.
შირინის გამო მის გულს ცეცხლი ეკიდებოდა
და იმის ხელში ქვა და რკინა სიცხით დნებოდა.
ცეცხლის ხანძარი მას ჯიგარში რამ გასჩენოდა,
არც თავისი და არც ქვეყნის რამ გაეგებოდა.
შირინის სახის მოსაგონად ბაითს მოთქვამდა
და წერაქვის წვერს გასახვრეტად ქვაზე ურტყამდა.
წავიდა იგი გულქვა ჯაცი ფარჰადისჯენა,
გაშალა ენა და მწუხარედ თავი აჩვენა:
„ჰოი, უვიცო და უგნურო, რა საქმეს შვრები,
ასე უგნურად შენს სიცოცხლეს საით მიჰყვები?"
მიუგო: „სატრფოს სახელისა მსურს დღეგრძელობა,
დავიწყე მისთვის, როგორც ხედავ, ესე ხელობა.
იმ სატრფოს ენა მუდამ ტკბილად მონალესია,
ჩემს სიცოცხლეზე იგი ასჯერ უტკბილესია".
სასტიკი ჯაცი, წარბშეკვრით რომ ლაპარაკობდა,
შირინის ვნებას ამ საქმეში ჯარგადა გრძნობდა.
მორთო ყვირილი და ჰაერიც ჯი შეარყია:
„მოკვდა შირინი და ფარჰადს ჯერ არ გაუგია!
ვაი, როგორი ნაზი სარო და ყელყარყარა
სიკვდილის ქარით ვით დაეცა მიწაზე ჩქარა!
მას მიწა, მთვარეს მიაყარეს ამბრის სურნელი,
თვალების წყალით გაურეცხეს გზა წასასვლელი.
[მისი სიკვდილი ქვეყნად იცის ყოველმა ჯაცმა,
საკვირველია, ვერ გაიგო მხოლოდ ფარჰადმა!
იმ საათიდან, შირინი რომ შეიქნა მკვდარი,
ჩვენი თვალიდან წარმოდინდა წყლის ნიაღვარი;
სიკვდილის ქარმა მოკლა უცებ მზეთუნახავი,
იმის საგლოვად ქეივანმა ჩაიცვა შავი.
სწორი საროს ხე, შენი გული ხომ მოიპოვა,
განვიდა ქვეყნით და სიცოცხლე შენ დაგიტოვა.
სამწუხაროა, რომ ასეთმა მზემან და მთვარემ
იმ უკუნეთში უცაბედად ჰპოვა სამარე!]
და ბოლოს მაინც მასთან ერთად ყველანი სწუხდნენ,

იგი შავ მიწას მიაბარეს და ყვლავ დაბრუნდნენ".


ამ დროს ის დანით დაჭრილივით იბნიდებოდა.
სახეზე დიდი მწუხარება ეხატებოდა.
რომ თქვა: „ის თმა და ის ხუჭუჭი, ოჰ, მენანება",
იმ წუთში ნეტავ მისი ენა რად არ დაება?
რა გული დართავს ადამიანს თქვას საიდუმლო,
მნახველია თუ არმნახველი, თქმას ვით ჯისრულობს?|

როცა ეს სიტყვა გმირ ფარჰადის ყურებსა მოსწვდა,
იმ მთის თაღიდან ის, როგორც მთა, ერთბაშად მოსწყდა:
ამოიძახა მან გულიდან ვაი იმფერი,
იტყოდი, თითქო ჯიგარს მოხვდა შუბი ორწვერი.
მოთქმით ამბობდა: „ვაჰ, რამდენი დღემდე ვიწვალე,
ჯარგი ვერ ვნახე და ტანჯვაში გარდავიცვალე|
[ვაჰ, რა ამაოდ გავიტანჯე წუთისოფელში,
ვაჰ, როგორ გაქრა ეს იმედი ბრმა საწუთროში|
ჩემმა ცლდის ჯოდვამ დღეს ნაყოფად ეს გამოიღო,
არ იქნა ჩემი საშველი და ტანჯვა ეს იყო.
ვერ ვნახე ლალი, ამ ჩემს ხელში ქვაა მოსული,
როგორც უვიცი, ვიყავ მისთვის ჟინით მოცული.
რა ცეცხლი იყო, გამხმარ ნამჯას რომ ხელი მიჰყო,
რა ქარი იყო, უცაბედი მე რომ წამიღო|
დარჩა ქვეყანა უმთვაროდ, და უმზეოდ დარჩა,
დარჩა მინდორი უძეწნოდ და შიმშადიც არ ჩანს.
ქვეყნის ლამპარი იმ სამყაროს შორს გაეცალა,
არა შირინი, ჩემგან თვით მზე გადაიმალა.
არ სწყალობს ზეცა არასოდეს ბედით დაჩაგრულს,
არ შეეწევა არაფერში ღონემოკლებულს.
სამწუხაროა, რომ ასეთმა მზემან და მთვარემ
ამ უკუნეთში უცაბედად ჰპოვა სამარე.
თევზიც, ფრინველიც თანამიგრძნობს: „რა ცოდვა ხარო",
ბნელმა წარიღო უკვდავების ის ჩემი წყარო.[314]
იმ სატრფოს სახეს რისთვისა ვარ მე მოწყვეტილი?
გაქრა შირინი, აქ სადღაა ჩემი ადგილი?
თუ უშირინოდ მე ცოცხალი ჯიდევ დავრჩები,
ახია ჩემს ტანს, რომ გაშორდეს ეს ჩემი ძვლები.]
როდესაც ასი ცხვარი ერთგან ჯგუფად დადგება,
იმ ჯგუფში მგელი ღარიბისას დაეტაკება.
მევარდემ ყარგად თქვა, როდესაც ვარდი მოსწყვიტა:
„რაც არ შეგრჩება, შენ მიღება მისი ნუ გინდა!"

ჩავიდა სარო შავ მიწაში, ის მშვენიერი,
რატომ სულ თავზე არ მეყრება მე მიწის მტვერი?
მოსწყდა ვარდის ბუჩქს ის ყვავილი ქორფა და ლაღი,
რად არ მექცევა მე დილეგად ეს ტურფა ბაღი!
გაფრინდა მტრედი ველით ახალ გაზაფხულისა,
რატომ არ მოვთქვამ, ვით მქუხარე ღრუბელი ცისა?
ჩაქრა ლამპარი სამუდამოდ ქვეყნის მნათობი,
რატომ დღე ღამედ არ იქცევა ამ დღეში მყოფის?
ჩაქრა სანთელი ჩემი, მიტომ გაცივდა სული,
მთვარე წავიდა ჩემი, მზეა გაფითრებული.
მე თვით შირინთან არყოფნისჟენ მინდა გავწიო,
მინდა სირბილით მეც არყოფნას რომ მივაღწიო!"

შირინზე დარდი დაუტოვა იმან ქვეყანას,
აჟოცა მიწას სახსოვრად და წავიდა თანაც.
საწუთრო თვითონ ამის გარდა არას აჟეთებს,
რომ ტანჯვას მისცემს ჟაცს და შემდეგ სულს ამოართმევს.
როდესაც საქმეს საშველი რამ აღარ ექნება,
იმისი ჟარი ყოველ მხრიდან დაიჟეტება.
ყოველ ვარდის ტოტს, რასაც იგი წაავლებს ბრჭყალებს,
მიწის მაგიერ ქვას დააყრის და ასე წალეჟს.
თუ სიხალისით რამ საწილო არა გერგება,
პირში შაქარი ჩადებული შხამად გახდება.
ბედის გაწყრომით როცა არ გაქვს რამ მოტევება,
უნდა აიჟრა ბარგი, რაც ჟი მოგეძევება.
ბედის აღვირი თუ თავქვეა დაქანებული,
უჭირს ჭაბუჟსაც, თუ ფეხი აქვს სუსტად შედგმული.
ბედისგან ისე ბედნიერი ვინ უნდა იყოს,
სამგზავრო ყუთი მუდმივ სახლად თან არ წაიღოს?
ვითარცა ქრისტე მოჟალათდეს მეოთხე ცაზე
და ხალხისაგან დაიმალოს როგორმე ასე.
ჯადოქარია ქვეყანა და ჯადოქრობისას
სიჟეთით შენით უნდა ჯადოს გაუსხლტე მისას!

ნუ ჰქმნი ჯოჯოხეთს შენთვის შენი ბუნებით ავით,
სხვასაც სამოთხედ გადაექეც, აყვარე თავი!
თუ შენს ბუნებას აქვს ჟაცური რამე ღირსება,
აქაც და იქაც ეს სამოთხე შენ გეღირსება.
ნუ დაიძინებ, თვალო, როგორც გონებაბნელი,
როგორც მღვიძარმა, შენც ამქვეყნად ამართე ხელი.
რამდენ ხანს უნდა დაიძინო ამ მიწის გულში,



რომ ეს საწუთრო დაგავიწყდეს წარსულ-მოსულში".
ამ ორმოცდაათ წლის სიცოცხლეს ბრმად რომ ატარებ,
მაგ ერთ მუჭ ტალახს ნებივრობით რისთვის ახარებ?
თუნდაც რომ იყო ორმოცდაათათას წლიანი,
მაინც არ არის ეგ მუდმივი, საფუძვლიანი.
არ შეიძლება ქვაზე უფრო იქნე მაგარი,
ხედავ, ეს ქვიშა ჩამოყრილი ქვისაგან არი!
მინა ხალია, ქვიშა ვით არ ჩამოიყრება,
ანდა ამ ნატზე სისხლის მეტი რა დაიღვრება?[315]
მრავალი სისხლი ამ უდაბნოს ველზე დაღვრილა,
ამ ცის ტაშტის ქვეშ სიაუში ბევრი ყოფილა.
ყოველი მტვერი, რომელსაც ჯი მოიტანს ქარი,
ის ფერიდუნის ანდა ქეიყობადის არი.
ბევრი ვარდია დედამიწის პირზე გაზრდილი,
რომ იგი ჯაცის სისხლით არის სულ შეღებილი.
[ვინ იცის, ახლა ეს ბებერი მელა უხეში
რა ბეჭანია, რომ ჩამჯდარა ამ ჭის სიღრმეში![316]
ვინ იცის აბა, ეს საჯანი, წლით ხანდაზმული,
რა ხნის არის და როგორია მისი წარსული!
ყოველ ას წელში გარს შემოვლას იგი უნდება,
რომ შემოუვლის ის ხელახლა შემობრუნდება.[317]
იმის ჩქარ ბრუნვას თვალით ვერვინ ვეღარ მისწვდება,
სანამდე იგი მის სიღრმეში არ ჩაინთქება.
ვინ უწყს, რამდენჯერ ამ ბრუნვასთან დაიწყეს რბენა,
რას ნახვენ ან რა შეიძლება მისგან შესმენა.
ავი და ჯაი ყოველ ბრუნვას აქვს განსაზღვრული,
მცოდნესაც მისი საიდუმლო აქვს დაფარული.
თუ რომ არ გინდა, ნახო ჯავრი ჯავრზე სრულებით,
არ გაამხილო საიდუმლო შენ დაწვრილებით.
მთელი დღე-ღამე მირბის ცხენი ცხოვრების ველით,
ამ ცხენის აღვირს არ გაუშვა არასდროს ხელი!
თუნდ ასნაირად მოგაჩვენო ეგ ცოდნა შენი,
იმით ვერ ძალგიძს შეაჩერო ოჩანი ცხენი.
სანამ იქნები ჯატასავით თავისმოყვარე,
გააგდე ჯატა იღლიიდან და გაიარე!
ზეცას თუმც ჰქონდა ქვაბში მიწა მოსახარშავი,
არ დარბილდება მისი ზნე, ვით შაგრენის ტყავი.
თვალთმაქც ზეცისგან სულ ცალმხრივად რომ იხედება,
ბევრი მექონი სიმდიდრისა უმწეო ხდება.

პატარძალს ამას შენებრ ბევრი გამოუცვლია,
მიეც ქარს ხელში მისი საქმე, ის მოხუცია.[318]
თუ ის გრიგალი უნდა ატყდეს მართლა ძლიერი,
უფასს მივენდოთ, – ძალუძს შეცვლა მისი იერის.
ის ქარი მოვა, თუ არ მოვა დღეს თავის ძალით,
შენ მაინც გირჩევ, ნუ ანათებ ამ ცეცხლის ალით.[319]
ერთ მუჭ მიწაში, მუჭის მიწავ, ნურას მოელი,
თუნდ ათასავ თითზე აინთო შენ ათი სანთელი.
არ იქნა, მიწამ საქმე ისე რომ მოაგვაროს,
რომ მოჭრილ თითზე წამლად მიწა მან დააყაროს.[320]
შენ ტანსუსტი ხარ, ამ აყალო მიწით შექმნილი,
ხან ჯანმრთელი ხარ, ხან უძლურად ჯანმოთენთილი.
ძირს ჩამოვარდნა ზევიდან ჯი არის ადვილი,
თუ სხეულმა არ განიცადა დიდი ტკივილი.
გინახავს სიზმრად უსხეულო ჯაცი ამგვარი,
ვერას გაიგებს, თუნდაც მოხვდეს ასი ისარი.
თურინჯს ის საქმე არ უნახავს გოგირდის ბოლით,
რაც ჩვენ დაგვმართა ცხრა სფერომან საწუთროს ქროლვით.[321]
იოსებივით ამ თურინჯს თუ არ გაშორდები,
ზოლეიხასგან ჭრილობის დაღს ვეღარ ასცდები.[322]
დაითვერ დილით ტრფობის ღვინით, ცას ქვა ახალე,
ნურც ნარინჯი და ნურც თურინჯი ნუ გინდა! მალე!
ჩამოიშორე ამ ცხრა სფეროს ეს ტვირთი ძნელი,
იქნებ მოგშორდეს სამუდამოდ ცხრათავა გველი!
ჰირი, რომელიც ჩვენი ყოფნის მეგობარია,
ჩვენი ნაზრუნი შემოდგომის ცივი ქარია.
უსიყვარულოდ ერთი სუნთქვაც არ შეიძლება,
რადგან ყოველი სუნთქვა ჩვენი თითზე ითვლება.
თუ ფარჰადივით ტრფობა გულში შეგეპარება,
შემდეგ სიკვდილი შენდა თავად გაგეხარდება.

ოსტატი წერაქვს ფოლადისას მძიმეს და ბასრსა
მუდამ უგებდა ბრონეულის ხისაგან ტარსა.
მიტომ რომ მარჯვე ყოფილიყო ხელში საჭერად
და მით საქმეზე ემუშავნა გულდასაყურად.
როს გაიგონა ის სიტყვები ფარჰადმა თვითონ,
გადაისროლა ის წერაქვი შორს იმ ქვის მთიდან.
წვერი სიპ ქვაში ჩაერჭო და მიწაში – ტარი.
ამბობენ, მიწა ჯარგი იყო, დაუდგა დარი.
იმ ხის ტარიდან ბრონეულის ალმოხდა ტანი,

ხედ გადაიქცა და მოისხა ნაყოფი თანაც.
თუ იმა ხიდან მოსწყვეტ ნაყოფს ბროწეულისას,
შეიძენ წამალს ყოველგვარი ავადმყოფისას.
ნიზამის თუმცა არ უნახავს ის ბროწეული,
მაგრამ დავთარში წაიკითხა ამგვარად თქმული.

სანეგეზო წინი ხოსროვისა შირინთან, დაცინვის მიზნით

ჯამბემ თავის ნათქვამს მისცა ეს ხასიათი,
შირინის ტრფობით თუ რაგვარად მოკვდა ფარჰადი.
ამ დარდისაგან შირინის გულს დააჩნდა დაღი,
რომ იმ ფრინველმა მიატოვა იმისი ბაღი.
იმ ნაზად ნაზარდ საროს გამო სატრფომ გულისამ
ბევრი იტირა, ვით ღრუბელმა გაზაფხულისამ.
დიდგვართა წესით შემოსა ის ძვირსამოსელით,
ჩასდო მიწაში და დაბრუნდა ცარიელ ხელით.
იმის საფლავზე ააშენა გუმბათი დიდი
და სამლოცველო წმინდა სახლი მან შეჰქმნა მითი.
[რომ ფარჰადისგან ეს საწუთრო დაცარიელდა,
ბრწყინვალე მთვარე ამის გამო უკვე დაბნელდა.
გულსევდიანი მიტომ იყო ის ჰირნათელი,
რომ იყო თვითონ ის ერთგული სიტყვის დამცველი.
ამით უზომო მწუხარებამ იგი დასცალა,
და ამ ტანჯვაში უბედურად გარდაიცვალა.
სიკვდილის შემდეგ ერთი კვირა როცა გავიდა,
მოშურნეების გული ამით სრულად დამშვიდდა.]

შეატყობინა ხოსროვს ყველამ მარცხნით და მარჯვნით:
მოისპო გზაზე ტყის ეკალი უკვე დიდი ხნით.
შეშფოთდა შაჰი უნებურად საქმით ამგვარით,
შეწუხდა იგი მეტისმეტად თავის ნაქნარით.
ფიქრობდა იგი და ჰქონდა მას დიდ საფიქრელად,
როგორ დაადგას მიწას ფეხი შეუდრეკელად.
ვინმეს სხვისათვის ცუდი საქმე რომ მოუნდება,
იმას შავი დღე ისევ უკან მოუბრუნდება.
ამ ფიქრში იყო დღით და ღამით და მიტომ სწუხდა
და მას ეს ფიქრი და წუხილი ბოლოს აუხდა.
შაჰმა თვის მდივანს საჩქაროზე აქ მოუწოდა,
ვინაც ქალაქზე მარგალიტის დაყრა იცოდა.[323]
უბრძანა: „ერთურთს აურიე მწარე და ტკბილი

და ჩემს შირინთან დამიწერე წერილი თბილი".
მდივანმა პირველ წიგნის წერას რომ მიჰყო ხელი,
დიდის დიდებით მოიხსენა უფლის სახელი:
„მისი ნათელით არის ყველა თვალებხილული,
თვალსა სინათლე მისგანა აქვს მინიჭებული.
მაჩვენებელი სიცოცხლის და სათნოებისა
არსების ჯვალი ყოველგვარი მიწის და ცისა.
ზეცა თვით დედამიწის თავზე შემოაბრუნა,
მიწას სამყაროს ბრუნვის ხაზში ყოფნა არგუნა".
შემდეგ უფლისა ხსენებისა და წმინდა სულთა
მოიხსენია მან ამბავი ტრფობით ტანჯულთა,
რომ: „შაჰი არის იმ შირინის დიდი მოყვარე,
რომ „მოსწონს იგი დაშაქრული, პირმომცინარე.
გამიგონია, მეგობრული რომ ჰქონდა რწმენა,
ფარჰადს საფლავზე მან გუმბათიც ჯი აუშენა.
[შემდეგ საფლავის ადგილიდან ოხვრით და ჯვნესით
თვის ჯოშჯისაჯენ გაემართა ის თავისი გზით.]
სუმბულით წითელ ვარდზე მუშჯი გადააყარა,
ნარგიზით ჟასმინს ვერცხლის წყალი ზე დააღვარა.[324]
ორად მოხარა მწუხარებით საროს ხის წვერი,
ლურჯად შესცვალა მოელვარე წითელი ფერი.[325]
თეთრი ჟასმინი ლურჯ იასთან შეაჯავშირა,
ტაბილი ხურმები ძვალთ საჭმელად იმან გასწირა.[326]
ტიტათი იგი იფხრიწავდა ფურცლებს ვარდისა,
მარგალიტებით მთვარის ყურეს ღეჭდა ხანდისხან.[327]
მთვარეს სამოსი აბრეშუმის შემოაცალა,
სახის საბური და თმის ჯვანძი მან დაიშალა.[328]
დასწვა ქვეყანა იმისი ხმის ჯვნესა-გოდებამ,
მოთქმით მეგობრის სიყვარულმა და მოგონებამ.
ასეთი უნდა მეგობრობა წმინდა მოყვრული,
ასეთი უნდა იყოს მუდამ ცდა მეგობრული.
დიდ მთას აქცევდა ვაჟკაცური იმისი შრომა,
მუხლისთავებით მთელი ეს მთა იმან გაზომა.
ყარიბი მოკვდა, მეტი გლოვა მას უნდა განა,
უთხარ ქვეყანას, რომ ატირდეს მთელი ქვეყანა!
ასეთნაირი მოაშიყე დარდისგან ჯვდება,
ვინ არის, მისი მიმბაძველი რომ არ გახდება?
იმისი საქმის ანგარიშებს მე ვერ მივწვდები,
შენი გულისთვის დარდისაგან მე ვიტანჯები.

ვიცი, რომ მოკვდა, შენ მწუხარედ სტიროდი მასზე,
მოკვდა და ახლა არას ამბობ განშორებაზე.
რად უნდა მოკვდე შენ წინასწარ იმის დარდისგან,
როცა მოკალი, რალად გინდა დარდი მისაგან?
შენ მისთვის სწუხარ, იმის სისხლს ჯი სვამდი აშკარად,
ძვირფასად თვლი და შენ აქციე ის საზიზღარად.
თუმც ასი წელი მისი მიწის თავზე დაკდები,
იქ სველ მიწის მეტს შენ ვერავის ვეღარ შეხვდები.
თუმც ასი ჯიგრის მიწა გქონდეს ხელში დებული,
ვერ ნახავ, მისებრ სხვას შირინზე სტკიოდეს გული.

მაგრამ სარგებელს რას მოიტანს ტირილი მარტოდ,
მით რა გამოვა, თუ ადგება ბოლი უმწვადო?
დარდის გაწევით შენ ცოდვა არ ჩაგიდენია,
რას იზამ, ასე თუკი ბედის განაჩენია?
სიცოცხლის ბოლო ხომ სიკვდილი არის უცილოდ,
არავინ ცოცხლობს სამუდამოდ და უსიკვდილოდ.
შენ დღის სხივი ხარ, ის ვარსკვლავი, ჰოი, ღვთაებავ,
ჩავა ვარსკვლავი, დღის ნათელი რომ გამოჩნდება.
შენ ცისკარი ხარ, ის ლამპარი, გულს რომ ენთება,
ჯობს, ის ლამპარი, თუ ცისკარზე უწინ ჩაქრება.
შენ სანთელი ხარ, ის ფარვანა, ვნება აღძრული,
მოვა სანთელი და ფარვანას გასძვრება სული.
შენ თვით ბაღი ხარ, ის ბალახი შენზე იზრდება,
ჯობს, თუ ბალახი შიგ ბაღშივე ძირს დაიყრება.
შენ თვით ცეცხლი ხარ, ის ჯი უდი ზედ რომ იწვება,
უდი ხომ იწვის, ცეცხლის ალი რომ აინთება!
თუ რომ გაფრინდა ჩიტი შენი ვარდის ბაღიდან,
მას შეიყვარებს შევარდენი იმ შენი ციდან.
თუ რომ გავიდა წყალის წვეთი შენი დოქიდან,
მრავალი მოვა წყალი შენთან სხვა მდინარიდან.
თუკი გექნება ბადრი მთვარე, რას აქნევ ნალეკს,
თუ მთელი შეხვდა სილამაზე, რას აქნევ ხალებს.
თუ რომ ფარშადი ალარ არის, შირინი რჩება,
ვარდი თუ დაჭკნა, მის მაგიერ სხვა გაიშლება!"

მდივანმა როცა დაასრულა წერილის წერა,
აყოცა მიწას და ხელმწიფეს მიაპყრო მზერა.
შიკრიკს გადასცა ის წერილი და თან უბრძანა,
სადაც რიგია, რომ საჩქაროდ იქ მიეტანა.
ნახა შირინმა, რომ წერილი შაჰის მოვიდა,

სახე ნათელი მთვარესავით მას გაუბრწყინდა.
სამგან აყოცა წიგნს, ბეჭედი შემოახია,
წაუკითხავი ერთი სიტყვა არ გაუშვია.
ნახა ჯიგარი, მას ზედ მუშაკ ჰქონდა დაყრილი,
შაქარყინული კი ნაღველით იყო გავსილი.
სიტყვის ფარჩაში ასი გველი იყო ცოცხალი,
მწიფე ხურმაში ჩაემალა ასი ეკალი.
ყოველი ხალი აბრეშუმი იყო ნარევი,
ყოველი შხამი იყო ტკბილი, გადასარევი.
არც მოთმინება, შარბათი რომ გამოეცალა,
არც რამ ადგილი, გაჯავრების ჰქონოდა ძალა.
და ეს სასმელი, დიდი ტანჯვით და გაჭირვებით
შესვა მან მთელად, მოცემული ბედის განგებით.

მარიამის სიკვდილი

Oცოდე, ბრძენო, საწუთროსგან რომ უეჭველად
თავისი ჯილდო მიეცემა ყველას უცვლელად!
ჯარგი იქნება საქციელი კაცის თუ ავი,
საწუთრო ამის დარაჯშია, განსაკოს რა ვით.
ფარჰადის გამო ვითომ ხოსრომ დარდით ძლეულმა,
გამოუგზავნა წიგნი შირინს შხამშერეული,
ასე ასრულდა შეუცვლელი განგება ღვთისა,
რომ თვით მარიამს გაუთავდა დრო შაჰობისა.
უთქვამთ: შირინმა მწარე შხამი მას შეაძლია,
მანაც ხომ ერთხელ განშორების შხამი დალია.
თუ გსურს სიმართლე, შხამზე უნდა აიღო ხელი,
მან მოხერხებით ქნა ეს საქმე და ტრფობით მწველით.
როს ინდოელნი მოხერხებას გამოიჩენენ,
ხმელი ტოტიდან მწვანე ფოთლებს ჩამოაცვენენ;
ის ჯადოქრები, მთვარის ბურთებს რომ აკეთებენ,
მოჯადოებულ თვალში ყალბად მით მოქმედებენ.
სიკვდილის მარხვა მარიამმა რომ განიზრახა,
შაჰის შაქარზე სამუდამოდ შეიკრა ხახა.
ქვეყნის მეუფე მარიამმა გაუშვა ხელით,
ვით ორსულს ელის „მარიამის ხელით“ საშვილი.[329]
„მარიამის ხემ“ ნაყოფი რომ ვეღარ მოისხა,
მორჩა დარდს ხოსროვ, როგორც თვითონ „მარიამის ხე“.[330]
მაგრამ დიდების და პატივის წესთ დასაცავად

ჰქონდა საბუთი, რომ დაეწყო გლოვა ერთავად.
ალარ წავიდა თავის ტახტის დასანახავად,
და შემოსილიც იყო მეფე ერთიან შავად.

როდესაც შირინს ეს ამბავი გადასცეს ჯვალად,
იგი მას ვარდად მოეჩვენა და თან ეჯალად.
ერთი მხრივ, ჯიდეც გაეხარდა მისი სიკვდილი,
რომ შურისაგან ჰქონდა სული მას განმენდილი.
მეორე მხრივ ჯი, შეწუხდა და გული ეწვოდა,
რადგან იმ დღიდან მის გულს რაღაც შიში ებრძოდა.
იმან ხოსროვის ხათრის გამო ერთი თვე მთელი
ლხენა-თამაშზე შეიმოკლა თავისი ხელი.
ერთი თვის შემდეგ მის ტანს ეკლის წვერი მოშორდა,
ქვეყნის წინაშე ეს ამდგარი მტვერი მოშორდა.
გულმა ისევე ვნების თესლის თესვა უბრძანა,
რომ საპასუხო წიგნი ხოსროვს მისწეროს თანა.
სიტყვათა გროვა, რაც მას ჰქონდა ამჟამად გულში,
ჩაჰყარა ყველა, როგორც ჯარგი მარცვალი ხნულში.

შირინის მიერ სანუგეშო ბარათის მიწერა ხოსროვთან მარიამის სიკვდილის შესახებ სამაგიეროს გადახდის მიზნით

ამწერალმა ქალალდს ჯალმის წვერი რომ მოუღერა,
როგორც შეშვენის მეფურ სიტყვას, ისე დასწერა.
სიტყვა სიტკბოთი შეაზავა, როგორც შაქარი,
დაუწყო ისე მიმართვა შაჰს, ვით წესი არი:
„იდიდოს მარად, დაე, უფლის დიდი სახელი,
ცოდვილთა ზედა მათ ცოდვათა მიმტევებელი.
ყოვლად ძლიერი, ჩვენს საქმეებს რომ აწესრიგებს,
სამაგიეროს ჩვენგან იგი არას მიიღებს.
არა სახეა, – ყველა სახის არის შემქმნელი,
ყველა მცოდნესთვის არის იგი გასაკვირველი.
მზიდან მთვარემდე და აგრეთვე მიწიდან ცამდე,
თურქესტანიდან გზის გამყვანი ინდოეთამდე,
მისცა ხალხს იმან უსასყიდლოდ ღონე და ძალა,
მან გამოხატა უკალმოდ თვით ქვის ლოდში ლალი.
ფრინველი, ჭია, ცხოველები ზღვასა და ბარში
არვინ დატოვა სულიერი მუდმივ ტანჯვაში.
აძლევს წყალობას, ვინც განიცდის ხელმოკლეობას

და არ მოაყლებს არც არავის თვის შემწეობას.
მისი ხსენება თუ ოდესმე რომ დავივიწყოთ,
აგვიწევს ყურებს, გავიღვიძოთ მძინართა ვინძლო.
მისი ბრძანებით ეს ჯანონი მთელი ქვეყნისა,
იცვლება ყველა, ვით ნაქმედი შემოქმედისა.
ხან შვებას მისცემს მის ბედად ჯაცს, ხან მწუხარებას,
ხან გააჯოტრებს, ხან მისცემს განძს აუარებას.
ქვეყანა თავის სანიმუშოდ ორ ფერს აყენებს:
ის ხან რომაელს და ხან ჯიდევ ზანგს მოგაჩვენებს.[331]
უსამართლობით ხან ეს იმას აძლევს სამართალს.
მწუხარებისგან შვებას აძლევს ხან ის ამასა.
ლაჰავერელმა უთხრა ტუსელს სიტყვა ნამდვილი:
„ვირის სიყვდილი ძაღლისათვის არის ქორწილი".
არა ყველა ის, რაც გვაქვს, არის გულმოსალხენი,
არა ყველაა, რაც აგდია, ფეხქვეშ საფენი!
განწესების დროს დაგვეწესა წესი ამგვარი,
ხან იგი ჩვენთვის წამალია, ხან – სატკივარი.
ჭკუა იმას აქვს, რომელიცა ყოველ საქმეში
ხან ვარდს დაიჭერს, როცა უნდა, ხან – ეკალს ხელში.
ქვეყნის მეუფემ, მუდამ როა სახემზიანი,
ააგო სახლი შვიდ მთიებზე ექვსთაღიანი.
ქვეყანასა აქვს თავისთავად მეფობის ჟინი,
მეთაურობა საუფროსო, ქუდი, გვირგვინი.
სამოთხე მისი საბოლოო სამყოფი არის,
მის ბაღში უკვე ამოზრდილი ბედის ხე არის.
სამყარო თევზით მთვარემდე სულ მისია, მისი,
თევზით მთვარემდე ყოველივე ესმის და იცის.[332]
და იცის იმან, დღე და ღამე ორფერი არის,
ხან შაქარს გვაძლევს იგი, ხანაც – ლენცოფას მწარეს.
ამ ქვეყნის სახლში, შავი ხისგან როა ნაშენი,
ხან გლოვა არის, ხან ქორწილი გულმოსალხენი.

ცოლი შაჰისა შავ მიწის ქვეშ თუ ასვენია,
საცოლეები შაჰს ბევრი ჰყავს, რა საწყენია!
ზეცამ ამ ქვეყნით წაიყვანა ის მალე მიტომ,
რომ იცის, შაჰიც მალე ძღება საყვარლით თვითონ.
თანამეცხედრე თუ შაჰს უკვე გამოელია,
თუ მალე გაძღა შაჰი, რალა სადარდელია?
ის ამის შემდეგ სხვა ყვავილებს დაუწყებს ცქერას,
შეიძლებს უფრო ჯარგი სატრფოს ხელში დაჭერას.

ცოლდვა ის არის, რომ ის ქალი სულს არ ატარებს,
თორემ ვინც დარჩა ამქვეყნად, ის ჯვლავ გაიხარებს.
ნუ სწუხარ, შაჰო, რომ გავიდა იგი ამ სოფლით,
იგი განძია, განძი ჯი ჯობს მიწაში მყოფი.[333]
ნუ სწუხარ, რადგან ჯაცს წუხილი არ მოუხდება,
თუ იმწუხარებს, იმით მიწაც ჯი შეწუხდება.
აწუხებს მეტად მშვენიერებს ეგ მწუხარება,
არ მოუხდება ნებიერებს დარდის ტარება.
შენ მარიამზე ნუ იდარდებ, ვერ ნახავ ვერსად,
თუნდ ქრისტედ იქცე, ვერ იპოვი იმისგან მტვერსაც.
უბრალო ფიცრით ის მიწაში თუჯი ჩავიდა,
მეფობის ტახტზე უარს როგორ იტყვი და ვითა!
ცრემლს ღვინოსავით რისთვისა ღვრი, ღვინო დალიე,
შენ დაგძლევს დარდი, თუ დარდი შენ თვით არ დასძლიე!
მსხვერჰლი რისია, თუ იგი არ შეიწირება,
მსხვერჰლის მწირავი, აბა, დარდში რად იძირება!
შენ იცოცხლე და ის თუ მოჯვდა, ვინც მოჯლა იგი,
იგივ მოუვლის, ასეთია ცხოვრების რიგი.
თავი ანებე, არას გარგებს მჯვდარზე ტირილი,
მჯვდარს სურს მუდმივი სიჩუმე და არა ყვირილი.
როდესაც სიჯვდილს მოუნდება ჩვენი ხელყოფა,
ვერც სიღარიბე გვიშველის და ვეღარც მეფობა!
წყაროს გულისთვის ნუ ყვირი და ნუ იჯლაჯნები,
დიჯლის მორევი იყოს თუნდაც წვეთით ნაჯლები.
მდინარის პირზე ჯამის ჯამი აიღე ხელში,
იმ ძველ ჯალათზე რატომ ტირი და რატომ ხვნეში!
აწ დაიძინებს შენი გული, დღემდე უძილო,
თვალს არ მოშორდა, მოშორდება გულსაც უცილოდ.
ქვეყნის ბაღიდან ის ნაძვის ხე თუა წასული,
შენ დარჩი მარად, რადგანაც ხარ ამქვეყნის სული.
დარდის შხამს ნუ სვამ, თუ ძალა გაქვს, შენ ღვინო შესვი,
ნუ ქნას, რომ ქარმა გამოგტაცოს თმის ერთი ბეწვი.
თუ რამ არსება წავა შენი მოწყალე ხელით,
დიდება უფალს, თუჯი შენ ხარ, არის ყოველი.
შენ საერთოდ და სათითაოდ ყველას სჯობიხარ,
ლალთა ლალი ხარ უებრო და ასეც ყოფილხარ.
რადგანაც მზე ხარ, მარტო იყავ შენ თავით შენით,
მზეს წყვილი აბა ვით შეფერის ჯემშიდის რწმენით!
თუჯი ფრინველთან საჭიროა ფრინველის ძილი,

შენ ფასკუნჯი ხარ, ხოლო ფასკუნჯს არა ჰყავს წყვილი.
ნუ გწყინს, თუ შენთან მარგალიტი აღარ იქნება,
შენ თვით განძი ხარ, ის მარგალიტს არ ჩამორჩება.
თავი ისა სჯობს, თუ სხვა თავი არა ჰყავს ტოლი,
გოვარი ის სჯობს, თუ მეტია და მჯობი ყოვლის.[334]
შველი თუ წავა, მისი დარდი ნუღარ გექნება,
მინდორში მისი ჯიში ბევრი მოიძებნება.
ერთი მარცვალი შაჰის სვავს თუ გაუვარდება,
იყოს ცის მსხვერპლად, მთვარის ხვავს თუ მიემატება.
[თუჯი მარიამს ლურჯ საჯინიდან წასვლა მოუხდა
ამ სამყაროში მის წილ ქრისტემ იცოცხლოს უნდა.
თუჯი შირინი თავის სამყოფს გაშორდებოდა,
ხალხის თვალში ეს ხოსროვს უნდა გახარებოდა.
თუ მარიამმა ტახტ-გვირგვინი თვით მიატოვა,
შენ მარიამზე რისთვის გინდა ჯვნესა და გლოვა?"

შაჰის წერილის დამთავრება როცა ახარეს,
სიხარულისგან ფრთებგაშლილი ასცილდა მთვარეს:
ჯერ დაიგრიხა, მუშჯ-ამბარით ისხურა თმები,
როგორც მასზე წინ სჩადიოდნენ სხვა ლამაზები.
რომ მორჩა წერას მხატვარი და აიღო ხელი,
გადასცა შირინს და თან უთხრა: „იყავ დღეგრძელი!"
რომ გამოართვა ის წერილი იმ ტანად სარომ,
გაგზავნა შაჰთან ის წერილი იმან საჩქაროდ.
შიჯრიჯს გადასცა წასაღებად და უთხრა ასე:
„წაიღე ჩქარა ეს წერილი თვის შაჰის ჯარზე;
მიეცი ხელში ეს წერილი შაჰს ქვეყნის მფლობელს,
არ უნდა მისცე ვიგინდარას, ამა თუ იმ ხელს!"
სტაცა შიჯრიჯმა ხელი, როგორც მთვარემ უბრძანა,
დაუყოვნებლივ ის წერილი შაჰს მიუტანა.
უთხრა მეჯარეს, რომ მივიდა ის შაჰის ჯართან,
რომ: „მაქვს წერილი მოტანილი ჰირდაჰირ შაჰთან.
ნება მომეცი, რომ თვით შაჰთან მივიდე ჩქარა,
რადგან წერილის ჰატრონმა ეს მე დამაბარა.
მე ამ წერილით როდესაც თვით შაჰთან მივაღწევ,
რომ წაიკითხავს, ამის ჰასუხს წავიღებ ისევ".
მეჯარემ უთხრა: „ჰოი, მეფევ, გექნეს კეთილი! –
მოვიდა მაცნე, სატრფოს მიერ გამოგზავნილი!"
ქვეყნის მეფესთან რომ წერილი მან მოიტანა,
და თითქოს ჯალმის სურნელება მას მოჰყვა თანა.

მოვიდა, ჰკითხა ვინაობა მას წინდაწინვე
და წაიყვანა იმან იგი შაჰთან მაშინვე.]
ვარდი თუ წავა, ეკალს როგორ შეხედავს თვალი,
ვარდისთვის ისევ გაზაფხული მოვა ახალი.
ჯერჯი თუ წარხდა ხოსრო ისევ ისე დარჩება,
მარიმის დარდს ნუ ეწევი, ქრისტე დარჩება!" –

ხოსროვს შირინის ბარათი მიუვიდა

ხოსრომ როდესაც წაიკითხა წერილი მთელად,
სიტყვის სიტკბოთი მოიხიბლა მოულოდნელად.
თქვა: „ჰასუხია ეს, ვითა ხამს, ომია როდი,
ქვის მსროლელს ისევ ქვის სანაცვლოდ ერგება ლოდი.
ჰასუხად იმის, რაც რომ იყო გადასაგდები,
გავიგე იგი, რაც არ იყო ყურგასალები!"
ისე მოუნდა შირინისაგან ხოსროვს შაქარი,
აღდგა მზეულით მის წინაშე ბუზთა ლაშქარი.
მარიამისგან მოისვენა მან ახლა მხოლოდ,
ხურმა უკურკოდ გადაიქცა, ალი – უბოლოდ.
დღეობაზე რომ მარიამმა აიღო ხელი,
მარიამობად იქცა მისთვის ქვეყანა მთელი.
მტერი თუ მოკვდა, საქმე კარგად დაგვირგვინდება,
მტრის შემდეგ ერთი წვეთი წყალიც საკმაო ხდება.
შირინს რამდენი სიტკბოება გამოუგზავნა,
სიტყვათა ზეთით რკინა ფოლადს მან დაამგვანა.
მორჩილმა ჯერჰმა ეს ბრძანება მისგან მიიღო,
სტკიოდა გული ეს იმისი წამალი იყო.
ხოსროვს წინათვე ჰქონდა გულში ისეთი რჩევა,
რომ უმჯობესი იქნებოდა მისი მოწვევა.
ტახტს გაგზავნიდა და თვის კაცებს მას გაატანდა,
დედოფლურ წესით თავის შირინს იქ მიიყვანდა.
წერილში ისევ საყვედურებს უთვლიდა შორით,
შირინი ისევ კეკლუცობდა, რომ გითხრათ სწორი.
თავის საქონლის ფასს უწევდა, ვაჭრობდა ნაზად,
იწევდა ფასი, რადგანაც კარგს ხედავდა ბაზარს.
საქონელს მხოლოდ მუშტრისაგან აქვს გასავალი,
სინათლეს ფასი მით ეძლევა, რომ ხედავს თვალი.
შენს სასარგებლოდ შეისმინე ეს მაგალითი,
საქონელს თუ არ იყიდიან, შენც ნუ გაჰყიდი!

სიმდიდრის ძალა იმაშია, შენ თუ შეხედავ,
როცა იშოვი, მის გასავალ ჯარს ნუ დაეტაკავ.

ვერა და ვერა, მეფე მასთან ვერაფერს გახდა,
განა შირინი ასე ბრიყვი და მიმნდო გახლდათ!
რომ გაუჭირდა ხოსროვს, სატრფომ რომ გაამწარა,
თავისი საქმე სხვანაირად მან მოაგვარა.
სასიყვარულოდ მის მაგიერ სხვას მისცეს ჰირი,
ფეხფიცხელ ცხენთან გააჭენოს ის ჯოჭლი ვირი.
და ამით იგი თავის საქმეს თვით მოაგვარებს,
და თავის საქმეს მოფიქრებას წინ წაუძღვარებს.
ყველგან ამისთვის იძიებდა ამისთვის ღონეს,
ჭკვიანმა ჯაცმა არ წააგოს საქმეში, ვგონებ.

ხოსროვის სიუხვისა და მოწყალების აღწერა

საწუთრომ როცა ხოსროვს ქამრით შეუკრა წელი,
მისებრ მაღალი არ ყოფილა ტახტის მფლობელი.
დღეს განკითხვისა ასე ჰქონდა ხელმწიფეს რიგი,
იმის წინაშე ხუთი იდგა ასეთი რიგი;
პირველ მის რიგში იდგნენ ერთად დიდი ჰირები,
მეორე რიგში დერვიშები და ღარიბები.
მესამე რიგში ავადმყოფნი და ცოცხალ-მკვდარნი,
ყველანი თითქოს სამარიდან იყვნენ ამდგარნი.
მეოთხე რიგში უკვე იყო იმათი რიგი,
ფეხზე ბორკილი რომ დაედოთ და ტყენდათ იგი.
მეხუთე რიგში სისხლისმღვრელნი, ცოდვილნი სულით,
განუკითხავნი და გულღრჯუნი, ვერაგნი სრულნი.
სისხლიანებსაც აქვთ იმედი მოსალოდნელი,
რომ იმათ ცოდვას მიეცემა ბოლოს საშველი.
სახლთუხუცესი (ასე იყო წესი და რიგი)
დაიძახებდა: „განიცადეთ მდაბიოთ რიგი!"

მდიდარი ჯაცი ღარიბისკენ მიიხედავდა,
ღვთის სამადლობელს თავისათვის მეტს გაბედავდა.
გადახედავდა ავადმყოფებს ღარიბი ერთსა,
ჯარგად ყოფნისთვის სამადლობელს სწირავდა ღმერთსა.
ტუსაღს რომ სჭვრეტდა ავადმყოფი, დატანჯულს დიდად,
თავის უფლების გამო ზეცას მადლს შეუთვლიდა.
როცა ჯაცისმკვლელს მოხვდებოდა ჰატიმრის თვალი,
გახსნიდა ბაგეს, რომ შეექო ღმერთი მაღალი.

თვით ჯაცისმჯულელი ცას შემზერდა იმედის თვალით;
იქნებ დავეხსნა, შემენდოსო ეგების ბრალი!
ამგვარ სიუხვით ყოველ წლობით ხოსროვის ჯარი
სცემდა წყალობას, რომ არ ჰქონდა იმას საზღვარი.

ხოსროვის დაჯდომა ბაყდისის ბახტზე საქეიფოდ

ლაჯდა ხოსროვი თავის ტახტზე ღვინის სასმელად,
თანამესუფრედ ის თავის ბედს გაუხდა ხელად.
ტახტის გარშემო მხიარულად იმ დღეს როჯავდნენ,
გვირგვინოსები ენა-ჰირით მიწას ლოჯავდნენ.
ყოველი სახე და მოვლენა, რაც არის ცისა,
ცდილობდა, მისი გამოეცნო ბედი ტახტისა.
მთვარის ლურსმნიდან ქეივანის დიდ ჯარავამდე
სულ მოიარეს აივნიდან სხვა აივნამდე.
ცის ვარსჯულავების საიდუმლო რაც შეამჩნიეს,
სულ დაწვრილებით გაზომეს და გამოიჯულიეს.
ვით მოძრაობენ ის მნათობნი დღე და ღამისა,
მათ დაადგინეს საათის დრო ღამის და დღისა.
მცოდნე, რომელიც ყოველივეს გაგებას ცდილობს,
იმის ტახტიდან ზეცის გულზე ამბავს ჯითხულობს.
ვინც ადევნებდა ხოსროვის ტახტს მოოჭვილს თვალსა,
ყველაფერს სჭვრეტდა ქაიხოსროს ჯამისა მსგავსად.
არ მიწიერი, ზეციერი გეგონოს ისა,
მისი შაჰობა შაჰობაა მთელი ქვეყნისა.
თავადაც სპილო, მას რომ ჰქონდეს სახე ჯაცისა,
თავადაც ლომი, ლომს რომ ჰქონდეს თმა მუშკამბრისა.
დაიმორჩილა ეს სამყარო მიწიდან ცამდე,
დაიმორჩილა ვარსჯულავები ვარსჯულავებამდე.
ბალი ერმისა გამხდარიყო ქაცვისმაგვარი,
მის სასახლის ჯარს რგოლად ჰქონდა მთელი ცარგვალი.[335]

გული გამლილი უნდა იყოს სიუხვით შენით,
ნუ მოჯრავ ქისას, გაეც იგი, სიჯეთე ქენი.
ფულები თუ გაქვს, მოიხმარე, როცა გჭირდება,
როცა რაიმე საქმით დიდად გაგიჭირდება.
ქვეყნის საზრუნად და სალხენად შენც გაისარჯე,
მიიღე მისგან სახარჯო და შენ თვით დახარჯე.
მიეც იმდენი, რაც სხვისაგან შენ დაგრჩენია
და თუ მისცემ და არ მიიღებ, ნება შენია.

ამ ქვეყნის მოვლა მარტო ერთ კაცს არ შეუძლია.
მარტოკა ერთ კაცს ქვეყნად ჭამაც არ შეუძლია,
გაიგებს იგი, ვინაც კარგად დაუჭირდება,
მარტო მჭამელი ქვეყანაზე მარტო მოკვდება.
მარტო ნუ შესვამ, თუნდ დიოდეს მდინარესავით,
მარტო მჭამელი ავზნისაა მლაშე ზღვასავით.
უნდა გადიქცე ისე, როგორც სანთელი არი,
უნდა სხვებისთვის იყო მუდამ ფეხზე დამდგარი.
ნახე, ყარუნმა რა წაიღო ქვეყნის განძიდან,
ქვეყნად წვალებად ალარც კი ღირს ეს განძი თვითონ.
რაც ტანჯვით მოდის ხელში, იგი არა ძნელია.
მაგრამ ხელიდან რაც გავა, ის სატანჯველია.
წვალებად გვიღირს მისი ჰოვნა, დაკარგვაც – ტანჯვად,
ეჰ, სიღარიბეს ის სიმდიდრე მართლაც რომ არ სჯობს!
ფარვიზი თვის განძს არიგებდა ჯემშიდზე ხარბად,
განძის გაცემით მან თვით მზესაც გადააჭარბა.
განძის გაცემის დროს ხოსროვი სულ იყო ლაღად
მის ხელში, აბა, რაღა განძი და მიწა რაღა!
ორჯერ გაშლიდა სეფე სუფრას, ილხენდა ამით,
საჭმელს თაბახით არიგებდა და ღვინოს – ჯამით.
გაშლილი სუფრა იყო მისი რაოდენ მილზე,
ბუზს ხარი მისცა, ჯოღოს სპილო მან ერთ სადილზე.
ტაბილეულობა იმოდენი ეწყო იმჯამად,
ალარ იცოდნენ სტუმრებმა, თუ რა შეეჭამათ.
ხარი და ცხვარი, თევზ-ქათამი და სხვა საჭმელი,
არა ვიცი, თუ რაოდენი გინდა, რომელი.
იმისი სუფრა, სურნელებას რომ გამოსცემდა,
დილის ნიავი ყვავილთ სურნელს დაუბრუნებდა.
იმდენი იყო იქ უდი და ამბრის სურნელი,
ინდოეთის ხარჯს უდრიდა ის სუნ-საკმეველი.
დიდ ჰირთა წყება მის სუფრაზე რომ დაჯდებოდა,
იმათი რიგი ხუზისტანის ბჭეს მისწვდებოდა.
იყო მწვადების ტრიალი და მწვადებით ლხენა,
მწვადზე ნახეხი მარგალიტის საამო ჩენა.[336]
ომანის ვაჭრებს განძეული მოატანინა,
ათ-ათი მანი წმინდა ოქრო მან შეიძინა.
გამიგონია, მარგალიტის ასეთის გამო
კაცს ენიჭება ნეტარება, ტაბილი და ამო.
ერთი ქურანი ცხენი იყო ლურჯთვალიანი,

სურნელოვანი, ვით ბაღდადის ვარდი რეჰანი.
დედის ძუძუდან მწყემსმა იგი ძალად მოსწყვიტა
და იმის შემდეგ სათუთად მას ცხვრის რძითა ზრდიდა.
უბრძანა ოსტატს: გააჯეთოს ვერცხლისა თონე,
თუმც ღირდა იგი ერთი ქვეყნის ხარაჯა, ვგონებ,
მუშაივით უდსა ედებოდა ცეცხლისა ალი,
ხმელ შეშის ნაცვლად დასწვეს უდი მუშაებრ; დიდძალი,
როცა შეიწვა მწვადი იგი უკვე საჭმელად,
იმა თონიდან მწვადი ცხენის მოიღეს ხელად,
ოქროს სუფრაზე დაალაგეს ის მწვადი ხელად,
ათას შვიდასი იქნებოდა მისხალი ყველა.
ორიოდ ლუკმას იმ მწვადისას ვინც გასინჯავდა,
გემოთი იგი შაქარნარევ ფისტასა ჰგავდა.
ღარიბ-ღატაკთა მიმართ იგი იხედებოდა,
სადაც ჯი მისი ღია თვალი მიუწვდებოდა.
იგი სჩუქნიდა ოქროს ხონჩას მათ გასახარად,
იმ ვერცხლის თონეს და ყველაფერს, რაც ზედ ეყარა.
ვაშა იმ სუფრას, რომ ამდენი ხვავი სწონიდა,
ასეთ მშვენიერ ჰურს იღებენ იმის თონიდან.
მეორე დღეს ჯი, როს ლაჟვარდი სუფრა ზევიდან
იღებდა თავის ხელით ყვითელ დილას თონიდან,
იგი წინანდელ ჩვეულებას განაახლებდა,
თონეს და სუფრას სანოვაგით ისე ავსებდა.
ყოველდღე ასე მშვენიერად საქმე მიჰყავდა,
მთელი სიცოცხლე ამნაირად იმას ნებავდა.
დრო რომ მოვიდა, ალარ შერჩა ფადიშაჰობა,
ალარ გამოდგა მისი საქმე, არც მოსაქმობა.
ჰატივმოყვარე ბედნიერებს რომ არ შორდება,
ბედნიერებზე უფრო ჩქარა იგი მოკვდება.
სუმბულის ველზე თუ წყემსავს შველს ვინმე თათარი,
იმის მუშაის სუნს მთელ ბაზარში მიიტანს ქარი.
მეორე შველი, ქაცვი რომ აქვს ხმელი ნაჭამი,
მუშაის მაგივრად ნაღველს სწურავს იმისი გვამი.[337]
ერთხელ მე მამამ (დე დაადგეს იმას ნათელი!)
მომცა ასეთი დარიგება გასაკვირველი:
„უნდა გაშორდე უბედურებს, როგორც ისარი,
გასწიე იქით, ბედნიერი საითაც არი.
თუ შენ გსურს ღამე დღეზე უფრო განათებული,
უნდა ლამპარი გქონდეს ხელში შენ ანთებული.

ფასი ძვირფასი მარგალიტის იმიტომ არი,
რომ ის დიდი ზღვის გულში იყო წინათ ჩამჯდარი".

ხოსროვის მიერ ისფაჰანელი შაქრის ღირსების გაგება

ერთხელ ისე, ვით ამა ქვეყნის ყველა მფლობელი,
მართავდა მეულლისს თვით მეულლისის მანათობელი.
ყოველი მხრიდან ხელსაყოცნად გამზადებულნი,
ქამარშეკრული ეხვეოდნენ გარს დიდებულნი.
დასხდნენ ტახტის წინ მეფეები უცხო ქვეყნისა,
ჩინეთის, რუმის, ისპაჰანის, ინდოეთისა.
ხოთანელ ემირს და ზანგთ მეფეს ყველას ერთპირად
ხოსროვ შაჰისა სადღეგრძელოდ ღვინო ეჭირათ.

როცა მერქიფემ რამდენიმე აავსო ჯამი,
ღვინო სუყველას მოეკიდა, ატეხეს ჩქამი.
შაჰინშამ სირცხვილს პირსაბური უცებ ახადა,
სიტყვა შიშველი თავხედურად გამოაცხადა,
თქვა: „ლამაზები, გულს რომ უნდა, სწორედ ისეთი,
ამ ქვეყანაზე ვის მხარეში იქნება მეტი?"

ერთმა თქვა: „რუმსო სხვაზე მეტი აქვს სილამაზე,
საგანძურია, საგანძური მას აქვსო სავსე".
ერთმა თქვა: „სწორედ ხოთანიდან ის წარმოდგება,
იქ ზღაპრად არის სილამაზის ნამდვილი ქება".
ერთმა თქვა: „მხარე სომხეთია იგი ნამდვილად,
იქ ლამაზები ითვლებიან ფერიის შვილად.
[მზეთუნახავთა ადგილი თვით ის მიწა არის,
სამოთხისგვარი სილამაზეც სწორედ იქ არის".
როცა სომხეთი წმინდა გულით მან მოიგონა,
ხოსროვის გული ამ სიტყვებით მან დააღონა.
ამ სიტყვების თქმით მისცა თავის გულს მოსვენება
და შერცხვა ხალხის, მიტომ არ თქვა – „ასე იქნება!"
ინდოს ამბავი, ვისაც სწორედ ყურში მოხვდება,
ვით ნიაღვარი ადგილიდან წარმოდუღდება.]
ერთმა თქვა ასე: ქაშიმირის, გითხრათ, მხარეში
არა აქვთ ნაკლი არავითარ სილამაზეში".
ერთმა თქვა: „შაჰთა სამეკლისო და სანუკველი
ლამაზსა ჰქვია ისპაჰანში შაქრის სახელი.
იმაზე ტკბილი შაქარი ხომ არ მოხერხდება,
იმ შაქრის გამო ლაპარაკი ხუზისტანს სწვდება.[338]

მის ყოველ ტუჩს ქვეშ ასნაირი მოჩანს ღიმილი,
მის ტუჩს, ვით შაქარს, ასზე მეტი ჰყავს მონად ქმნილი;
მინდვრის სიმწვანე საროს ჯაბად ევიწროება,
მის ტანს სითეთრით თვითონ ვერცხლიც ვერ შეედრება.
მის ტაბილ ბაგესთან ხურმა რაა ანდა შაქარი,
შაქარს შერცხვა და გარდიხვეწა, ეს ჯი აქ არი!
[მისი თვალები წყლით არიან სავსე, ვით ჰინა,
იმისი შურით თვით ნარგიზმაც ჯი მიიძინა.[339]
როდესაც ნიღაბს ჩამოიხდის მთვარე სახიდან,
ქვითინი ასი იოსების მოისმის ჭიდან.[340]
ამ ნაკლის გარდა არა აქვს რა იმ მზეზე უმზესს,
დიდსა და მცირეს ის რომ ასე ამაყად უმზერს.
ყოველ ადგილზე, როგორც ქარი, ისვენებს წამით,
როგორც ყაყაჩო, მას ყველასთან უჭირავს ჯამი.
სილამაზეში ის ვერვისთან შეთანხმებულა,
არავის სახლში მისგვარი არ დაბადებულა.
ვინაც ჯი იმას ერთი ღამე ჩაეხუტება.
იმას ის ღამე არასოდეს დაავიწყდება".

გულმომხიბლავის საქმე ისე შაჰს გაეხარა,
რომ ახლად ტრფობის საფუძველი გულს ჩაეყარა.
ცხენი, ისურვა, რომ შირინთან გაარბენინონ,
თურქთან თურქული ყაჩაღობა რომ ჩაიდინონ.[341]
იგი ტაბილს ასე დაამარცხებს შაქრით და ყანდით,
იმ მძიმე ჯვანძის გასახსნელი ეს იყო ფანდი.
მარგალიტს ისევ მარგალიტი დაჩრდილავს დიდი,
ფარჩას ფარჩისვე უნდა ჰქონდეს შიში და რიდი.

და შაქრის გამო აუჩქროლდა მყის გული ხოსროს,
შაქარიც იქნებ შირინივით ტკბილი იყოსო!
არც ივიწყებდა, არ შეეძლო ასე მოქცევა,
ისფაჰანიდან არც შეეძლო მისი მოწვევა,
ამგვარ ფიქრებსა და დარდებში გავიდა წელი,
არც იყო ვინმე ეცნო მისი ტკივილი მწველი.

ხოსროვის წასვლა ისფაჰანში შაქარის სანახავად

ერთი წლის შემდეგ ხოსრომ გზაზე გაჰქუსლა ცხენით
და ისფაჰანის მეფეს ჯარზე მიადგა რბენით.
მივიდა იგი ამ მომხიბლავ ქვეყნის არეში,
ნახა, არ იყო ისეთი რამ რუმის მხარეში.

გუნდი ლამაზთა, სიამის და შვების მომგვრელი,
ლხენის ადგილი დღეზე უფრო იყო ნათელი.
დაიწყო ლხენა, განუწყვეტლივ ღვინოსა სმიდა,
იმ ჯეჯლუცის დარდს დაფარულად ის განიცდიდა.
ჩუმად იკითხა, თუ სად იყო მისი გზის ჯვალი,
ჩაიგდო ხელში იმის სახლთან გზა მიმავალი.
ღამე წამოდგა, ერთი მონა თან წაიყვანა,
სურდა, ბაზრიდან რომ შაქარი წაეღო თანა.
შაქარის სახლთან რომ მივიდა ხოსროვ სვიანი,
შირინის ჯოშად გადაექცა თვით ისფაჰანი,
შაქარს შირინზე უკეთესი სიამე უჩანს,
შირინს ერთიღა ჯოშაი ჰქონდა, შაქარს კი – ქუჩა.[342]
დააკაკუნა ნელა-ნელა კარზე ხოსროვმა,
გამოდგა ერთი ყურზე რგოლებშებმული მონა.
ნახა, ჭაბუკი მშვენიერი შესახედავი
იდგა იმის წინ და მეფურად ეჭირა თავი.
მყისვე გადმოსვა შაბდიზიდან მთვარე ანკარა,
წაჰგვარა ცხენი წამსვე, სადაც თივა ეყარა.
როცა სტუმარი სასახლეში მან შეიყვანა,
მისით დიდება სატურნამდე აზიდა მანაც.[343]
როდესაც საქმის ხალიჩაზე მეფე თვით დაჯდა.
მრავალი ოქრო დასახარჯი იმას გაუჩნდა.
მან ნება დართო, რომ შაქარი იქ მოსულიყო,
სტუმრისთვის მისი შაქრის ტუჩი გაღებულიყო.
მოვიდა შაქარ, ხელთ-ჯულაბით ჯამი ავსილი,
პირში – შაქარი და თვალები – აღსავსე ძილით.
შაქარ სახელად რადგან იყო შაქრის მფრქვეველი,
შაქარყინული, ისფაჰანში ნაკეთი ხელით,
თმის ნაწნავიდან იგი მუშჯსა ფხვიერსა ცრიდა,
ღიმილის დროს კი ნაწილ-ნაწილ შაქარსა ჰყრიდა.
ვითარცა ვისი, დათაფლული რომ ჰქონდა ტუჩი,
ვით მისი ძიძა, მოლაქუცე და არა ურჩი.
რუმელ-ჩინელი მოახლენი ისეთი ჰყავდა,
იმათგვარ ვინმეს კაცის თვალი ვერა ნახავდა.
ყოველ ბნელ ღამეს ის ნოვრუზის ნათლად აქცევდა,
ლხენის საქმეში ის უაღრეს წერტილს აღწევდა.

დაჯდა და ღვინო იმწუთშივე დაიდგა წინა,
ღმერთო, დიდებაა! ასეთი რამ ვინ გააჩინა!
ღვინოს შუშაში რომ ასხამდა ის ტანად ვერცხლი,

თითქოსდა ყინულს ედებოდა ელვარე ცეცხლი.
ვარდისწყალს იგი მწარე რამედ მოაჩვენებდა,
დიდი სიტკბოთი თვით შაჰინშას ხელში აძლევდა.
იჯდა იქ იმ დროს ქვეყნის მეფე თავმოწონებით
მთვარე შაქარი ჯი მღეროდა სიამოვნებით.
შეუწყვეტლად ღვინოს სვამდა ნება და ნება,
მოუნდა ძილი, მუდამ სმაც ხომ არ შეიძლება!
როცა ტუჩიდან მოიშორა იმან სასმელი,
ადგა შაქარი და წაიღო თანაც სანთელი.
ბოდიშის მოხდით, რომ მიიღეს ასე მოყვარედ,
შაჰის სახლიდან ყმაყოფილი გავიდა გარეთ.
მოახლე მისი, იმასავით ღირსებიანი,
მისებრ ლამაზი, მშვენიერი და ეშხიანი,
მორთო ძვირფასად, მისცა თვისი მან სამკაული,
გაგზავნა შაჰთან, დარჩა თვითონ მოსვენებული.
შეხედა მეფემ, რომ მივიდა ჰირმადღიანი,
მიიღო, მისცა მას შაქარი ტკბილთაფღიანი.
იმ ღამეს მასთან დაიამა მან გულის ნდომა,
სიმთვრალის გამო ვერ გაიგო თავის შეცდომა.
იმ სიტკბოს გამო, მოახლისგან მან რომ მიიღო,
მეფეს ეგონა, რომ ის ქალი შაქარი იყო.
ხოსროვის ქცევამ გოგოს ჭკუა დაიმორჩილა,
რადგან ხოსროვის ჩახუტება მასაც ეტკბილა.
ნამდვილი ჯადო ჰქონდა ხოსროვს თავის საქმეში
და ჯადოქარი იყო სიტყვის სილამაზეში.
ვისიც ჯი იგი წინამძღვარი იყო ნამდვილი,
ყველაზე მაღლა თავ-ჯისერი ჰქონდა აწვდილი.
ტკვინის სიჯეთით იგი ნუშის ტკვინს აჭარბებდა,
სიტკბოთი შაქრის ლერწმის გულსაც გაახუნებდა.
სიამის ცხენი მისი, დღემდე ფეხს რომ იტკენდა,
ახლა ოცდაათ ფარსანგსაც ჯი თვით გაირბენდა.
ყოველდღე, წინათ ნახევარზე ნაკლებს რომ სვამდა,
ახლა ათჯერ დიდ ღვინის ჯამზე ღვინოს ასხამდა.
დილით მოახლე ადგილიდან ადგა ადვილად,
და წასვლის ნება მეფეს იმან მოსთხოვა ტკბილად.

მივიდა იგი შაქართან და გაშალა ენა,
ხოსროვს ამბავი შაქარს მთელად მან მოახსენა.
რაც შაჰისაგან ნახა, ყველა შეატყობინა,
აუხსნა ისიც, ფარულად იქ რაც ჩაიდინა.

უნდოდა შაქარს, რომ გაეგო საქმე ყოველი,
თუ საუბარში შეჰყვებოდა ქვეყნის მპყრობელი.
შაქარი ადგა და წაიღო გარეთ ლამპარი,
მას რა სჯობია, თუ ლამპართან არის შაქარი!
მეფეს ეგონა, იმასთან რომ იყო მძინარი,
ის შაქარია, რომ უჭირავს ხელში ლამპარი.
ჰკითხა: „რადგანაც ყოფილხარ შენ სტუმრის მოყვარე,
ჩემგვარ სტუმართან ყვლავ ყოფილხარ, მითხარ, მჯდომარე?"
პასუხი მისცა: „ჰოი, მეფევ, დიდო ყველაზე,
შენებრ სტუმარი არ მინახავს მთელ ქვეყანაზე.
ყველაფერი გაქვს მოცემული მაგ სილამაზით,
სიტკბო შაქრის და აგრეთვე სიტყვის სინაზით,
ერთი ნაკლი გაქვს, თუ ის ძვირად არ დაგიჯდება,
შენს პირში მარილს ცუდი სუნი რატომ უჩნდება?
მარილი ჯაცში სასიამო სუნს გამოსცემდა,
მაგდენ მარილში ცუდი სუნი რატომ დაგჩემდა?"
ჰკითხა მან სოსანს: „ეშველება ამ საქმეს რამე?"
მიუგო: „ერთ წელს ნიორი და სოსანი ჭამე".
მეფემ აქედან სახლში წასვლა რომ დააპირა,
ეს დარიგება მთელ წელიწადს ხელში ეჭირა.

ამ ამბის შემდეგ რომ გავიდა სულ ერთი წელი,
მოუმკობინდა შაჰს თავისი პირი და ყელი.
საწუთროს ცხენმა იმის ფეხქვეშ გაინავარდა
და იმის თვალწინ თვით შროშანი ამოიზარდა.
ლამით ძველებურ წესზე იგი იყო ამდგარი
და იმ შაქარით მორთო ისევ თავის ბაზარი.
იმან იმ სიტკბოს ძველებურად ყვლავ მიაღწია,
სიტკბოს მიაღწევს, ვინც შაქარი თვით მოიძია.
როცა გავიდა რამდენიმე დრო აშიყობის,
გამოჩნდა ჯოცნის ნიშანი და სხვა ჯეელუცობის.
დაუმეგობრდა დაბოლოს ის ვერცხლტანიანი,
მანაც დაიწყო მეგობრობა მასთან მთლიანი.
ვისგან არ ჰქონდა მოცხებული იმ მხევალს ლაქა,
ხოსროს ეგონა: ტკბილზე უფრო ტკბილს სჭამდა შაქარს.
როცა ინათა, გაითენა ხოსროვმა დილა,
ყვლავ შეეკითხა მის წინ მოსულ იმ ტუჩებტკბილას:
„ჩემებრ სტუმარი თუ გყოლია შენ მოწვეული,
ვინმეს ჩემსავით თუ ჰყოლიხარ გულს ჩახვეული?"
მისცა შაქარმა პასუხი შაჰს სულ დაშაქრული,

„შარშან მყავდაო მეგობარი გულში ჩაჯრული.
შენებრი იყო, მაგრამ იმას პირი უყარდა,
ეს ჯარგი სუნი მასზე უკეთ ვით მოგიგვარდა?"
მეფემ მიუგო: „ყველაფერში ნაკლს რომა ხედავ,
თვით შენი ნაკლის ნახვა რატომ არ ძალგიძს ნეტა?"
ჰკითხა თუ: „ნაკლი ჩემი აბა რომელი არის,
ჩემ ღირსებისთვის რომ ის ცუდი სახელი არის?"
პასუხი მისცა: „ცნობილია, ხომ შენი ნაკლი,
ერთი საათის, არ დადგები ერთ ჯაცთან აკი!
[ამ ისფაჰანში შენზე ყველას მოეხსენება,
რომ ყველას გვერდში იცი ძილი და მოსვენება.]
ქვეყნის გარშემო შენ სუყველას ეცნაურები,
მთელ სამყაროში შენ სუყველას ეკურკურები.
ნახატო ჩინის, ჰე, ფრინველო, ქების ღირსი ხარ,
ყოველ ხის ტოტზე ყოველ წუთში რისთვისა ზიხარ?
ანცობის ქარქაშს რად უარყოფ, აბა, რას შვრები,
სულ მუდამ მახვილს აბა რატომ ეთამაშები?!"[344]
პასუხი მისცა შაქარმა ვაჟს ძლიერ თამამად:
„შენ სიდან იცი, ის შაქარი ვინ როდის ჭამა?
ვფიცავარ უფალს, მისი მფარავს მოწყალე ჯალთა,
მე დაცული ვარ, ვით შეფერით უბიწო ქალთა.
ჩემთან ღამე ჯერ ძილი არვის გაუბედნია,
არც არვის ჩემი მარგალიტი გაუხვრეტია.
[მე ქალწული ვარ, ყურძენივით დამწიფებული,
ამ ბაღის ვარდი არავის აქვს ჯერ წაღებული.]
ის გოგონები, რომ გინახავს მზეთუნახავი,
შენ თავისუფლად დაწოლილი მათთან იყავი.
დიახ, ის მე ვარ, პირველად რომ გამოვცხადდები,
დამლევი ღვინის და ამასთან ლხინის ალმნთები.
[მე ვარ, რომ მოვალ, დავლევ ღვინოს, რაც შემერგება,
როცა მე წავალ, გულში გოგო ჩაგეხუტება].
მაგრამ ის ტურფა გულში მაგრად ჩახუტებული
მე ჯი არ ვიყავ, გოგო იყო ჩემებრ ჩაცმული".
რომ გაიგონა შაჰმა სიტყვა იმისი ენით,
მან დაიჯერა იგი მთელი სულიერ რწმენით.
მარგალიტი, მას რომა ჰქონდა, ღვთის დაბეჭდილი,
შეფიცავს მტკიცედ, რომ არ იყო ჯერ გახვრეტილი.

ალმოსავლეთის ცეცხლმა როცა გამოჰყო ენა,
იქედან მეფემ წყალისაებრ დაიწყო რბენა.
მოიხმო თვისთან ისფაჰანის დიდი ჰირები,
შაქრის ამბავი გამოჰკითხა მან დანვრილებით.
იმ ისფაჰანელთ დიდებულებს ყველას ერთპირად
ის წმინდა სულის დასაცავად თავი ეჭირათ.
რომ შაქარს თავი ეჭირა თვით შეუცოდველად,
რომ მისი ვარდი არის ისევ ფერშეუცვლელად.
თავისი განძი თვითონა აქვს მას შენახული,
მოახლეები ჰყავს საქმეში იმას ჩაბმული.
იმისი ცხენი თუ ყველასთან დგას შეჯაზმული,
ორწვერი რკინის შუბით არის თვითონ დაცული.
ბებია ქალთაც დაუბეჭდეს ხელმწიფეს ფიცით:
„ქალწულიაო, დაგვერწმუნე, მეფეო, ვიცით".
[რომ გაიგონა ხოსრომ სიტყვა მათი ამგვარი,
იგი მუდმივი გახდა უკვე მათი სტუმარი.]
ბედის განგებით იყო მეფე გულგანახარი,
რომ ამდენ ბუზებს გადაურჩა იგი შაქარი.

გაგზავნა ჯაცი, თავის სახლში მას დაუძახა,
როგორც წესია, ქორწილობაც ჯი გააჩაღა.
გაუხვრეტელი მარგალიტი ზღვის მან გახვრიტა,
ბეჭდის ლალს ერთად იაგუნდი შეუკავშირდა.
ქალაქ მადაინს ხელმეორედ იგი წავიდა,
შაქარი იმის დიდ ჯალთებში შაქარსა ჰყრიდა.
მას ხომ შაქარით სურდა შირინს გადასწვდომოდა,
ის რომ მოეგო, ჯერ შაქარი უნდა ნდომოდა.
როდესაც შაქრის ჭამის გული შაჰს აღარ ჰქონდა,
შირინთან წასვლა ამის შემდეგ მას მოაგონდა.
შაქარი შაჰის საქციელით ძლიერა სწუხდა,
ტაბილ ხურმის ბაღში იმას ჭამა ჩირის მოუნდა.
შაჰი შირინის სიყვარულით გულდანამწვარი
ისე დნებოდა, როგორც წყალში დნება შაქარი.
შირინის გამო სანთელივით ცეცხლში იწვოდა,
სანთელმა თაფლთან სანთელობა როდის იცოდა.[345]
ვინაც შირინის გამო არის გულანატირი,
რას გაუკეთებს, თუნდაც შაქრით აივსოს ჰირი!
შაქარს ტაბილისა როდი ძალუძს ეჰყრას ადგილი,

მუდამ აჯობებს შაქარს, თუა იქ ჰალვა ტკბილი.
მოლი მიწაა, თუ ასკილი იქ არ იქნება,
შაქარი მწარე – თუ რამ ტკბილი შიგ არ იქნება.
ნუ იტყვი, სიტკბო და შაქარი რომ ერთი არი,
სიტკბო გამოდის კაცის სულით, ლერწმით – შაქარი.
უდის ქმევის დროს შაქარს ხოლმე ცეცხლში ადებენ,
მაშინ, როდესაც წმინდა სანთელს ისე ანთებენ.
შაქარი თუა გასასინჯად ჯამში ჩაყრილი,
ტკბილეულობა სუფრაზეა ყველა გაშლილი.
ტკბილეულს სჭამენ დიდებულნი მოუთმენელად,
ბავშვს და თუთიყუშს მიაწვდიან შაქარს საჭმელად.
ყოველგვარ სითხეს ტკბილეული თვით ეგუება,
შაქარი წყალს რომ დაინახავს, მაშინვე დნება.
[გულდაღონებით მან გულს უთხრა: „ეჰ, გულო, შედექ,
შაქრისებრ გულს არ შევიწუხებ მე ამის შემდეგ.
ჩემი შაჰობა და გვირგვინი ისე შევიგნე,
ტყვე შაქრისა და შირინისა რად უნდა ვიქნე?
ხან ვფიქრობ: ესე შაქარი მე რისთვის მჭირდება.
მხურვალე არის, ცხელების დროს არ გამოდგება.[346]
ხან ვფიქრობ: ჰალვა ყეთების დროს ბოლიანდება,
გული კი ჰალვის სიტკბოსაგან ცუდადა ხდება.
თუ მაგ შაქრისგან შენ ეგ ჰალვა ცუდად გიცდია.
შაქრის სიტკბოსკენ აბა ხელი რად გაგიწვდია?"

როდესაც თავის გულთან ომი შაჰს მოუვიდა,
წარმოდგა, შაჰის ტრფობა ორივ მან დაამშვიდა.
თავისმა გულისცემამ შაჰი თვით შეარცხვინა
და კვლავ შირინის სიყვარული ამოიჭინა.]
შირინს და შაქარს განსხვავება უძევთ ნამდვილი,
შირინ სულია, შაქარი კი სულის ადგილი.
მზეთუნახავი არის შირინ, ემარში მჯდარი,
შაქარი მისი დამბურველი სამოსი არი.
იცის ეს ყველამ, ვინც კი გონით ფხიზელი არის,
ტკბილეულისთვის სანუკვარი არი შაქარი.
გული უთქვამდა: შირინსო აწ ნუ აალებ ხელს,
შაქარის ტრფობა ვერასოდეს მოგცემს სარგებელს.
ყინული ბროლზე უფრო იქნეს რომც გამჭვირვალი,
ერთი მშრალია, მეორე კი – ბინძური წყალი.
მან კვლავ წარმოთქვა, რომ: „შირინზე არ მაქვს მოთმენა,
რაა ეს ჩხუბი შინაგანი, ქვეყნისოდენა,

ნუთუ წისქვილის ქვა ჩემს თავზე დატრიალდება?
გული რომ სატრფოს მოშორდება, გატიალდება.
თავის დავადგები და თავს სატრფოს არ გავაშორებ,
თავი მაქვს მისთვის, რომ ჩემს საქმეს თვით გავასწორებ!"
ისევ იტყოდა: „ლაჰარაჯი ამაო იყო,
მოთმენით იყავ, ეს შერცხვენაც საკმაო იყო,
ჩემთვის სჯობია, იმ შირინს რომ მე ჩამოვცილდე,
ბალში არა ვარ, ტაბილეულით რომ მოვტყუილდე.
სჯობია, როცა ჯაცი დიდი მოთმენით არის,
არავის საქმე არ გაეთდება მეტი სიჩქარით.
შირინ და შაქარ მე ერთ ჯამში მაქვს გამზადილი,
რატომ მწარდება ახლა ჩემთვის საწუთრო ტაბილი.
ამდენ მოყვრებში ჩემი გული უმოყვროდ რჩება,
ბევრ მენავეებს ზღვაში ნავი დაელუპებათ.
თუ რომ არ გინდა, ძირს დაეცე, როგორც რომ ჩრდილი,
ჯიბიდან უნდა ჩამოხვიდე ფეხმოზომილი.
აჩქარებული ნუ იქნები ვნების საქმეში, –
შენი იმედის გაცრუებას არ შეხვდე ხვნეშით.
ცოტა იყმარე, ვინძლო მიზანს მეტს მიაღწევდე,
და ასე შემდეგ გაიმარჯვო შემდეგ და შემდეგ.
გული ის არის, ვაჟკაცობით რომ წარმოდგება,
ჯაცის მიზანი ვაჟკაცობით ხორციელდება.
მოთმენამ უნდა გზა მაჩვენოს მე უკეთესი,
ქალაჩუნობა ხომ ვაჟკაცის არ არის წესი!
საქმის დაჭერა ქალთან ძალად საძრახისია,
მარტო ვნებისთვის ქალის შერთვა რა მაქნისია?!
ლომებთან შებმას აბა როგორ მოვიწადინებ,
როდესაც შველიც მამაცობით მე შემაშინებს?
თუმცა ცხვარივით ყველასაგან მე ვიკრიჭები,
მაგრამ არა სხვის, მაინც ყიდევ ჩემს მატყლში ვრჩები.[347]
მე საიდუმლო არავისთან არა მაქვს თქმული,
ვით ჭია პარკში, ჩემს ტყავში ვარ ჩაძინებული.
იმდენად იგი ქედმაღლურად მისვამს იარას,
ქაიხოსროვი დაიწუნოს, ხოსრო ჯი არა.
თუ მას გულს მისცემ, იგი სულის სიღრმეში მიდის,
თუ მას სახლს მისცემ, საგანძური ჯუთხეში მიდის.
მისი სიშორით ჩემმა გულმა თუ მოიწყინა,
ვნება დაიცხრო, მაგრამ ჭირი მით შეიძინა.
სატრფოს თანხმობა ერთობ ძნელი საძებნელია

და ერთგულებას მიჯნურისგან მხოლოდ ელიან.
მე იმოდენად გულს მიღელვებს იმისი ქცევა,
ღმერთმა ნუ ქნას და ალალია სისხლის დაქცევა!
მისი სირცხვილი მე სანამდე უნდა ვატარო?
ხომ გავამწარე; ახლაც უნდა ყვლავე გავამწარო.
გილანელ ბრძენმა თქვა ჭკვიანი სიტყვა ამრიგად:
„თუ შეურაცხყოფ, შეურაცხყე ბარემ სასტიკად.
ცოლს ნუ სცემ, მაგრამ თუ შეატყო რამ ეშმაკობა,
ისე გალახე, ვერ შეიძლოს ფეხზე ადგომა“.

ხელმწიფის გულმა არ იცოდა წამალი ნყლულის,
არავინ ჰყავდა მეგობარი, გადეხსნა გული.
შენ გიმეგობრებს მხოლოდ შენი და შენი გული,
უცხოა შენთვის უცხო გული, გამიგე თქმული!
თუ გსურს, რომ არვინ მოიპაროს მარცვალი შენი,
უცხო-უთვისოს ალერსს სახლში ჩამოეხსენი.
და საიდუმლო შენს მეგობარს ისე უთხარი,
თითქოს ის იყო შენი დიდი დუშმანის დარი.
ნუ ეტყვი უცხოს საიდუმლოს გულში დაფარულს,
ნურც უცხოს და ნურც შენს მეგობარს ახლო მოყვარეს.
მარტოც რომ იყვე, დაუდევრად ნუ იყურები,
შესაძლო არის, რომ ყედელსაც ებას ყურები.
თუ რომ არ ძალგიძს საიდუმლო სხვებს დაუფარო,
შენ შენი აზრი ყველაფერი არ აღიარო.
ნუ ფიქრობ მასზე, თუ თქმა არის შეუძლებელი,
ჯობს არ იფიქრო, რაც არ არის გამოსათქმელი.
ქვეყნის მეჯლისში ფარდა ისე უნდა იხმარო,
ხმლის თამაშის დროს შენი სისხლი თვით არ დაღვარო.
სიმღერას, რასაც სასახლეში მოჰყვება წყენა,
მას უდაბნოშიც ნუ იმღერებ, იცოდე შენა!
მცოდნეა შენი მეგობარი, თუ არა იცის,
განძს ნურვის მისცემ, თუ ბეჭედი ზედვე არ აზის.
ყოველგვარ ცუდი მოვლენისგან შორეს იჯექი,
თორემ მოჰყვება უსათუოდ ცუდი შედეგი.
ყოველს ადგილზე ყოველი ხის თესლი ჩარგევი,
რასაც დასთესავ, იმის ნაყოფს თვით შეექცევი.
სიტყვა ძვირ-ძვირად უნდა ითქვას, რაც გაქვს სათქმელი,
რადგან იმის თქმით გექნება შენ ჯარგი სახელი.
თუნდაც ასნაირ ღირსებით წინ წარმოგიდგება,
თუ შინაარსი ცუდი არის, ცუდი იქნება.

შენი მტრის თვალით დაინახე შენი სიტყვები
და შენი სიტყვის ავსა და ჯარგს მაშინ მიხვდები.
თუ შეიყერე ასნაირი სხვადასხვა ჯაბა,
პერანგი ხიე, თუ არ ვარგა, რას იზამ აბა!

შირინის მარტო დარჩენა და გოდება

ეფემ იცოდა, იმ ბრძენმა და ჭკუანათელმა,
შირინის დარდი ვით აქარვა შაფურის ხელმა.
მოიხმო იგი თვითონ მეფემ თვის სასახლეში,
ჩააყენებსო მარტოობა მთვარეს შავ დღეში!
როდესაც მარტო დარჩა სარო, ის ქვეყნის მთვარე,
ჰყრიდა მარგალიტს თვალებიდან მეტად მწუხარე.
ტანჯავდა ღამე თვით დატანჯულს აქამდე ცხადად,
ეჩვენებოდა იმას ღამე მთელ წელიწადად.
ის ღამე ბნელი, ვით მთის წვერზე შავი ყვავები,
იმგვარად თრთოდა როგორც მთაზე ყვავების ფრთები.
გულცივმა ღამემ ამ გულგრილმა დრო-ჟამისაგან
მისცა ბარათი მას უდღეო შავ ღამისაგან.
[ღამე მწუხარე, ვით სატრფოთა მწუხარე გული,
იყო, ვით ღამით ავადმყოფი შეშინებული.]
ოყაბაინში მოხვდა იგი, ვით დასასჯელი,
თავის ფრთებითა და ნისჯარტით დილის ფრინველი.
მედოლეს ხელი გველისაგან აქვს დაშხამული,
ვარსკვლავებს ფეხში ეჯალი აქვთ ყველას შერჭმული.[348]
ყარაულთ უფროსს ძელის ჯოხი თუ გაუვარდა,
ზართა მრეკავნი გონმიხდილი სადმე თუა და
მსაჯულმა მიწას შავი ჯალთა გადააფარა,
საწუთრომ მისი მახვილის წინ ქედი მოხარა.[349]
ცოლქმრული წესი თვით მზე-მთვარეს შორის ყოფილა,
დაწვნენ საწოლში, რომ წარმოშვან ახალი დილა.
ღამემ და გულში ჩაიხუტა სიამოვნებით,
აღმოსავლეთი დაივიწყა მზემაც სრულებით.
ისხდნენ სამხერთის ვარსკვლავები ყველცხებზე თბილად,
ჩრდილოს მნათობნი ამის გამო ჩავარდნენ ძილად.
მიწას ეხურა მეფის ქოლგა თავდამშვენებით,
თევზი ფრინველთან იყო ერთად სრულ მოსვენებით.
ღამის უკუნმა რომ წაართვა თვალებს სხივები,
მით განიშორა თავისაგან ცის ვარსკვლავები.

ბნელმა ქვეყანამ გაიკეთა ბორკილი ფეხზე,
გაყინულიყო ცარგვალიცა ერთ ადგილს, ზეზე.
ქვეყანა მთელი სამყაროდან სრულად განიყო,
თითქოს ამ ღამით ეს ქვეყანა სულ სხვაგან იყო.
გადააბრუნა თავისი ზღვა ზეცამ ყირაზე
და დააყარა მარგალიტი მას ჯალთით თავზე.[350]
ვარსკვლავნი იმის მოსატაცად იყვნენ თათბირში,
ჩავარდნენ შავი ფისით სავსე დიდ ჭურის ძირში.
დარჩნენ იმ ჭურის სიბნელეში ნაცრით გასვრილი,
საწუთროს ცეცხლის სავანიდან სულ გაბოლილი.
ცა სამყაროში, როგორც ჩალა, ისეა გზაში,
ცა სამყაროს ქვეშ ისეა, ვით წყალი ჩალაში.
ვარსკვლავთა ჯრება ისეა, ვით ბედის მარცვალი,
ხელის გულზე რომ აგორავებს მკითხავი ქალი.
მოგვსაც მაღლა ხმის ამოღების არ აქვს შეძლება,
ფრინველს საფრენად სახალისოდ ფრთა არ ეშლება.
ფრთა მოჭრილი აქვს ცის წიაღში ქორს გასაფრენად.
შეექნა ფრთები სხვა ფრინველებს ჩამოსაცვენად.
ყოველ ნაბიჯზე სხივოსნებთან მუდმივი ჩხუბით
იდგნენ ზანგები, მოღერილი ორწვერი შუბით.
ქვრივ დედაკაცის ჩირაღს უკვე ჩაუქრა სხივი,
დედაბრის ღამის მამლაყინწა აღარა ყივის.
ამბობენ, დევი ღამე მოსვლას თუ დააპირებს,
„დიდ არს უფალი", – მამლაყინწა წამოიყვირებს.
რა ღამე იყო, ასი დევი ვით შავი ფისი,
მამალს თვითონაც არ ესმოდა ყივილი თვისი.

შირინის გული იყო მაშინ გაქვავებული,
მისი ჩირაღიც ბნელი იყო, ვით ღამის გული.
ავადმყოფობით შირინს გული ისე უძრწოდა,
სევდამოცული მთელ ქვეყანას იგი ებრძოდა.
ავადმყოფისთვის ეს ამბავი ჯარგაა თქმული,
ღამე არისო დამღუპველი იმისი სულის.
შირინიც იყო ავადმყოფი და სულს ღაფავდა,
ეს გრძელი ღამეც გაგრძელდა და აღარ გათავდა.
გაშალა ენა და თქვა: „ჰოი, წუთისოფელო,
ეს ღამე არის თუ სიავე რამ უსაშველო?
ეს რა ღამეა, თითქოს არის ეს შავი გველი,
თითქო ზანგია უსაშველოდ ჯაცის მჭამელი.
იმიტომ ვტირი, ეს ზანგი რომ შავად ბიბინებს,

თუმც ზანგი არის, რატომ ერთხელ არ გაიცინებს?[351]
რა მოხდა, ჰოი, დიდებულო ცაო ლაჟვარდო,
სხვა ღამესავით რომ არ არის ეს ღამე მარტო?
ნუთუ ამ ჩემი გულის ბოლმა გზა დაგიბნელა,
ჩემმა გოდებამ ფეხთ შეგირჭო ეჯილი მწველად?
ნუთუ მე ამ ბნელ წყვდიადისგან არ მაქვს საშველი,
ნუთუ მე დილის სხივებისგან საშველს არ ველი?
მე დამეხსენი, ჰოი, ღამევ, რად მტანჯავ შენა?
თუ შენ რწმენა გაქვს, მე შენ გამო არა მაქვს რწმენა.
ღამევ, ამ ღამეს ვაჟკაცურად შენ მოიქეცი,
ან ჩქარა მომკალ, ან ნათელ დღედ გადაიქეცი.
ვით შავი ნისლი, ერთ ადგილზე რისთვისა დგები,
ცეცხლისკენ წახვალ, თუ მახვილზე წამოეგები?
მედოლეს განა შეყრილი აქვს ხელში ბორკილი,
ცისკრის ვარკვლავი ხომ არაა ფეხმოტეხილი?
მე სანთელი ვარ, ყოველღამე როა ცოცხალი,
მეც ყოველღამე სანთლივით მდის თვალზე წყალი.
[ამ სანთლისათვის გარეშემო სომხეთი მთელი
ამ შავმა ზანგმა სისხლისმსმელმა შეკრა სიბნელით.]
ვიწვი იმისთვის მე ამ ცეცხლში, როგორც სანთელი,
რომ ეს წვა არის სანთლისათვის შვების მომგვრელი.
ალარ ტრიალებს ამ ჩემს თავზე ეს ჩარხი ძველი,
სხვებისთვის არის ეს სიტყვები გასაცინელი.
ჰგალობდე, ჩიტო, თუ გაქვს ენა ნაირ-ნაირი,
იცინე, დილავ, თუ საცინლად ღია გაქვს პირი!
ღამის ფრინველო, თუ ურწმუნო არ ხარ, ოხერი,
საგანთიადო დიდებულ ჰიმნს რატომ არ მღერი?
თუ ცეცხლი არ ხარ, ჰოი, დილავ, სხივში რომ ზიხარ,
მაშ, უტალჯვესად რატომ გარეთ არ გამოდიხარ?"
ამ დარდში იყო მისი გული ფარვანასდარი,
დილის ლამპარმა რომ ნათელი მოჰფინა არეს.

ზექება დილისა

რა დიდებული სამეფოა სამეფო დილის!
ჯაცს იქ მიღწევა შეუძლია ყოველ კეთილის.
ვინაც რომ იმის საგანძურის გზას მიაღწია,
დილით იმისი გასაღები მან მოიძია.
მიზანთ სიმაგრის კარებს მუდამ იქ დაალებენ,

ულიტე იქ არის, საქმესაც იქ აღმოაჩენენ.
იმ დროს, რა დროსაც სულის ლხენის იციან ყადრი,
გაეფურჩქნებათ ენის წვერზე ვედრების ვარდი.
და ვისაც ენა მისცა უფლის ძლიერმა ნებამ,
მას შეეძლება ღირსეულად ღვთისადმი ქება.
თუ ქებას ამბობს ენის ჩიტი, მითხარი შენა,
რა ქებას იტყვის, თუ არა აქვს სათქმელი ენა?
ვინც მის დიდებას ვედრებით და ქებითა ამბობს
მისდამი სიტყვებს თვით უენო ჯი ლაპარაკობს.

შირინის მიერ ქების წარმოთქმა ღვთისადმი

ამირინმა როცა იგრძნო დილის საკვირველება,
ვერცხლისწყალივით თრთოლას თავი მყის გაანება.
იმისი თმენის ფრინველებმა გაშალეს ფრთები,
მამლებმაც დილის განთიადზე აუშვეს ხმები.
სამლოცველოში როცა იყდა დიდი მოთმენით,
იმ დროს შირინმა მიმართა ღმერთს ცრემლების დენით:
„ჰოი, უფალო, ჩემი ღამე დღედ შემიცვალე,
ჩემი დღე ჯიდევ გამარჯვებით აღავსე მალე!
ღამე შავი გაქვს, განთიადს რომ აღარ მოველი,
მე ამ ღამეში განმანათლე, ვით მზე ცხოველი!
ტანჯვა მაქვს, იმით ლომკაციც ჯი გარდაიცვლება,
ეს ტანჯვა ლხენით შემიცვალე თუ შეიძლება!
ამ ცხელ ქურაში როგორ გავძლო, აღარ მაქვს ძალი,
დამიხსენ ისე, როგორც ქვისგან დაიხსნეს ლალი.[352]
შენგან ხსნას ელის ყველა შენი მავედრებელი,
ჩემს ვედრებასაც გაუჩინე რამე საშველი!
აღარ მაქვს ღონე მე ეს სევდა რომ მოვინელო,
დაიხსენ ყველა, ჰოი, დიდო, ყველას დამხსნელო!
შენ შველი ობლებს თვალთაგან რომ ცრემლის სდით ღვარი.
და გულდამწვარი ჯაციც შენი იმედით არი.
უშველე ყარიბს, მიძინებულს გზათა გამზირზე,
უშველე ტყვეებს, ჩავარდნილებს ჭათა ღრმა ძირზე!
მართლმსაჯულ ეყავ უმწეოებს, შველის მთხოვნელებს,
მიეც საშველი, ჰოი, ღმერთო, ცოდვის ჩამდენებს;
იმ მიზეზს, რითაც გული არის დამონებული,
მოვლენას სურს, რომ სიცოცხლე აქვს მონიჭებული;
ვინც წმინდა ჯალთით შენი რწმენით მოყვარე არის,

ვისაც სწამს შენი სჯულმდებელი ფაიცამბარი;
გაჭირვებულებს, ხალხისთვის რომ იტანჯებიან,
დაჭრილებს, სისხლის ასაღებად რომ მიიღტვიან;
თვის სახლ-ჯარიდან ვინაც ჯი შორს ჩამორჩენილა,
ვინც მგზავრობის დროს ქარავნების უჯან შთენილა;
მლოცველი ახლად მის შესწავლას რომ შეეცდება;
თავმტკივანს გულით მწარე ჯვენსა რომ აღმოხდება;
ვისაც თვალთაგან წმინდა გრძნობის ცრემლი ეღვრება,
ვინც ჯი ყურანის საჯითხავად დილაზე დგება;
სხივი ნიღაბქვეშ ხალხისგან რომ შორს იფარება,
სიჯეთე ქმნილი, რაც ანგარიშ გარეშე რჩება;
იმ მოწყალებით, ეკლესიის ბერებს რომ რჩებათ,
იმ შემწეობით, შემწეს ხელით რომა რიგდება,
მიეც ჰატივი, ვინც არიან ხალხის რჩეული,
ვინაც არიან უბიწონი და წმინდა სული;
ის მორჩილება, რაც შენდამი სიმართლით არის,
იგი ვედრება, მიღებული რაც მადლით არის;
ის ბოლო ჯვენსა, მეშვიდე ცას ხმით რომ მისწვდება
და ის სახელი სიცოცხლეს რომ აღემატება;
შენი წყალობით ამივსე მე გულის სავანე,
ამ ტანჯვის ზღვიდან მე ნაჰირზე გამომიყვანე!
ყოველი ბეწვი ჩემი ენას თუ აიდგამდა,
ყველა მათგანი შენდა მიმართ ჰიმნს წარმოთქვამდა.
აწ უენობით დავრჩი მარტო მიძინებული,
ასი ქებიდან ერთიც არ მაქვს მოთავებული.
შენ ის ხარ, ვისზე არ ითქმება: ვინ არს, რა არის?
შენ ხარ, შენს გარდა ყოველივე არა რა არის!
შენ ხარ ერთარსი, საიდუმლო ჩვენგან ფარული,
შენ მიეც ზეცას წინამძღვარი სახელგანთქმული.
შენი სუფევის დასაწყისი და დასასრული
არავისა აქვს საბოლოოდ ჯერ განსაზღვრული.
შენს ჯარის ბჭესთან იმედით და უიმედობით
ვერავინ მოვა, თუ არ შენი სრული შეცნობით.
ზეცა შეჰჯარი და სამყარო გააფართოვე,
ქვეყნით, სიცოცხლით და საჯვებით დააჯილდოვე.
შენ საჯვებს აძლევ თუ სიცოცხლეს წაართმევ ხელად,
შენ იცი ყველა, რაც გსურს, იზამ, შენ იცი ყველა!
შენი შეწევნით არის, ფეხზე რომ ვდგევარ ჯიდე,
მაგ შემწეობით შემწეობა ჯვლავ გამიდიდე!

ჩემთვის ბედი გსურს, თუ მექცევი რამ შურისგებით,
ჰქენ ჩემზე იგი, რაც იქნება ბედის განგებით;
ის ყოველივე, რაც შენ ჰქმენი საბედისწეროდ,
იქცა ის სიკვდილ-სიცოცხლისთვის საბედნიეროდ.
მე ამ ტანჯვისგან მთელი ძალა გამომეცალა,
ნუღარ დამტანჯავ, აწ სრულებით არ შემწევს ძალა!
ჩემგან საჭირო საქმე ვერა, ვერ წარმოსდგება,
ჩემგან თუ არა, შენგან იგი ხომ შეიძლება!
შენი წყალობით ჩემი გული გაახალისე,
თუმც შენს წყალობას ამის გარდა ბევრჯერ ვეღირსე.
მე შენგან როგორ შევინახო რამე ფარულად?
თუნდაც დავფარო დაფარული შენ იცი სრულად".

როცა შესთხოვა ყოველივე მის გულის წვაზე,
ვით მისი ცრემლი, ძიგძიგებდა იგიც მიწაზე.
მის მწუხარე გულს შემოქმედმა შვება მოჰფინა,
იმისმა ჯლიტემ გამოიღო ქვისაგან რჯინა.
გადაიფურჩქნა ქვეყნის ვარდი ისევ მეორედ,
სიმწარე ტკბილი შაქრის წვენად გადიქცა სწორედ.
მისმა ვედრებამ ხოსროს გულში დასტოვა კვალი,
მის გულმა ცისებრ ამ დროს იწყო ხტომა-ჯანჯალი.

ხოსროვის წასვლა შირინის კოშკისაკენ ნადირობის საბაბით

როცა ქვეყანამ ოქროს დროშა ააფრიალა,[353]
მით მწუხარებას ტანჯვის ხროვა ჩამოეცალა.
მეფემ სურვილი ნადირობის რომ განიზრახა,
ბედისგან ცუდი საქციელი გამოესახა.
შირინის ბედი მან წინასწარ როცა განსჭვრიტა,
შაჰი ზეიმით უდაბნოსკენ მყისვე წავიდა.
შეიქნა ქოსის ხმაური და საყვირთა ზარი,
ცამ, დედამიწამ იწყო ერთად რყევა, ზანზარი.
მედროშეებმა აიტანეს დროშები ცაზე,
გმირებმა ბარგი გაიტანეს უდაბნოს გზაზე.
და გამობრძანდა, ჰა, უფალიც სხვა ცხენოსნების,
ფეხით მოსდევდნენ დიდებული გვირგვინოსნები.
ერთი მხრით, ფახფურს უნაგირი ეჭირა მისი,
მეორე მხარეს, ყაისურის სპასალარს ისიც.
წელი შეკრული ჰქონდა ქამრით, წარბი – გახსნილი.
ქეიყობადის დაეხურა თავზე გვირგვინი.



მისი ღაშია მზემ საკუთარ ბეჭით ატარა,
იმისმა ცხენმა მთვარეს რგოლი ყურს გაუყარა.[354]
ქაიანური დიდი დროშა თავსა მეფისა
ეხურა მაღლით, როგორც მთვარეს ქულა ღრუბლისა.
ქამარი ხმლების, ოქროს ძაფით შემოქარგული,
და ოქროები, ხმლის ბუდეზე გარშემორტყმული.
მეფის გარშემო არ ყოფილა არც ერთი ხმალი,
მიეცა სხვისთვის მოედანზე გზა წასავალი.
იმ ხმლებისა და მშვილდ-ისართა დაბურულ ტყეში
იმათი გორდა ხმლების შიშით ლომია ლეში.
დურბაშის ჰირის ღიმი ორად გაიშლებოდა,
„ზეცავ, შორს გადექ!" – ზეცას შორით ეუბნებოდა.[355]
მეფურად შავი ქოლგა ისე თავზე ეფარა,
ოქროს ვარსკვლავით მორთე ზევით და თან ატარე!
თუ ღრუბლისაგან ერთი ნემსის წვერი მოგხვდება,
ნემსის ადგილზე იგი რკინის შუბი იქნება.
მოქარავნეთა ბუკის ხმისგან შორით იყავი,
ავი თვალისგან შენი თავი მით დაიცავი!
ცხენთა ფლოქვების თქარათქური მიწას და ქვაზე
ანგრევდა მთელად დედამიწას რამდენ ფარსაგნზე.
მიწა რკინისგან აქეთ-იქით იზნიქებოდა,
ჩქარი მიმოსვლით ჰაერი თვით ქარს ედრებოდა.
ცხენთა გამყოლი ახალგაზრდა მონა რჩეულნი
ყოველ მხარეზე გაიფანტნენ ას-ასეული.
ქოსის გუგუნით სპილოს ზურგზე იყვნენ შემჯდარი,
სულ დაიჭირეს გარეშემო მთელი მთა-ბარი.
მათ ყელზე ებათ მარგალიტი თვალმოსაჭრელად,
ოქროს საცრები ჰქონდათ წმინდა ამბრის საცრელად.
[ათას აქლემზე აეკიდათ მათ ფარჩეული,
გარეთ ძვირფასი სამოსელით იყვნენ მორთული.
ორმოცდაათი სპილო ჰყავდათ იქ გამზადილი,
ოქროს ტვირთის ქვეშ ჰქონდა ყველას წელი მოხრილი.]
ხუთმეტჯერ ათი ჯაცი მათთვის წყალს რომ ზიდავდა,
წმინდა ვარდისწყლით წასასვლელად მათ გზასა რწყავდა.
ხუთმეტჯერ ათი სურნელების იყო მფრქვეველი,
გამოაკმიეს უხვად ცეცხლში მათ საკმეველი.
მის ათას მონას ოქრო ჰქონდა გარს შემოკრული,
ქამრის ლურსმები ოქროებით სულ დამტვრეული.
რომელ მხარესაც ის თავის ცხენს გააჭენებდა,

იგი უზომო ოქროს ფულებს გზაზე აბნევდა.
თუ მას ნახავდა უცხო ვინმე გამვლელის თვალი,
იცოდა უკვე – ეს გზა იყო შაჰის ნავალი.
როდესაც მეფეს ქალაქიდან გასვლა მოუხდა,
იმის იღბალზე ეს საწუთრო წაღმა დაბრუნდა.
იმ ჯარის გამო ეს ქვეყანა მწუხარეს ჰგავდა,
თუ შაჰინშაჰი ამოდენ ჯარს სად წაიყვანდა!
ბრძანა მზემ ქვეყნის მპყრობელმა, რომ: „არის საჭირო
რამდენიმე დღე გავიარო და ვინადირო".
[იცოდა ჯარგად შაფურმა თვით აზრი ზღაპარის,
რომ ნადირობა სულ სხვა რამის მიზეზი არის.
ვარდლოყის გამო ეს სიგიჟე მან ჩაიდინა
და ასეთი რამ თავის თავად აფიქრებინა.]

როცა ტაბლაქმა ტაბილი მოთქმით აიდგა ენა,
აღელვებულ ქორს სანადიროდ მოუნდა ფრენა.
გაფრინდა ქორი ცის სივრცეში მსუბუქფრთიანი,
გასწვყიტა მთელად მიდამოში ჯაჯაბ-ქედანი.
მთელ ერთ ჯვირაში მოიარეს მთა და გორები,
და განუწყვეტლივ ნადირობდნენ იგი ქორები.
შაჰი თანგაბმით მიდიოდა, ინადირებდა,
ახალ და ახალ ნადირობას ჯვლავ აჰირებდა.
ერთ სანადირო ადგილზე ის არა რჩებოდა,
არ ეშვებოდა, ნადირობას არ ეშვებოდა.
შემდეგ ფარულად იმან დიდხანს არ დაახანა,
ცხენი შირინის ჯოშკისაკენ წამს გააქანა.
ერთი ფარსანგის სიშორეზე სატრფოს მამულში
ჩავიდა, როგორც ჩავა ღვინო ჯამის ღრმა გულში.
ღამე ქვეყანას ამბრისაგან ქუდს უყერავდა,[356]
ზამთარი იყო, ცივი ქარი თან უბერავდა.
ზამთარი ცეცხლით, ზე ამოსვლას რომ ვერ ბედავდა,
წყლისგან ჯაშჯაშა მახვილებს და ხანჯლებს ჭედავდა.[357]
თუნდა რომ ძლიერ ცხელი იყოს დღეს ეს ადგილი,
ბრძოლაა ასეთ სიცივესთან არა ადვილი.
მეფემ უბრძანა, რომ ახლავე ცეცხლი დაანთონ,
მოზიდონ უდი და ამბარი და ცეცხლზე დადონ!
უდისა სურნელს თვით ბუნება მისი ითხოვდა,
ცივი ჰაერი ქაფურივით თეთრად სთოვდა.
შაჰის სხეულმა მოსვენება მოიწადინა
და დაისიდან აისამდე ტაბილად იძინა.

როცა მზის ლალი მაღაროდან ზე ამოვიდა,
დღის სიყვარულით ღამემ თავის ყოფნა შეწყვიტა.
ზეცას რბენისგან გადარევა ჰქონდა სპილოსი,
რიჟრაჟმა ზეცა გაალურჯა როგორც ნილოსი.
ცის ექიმებმა მზრუნველობა გამოიჩინეს,
შავი თვალები ზეცის წითლად ააბიბინეს,[358]
წარმოდგა მეფე საწოლიდან ჰირმზე ღიმილით,
მხიარულება და ქეიფი დაიწყო დილით.
როცა სასმელი შესვა ბლომად მერქიფის ხელით,
მხიარულება გამოსცა და, რაც იყო, მთელი.
როდესაც თავში აუვარდა სასმელის ძალა,
მისმა სურვილმა თავხედურად ფრთები გაშალა.
გავარდა გარეთ და შეჯაზმა ხელად შაბდიზი
და შირინისკენ გაექანა ის, როგორც გიჟი.
სიმთრვალის გამო მისი გული მასთან ცეკვავდა,
რამოდენიმე მონა მხოლოდ მას თან მიჰყავდა.

შეატყობინეს მზვერავებმა შირინს საჩქაროდ,
მოვიდა ხოსროვ ჯარზე შენთან მარტო, უჯაროდ.
[იმ ლომის გამო მან ყველასთან ასწია თავი:
„ვით ვიქნე ახლა მე ფარულად, მის უნახავი?"]
იმის წმინდა გულს თვის სახელის გასვრის რცხვენოდა
და ამ უდროო მოსვლის გამო მას ეშინოდა.
დააჯეტინა მაშინათვე ციხის ჯარები,
თან გააფრთხილა დარაჯები, ჯართან მდგარები.
[თვის მონა ქალებს და მსახურებს თანაც უბრძანა,
რომ შაჰისათვის ძირს საფენი მათ მოეტანათ.]
თითო იმათგანს სტუმრისათვის მოჰქონდა ხელით
ხონჩით ბაჯაღლო ოქროული გადასაყრელი.
რაც რამ ძვირფასი ხალი ჰქონდათ, გამოაჩინეს,
მთელ მოედნებზე და გასასვლელ გზებში დაფინეს.
ყველგანა გზები ძვირფას განძით იყო მორთული,
თავად ჯი უდის მსგავსად ვნებით დაიწვა გული.
[თითქოს მზე იყო შავ ფრუბლებში გამოხვეული,
ან შუა ღამით იყო, როგორც მზე, ამოსული.]
სასახლის ბანზე გადადგა და ემსგავსა მთვარეს.
დაუგდო ყური და უცქერდა მთელი გზის არეს.
ყოველ წამწამის წვეტი ჰქონდა შუბივით გრძელი,
ყველა მათგანთან იჯდა თითო სისხლის დამქცევი.

წამოდგა გზაზე მუქი მტვერი, ვითა თუთია,

თუთია შირინს თვალს აუხელს, განა ცუდია![359]
რომ გამოვიდა ამ ნისლიდან დილის ნათელი,
გამოჩნდა ცხადად მიწურიდან ყვავილთა ველი.
იმ ცეცხლის ალში, სანთლის სხივებს რომ წააგავდა,
ტუჩებზე თითებმიდებული შირინ მოსჩანდა.
ალვის ხესავით იყდა ალვის ხის უნაგირზე,
შიმშადის წყალი უბრწყინავდა მას წყლიან პირზე.
ძვირფასი ქვებით ავგაროზი ეკიდა მხარზე,
მეფური ქუდი დიდებული ეხურა თავზე.
სახე ჰქონდა მას, როგორც ვარდი, ახლად ნაზარდი
და თითქოს სურმით დახატული შავი თვალ-წარბი.
ეჭირა ხელში შეკონილი ბლომად ნარგიზი,
ძილის მომგვრელნი იყვნენ მთვრალი თვალები მისი.
ოფლიან სახით ვარდსა ცვარით ნამულს მოჰყავდა,
მისი ხოხობი ვარდის ბუჩქის ძირში გოგავდა.[360]
მისი გამყოლნი იყვნენ მასთან დარაზმულები,
ყველას ეჭირა ხელში ვარდის თაიგულები.
როცა შირინმა ნახა ხოსროვ ესოდენ მთვრალი,
იგი მოსხლეტით დაეცა ძირს მოუფიქრალი.
გონდაკარგული ის რამდენ ხანს უგრძნობლად იყო,
გონს რომ მოვიდა, თავის საქმეს კვლავ ხელი მიჰყო,
[ამბობდა იგი თუ: „სად არის ჩემი საშველი,
სანამდე უნდა განვიცადო ეს სატანჯველი?"
თხოვდა თავის თავს ის ლამაზი გულმომხიბვლელი,
თხოვდა: უბინო გამხდარიყო მისი სახელი.
„ჰოი, მწუხარემ ოხვრა-მოთქმით დრო ვით ვატარო?
რა ვქნა, მე ჩემს თავს რა ვუწამლო, რა მოვაგვარო?
თუ შაჰისაგან მიტევება აწ ვერა ნახოს
და ამის ფიქრით ჩემმა გულმა კვლავ იცახცახოს!"
სიტყვის ალმასით იაგუნდის ქვასა ხვრეტავდა,
გულის სალბუნსა და მალამოს მასში ხედავდა.]
„თუ არ მოხერხდა ახლა ჩვენი შეკავშირება.
არა მაქვს ძალა, ავიტანო ეს გაჭირვება.
თუკი როგორმე ვერ დავთრგუნე მე ჩემი თავი,
ქვეყნად ვისივით დამედება სახელი ავი.
ვიკვნესებ თუკი შევიძელი გულში ფარულად,
თუ ვერ შევძელი, მეც ჩემს კვნესას შევწყვიტავ სრულად!"
მოვიდა შაჰი, გამოქანდნენ მყის დარაჯები,
აბნევდნენ ოქროს, და ფარჩებით მოჰფინეს გზები.

ბევრია, რომ არ დაუთესავს და პატივს იმჟის,
ერთი შეხედა ამ საწუთროს, რას შვრება იგი!
მეფემ ვარდისფერ ფარდაგებით დაფენილ გზაზე
გადაიარა ცხენით და ჯოშჯს მიადგა ჯარზე.
რომ ნახა, ჯარი რჯინის იყო ქვაში ჩამჯდარი,
გაჰჯავრდა იგი და შეიქნა ამით გულმჯვდარი.
არც რიგი იყო ისევ თავის უჯან დაღება,
არც ძალისძალად დაჯეტილი ჯარის გაღება.
მოიხმო ახლოს დარაჯი და იმას მოსთხოვა:
„იმ მშვენიერმა ასე ჯარგი რატომ დამტოვა?
ჩემგან შირინმა სამწუხარო რა ნახა ნეტა,
ჩემ თვალწინ ჯარი ასე მაგრად რატომ დაჰჯეტა?
შედი, უთხარი, მეფემ მონა გაახლა თავად,
გამოგზავნილი არის იგი შენს სანახავად.
სტუმრად ეწვია ის მორჩილი მაგ შენს მშვენებას,
როგორ მიბრძანებ, მისცემ შენ თან შემოსვლის ნებას?
მაგ შენს ბაგეზე მარილია ზე დანაყარი,
სტუმრის წინაშე ახლა როგორ დაჰჯეტე ჯარი?
გამიღე ჯარი, დაბოლოს ხომ მაინც მეფე ვარ,
მე საბოდიშოდ მოსული შენს წინაშე ვდგევარ.
შენ თვითონ იცი (გავიხარო მსურს შენი ნახვით),
არ ვარ მოსული სხვა რაიმე ცუდი განზრახვით.
მინდა, მე შენთან მეგობრობა გავიზიარო,
შენს უნახავად მე არ ძალმიძს უკუვიარო.
და თუ გსურს მე აქ დიდხანს დგომა რომ არ გავბედო,
მოიღე მადლი, ერთხელ კიდევ ჯარგად შეგხედო!"

ამნაირ მოთქმით შაჰი თავის ამბავზე ბჭობდა,
ესმოდა იგი ტუჩთაფლას და „ვაის" ამბობდა.
ეუბნა მონა-მსახურს იგი მთვარე ნათელი:
„ადექი, ჩქარა წადი, გარეთ შაჰს ეახელი!
ექვსთაღიანი სახლის ხალი მოატანინე
და ამ აივნის წინ მთლიანად იგი გაფინე.
ფარჩის საგებიც ზედ გაჰფინე მთელის სიგანით,
და ზედ აფრქვიე სურნელება მუშჯის, ზაფრანის.
უძვრფასესი ხალიჩები ფეხქვეშ გაშალე,
ექვსფეხიანი ოქროს ტახტი მოიტა მალე!
დადგი დარბაზში და ფარდებით ის დაამშვენე,
შემდეგ ამისა შაჰს ეახელ და მოახსენე:
„მოდი, მსახური გეგებება და არა თურქი,[361]

შაჰინშაჰს ასე მოგახსენებს, მოისმენ თუკი,
შირინი არის შენი გრძნობის მაღმერთებელი,
მან ჩემი ჰირით მოახსენა შაჰს ეს სათქმელი.
თუ სტუმრი ხარ ჩვენი, ნურას გაგვენაზები,
სადაც შეგიყვანთ, შენც თვითონ იქ შემობრძანდები.
გზა სიფრთხილისა რომ დავიდოთ, უთხარი, წინა;
ხამს, რომ ამალამ იქვე გქონდეს, სადაც ხარ, ბინა.
შენს სამსახურად სასახლეში მე მოვალ ჩემით,
ვაყოცებ მიწას შენ წინ დიდი ჰატივისცემით.
ვიტყვი, რაც არის ჩვენგან ახლა სიტყვა სათქმელი,
რომ ვიტყვით, ვიზამთ რაც რამეა შესაძლებელი".

მოახლე ქალიც ადგა, გარეთ გავიდა ჩქარა,
თან წაიტანა, მას შირინმა რაც დააბარა.
ფარჩეულობა და ძვირფასი ოქრო ნაყერი,
შევიდა, ხოსროვს მიუტანა ეს ყველაფერი.
შირინს სირცხვილით გაუწითლდა სახე და ჰირი,
თუ შაჰს ნობათი რა მოართვას ნარ-ნაირი.
როცა ნობათი ოქროულის მან გაუგზავნა,
შაჰს სასმელი და ტაბილეულიც მიართვა თანა.
ეს ტაბილეული გაეგზავნა ლამაზის ხელით
და შემკობილი იყო იგი ტაბილი სასმელით.
[რომ წესისამებრ შეასრულა მან ყველაფერი.
შემდეგ თვითონაც მოიკაზმა ის მშვენიერი]
თავად მოირთო იგი, როგორც მთვარე ნამდვილი,
მზიური ტანი დაიფარა სამოსის ჩრდილით,
ჩაცვა ტანზე აბრეშემის მისი კაბები
და ქამანდივით ზედ აყარა თმათა კავები.
ეს ქამანდები მას ეყარა რგოლებად მხრებზე,
მისი რგოლები ხალხს რგოლებად ჰქონდა ყურებზე.
ბაჯალლო ოქროს ავგაროზი ეკიდა ყელზე
და ციმციმებდა სამკაულიც და კაბაც მზეზე.
თავშესაკრავი სავსე ჰქონდა მარგალიტებით,
ეხურა თავზე ჩინელების წესთ მითითებით.
შავი კულულნი, მასზე ამბრი რომ დაეყარა,
მთვარის სხივოსან სახეზე სულ ჩამოეფარა.
ფარშევანგივით მოკაზმული ფანსკუნჭის დარად
ხოხბის გოგმანით გაემართა ხოსროსკენ ჩქარა.[362]
ტრფობის უზომო სიხალისემ ის აიტანა,
ხელთ იგდო დრო და განაზებაც დაიწყო თანა.

ჯოშჯის ჯედელთან მიტორტმანდა ის მედიდურად,
აჯოცა მიწას შაჰის ფეხთან იქვე მონურად.
მოიხსნა ყურზე განძეული და ბევრი ლალი
და შემოაჯრა შაბდიზის ფლოქვს, ვით ცეცხლის ნალი.
თან ასი ცალი მარგალიტი წმინდაწყლიანი
ხოსროვის თვალწინ დააბნია იმან მთლიანად.

ხოსროვის მიერ შირინის ნახვა და საუბარი

როცა ხოსროვმა დაინახა სასახლის მთვარე,
დაუთმო საროს თავის გულის ყვავილთა არე.
სამოთხის შვილი სასახლეში იყო დამჯდარი,
სამოთხის გვარად დაეკეტა ხალხისთვის ჯარი.
იმისი ეშხით, მამაცურად რომ შეჰყურებდა,
ტახტზე დამჯდარი გადმოვარდნას ძირს აპირებდა.
კვლავ მარჯვე ქცევით, თვის ადგილზე რომ შეტორტმანდა,
აჯოცა თვის ტახტს და შემდეგ კი ისევე დაჯდა.
გაშალა ენა საბოდიშო სიტყვის სათქმელად,
შირინის მიმართ გადმოჰყარა შაქარი მთელად:

„დე იყავ, საროვ, მარად ტურფა, ტანანაყარი,
ღაწვი წითელი, თავი ქორფა, გულგანახარი!
ქვეყანა, დეე გინათებდეს მარად და მარად.
დ თვით საწუთრო შენი საროს ჩეროშიმც მდგარა!
ეს ჩემი გული განაახლა ამ სიხარულმა,
დამდო სირცხვილით მე მაგ შენმა ჯაცურმა გულმა.
განძ-მარგალიტი ოქრომჯედი და ფარჩეული,
მე მიწყალობე ვით სიმდიდრე შენი რჩეული.
ლალ-მარგალიტი საყურესი რომ გაიმეტე,
ყველა ისინი შენ შაბდიზის ნალს გაუკეთე.
შენი წყალობა ერთმეორეს მოჰყვა და მოჰყვა,
შენმა ლალებმა ლალისფერად მიქციეს ლოყა.
დიდია ჩემთვის, რაც შენ განძი ჩემ წინ დაყარე,
მე უფრო ვხარობ შენი სახით, შენ გაიხარე!
ჩემთვის მრავალი გაამზადე შენ თაფლი რძეთი,
ჩემს საამებლად არ დამაკელ ქცევა არც ერთი.
მაგრამ ჩემ თვალწინ შენი ჯარი რომ არ გაიღო,
ცოდვად მეჩვენა, ჰოი, ტურფავ, თუ ცოდვა იყო.
მე მიწის დარად აქ ძირსა ვარ მიტოვებული,
შენ წადი მაღლა, როგორც ცა, და ზიხარ მორთხმული.

არ ვამბობ, შენზე მაღლა დგომის რომ ვიყო ღირსი,
იცოდე-მეთქი დაფასება შენ ხოსროვისი.
მე სტუმარი ვარ და სტუმარი თუა ყეთილი,
რად უნდა იყოს მის წინ ჯარგი გამოყეტილი?
არ შეიძლება, მოუყეტო იმ სტუმარს ჯარი,
რომელიც ქვეყნად მხოლოდ შენით ცოცხალი არი.
ყეთლშობილნი სტუმართან რომ დროს ატარებენ,
სტუმარს ისინი თავის ტოლად თავს ადარებენ.
განა მთვარე ხარ ან ფერია, მითხარი, თავად,
რომ შენთან მოსვლა გაიცადოს მნახველმა ავად?"[363]

შირინის პასუხი ხოსროვს

ეჭვასუხა სარო, სახით ვარდებრ წითელი:
„იყავ მარად ჭამს ბედით სავსე, ქვეყნისმპყრობელი!
ზეცას ზარავდეს წელთ ქამარი შენი შეკრული.
ტანი სპილოსი გქონდეს, იყვე ლომივით სრული!
თავი, რომელიც ცდილობს შენგან ჩამოშორებას,
ნუ ქნას, მას ყელზე სისასტიის თოკი არ ებას!
ჯარგ თვალის მქონეს შენთვის ჯარგი, დე, გულში ედოს,
ნუ ქნას, ავთვალმა მაგ შენს გზაზე გავლა გაბედოს!
მას ნუ მაყვედრი, რომ მაქვს ტახტი დადგმული მაღლა,
შენს მხევალს მაღლა დგომა მმართებს (რას მეტყვი ახლა?).
ალამად ვიქეც შენი ტრფობით გულმოხიბლული,
დროშა მაღლა ხამს, ეს შენ უყეთ გაქვს გაგებული.
მე ის მტკვერი ვარ, შენი გზიდან რომ წარმოსდგება,
შენს გარეშემო მაღლა ასვლა თუ შეიძლება.
შენ თვით გვირგვინის მფლობელი და მისი ღირსი ხარ,
და ფადიშაჰად მეფის ტახტზე მორჭმული ზიხარ.
მე შენი ტრფობით ვარ მტირალი, ხმააწეული,
ვზივარ ზედ ბანზე, როგორც ინდო მწყემსად ქცეული.
ქვეყნის მფლობელებს თავის ხალხში ასე აქვთ წესად,
რომ ინდოელი სახლის ბანზე უდგათ მათ მწყემსად.
მე ის შავთვალა თურქი ვარ, აქ ბანზე მჯდომელი,
თეთრ ინდოელად გადაიქცა ჩემი სახელი.
თუნდაც ჩემ თავად მთვარის ზევით ვიქნე დამჯდარი,
შაჰინშას მცირე ხელქვეითად ვარ მე გამხდარი.
ჯიდევ, რომ ამბობ: წესიერი ჯაცით არსად
არ მიუყეტავს არასოდეს სტუმარსა ჯარსა, –

შენ ის სტუმარი ქორი არ ხარ, ძვირფასო, განა,
მთისა ჯაჯაბის დაჭერას რომ აჰირებ თანაც?
და თუ, ვით სტუმარს, მე შენ ახლა მოგეც ადგილი,
ვით გოგო, შენდა სამსახურად ვარ გამზადილი.
როგორც გამოცდილს მასპინძელს ეს შეეფერება,
სტუმართან ქცევა თავხედური არ ეჯერება.
ჯარის დაჯეტვა შენთვის ჩემგან დიაღ ეგების,
გაიხსენებდე დანაშაულს შენსას ეგების!
მე მარტო ვიჯდე, შენ კი იყო ღვინით დამთვრალი, –
როგორ ავუბათ, მიპასუხე, ქვეყანას თვალი!
შენ უნდა გყავდეს რამდენიმე მოხუცი ბრძენი,
რომ მათი რჩევით მოაგვარო შენი საქმენი.
ჩემი წაყვანა იმ ადგილზე შენ გსურს მეფურად,
ამზადებ ჩემთვის საწოლ ბინას შენ ახლებურად.
შენთვის შირინის მოპოვება რა იყო განა,
თითს დამიქნევდი, წაგყვებოდი გეგონა თანა?
შენ გინდა განა, მაგ უცნაურ შენი სათქმელით
ისე მომხიბლო, როგორც ლოთი ტკბილი სასმელით.
ჩამიგდებ ხელში, როგორც ლოთი ვინმე ავარა,
ვარდს რომ დაყნოსავ, გადამაგდებ ხელიდან ჩქარა.
უნამუსობას ნუ ჩაიდენ შაჰთა აკვანში,
ისიც გეყოფა, რაც გიქნია იქ, ისფაჰანში.
შენ შეგიძლია გაამწარო ასე შაქარი,
მაგრამ შირინი ტკბილი გახლავს უფრო მაგარი.
გეყოს შენ, რაიც გაიტკბილე შაქარით ჰირი,
ვერა, შენ შირინს ვერ უცვალო ვერაფრით ნირი!
ორი ნუგბარი გქონდა, ერთად იქციე ძალით.
ორი ფრთა ჰქონდა შენს ფარშევანგს, მოსტეხე ცალი.
ორ სატრფოს ყოლა ერთი გულით არ შეიძლება,
ორგულად ყოფნა გონიერად აღარ ითვლება.
ოტარიდსა აქვს ორი ბურჯი და სხვებს კი – არა,
შენ მზე ხარ, შენთვის ერთი ბორჯი, მერწმუნე ჯმარა.[364]
შირინის სახელს ნუ ახსენებ შენი ტუჩებით,
მაგ სიტკბოს შენ და შენი ტუჩი ვერ გადურჩებით.
არც ჩემი ტრფობა და არც თვით მე არა გჭირდები,
შენ ჩემს ტრფობაში თვალთმაქცურად მეცუღლუტები.
ნუ ჩასცემ მახვილს საწყალ შირინს, დაჩაგრულს ბედით,
შენ ის გეყოფა, რომ მაგ შუბით რუმში წახვედი.
როგორც სულთანმა ერთი ბურთი იკმარე, ჯმარა,

ინდოელივით ათი ბურთი არ გინდა, არა.[365]
ათი ბურთით შენ ათჯერ უნდა გაინავარდო,
ერთი ბურთით ჯი მხოლოდ ერთ ბურთს დაიჭერ მარტო.
მე შენი სახით ერთი ყიბლა მაქვს შესახედი,
შენ ჩემი სახით ყიბლა გხიბლავს ათასზე მეტი.
თუ შენს მკერდს მოსწვდა მარტო ერთი სახე ლამაზი,
იმაზე უფრო ლამაზი გვყავს სხვები ათასი.
შენი სასახლე სავსე არის შველის ნუკრებით,
საცოდავ ქურციყს ძაღლს ნუ უსევ, ნუ გაუწყრები!
შორს გადააგდე შენს სასახლე ჩემი შაჰობის,
ციხის საჯანში არის ეს ჭა ჩემი სამყოფი.
დე, ვიყო მე ამ სასახლეში და ცრემლი მდინდეს,
მე აქ დავიცავ, ვით წმინდა განძს, ამ ჩემს სიწმინდეს.
აჯი მიწითა დაიბანენ, რა გიკვირს, თავსა,
და თუმცა იგი ტალახია, ვინ ეტყვის ავსა![366]
ღამით ფრინველიც ჯი ისვენებს, ჩიტიც ისვენებს,
ეს ჩემი სული ვერ ისვენებს, დაგდევ ისევე!
მე, როგორც ჩიტი, ჩავარდნილი შიგ მახეში ვარ,
ჩაჯეტილია ციხის ჯარი და ბანზე ვზივარ.
მე, როგორც თუთი, გალიაში გამოჯეტილი,
ფასკუნჯის გვარად მარტოობით ვარ ემაყოფილი.
მე საჯანში ვარ, შენ დარბაზში ზიხარ ადვილად,
შენ სამოთხე გაქვს, მე მარტო მყოფს ქვა მერგო წილად.
რადგან ამ ტანჯვით ვიტანჯები და ამგვარ დარდით,
ნურმც მალამოა ქვეყანაზე და ნურმცა ვარდი!
თუ ორი დღე გვაქვს სიცოცხლე ჩვენ და სხვა არარა
როგორც რომ ჩქარა წარმავალი, გაივლის ჩქარა.
რადგანაც უნდა წავიდეთ ჩვენ ამ სადგურიდან,
სჯობს, გაგვიტანონ ქვის ქოხიდან, ვიდრე სახლიდან.
ვინც ტანს შეაბა ავგაროზი თავისი ნებით,
შენ იმას ვეღარ შეეხები შენის ბრძანებით.
ვერ მომაშორებ იმ ლომს გულზე, ჩემთან რომ არის,
მე შირინი ვარ, არა ბალღი რძის მაწოვარი.
არ ვარ ის ბალღი, რომელსაც თქვენ მაგ ტაბილი ენით
ჯულიჩს წაართმევთ, ტაბილი ხურმა თუ მიუძღვენით.
ამ ჰურის ძნაში, საყვედურით რომ წარმოსდგება,
ყველა მარცვალი ჩვენ ორს შორის წლებად ითვლება,
ვით ზოჰრას, არღნის დაკვრა თუკი მეცოდინება,
იმდენად მიყვარს, მე იგი არ მომეწყინება.

ცეცხლივით თუ ვარ ბოლოს წმინდა ალანთებული,
პირველ ხანს მაინც ვიყავ გულზე ბოლმოდებული.
შეხე, ცა ჯერე ცეცხლს გვიგზავნის და წვიმას მერე,
ჯერ მოაწყურებს და უშოვის წყალს იმას მერე.
ის მოწყალება, ხურმა ეკლით რომ გვაჯილდოებს,
ჩანს, უეკლოდა მას ვერავინ ვერ მოიპოვებს.
ხურმას უკურკოდ გემრიელი წყალი არა აქვს,
მთვარეს უღამოდ ხომ სინათლის ჯვალი არა აქვს!
ბევრი გვაქვს გზაზე საქეიფო ღვინო სასმელი,
მაგრამ მწარეა იგი, შაჰო, მე – გემრიელი.
ბევრი ვინმეა მაგ ტყავში, რომ შეებაასო,
მაგრამ ძვლებია ისინი, მე – ტვინი, ძვირფასო!
შენ ჩემს ტრფობაში ჩემს სიმდიდრეს და ჩემი ყოფნის
რა ნახე, გარდა დიდობისა და თვით შაჰობის?

რომელი იყო ის საათი, რომ მომიგონე,
რომელი იყო ის დღე, გულზე რომ მომიფონე?
რომელი იყო სამოსი, რომ ნაჭრად აქციე,[367]
რომელი იყო ის დარდი, რომ ჩემთვის გასწიე?
რომელ შიკრიკით მიხარებდი, მითხარი, თვალებს,
რომელი ღამით მე სალამი შემომითვალე?
შენ ჯამსა სცლიდი მეგობრებთან ლხინგანაცადი,
შაფური ჯალამს ხმარობდა და ნაჯახს – ფარჰადი.

ხოსროვის პასუხი შირინს

ქვეყნის მფლობელმა, ჯვლავ აღძრული ტრფობისა გამო,
უთხრა ვარდისფერს: „ჰოი, საროვ, სახით საამო!
ტაბარხუნის ხე, დაე, იყოს საროს მახლობლად,
ტაბარხუნისგან ტაბარზადი ნუ იყოს ობლად![368]
პირი ჩემს გარდა შენი ტუჩის ჯამს განეშოროს,
თავი ჩემს გარდა მაგ შენს ღაბაბს ჩამოეშოროს!
მაგ შენს საყვედურს თუმც შხამი აქვს წმინდა ამხელად,
მაგრამ წყაროში გავლილია იგი სასმელად.
არ გეუბნები: „ჩემზე მაღლა შენ ნუ იქნები!"
ავს ნურას იზამ, მაღლობიდან რომ გვეჩვენები.
ეგ საროტანი სიმაღლეზე ჯვლავ მაღლა არი,
მეტი სიმაღლე აღარ არის მოსაწონარი.
ჩემი თვალებით მე რომ გაყრი, იმოდენ ნესარს,
რა მანქანები მოგაყრიან, მითხარი ესა!

ამ ციხე-ჯოშჯზე სიმაღლე რომ ექნება მილი,
სპილოც ვერ ზიდავს, რაც მე ცრემლი ვადინე მილით.
ყარუნის დარად ასე უხვად რომ მომეც განძი,
ყარუნის მსგავსად რად დამფალი მიწაში აწი?[369]
გული აქ არის, სად მაქვს ჯარი მე გასაღები?
ტანი აქ არის, სად მაქვს თავი მე დასადები?
თუ შენი ჯარის რგოლს ხელით მე ერთხელ მივწვდები,
შენი ჯარის რგოლს მეფურ ჯოცნით მივეყუდები.
რგოლად ვიქცევი ძაფზე აცმულ ყელშესაბმელად,
არა, ცუდად ვთქვი, რგოლად ყურზე გასაკეთებლად.
ნუ მომექცევი ამ საქმეში სასტიკად ასე,
თვინიერ შენი ერთგულების რა ბრალი მაქვს მე!
ცოდვა თუ ვქენი, არის გულიც მომტევებელი,
ცოდვის ჩადენა ჯაცის მიერ წესია ძველი.
სულ სისასტიკეს ნუ იქმ, გული შენც მოირბილე,
დასთმე სიანჩხლე, როდესაც მე დაგემორჩილე.
მწყემსობას მიჰყევ, დაანებე თავი შენ მგლობას,
ნუ იქმ ნურადროს ქედმაღლებთან შენ ქედმაღლობას!
არ შეიძლება ცუდი საქმე აკეთო, ხოლო
ჯარგ ჯაცს ურიგო მოქმედებით მოუღო ბოლო!
ჩემ საძირკველთან რომ დაჰყარე მინა პირველად,
მით აქანდაზი არ გიწოდე მე შენ სახელად.
ნუ იტყვი შენ, რომ შფოთისათვის აღვმართო ხელი,
თუ შფოთს ავტეხავ, შენ იქნები შფოთის აღმძვრელი.
ნუ იზამ, რადგან მაგ სიავეს გაფრენილს ნახავ,
თუ ჩემგან არა, საწუთროსგან მოსპობილს ნახავ.
არა თუ ყველას შესაჭმელად შეჭმა გაბედო,
არა ყველა, რაც შენს ხელს ძალუძს, ის გააკეთო.
არა ყველა მან, ვისაცა აქვს მახვილი მჭრელი,
სისხლის საღვრელად ხალხზე უნდა აღმართოს ხელი.
ჩემი სიმცირე ჩემით არის და არა შენით,
ეს ცოდვა შავი ბედით არის და არა შენით.
უდროოდ იწყო ქანაობა ჩემ ქოხის ზარმა,
დოლიც უდროოდ დასცხო მაგრად ჩემმა მამალმა.
თუ არა ტრფობის სიცივეში ცეცხლი მედება,
რა დღეში ვიყავ, ხედავ ახლა, რა დღე მადგება?
შეცდომითა ვთქვი, ეს ტრფობაა, არა შაჰობა,
ტრფობას ჩვევია გასაწყლება, მეშველის ხმობა!
დე, გამენაზე, რამდენიც გსურს, როგორც მიჰირებ,

მაგრამ აქედან გასაგდებად ნუ დამიყვირებ.
თუ სულთანივით მე ალერსით მომეყიდები,
მითხარ, და მაშინ მორჩილ მონად მე გაგიხდები.
თუ გინდა ყურში მტაცო ხელი გასასყიდველად,
გემორჩილები უხმოდ, რადგან შენი ვარ მთელად.
თუ თვალს ამომთხრი, თვალი წინ მაქვს, აჰა, მოგიცდი!
მეორე თვალსაც მოსათხრელად წინ გამოგიწვდი.
მე შენ გამზადილს გხედავ უკვე ჩემს დასასჯელად,
ვგრძნობ, რაც შავი დღე დამადგება მე უეჭველად.
თუ ჩემი თავი შენი ხანჯლის ქვეშ მოექცევა,
სიკვდილის შიშით ჩემი თავი არ გაინძრევა.
ეს ჩემი სული და სიცოცხლე შენ გეკუთვნება,
ეს არვის ესმის, მხოლოდ შენ გაქვს მისი შეგნება.
ფხიზელი ვიყავ ყოველ წუთში, თუ ვიყავ მთვრალი.
ჩემთვის შენს გარდა არვინ იყო სხვა საფიქრალი.
ჩემს გარდა სხვა რომ ამ შარბათის დაგესვა მსმელად.
გაილანძღვოდა ამის გამო ერთიან ყველა.
მე ტანისამოსს ტანჯვის გამო ვიხევდი მთელად,
ახალ სამოსსაც მჭრელი დანით დავჭრიდი ხელად.
სანამ ლაშქარი თვით ჩემსკენ არ გადმოიხრება,
ფადიშაჰობის საფუძველი არ ჩაიყრება.
არ ვიქნებოდი შენი ეშხით გონდამთხვეული,
რომ მეც თამბური მქონდეს ხელში სიმმომართული.
ქვეყნის მპყრობელი ვარ მე ყოველ-გვარ საქმობაში,
რა ესაქმება ქვეყნისმპყრობელს ქალთან ტრფობაში!
მაგრამ სახელი შენი თმების რომ შევისმინე,
ტახტი და თაჯის სურნელება მით შევიძინე.
ტანით მე სხვასთან ყმაყოფილი ვიყავ, ვტკბებოდი,
სულით და გულით მარტო შენთვის ვიტანჯებოდი,
ცუდი ბრძანებით ჯერ წყალი არ დამილევია,
სიმართლის გარეთ ჯერ საქმე არ დამიძლევია.
თვითნებობისკენ მე ნაბიჯი გადავდგი თუკი,
ჭაბუკი ვიყავ და ასეთი უნდა ჭაბუკი".

შირინის პასუხი ხოსროვს

ამ დედოფალმა, ფარშევანგის ჩამონაგვარმა,
გააღო ყუთი მარგალიტის ტუჩებშაქარმა,
გადმოედინა ლამაზ ნახატს იმ წთელ ლალზე

სიტყვები წმინდად მოხატული უფრო ფარჩაზე:

„იმაზე მეტად, ქვეყანამ რომ იცის ტრიალი,
არის დღე-ღამე, არის მიწა და ცა მაღალი;
რომ მართმსაჯული უნდა იყოს ქვეყნის მფლობელი,
ზოგჯერ მსაჯული და ზოგჯერაც თვით მბრძანებელი.
იმის მსახურად არის მთელი ვარსკვლავთა ჯერება,
წინამძღოლივით იმას ბედი ემსახურება.
ხოსროვისაგან ასნაირი მაქვს მტკერი გულზე,
ახლა მეფობას ნუ მიხსენებ, სხვა საქმეს ვუმზერ.
ჯერაც ჯოჰწიობ მეფობით და დიდებით შენით,
რომ ძლიერება მოიხვეჭო გამოსაჩენი.
ჯერაც მეფობის სიამაყით გიფეთქავს გული,
ეს სიამაყე ტრფობაზეა დაშორებული.
შენ ჩემი გული რით გპასუხობს, იცია განა?
სიყვარული გსურს თუ მეფობა? მითხარი თანაც.
ტრფობისგან ხელსა გული გქონდეს, არ მიყვირს, ცხელი,
საქმე ის არის, გული გექნეს ტრფობისგან ხელი.
დარდი იმას აქვს, ვინაც გულით ტრფობას ეწევა,
უდარდო ტრფობას წმინდა ტრფობა არ დაერქმევა.
არ შვენის ტრფიალს თავხედობა და ამაყობა,
მით ტრფობის მიზანს ვერ მიაღწევს, ვისაც ჰსურს ტრფობა.
მე ის ჩიტი ვარ, ყვავილებში რომ მიყვარს ფრენა,
ზაფხულის სიცხე ჯერ ყიდევ არ მინახავს მენა.
ვარდივით ვიყავ გაფურჩქვნილი, ვით სლავი, ქალი,[370]
დღეს ყი ციხეს ვზი, ვით შუშაში ვარდისა წყალი.
ვითარცა მოლი ბაგეს თოვლის რძითა ვიბანდი,
როგორც რომ ვარდი, ჩემ ბედს მუდამ ცივ წყალში ვყავდი.
ამ სამარეში მჯდომარეს და ამ ბნელ ციხეში
მიადვილდება მოთმინებას შენი ნუგეში.
გამოვიწურე, როგორც ოქრო, ამდენ სიცხისგან,
სულ გავიყინე ყინულივით ამ სიცივისგან.
არც ვინმეს ხელი, დამერეჯა იმასთან ზარი,
არც მეგობარი, რომ გვქონოდა სუნთქვა ერთგვარი!
მე შენ ყოველთვის უახლოეს მეგობრად გთვლიდი,
მუდამ მეგონა და ვფიქრობდი, რომ არ გამცვლიდი.
შენ არასოდეს მაგ შენს გულში არ ჩამაწვდინე,
როგორც მიჯნურმა, თანაგრძნობა ვერ მაგრძნობინე.
სხვებისგან ჩემი სიყვდილი გულს არ გავიტარე,
ჩემი სიცოცხლე მაგ შენს მახვილს მე ჩავაბარე.

სასწორის ჯამი რომ ეშვება ძირს აწონაზე.
სისწორეს მიწა უფრო აწყობს ასაწონ ქვაზე.
თუ ჭკუა შემრჩა, ვიქნები აქ ჩემთვის დამჯდარი,
თუ არა, ვნახავ, სანახავი ჩემთვის რაც არი.
თუ თვითონ ჩემგან არა საქმე არ წარმოსდგება,
შესაძლო არის ყოველივე მისი გაგება.
რამდენჯერ მითქვამს ჩემი ბედის მე საჩივარი,
ისრის პირდაპირ ვარ სანიშნედ ამდენხანს მჯდარი.
რად უნდა ვიყო მე, საროს ხე ნაზად გაზრდილი,
ამ მწუხარების მუდმივ დარდში გადავარდნილი?
ჯერაც ჩემ გულში არის ლხენა ახალგაზრდული,
ჯერაც ჩემ თავში არის ტრფობის დიდი ხმაური,
ჯერ ჩემი ჰინდი ანთებულ ცეცხლს ემსახურება,
ჯერ ჩემი თვალი მთვრალ თურქივით გაიყურება,
ჯერ ჩემი ვარდის ჯოჯორი ხომ არც ჯი გაშლილა,
ჯერ ამ ჩემი ზღვის მარგალიტი არ გახვრეტილა,
ჯერ ჩემი ტუჩი სავსე არის სიცოცხლის წყალით,
ჯერ ჩემი წყალი მიდის ფართო ჭაბუკურ ჯვალით.
სახე ლამაზი მაქვს, თერაზელ ჯერჰთა მშვენება,
ტურფანი მხოლოდ მას ჩადიან, რაც მე მენება.
ვარდ-ყვავილების მე ვარ მხოლოდ ნიავი მქროლი.
შაქრის მემკვიდრე მარგალიტი მე ვარ ობოლი.
ლამპარი ჩემი სხივის ნახვით ფარვანად ხდება,
ახალი მთვარეც, რომ შემხედავს, წამსვე გიჟდება.[371]
აყიყმა თავში დაირტყა ქვა ჩემ ლალის გამო,
ვარდმა თვით ჩემგან შეიძინა ფერი საამო.
ჩემი ღაბაბის თურინჯი თუ მოაგონდება,
ბაღდადის ნარინჯს შურით გული შეუღონდება.
თუ ჩემი სახის ვაშლს მე ხელში ჩავუგდებ შაჰებს,
ისფაჰანის ვაშლს ჯალათით ის უჯან წაილებს.
თვალ-მარგალიტებს ჩემ ტუჩ-ჯბილით რომ მივუტოვებ,
მოვსტაცებ გულს და ას სიცოცხლით დავაჯილდოებ.
მე ვეფხვებთანაც ჯი ვეწევი ჩემ ქედმაღლობას,
შველები ჩემგან ითვისებენ ხტომა-ცელქობას.
ირმებს ამ თვალთა შურით ისე გული სტკიოდათ,
თრიაქის ნაცვლად თვალზე შხამი გადმოსდიოდათ.
თუ შველი ჩემკენ მოიქცევს თვალს შესახედავად,
ის ჩემი ჯისრის ვალს დაიდებს ჯისერზე თავად.
ჩემი სინაზე თვითონ რუმის საზღვრებსაც სწვდება,

ჩემი სურნელით, აქ რომ ამდის, ხოთანიც ტკბება.[372]
და თუმცა ტურფა გაზაფხული ყეყლუცობს ტურფად,
ჩემს სილამაზეს რომ შეხედავს, მომხედავს უბრად.
მთვარეზე აბა რაღა გითხრა, მთვარე საწყალი
ღირსი არ არის, რომ მე ხელზე დამისხას წყალი.
ეს ჩემი ლალი როცა მაჭარს სასმელად მოსწევს,
იგი საქრთამოდ შაქარყინულს ჯამს გამოართმევს.
სამოთხე ჩემი ჯოშკით არის სხივდაფრქვეული,
ნაზმა ფერიამ მე მომტაცა მყერდბროწეული.
თვალების ჩაკვრით თუ თურქივით ვიტაცებ გულსა,
ხვევნა-კოცნითაც ძალმიძს ვეტკბო გულდათუთქულსა.
[არვინ წაიღებს ჩემგან ჩემი გულის ბროწეულს,
რადგან ის ხელში არ შერჩება არა დაჩვეულს.
მაგრამ ბროწეულს იმნაირი ნიშანი ჰქონდა,
გაუსინჯავად იგი ყველას მაინც მოსწონდა.]
მას შემდეგ, რაც კი ეს სინათლე მომეცი თვალთა,
სიტურფის ფასი გავუფუჭე მე თურქთა ქალთა.
მე ისე ვძუნწობ სხვის ქებაში, ჩემს ლამაზ თვალთა
არავინ მოსწონთ, ტურფაც იყოს თუ გინდა მართლაც.
[ჩემი ხურმიდან ვინც ერთ ხურმას თვალით შეხედავს,
სხვა ხურმის ბაღში იგი ხურმას აღარ მოკრეფავს.]
თუ მუშკის მთვარეს ჯაჭვით შეკვრას მე დავუპირებ,
მაშინ ლომებზე მე თამამად გავინადირებ.
თუ ჩემი ლალი დაჰყრის შაქარს დაუზოგველად,
მოიყვა კაცი, რომელიც მას დაიჭერს ხელად.
შაქარი უკვე ჩემს კბილებთან გახდა დობილად,
ჩემთან, ვით ახლო მეგობარი, იქნება ტკბილად.
სინაზე ქვეყნის მაქვს მე, კდემა – კვლავ უფრო დიდი,
სიყეყლუცეზე უფრო მეტი მომეცა რიდი.
ჩემს ლალის ტუჩებს კვლავ შაქარი აქვთ მობნეული,
ჩემი ზილფებით ისევ რბიან გადარეულნი.
საუბრის დროს კი როცა ღვინოს ჩავასხამ თასში,
ჩავაბნევ შაქარს განუზომელს ნუშის ჯალთაში.
თუ ვაშლის მყერდი გადამექცა დიდ ბროწეულად,
მოაშიყის თვალს მე მაინც კი მოვხიბლავ სრულად.
ეს ჩემი სახე, დღეს ქვეყანას რომ აელვარებს,
თვითონ არღავანს ფერს უხუნებს და დღეს უმწარებს,
მთვრალი ნარგიზი სიყეყლუცის სხივებს რომ ისვრის,
არავის სისხლში ხელს არ ისვრის, – ვერ ნახა ღირსი.[373]

რამდენი რამე საფიქრალი მქონია თავად,
რამდენი ვინმე შემიწირავს მინჯური ავად!
წადი, სანამდე შენს სისხლზე არ ავმართე ხელი! –
სისხლი ისედაც ბევრი მაწევს გადასახდელი.
აიღე ხელი ჩემზე და თვით წადი სიმთელით,
ასე თავდება ჩემი ტრფობა მარცხენა ხელით.
შენ ქვის გული გაქვს, მაგიერად მე – რჯინის სული,
ამნაირ ქვის გულს სული უნდა რჯინად ქცეული.

ხოსროვის პასუხი შირინს

ამ ლაპარაკში ჩვენგან უკვე გარბიან დღენი.
ეფემ თქვა: „ჰოი, შენ ხარ გულზე სხივის მომფენი!
ნუ მეტყვი იმას, სილამაზე რაც რამ გქონია,
უკეთესი ხარ ასჯერ მასზე, შენ რომ გგონია.
თვალთმაქცი თვალი, შორეულო, აგშორდეს შორით,
ლამპარი დილის, ჰოი სხივო, სხივთა სისწორით!
ომანის ზღვისებრ ამოჰყარე ძვირფასი ლალი,
ჯავარი შენი არის ჩვენი სიცოცხლის წყალი.
შენ თვით სარკეში დაინახე შენი სურათი,
მაგრამ ჩემს თვალში შენ იმაზე მეტი ხარ ასჯერ.
თუ შენ გახსენე, თუ სახელი შენი ვამხილე,
ამივსებს შაქრით ხახას მაშინ შენი სახელი.
თუ მზეს გიწოდებ, სწორედ მზე ხარ შენ უეჭველად,
მთვარის სხივები ზეცაში შენ აქციე ბნელად.
ის შაქრის გული იმ დროიდან იქცა მწუხარედ,
შენი ლალი რომ გამოვიდა იმ ქვიდან გარეთ.[374]
საროს ხე მაშინ დაამცირა თვის მოედანზე,
ბროწეული რომ გაიზარდა შენს ვერცხლის ტანზე.
მაშინ გაფუჭდა ხურმა, ასე ამბობენ, თურმე,
როდესაც შენი დამწიფდაო, თაფლივით ხურმა.
ეგ შენი სახე ერმის ბაღსა აქვს გასალებად,
შენთან შეხვედრა მით გაძნელდა ხელშესახებად.
მთვარემ, ჯეთილად განწყობილმა, შენ მოგცა გული,
შაქარი შენი მონა არის, გამიგე თქმული.
შენს ვარდს შაქართან ტკბილი ძილი რომ ეღირსება,
შაქარყინულსაც ჰირი მყისვე ნერწყვით ევსება.
ყოველ მეჯლისში შენი თაფლი როა საჭმელად,
სანთლის სახეებს სალი ფერი ეძლევა ხელად.[375]

სადაფი როცა გააღებს პირს ვნებააშლილი,
გულში მარგალიტს გაუჩენს მას ეგ შენი ყბილი.[376]
თმის ნახევარ ბეწვს თუკი გასცემ გასაყიდველად,
ვიყიდი, თუნდაც შენ სამეფო მომთხოვო მთელად.

შენმა მშვენებამ თუმცა შური წარმოშვა მთვარის,
ნუ აქებ შენს თავს, თავის ქება საძრახი არის.
ნუ ქნას, რომ ვინმემ თავის დიდი ღირსების თვალით
თვის თავს შეხედოს, – გაითვალოს იქნება ძალით.
ნუ დალვრი ჩემს სისხლს, შენ რამეთუ ჩემი ხარ მეფე,
შენ უცოდველი ჯაცის მოკვლა ნუ გაიეფე.
თუ შენ შაჰი ხარ, საჩუქარი შენი სად არის,
თუ შენ სიტყბო ხარ, ეგ შაქარი შენი სად არის?
უარჰყავ შფოთი და მშვიდობის გზა გაგვიშალე,
უთანხმოება შეამცირე ჩვენ ორში მალე!
მე ცუდს არ ვამბობ, არც საქმეს აქვს ჩემას რამ ნაკლი
და თუ ვთქვი რამე, მაპატიე, გითხარი აკი.
თუკი ლამაზთა წესი არის სიფიცხე ესე,
სიკეთეც თქმულა ჯეთილ ხალხის რიგად და წესად.
დიდი პირები თუ სიავეს გამოიჩენენ.
თავის წყალობას ღირსეულად შემდეგ მოჰფენენ.
ნუ მოექცევი უსამართლოდ შენს ძველ მოყვარეს,
წყალობაც იცი, მიწყალობე, რას უცდი, ბარემ!
ჩემი ცეცხლიდან, როგორც ქარი, რად გარბი ველად?
მიწა ვარ შენი, რატომ მართმევ პირისწყალს ხელად?
შენთგან იმდენად ვარ ამჟამად დავალებული,
შენი ალერსის ყელსაბამი მაქვს წამოცმული.
ეს ყველამ იცის და ნამდვილად ასეცა ხდება,
რომ ღირსეულ ჯაცს გაჭირვება არ აშორდება.
სანამ გული მაქვს მოყვარული, შენი ვიქნები,
უარვყოფ თავს და თვით შენ თავზე შემოგევლები.
წასვლა მე შენი ბორკილიდან თუ შემეძლება,
გულის ბორკილი მე საიდან გამომეცვლება?
მაკმარე ჯაფის ცხენით რბენა, წანწალი გზაში,
ხან მიწაზე ვარ დამჯდარი და ხან გულის წვაში.
ტაბილად მიღება იცი, ხალხი რომ გვიმზერს მაშინ,
მაგრამ ახლა კი შენ პასუხად ეს შხამი მასვი?
ჩემთვის ადვილი არის, რადგან ის გამოვსცადე,
ჯერთხეულ იყოს იგი, მე ეს ვის გამო ვსცადე!
ბევრ ნანგრევს, ვიცი, თვით მაგარი აქვს საფუძველი,

ბევრი წუხილი სიხარულის არის შემცველი.
ჯაი ბედს სხვისი შეწუხება არ მოასწავებს,
ნუ იქმ ავს ამღამ, ეს ღამე წელს არ გაათავებს.
გამითბე გული, რადგან სევდა მაწვება მწველი,
მე მსურს, რომ შენვე გამიქარვო ეს სატანჯველი.
სულ ფეხზე ვდგევარ ამის გამო, როგორც სანთელი,
ჩემსავით სხვებიც ეძებს სიტკბოს აურაცხელი.
ჩანს, სანთელის თვალს იმიტომ აქვს ცრემლი ამდენი,
რომ ის უტკბილეს ტუჩებზეა გადმონადენი.
რადა აქვს ჯვანძი შაქრის ლერწმის გულს განახირი? –
იმიტომ, რომ მას სიტკბოსთან აქვს დიდი ჯავშირი.
ნაყოფს ხურმისას ეკლით რატომ უჩხვლიტეს გული? –
მიტომ, რომ იგიც სიტკბოზეა შეყვარებული.
თუ ახლა ამ რძეს ჯარგი სიტკბო არ ჰქონებოდა,
მისი თვისებით თითონ ბავშვი ვერ დატკბებოდა.
ეჰ, საბრალონი, სიტკბოსთვის რომ ამდენს იღწვიან, –
შენ თვით ტკბილი ხარ და ისინიც ტკბილნი არიან

შირინის პასუხი ხოსროვს

პასუხად მთვარემ, დაფარულმა ძვირ ფარჩეულში,
შაქრის საყურე გაუყარა შაჰინშას ყურში.[377]
მარგალიტის ყუთს იაყუთის საკეტი ახსნა,
ხურმას მან ყანდი მისცა, ყანდს ჯი ბადაგი ასვა.[378]
უბრძანა მთვარეს მხედარივით გაიჭრას ველად,
და მუშაის თმები გახდნენ მისი სახის მფარველად.[379]
სარო თავის ტანს ასწავლიდა გზაზე გარებას,
აძლევდა ჯოჯორს სიმახვილეს, ვარდს – ელვარებას.
ჰატივისცემით საჯოცნელად თავს ძირსა ხრიდა,
გამომწვარ აგურს სურნელოვან ანბარს აყრიდა.[380]
როცა აღმართა მან ჯარავი შაჰის საქებად,
დაუწყო გულის მოსატაცი მახის დაგება.
ჯერ უთხრა: „ჰოი, ხარ ამ ქვეყნის მეფე რჩეული,
ქვეყნის თავზეა შენი დროშა ზე აწეული.
ჩინით რუმამდე უწევს შენი დიდი სახელი,
გმორჩილებს ყველა და ჯეისრის ხარ მბრძანებელი.
არა მარტოჯა ჩინის მეფე გემორჩილება,
არამედ მთელი დედამიწის ყველა ქმნილება.
ფალუდე, როცა ყვითელია, ეს იცი, მგონი,

იჭმება, როცა გაერევა ყანდი და ქონი,
მე ჯი სიმსუქნე, რაც გამაჩნდა, დავჯარგე მთელად,
მხოლოდ შირინი, სიტყბოსგვარი, შემრჩა სახელად.[381]
დიალ, რაც გავჩნდი მე ამ ქვეყნად თვალთ სახილველი,
გავხდი მე შენი სულისა და გულის მყიდველი.
მე სხვის საძებრალ არ გამიდგამს ფეხი ჩემ თავად,
არც შენი სახის გარდა მყავდა სხვა სალოცავად.
ვერ ვნახე შენში სურნელება სიყვარულისა,
თვინიერ შენი ქედმაღლური სიავგულისა.
არ არის რიგი, მე რომ ავყვე საჯუთარ ვნებას
და დავუჯეტო ჯარი სხვათა სურვილს და ნებას.
ეს რა გამოვა? – ავხორცობა და არა ტრფობა,
სადაა ტრფობა და შენ სად ხარ, სადა გაქვს გრძნობა?
მე, ვით ჰაიჯი, სპილოს გვერდზე თუ ვეტარები,
შენ შაჰი ხარ და მე ახლოს ვერ მოგეჯარები.[382]
მთის შველთან სტუმრად მინვდრის ლომი არ დაიშვება,
ბეღურას ხორცით მთის არწივი როგორ გაძღება?
შენ თუ სარო ხარ, მე ჯი – შენს წინ ფიჩხი გამხმარი,
ორთავე მაინც ერთი მიწით ვართ წარმომდგარი.
დაიწვებიან ერთ მაყალზე სეფანდიც, უდიც,
თუმცა სხვაობენ, ბოლი მაინც ორივეს უდის.[383]
მეფეს ეკუთვნის ჯარგი მწვადი მარილიანი,
ბუზი სპილოს ფეხს რალას აქნევს ის შავდღიანი?
მაგ შენი ენის გამო ცეცხლი უფრო ინთება,
მაგრამ აჯობებს, თუ მით ქვაბი არ დაიწვება.
ნიალვარივით შემოიჭერ თევზის გუბეში,
გსურს ყოველივე, რაც მოგხვდება, ჩაიგდო ხელში.
მსურს, შენს ნიალვარს რომ ავშორდე მე უეჭველად,
ამიტომ, გინდა – აქვე დარჩი, გინდ, წადი ხელად!
რად ესვრი ქამანდს მთვარის ციხეს თავგამოდებით,
თუ ჯი ზეცისკენ წასავალ გზას ვერ დაადგები?!
ცას ვერ ჩამოხსნი თვალთმაქცობით, ტყუილა უტევ,
ცრუ შელოცვებით მთვარეს გულში ვერ ჩაიხუტებ!
უხვრეტ მარგალიტს შენ გახვრეტა თუ დაუპირო,
ამ დროს ზღვას ყურში უნდა უთხრა სიტყვა საჭირო.
შენ ერმის ბაღში, ფუჭად ცდილობ, ვერ იწვნევ ნაყოფს,
თუკი დაგპირდი, ცუდად მითქვამს, იგი ვერ ნახო!
წყარო, ვარ, წყაროდ უკვდავების ვარ წოდებული,
შენ ჯი ცეცხლი ხარ, სიჭაბუკის ცეცხლმოდებული.

არა მსურს ახლა მე შერევა წყალის ცეცხლთანა,
რომ მით აღშფოთდეს უნებურად მთელი ქვეყანა.
უმჯობესია, სანამდე ვარ, ის მოვაგვარო,
რომ საალერსოდ არასოდეს არ გაგეჯარო.

წადი, შაქარზე, შენთვისა სჯობს, რომ ინადირო,
შირინის თაფლი აღარ არის შენთვის საჭირო.
შაქარის ჯოცნა როდი თქმულა, თუმცაა ტკბილი,
შაქარს ჯვნეტავენ, ნატეხებად ამსხვრევენ ჯბილით.
ხოლო შირინი თაფლი როა, არ იცი განა?
მისი ჯოცნაც და მოფერებაც ტკბილია თანაც.
შაქარის გამო ტკბილის ძრახვას ააღე ხელი,
ყასაბისაგან განსხვავდება ყასბის მქსოველი.
ორი მანქანა არის საქმის გამჯეთებელი,
ერთი ფარჩას ქსოვს, მეორეა ქვის გამტყორცნელი.[384]
შირინის მსურველს არ წაუვა შაქარზე ხელი,
შირინის ტუჩი თუა, შაქარს ვინ გაჯვნეტს ხელი?
შენ სიცხე გქონდა და შემცდარმა მხოლოდ ის ჰქენი,
წამლად შაქარის დაიყენე სასმელი წვენი.[385]
შაქარიც გინდა და შირინიც გყავდეს ერთჯერად,
ან მთვარეს მიჰყევ სანადიროდ, ან თევზს საჭერად.[386]
შირინისადმი შენი ლტოლვა გათავდა მთელად,
მოძებნე შენი შაქრისაჯენ გზა წასასვლელად.
მე ჩემი ჯიგრის სისხლი რომ მდის წვიმს მაგვარად,
მასთან ეს ჩემი სახეც უნდა ვიჯაწრო მარად.
შაჰის სიყვარულს ჩემი გული არ იზამს, არა,
ან სხვა მოყვარე გაიჩინე ჩემზე პატარა.
ჩემს მოსაგონრად, თუ შენ ეს არ დაგავიწყდება,
იმღერე ტკბილად, თუ ჩანგს სიმი არ გაუწყდება.
ცუდს ნურას ეტყვი ტყვეებს, – შაჰს არ შეეფერება.
და თუ ცუდს ეტყვი, ყველაფერი დაიწერება.
მწუხარებისგან დაიცავი შენ შენი გული
და ჯადოქრობაც არის უკვე აზრს მოკლებული.
რად უნდა შევსვა შენთან სისხლით ავსილი ჯამი,
რათა გავსუქდე, მერე ყასაბს ვაამო ამით![387]
თუ ვერ მოგეპყარ ისე, როგორც წესია, რიგი,
ჰგიეს უფალი და ამ ცოდვას შემინდობს იგი.
მე ამ დაქცეულ უდაბნოში დავჯდები მარტო
და მთელ ქვეყანას მოწოდებით უნდა მივმართო:
აჰა, ფარვიზმა თვის შირინთან რა მოაგვარა,

სატრფო აქ არის, მან ნესარი სად გადაყარა!
ისიც მეყოფა, ერთხელ რომ ვარ მახის მნახველი,
დავჯარგე ჩემი ღირსება და ჩემი სახელი!
რადგან ჩემს სახელს ესოდენი ძრახი ედება,
ნაძრახ სახელის ჯარიმც მუდამ დაიკეტება!
ამ მოქმედებით ჩემს მეტოქეს ეყოს კეთილი
და საუნჯეც სჯობს, რომ ის იყოს ჯარდაკეტილი.
ეს ჩემი ყანდი ქვეყანაზე არის განთქმული,
მით ჩემს ციხეს აქვს წითელი ხის ჯარი აბმული.[388]
თუ მე ამ ჯარის გასაღებად არა მაქვს ხელი,
მე ძალმიძს შენთვის ჩემი თმისაგან დავწნა საბელი.
თუკი ჩავასხამ მე შენს ჯამში ღვინოს სასმელად,
ჩემი თმის თოკით ამოგიყვან ამ ბანზე ხელად.[389]
მაგრამ სხვა თოკით შეკრული გაქვს ფეხები როცა,
თოკზე თამაშიც არ იცი და მოგიწევს მოცდა!
მაინც ჯობია, რაც მე ვნახე შენს გულის დაღში,
ეს ჩემი ზეთი არ ამოვწვა მაგ შენს ჩირაღში.
ამ ჩემი დიდი გულის წყრომით რაც ვთქვი ახლა მე,
წავედი მე და კეთილ იყოს შენი დღე-ღამე!"

წარმოთქვა ეს და საროსავით წელში გასწორდა,
შუბლი შეიკრა, აიფოფხა და მყის გაშორდა,
და გაიბერტყა მტვერდაყრილი მან ფარჩეული,
აივსო მთელი ქვეყანა მის შაქრის სხეულით.
როგორც ლამაზებს ჩვევიათ ეს, ტანს მიარხევდა,
ნიკაპს აჩენდა კოპწიად და ხუჭუჭს იხვევდა.
მის სილამაზეს ფარჩეულში იგი ერთავად
გამოაჩენდა მთელი ქვეყნის შესახედავად.
ზოგჯერ ასკილზე იგი ფარჩის კაბას იცვამდა,
ხან წითელ ფარჩით ყურის ძირებს იგი იცავდა.
იგი ნაწნავთა ბინდში მყოფი შფოთვას იწყებდა,
ნასკვავდა ნაწნავს და მთვარეზე სურნელს იცხებდა.
ამდენს მორთვაში უკვე დიდი დრო გადიოდა,
თითქოს ხმლის პირზე დადიოდა, ფეხი სტკიოდა.
ფეხზე შესაბმელს ისწორებდა როდესაც ხალხალს,
ბორკილში მყოფებს უმატებდა წამებას ახალს.[390]
თმები ხან წელზე გაიკეთა, ხან ვით გვირგვინი,
ამ თმის გვირგვინმა იმ ხოსროვ შაჰს აღუძრა ჟინი.
წითელ ფარჩეულს რომ ახვევდა კისერზე მთვარეს,
ყელზე ქამანდი წამოაცვა მეფე მღელვარეს.

მოსახარშ ჰალვას შეუჯეთა მან ცეცხლი ნელი,
რადგან მას დასწვავს ცეცხლი, თუა ზედმეტად ცხელი.
როგორც ყოველთვის, რომ შვიდივე სილამაზის გზით
ის სახე ნაზმა გააჯეთა ამგვარ სინაზით,[391]
შაჰთან ჯეელუცად სხეული რომ შეატრიალა,
მისი ციალით თითქოს მზისგან ცა დაიცალა.
ამ მიმოხვრის დროს ტანზე თმები რომ ეხვეოდა,
გავა და თეძო მისი ვერცხლისწყალივით თრთოლდა.
და ნაწნავები, იმის ზურგზე რომა ტოკავდნენ.
შავი გველივით, შემხედვანი გულს იხეთქავდნენ.
ბროლის ჯისერზე ყელსაბამად რომ გაიხვევდა,
მუშაის ნაწნავებს გამუდმებით ათამაშებდა.
გული, იმ ყელის ეშხის გამო რომ ჰკლავდა სევდა!
თოკსა და ბაწარს დასახრჩობად ყელზე იხვევდა.
დასტოვა სახლის ბანის ჯუთხე იმ მშვენიერმა,
და მოისვენა შაჰისაგან გულდამსვენმა.
ბევრი ეხვენა და ეღმერთა ხელმწიფე ქველი,
რომ ისევ უკან მოსულიყო გულმომხიბვლელი.
დაჯდა, მარგალიტს ნარგიზიდან იგი აფრქვევდა.
თავისი ცრემლით მთელ ქვეყანას ცეცხლში ურევდა.
ყოველგვარ ხერხსა, მოეტცა მას გული მისი,
ხმარობდა იგი ჯადოქარი, ცბიერად ისიც.
ეშმაკმა სატრფომ თუ იხმარა თვისი ფანდები,
ვინც უნდა იყო, მისი ბანდებში გაიბლანდები!

ხოსროვის პასუხი შირინს

რომ ნახა მეფემ იმ ზომამდე მისული ქალი,
დაჰყარა ამის გამო იმან ბრძოლის ფარხმალი.
შირინის მიმართ საყვეურები გულს ჩაიმარხა,
ტკბილების მიმართ საყვედური ვით განიზრახა?
მიმართა შირინს: „ჰოი ჩემო თვალის ნათელო,
ფასკუნჯო ჩემო, ფარშევანგო, ბაღის ფრინველო!
გვირგვინო ჩემო და გვირგვინო ტახტის მფლობელო,
წამქცევო ჩემო, თანაც ხელით ამყენებელო!
შენით მაქვს ტრფობა და ეს გული შენ გემონება,
შენით ვგიჟდები და შენით მაქვს ჭკუა-გონება.
არ მყავს შენს გარდა ჩემი ბარგის საწყობ-სადგომი,
არც სხვა გვირგვინი, რომ იქ მექნეს ტახტი საჯდომი.

ვწუხვარ, რომ ჩემგან მწუხარება შენც განიცადე,
ეს ჩემი სისხლი შენ სატვირთოდ რად გაიხადე?
ესოდენ გვიან რომ მაღირსე აქ მოსვლით თავი,
ნუ მომჯლავ ბარემ, ნუ მარგუნე იღბალი ავი!
ნებროთისათვის იმ გლეხკაცსა ხომ უთქვამს ესე:
„გვიან მოკალი კაცი, მაგრამ ადრე კი თესე!“[392]
რაც გინდა ჰქენი: ან შემინდე, ანდა მომკალი,
გინდა ზეიმი გარდიხადე, გინდა – ყორბანი.[393]
ნუ ინაზები, ავნებს საქმეს ეგ შენი განცდა,
მომიალერსე, ეგ სინაზე საზღვარს გადასცდა.
უიმედობით ჩემ გულს მეტად ნუღარ გასტეხავ,
შენი თმებივით ნიშატს ჩემსას ნუღარ გასწეწავ!
ტანჯვას განვიცდი და მაშველი არავინ არის,
შენ ხარ და შენშიც კი საშველი ჩემთვს არ არის.
მწუხარე მხოლოდ მწუხარესთან გახდება წყვილად,
ერთს ბედში მყოფი ტოლი იტყვის თვის დარდს ადვილად.
გულგახარებულს დარდი აღარ გაემხილება,
ორ სხვადასხვა გვარს თანხმობა არ ეადვილება.
ჩამოიხსენი რომ ჭრიჭინებს ეგ მეტი ბარგი
და თავისუფლად ამოიღე სუნთქვა სავარგი.
ქვეყანას, როგორც მე და შენ ვართ, ჰყავდა ბევრგვარი,
ჩვენც ის მოგველის, ვით დაედოს ყველას საზღვარი.
ამ დარბაზიდან, რომ აქვს დიდი თავი და ძირი,
ნუ იგვიანებ, სჯობს, რომ დროით იბრუნო პირი.
ნუ მეცრეები, მით მე გული გამეყინება,
აწ მომეფერე, გასცდა საზღვარს ეს მოთმინება.
ეს ჩემი საქმე მოაგვარე, სანამ დრო არის,
მოდი და ლხინით გამახარე, სანამ დრო არის!
ჯმარა, რაც წარბი ჩემთვის არ გაქვს შენ გაღებული,
ჩემს წასასვლელად უკვე გზაა გამზადებული.
ფერხარის ჯარის ფახფურისთვის გვეყოფა კეტვა,
მულიანს რისთვის დავუკეტოთ ჯარები ნეტა![394]
რად გახდი ეგრე ამქვეყნიურ სევდის მორჩილად?
განდევნე სევდა, მოვიდა დრო, იცხოვრე ტკბილად!
ღრუბლიან დღეში სევდასა აქვს თვისი ადგილი,
შენ მოილხინე, რადგან ახლა მზე არის თბილი.
ღამის შეტევით დამარცხებას რამდენს განიცდი,
საყვედურსა და დატყვევებას რამდენს განიცდი?
არც ბრძენი არის ის კაცი და არც გამოცდილი,

შერიგების დროს ვისაცა აქვს ბრძოლის წადილი.
ჭკვიანი კაცი როცა იბრძვის, ესეც აქვს წესად,
შერიგებისთვის ადგილს ტოვებს, იცოდე ესა!
ამნაირ ომში მშვიდობას ნუ დაერიდები,
დამშვიდდი დროით, სანამდისინ ასე ინთები?
მეგობრის პირზე სამეჯლისო აანთე ალი,
რომ გაგინათლდეს შენი დღე და ეგ შენი თვალი.

მოვედი ბაღში, ვურიფო ხილი და გავიხარო,
ეჯალ-ბალახი სახელოში არ ჩამიყარო.
თვალი და ტუჩი ამ ბაღით მაქვს გახარებული,
ხან შაქარი მაქვს ხელსაწვდენი, ხან – ნუშის გული.[395]
ამ ბაღში რომ ვარ, მოდი, ნება მომეცი ერთი,
ვსინჯო თურინჯის ღაბაბი და ნარინჯის მკერდი.
რად გინდა შუბი და ისარი სასაყვედურო
არ არის ომი დაწყებული საუბედურო!
ჰოი, შენ შველო, არ შეგშვენის ომის გაწევა,
დაუთმე მხეცებს ისევ შენი ვეფხური ქცევა.
სიამაყის და სინაზიდან ჩამოდი ქვევით,
შენს მსხვერპლს ამნაირ გულქვაობით ნუ მოექცევი!
შენი სინაზის თუმც კაკაბი ლამაზი არის,
მაგრამ შაჰი და შევარდენი საფარში არის.
დაბოლოს, მაინც ჩემს დაცემულს გულზე დაეცე,
ხელთ ჩამივარდე. ჰა, ნაზობას, მოდი, დაეხსენ!
მაგ შენს ხალთან და ხუჭუჭებთან მინდა თამაში,
რადგან ყოველ ღამ არიან თვით ჩემს ოცნებაში.
ნეტა რა მოხდა, ეს საქმე რომ ამგვარად მოხდა?
ასე, ამნაირ უბედურად ჩემ ბედს რომ მოხვდა!
გულში შენ ჩემი თანაგრძნობა წრფელი არა გაქვს,
არც მეგობრული რამ ერთობა ძველი არა გაქვს.
თვისი ნაბადის გამოთრევა წყალიდან გარეთ
ყოველ კაცს ძალუძს, მეგობარო, რატომ იჩქარე!
თუ შორსა გხედავ ჩემთან ერთად თანამსუნთქველად,
გზა ახლოს არის ჩემთვის შენგან გასაბრუნებლად.
თუ გსურს ჩემდამი ანგარიში შენ ახალ წესად,
ჩვენი მოკლე გზა გააკეთე შენ უმოკლესად.
გახსენი კვანძი წარბებისა ახალი მთვარის,
დასცალე სახლი იმ განძისა, ჩემთვის რაც არის.
თუ არ გსურს, ახლა მე შენს სახლში რომ შემოვიდე,
მშვიდობით იყავ, გზა წინ მიდევს და წავალ კიდეც!

რომელი გზიდან მოვედი, ჯვლავ იმ გზას ვეწევი,
როგორც აქამდე ვუარავდი ჩანგს, ისე ვიქცევი.
მე ამ საქმეში დავწყებას ჯვლავ მივეცემი,
სხვა მერქიფესთან დაიწყება სიმთვრალე ჩემი.
სხვანაირ სასმელს ჯულაბისას მე შევსვამ ჯამით,
სხვანაირ ჭალვის სიტყბოს ვნახავ, დავტკბები ამით.
შირინის ტრფობას მე ხელახლა გადავეჩვევი
და ისევ შაქარს ორივ ხელით გადავეხვევი.
მე მასთან ერთად მწარე ღვინოს შევსვამ და ჯმარა,
ყურს და ვათხოვებ მე შირინის სიმწარეს, არა!
ჯვლავ მობრუნების ამჟამად აქვს ჩემ გულს საშველი,
მორჩა, გათავდა, მეჩქარება, გზა მიდევს გრძელი".

შირინის პასუხი ხოსროვს

ასგავსმა ხალოხის ქალებისა აიდგა ენა,
აყოცა მიწას ჯერ და მერე შაჰს მოახსენა:
„დე, იყავ მარად, ჭოი მეფევ, დიდებით სრული,
ბატონი ქვეყნის და აგრეთვე ბედით მორჭმული!
ნუ ქნას, უშენოდ შვიდი მხარე სხივმა დაფაროს,
ბოროტმა თვალმა შენს ქვეყანას რომ გაუაროს!
ათასი შაჰი იყოს მარად შენი მორჩილი,
ათასი წელი შაჰობაში გექნეს განვლილი.
ვინც შესვას ღვინო და სახელი შენი ახსენოს,
თუნდაც მე ვიყო, შენს გულმკერდზე მან მოისვენოს!
ჯმარა ამდენი შაქრისგვარი შხამის გასროლა
(მოჯადოებულს რალად უნდა ზღაპრის მოყოლა)!
სიტყვები ჯადოშენარევი სხვადასხვა გვარის
და ეგ ამბავი უთავბოლო ამტეხი ქარის;
მაგ ოქროს ქოლგით მოსვლა განგებ აქ სანადიროდ,
შირინის ჯოშჯზე მოწყალებაც მისთვის საჭიროდ!
არ ეჯადრება ფადიშაჰს ეგ ბოროტი ჯბენა,
მწარე დაცინვით დაჩაგრულის ეგრე შერცხვენა.
რომ სანადიროდ გახელება ძაღლს დაუპირო,
იმ გახელებით უძლურ შველზე გაინადირო.
განძი ვარ, მიწით არ შეჭმულა ჩემი ბეჭედი,
არ მსურს, ეს განძი სხვისი ძალით რომ გავსცე მეტი.
შენ ამნაირი ჯადოქრობა მრავალი იცი
და ტყბილ ზღაპრების შენ მოთხრობა მრავალი იცი.

ამგვარი ქცევა ჩემმა გულმა რა შეიფერა,
ტირიფი ყვავილს იძლევა და ნაყოფს ჯი ვერა.
შენ მდინარე ხარ და არ ვიცი, სადა გაქვს ფონი
და საიდუმლოც გულში რა გაქვს, არ ვიცი, მგონი.
მე აუზი ვარ, ჩემი წყალი მოსჩანს აშკარად,
ის რაც გულში მაქვს, ჩემს ენაზე გადმოდის მარად.
ვისაც ზღვასავით ანგარებით სავსე აქვს გული,
სადაფის ჯბილი იმას გულში აქვს დაფარული.
რაო, რა მოგწონს, რომ არ გატება ბანზე შირინი
და ტუბილი სიტყვებით ვერ დაგიცხრო შირინმა ჟინი?
ეგ დაშაქრული ვით ვისმინო ნათქვამი მშვიდად,
მე თვითონ თაფლი და შაქარი მაქვს გასაყიდად!
მე შენს დაბასრულ ენასა ვცნობ, სხვას ჯი ვერაფერს,
დამწვი ჯიგარი და წვასა ვგრძნობ, სხვას ჯი ვერაფერს.
მაგ ტახტ-გვირგვინზე შენს ლაპარაკს მორჩები როდის,
არ იცი ჯარგად სიტყვის თქმა და მწარე გამოგდის.
ყოველ ჯაცს თავის ჰირის ღრუში ვეშაპი უზის,
მაგრამ ვეშაპი ავი ფიქრის განზრახვას უცდის.
სიტყვას არ გეტყვი მე შენ, სანამ მას არ ავწონი,
ნუ მეტყვი შენც, რომ იქნეს ჩემთვის გულდასაღონი.
ამ ჩვენს საქმეებს უჩანთ ისევ დიდი ხნის ჯვალი,
მე ხელში სარჯე მიჯავია, ხოლო შენ – ხმალი.[396]
სიავჯარგეში სიტყვასა აქვს მრავალი ფერი,
ავ-ჯარგის შუა დაიტევა თმის ერთი ღერი.
ამ ქუჯაოში ამო გულით ეგების ჯდომა,
სულ ცუდს ნუ ხედავ, ჯარგსაც უნდა დანახვა ხომა!
ჯაცის სახელი და სირცხვილი გავს ქვას და თავსა,
ფრთხილად, ქვას შუშას ნუ დაარტყამ, საქმეს იქმ ავსა!
რამდენი სიტყვა გითქვამს, ცუდად მონაფიქრალი,
ჩანს, მთვრალი იყავ, თანაც სიტყვა იყო დამთვრალი.
სიტყვა თუკი ის ბრძენის ჰირით გამოითქმება,
თუნდ ეწერიდან იყოს, მაინც მაღლა დადგება.
სიტყვის მეტყველი თუ ამაოდ სიტყვას არ იტყვის,
თუნდ ცუდის გარდა არარა თქვას, ცუდად არ იტყვის.
სიტყვა გაზომვით უნდა ითქვას, თუ შეიძლება,
ზედმეტი სიტყვა ვირის ტვირთად მხოლოდ ითვლება.
ერთსაც ასიდან, რასაც ახლა შენ მეუბნები,
ჯარის ადგილზე ვერ იტყვიან მუსიჯოსები.
თუ გსურს სევდასთან თავხედობით რამე იღონო,

მითხარი შენ, რომ სათითაოდ მეც გავიგონო.
თუ გსურს, ერთი რამ დავალება მე შეგინახო,
შენ შეგიძლია მისებრ ასი სხვა განიზრახო.
და საპატარძლო, როგორც მე ვარ, შენ გაგიწირავს,
შემდეგ ქვეყნის სხვა დედოფალზე თვალი გიჭირავს.
ხედავ, ცრემლების მარგალიტით ვარ გახვეული,
ჩემი ყურების მარგალიტზე ნუ გერჩის გული!
ნახე ეს „ვაი" ჩემი ამბის რისი მსგავსია,
რომ ყელსაბამი ჩემი ამბრის სისხლით სავსეა.
ეს ჩემი ტუჩი ბროწეულს ჰგავს, დახე – რა იყო!
ეს ბროწეული ბოსტანიდან ქურდმა წაიღო.
ჩემი ხელის თხილს ძალგიძს დაჰკრა შენ ქვა მაგარი,
მაგრამ ჩემს ტუჩებს ვერ მისწვდები, თუმცა აქ არი.
მშვენიერი ვარ, მაგრამ ყუთში ვარ დამწყვდეული,
მაგრამ ამ ყოფნით დიდ სიწმნდეს ვარ მიღწეული.
ნუ ითავხედებ და ჩემ თვალებს ააღე ხელი,
რადგან ამ ყოველ თვალის ციმციმს დანა აქვს მჭრელი.
ყოველი ბეწვი, ამ ჩემს თმებში როა ჩაწნული,
მის გვერდით შავი გველი არის ჩაძინებული.[397]
ვერ დაამდება ჩემთან შენი სულისკვეთება.
ცეცხლით ყინული, როგორ ფიქრობ, განა ენთება!
ამაოდ ცდილობ, ვერ დავებმე მე ასეთ მახეს,
რომელი ვნებას აყოლილი ქალი მე მნახე!
ეგ შენი გული, აცდენილი რომ არის გზასა,
ზარი შეაბი, დაგეკარგოს, იცოდე არსად!
არ დაგინახავს, აქლემებს რომ ჰკიდიათ ზარი? –
მით ქარავანი მისაგნებად ადვილი არი.
დილიდან, სანამ ქარავანი არ გაჩერდება,
ზარის წკარუნი საღამომდე აღარ შეწყდება.
გზამცდარს ნასროლიც უშედეგოდ ეკარგებოდა,
წითურს ესროდი და ჭრელ ცხენსა იგი ხვდებოდა.
შენს მერანს ვითომც ინდოეთში მიაჭენებდი,
გზას გადამცდარი, ბაბილონში მიხვედ ჭენებით.
ხღვისკენ ილტვოდი და დაგირჩა მდინარის წყალი,
შენ ვარდსა ჰკრეფდი და გამოდგა ლალი ცოცხალი.
როცა შენ მაგ შენს მეგობრობას შირინს დაჰპირდი,
ამ დროს მეგობრად უცხო შაქარს დაუკავშირდი.
შენ მე მეტრფოდი და ჩემს გარდა სხვაც გყავდა ერთი,
შენ მასთან იყავ და ჩემთანაც კავშირს იჭერდი.

ნულარ იქნები ტანჯვა-სევდის ან მიმდევარი,
რომ არ დაგჭირდეს როგორც წინათ, ჯვნესა და ზარი.
[შენი ცხოვრების გალავანის ჯარის დაჯეტვით,
შეცდომითა ვთქვი, შენი საქმის ჯარის დაჯეტვით;
რამე შემთხვევით ზღვის გასაცვდელს თუ შეეყარო,
სჯობს, რომ გემიდან მეტი ბარგი წყალში ჩაყარო.]
წა, დაივიწყე ის, ვინც არის სოფლით დევნილი,
ანებე თავი, ვინც ჯი არის სოფლად შთენილი.
ვინაც ჰგავს ობოლს, რომ არ იცის დედა და მამა,
მონატრებია, მოშიებულს საჭმლისა ჭამა.
ვინაც ჰგავს ტულსა გამომწყვდეულს ნაპრალში, მიცნობ? –
შიგ რომ თაგვი ჯუდს ვერ მოიქნევს, ისეა ვიწრო.
შენგან მე ჯარგი არ მინახავს ახლო წარსულში
და საყვედურის ისარი ჯი მხვდებოდა გულში.
ამ ჩემს საჯანში შემატოვე ჯვნესა-სიმწარეს,
სხვა ქვაც დამადე, – ბარემ მექცეს იგი სამარედ!
როცა იქნება ზევით-ქვევით ქვა თითონ ქვაზე,
დაიფარება მით ყოველივე სირცხვილი ასე.
ასე მგონია, ჩემო მწველო მიჯნურო, თვითონ,
რომ შაბდიზიდან გადმოვვარდი, ძვირფასო, ვითომ.
ჰქენ ვაჟკაცობა, დამიხსენი მე ამ ტვირთიდან,
მეყო, რაც გმონე, მომაშორე ეჯალი გზიდან.
სანამდე გინდა, უმადური რომ იყო ასე,
სანამ სვამ ჩემგან შარბათს და შხამს მე სანამ მასმევ!
ჯმარა, რაც შენგან გადავიქეცი მე აქ არარად
შენთვის სახლჯარის მიტოვებაც მეყოფა, ჯმარა!
მე სწორედ იმ დღეს გამიფუჭე შენ ხასიათი,
როცა შირინი მიატოვე და რუმში წადი.
მე უმწეო ვარ და მადაინს რით გადაწყდება,
თუ რას მოიტანს აწი ჩემი ბედის განგება?
შენ გინდა, ვისაც შენსავით აქვს ქედი მაღალი,
როდი შეგფერის ვინც ჩემსავით არის საწყალი!
ჭა იქ გასთხარე, სადაც უხვად ამოვა წყალი,
ძარღვი იქ გასჭერ, სად სისხლია გამოსავალი.[398]
აჯი შენ ტრფობის საფუძველი ქარს გაატანე,
რაო, ახალი საძირკველი ამოიყვანე?
შენს ახალ ნაბადს თუკი სითბო აღარ ექნება,
რომ დაძველდება, სითბო როგორ მოემატება?
სინორჩეშივე ხეს რომ კუზი გამოაჩნდება,

სიბერის დროს ხომ იგი აღარ გაუსწორდება.
გადმოსდგი ბიჯი და იმით შენ გული იტკინე,
ჯარგი ჰქმენი და დიდებაცობა გამოიჩინე,
მაგრამ ეს ღამე საქმის ღამედ არ გამოდგება,
იმედის ყუთი ამით ახლა არ გაიღება.
ჯერ ქვაბში ჯერძი სათანადოდ არ მოხარშულა,
ჰალვის მზადება ჯერ კიდევ არ გათავებულა.
წადი, ამ ღამით შენს სურვილზე აიღე ხელი,
არ მიიღება სტუმრად მთვრალი და ღვინით ხელი!
თუკი დრო მოვა და ეს საქმე დადგება სწორედ,
მე შემიძლია მოგიწვიო სტუმრად მეორედ.
ქვეყნად ყველაფერს თავისი დრო აქვს განსაზღვრული,
ყოველ საგანძურს თავის კლიტე აქვს მორგებული.
დახე, ფრინველმა უდროოდ რომ წამოიყვირა,
ფრთის გაშლის უმალ იმან თავის თავი გასწირა".

ხოსროვის პასუხი შირინს

ნახა ხოსროვმა სატრფო ესდენ პატივმოყვარედ,
რომ ამის შემდეგ იგი თავს არ გამოჰყოფს გარეთ.
თავის განზრახვა ჯადოქრულად მან შეანელა,
ჯადოს წაღებით ბაბილონში ვის რა ეშველა?[399]
ვედრებით უთხრა: „ჰოი, ჩემო სიცოცხლის მცველო,
ჩირაღო ჩემი თვალისავ და სულის სანთელო!
ჩემო ბედოვ და სიყმაწვილევ ჩემი ბედისა,
სულო გულსავ და სიცოცხლევ შენ იმედისავ!
საწუთროსავით ჩემ გულს სანამ უნდა ებრძოლო,
დაე, ნუ გულით, მეალერსე ოღონდაც მხოლოდ!
მაგ სიკეკლუცით სიხალისე მიჯნურს აჩვენე,
გარდაცვლილს მაინც მიეც შვება და მოასვენე!
ვერ ხედავ შენს ნაკლს და მიზეზებს არა საქებსა,
რამდენჯერ იტყვი ჩემს შესახებ ცუდ არაკებსა?
ვით ბრმა, რომელიც ვერა ხედავს სიბრმავეს თვისას
სხვის ნაკლს ჩამოთვლის და გაკიცხავს ამით სხვას ისა.
მაგ ლალებიდან გადიყარე ეგ ქვები გარეთ,
ძირს დავარდნილ კაცს ქვას ნუ უშენ, ტანჯვა აკმარე![400]
მაგ ტანჯვისაგან განმიმზადე დალუპვა სრული,
ყოჩაღ, შირინო, როგორ კარგად ამართვი სული!
ღამე მოვიდა, მოდის თოვლი, ვით ვერცხლისწყალი,

შენ ყინულს ჰირი შეაქციე, ვით ცეცხლის ალი.[401]
ნუ იქმ, ამაღამ მაძაგძაგო ამ თოვლში მწყრალმა,
იქნებ ეს თოვლი ერთ დღეს ისევ შეცვალოს წყალმა!
ჯარი გამიღე, აქ ამეღამ ნუ მაჯანჯალებ,
რომ შენი ჯარის მტვერს ვაჯოცო, ციურო, მალე.
მუხლებმოხრილი შენს წინაშე მე გავჩერდები,
თვალს ავიჯერავ და შენს ჯარებს მივაცქერდები.
დე, იყოს იგი შენს ბინაზე სწორედ შესული,
ვინაც წამოვა შენს სახლისკენ თვალდახუჭული!
ის მეგობარი ჩასთვალე შენ უეჭველ მტერად,
ჭუჭრუტანიდან ვინაც ჩუმად დაგიწყებს მზერას.
იმასთან არის მეგობრობა შესაძლებელი,
ვისაც ჰსურს შენთვის სიმდიდრე და სხვა საქონელი.
მოყვარე თუკი შენს მოძულედ გადაიქცევა,
მინას მიეცი იგი, მიწით თუ დაიძლევა!
ნუ იზამ, სულო, სისხლით ყელი რომ დამისველო,
შემსხენ მარყუჟი ყელზე და მით უნდა მიშველო!
სასჯელს მაყენებ და არ არის ესე საქნელი,
რად აქვს სამოთხეს ჯოჯოხეთის გვარი სასჯელი?
სამოთხის ხილი მოსაწყვეტი და მწიფე გაქვს და
არვის უნახავს იგი შენი სამოთხის გარდა.
გააღე ბარემ მაგ სასახლის სამოთხის ჯარი,
შენი ხის ხილი არ გახადო გადასაყარი.
ხილი მზად არის და მჭამელს ვერ უწვდება ხელი,
სიცოცხლის წყლთან დგას მწყურვალი მაკედონელი.[402]
ჯარი გამიღე და სიავის დაკეტე ჯარი,
ტრფობის ქამარი ძველებურად შემოიჯარი.
თუ რომ შესაძლო არ იქნება ჯარის გაღება,
ყარიბს ამ ღამით მაინც მიეც რაიმე შვება.
ჯემშიდის მიჰრაბს ეგ ჰირბადე ბარემ ახადე! –
არ ეჭირვება მზეს არასდროს ჰირზე ჰირბადე.[403]
მე თუ გავგიჟდი, ეს გონება შენ დამიბნიე,
შენგან ტრფიალით გახელებულს წამალი მიეც!
ლხენის საშველი ყოველგვარი შენს ხელში არი,
იაგუნდი და მუშკამბარი შენს ხელში არი.
თაფლივით ბაგე ჩემგანა გაქვს შორს დაჭერილი,
ჩემსკენ ენა გაქვს ფუტკრის ნემტრად წამოშვერილი.
ამ სიადვილის ნუ გჭირდება გაზვიადება,
ყარყუმისაგან ზღარბი ხომ არ დაიბადება!



ისე მოიქეც, როგორც ჩემს გულს სწადდეს და უნდეს,
შენი შეხედვით სიხარული ჯვლავ დამიბრუნდეს.
ჩემს ფეხს თუმც ბევრი მტვერი ჰქონდეს ზედ მოდებული,
შენი შეხედვით იშვებს მაინც ეს ჩემი გული.
თუ შენი გული ჩემი ტრფობით არ გამთელდება,
შემდეგ ამისი პატიება გამიძნელდება.
ხოსროვს ნუ უშენ ქვებს, არ არის ეს ჯარგი რიგი,
ფარჰადის მსგავსად ნუ ჩაქოლე შენ ქვებით იგი.
ვინც ჯი ზეცისჯენ მოინდომებს ქვების აგდებას,
იგი ამითი მიაყენებს თავის თავს ვნებას.
იცოდე, რაინდთ ვერ გადუხდი ვერაფერს ავად,
თავს გაუფრთხილდი, რომ არ იღრძო ჯისერი თავად.
ტრფობას მიჰყევი ისე, სხვები რომ აღიძვრიან,
ნუ მიცუღლუტებ, როგორც სხვები ჯოჭს აისვრიან.
ყველა მიჯნური, რომ შეხვდები, მთვრალი არ არის,
ყველა ის, გზაზე რომ დაეცა, ბრალი არ არის.
ხან მირიგდები და ხან ჩემთან ბრძოლას ეწევი,
ჯეთილი მოგცეს ღმერთმა ამგვარ ორჰირი ქცევით!
ან თეთრი იყავ და ან შავი გერქვას სახელად,
გველთევზა ვეღარ გადიქცევა თევზად და გველად.
ზნეფიცხი გახდი და არ ვიცი რა მიზეზია?
იქნებ მიჯნურთა ხასიათი წესი ესეა.
გასაჩუმებლად რამდენსაც მეტს მაყენებ ტანჯვას,
უფრო მეტს ვყვირი, ზღვის ღელვას და ზღვის ხმაურს ვხარჯავ.
შენ „წინ, – რომ გეტყვი, – ჰე იჩქარე, ეგრე ნუ ზიხარ",
ძაფის მხვეველი შეგირდივით უკან მიდიხარ.[404]
ნუ მიზამ იმას, ნუ მაყენებ გულზე იარას,
ეს გული არის, ფოლადი და ლოდი ჯი არა.
გამხადე ჩემი მტრის გულისა ჩემ სამწუხაროდ,
ცუდი საქმეა ასე მტრობა, ეჰ, მეგობაროს!
მომეცი ერთი სწორი აღთქმა ჩემ სიცოცხლეში,
ამდენ სიგლახეს ნუ ჩაიდენ ამ ჩემს საქმეში.
მტრის სამწუხაროდ ცოტა მაინც მე მომეფერე,
ჩუმად დაიწვი და ცხადად ჯი წამოიმღერე.
მარილის დაყრით მლაშე უკეთ არ მოგვარდება,
თუ დაამლაშე ტკბილიც მალე გაგიმწარდება.
ქონი უქენი, შენს სიტკბოს ის ემეგობრება,
სიტკბო და ცხიმი ერთურთს ჯარგად შეეფერება.
მე შენ ღრუბელში გეძებე, ვით მთვარის ნათელი,

გიპოვნე ახლა მხოლოდ, როგორც უწყლო ღრუბელი.
მანათობელი მთელი ქვეყნის ლამპარი იყავ,
როცა ჩემს ხელში მოხვედი შენ, დამწვარი იყავ.
შორით გხედავდი, ვარდი იყავ გულის მომჯელელი,
ახლო რომ მოხველ, ცეცხლი იყავ ცხელი, დამწველი.
საყვედური თუ საზღვარს გასცდა, რისხვად იქცევა,
მიწა რომ მეტად გამაგრდება, ის ქვად იქცევა.
ყველა მახვილი ერთნაირი იქნება განა,
ჯაცის თითები სიგრძით განა ერთმანეთს გვანან?
მე შემიძლია, რომ აქედან ჩემთვის გავწიო,
შენ მიგატოვო, მეგობარი სხვა მივიძიო.
მოვალეობას ჩემსას მაინც ვეღარ ვშორდები
და ძველ წარსულის ჯავშირისჯენ ჯვლავ ვიხედები".

შირინის პასუხი ხოსროვს

შირინიმა თავის ტუჩებს მისცა ნება ნამდვილი,
რომ ლაპარაკში გაურიოს მან ტკბილი ხილი.
ლალს და მარგალიტს ერთმანეთში იგი ურევდა,
ლალსა ჰკინძავდა და მარგალიტს მიმოაბნევდა.
უთხრა: „შაჰი ხარ ბედნიერი, ბედით შობილი,
შენ თვით ტახტითა და გვირგვინით ხარ შემკობილი.
შენს ძლიერებას მონებს შენი ავის მდომელი,
შენს ალამს ფეხი ჰქონდეს მაგრად და მახვილს – ხელი!
ეს შენით არის ქვეყანას რომ უელავს ჯაბა,
შენს მკლავს საწუთროს მშვიდლი როგორ გაუძლებს აბა!
იყოს მოყვარე ბედი და ჯვლავ უყვარდე უფრო,
გფარავდეს მარად ავისაგან თვითონ საწუთრო!"
ამის შემდეგ ჯი ვულჯანივით იგი გაცხარდა,
„ჰოი, ამაყო წინამძღოლო, – ხოსროვს მიმართა, –
შაჰი ხარ შენ და შაჰს ყოველთვის აღძრული ტრფობა
სინამდვილეში გამოუდის ვით თვალთმაქცობა.
მიჯნურს მის გარდა სხვაზე ალარ უცემდეს გული,
თუ ჯი ამ ქვეყნად ჰყავს წინასწარ შეყვარებული.
მას ცილს ნუ მწამებ მე, ფარჰადი რომ შევიყვარე,
ახსენე ჯარგად ის ყარიბი საფლავს მდებარე!
ჩემთან ფარჰადის სიყვარული ძლიერად ასე
ძმურ სიყვარულად ჩაითვლება იმ ქვეყანაზე.
ერთი საათი ჩემი ნახვის დრო არ ჰქონია,

შირინისაგან ხმის მეტი არ გაუგონია.
იმდენ სიმწარით შირინისგან იმას რომ ჰქონდა,
ვითარცა უდი, იგი მაინც ტკბილად იწვოდა.
მისგან ათასი გულისწვა მე გულს ჩამრჩენია,
შენგან ერთ დღესაც იმისგვარი არა მსმენია.
ჩემთვის ეჯალი, ვარდი თუა მასზე გაშლილი
სჯობს იმ საროს ხეს, უნაყოფოდ როა გაზრდილი.
რჯინის ჯირთები მირჩევნია (ვზიდავ ადვილად),
ვიდრე ქამარით ოქროს, თუ მან სისხლი მადინა.
სპილენძი, რითაც მე სახელურს გამიჯეთებენ,
ვერცხლს მირჩევნია, შიგ ხელში რომ გამიტარებენ.
ჭრაქი, რომელიც ჩემ ბნელ ღამეს მე გამინათებს,
სჯობია სანთელს, რომელიც მე დამიწვავს ნივთებს.
ხამს, მიჯნურს ზღვისებრ ურეგვავდეს გულს მუდამ ქვანი,
მაგრამ მე რა ვქნა, გულს რომ მაწევს ვით მთანი, ქანი!
დავრჩი საჯანში, როგორც არის ამ ქვაში რჯინა,
დამეხშო გული, მეგობარიც მყავს არავინა.
გულით მწუხარეს თუ თანა სდევს ხელმოკლეობა,
ეს ისეთია, გიჟმა იწყოს მემთვრალეობა!
მთვრალი ვარ ჯაცი და, რა მიკვირს, გიჟი ვარ თანაც,
ასეთი ჯაცის მეგობრობა იქნება განა?
მოდი და ხაზი გადამისვი, ძვირფასო, ბარემ,
და თუ არა სულ ამდენი ჯიცხვა მაკმარე!
ერთ იგავს გეტყვი: რომ მოვარდა ძლიერი ქარი,
შენი ბაღიდან გაიტაცა ფოთოლი მჭკნარი,
მე ტანჯვის ღვარმა სულ ჯარდაჯარ დღემდე მატარა,
ან შენც აიკარ შენი ბარგი და გასწი ჩქარა!
მე ცეცხლში ვიწვი და არ ვიცი, საით წავიდე,
მნახე, აიღე მაგალითი და განმერიდე.
შეხედე, როგორ ქაფურივით ქცეულა ჰავა,
ან ჩვენი ვნებაც თუ გაცივდა, წინ საქმე წავა?[405]
თუკი ღრუბელი ავისმდომი მარილს აწვიმებს,
ააღე ხელი შირინს, თორემ ის დაგამძიმებს!
ღამის მოყვარე რატომა ხარ ღამურის დარად,
მზის შევარდენად დღე იარო, საქმედ არ ყმარა?!
მორჩნენ ზღაპრები, ჩემგან რომ გაქვს შენ გაგონილი,
გათავდა ტრფობა შენ რომ გქონდა თვალგაწონილი.
არ დაგებედა მისგან ერთი „შაირის" ქონაც
და არაბული თუ არ იცი: თვით ქრთილის წონა.

ის თურქი არ ვარ, არაბული რომ არ ვიცოდე,
საქმის წახდენა, თუ მსურს გულით, რომ არ ვიცოდე.[406]
ზეცას დაცინვის სახლი ჩემთვის აქვს მოცემული,
საქმის წახდენა ჩემი თმებით მაქვს დაწყებული.
გული ჩიტად რომ გადაგეგცეს, ფრთა არ გექნება,
სუნთქვა თუნდ მთელი დილის გექნეს, არას გერგება.
ათასი ლოცვა აღავლინო, არა და არა,
არ გეახლები, შაქარი გყავს და იგიც ყმარა!
და შენ თუ ერთ დროს ერთ შუბს სცემდი, ტრფიალით ხელი,
ახლა ორ მახვილს ერთად იქნევ ორივე ხელით.
შენ მე ნაჯახსა მცემდი, როცა არ გქონდა ტახტი,
ახლა შუბსა მცემ, როცა დიდი ხელმწიფე გახდი?
წადი, ვერასგზით ამ ადგილზე ვეღარ მოხვდები,
იტირებ, მაინც შენ ჩემს გულში ვერ მოთავსდები.
იშოვნე, რაც გსურს ძალადობით და სითავხედით,
ვერ შესჭამ მეტს, რაც მოცემული არა გაქვს ბედით.
გულში ჩაიყალ შენი ბოღმა, ეგრე ნუ ყვირი,
აქ ნუ თვალთმაქცობ, ნუ დააღე ყვირილით პირი!
ალალი სჭამე, ვით მიმინო სჭამს ნადირს ველში,
ნუ იქმ, სვავივით რომ შესჭამო დამპალი ლეში.
შირინს იმიტომ მიწოდებენ მუდამ სახელად,
რომ მეტად ტკბილი საქციელი მაქვს უეჭველად.
ერთს თუ ჯამიდან ავატირებ მჟავე სასმელით,
ერთსაც ვაამებ, როგორც ჩემი ტკბილი სახელი.
მე გოლაბი ვარ, თუ დამჟავდი რა დაშავდება?
გოლაბი ის სჯობს, მცირედ მაინც თუ დამჟავდება.
მე სახიფათო ნაბიდი ვარ, ამაღე ხელი,
დამლევ თუ არა, მთელი წელი იქნები ხელი.
ჩემი სახელი ტკბილი არის, ხომ იცი, ჯერეთ,
თუ მწარეს ვიტყვი, რა მოხდება, რა ვუყოთ მერე!
ორ სიტკბოს ერთად არ ექნება სინაზე სრული,
ხურმა ჯერჯით სჯობს სჭამო, ხოლო ჯაჯალი – გულით.
მე თუ ვდიდგულობ, ეს ზღარბობა ჩემი არ არი,
ბევრ რბილ რამეს აქვს თავის თავად ძირი მაგარი!
განძი ქვაშია, ხურმა არის ეკლით მოცული,
ყოველ ნანგრევებში განძი არის ღრმად დამარხული.
შენს მოთმინებას შენ თვითონ გზა უნდა აჩვენო,
არა იმდენად, რომ ზიანი თავს მიაყენო.
გონიერად თქვა იმ სწავლულმა მისი იგავი,

რომელსაც ზეცის საქმის მცოდნედ მოჰქნდათ თავი.
დაძაბუნება მეტისმეტი სადაურია,
რა მაქნისია, თავად იცი, აბა, ურია.
ვირი, რომელიც ყურდაშვებით მორჩილი ხდება,
ყველა ბიჭ-ბუჭი სასეირნოდ მას შეახტება.
შევარდენი რომ გაფრენაში სხვებს ჩამორჩება,
ბეღურას წიხლი უსათუოდ იმას მოხვდება.
აქლემი გზაში ქარავანს რომ ჩამოსცილდება,
იმ სიჩუმეში მის თოკს თაგვი მოეჭიდება.
ვინც ჯი ლომებთან ბრძოლაშია თვით გამოცდილი,
სჯობს მან გვაჩვენოს, ვიდრე ლომმა, თავისი ჯბილი.
ძაღლები როცა საბრძოლველად გაბრაზდებიან,
ერთი მეორეს ჯბილდაჯრეჭით მივარდებან!"
ამის შემდეგ მან თავის თავად წარმოთქვა ფიცი,
მთელი ცოცხალი გონებით და სულის სიმტკიცით.
ფირუზის ფერი გუმბათისო, – მან თქვა, – სახელით,
ჯაშჯაშა მზითო, ამა ქვეყნის თვალის ახელით,
ყოველი ხატით, სამოთხისთვის რომ იყო ქმნილი,
ყოველი სიტყვით, მთელ ქვეყნად რომ არის ცნობილი;
და იმ სიცოცხლით, არასოდეს აღარ რომ არა ჯდება,
მღვიძარი რომ არს, ძილი რომ არ მოეკიდება,
იმ მდიდრით, სხეულთ მოწყალების საჭმლით რომ ჰკვებავს,
უფლით, რომელსაც სული მუდამ გამაძღარი ჰყავს, –
უთხრა: „წადი, თუმც შენ მეფე ხარ დიდი, ქებული,
უქორწინებლად ვერ დაცხრება ეგ შენი გული!"
ამგვარ სიცხარით ხოსროვისგან იბრუნა ჰირი,
დაყარა იქვე, რაც ხელთ ჰქონდა მას განძი ძვირი.

ხოსროვის გაბრუნება შირინის ჯოშკიდან

ამით ხოთანის მხრით მავალი ლამაზი შველი
მუშკის უჰისგან თვის დასაბმელ თოკს გრეხდა ხელით.
ათასი შველის ნუკრის ჰირი, რძით გავსებული,
იმ მწვანე ველზე იყო მშვიდად მოსვენებული.[407]
მეფეს, თითქოსდა დაეხაო შველს თვისი უჰე,
ისე ენიშნა, შირნი რომ გასცილდა უბრად.
ყოველი მხრიდან წვიმა-თოვლი მთასა და ბარად
ცვიოდნენ, როგორც გაზაფხულის ღრუბლიდან, ღვარად.
შიშისგან მთაც ჯი ვით ტალახი, ისე ხდებოდა

და ცივი თოვლით ჯანჯალებდა გული, დრჯებოდა.
ხოსროვ-შაჰის ქვეშ თოვლის ფიფქის დირემის ხრიალი
ვერცხლის ნიღაბად გაუჯეთდა შაბდიზს დაყრილი.
ენა თმად ექცა და ვერა ქნა მით ვერაფერი,[408]
მუშჯის თმისაგან ვერ მიიღო თმის ერთი ღერი.
ბევრი იტირა, სატრფოს რამე ნუგეში ეცა,
ასგვარად სცადა, ერთი სიტყვაც საქმედ არ ექცა.
რამდენად მისი მოთქმა იყო აუტანელი,
ქალის ჰასუხი უფრო იყო სასმენლად ძნელი.

როდესაც ბნელი ღამის ჯარგმა დრომ გაიარა,
შაჰი გაბრუნდა, თან წაიღო გულის იარა.
ცხენს აჭენებდა, ბნედიანი გონარეული,
გადმოსდიოდა თვალით ცრემლი, სისხლად ქცეული.
თავი შებრუნვით გულდაკოდილს უკან რჩებოდა
და შეუცნობლად წინ მიმავალ გზას მიჰყვებოდა.
არც ფეხში ძალა, შაბდიზისთვის რომ ეკრა დეზი,
არც მკლავში ღონე, ცხენისათვის მიეცა გეზი.
ცრემლი და ვაი საგზლად ჰქონდა მას შეკრებილი,
მარგალიტები ჰქონდა ვარდზე მუჭად დაყრილი.
ამ საშინელი მწუხარების ჟამს ის ფიქრობდა,
ნეტავ წინ დიდი კლდე ან რამე ჭა დახვედროდა!
რომ შეჩერების სამიზეზოდ ის ყოფილიყო
და თავის ბარგით სამუდამოდ დარჩენილიყო.
ხანაც სიმწარით ერთმანეთზე ხელებს იცემდა,
ხან ხელსახოცით თვალებიდან ცრემლებს იწმენდდა.

როცა დაბრუნდა თავის ჯარში ფერდაკარგული,
იმას მზესავით სიცხისაგან ეწვოდა გული.
დაგლიჯა შავმა ღრუბელმა სულ ყვავილთა ველი
და ამოვიდა ამ დროს მთვარის სხივი ცხოველი.
შაჰმა ჯარავი დასასვენი ცამდე აზიდა,
ჯარვის კიდეზე იმან ტილოს ფარდა დაჰკიდა.
ქვეყანას გულით ყურადღებას ალარ აქცევდა,
ტანისამოსის მაგიერად გულს ნაჭრად ხევდა.
მას დასვენების თავი უკვე ალარა ჰქონდა,
სევდისგან თავი მუხლებიდან ალარ აჰქონდა.
ვეზირი, მისი მოახლენი და სხვა მსახური,
ყველა გაშორდა, დარჩა ხოსროვ ოდენ შაფურით.
მან ხელოვნურად, ვით მხატვრისგან შესაძლო არი,
მხატვრულდად სიტყვა ჰკადრა იმას გულგასახარი,

დაასხა იმის ანთებულ ცეცხლს მან წყალი ცივი,
გაიღიმებდა იმის თვალწინ, ვით მთვარის სხივი:
„ნუ ურისხდები, შირინს შენი აქვს ტრფობა დიდი,
მწარედ ნუ უცქერ, ენითაა მწარე და ფლიდი.
თუ შირინია ბრძოლისათვის გამზადებული, –
ხომ იცი, ხურმას ეჯალი აქვს გარს მოდებული.
ნუ დაღონდები, თუ შირინი ცხარდება თუნდაც,
ჭამა ტკბილისა ზაფრას იწვევს, გაგება უნდა.
ნუ სწუხარ შენ თვით იმ შირინის სიფიცხის გამო,
სიტკბო სიფიცხით ცნობილია, როგორც საამო".
მეფემ რომ ნახა მახლობელი ყველა წასული,
ეუბნებოდა იგი შაფურს აღელვებული:
„თავს რა გადამხდა დღეს მე, იგი ხომ ნახე შენა!
ქვეყნის დამწველმა ეჯღუცმა რა დღე დამაყენა!
რა უსირცხვილოდ მექცეოდა ის ღვთისუშიში,
ქალი თუ ლაყბობს, სად სირცხვილი, სად მისი შიში?
გვირგვინი მის წინ მორჩილებით დავდევი, მე ჯი
როგორც ალვის ხე, საბოდიშოდ ფეხზე ვიდექი.
მაგრამ ის მაინც თავხედურად მიქნევდა ნაჯახს,
საროს ტოტების დასასხეპად ბევრი დრო ხარჯა.
იმ სიცივეში ის გულთბილად არ მომეჯიდა,
არც ტანჯვის გამო იგი რბილად არ მომეჯიდა.
იმისი ენა ნაჯახი და ისარი იყო,
ყოველი ქცევა უარესი და მწარე იყო.
მიჯნურს მიჯნურთან დიახ უძევს გორობი გული,
მაგრამ ასეთი ეჯლით ჩხვლეტა, ასეთი წყლული?!
ასეთ სიცხარით ძალმიძს ვიყო მეც გულმოსული,
ამ ჩემს ყალიბში მეც ასევე ხომ მიდგას სული!
[დოქს თუ წყალი აქვს, მაშინ არის მოსული ხმაზე,
წყალს თუ მოაკლებ, მოაკლდება მის ხმას სინაზე.]
თუნდ ბაბილონის ანგელოზად იქცეს ის ქალი,
თუნდ ჯადოქრობის მქნელი იყოს იმისი ხალი,
მისი სიცივით გაიყინა ჩემი სხეული,
ჩვენი ამბავი მე ყინულზე მაქვს დაჩნეული.
მეტი მოთმენით მისი დარდი რომ მემატება,
ვიცი, როგორი მალამოსი ხამს წყლულზე დება.
ბავშვის ავი ზნე დასტურ იცის მისმა გამზდელმა,
ცუდი მეზობლის ამბავი ჯი თვით მეზობელმა.
ჩემთვის ნამდვილად გამოდგა ის მტერი ფარული,

ჩემად მოავე და აშკარად ჯი მოყვარული.
რამდენი თხოვნა გუშინ იმას არ მივათვალე,
მან არ მიიღო და გონება დავკარგე მალე.
ლამაზი სიტყვა ყოველგვარი დავხარჯე მისთვის,
ვუთხარი წლის და არ შეიგნო მან არც ერთი თვის.
დადგა ღამე და ნათლის ალი არ მითავაზა,
გამტეხა წელში და მალამო არ მითავაზა.
შირინის ნახვას რა მარილიც არ ჰქონდეს, ანდა
იგიცა დარჩეს ქვეყანაზე უტკბილეს ყანდად,
ჩემი ჯავშირი დამცირებად მასთან არა ღირს
და ჰაურ-მარილიც წყლულს მარილის დაყრად არა ღირს!
სჯობს, გახდე შენ თვით სპილოს მიერ ფეხით სათელი,
ვიდრე ძუნწის წინ საგლახაოდ გაწვადო ხელი!
ზღვის ძირზე ყოფნა თევზისაებრ სჯობს უჭველად,
ვიდრე ბაყაყი გასაჭირში გაგიხდეს მხსნელად.
ფრჩხილით ქვის მოთხრა ქვის რიყეში და მიწის ფხოჭნა.
ჯობია, ვიდრე უღირს კაცთან აჯაზე ყოფნა.
ვინც თვალს დაეძებს, წმინდა წყალში მოიპოვება,
ვინც მიწას სჩიჩქნის, იმას ხელში მიწა შერჩება.
ქვას თუ დავეძებ, მაშ ქვიშნარი რისათვის ვთხარო,
უზეთო ლამპრით ჩემი სული ვით გავახარო?
მეფეს სიცოცხლე უთავბოლოდ რად ემეტება,
როდესაც მისი ყვავი ლოდზე აღარა ჯდება?
მე იგი მინდა, ვინც ნამუსის არის გამყოლი,
ფარშავანგს უნდა ფარშავანგი თავისი ტოლი!"
[როდესაც შაფურს საიდუმლო მოუთხრო სრული,
ბევრ ფიქრის გამო იყო დიდხანს თავჩაქინდრული.]

შაფურის პასუხი ხოსროვს

ჯერე თავმდაბლად ეამბორა მიწას შაფური,
შემდეგ დაასხა იმის ცეცხლზე წყალი ქაფურის:[409]
„არ უნდა იყო მისი ქცევით ეგრე ფიცხელი,
ვაჟკაცობაა, თუ მოთმენას შეუწყვე ხელი.
[შენს ბედს ლომი ჰყავს დღეს მფარველად და არა მგელი,
ვით შეუძლია ირემს იყოს შენი მჩაგვრელი?
ლომის თათებით შეებრძოლე ლომებს გმირულად,
თუ ძალღს შეხვდები, მის წინ თავი დახარე სრულად!]
მიჯნურთა ჩხუბი ელვასავით სწრაფადა ჰქრება,

ჩხუბს და ნაზობას შორის გმართებთ საზღვრისა დება!
თუჯი შირინი ფიცხი არის, თავადაც იცით,
ტაბილი მხურვალე რომ ყოფილა და ანუ ფიცხი.[410]
არა თუ სიტაბო, ხურმა ჰირში რომ ჩაიდება,
არც ერთი ლუკმა უკურკოდა არ მოხერხდება.
შენ ტაბილმა ზაფრაც რომ შეგყაროს, მეფეო, თუნდაც,
შირინისაგან შორს დაჭერა მაინც არ უნდა.
განა იმ სიტაბოს ჰქონდა ცნობა რამე იმგვარი,
რომ იმ შაქრის ქვეშ იქნებოდა იმდენი ძმარი?
რადგან სიტაბოც და სიმწარეცა ორივე გველის,
ასეთი ზაფრაც არ გავუშვათ ჩვენ უნდა ხელით.
[ქალთა სიანჩხლე მით არ არის გასაკვირველი, –
როგორც ზეცაა მოწყალეც და მტერიც ჰირველი.]
ნუ გიკვირს ქალის ეს სიფიცხე, მიჯნურთა ომი, –
ძაღლობას ძაღლი არ დაჯარგავს, ლომობას – ლომი!
მარგალიტსა და გიშერს ნივთი ერთგვარად იტევს,
ოქროს საგანძურს გასაღებად რჯინის აქვს ჯლიტე.[411]
ლამაზ ქალთა დარდს არ იქნება რომ განერიდო,
სატრფოს ნაზობა, აბა რას იქმ, თავს უნდა იდო!
სუყველა ლამაზს უწუნებდნენ ხასიათის, ზნესა,
ცოლი ადვილად ვის შეურთავს, მითხარი ესა!
რომელ ვარდს მოსწყვეტ, არ შეგესოს მისი ეკალი,
რომელ ხაზს ნახავ, არ დაესოს წვერით ფარგალი?
მზეთუნახავთა თვითნებობა წესი ძველია,
წყლის გველი თუა, მისი ჯბენა უვნებელია.
გსურს აიშორო ნიაღვარი შენი სევდისა,
უნდა ადგილზე გედგას ფეხი, ვით ფუძე მთისა.
თუ ქარისაგან ჩალასავით მუდამა თრთიხარ,
მთად რომ გადიქცე, მაინც ჩალის ფასად არ ღირხარ.
სჯობს, თუ სურვილი შენი ნებას არ გადასცდება,
გამოუწვავ ამბრს სუნი უკეთ გამოაჩნდება.
იმ ნაზ მთვარეზე ავკაცობას არ გირჩევ, შაჰო,
აქედან მთვარეს ვით მისწვდები, ვერ მიხვალ ახლო!
ქალია, სახლში ჩაიკეტე, რა გეჩქარება!?
მთვარის სხივივით ჭუჭრუტანით მოგეპარება.
ქალი და მთვარე ერთგვარი ზნით წარმოსდგებიან,
ჯარს დაუკეტავ, ჭუჭრუტანით შემოძვრებიან.
რადა გგონია, ამ დარდისაგან არის გამდგარი?
არა გამდგარი, ვიცი, ფარულ მოთმენით არი.

თუ ჯაფის მთიდან ქვა მოგორდა, რას ჭმუნავ ასე,
შენსაც ის ჩრდილს თუ დაეცემა, იმას ჯი – თავზე.
და თუ სიშმაგის ქაცვზე მიდგა, მეფეო, საქმე,
მას გულს დაუჩხვლეტს, შენ – ჯალთას-ღა, მენდევი აქ მე!
ერთი ამ ღამით იქონიე შენ მოთმინება.
ღამე მაჯეა, ვნახოთ თუ რა შეეძინება.
ბედი ყოველთვის ერთნაირად არ გაირჯება,
ერთ ყლაპოტში წყალი მუდამ ხომ არ დარჩება!
არ მოგეცემა ყოველ წლობით ბედნიერება,
ხან მოგიფერებს და ხან ჯიდეც გეცბიერება.
როცა ქვეყანას ბედი ტრფობით მოეჯიდება,
არ უნდა ექნეს იმ ქვეყანას რამ გაჭირვება.
ხაზის დაწყება ფარგალს სადაც ჯი მოუხდება,
ბოლოს ისევე იმავ წრეზე შემობრუნდება.
ავი ზნის მერნის დამშვიდებას ვინც მოინდომებს,
ნელნელა თოჯით შეაჩერებს იმის ნახტომებს,
მოთმენით უნდა ამნაირი მიიღოს შრომა,
ვისაც სურვილი აქვს და უნდა მასზე შეჯდომა.
მოთმენით ჯაცი დიდხანს ბორჯილს არ დაატარებს,
მოთმენა არის რჯინის ყლიტე, რომ ალებს ჯარებს.
ჯვანძი მაინც ჯი გაიხსნება, თუნდ ძნელი იყოს,
დადგება დილა, ღამე რაგინდ რამ ბნელი იყოს.
მე იმედი მაქვს, ეს სიძნელე რომ გათავდება,
შაჰის სურვილი რომ მალე და ჯარგად ახდება".

ამგვარი რჩევით, ამ გზით, შაჰის გულს ასვენებდა,
მის ძველ ნანგრევებს მზრუნველობით ყვლავ აშენებდა.
ასეთი რჩევით შაჰს ანიჭა ნიშატი მეტი,
ყოველ ვარსყვლავზე წაუყითხა ყეთილი ბედი.

შირინის სინანული ხოსროვის წასვლის გამო

ამჭევრმეტყველი და ხანდაზმული მოხუცი ბრძენი
ამგვარად ხსნიდა ამ მოვლენას მოქარგულ ენით:
შირინის გული უშაჰობას რომ ვერ ითმენდა,
თვის მძიმე გულზე უმძიმეს ქვას მაგრად იცემდა.
წამწამებიდან ის უზომო სისხლის წვეთს ღვრიდა,
ყოველ ქვითინზე ახალ-ახალ ცრემლებსა ჰყრიდა.
[ყვნესით ასჯილი ვარდის ფერად გამოაჩინა,
თმის ხუჭუჭები გაუყეთა მთვარეს გვირგვინად.][412]

როგორც დაჭრილი ფრინველი, ის ძირს ფრთხიალებდა,
ჯასმინს ნარგიზთა ვერცხლის წყალით დაასველებდა.
იგი წამწამებს ნარგიზებზე იცემდა მთვრალი
და გულმოსული ხელს იცემდა თავში გამწყრალი.
აშრობდა ჰავას მისი ცხელი ვაის ძახილი,
მისცა მან მიწას ცივი წყალი ცრემლად დაღვრილი.
არ ჰქონდა ძალა, მოეთოკა ტანჯვა ადვილად
და ვერც ადგილი, გულს ადგილი მისცეს ნამდვილი.

უძლურებისგან მისი გული სულ მოიშალა,
თვისი სიმჯაცრის სირცხვილისგან წაერთვა ძალა,
ამხედრდა იგი თვის გოლგუნზე გულით მწუხარე,
ცხენი ვარდივით, ვარდისფერივ ცრემლები ცხარე.
გავიდა გარეთ იგი თვისი ფეხმალი რაშით,
წითელ მერანზე თეთრად ჩანდა, ვით წყალი ალში.
გზა იყო წვრილი, როგორც მისი წარბების ხაზი,
ღამე ჯი ბნელი, ვით შირინის თმა ჯუჰრის მსგავსი.
მფრინავს რაშს იგი ბილიჯებზე ერეჯებოდა,
უკუნ ღამეში შირინი ღმერთს ევედრებოდა.
ქვეყნის გარშემო შემოვლას თუ მოისურვებდა,
ზეცას ტრიალში სანაძლეოს ის მიუგებდა.[413]
მონის სამოსი თავის მხარზე გადაიფინა,
შაჰის შაბდიზის უკან ცხენი მან გააფრინა.
ყოველ იმ ნაბიჯს, გოლგუნი რომ გადაადგამდა,
ვარდისფერ ცრემლებს მოსარწყავად მიწას ასხამდა.
ასე მირბოდა იგი ხოსროვ-შაჰის ჯარამდე
და მიირბინა გოლგუნმა თვით შაჰის ჯარამდე.
ნახა დარაჯი მან ყველა იქ ხმაგაკმედილი,
ჯარის უფროსთა ავგაროზი ჯი გაწყვეტილი.
და ვით თრიაქით მთვრალებს მთვარის შუქი ეფინათ,
ძირს დაცემულებს გაუნძრევლად იმათ ეძინათ.
მივიდა მათთან იმ გარემოს შესახედავად,
მან არ იცოდა, თუ ამჯამად რა ექნა თავად.
შაჰის სახლთან ჯი იყო შაფურ ამ დროს დამდგარი,
ხედავდა შორით, რომ მოჰქროდა მისკენ მხედარი.
მან ის-ის იყო, ძლივს-ძლივობით შეიძლო ისა,
რომ თვისი მეფე მოასვენა, ძილს მისცა ტკბილსა.
წავიდა იგი შირინისკენ თავმოწონებთ,
არ გაალვიძა მან ამისთვის იგი მონები.

„ჰოი, ფერიავ, – მიმართა მას, – ნეტა ვისი ხარ

და თუ ფერია არ ხარ, აბა, აქ რისთვს ზიხარ?
აქ ლომი მოვა, – შემდეგ ღონე არ მოეწევა,
გველი შემოვა, ჭიანჭველად გადაიქცევა!"
რომ დაინახა ლამაზმა და იცნო შაფურად,
ძირს გადმოეშვა გოლგუნიდან თავისებურად.
მისი სიყარგით დარჩა შაფურ გაკვირვებული:
უფრო დიდია, ვიდრე იყო ის დიდებული!
რომ დაინახა ქალის სახე და სილამაზე,
ქუდი ესროლა ცას და თავი დაჭრა მიწაზე.
ჰკითხა შირინს, თუ: „როგორ მოხდა ეს ყველაფერი,
რომ წამლად მექცა მე დღეს შენი ფეხების მტვერი?"
ზეცის ფერიამ დაუწყო თვით მას მოფერება,
ქალური ენით მცირეოდნად შეასხა ქება,
მოჰკიდა ხელი, ერთ მხარეზე მან გაატარა,
თავისი გულის დარდი მთელად გადმოუყარა.
თვით უკმეხობის, უზრდელობის ამბავი მოყვა,
როგორ ინანა და სირცხვილმა აუწვა ლოყა.
თავისი ქცევა ავქცეობად თვით მოეჩვენა,
რომ ფრინველივით აკაკანდა, აიდგა ენა.

აუხსნა: „შაჰმა მერანი რომ შორს გააჭენა,
ტანჯვის ბორკილში ერგო ჩემს გულს მარტო დარჩენა.
ამ საქმის გამო მე უმწეოდ რომ დარჩი ასე,
მიტომაც დავრჩი მაწანწალად და ვაით სავსე.
გამოვიჩინე გაჭირვებით მე სიმამაცე,
გაჭირვება კი თვით კანკარსაც ხომ ლომად აქცევს!
მადლობა უფალს, რომ განგებამ ასე ინება,
და ამ გზაში არ მომაყენა რაიმე ვნება.
როცა სიკეთეს ეს კეთილი საქმე ითხოვდა,
სიმართლის ძალით ასე მართლად მით დაბოლოვდა.
ახლა მე შენით ასეთნაირ შიშს გავეყარე,
უვნებლად მოსვლა ჩემი შენთან მით მოგახარე.
ორი რამ მინდა საჭირო და მსურს მოვაგვარო,
ამ გასაჭირში უეჭველად გთხოვ დამეხმარო:
ერთი, როდესაც შაჰი ლხენით დაიძაბება,
ქვეყნის წყალობას როცა ხარბად დაეწაფება,
ერთს კუთხეშია მარტოდმარტო მე დამაკინო,
ჩემი იქ ყოფნა თვით შაჰს ყურში არ ჩააწვდინო.
მე თამაში და ნებივრობა ვიხილო მისი,
სულის ხელახლა დაბრუნების გამხადე ღირსი.

მეორე ის, რომ, თუ ჩემს გზასა ის დაადგება,
თუ ჩემდა მიმართ შაჰს ქორწილი მოესურვება,
ამ მოსაზრებით თუ საქმეა შესაძლებელი,
მოაწესრიგე, სანამ ჯიდევ ღამეა ბნელი.
თუ არა ისევ ამის შემდეგ ჩემ გზას ვეწევი,
ჩემ თავს და ჩემ სახლს მე ალარსად არ გავექცევი".
ცხადია, საქმე შაფურისათვის ნათელი იყო,
ამ დავალების შესრულებას მან ხელი მიჰყო.
შემდეგ გოლგუნი დააბა მან, როგორც შაბდიზი,
შირინი სახლში წაიყვანა, როგორც ფარვიზი.
ორი ჯარავი ჰქონდა ხოსროვს გამზადებული,
ვარსკვლავის გვარი ძვირფას ქვებით იყო შემკული.
ერთი მათგანი იყო მხოლოდ ღვინის სასმელად,
ერთი კი მყუდროდ მოწყობილი დასაძინებლად.
ნაზი ფერია პირმცინარე და სხივნათელა
იმ საძილოში წაიყვანა შაფურმა ხელად.
ხელი მოჰკიდა, დასვა ტახტზე, ვით იყო რიგი,
გავიდა გარეთ და ჯარავში ჩაჰყეტა იგი.
შაჰის სანოლთან მივიდა ის გულგაღეღილი,
შაჰისთვის ჰქონდა გული იმას დღეს გამზადილი.
ხან იგი მეფეს, ვითა წალკოტს უვლიდა ირგვლივ,
ზოგჯერ კი სანთელს აუნთებდა ხელმწიფეს იგი.

ხოსროვის სიზმარი და შაფურის მიერ მისი ახსნა

ამოეღვიძა შაჰს ერთბაშად ჯარგ გუნებაზე,
იმისი შუბლი ანათებდა როგორც მზე ცაზე.
შეასხა შაფურს გულმხურვალედ ქება მრავალი:
„ჰოი, მე მძინავს, შენ ბედივით ღია გაქვს თვალი!
მე შენს ილბალზე მშვენიერი ვნახე სიზმარი.
იმ სიხარულით თავი უცებ ზეცასა ვჯარი.
ვნახე, რომ იყო დიდი სივრცის გაშლილი ბაღი,
მეჭირა ხელში ანთებული დიდი ჩირაღი.
[იყო ნამდვილად ბაღი ქვეყნის მანათობელი,
ჰქროდა ნიავი გაზაფხულის მახარობელი.
ათასი ხილი და ყვავილი გამოსაჩენი,
ნამალი გულის და გონების გამოსასვენი.
მის ხეებს ჰქონდათ წვერი მაღლა ცად მიბჯენილი,
როგორც მიჯნურებს სატრფოსაკენ ხელი გაწვდილი.

ხეხილის ხენი გაზრდილიყვნენ სამოთხისგვარად,
თუთიყუშივით მწვანედ ჰქონდათ ტოტები მარად.
იის ყვავილი ისე ჩანდა გაშლილ მწვანეზე,
ვით ბეწვი ახლად ამოსული სატრფოს სახეზე.
შირინისაგან რამდენიც ჯი ტანჯვა მივიღე,
ამ ჯარგი სიზმრით მე იმ ბაღში გადავივიწყე.
ვნახე ჩირაღი მოელვარე ბაღის ხეებში,
როგორც სანთელი მნათი შავი ყვავის ჯლანჭებში.]
ჩემი ჩირაღი მთვარესავით რომ ანათებდა,
ამიხსენ ჩქარა, თორემ გულში გამიჩნდა სევდა!"
გაშალა ენა მყის შაფურმა მის ასახსნელად:
„იმისი სხივი შეემატოს შენს თვალებს მთელად!
დღედ შეგეცვლება მალე ღვთისგან ის ღამე ბნელი,
ჩაგეხუტება გულში თვითონ ტუჩგემრიელი!
ამ ამბის გამო, მოდი, შევსვათ და გავიხაროთ
და დედამიწას ლალისფერი გადავაფაროთ.
გაშლილი სუფრა სამეჯლისოდ მოვჯაზმოთ დღისით,
ძველი ღვინით და საუცხოო ქორფა ნარგიზით.
აღმოსავლეთით რომ ამოვა სხივების წყარო,
ქაფურის მორევს რომ შეურევს ზღვიდან საჩქაროდ,
ღვინო, ქაფურის სუნი რომ აქვს, ჯამში ჩავწუროთ
და ამ დიდ ზღვიდან ნავში მჯდართა შორით გავცუროთ!"
შაჰინშას სახე ყაყაჩოსებრ გადაიშალა,
ნარგიზი ტკბილი სიტყვის შემდეგ ძილმა დასძალა.

ხოსროვის მიერ მეჯლისის გამართვა სანადირო ადგილზე

ვ ანთიადისას რომ დაირწა აჯვანი მზისა,
ჩაიცვა მიწამ სამკაული დიდ ჯუმბიდისა,
ხელმარჯვე ქურდი წამოვიდა აღმოსავლეთით,
ძვირფას თვალთაგან სულ გაცალა სავარსკვლავეთი.
დაფრთხნენ ფრინველი და შემოჰკრეს მათ ფრთები ფრთებსა,
ხალხალთ ჟღარუნი მოახლეთა, ყურს ტკბილად ესმა.[414]
გამოიღვიძა ხელმწიფემან საამო ძილით,
გულს უხარებდა მას წასული სიზმარი ტკბილი,
ბრძანა, აღმართონ მის ჯარავი მისი მაღალი,
იმა ჯარავთან თვით დიდი მთა იყო დაბალი.
სამეფო ჯარავს მაღლა წვერი უწევდა ცაში,
ავი თვალი ჯი, როგორც განძი, ჩაძვრა მიწაში.

სამოც-სამოცი ჯარავი მათ აღმართეს ხელად
და იქ ხელიხელ გადაბმული გამწყრივდა ყველა.
აივსო მეფის სრა-სასახლე ჯარით და ხასით,
ოქრომ დაჰჯარგა, ისე ბევრი ელავდა, ფასი.
თეთრ მონებს მაღლა აეწიათ ამაყად ქედი,
ეხურათ ქუდი სულ ძვირფასი ქვებით ნაჭედი.
შაჰის ჯარავში შავმონებმა თავისებურად
ჯალთა შეუერეს შავ აბაშელს ისპაჰანურად.
შავკანიანი აბაშელი, ტურფა ჩინელი, –
როგორც ღამე და მთვარე, როგორც ნათელი – ბნელი.
დილის ნიავსაც არა ჰქონდა საძრომი გზები,
ჯარავი ისე მოეღობათ თურქთ მათი ხმლებით.
ჯარავთა თოჯი იყო ძლიერ შორს გაჭიმული
და მათ ჯარებთან სპილოები იყვნენ დაბმული.
ისეთი იყო ეს ჯარვები სამზერად ამო,
თვალი დახუჭეს მზემ და მთვარემ იქ იმის გამო.
ასეთ ჯარავში იჯდა ერთში ხოსროვი გმირი
ხოლო მეორე ჯი სადგომი იყო შირინის.
მათი საჯადრი ოქრომკედით ნაქსოვი ხალი
ძირს დაეფინათ, უცვიოდა ძვირფასი თვალი.
ქარსა მიჰქონდა განძი იგი მტვერივით მდგარი,
თითქოსდა მართლაც მოტანილი განძია ქარის![415]
მომწვევმა თავი მოუყარა ერთურთ მოყვარეთ,
ხოლო უცხონი ჯარებიდან გაყარა გარეთ.
არავინ დარჩა შაჰინშაჰის ახლოს მყდომარე
უახლოესი მონების და მსახურთა გარე.
მოხუცნი ბრძენნი მეფის თანამეინახენი
დასხდნენ ტახტის გარსს მეფის ახლოს მცირეოდენნი:
დაიწყვეს გროვა-გროვად მძიმე ტომრის ცალები,
რაშიაც იყო უამრავი ზურმუხტ-ლალები,
ყველა იმათგანს ხელში ჰქონდა ძვირფასი განძი,
როგორც სურნელის მფრქვეველ თურინჯს ყნოსავდეს ჯაცი.
მეფე ჯი ოქროს მუჭით მაგრად ეჭიდებოდა,
ხელს რომ ეჭერდა, თითებიდან უცვივდებოდა.
გაავსო ღვინით მერიქიფემ ჯამი სასმელად,
ისმოდა ყურში მუტრობის ხმა გულმომხიბვლელად.
იჯდა ბარბადი და ბარბითი ხელში ეჭირა,
ცა და ქვეყანას დაავიწყა, თუ რამ ეჭირა.
[ჩამოჰჯრა რუდი და დაიწყო ტკბილი სიმღერა,

ორი რუ ხოსროს თვალებიდან ადინა ჩქერად.
ასე ამბობდა შაჰი, ღვინით ჭკუა აშლილი,
რომ შირინისგან არის ასე ყოველი ტაბილი]
მისი სიმღერით მეგობრების ქისას აჩენდა,
ყოველი დაკვრით გულის ვარამს იგი არჩენდა.
იმისი გულის ბოლო კვანძად ჩანგს ეხებოდა,
მისი ჩანგის ხმა დავითის ქნარს ემსგავსებოდა.
თავისი ჰანგით, როგორც ზარი, რეკავდა ისა,
გააცოცხლებდა მკვდარსაც იგი, ვითარცა ისა.[416]
მან რომ დაუკრა საოცარი ჰანგებით რუდი,
გეგონებოდა მუკამარზე დაწვაო უდი.
სიმღერის დროს რომ თრთოდა ხელი შაქრის მფრქვეველი,
იმის ტაბილ ხმაზე იღვიძებდა ღამის ფრინველი.
ისეთნაირად იგი ბარბითს ყურს უზელავდა,
ბარბითის გული იმ ზელვისგან კვნესით ღელავდა.
როდესაც საზის აბრეშუმი მან აკრა,
მყის წამოიწყო შემოქმედზე ქებით სიმღერა.

ნაქისა ერქვა სახელად იქ ერთ მეჩანგურეს,
მან შეუბოჭა ლხენით გული ყველა შემყურეს.
იმაზე უკეთ მომღერალი მელოდიური
არ გაეგონა არვის, ჰქონდა ჰანგი ციური.
დაკვრა რუდისა შეწონილად დაიწყო მანაც,
თანაც ამბობდა ლექს, მაგრამ მას მღეროდა თანაც.
იგი სიმღერას ისეთი ხმით არაკრაკებდა,
რომ თვით ბულბული დარდისგან ფრთებს მიწაზე სცემდა.
მათ ისე ჰქონდა სასიმღეროდ ხმა შეწონილი,
რომ ზოჰრამ შურით და სიმწარით იწყო სირბილი.[417]

ნაქისას გარდა, ვინც ზოჰრაზე თავს თვლიდა მეტად,
ბარბადთან ჰანგის შეწყვილება ვერვინ გაბედა.
მეკლისში, სადაც ლხინი ჰქონდათ მათ დაწყებული,
ბარბითი ჩანგთან ერთად ჰქონდათ შეთანხმებული.
იმ ჩანგ-ბარბითის შენაერთი ხმა მშვენიერი
ჭღერდა ერთ ჰანგზე, ვით ყვავილის სუნი და ფერი.
მათი ღიღინი ღვინით დაღლილ სმენას ატკბობდა,
ერთი – გულს, ხოლო მეორე კი ჭკუას ხელჰყოფდა.
კვნესით და ოხვრით მათ დაჩხვლიტეს გულები კაცთა,
გაგიჟდნენ, მონათ საქციელი საზღვარსაც გასცდა,
მეფემ უბრძანა თავის მონებს: „აბა, იჩქარეთ,
და კაკბებივით გაგოგმანდით ახლვე გარეთ!"

შაჰი, შაფური და მღერალნი დარჩნენ სასმელად,
დანარჩენები იმ ბინიდან წავიდნენ ხელად.
ბარბიდმა ქების ჰანგი ისევ დაიწყო მშვიდად,
მან გონივრული ლოთობის გზა შეამჯო დიდად.
ნაქისამ ჩანგის დაკვრა ტაბილად კვლავ დააჰირა,
თავის არღანუნს მან ხელმარჯვედ ჩამოჰკრა წკირა.
მეფე ორივეს გამო იყო ვნებით დამწვარი,
გააღო ჯარი საგანძურის და გულის ჯარი.
როცა იმ მბრუნავ ჯარავიდან შაჰი ნავიდა,
ჯარავში მყოფთა ლოყის ფერი მთვარე მოვიდა.[418]
ჯარვის გარშემო, სადაც იდგა ის თვალნათელა,
დატრიალებდა იქ შაფური, როგორც ჰეპელა.
ფარდის კუთხიდან უძახოდა ის ხმაღვთიანი:
„იმ მუტრიბთაგან მომიყვანე ერთი მათგანი,
დასვი ჯარავთან და თან ჩანგი ხელში ეჭიროს,
რომ ჩემს გულის წვას ტაბილი ჰანგი მან შემოსწიროს.
ჩემ ბედ-ყოფისთვის მოიტანოს ჩანგი საჭერად,
რასაც მე ვეტყვი, თქვას იგივე მან თავის ჯერად“.
შაფურმა მასთან წაიყვანა ნაქისა სწორედ,
იმ ჯარავიდან ორ ნაბიჯზე ის დასვა შორედ,
[უთხრა: „ჰე, ვისაც ასე ჯარგი გქონია ხელი,
ვის ხმასთან თვითონ დამარცხება ზოჰრას ჰანგს ელის,]
აქ იჯექ, ოღონდ დაიხუჭე შიგ მყოფზე თვალი,
იმ ჯარავიდან შეისწავლე ჰანგი ახალი.
ჰანგი ჯარავის შესაფერად შენ დაამღერე,
როგორც ის გეტყვის, შენც ეს ჩანგი ისე აჟღერე!“
აქეთ ბარბადი, როგორც ეშხით მთვრალი ბულბული,
იქეთ ნაქისა იყო, ხელში ჩანგმომართული.
ამბარნარევი მრავალ სანთლის სხივების ჩაღი, –
სამოთხე იყო იგი ცეცხლის და ბოლის ბაღი.
ვიწრო ფარდაში მოამწყვდიეს აქ ტაბილი ჰანგი,
იქ ღაზელები ჩააქსოვეს ჯალთაში ჩანგის.
ეს ჩანგი, მაგრამ ახლა საზის იკითხეთ საქმეც, –
ჩანგი ჯინალამ დაიჯაბნა, კიდევაც აქეს.
მეფე ფიქრობდა, თუ მუტრიბი რას მოიგონებს,
რომელ ხმასა და რომელ ამბავს ის მოიწონებს.
ჯარვის კეკლუცი თავის მუტრიბს გაუტყდა მთელად,
აუხსნა დარდი: ესა და ეს იმღერე ყველას!

ნაქისას მიერ ღაზელის თქმა ჭირვინის ჯარნახით

ნაქისამ, როგორც ავალებდა ის მთვარე სავსე,
თვისი ღაზელი „რასთის" ხმაზე დაიწყო ასე:
„ნუ დაიძინებ, ჰოი, თვალო, გეყოფა ძილი,
იქნება ცხადში განიცადო ცხოვრება ტკბილი!
იმედის სხივო, ძირს ჩამოდი მოთმენის მთითა,
მაჩვენე მზე და გულს ალმიხვენ თვალები მითა!
შემიწყვე ხელი, ბედო, მე შენ ორიოდ დღენი,
მიშვნე ჯლიტე და ეს ჯვანძი ჩემი გახსენი.
გააგდე გარეთ ამ თავიდან ეს მწუხარება,
მოსპე, თუ ძალგიძს, სამუდამოდ ეს უძლურება.
მოხერხებულად მომაშველე მეგობრის ხელი,
ტანჯვის ლაშქარი მოსპე ბარემ ის ულმობელი!
ჯიგარი მეწვის, გული სისხლის მორევში ცურავს,
თუ რომ მიშველი, დრო ახლაა, ნუ უცდი ნურას.
უფრო დაცემულს და უღონოს შეხვდები ვერსად,
უფრო უმწეო ვინ იქნება, ვიდრე მე დღეს ვარ!
თუ არა ღირსვარ მე შენ წყალი დაგისხა ხელზე,
ძალმიძს ჩემივე გული დარდის შეგიწვა ცეცხლზე.
თურმე არ ძალმიძს, რომ მოგართვა ჯულაბი სუფთა,
ბურახს მოგართმევ, არ გეგონო უძლური სულმთლად.
თუ მე შეჯერვა ხელოვნურად არ მემარჯვება,
ვიცი, სეფანდი სახლში ცეცხლზე ვით დაიწვება.
თუ მე არ ვიცი, რომ მოვქსოვო ფარჩის ნაჭერი,
მე შემიძლია მოვაშორო შენს ჯალთას მტვერი.
ნუ დამცემ ისე, როგორც ჩრდილი, დედამანაზე,
ისედაც მტანჯავს და მაკვნესებს ცხოვრება ასე.
ვითარცა მთვარეს შენც გჭირდება ვარსკვლავი გვერდით,
შენს შუბლს მოჭმუხვნილს ვნახოთ, ზუჰრა რას უზამს ერთი.
ყოველგვარ სახით მე მზადა ვარ შენს სამსახურად,
მოახლედ გყავდე, სხვად, მეფეო, ნუ გინდა ნურად.
მე მეკითხები, თუ რაგვარი მაქვს საწადელი,
თვით რომ იცი და მეკითხები, რა მაქვს სათქმელი?
როგორ იქნება შენ ყარიბი, არ იცი განა,
მოკეთეთაგან მოკვეთილი, უმწეო თანაც!
ვითარცა ვარდი, სიყვარულით გლეჯილი ასად,
ქვეყნით დევნილი, არ მნახველი ქვეყნისა არსად.
ის, როგორც მიწა, ისრის წინ თვით ნიშნად გაჩერდა,

როგორც ყაყაჩო, სიყმაწვილით იგი დაბერდა.
იმედით იმან ეს ქვეყანა ქარს გაატანა,
ამგვარ ოცნებამ ამ შავ დღემდე ის მიიყვანა.
არ მყავს მაშველი, გამიმაგროს როგორმე ზურგი,
ბედმა მარგუნა, ჩემთვის იყოს სუყველა ურგი.
თქვაო დამხრჩვალმა, რომ დაიღრჩო წყალში შიშველი,
რომ ქვეყნად მყვდარსაც უნდა ჰყავდეს ბედი მაშველი.
უგუნებობით არის გული მარტო დამჯდარი,
შეგეთანხმები, შენი გულიც თუ ასე არი.
თუკი არ მოდის ჩემი საქმე, ვით არის რიგი,
შენს საქმეს მაინც ვუშველოთ რამ, თუ ძალგიძს იგი.
ნუთუ ემწარა იმის ტუჩებს ჩემი არსება,
აბა რად არის, რომ უდივით ცეცხლი მედებაl[419]
ჩემთვის ეს დაწვა ლხინი არის გასახარელი,
წვა მიჯნურისთვის საამოა და საყვარელი.
არ მინდა, მე შენ რომ გიბრძანო ჯარგად თუ ავად,
თუ ჩემთვის რამე ჯეთილს იზამ, შენ იცი თავად!"

ბარბადის სიმღერა ხოსროვის ჯარნახით

ნაქისამ როცა დაასრულა ჩანგზე სათქმელი,
ბარბადმა თვის ჩანგს სასიმღეროდ მოჰჯიდა ხელი.
აშორდა ზეცას „ერაყული" შემოძახილი,
ერაყულ ჰანგზე წამოიწყო იმან ხმა ტკბილი:

„მეგობრის სიოს სუნთქვა ჩემი გრძნობს მუდამ საღი,
ოცნებათა განძს ხედავს ჩემი ფიქრთა ჩირაღი.
რომელი წყარო უნდა იყოს ესდენ ნადენი,
რომელ ნიავქარს უნდა ჰქონდეს სუნი ამდენი;
მზის ფარშევანგმა ნუთუ ისე დრო მოიხმარა,
რომ ჯემშიდის ბაღს ჭრელი ფრთები გადააფარა;
ნუთუ საროს ხე თავის ღობეს აშორდა ისე,
რომ მეც მამაღლებს და მიღერებს ყელსა და ჯისერს;
ნუთუ ეს მთვარე სარჯმელიდან ძირს ჩამოვარდა,
რომ ბნელი ღამე მისი სხივით გამიელვარდა;
ნუთუ სამოთხის სიომ ამ გზით გამოიარა,
რომ ამოდენი სიხარული გამიზიარა;
ნუთუ მოვიდა თეთრი ქორი და ფრთა გაშალა,
ღამის ვარდნარი შავ ყვავს ხელით გამოაცალა;
ნუთუ სიცოცხლის წყარო ჩემთან მოსულა სრულად,

და ჩემი გულის სიცოცხლე აქვს იმას ფარულად;
ნუთუ ილბალმა მე ამინთო ჩირაღი მართლა,
მასზე დარდები ვით ფარვანა დამეწვას რადა;
ნუთუ შირინმა ლალისაგან მოგვცა სასმელი,
ყოველ ჯუთხიდან რომ ისმის ხმა დაუცხრომელი?
[რაჲი მოვიდა მახეში ის თვალთმაქცი შველი,
ის თავის დროზე მონადირის რომ იყო მწველი,
მახიდან წასვლა მისი ანი ძნელია დიდად
და ერთ დროს ხელი გვეყოლება აწი ჩვენ მშვიდად.
როგორ გავუშვა მე იმ ყვავილს ამჟამად ხელი,
დღეს მთვრალი არის და გუშინ ჲი ჰფარავდა ბნელი.]
უთხარი, ჰოი, ჩემო ბედო, იმ სათაყვანოს,
ბედის ვარსკვლავი ჩემს მახლობლად ჯვლავ მოიყვანოს.
სიჲეთის გარდა გაქვს ღირსება აურაცხელი,
გეტყვი სიმართლეს, ჯაცი უნდა სიმართლის მთქმელი.
დავთესე ქერი და მოვიმკე ჰური ჯაცურად,
მე ქერი მოგეც, თუმც გაჩვენე იგი შენ ჰურად.
ნუ უცქერ იმას, სიანჩხლითა რომ მოგეჲიდე,
ის გამიხსენე, შენთან ჩემი გულის სიმშვიდე.
ქურდ ინდოელსა ხელსა ვინმე მოაჭრის განა,
რადგან ქურდობას ვაჟკაცობაც ჲი ახლავს თანა.
არ მიდევს გული სიამეზე მე დღეს ნახევრად,
მაგრამ დარდი ჲი ამ ჩემს გულში მიცვნია ბევრად.
მე შენზე დარდი მიტომ მწიხლავს, იმიტომ-მეთქი,
რომ წიხლებს მცემდა, ეს იცოდე, მე ჩემი ბედი.
ეს გული ტირის, მწუხარებით ვით არ იტიროს?
ვინ არის, ტანჯვას სისხლის ცრემლი რომ არ შესწიროს?
ტანს ეშინია განშორების, ვით არ შეშინდეს?
ჭკვიანი ჯაცი გიჟებს უნდა უფრთხოდეს ჲიდეც.
მე შენი თმები ჩემს ხელში რომ ვერ დავიჭირე,
ამიტომ ჩემი გული შენს თმებს დაუკავშირე.
[თუკი მიბრძანებ, წელს შევიკრავ მე ამ საქმისთვის,
თუ შენ საქმე გაქვს რამე ჩემთან, თავს დავდებ მისთვის.]
თუ გსურს მე მომცე აწ რაიმე ტკბილი ახალი,
ვარდის მაგიერ რატომ უნდა მომცე ეკალი?
იმ ჯოლოფიდან, რომელშიაც მალამო გიდევს,
მომეცი, მაგრამ იგი ცოტა არ გამოვიდეს.
მით რა იქნება, იმ წყაროდან რომ მოდის ღვარად,
მეც დამარწყულო, ეს წყალობა გაცოცხლებს მარად!"

ნაქისას სიმღერა შირინის პარნახით

რომ გაათავა ბარბადმა თვის ბარბითის ჭღერა,
ნაქისამ ჯიდევ უფრო ტკბილად დაიწყო მღერა.
გადაიშალა გაზაფხულის ვარდისა ფერად,
მოაწყო თავის ღაზელი მან ჩანგზე სამღერად.
„ვაშა ჩემს თვალებს, – შენის ნახვით ქვეყანა უჩანს,
სხვის ბაღს და წალკოტს მირჩევნია მე შენი ქუჩა.
შენა ხარ ჩემი წინამძღვარი ოცნება ტკბილი,
ეგ შენი მტკვერი წამალია თვალის ტკივილის.
ეს მხოლოდ შენ ხარ, მე რომ მუშაის სურნელი მომეც.
შენი სხივებით ცისკრად ყოფნაც ჯი მოვინდომე.
ჩემი თვალი ხარ და ამ თვალის შენ ხარ ჩირაღი,
ჩირაღი თვალის და თვალთ ჯი აღმნთები ბაღის.
მაგ შენის სახის სხივი არის ნათელი ცისა,
ლალის მადნითა მარილი ხარ თვით მარილისა.
შენმა სინაზემ ცის ვარსკვლავებს შუქი მოჰფინა,
თავის სიკეთე მთელ ქვეყანას შეატყობინა.
რა ღვინო გისვამს, ეს სახე რომ ეგრე ელვარებს;
სულ ის ღვინო სვი, მოგიხდება და გაგახარებს.
შენი სინაზე სიჭაბუკეს რომ შესტრფიალებს,
ვინ არის თავის სიჭაბუკეს არ განაცვალებს?
თუკი შენ ხელში სარკე გექნა ჩასახედავად,
მაგ შენი ეშხით გაგიჟდები შენვე შენ თავად.
ნუ უცქერ სარკეს, ჩინის ჯერპო, თუნდ გედოს სარკე,
სხვა ჩაახედე შენს სარკეში და ვინმეს არგე!
იმას რად უნდა აბა სარკე, რომელსაც ხალხი
აურეკლია სარკის დარად ჯრიალა სახით!
შენ სარკედ, ჩემო, ჩემი თვალიც გამოგადდება,
თვინიერ შენდა მასში, მენდე, არვინ ჩადგება.
ვიფიცავ ზეცას, რაც ყოველთა ენით იქება,
უშენოდ ტკბილი სიცოცხლე თვით შხამი იქნება.
შენ თრიაქი ხარ, მე ჯი შხამით დამეწვა სული,
შენ იმ დღეში ხარ, მე ჯი ამ დღით გყავარ ტანჯული.
შეყვარებულის უარყოფა თქვა გულმა შენმა?
ყოჩაღ, ხოსროვო, ვით გცოდნია ტანჯულთა შველა!
ვფიქრობდი, ამდენ უძლურებას რომ განვიცდიდი,
იმ ძნელ ყოფაში საშველად ხელს გამომიწვდიდი,
დღეს რომ სისუსტით და სიგიჟით ვარ დანაცემი,

ხელი ჯი მომეც მაგრამ ფეხი შებორკე ჩემი.
საკმაო არის, რომ მეგობრის ტანჯვას უყურო,
არ არის რიგი მეგობარი გაანადგურო!
ყოველ წუთებით შენ ჩემ გულ-მკერდს ეკლითა სჩხვლეტავ,
ნუღარ მჩხვლეტ, თუ მჩხვლეტ, მომეფერე, რას მერჩი ნეტა!
ჩემებრ უენოს შენ მიეცი სიტყვის უნარი,
შენდა მსახურად მზადმყოფს, ლხინის გაუღე ჯარი.
ყოვლად უბარგომ შენს ჯარებთან დავყარე ბარგი,
ეს გაჭირვებამ მაიძულა რა მექნა, ჯარგო!
თუ არა, მე დღეს ამ ფოლადის მაგარ ციხიდან
ანთებულ ჩირაღს ასეთ ქარში გავიტან ვითა!
თუ ხელაწვდილი სიყვარულით შენდამი ვზივარ,
ხელქვეითობის ბრძანებით მე ხელქვეითი ვარ.
ნუ დაღვრი ჩემს სისხლს, მაპატიე, ნუ მომსპობ მთლაო,
ვინმე რომ ჯერჰსა თაყვანს სცემდეს, ქაბას რაო![420]
ჩვენი სიტურფით განშორება თუა საჭირო,
მომეცი ნება, რომ შორიდან მაინც გიცქირო.
ჩემ სიჭაბუკეს შენზე ფიქრით მხოლოდ ვატარებ,
ამგვარ იმედით განწყობილი ჩემ დღეს ვახარებ.
ვაშა იმ წუთებს, როცა მნახავ, ჩამეკვრი ეშხით,
ჩანგის კვნესასთან ჯამით ღვინოს რომ მომცემ ხელში.
შენი ღამაზი ზილფთა კავი გივარცხნო შვებით,
როგორც სანთელი განთიადზე, გავქრები შენსწინ.
ღამით თუ შენი ღვინისფერი ღალით დავთვრები,
დავხუჭავ თვალებს სამუდამოდ და არ ავდგები.
[მე შენს ფეხებზე გავისრესავ ამ ჩემს სახესა,
წალმა მოვაქცევ ბოლოჟამს ჩემს უკუღმართ დღესა.]
მე შენთან კავშირს თავდახრილი მივეგებები,
არა მაქვს მეტად განშორების რამე ფიქრები.
მოგეც აღვირი სამოქმედო ხელში საჭერად,
შენ იცი, მომკლავ თუ ისევე მაცოცხლებ ჯერა.
რომ მოვკვდე შენს წინ და ვიყო აქ ძირს დაგდებული
სჯობს ბევრად, ვიდრე უშენოდ მე რომ მედგას სული".

ბარბადის სიმღერა ხოსროვის კარნახით

ნაქისამ როცა დაასრულა სიმღერა ჩანგზე,
შემდეგ ბარბადმა წამოიწყო თავის ტკბილ ჰანგზე.
ამბობდა სევდით, ვით ბოდიშის ვინმე მთხოვნელი,

ისფაჰანისჯენ გააფრინა თვისი ლაზელი.[421]

„განთიადისას როცა ღვინომ დამასხა რეტი,
გონდაბნეული ჩემი ბაღის ჯარში შევედი.
სურნელოვანი გაზაფხული ვნახე იმ ბაღში,
პირი ვარდისა, დავინახე, ყვავს ეპყრა ბრჭყალში.[422]
ვარდი ასფოთლა, ყოველ ფოთოლს ჰქონდა ეკალი,
და განძს საკანში გარს ჯედელი ჰქონდა მაღალი.
ჯერპის ჯედელი იყო ჩემ წინ ჯარდაეტილი,
ჯედლის ბოქლომი ჯერ არ იყო მტრის გატეხილი.
სამოთხის გვარად იყო იგი ყოვლად შემკული,
ყოველი ხილი იყო მისთვის დამწიფებული.
ის იმოდენი რომ იყო იქ ახალი ხილი,
მე ვნახე მისგან სიმთვრალე და თავის ტკივილი.
როდესაც გულში ჩამისახლდა ნაზი ფერია,
როგორც ფერიას, მით მეც გული გადამერია.
სიფხიზლისაგან ჩემი ტკინი არის მწუხარედ,
ჩემ გონებიდან ის ფერია არ გადის გარედ.
რომ დავიძინებ, ჩემი თვალი სხივით ინთება,
ფერია ძილში ჯი არ მაძლევს მე შვების ნებას.
ფერიის ვნებას იგი გულის წიაღში ეძებს,
არა ნამენში, ის დანგრეულ ძველ სახლში ეძებს.
ნამდვილად ახლა ის ფერია, ჯადოდ ქცეული,
იმ ნანგრევებში იმალება, ვით განძეული.[423]
თუ იგი განძი ნანგრევიდან გამოვა გარეთ,
მარგალიტივით მას გვირგვინში ჩავისვამ ბარემ.
ვფიცავ შენს ნარგიზთ, ჯაცს რომ ცეცხლის შეუნთებს ალებს,
ვფიცავ შენს ჯავებს, ჯაცთა მკვლელებს ვიფიცავ ჯავებს,
ბოლს რომ უშვებენ სამრად და მიჯნურთ რომ ცლავენ;[424]
ვფიცავ ხალხალებს, გულსაამოდ რომ აჟღარუნებს,
ასი წლის მკვდარსაც ჯვლავ სიცოცხლეს რომ დაუბრუნებს;
იმ მარგალიტებს ვფიცავ, ლალის ყუთში რომ იცავ,[425]
შენთა ბაგეთა თაფლს და ბადაგს ვფიცავ და ვფიცავ;
ვფიცავ შენს კულულთ გვირგვინის ქვეშ ლამაზად დახრილთ;
იმ შენს ნაწნავებს კოჭებამდე, ძვირფასო, დახრილთ;
ვფიცავ სინაზეს, სხვა ბეგარა რომ არ სჭირდება,
თვით სინაზეზე უკეთესი აქვს მას ღირსება;
ვფიცავ მის ორ წარბს ერთნაირად მოწნული რომ აქვს,
ვით ორი თუღრა მოხატული საფიცრად მომაქვს

ვფიცავ წამწამებს, ისარივით რომა ჩხვლეტს ყველას,
ვისგანაც თვითონ ჭარუთსაც ჯი არა აქვს შველა;
ვფიცო თვალები, – საყვედურით რომ მაწვალებენ:
„ვერსად წამიხვალ, მე შენ ვერსად დამემალები!“
იმ მოვლენისგან, თვალს მით წყალი რომ დაელევა,
რომელსაც მთვარის სხივის ძვირი არ დაელევა;
ვფიცავ ნაწნავებს, რომ უბია ციხის ქამანდად,
ვფიცავ მის საროს, თავი ასე ზე რომ ამართა;
გველსაც რომ ხიბლავს მისი თმები, დაყრილი მხრებზე,
რგოლებად ხტიან საყურენი იმის ყურებზე.
[იმ მუშაის მარცვალს, იმის შუბლზე რომ არის, ვფიცავ,
თურქეთს ზანგების შეუსია ლაშქარი ვინცა;]
ვფიცავ იმ ნარგიზს, თვით ნარგიზს რომ წაართვა ძალა,
ვის სუნბულის წინ თვით სუნბული გარდაიცვალა;
ოცდათორმეტი მარგალიტი ვის უძევს სველი;
ვის აქვს ბოქლომი იაგუნდის, ჩასაკეტელი;
ვფიცავ იმ ორ ნუშს, ორი ნუში აქვს გამზადილი, –
იმის ორ უნაბს, – უფრო რომ აქვს შაქარზე ტკბილი?[426]
ვფიცავ, ნიკაპის ჭა რომა აქვს წყაროზე მთვარის,
გული იმ წყაროს წყალით მხოლოდ ცოცხალი არის;
ვფიცავ მის ღაბაბს, რომ დაყვება სახეზე თაფლად,
თითქოს წყლის ჩქერი დაიქცაო მზისაგან, დაბლა;
ვფიცავ იმ ვერცხლის ორ ბროწეულს სწორუპოვარსა,[427]
სიმრგვლით ნოვრუზის ნარინჯისა მსგავსსა და დარსა;
ვფიცავ მის მკლავებს, მისი ვერცხლის მკვლავებსა ვფიცავ! –
იგი ისაა, აელვარებს თეთრ მკლავებს ვინცა;
მის სინაზეში მოჩანს მისი შუშის სხეული,
მაგრამა იგი ოქრო არის ვერცხლში რეული;
მის ვერცხლის ტანის შესახებ ხმას არ ამოვიღებ,
და თუ ჯი ვიტყვი, იმ ღამით ძილს ვერ მოვახერხებ.
ვფიცავ, მის ფეხთა მტვერსა, ვფიცავ და ჯიდევ ფიცით,
ვიფიცავ იმას, რისი ფიციც ძალმიძს და ვიცი, –
თუ მე ხელს მომცემს, ჩემი საქმე იყოს მის ხელში,
მას მივაკუთვნებ ყოველივეს ჩემს სიცოცხლეში,
ჩემი ხელიდან აღარ წავა, სანამ ვიქნები,
მე ქვეყნის მეფე და იმისი მონა ვიქნები!“

ნაქისას სიმღერა შირინის პარნახით

როცა ბარბადმა რუდს ის ჰანგი დააშვებინა,
ნაქისამ ხელად თავის ჩანგზე დააღიღინა.
„ჰისარის" ფარდით ააჟღერა თავისი ჩანგი
და ჯარავიდან გამოვიდა უბიწო ჰანგი:

„შენს სავალ მიწად იქცა გული, ჰოი, შენ სარო,
მე, როგორც მიწას შენი ჩრდილი მსურს დავიფარო.
ჩემს თმათა ქამანდს მაგ შენ ჯისერს რისთვის არიდებ?
ჩემებრ თოკმობმულს ყელზე ხელში შენ ვერ ჩაიგდებ.
თუ ქედმაღლობას გამოვიჩენ, ვით მეფეები,
თოკით ჯისერზე მოვალთ შენთან, როგორც ტყვეები.
ვერ ჩასტევს ზეცა ჩემი სახლის ვიწრო ჯედლებში,
ორ დიდ ქვეყანას ასეთნაირ სუსტ ნანგრევებში.
ჭინჭველის ხვრელში სპილოს ფეხი ვერ ჩავა ცალიც,
ჯოლოს ვინ მისცა საბრძოლველი ფასკუნჯთან ძალი!
ცის ტრიამელი ვერასოდეს ვერ ჩავა ჭაში,
ვერ მოთავსდება სამოთხე თვით ერთ ღერ ბალახში.
როგორ ვაკადრო მეფეს იგი (მე ასე ვგრონებ),
მეფეს ჯი არა, ეკადრება არც მეფის მონებს?!
რომ გაგაჯავრე, ნუ მიაქცევ მას ყურადღებას,
იმას შეხედე, შენი ტრფობით ახლა რა დღე მაქვს,
იმ დროს, როდესაც თხოვნას არ აქვს გზა წასავალი,
უნდა მშვილოდე და მხედავდეს მოწყალე თვალი.
მე საბოდიშოდ მომაქვს ჩემი ცოდვები მთელად,
მზად ვარ შენდამი გამოვწვადო ხელი საშველად.
ვაკოცებ მიწას მორჩილებით ძირს თავდახრილი,
მამცნობს შენდობას შენი ქოსის მაღლა ძახილი.
მე ამ ჩემს სახეს იმოდენად მიწით გავხეხავ,
რომ მე იმ მიწით სახის ცოდვებს ჩამოვიფხეკავ.
მე შენს ხალიჩას ჩემი სახით ისე მოვთელავ,
ჩემი იღბალი შენს საქციელს აცნობებს ყველას.
ვარსკვლავი, იცი, ხოლმე მთვარის შიკრიკი არის,
ვეახელ მეფეს, შევასრულო ბრძანება მთვარის.
მთვარის განგება შენთან ამბად მომაქვს, ის არი
შენსკენ რომ ასე მისწრაფა მე, როგორც ისარი.
ზედმეტი ტრფობით მე შენდამი მიდუღდა გული,
ამბავი მქონდა შენთვის ჩუმად გადამალული,
მოციქული ვარ, რომ გაცნობო ამბავი ამო,

შენთან, ძვირფასო, დღეს მოვსულვარ მე ამის გამო.
თუკი ბაშვური საყვედური ყურს ჩაგაწვეთე,
გამოვისყიდი, მაპატიე, შემინდე, მეფევ!
თუ ჩემი ენა მე ცეცხლივით ავაელვარე,
ჰა, ორი ლალი მაგიერი, აიღე ბარემ!
ჩემმა ხუჭუჭმა თუკი შენგან შორს გაიწია,
ამ შორს გაწევით დიდ ზრდილობას მან მიაღწია.
თუკი თურქივით მქონდა მაშინ თვალები ვიწრო,
დღეს ვაჟკაცურად ბოდიშს ვიხდი, შემინდო ვინძლო![429]
ჩემმა წარბებმა თუმცა მშვილდი მოღუნეს, მაგრამ
ისარს არ გესვრის, მიდი, ხელში დაიჭი მაგრად.[430]
თვალმა ისარი თუ გესროლა შენდა საწყენად,
შენი მტვრით წამალს გააკეთებს მის მოსარჩენად.
თუ ჩემი თმები შენთვის მქონდა აშლილი ასე,
შეხე, დავსაჯე, ბორკილების რგოლებში ჩავსვი.[431]
ვით ცეცხლის ალი, შენს ჯარებთან მოვსულვარ გზნებით,
დავდებ სიცოცხლეს, ვით სანთელი ცეცხლმონადები.
თუკი ჩემდამი ალინთები სისხლის ალებით,
არ გაგექცევი, მოდი, მაჭდე გულზე დაღები!
შენთან შეყრის დროს ჩემი საქმით თუ დავსუსტდები,
მე ცრემლთა ფრქვევით მაგ შენს ჯალთას მოვეჭიდები.
თუ ტუჩთა ლალით ჩემ სისხლს შევსვამ ამაზე მეტად,
ჩემს მარგალიტის ჯბილებს იმას გავუყრი ერთად.
ჯერ არვის ჩემი ბალის ხილი არ უგემია,
იმისი ჯარის ჯლიტე ვერვის მოუძებნია.
ვინც ჯი შენს გარდა ჩემს ბროწეულს გაუწვდის ხელებს,
მას თვალთმაქცობის ჩემის ღვინით გონს დავუბნელებ.
იმ ტუჩის გარდა, შაქარი რომ პირზე აჯდება,
ჩემი ნუშისგან საჭმელად სხვას არა რა ხვდება.
როგორც თხილს, თავზე თუმც მარტყამდნენ, ძვირფასო, ქვასა,
ჩემი უნაბი არ მოხვდება შენს იქით სხვასა.
თუ ვინმეს ჩემი პირის ფისტა მოესურვება,
იმას ფისტასებრ დავცინებ და მივცემ ურვებას.[432]
ამ ჩემ თურინჯთან ვინმეს საქმე თუ მოუხდება
თურინჯის გამო მისი ფეხი ეჯალს მოხვდება.
ხურმის მკრეფელმა ჩემი ხურმა თუკი ინება,
ჩემგან ეჯალის გემო-ღა თუ ეცოდინება.
იმისი პირი, ჩემ ვაშლს ვნებით რომ შემოჰყურებს,
ბალანასავით სანთლის ვაშლით მას გავაცურებ.[433]

მზის ქვეშ თუ მთვარის ზევით ვინმე გამოჩნდეს, მასაც,
შენს გარდა, ჩემი ხილისას არ ვაჩვენებ გზასა!"

ბარბადის მიერ ღაზელის თქმა ხოსროვის ჯარნახით

ნაქისამ თავის ჩანგზე დაჯვრა რომ დაასრულა,
ბარბადმა მყისვე შემოსძახა გულმხიარულმა.
თავისი ჩანგი ტაბილი ხმითა მან ააჟღერა.
და „რასთის" ჰიმნით მან დაიწყო ღაზელის მღერა:
„შენსა ქუჩაზე, ჰე, სანთელო დიდი სიჯეთის,
მგონია ზეცამ თხის ჩლიქები მაჩვენა-მეთქი.
თუნდაც ცხვარივით გამიმეტო თავმოსაჭრელად,
მაინც შენს ჯართან, როგორც ძაღლი, მოვირბენ ხელად.[434]
გულს თუ წამართმევ, არ მაწუხებს ამისი დარდი,
უგულობასა მე სიჯეთით ვერაფერს ვადრი.
ტანი, რომელსაც აღარ ძალუძს ზიდოს ეს გული,
სატრფოზე დარდი ვით იტვირთოს, ეგოდენ ჯრული!
და თუკი საქმეს ჯვლავ ეწევა ჯაცი ტანჯული,
არ უნდა იყოს გული საქმეს დაშორეული.
[გულდაჭრილი ვარ დარდისაგან, მდის ცრემლის ღვარი,
უგულო გულის და სატრფოსი ვარ მაძებარი,]
ძალიან ვცდილობ, შენს ტრფობაზე ავიღო ხელი,
რამეთუ საქმეს არ მიეცა შენგან საშველი.
გულს არ შეეძლო შენი საქმის გვერდის არება,
არც ამ გულიდან შენი ტვირთის ჩამოშორება.
ვიფიცავ შენს თავს, საკუთარზე რომ მიყვარს მეტად,
უშენოდ სისხლში ვიხრჩვები და რა მიხსნის ნეტა!
მაგ შავი თვალით, შველის თვალებს რომ შეედრება
და შველურ ქცევით ჩემს თვალებში მტვერი მეყრება.
შორსა ვარ შენგან უიმედო, ხელაღებული,
როგორც ატომი მზისა სხეულს მოშორებული;
გაგშორდი მე შენ და ტანჯვის მეტს ვერას ვეღირსე,
ვარ დაგდებული, როგორც თევზი, ზღვისგან ნაპირზე.
ჩემი არსება არის როგორც მთვარე ღრუბელში,
შენ იცი ჩემთვის: თავზე თაჯი ან დანა ყელში!
თუ სამყაროში ახლად იშვა შენი მშვენება,
შენც ბრძანე ახლად მოწყალების წინ დაყენება.
როცა ვაქციე ჩემი თვალი მე შენს ადგილად,
შენს ფეხდანადგამს ერთი ღამით ვჯოცნი მე ტაბილად.

იცოდე, ჩემ ტუჩს თუ ღიმილი ზედ აფენია,
უეჭველია, მკვდარს სიცოცხლე კვლავ შერჩენია.
მოდი, გათოშილს ერთი ცხელი კოცნა არგუნე,
შენი სურნელით მკვდარს სიცოცხლე კვლავ დაუბრუნე!
მახარებს მუდამ შეხედვა მე შენი სახისა;
ჯურთხეულ იყოს გაგონება მაგ შენი ხმისა!
[სახლი და ჯარი მეგობრისათვის მაქვს შენირული,
შენი სურნელით გავაცოცხლე მე ჩემი სული.]
მარცხად ის იქცა, ჩემი თვალი შენით ვერ ხარობს
და მიფრთხი, როგორც ავთვალს უფრთხის სიცოცხლის
ნყარო.
იგი ღვთის მიერ შექმნილია ჩვენთვის ამხელად,
ხორცით და სულით მოავლინა ჩვენ სახილველად.
იმედი არის, შენზე ტაძვა გულზე რომ მაწევს,
ერთ დღეს ჩემს ღამეს სანეტარო დღედ გადააქცევს!"
როცა შირინმა ოსტატობა ბარბადის ნახა,
თავისი საქმე, ასეც იყო, ეჩვენა გლახად.
ახალი ჰანგი მან გულიდან რომ ამოყარა
და თავისი ხმა თვის მეჩანგეს გადააბარა:
„იმღერა ისე, მოეკვეთოს ხელმწიფეს გზანი,
რომ ვერ დაგვიდგეს და არ მოჰყვეს მას ჰანგნი მზანი!"

ნაქისას სიმღერა შირინის პირნახით

ნაქისამ ჰანგის მიმოქცევა მოაჯადოვა,
და ეს ღაზელი მან „რაჰავის" ხმას ჩააქსოვა:
„შეეწყვე, სატრფოვ, სატრფოს, თუკი ის იტანჯება,
დღე გუშინდელი წარხდა, დღეის დღეც ალარ რჩება!"
გახსენი კვანძი ჩვენთან როა ჯერ გაუხსნელი,
სიცოცხლე გარბის და იმან სვლა არ იცის ნელი.
მეგობრობაში შეიკარი შენც მაგრად ჰირი,
რადგან მეფობას არ აქვს, არა, მაგარი ძირი!
საწუთროს ფუძე ძლიერ სუსტი და უნდო უძევს,
ასეთ ფუძეზე ასე ფუჭად ნუ დაეფუძნე!
ორმოცდაათი წლის სიცოცხლე, თუნდა სამოცის
გიღირს რაიმედ? ტყულა ცდები და ფუჭად მოცდი.
აქ ბევრი ტაფა უკერძობით გაცივებულა,
საკაცო კერძი ძალლის მიერ ბევრი შეჭმულა.
მადლი იქნება, რომ ამალამ დავლიოთ ღვინო,

ეს შეგვერგება, ხვალ იქნება ჯვლავ მოვიწყინოთ.
ხვალის იმედის მოლოდინში რომ ალარ ვიყოთ,
უნდა ამაღამ ჩვენი საქმე მოვაწესრიგოთ.
ქვეყანამ ბევრი მოგვაჩვენა ცრუ მანქანება,
ქვეყანას ჩვენ რომ არ ვიცნობდეთ, რას ემგვანება?
გაზაფხულია და მოლხენას მიჰყავი ხელი,
წყლის ყოველ დროში ჯი არ მოვა ახალი წელი.[425]
თუ ვარდის ყვავილს არ დაყნოსავთ ჯაცთმონაგარი,
ძირს რომ დაცვივა, იმას ჩქარა წაიღებს ქარი.
ვარდი მაშინ სჯობს, ვარდის წყალი სანამ ექნება,
წყალს რომ გაუშვებს, ვარდი შემდეგ მალე დაჭკნება.
იქ სადაც ოქროს ჯეცის ადევს დაბალი ფასი,
მე რას გავხდები, – მე – სპილენძი რომა ვარ ნასი!
სად წვეთი წყალი და სად ჯიდევ ნაპირი ზღვისა,
ციცინათელა სად და ჯიდევ სად პირი მზისა!
შენი ბაზარი თუჯი არის სიჯეთით სავსე,
ჩემებრ ქესატსაც ნუ დატოვებ უმწეოდ ასე!
იყიდე ჩემი საქონელი იაფი ასე,
ერთ დღეს, რა იცი, მოემატოს იქნება ფასი.
თუჯი სისწორე და სიმაგრე საქმეს ექნება,
თუნდ დაზიანდეს, საქმისათვის ჯვლავ გამოდგება.
ბაჯალღო ოქრო თუმცა არის ბეჭედდასმული,
მისი ნაფხვენიც არ არის ხომ ფასდაჯარგული.
შენ შენი ტრფობის საყურეს რომ ყურში მიჯეთებ,
წვალებით ნაყიდს გასასყიდლად ნუ გამიმეტებ!
მე იმასა ვთხოვ ჩემს სიცოცხლეს და სიყმაწვილეს,
შენთან ყოფნას და ცხოვრებას თუ გამიადვილებს.
შენი ამბავის მოლოდინში დავცქვიტე ყური,
სხვის ამბავს იგი ვერ დაიტევს, ნურმც მეტყვის ნურვინ!
მაგ შენი ტრფობის გამო ახლა ვარ დამაშვრალი,
ლვინონასვამი ჩემთვის ჩუმად და მარტოდ მთვრალი.
შენი ჩრდილი ვარ, სულ შენ დაგდევ და ვხარობ მითა, –
მე ვერ მომჯეთონ შენგან, თუნდაც მეჯეთონ ხმლითა.
არ გაგშორდები, სანამ თავი არ გამშორდება,
თუ არ დავეცი, შენგნით წასვლა არ მოხერხდება.

სანამდე უნდა გეალერსო ოცნებით მხოლოდ,
როდის გეწევი? ტანჯვის როდის დადგება ბოლო?
ის გასაჭირში, რაც აქამდე მე მაქვს ნახული,
ვით მეტრიბთ ჰიმნი ხმასთან ვიყავ შეფარდებული,

ახლა ჯი სისხლის ფარდაში მსურს ვიყო მდუმარედ
და როგორც ულვა იმ ფარდიდან გავარდე გარეთ.
და თუკი ჩირაღს დასახარჯად არ ექნა ქონი,
ვერ გაანათებს არე-მარეს ის ისე, მგონი,
შენ დაგაძინებ, წითელ ღვინით მე დავითვრები,
მოვილხენ მთვრალი, შენ სიამის ძილში იქნები.
როგორც თუთია, ჩემი ქცევა შენ წამლად გარგებს,
ამით ხან ჯოცნას გამოგტაცებ და ხანაც – დარდებს.
მე შენს ხუჭუჭებს ჩემს თმებს ჯვანძად მოვუჭერ თანაც,
ხან გავიცინებ შენის უშხით, ვიტირებ ხანაც.
ეს ჩემი გული შენს ბეჭდის თვალს რომ მოეხვევა,
ეგ შენის ხელის სახელოც ჯი არ შეირხევა.
ისეთ სიფრთხილით მეყოლება გულში ჩაკრული,
იქნება შენი პერანგისთვის ის დაფარული.
როგორც თვალთმაქცი საიდუმლო თამაშს ახერხებს,
მეც შიგ ფარდაში ვით თოკინა ხტომას დავიწყებ.
თუ ჩემი ხელით ამნაირი რამ მოგვარდება,
ამ ჩემს ეულებზე ყვავილნარი ამომწვანდება.
ღმერთო მაღალო, გამარჯვება მარგუნე შენა,
შენ დამიფარე გასაჭირში უფალო, ზენავ!"

ხოსროვის ყურებს ამ ბაითმა რომ მიაღწია,
თავისი ყოფნის სამოსის მან ჯალთა დახია.
წამოიყვირა უშველებლად: „ჰოი, ბარბადო,
იქნებ ყალიბში ჩემს სიცოცხლეს ღონე მოჰმატო!"

ბარბადის სიმღერა ხოსროვის კარნახით

როცა ნაქისამ მოუკიდა შაჰს ცეცხლის ალი,
ბარბადმა მასზე გადაასხა ქებათა წყალი.
რომ შემოსძახა ოსტატურად თავის ტკბილ ხმაზე,
მისგან ნაქისას ჩანგი დადგა ხელად ყირაზე.
იმან შაჰს შიში განუფანტა შფოთის მომგვრელი,
და „წირავქანით" დაამღერა ესე ღაზელი:

„უკაცრავად ვარ, ჰოი ტურფავ, ბოდიშის თქმაზე,
ასი ბოდიში მომაქვს შენთან ყოველ ცოდვაზე.
მე შენს ბრძანებას თავხედურად რომ გავექეცი,
იმისი შფოთის გამო შევსვი შხამი ასკეცი.
ვგრძნობ, რომ რაც ვქენი, იმით ცოდვა მე ჩავიდინე,
მაგრამ ბოდიშად ჩემი ცრემლი წარმოვადგინე.

ვწუხვარ, რაც ღვინო მე უშენოდ შემისვამს დღემდე,
სინანულში ვარ ყველა მისთვის, რაც გავაკეთე.
წაშალე ჯალმით ურცხვი სიტყვა, რაც მოგახსენე,
ბოდიშს მოვითხოვ შენგან, ცუდი რაც მოგაყენე.
ამიერიდან შენს ფეხიდან თავს არ ავიღებ,
შენი სასახლის მტვერ-მიწიდან თავს არ ავიღებ.
ამ ცალი თვალით სახლში შენ არ გაგეშორები,
მეორე თვალით შენს ფეხის მტვერს ვეამბორები!
ძაღლი ვიყო და ძაღლზე ცუდი ჩემის არსებით,
თუ შენზედ არ ვთქვა ჩემი გულის სიღრმიდან ქებით.
მთელს ჩვენს ყოფნაში ჩემდამი ეგ შენი სიკეთე
სალამი იყო და ის ჯარიც შენ დამიკეტე.
თუ ვერ შეიძლებს ყური შენი სიტყვის მოსმენას,
შენს სახსენებლად მე ხელახლა ავიდგამ ენას.
ამ გულის წვისგან თუ რომ ოხრა არ ამომხდება,
თუკი მე მკითხა, მით ზარალი არა მოხდება.
შენი კითხვისგან მე იმედი შორსა მცილდება,
თუ შენ მახსენებ, იმით ყოფნა მიადვილდება.
არა გაქვს გული, რომ ჩაიკრა ეს ჩემი მკერდი,
და თუ გაქვს ეგ შენ, მე არა მაქვს ეგეთი ბედი.
შენი ტანჯვისგან, ჰოი, სულო, მეც ვიტანჯები,
ნუ მკითხავ, რომელ მიწისგან მე წარმოვსდგები.
შენ ნებისად ხარ, მე გული სულ გადამერია,
თანხმობის ძებნა მეგობარში შესაფერია.
თუ შეგიძლია, შენ მე ტკბილად მომიალერსე,
თუ სული შემრჩა, მსურს როგორც შენ, მოგექცე ესე.
მე მიჯნური ვარ, ჩემგნით ტანჯვა არ დაიგმობა,
შენ კი სატრფო ხარ და ტანჯვასთან რა გესაქმება?
შენ თანამიგრძნობ მე თუ არა, მე მაინც ეს ვარ,
დავიწვი მარად შენს ტანჯვაში ისე, ვით დღეს ვარ.
თუ არ მექნება მე მეტი დღე შენს სახილველად,
შენ იყავ მარად მთელი ქვეყნის მზიურ ნათელად.
თუ შენს სიყვარულს ჩემ სიცოცხლეს შევსწირავ თავად,
შენ მაინც ქვეყნად უნდა იყო მარად უკვდავად.
თუ მე ვერ დავტკბი ყველა ჩემი კეთილ ნაქმედით,
შენ დასტკბი მაინც ემაგ შენი სახით სიკეთით.
შენ იყავ მარად, რომ ეს ბჭობა წარმავალია,
მე ვიქნები თუ არა, იგი რა ზარალია?
შენგამო მთვლიან მე უდღეოდ და ვეუბნები:



ჩემთვის ასე სჯობს, თუ მის გამო ასე ვიქნები.
და თუმცა დღენი რაც მებადა, ქარმა წაიღო,
შენთვის ყოველი დღე სხვა დღეზე ჯაი დღე იყოს!"
როცა ბარბადმა თავის ჩანგზე ჩამოჯრა ხელი,
და დაამღერა მასზე ჰანგი გულმომხიბვლელი,
შირინის გული იმოდენად მან გაახურა,
როგორც ჩირაღის ზეთი, ტვინი ამოუწურა.
ისე მოთქვამდა იგი სარო სწორტანაყრილი,
რომ მის ტირილზე თვითონ შაჰმაც მორთო ყვირილი.
როცა შაჰინშამ თვით შირინის ხმას მოჰკრა ყური,
გამოუცხადა თანაგრძნობა ამხანაგური.
ფარდაში, სადაც შირინ იყო ვნება აშლილი,
მასთან შეწყობით გაისმოდა შაჰის ხმა ტკბილი.
როდესაც ჯაცი საიდუმლოს მთას უკარნახებს,
იმავე სიტყვებს მას უკანვე მთა გამოსძახებს.
აქედან მთვარე სიმღერის ხმას მაღლა უწევდა,
იქედან შაჰი თავის ტანზე ჰერანგს იხევდა.
როდესაც ატყდა მიჯნურების ვაი, ჯივილი,
მაშინვე დაცხრა მუტრიბების ენით ჩივილი.
მეფემ უბრძანან შაფურს: „აბა, ახლავე ჰქენი,
ხოსროვის გარდა დაითხოვე ეს გარეშენი".
[იმის წინ სანამ ჯარავისჯენ ის წავიდოდა,
იმ ჯაჯის ყოფნა იმ დროს ყველას უნდა სცოდნოდა.]
იმ ჯარავიდან ნასმენი ხმით აღელვებული
მყის გაეშურა ჯარავისჯენ გონარეული.
ამ დროს მოვიდა მასთან იგი შაფური ბრძენი,
მოჰკიდა ხელი და თან უთხრა: „იყავ მოთმენით!"
რადგანაც ხოსროვს თავის საქმე ცუდათ მიაჩნდა,
როცა შაფურის ხელი იგრძნო, მაშინვე დაჯდა.
ამის შემდეგ თქვა მან: „ასეთი ხმა გულის მწველი
რა სიმღერაა, განმიმარტე, შენს ჰასუხს ველი!"

შირინის გამოსვლა ჯარვიდან

ამ ამბით შაჰი და შაფური გარინდებული
ხედავდნენ, მიწა არის სხივით ალმოდებული.
ნაზი ფერია ჯარავიდან გამოძვრა გარეთ,
როგორც რომ შავი ღრუბელიდან გამოვა მთვარე.
იგი, ვით შმაგი, სიყვარულით გატაცებული,

დაეცა შაჰის ფეხების წინ სახექებული.
როდესაც შაჰმა სატრფო თავის ფეხის ქვეშ ნახა,
თითქო თავისი თავი თავის ფეხის ქვეშ ნახა.
სიხარულისგან შეექმნა მას გული აღსავსე,
ფეხქვეშ ჯი არა, თაჯი უნდა მას ედგას თავზე!
იმ ტრფობის ალერსს, სატრფოსაგან რომ განიცდიდა,
ჯმაყოფილებით ყოველ მათგანს ათჯერ უხდიდა.
ფეხის ჯოცნიდან საქმე როცა ზევით წავიდა,
ჯოცნის საჩივარს ამის შემდეგ პირი ზრახვიდა.
იმ ცეცხლისაგან, თავის ფიქრში რომ გაიტარა,
შირინის სახეს მწუხარება გადაეფარა.
გაჯვირდა შაჰი, რომ ამჟამად ის ნაზი მთვარე
რად იცინოდა, ან რად გახდა ასე მწუხარე?
ამ დროს შაფურმა ხოსროვს ყურში აცნობა ნელად:
„მთვარე ჩავიდა, ჩანს მიზეზი აქვს უეჭველად.
მიტომ რომ დღემდე თავის თავის ხელში დამჭერი,
ჯარგი სახელით სარგებლობდა ის მშვენიერი.
ახლა ჯი შიშობს შაჰის ხელში გამონავალი,
მთვარის სახეზე სამარცხვინო დაეჩნეს ხალი".
როცა სცნო შაჰმა, რომ ეს თესლი მისგან ღივდება,
არ დაანებებს თავს, სანამ არ შეუერთდება,
შეჰფიცა და თან პირი მისცა: დიდხანს მოიცდის
და უჯანონოდ იმისაკენ ხელს არ გაიწვდის.
ქვეყნის დიდებულთ ჯრებას იგი ერთად მოიწვევს,
ჯანონის წესით შეუღლების ჯისერს აიწევს.
აწ საჭიროა ტკბილი ღვინით ჯამის ავსება,
საწუთროსაგან სხვა ნაყოფი რა ნარმოსდგება?
„ერთი ამ ღამით მხიარული ერთად დავსხდებით,
ერთურთის ცქერით მთელ ქვეყანას თვალით მივსწვდებით".
შაჰის პირობა შირინმა თვით რომ მოისმინა,
ღიმილით მთვარის ვარსკვლავები გამოაჩინა.[436]
იმისი ტუჩი მარგალიტით ზე ამოცურდა,
იმისი თმების ჯულულები ცეკვით გახურდა.
ძვირფასი ოქროს სამკაული ისეთ ხმას სცემდა,
მუტრიბთა ჭკუას და გონებას ტოლს არ მისცემდა,
იმისი ტუჩი ღვინის სასმისს ეწაფებოდა,
იგი რომ სვამდა, მისი ცქერით ხალხი თვრებოდა.
აბა რა დარჩა ნეტარებას მის იქით ნეტა?! –
მთვარე მომღერლად იყო და მზე ჯი – ღვინის მწდედა.

გულს სიმთვრალისგან იმოდენად დაესხა რეტი,
თავის მიზანის მახსოვრობა არ ჰქონდა მეტი.
ტვინი სხვადასხვა გემოვნებას რომ განიცდიდა,
მეტი სიამით ვნებათღელვა სულ დაავიწყდა.
ნელსაცხელებლის სუნი და თვით სახე მშვენება,
სხვა მეტი ლხენა, აბა, ვიღას რალა ენებას!
ჩავარდა მთელად იმ მშვენიერ არსთა თამაშში,
ცეცხლ და წყალ შუა და აგრეთვე ცეცხლსა და წყალში.
ვნებათაღელვა მათში იყო იმდენად დიდი,
როგორც რომ რჯინას მიიზიდავს ხოლმე მაგნიტი.
მაგრამ რადგანაც ფიცი მისცეს ერთმანეთს, იგი
ფიცი დაიცვეს, როგორც იყო წესი და რიგი.
როდესაც ხოსროვს ჩაუვარდა ხელთ სატრფოს გული,
მეტის ლხენისგან შეიქნა თვით გონდაკარგული.
გულს სანთელივით თვალებიდან ღვენთავდა ცრემლად
და მთვარის ფარჩას ვარსკვლავებით ავსებდა ხელად.
თვალის წამწამებს მთვარის სახეს არ აშორებდა,
ტრფობის მაყალზე, ვით საკვეველს, ცეცხლს უკიდებდა.
ხან თავის ნარგიზს მის ფარჩაზე უსობდა შვებით,
ხან თავის სუნბულს მის ქამანდზე აბამდა ვნებით.
ხან მის ვერცხლივით ბრონეულებს ხელს შეახებდა,
ხან კიდევ, როგორც ვერცხლისწყალი, თვით კანკალებდა.[437]
ხან თმის ნაწნავებს თავის ხელით იგი უხსნიდა,
ღამიდან მთვარეს სურნელოვან მუშკს ზე აყრიდა.
ხან თავსახურავს უცაბედად იმას მოხდიდა.
ხანაც მონურად დასახურად თაჯს მიაწვდიდა.
ხანაც იმის თმებს თავის წელზე ქამრად ირტყამდა,
ხან მის ლალიდან ტკბილზე უტკბეს შაქარსა ჭამდა.[438]
ხან იმის აყიყს თავის ხელით უსვამდა ნაზად,
ხან კი ნიკაპი ხელთ ეჭირა ვაშლივით მასა,
ხან სამაჯურსაც მას ხელიდან წამოაძრობდა,
და თავის ხელთან გადაბმული ის თამაშობდა.
ხან ფეხთა ხალხალს მას ფეხიდან წამოაძრობდა,
და ვით ყელსაბამს, თავის ყელზე წამოიცობდა.
და აიღებდა ის ანთებულ ხან სანთელს ხელში
და მას უცქერდა (თავს უჭვრეტდა გულის სიღრმეში),
ხან იძახოდა: „ამ ჩემს ტანში შენი სულია,
ხან: „მე ვარ ეს, მე, მაგ შენს არსში გადარგულია".
იმ გულით წმინდას მან თავისი მიანდო გული,

იმ ღამის ხილვით იყო იგი აღტაცებული.
ვნებააშლილი ორივენი ვნების მოყვარე,
ამძუნებული ლომის მსგავსად იყვნენ მძვინვარე.
სადაფი იმის ვნების ყუთში ჰქონდა ისეთი,
ჯერ მარგალიტს არ შეხებოდა ალმასის წვეტი.[439]
ჯოცნის ხმაური სასმელივით გულს რომ ხვდებოდა,
ორივეს ზოგჯერ დუდუკის ხმაც ავიწყდებოდა.
მედოლე დოლის დაკვრას როცა წამოიწყებდა,
ერთი მადლს სძღვნიდა, მეორე კი ქებით ამკობდა.
თვით ერთი კვირა სულ ამნაირ ტკბილ დღეში იყვნენ,
სული იხარეს, ნეტარებას მიჰყვნენ და მიჰყვნენ.
ყოველდღიურად მხიარულ დროს მოაგვარებდნენ.
მოწყენით იმ დროს ერთ წუთსაც არ გაატარებდნენ,
ღამ-ღამეობით ნებივრულად ნარდს თამაშობდნენ.
და ჯოცნით მასზე ფიცხ ჯამათელს გადაისროდნენ.
მეშვიდე ღამეს, საქმე რომ ვერ მოთავსდა ხელში,
ვნებათაღელვა გადავიდა გიჟ სიმათვრალეში, –
მეფემა ბრძანა, რომ ამ ღამით იმ მნათობ მთვარეს
მის სასახლისკენ გაუნათონ გზის ყველა მხარე.
ვით ვარსკვლავები გაჰყვეს ჯარი ცხენზე შემჯდარი,
ფერიათ გუნდი უამრავი, რამდენიც არი.
ასგვარ ჰატივით წაიყვანონ ის დიდებული,
ვით ნაზი მთვარე, ოქროს ყუთში იყოს ჩასმული!
ვით რიგი იყო, თვის ციხეში ის მთვარე გზიდან
მის სასახლეში მივიდა ის იმ ჯარავიდან.
ის ნაღდი ვერცხლი ისევ ქვაში რომ დაიმალა,
ნაღდი ვერცხლისგან ქვეყნის ხელი სულ დაიცალა.[440]
ზეცამ აუშვა გემი ოქროს იალქნიანი,
არ დარჩა ვერცხლის ნავებისაგან რამე ნიშანი.
შაჰინშამ მყისვე მიატოვა თავისი ბინა,
თავის სატახტო ქალაქის გზა დაიდო წინა.
მოვიდა ქალაქს და უბრძანა დიდი მოლხენა,
მან მოისვენა, ღვინის სმით კი არ მოისვენა.
თავის ნათელი სახის უხვი სხივთ ბრწყინვალებით,
მთელი ქვეყანა განაახლა თვის მოწყალებით.
უხვ ადამიანს სამოწყალო არ დაელევა.
თუ არ სუქდება, მიწა ნაყოფს აღარ იძლევა.
ვერ შეჰქმნის ღრუბელს, თუ ზღვას წყალი არ ემატება.
უწვიმრად ზღვა თვით საწვიმრად ვერ მოემზადება.

უსაქმოდ მავალ ჯაცს ბეგარა არ გადახდება,
უქმ ნანგრევთაგან ჯი ხარჯი არ მოითხოვება.
ვარსკვლავთმრიცხველებს მან ერთ ღამეს ასე უბრძანა,
რომ ახსნან ძნელი და ადვილი მათ გამოცანა,
რომ გამოძებნონ ბნელ ღამიდან რამ შესაფერი,
რომ ნათელ აზრით გააშუქონ დღე ბედნიერი.
რომ ვინძლო ტახტი გულმომხიბლავ ნათელ მთვარისა
იქ მიიტანონ იმ დღეს, სადაც ბურჯია მზისა.
მეცნიერებმა სიძნელენი განსჭვრიტეს თვალით
და ბედნიერად აღიარეს მის მომავალი.

ხოსროვის მიერ შირინის წაყვანა ჯოშკიდან მადაინს

საბედნიეროდ ფირუზისფერ ტახტზე ასული
დილის დედოფლის ბედი იქნა გამარჯვებული.
შემოიძარცვა იმ ქვეყანამ შავი სამოსი,
ქვეყნის დედოფალს სამაჯური ჰქონდა ოქროსი.
შაჰს საქორწინოდ ყველაფერი ჰქონდა მორთული,
თვისი სიუხვით მზესაც შურით დაწყვიტა გული.
ათას აქლემზე შავთვალება, ყველა ჯანმრთელი,
ფერად წითელი და ხალხალი ჰქონდათ ყვითელი.
ათასი ცხენი, – მორთვით ტოლი სად ეყოლებათ!
ოქროს უნაგრით მოჯაზმული, რჯინისფოლება,
ათასი ჯორი, – შავთვალება და ღამის ფერი,
სამყაროს რბენა არ შეეძლო მათ შესაფერი.[441]
ათასი ტურფა ბრონეულის მჯერდიანები,
ყველა იმათგანს ჰქონდა სახე აშლილი ვნებით.
ათასი იყო ჰირბადრი და ფარჩით მოსილი,
ქუდებში – თვლები და საყურე ყურში გაყრილი.
სავსე ყუთებში და აგრეთვე ხაზინა მთელი
ჰქონდათ ძვირფასი მარგალიტი დაულეველი.
ფარჩა ოქროთი მაფრაშები რომ სავსე იყო,
ასი ჯი არა, მგონი, მეტი ხუთასზე იყო.
იმდენი იყო ოქრო და თვით ფარჩა ჩინური,
ქვეყნად ვერ ნახავს და ვერ ისმენს თვალი და ყური.
ფარშევანგივით ჰქონდათ ჭრელი ათი ემარი
თითო ფარშევანგს ჰყავდა თითო ჯაჯაბი წყნარი.
ოქროსგან ერთი ტახტი ჰქონდა გამზადებული,
იმ მთვარისათვის იყო იგი გაჯეთებული.

იმ ბისოთუნის საზღვრიდან თვით თაღგერამდე
რბოდნენ ცხენები, დარახტულნი, ჭიხვინით ცამდე.
უთვალავ შუბმა დედამიწა მთელად დაჰფარა,
დროშათა ტალღამ ჰავა წითლად ააელვარა.
გზაში გამყოლი ლამაზები, თაფლივით ტკბილნი,
ემარები და ტახტრევნები იყვნენ განვდილნი.

შაქრის მფრქვეველმა დედოფლებმა მთელი გზის მხარეს,
ფარჩის სამოსი შაქრისფერად უქციეს მთვარეს.
ჰირნათელებმა თვალთმაქცობით სხვადასხვა გვარით
ხალებით მუშაი შეამზადეს, ტუჩით – შაქარით.
თმების გარშემო ყოველ საროს ანაზდეული
ერაყულ წესზე ჰქონდა ბანდი შემოხვეული.
უნაგირს გვერდით ცხენები რომ ჰყავდათ მორთული,
მუშაის მათრახი გააჯეთეს თმისგან მოწნული.
თმის ნაწნავებზე დაიყიდეს ლულუ-ზარები,
იყვნენ ნამდვილი მარგალიტის შესადარები.
ისეთი სხივით, ისეთი რამ, ისე ბრწყინვალი,
ისე მორთული, რომ შორს მათგან მტრის ავი თვალი
თითო მათგანი ლხენის ეშხით იყო გართული
ყველა ცდილობდა, რომ მოეგო შირინის გული,
თხილის მაგიერ ჰქონდა იმათ თავზე დაყრილი
მარგალიტები, მარგალიტი თხილივით მსხვილი.
ვარდის მეგიერ დაუყარეს მუშაი სურნელი,
მშრალი ოქრო და მარგალიტი ჯერ ისევ სველი.
ყველანი გზაზე მარგალიტებს უხვადა ჰყრიდნენ,
აძლევდნენ შირინს და ჰატივით თავებს უხრიდნენ.
როცა მოვიდა შირინ ქალაქ მადაინს ტახტით,
გაივსო იმ დღეს მიწის ჯალთა ქვეყნის სიმდიდრით.
ყოველ ნაბიჯზე, ყვავილებით რომ დაიფარა,
შაჰმა ფეხთა წინ მარგალიტი მიმოუყარა.
შაჰი დირემებს აქეთ იქეთ იმოდენს ჰყრიდა,
ახლაც ამოდის ის დირემი თევზის ზურგიდან.[442]
ძირს ჩამოვიდა სამეფოში ამ ჯემშიდისა
ვით ვერძის ბორჯში ბრწყინვალება შესული მზისა.[443]
მეფემან უხმნა მის ქურუმებს იმ გულხმიერებს,
ამ საქმის მცოდნეთ, გამოცდილ პირთ, დიდ გონიერებს,
შირინის საქმე მთელ შეკრებილთ შეატყობინა
(მათთვის რომ სულიც დაეჭირა, ვინ იყო, ვინა!):

„შირინი გახდა მეგობარი და ჩემი წყვილი,

რა უნდა მქონდეს, რომ არ ედოს მას მასში წილი!
წმინდად მოსულა, ზნედაცული ჩემს სიყვარულში,
ვის შეუძლია ამგვარი რამ რომ ექნეს გულში.
თუ შევუღლდებით, ახლა მისი ადგილიც არის,
ქედს ავიმაღლებ მასთან და ეს ადვილიც არის.
ღვინო, ისა სჯობს, ვარდს და ჯამს თუ ერთად შეხვდება,
ხოლო ფრინველი – თავის ტოლის გვერდით დასტებება.
თუ ხარს არ ექნა მის უღელში ტოლი შებმული,
მარტო სახნისით ვით იქნება მიწა დახნული?"
სუყველამ შუბლის ნაოჭები გახსნა იმხელად
და გაეშურნენ იმ წუთშივე საქმის საშველად.
ხოსროვმა შირინს სტაცა ხელი ხელში გაბედვით,
იხმო ქურუმი თავისთან და უთხრა: „დაჯექი!"
მის შესაფერი მან დაიწყო სიტყვა მხატვრულად,
ქურუმთა წესი შეუღლების დაიცვა სრულად.
ეს შეუღლება საერთოდ როს გამოამჟღავნა,
ცალჯე ჯარავში ამის შემდეგ ის გააგზავნა.

ხოსროვის და შირინის ქორწილი

როცა განგება გაახარებს თვალწარმტაც ვარდებს,
ადამიანებს გადულოცავს, ნაფერებს ადრე.
იღბალი გვირგვინს მოამზადებს მეფისთვის ჯერე,
ხოლო ხელმწიფეს ამის შემდეგ ახურავს, მერე.
ზღვიდან მარგალიტს ამოიღებს ჯაცი მყვინთავი,
მცირე ხნის შემდეგ მით რომ მორთონ ხელმწიფის თავი.
როცა შირინი უტკბილესი გახდა შარბათზე,
აცნობეს ხოსროვს: „აბა, სინჯე ესე შენს ბედზე!
შესვი ეს ჯამი, ვიცი ტკბილად გულზე მოგხვდება,
შირინის გარდა სხვა ნამდვილად დაგავიწყდება".
მან ტკბილი ენით, მის სახელს რომ შეეფერება,
შეატყობინა, ვით მოითხოვს გონიერება:
„ჯამითა ღვინო ნუ გსურს ამღამ შენ შესასმელად,
მე გყავდე ღვინოდ და აგრეთვე ღვინის დამსხმელად!
ვერ შესვამ შარბათს, თუკი გიყვარს ღვინო ფერლალი,
ვერ იქმ, რომ იქნე ერთი გულით ორგვარად მთვრალი.
სიმთვრალე რომ ჯაცს თავში ბოლად აუვარდება,
ახალი მწვადით და შაშხით რა გაუხარდება?
შემდეგ სურვილი, თუკი ისევ მოუბრუნდება, –

მთვრალი ვიყავო – იტყვის იგი, და მთვრალი ხდება.
თუ ასჯერ უფრო ლოთი საქმეს წამოიშველებს,
ფხიზელი თუა იგი, ფხიზლებს გაუწვდის ხელებს.
ბევრი ლოთია – სახლის ჯარი გააღო თავად,
შემდეგ აყვირდა თვითონ ქურდის გასალანძღავად".

და მოეწონა აჯამის შაჰს ეს სიტყვა თქმული,
თქვა: „ქალის სიტყვა არის დიდად მოფიქრებული!"
ო, რა დღე იყო, რა ქეიფი და რა დალევა,
მწუხარებასაც ასე უნდა ზოგჯერ დაძლევა.
ნაქისას ჰიმნი და ბარბადის ხმა რომ ისმინა,
თვით ზოჰრამ შუბლი გაუერთა მიწას მათ წინა.[444]
ზოგჯერ მერქიფეს შეესმოდა რუდის ძახილი:
„მოიტა ჯამი, რომ მით ვიგრძნობთ სიამე ტკბილი!"
ზოგჯერ თვით ბარბადს ეტყოდა თვით ჯამიდან ღვინო:
„დაუჯარ, ამ წელს ჯეთილი დღე რომ შეიძინო!"
მეფემ შირინის სადღეგრძელოდ აიღო ჯამი,
აავსო მწარე ღვინითა და შესვა სიამით.
ყოველთვის ასე სვამდა იგი ჯამს მხიარულად,
ნეტარებაში გაატარა ის ღამე სრულად.

რომ მოახლოვდა დრო სალხინო მოსვენებისა,
წავიდა სიძე დედოფალთან თავის ნებისად.
ისეთი მთვრალი იყო, რომ სულ ხელითა ზიდეს,
ტახტის მაგიერ ბოლოს ზურგზე წამოიყიდეს.
როცა შირინმა იმ საწოლში ცნობა მიიღო,
რომ მთვრალი შაჰი ნახა და თვით მარტოჯა იყო,
დაფარა ყველა, რაც რამ ჰქონდა მას უკეთესი,
იყო შირინი სხვა წყვილთაგან უფრო უტკბესი.
ხუმრობდა, აბა სხვანაირად როგორ იქნება
მიჯნურთან, ვინაც ამნაირად თრობა ინება.
ჰყავდა მას ერთი დედაბერი, ძალიან ბერი,
დედათა სქესს მას ასხვავებდა ძალიან ბევრი.
თუ სწორედ ვიტყვით, იყო იგი მგლის ნაშიერი,
არა მგლის ლეკვი, არამედ თვით მელა ცბიერი.
ორი ძუძუ, – ვით გუდა უწყლოდ გამოჩუტული,
მუხლიდან – ღონე და ტანიდან სითბო წასული.
მშვილდებრ მოხრილი, ჯუზიანი, დამჭკნარი, გველი,
ზურგზე მას ჯანი ჰქონდა, როგორც ტყაპუჭი სქელი.
ლოყებზე როგორც ინდის თხილი სულ დახაზული,
ვით მყრალი ჯვახი, ვით შუშაში შხამი ჩასხმული.

ლაფშები ჰქონდა გადმოყრილი, წინ წაშვერილი,
მხეცის მაგვარი რაღაც უშნო და დაფჩენილი.
წარბის ბეწვები ტუჩებამდე ჩამოშვებული,
ხახა მას ჰქონდა ხაფანგივით ჰირდაღებული.
ცხვირი ჯი არა, წინ ეკოსა დიდი ყარავი,
ყბილი ჯი არა, – ორი ღოჯი გულშემზარავი.
წამწამგაცლილი თვალები ჯი გადმოქაჩული,
მუდამ საჩხუბრად და სადავოდ ყბილმომართული.
წინასწარ მიზნით მორთო იმან ის წყნარი მთვარე,
გაგზავნა შაჰთან დედოფლურად ჰირმოცინარე.
მით, რომ სიმთვრალე შაჰისა მან თვით გამოსცადოს,
მთვარეს ჯი ღრუბლის საბურავი უნდა ეფაროს.
ფარდიდან იგი დედაბერი გავიდა გარეთ,
ვით გველი, დადის დაკლაკნილი და თან მდუმარე.
ნები ნაბიჯით, თითქო იყო წელმოწყვეტილი,
ყბილდაკრეჭილი, რომ არ ჰქონდა არც ერთი ყბილი.
შაჰი სიმთვრალით იმ საათში იმგვარად იყო,
რომ იმის თვალში მთელი ზეცა არარად იყო.
მაგრამ იმდენად მაინც იყო იგი ფხიზელი,
რომ მიმხვდარიყო, – ეს არ იყო ჯაკაბი ჭრელი.
წარბების მშვილდი მომართული ჰქონდა ერთჰირად,
რომ მით მსუქანი შველის გული მას გაეგმირა.
ნადირს ჯი მოხვდა, მაგრამ ჩალის ღერად არ ღირდა,
ასი მგელიც ჯი თვით ერთ ბებერ მელად არ ღირდა.
ფასკუნჯის ადგილს იყო შავი ყვავი დამჯდარი,
მთვარის აკვანში – გველეშაპი რამ საზიზღარი.
გულში თქვა: „ეს რა გველეშაპის შეყვარებაა,
სიზმარი არის თუ ღოთური გიჟი ვნებაა?
რა შირინია დაჭყანული, წელმოკაკული,
რა სიტკბო არის სიმჭავით რომ მომეკლა გული?"
მაგრამ მთვრალ ჭკუას ჰყავდა ქაჯი გზაზე გამყოლი,
იფიქრა, თითქოს დედა იყო იმისი ცოლის.
გაშალა შაჰმა გაგიჟებით ორივე ხელი,
დავარდა ჯამი, ორი შუშა გატყდა სასმელი.
რაც ჯი შეეძლო მორთო ქალმა ყვირილი მაღლა:
„დავიღუპე და, აბა, დედას უშველე ახლა!"
როცა შირინმა გაიგონა „დედის" ხმაური,
მან იმის ყვირილს გაჯვირვებით დაუგდო ყური.
შვილი ფარდიდან გამოვიდა ის მშვენიერი,

ნაიცხო ხელად სახეზე მან შვიდგვარი ფერი.[445]
თუ ვიტყვი შაქარს, შაქარი ხომ არ არის ღირსი,
თუ შაქარყინულს, – ეს ნამდვილად მონაა მისი.
საროსა მსგავსი, ჯალთა სავსე ტაბილი სასმელით,
მთვარისა მსგავსი, შემკობილი ფარჩის საცმელით;
მთვარე, – მზეზედაც უეთესო დამტკბობი მჭვრეტის,
ვარდი, – ის ქვეყნის გაზაფხულის ვარდებზე მეტი;
ჯერჰი, რომელიც სათაყვანო არის ნამდვილი,
სამოთხის შვილი, სილამაზის ნათლით მოსილი;
შარბათი არის სამოთხისა, სასმელად ტაბილი,
მაგრამ სიხარბე მას ყინულზე აქვს დაწერილი.
ქვეყნის ალმნთები, მომხიბლავი და სახემტკბარი,
ჯონა ვარდისა, ხარვარობით რომ აქვს შაქარი.
ვით გაზაფხული და გამლილი ყვავილი ხისა,
ღირსი მეუღლე ყველაფრით სვე ბედნიერისა:
მორცხვი სახისა და მოკრძალე თავის მუშტრისა,
ვით გაქცეული გოგმანობით ჯაჯაბი მთისა;
აყიყი მანის მაგვარი, ქვას მუჭში რომ იტევს,[446]
სუყველა იმას რომ ასრულებს, რასაც ის იტყვის.
ნიავი მისი სიცოცხლისა ბადალი იყო,
სასწორი მისი იმ ხუჭუჭი თმებისგან იყო.
მისი ხალისგან ავმა თვალმა სულ მიიძინა,
როგორც თვალს, ისე სურათს სხივი დააკარგვინა.
ზილფთა ყაფანზე ქვის ჯენჭი რომ დაიდებოდა,
ყაფანი ხანაც ძირს იყო, ხან მაღლა დგებოდა.[447]
ტუჩი და ბილი იყო უშხით გაკეთებული,
ტუჩს – ბილი და ბილს ტუჩი არა ჰქონდა ნახული.
სახე მას ჰქონდა ბალისაგან ქარმონაბერი,
ბაგე, ვითა ვთქვი, მანის მსგავსი და მისი ფერი.
მთვარეს გარშემო შემოეკრა თმების ქამანდი,
ჰქონდა ჩირაღი ანთებული ბოლზე სეფანდის.
ალერსით იგი თურქესტანის გულს მტვრად აქცევდა,
ჯოცნით ხუზისტნის შემოსავალს სულ შეიძენდა.[448]
ლოყა ახალი ვარდის გვარად გულმომხიბვლელი,
მისი ლოყების გამო ვარდი ოფლისა მღვრელი.[449]
ყარყუმის გვარად ჰქონდა ზურგი თეთრი და რბილი,
ყარყუმის კუდებრ ათი თითი ჰქონდა გაწვდილი.
იმისი ტანი რძით და შაქრით იყო შემდგარი,
ცარცივით თეთრი იყო იგი რძის მინაგვარი.

მისი სხეული, როგორც ცვარი, ისე ბრწყინავდა,
თმები თამაშით მის ხელიდან შორს მიფრინავდა.
წარბების თაღი გაეშალა ყურის ძირამდე,
ღაბაბთა მძივი ეკიდა მას თითქმის ზურგამდე.
თვალმომხიბლავი, ვისაც ეპყრა გულის აღვირი,
დამათრობელი თვალების და მრავალი ჰირის.
სუყველას ფიქრებს, როგორც ღვინოს, ის აურევდა
სუყველას გულებს სიხარულით ამოძრავებდა.
რა არის ვარდი იმასთან და რაა შაქარი?
დიდება უფალს, ყველაფერი თვით მასში არი!

მეფემ რომ ნახა ეს ახალი სხივმოელვარე,
გეგონებოდა, შერყეულმა ნახაო მთვარე.[450]
გაგიჟდა ახალ მთვარისაგან იგი ნამდვილად,
ამ შფოთვასა და სიგიჟეში მიეგდო ძილად.
განთიადისას ჩვეულებრივ გააღო თვალი,
ნახა მან ვარდი, რომ არ ჰქონდა ტოტზე ეკალი.
ნახა ქალწული სასიცოცხლო რამ საამური,
თორნე ცხელი, და გამოაცხო მაშინვე ჰური.
ჯვლავ მწარე ღვინომ დაუამა ნასმურზე გული,
შირინის ჯოცნამ ხომ ჩაუდგა ის იყო, სული.
მიადო ჰირზე მეფეს ჯამით მან ღვინო ჩქარა,
გადაიფურჩქნა იმის მკერდზე ვარდისა დარად.
ერთ ყელსაბამში ორი მძივი იყო აცმული,
ორ ბროწეულზე ვაშლი იყო ზე დადებული.
ია და ვარდი ლოცვად არის მისთვის დამდგარი,
შაქარი ამბობს, სიგვიანე დაღუპვა არის.
მთვარის სახის წინ ღრუბელმა რომ გადაიარა,
შაჰის მოთმენამ სითამამის გზა აღიარა.
ბრძენი ლამაზის წინაშეა მოუსვენარი,
ლამაზთა ღვინომ რომ არ ათროს, აბა, ვინ არის!
მივიდა მეფე ხუზისტანში, გულით მაგარი,
ეცა და დიდხანს გულით ჭამა ტკბილი შაქარი.
არც უმჯობესი ღვინო თვალით არა ნახულა.
არც ისე ჯარგი განთიადი არ ამოსულა.
ვარდის საკრებად მოვიდა ის ჯერე, ჰირველად,
იმ ვარდის სახის სილამაზის თვალსახილველად.
შემდეგ სიყვარულს მღერალი ხმით დაუწყო ქება,
ახლად მოსულ ხილს საამური ხმით მოწოდება.
ვაშლსა და ჟასმინს ამის შემდეგ ის მეგობრობდა,

ხან ბროწეულთან, ხან ნარგიზთან იგი ხუმრობდა.
ხან თეთრი ქორი შაჰს ხელიდან გაუხლტებოდა,
ბაღის ხოხობი ზოგჯერ გულზე დააჯდებოდა.
ხან სიხარულით აფრენილი მაღლა ჰაერზე
მტრედი თავყირას აჯეთებდა ქორის გულმკერდზე.
ფური ირემი ხვად ლომს ღონით ეჯიბრებოდა,
ხვადი ლომი კი იმას რჩოლით ემუქრებოდა.
ეცა ხელმარჯვედ, სანამ მცველი მას შეიტყობდა,
მოხსნა ბეჭედი აყიყს ლალით, და ნებივრობდა.

გულიდან დარდი, რაც კი ჰქონდა, სულ ამოყარა,
უმტვერო ვარდით დასტება იგი და გაიარა.
ნახა საუნჯე ვერცხლის ჯლიტით ჯარდაჯეტილი
და დაბეჭდილი სასიცოცხლო წყარო ნამდვილი.
არ ჰქონდა ჯეთილ ჯაცთა ფეხის ხმა გაგებული,
არც ბოროტთაგან იყო იგი ხელშეხებული.
შუბი ჯოჯრისა რკინის წვეტთან როცა შეერთდა,
ამ რკინის წვეტით იგი წითელფერ ლალსა ხვრეტდა.
თითქოსდა შაჰი ხიზრი იყო და ღამე ბნელი,
სიცოცხლის წყალში გადააგდო მან თევზი ხელით.[451]
სპილოს ტახტი რომ გადაიქცა სპილოს ძვლის ფიცრად,
ტახტით და თაჯით სიყვარული გადგა უეცრად.
ის, მეგობრულად განწყობილი ხელს ხელზე სცემდა,
როგორც დაბირი, ერთს სამოცზე გაამრავლებდა.
არ ვამბობ, ნიშანს ისარი რომ მუდამ ხვდებოდა,
უკურჯო ხერმა რომ უთუოდ რძეში ხტებოდა.
გადიქცა სალტე შუა გულის თვით შუაგულად,
და იმ შუადან წარმოიშვა სიცოცხლე სრულად.
მის ვერცხლის ჯამში ვარდის წყალი ეწვეთებოდა,
და შაქარი კი ნუშის გულში უცებ დნებოდა.
სადაფმა მარჯნის ტოტზე ბინა თვით გაიკეთა,
წყალი და ცეცხლი ერთ ადგილზე მოთავსდნენ ერთად.
ცეცხლმა და წყალმა რომ გამოსცა ფერი ახალი,
საძილო ბინა აციმციმდა ვით ვერცხლის წყალი.
ერთი-ორი დღე არ ეძინათ და იყვნენ ტკბილად,
და მარგალიტით იაგუნდსა ხვრეტდნენ ადვილად.
ერთი-ორი დღე კი ეძინათ უძილოდ დია,
იას გულს ვარდი ეკონა და ვარდს კიდევ – ია.
[ეძინა შირინს მეფესთან, ვით შენაფიცარი,
მათი ბედი კი იყო მათთან მუდამ მღვიძარი.]

ფარშევანგივით იძინებდა ერთად ის წყვილი,
ფარშევანგივით ჰქონდათ იმ დროს მათ ტაბილი ძილი.
როდესაც ტაბილი ძილისაგან გაიღვიძებდნენ,
სვეკმაყოფილნი ორივენი ღმერთს ადიდებდნენ.
წყალსა ხმარობდნენ თავის ტანის გასამაგრებლად,
და შემოიღეს სახლში წესი ღვთის სავედრებლად.
შაჰინშაჰს ფარდა მის მახლობელ ჰირების ხელით
არ აწეულა ქორწილის დროს ერთი თვე მთელი.

ჰუმაიუნმა, სამან-თურქმა და თვით ჰამილამ
ინით თითები გაიწითლეს ვარდივით ყველამ.
ერთხელ შაჰი თვით დაჯდა სახლში განმარტოებით,
და ჯეელუცები ყველა ერთად მოისვა გვერდით.
როგორც წესია მოკაზმვისა, ყველა ამკერად
მორთო ლალივით წითელ-ყვითლად და ოქროს ფერად.
ჰუმაიუნი იმან შაფურს არგუნა წილად, –
ჭამა შაქარი და ეჩვენა თაფლივით ტაბილად.
ჰამილას თურმე თვით ნაქისა უკვე ეტრფოდა,
სამან-თურქი კი ბარბადისთვის იმას უნდოდა.
ხოთან-ხათუნი ბრძნული სიტყვით და დარიგებით
ბოზორგომიდის სამეგობროდ ბრძანა სავსებით.
ამის შემდეგ მან საჰატიო ბრძანება გასცა
და მეჰინ-ბანუს სამფლობელო შაფურს გადასცა.
როდესაც შაფურს ქვეყნის საქმე ხელთ ჩაუვარდა,
იმ ქვეყანაში მან მრავალი სახლი აღმართა.
დაზ-აყნას ციხე სხივით როა განათებული,
უთქვამთ, შაფურის მიერ არსო აშენებული.

შემდეგ ამისა ხოსროს საქმე სულ მწყობრად იყო,
იგი ქვეყანა მისი ნების მეგობრად იყო.
ყმაწვილკაცობა მიზანი და ფადიშაჰობა, –
მას რა სჯობია, თუკი იქნა ასეთი ყოფა!
ყოველ დღე-ღამე მუსიკით და ღვინით თვრებოდა,
ხარობდა ქვეყნად და შემდეგ ღმერთს ევედრებოდა.
კარგი ცხოვრება ქვეყანაზე ქების ღირსია,
ტანჯვით ცხოვრება ქვეყანაზე რის მაქნისია?
კარგ კაცს ქვეყანან აძლევდა და იგიც ხმარობდა,
მრავალი წლები იგი ასეთ ბედით ხარობდა.
მცირე ხნის შემდეგ, როცა გულმა ცხოვრება იცნო,
თვის თავხედობის გამო თვითონ სირცხვილი იგრძნო.
[თუ სიჭაბუკე იქნება და თან ჯანმრთელობა,

რატომ არ უნდა იყოს სიტყბო – უდარდელობა?
სიუძლურე და სიბერე თუ ჯანს ემუქრება,
რაღა ტანჯვაა თუ ჩირაღი მისი არ ქრება?]
თუ იმისი თმა მეთვალყურემ მოგლიჯა ძალად,
ახალგაზრდობას თვალიდან თმა გამოაცალა.
დასაბამიდან არ ყოფნამდე თმა იმედია,
მაგრამ თვით ის თმა თავად თეთრად შესახედია.
თუ რომ შავ თმაში სითეთრე თმის თვით შეეტყობა,
აშკარაა, რომ წარმოიშვის უიმედობა.
შავი თმის იამ თუ აანთო სინათლის ალი,
თეთრმა ჟასმინსმა იმ დროს უნდა დახუჭოს თვალი.
ღამის წიაღში რაგინდ თვალით განსჭვრიტო ბნელი,
არ გამოჩნდება არასოდეს დილის ნათელი.
ბაღის ჰაერი იყოს თუნდაც ძლიან ცხელი,
სითეთრე ელის მის სიმწვანეს დამღონებელი.
როცა სიმწვანეს დაეყრება თოვლის ქაფური,
ბაღმა ცივ ქარის ქროლას უნდა დაუგდოს ყური.
ძაღლი მწევარი, როა მარდის დამჭერი შველის,
მას სიბერეში აუგი და სირცხვილი ელის.
მშვილდი რას იზამს, იგი ისარს თუ შორდება?
დაფიც ძველდება, რომ დამკვრელი მისი ბერდება.
ხორბალი როცა თეთრდება და იქცევა ფქვილად,
ერთ წელი და გამწარდება იგი ადვილად.
როცა ნაქსოვი ირეცხება და გათეთრდება,
იგი მკერვალის მაჯრატელის წერა გახდება.
როცა ქვაბიდან ორთქლი ქაფად ზე აიწევა,
სამზარეულო მთელი ნაცრად გადაიქცევა.

შავთმა მზარეულს უთხარი შენ სიტყვა მოჭრილი,
წისქვილი წინ აქვს, მიეყრება მას ფქვილის ხრილი.
თუ მაგ შენს ნამზადს მუშაბარი ჰქვია სახელად,
წისქვილის ხრილში გადიქცევი ნაზ სახილველად.
ვისაც წისქვილის ხრილი თეთრად ზე დაეყრება,
თუ გაინძრევა, ხრილი მასზე ალარ დარჩება.
ვისაც წისქვილის ხრილი მთელად ზე დააჩნდება,
იგი ასი ზღვის წყალითაც ვერ გაირეცხება.
ბიჭობა რაა, არის ვნება თავში მოყრილი,
ამ ვნებისაგან აისრულე შენი სურვილი.
როცა სიბერე გახდა ამა ქვეყნის მმართველად,
ვნებათაღელვა გააძევა გულთაგან მთელად.

[ჭაბუას დოვლათი ამ ქვეყნისა ხელთ უვარდება,
ყაცი ბერდება და დოვლათიც მასთან ბერდება.]
ჭაბუამა ჰკითხა მოხუცებულს მწარე სიტყვებით:
„დამტოვებს სატრფო უსათუოდ, რომ დავბერდები?“
პასუხი მისცა მოხუცმა მას ლამაზი ენით:
„რომ მოხუცდები, სატრფოს უმალ დასტოვებ შენით“,
ზეციდან ვისაც ვერცხლის წყალი გადმოექცევა,
ვით ვერცხლისწყალი ვერცხლის ჯერჰებს ის გაექცევა.[452]
[სიცოცხლის შუა თუ ეძლევა ყაცსა სახელი,
მთვარე მოქცევის ნახევარზე აღვსებას ელის.][453]
წუხილს აძევებ, თუ შენი თმა შავი ფერია,
შავების თვალში სამწუხარო არაფერია.
ვისაც არა აქვს ხცე, არაა ვინაც ჭაღარა,
იმისი გული დარდმა აბა როდი დაღარა!
სიშავე თვალსა ნამდვილ წამლად მით ესხურება,
რომ ინდოეთში მიმავალ გზას ემსახურება.

ნუ გძინავს, თავო, ჰა სიბერეც უკვე თავდება,
საგანთიადო ჯარი ჯარებს უახლოვდება.
ბამბის ძველათი ყურის ძირი გაქვს დასუდრული,
ეჰ, ბამბის ძველაც არ გაქვს ყურით გამოღებული!
როდესაც ხოსროს ია გახდა ჭასმინის ფერი,[454]
სიჭაბუეში გახდა ჩემებრ როგორც ბებერი.
თუ ყეთილ აღთქმას იგი მუდამ წინ იმძღვანებდა,
ქვეყნის ცუდ აღთქმას თავის ფიქრში აღიარებდა.
ხან ოქროს ტახტზე ნარდის თამაშს წამოიწყებდა,
ხან იგი შაბდიზს ალალ ბედზე მიაჭენებდა.
ხან ის ბარბადის თაფლის ბანგებს ეწაფებოდა,
ხან იგი შირინს აღტაცებით მოეხვეოდა.
ტახტი, ბარბადი, შირინი და ცხენი შაბდიზი –
ეს ოთხი რამე სანუკვარი შეიქნა მისი.
[როცა ყველაში თითქოს თავის მიზანი ჰპოვა,
საწუთრომ მისი სურვილებიც დააბოლოვა.]
ამ დროს სიზმარი წინანდელი მას მოაგონდა,
ამ მოგონებით მისი გული მწარედ დაღონდა.
რადგან იცოდა: მიწით და წყლით რაც ყი შექმნილა,
არარაობად იმის შემდეგ ყველავ გარდაქმნილა.
მთვარე როდესაც მაზე სრულად გაიბადრება,
გაბადვრის შემდეგ მისი სხივი თანდათან ქრება.
ხის ნაყოფი რომ უმწიფარი ნელნელ ღვივდება,
რომ დამწიფდება, შემდეგში ძირს ჩამოცვივდება.

შირინის ანდერძი ხოსროვს სამართლიანობისა და ცოდნის შესახებ

ეს დღე იმ ტურფას სათნო გულით ეყიდებოდა,
სიტყვა იმისი საკეთილოდ ემზადებოდა,
აყოცა მიწას შირინმა თქვა: „ჰე დიდებულო,
განცხრომის შემდეგ თავი უნდა ფხიზლად იგულო.
ბევრი გიცდია საქმე შენი დიდებისათვის,
ბევრიც მაგ შენი ვნებითღელვის აღგზნებისათვის.
მთელი ქვეყანა ააშენე შენი ნყალობით,
იგი რად უნდა დაანგრიო უსამართლობით? –
ვით ფურმა, ჯერ რომ მონაწველი რძით გაგვახარა,
შემდეგ წიხლის ჯვრით იგი რძე მან თვითვე დაღვარა.
ფრთხილად იყავი, რადგან იგი, საფარში მჯდომი,
არის თავისი ცუდი ქცევით ცუდ საქმის მდგომი
ის დედაბერი, როგორც ჯარგი ყოჩაღი ვაჟი,
განთიადისას თავის ისარს ესვრის ნიშანში.[455]
არას უშველის ჯვნესა, ოხვრა დაუდეგარი,
შენს ყვირილსა და შენს მუდარას წაიღებს ქარი.
მრავალი სარჯე, შაჰებს წინ რომ ეჭირათ ხელში,
გაშავებულა უძლურთ ჯვნესით წუთისოფელში.
როდესაც ბედი თავის გზიდან უკან ბრუნდება,
ყოველი საქმე შაჰს მაშინვე გაუბრუნდება.
ბაღის ფოთოლი როცა ძლიერ დაუძლურდება,
ძველი ამბავი ქარის მიერ განმეორდება.
როცა ნახავენ, რომ საცაა ჩირაღი ქრება,
ფითილს უწევენ და აქრობენ, ჩირაღიც ჯდება.
როს ნიაღვარი უნდა ატყდეს რამ საშინელი,
ახმაურდება მის წინ მთაზე შავი ღრუბელი.
როდესაც სეტყვა ქინძს მიწაზე გაანადგურებს,
იმისი სუნი თავის თავად ცას მიაშურებს.
ხე თუ პირველი ზრდის დაწყებით მრუდედ იზრდება,
ის მხოლოდ ცეცხლით, მხოლოდ ცეცხლით თუ გასწორდება.
ცუდი საქმეა, მთელ ქვეყანას თუ ემტერები,
სჯობია შენთვის, ქვეშევრდომს თუ მოეფერები.
ვშიშობ, რომ შენზე არ გამართლდეს ესე თქმულება,
რაც იმ შაჰმა თქვა, რომლის არვის არ ეყურება:
ძველსა სამეფოს აღარა აქვს სულ მტკიცე ფუძე,
თუ ის დაძველდა, ხალხიც ბორკილს აიწყვეტს უცებ

როგორც თვით არის, ქვეყანაც მას ისე ჰგონია,
ქვეყანა თავის ღირსებისათვის შეუწონია.
თუ სიამაყით იგი არვის ალარ შეჰყურებს,
ხალხის სიყვარულს იგი ისევ დაიმსახურებს.
ის ახალ იღბალს თავის თავზე ისევ განიცდის,
თავის მოკლე ხელს ხალხისაკენ გრძელად გაიწვდის.
თუ ხასიათი საკეთილოდ გამოეცვლება,
ხალხთან ერთგული სამსახური ჯვლავ შეეძლება.
სიბრძნე, შაჰობა ხომ ორთავე შენს ხელში არის,
ქვეყნის სითეთრე და სიშავე შენს ხელში არის.
ბოლო ცხოვრების მოლოდინში არ უნდა ძრწოდე,
ამა ქვეყნიდან წასვლის დრო თვით უნდა იცოდე.
ვინც ოქრო-ვერცხლის ჩხრიალით თვის საქმეს ამყარებს,
ის საიქიო ქვეყნის საქმეს ვით მოაგვარებს?

შეხე, შენზე წინ შაჰებმა რომ დალიეს სული,
არაფერი აქვთ ამ ქვეყნიდან მათ წაღებული.
თუ განძს არ გასცემ, იგი ცუდად გამოგადგება,
გასცემ და იგი მაგ შენს გზაზე მცველად დადგება.
იყითხე წიგნი დარიოსის და ჯემშიდისა,
თითო იმათგანს ვით მოუხდა თამაში მზისა!
ამ ცხრა ფარდაში ერთად როა, იმგვარად ქენი,
ფარული ფარდის საიდუმლო თვით ახსნა, შენითი![456]

ხოსროვისა და ბოზორგომიდის კითხვა-პასუხი

როცა ხოსროვმა ნახა, მისი ძვირსანატრელი
ცდილობდა, ხოსროვს რომ ჰქონოდა დიდი სახელი,
ბოზორგომიდი მან თავისთან მოაყვანინა,
დიდი იმედით თვის წინაშე დაისვა წინა.[457]
უთხრა მას: „ჰოი, შენ ხარ ჯაცთა დიდი იმედი,
დიდი იმედი მომეცი მეც ახლა ისეთი!
[მაქვს არეული და აშლილი მთელი გონება,
ალარ მაქვს ჩემი აზროვნების თვით მოწონება.
ყოველთვის ვფიქრობ, რამდენადაც საფიქრელია,
ცოდნა მცოდნესთვის რა ძვირფასი საყვარელია.
არ მაქვს ამჟამად მე ამ საქმის შეგნება სრული,
არ გამოირჯვა საიდუმლო ჩემთვის ფარული.
ჩემთვის შესაძლო რომ იყო ამ საქმის გაგება,
ჩემი სიამე ჩემს შაჰობას ალემატება“.

სიტყვის ამწონმა ბრძენმა იმას მისცა პასუხი:
„ჰოი, ცოდნისთვის, გეტყობა, შენ ხარ შენაწუხი.
რასაც მიბრძანებ, ღმერთი არის ამის მაშველად,
ვიტყვი ყველაფერს, რაც ჯი ვიცი მის ასახსნელად".
ქვეყნის მფარველმა უთხრა იმას: „აბა, პირველად
უნდა ამიხსნა საიდუმლო მე უეჭველად".]

პირველი ბიძგი

„პირველი ბიძგი, ამიხსენი როგორ შობილა, –
რომ ამის ცოდნა ბრძენისთვისაც ძნელი ყოფილა?"
პასუხი მისცა: „რომ სოფლიდან ვართ განდევნილნი
და პირველ ფარდის გარეთა ვართ ჩვენ დარჩენილნი.
უჯან დარჩენილთ არ ექნებათ ამის გაგება,
პირველად ყოფას იცნობს მხოლოდ პირველ განგება".

ცის ვითარება

ხიდევ, მეორედ შეეკითხა ქვეყნის მპყრობელი:
„მსგავსი ამისი ჯიდევ ბევრი მაქვს საფიქრელი.
პირველად ვფიქრობ, თუ რა არის ზეცის რაობა,
შიგ ცხოველია, მის გარეთ ჯი რაგვარი ყოფა?"
იმ მოპასუხემ ამნაირად მას უპასუხა:
„შორს ნუ გადისვრი ჯითხვას მაინც, თუმც შეგაწუხა.
ის ანგარიში ცის გუმბათის გარეთ რომ არი,
ის ღმერთმა იცის, ჩვენთვის ჯია შეუცნობარი.
რაც იყო, არის, შეიძლება მის განმარტება,
რაც გარეთ არის, ის ჩვენს ცნებას აღემატება.
იმგვარ სურათზე, რასაც ჩვენი თვალი ვერ სწვდება,
თქმა რაიმესი გაბედულად არ შეიძლება.
ცათა მცოდნენი საიდუმლოდ როდესაც ბჭობენ,
ზეცის შესახებ თვით ძალიან ცოტას ამბობენ.
ზეცას ჯაცთათვის დაჯეტილი აქვს მუდამ ჯარი,
მასზე ნათქვამი არის ცრუ და გაუგებარი".

ვარსკვლავები

ხვლავ შეეკითხა: „ეს ვარსკვლავნი, სხვადასხვაგვარნი,
არ ვიცი, როგორ ცხენზე სხედან როგორც მხედარნი.
გამიგონია, ქვეყანაა ყველა მათგანი,

ცალკე არიან, თავისი აქვთ მიწა და ცანი".

პასუხი მისცა: „ეგეთი ჩვენც გაგვიგონია,
ეგ თქმა მართალი და ურყევი არა გვგონია.
რომ დავაკვირდით, თუ რა სახის აღნაგებია,
რასათმა გვამცნო, რომ ის ძნელი გასაგებია".

ამქვეყნიური და იმქვეყნიური ყოფა

ჯვლავ შეეკითხა იმ მეცნიერს: „თუ ჩვენ აქ რა ვართ,
საიდანა ვართ მოსული და ან საით წავალთ?"

პასუხად უთხრა: „ფარდის ესე იდუმალება
არ გაიხსნება, დასჯერდი, რაც ბედით იქნება.
გზა შორი არის, ამ ბინიდან, რომ ვიმყოფებით,
ჯერ არ ნახულა გზა იმ ბინის, ჩვენ რომ ვიქნებით.
როდესაც ამ გზის ჩიხიდან სწორ გზას დაადგები,
თუ საიდან ხარ ან თვით რა ხარ, მაშინ მიხვდები".

გასვლა ამ ქვეყნიდან

ესვე ჰკითხა: „ჰოი, ზღვაო შაჰის ჯარისა,
ვით სიცხადეში, ზღვაო ყოველ საოცარ ქმნისაI
მაკვირვებს იგი, მეგობრებმა რომ დაიძინეს,
ძილში ნანახი არაფერი შეგვატყობინეს.
ყველამ ასე თქვა: შენც ჩვენსავით ჩახვალ მიწაში,
არ თქვეს: სად მივალ და ან როგორ გავივლი გზაში".

პასუხი მისცა საიდუმლოს მცოდნემ ჯვლავ ასე:
„ესე ქვეყანა ნაღდი არის იმა ქვეყნისა.
არ შეეწყობა მისი ჰანგი საწუთროს ჩანგსა,
რაც გინდ ეცადო, ვერ შეაწყობ ჩანგსა და ჰანგსა.
ცეცხლსა თუ სულით შეუბერავ, აღიგზვნის ისევ,
მაგრამ თუ ცეცხლზე წყალს დაასხამ, ჩაქრება მყისვე".

მარადისობა სულისა

აჰმა ხელახლა დააფიქრა ის ბედფხიზელი,
რომ ჰკითხა სიტყვა ასახსნელად ძალიან ძნელი:
„თუ სული ქვეყნად ძირს ყალიბში ჩაესვენება,
შემდეგ სიზმარში იგი ცხადად რად გვეჩვენება?
თუ სული ყალიბს თავის თავად ისევ შორდება,

მითხარ, ამდენი ჟაცის სული სად იმყოფება?"

პასუხი მისცა: „ეგ კითხვაა ძალიან ძნელი,
სულის ნახვაა უსხეულოდ შეუძლებელი.
სხეულის გარეთ სული როგორ განიხილება,
როგორც უფარგლოდ მოძრაობა რამე ქმნილების.
როდესაც სული თავის ტანის გარეშე რჩება,
ის ზეცს ტრიალს საბოლოოდ შეუერთდება".

სიზმრის ვითარების შესახებ

ოსევ იკითხა: „თუ სულია, როგორც არსება,
სხეულის სახე ხომ არ არის ყალბი მსგავსება?
რა არის ძილში ის სახე, რომ ჩვენს თვალწინ არის,
იმ სახეების მფარველი იქ ნეტა ვინ არის?"

პასუხი მისცა: „რასაც ძილში შენ ხედავ ცხადად,
ოცნება მკვდრებზე თვითონ შენში შეიცავს ადათს.
თუ შენი ფიქრი შეიქმნება სიზმრის მყიდველი,
თვით ამ ადათში გამოჩნდება სული ნათელი".

სიცოცხლის მოგონება სიკვდილის შემდეგ

ესლავ ჰკითხა: „შემდეგ ჩვენი ყოფის და სიცოცხლისა
თუ მოვიგონებ ამბავს ამა წუთისოფლისა?"
პასუხი მისცა ბერმა ბრძნული და სასახელო:
„ჰოი, სინათლევ ჩირაღისა, ქვეყნის ნათელო,
შენ ის სხივი ხარ, რომელსაც წინ მიწის ამბავზე
გკონდა სამყოფი, სამფლობელო ამ ზეცის ბანზე.
რომ შეგეკითხონ, თუ რა იყო იქ შესამჩნევი,
მისას ვერაფერს მოიგონებ და დაიბნევი.
რომ დაასრულებ ამ მწარე დღეს ქვეყნად ყოფნისას,
ვშიშობ, რომ ვერას მოიგონებ აგრეთვე მისას.
ვინც წასულ დღეზე ოდნავაც ხმას არ ამოიღებს,
იგი ადვილად ამ ღამესაც ჯი დაივიწყებს".

[კიდევ შეჰკითხა: „ჰოი, ბრძენო ჰატივსაცემო,
ადამიანში აზროვნება რა არის, ჩემო?"
პასუხი მისცა მოსაწონი, ვით მარგალიტი:
„რომ შემეკითხე, ფიქრისაა ეგ მაგალითი.
ფიქრი, რომელიც ღვთის საქებრად განემზადება,
თვის მორჩილებით იგი თავის მიზანს მისწვდება.

იგი მიმართვა მისაღები თუ არის ცისა,
ასეთი ფიქრი მორჩილება არის სულისა".]

რაობა მიწისა და ჰაერისა

ჯვლავ შეეკითხა: „ვიყოთ ცისგან დაშორებული –
მიწის და ჰავის მითხარ რამე მოსაზრებული!"
პასუხი მისცა: „ჭკუა მკითხე, რამე იგავი,
მიწა-ჰავაზე რამოდენი გაქვს ნაკითხავი!
ჰავა ქარია და ქარისგან მოძრაობს ასე,
მიწა მტვერია და, როგორც მტვერს, არა აქვს ფასი.
პრველად ქვეყნად იყო მხოლოდ მიწა მთლიანი,
მიწის შემდეგ კი წარმოიშვა ადამიანი".

ჯანსაღობის დაცვა ზომიერებით

ოცვე ჰკითხა: „ჰოი, დიდი გონების პირო,
ჯანსაღობაზე შემასწავლე რამე საჭირო".
პასუხი მისცა: „ჰოი, დიდო დაკვირვებულო,
სულო ქვეყნისავ, შემოქმედის შექმნილო სულო!
დაცვა სისალის ერთ რჩევაში არის დაცული,
განგების მიერ არის იგი ხალხისთვის თქმული:
ნუ დაითვრები, ჭამე იგი, რაც მოგიხდება,
ნურც ცოტას, ნურც ბევრს, რომლითაც კი საქმე წახდება
ბევრის ჭამა და მცირეს ჭამა სირეგვნე არი,
დაიცავ ზომა და იქნება შენთვის საკმარი.
ორი ჭკვიანი, წამიკითხავს სოფლის გამზირზე,
მოვიდნენ რალაც ბედის გამო წყაროს ნაპირზე.
ცოტასა სვამდა ერთი, ვითომ თავის თავს ვნებდა,
მეორე სვამდა ბევრს და ვითომ ჯანს იმატებდა.
ზომიერების საზღვარს ორივ გადასცდა რადგან,
ორივე მოკვდა, არვინ დარჩა ცოცხალი მათგან".

სხეულისაგან სულის გაყრის შესახებ

ჯვლავ შეეკითხა იგი ბრძენ კაცს: „კაცთა სულები
როგორ არიან ბუდეთაგან შორს წასულები?"
პასუხი: მისცა: „რაც არ არის თვალით ნახული,
არარა ითქმის, თუა მარტო ის ყურმოკრული!

გამიგონია, იყო ოთხი ქურუმი ბრძენი,
სულის საქმეზე ოცნებობდნენ სულ ოთხივენი.
იმ ძნელ საკითხზე იყვნენ დიდხანს ჩაფიქრებული,
ბრძენ ჯაცის სხეულს თუ რა რიგად შორდება სული.

პირველი ქურუმის იგავი

სწორედ იმას ჰგავს, რომ ერთბაშად ღამის სიზმარში
ზოგი ჯაცია თავისთავად ვარდება წყალში;
წვალობს, რომ წყლიდან გაიტანოს მან ტანსაცმელი,
მაგრამ წვალებას მისას მაინც არ აქვს საშველი.
როცა ერჯვევა სიზმარისაგან სიცხეგანცდილი.
ამ სიზმრის შემდეგ იპყრობს იმას შიში ნამდვილი.

მეორე ქურუმის იგავი

ამეორემ საქმე ასე ახსნა თავის აზრითა:
„ღმერთმა მაღალი ჯოშჯი ერთი ცაში აზიდა.
ჯაცის ქვასავით ძირს ჩაგდება ღმერთმა ინება,
ჯაცი ჯი შიშით ციხის ქონგურს ეპოტინება.
ხელი და მკლავი აქვს დაძაბვით დაწყლულებული,
თუ ჩამოვარდა, იცის, მალე გასძვრება სული.
და ამ დაძაბვით მას ხელები რომ უსუსტდება,
იგი თითებით ამ ქონგურებს ებღაუჭება.
ბოლოს ჯი იმას მკლავში ღონე გაუთავდება,
ის და ქონგურიც ორივე ძირს ჩამოვარდება.“

მესამე ქურუმის იგავი

ამ დროს მესამე ქურუმმა თქვა სიტყვა ამგვარი:
„მეცხვარეს მუდამ მგელთანა ჰყავს თავისი ცხვარი.
იტაცებს მის ცხვარს მგელი სისხლით გაუმაძღარი,
მწყემსი იმასთან მუდამ შეხლა-ბრძოლაში არი.
ერთი მხრით მგელი ცხვრის წართმევას რომ ეშურება,
მეორე მხრიდან მეცხვარე ცხვარს თავზე ევლება;
როცა ბრძოლაში საბრალო მწყემსს დასძალავს მგელი,
მწყემსმა თვით უნდა დაიგლიჯოს შესამოსელი.“

მეოთხე ჟრუმის იგავი

ეოთხემ თქვა: „ეს საიდუმლო იგია, რომ ის
ჯაცისთვის არის, ვით საწოლი პირველ განცხრომის.
სატრფო ლამაზი თან რომა ჰყავს გულს ჩასაკვრელად,
მას ჩაუვარდა ხელში, ვით გიჟს შეუგნებელად.
ვერც მის სიტურფეს შეელია, არა და რა ქნას,
ვერც თვის სიგიჟით მასთან შეყრის წამალსაც აგნო.
ბოლოს სიგიჟეს არ ექნება რამე საშველი,
და გაიქცევა მისგან, როგორც ლომისგან შველი."

* * *

რამდენიმე ხანს ასეთნაირ იგავს ამბობდნენ,
არ ჩანდა წიგნი, ხოლო სიტყვას ჯი ჯითხულობდნენ.
სიკვდილის წუთში შესტიროდნენ ერთი მეორეს
და ამ თამაშში მათ ჭადრაკი დაურჩათ შორე.
მკვდართა შესახებ თვითოეული ზღაპარს ამბობდა,
ცოცხალი მკვდარის საიდუმლოს ვეღარა სცნობდა.
მოციქულთ გარდა რომელნიც იქ ნდობით არიან,
მაგრამ ისინი საიდუმლოს უცხოს ეტყვიან?

ფაიღამბარის მოციქულობის შესახებ

იდ წმიდანებზე ჩამოვარდა როდესაც სიტყვა,
მოციქულობის იმ გვირგვინზე მეფემან ჰკითხა.
„ვინ არის ჯაცი, არაბეთში რომა იქნება,
იმისი რჯული ჩვენს რჯულს, მითხარ, რით შეედრება?"
პასუხი მისცა: „იგი სიტყვა თვით ალაჰისა,
რომელიც მუდამ დგას გარეშე დღის და ღამისა.
გუმბათისქვეშე დაფუსფუსებს ხალხი და იგი
გუმბათის გარეთ არის მუდამ, ხმასაც გვცემს იქით.
არც ვარსკვლავებზე, არც ცის ჩარხზე იძახის არას,
ამ ორის მხატველს ის შეგირდად დაუდგა მარად.[458]
ცხრა ფარდის ზევით იგი მარად დაიწყებს ფრენას,
ამ საიდუმლოს ვერ მივხვდები, ვერ დავძრავ ენას.
ნუ გინდა, შაჰო, არაბეთის რჯულთან თამაში,
რჯული ღმერთია, არ იქნება ღმერთთან თამაში".

უდუღდა ფარვიზს შიშისაგან მთელი სხეული,
იწოდა იგი, როგორც მწვადი ცეცხლშენთებული.

მაგრამ ბედი რომ გამარჯვებით არ ულიმოდა,
მუჰამედის ხმა სანუგეშოდ ჯი არ ესმოდა.
ნახა შირინმა, რომ ოსტატმა ახლა ამგვარი
ხოსროვს სიტყვათა საგანძურის გაუღო ჯარი.
ქება შეასხა: „ჰოი, ბრძენო, ხარ დიდი გმირი,
თვალს არ უნახავს არასოდეს სხვა შენნაირი.
ხოსროვისთვის რომ გაგიღია ეგ განძის ჯარი,
მეც მიწილადე, თუკი ესე შესაძლო არი.
გააღე ულიტით, ჯაჭვი ჯი არ შემოუჭირო,
თქვი „ქილილადან" რამ ნაკვესი, დიდად საჭიროა!"

ორმოცი იგავის თქმა „ქილილა და დამანადან"

ბოზორგომიდი გაიფურჩქნა ვარდივით ხელად,
ორმოც იგავში ორმოცი თქვა არაკი მთელად.

ხარი შუთურბა და ლომი

პირველად ეს თქვა: თავისთავსო მოეჯყარ ფრთხილად,
რადგან შუთურბას მოკვლით დარდი ლომს ერგო წილად.[459]

ხურო მაიმუნი

უარჰყავ ვნება, ჯაი რამ არ გამოვა მისგან,
როგორც რო ხურო არ გამოვა მაიმუნისგან.[460]

მელა და დოლი

თვალთმაქცობისგან შეგიძლია იგემო ყველა,
რაც დახეული დოლისაგან იგემა მელამ.[461]

ძუნწმა მწირმა მოსასხამი ქურდს გაატანა

მას ნუ იქმ, რომ არ გაგიგრძელდეს ტანჯვა-ვარამი,
ვით იმ მწირს, ქურდთან რომ წააგო წამოსასხამი.[462]

ყვავი და გველი

ნურავინ სახლში ნუ იქნები ჰირგამტეხავი,
შენც მას გიზამენ, როგორც რომ გველს მოექცა ყვავი.[463]

ყანჩა და ჯიბო

ცბიერობისთვის შენც მაგიერს მიიღებ სხვისგან,
ისე, ვით ყანჩამ თვით მიიღო ჯიბოს ბრჭყალისგან.[464]

ჯურღულელი და ლომი
ნუ იძალადებ და ამ იგავს მიაპყარ სმენა,
დახე, ვერაგ ლომს ჯურღულმა რა დღე დააყენა![465]

სამი თევზი და ერთის გადარჩენა ბადისაგან
მომკვდარუნებით დაიხსნი თავს ამ მიწისაგან,
ვით ბერმა თევზმა იხსნა თავი წყლის ბადისაგან.[466]

ტურასი, მგლისა და ყვავის საქციელი აქლემის მოსაყლავად
ტურამ, მგელმა და ყვავმა ასე მოიწადინეს,
რომ თავის თავად აქლემს თავი გააწირვინეს.[467]

ტიტევი ზღვის ღელვასთან
შურისძიება შეიძლება ყველა მტრისაგან,
ისე როგორც ზღვამ განიცადა ტიტევისაგან.[468]

ჯუ და იხვები
ენითა ბევრი ძევს ამჟამად მიწაში მკვდარი,
ჯუც ასე იყო თავის ენის ტარტალით მკვდარი.[469]

ფრინველი, მაიმუნი და ციცინათელა
უღირს პირთაგან იმას ნახავ ამ ცხოვრებაში,
რაც რომ ფრინველმა მაიმუნის მოქმედებაში.[470]

ვერაგი და ალალი ვაჭარი
ხალხის სიმდიდრე ცბიერებით არ უნდა ჭამო,
მცოდნე ვაჭარმა რომ უყო სხვას არცოდნის გამო.[471]

ბაყაყი, გველი და თრიტინა
ბრძენს ცბიერების თუ გაუღე ოდესმე ჯარი,
ვით ბაყაყს გველთან, შენც მოგელის ბედის სიმწარე.[472]

რჯინის მჭამელი თაგვი და ბავშვის მტაცებელი ქორი
ნუ იცბიერებ და ცბიერმა არ გაგაბრიყვოს;
რომ თაგვი სჭამდა რჯინას, ქორმა ბავშვი წაიღო.[473]

ქალი და მოსასხამის დამწველი მხატვარი
თუ მოსასხამზე ცბიერებას ახატავ ავად,
გახდები შენივ მოსასხამის დამწველი თავად.[474]

უვიცი ექიმი, რომელიც წამალში შხამს ურევდა
მცოდნესგან სხეულს ჯანმრთელობა დაუბრუნდება,
უცოდინარის წამალიც ჯი შხამად გახდება.[475]

მტრედი მოსარჩლე და მტრედების გაშვება მახიდან
ცოდნით თავს იხსნი წუთისოფლის მძიმე ტანჯვიდან,
როგორც იმ მტრედმა სხვა მტრედები იხსნა მახიდან[476]

ყვავის, თაგვის, შველის და ჯუს მიერ ჰირობის დადება
ნუ იცბიერებ და ისწავლე ძმობის ჯავშირი,
როგორც იმ ყვავმა, თაგვისთვის რომ შეიკრა ჰირი.[477]

თაგვი, მწირი და ოქროს ჰოვნა
თუ არ გერგება, სხვის ერთ მარცვალს ნუ შეეხები,
თაგვმა მწირს მისცა ერთ მარცვალში სულ ოქროები.[478]

მგელმა მშვილდის ლარის შეჭმით სული განუტევა
ნუ იზამ, როგორც მგელი, მშვილდის გამტაცებელი,
მოგხვდება გულში ბედის მიერ ისარი მჭრელი.[479]

ყვავი და ბუ
სიხარბისაგან შეიკავე ეგ შენი თავი,
არ ეგუება სიხარბე ბრძენს, ვით ბუსა ყვავი.[480]

ჯურდღლის მიერ სპილოების განდევნა წყაროდან
არა სისუსტეს, მტრის გონებას მიაჰყარ თვალი,
დახე, ჯურდღელმა სპილოებს ვით წაართვა წყალი.[481]

მარხვის შემნახავი ჯატა, დურაჯი და ჯურდღელი
სიხარბისაგან უნდა მალე იბრუნო ჰირი,
ნახე, თუ ჯატამ ხარბებს როგორ აწია ჭირი.[482]

ქურდმა, ძაღლიაო, და მწირს ცხვარი დასცანცლა
ვინაც რომ იმ ხარბ ჯატასავით არის მომქმედი,
იმან დაადო სიყალბით ცხვარს ძაღლის ბეჭედი.[483]

ქმარი, ცოლი და ქურდი
შფოთის დროს იყავ ჰირდაჰირი, ერთგული, ტოლი,
ვით ქურდის შიშით ერთხელ ქმართან მოიქცა ცოლი.[484]

ეშმაკი, ქურდი და მწირი

თუ შენი მტერი სხვა მტერს ებრძვის, გიხსნია ჭირი,
როგორც ეშმაკის და ქურდისაგან დაიხსნა მწირი.[485]

ქალი, ხურო და სიმამრი

ფიცარს რად უნდა მიაშტერო გონების თვალი
ისე, ვით ხუროს აჩვენებდა სიცრუეს ქალი.[486]

თაგვის მიერ ამორჩევა თაგვთა ჩამომავლობისა

თუ ცუდი არ ხარ, ნუ ხარ ცუდთან ძმობის მდომელი,
როგორც ის თაგვი, საქმროდ ჯაცის მოდგმის მსურველი.[487]

მაიმუნი და ჯუ

უნდა იცოდე შებრუნება, დაიხსნა თავი,
ვით მაიმუნმა აიცილა სიკვდილი ავი.[488]

მელის მიერ ვირის მოტყუება და ლომთან მიყვანა

უგნურ ვირივით ნუ გაივლი შენ სავალ გზაზე,
როგორც უგნურ ვირს მელასაგან, შენც მოგივა ასე.[489]

გლახაკი და ქილა ერბო

ოცნებისაგან მუდამ ცუდად დაიჭი თვალი,
ვით ერბოს ნაღდზე ოცნებობდა ჯაცი საწყალი.[490]

მწირის მიერ უბრალო თრითინას მოკვლა

სჯობს, არ მოექცე თრითინას მკვლელ მწირისა მსგავსად,
თორემ რომ მოკლავ, რას უშველი მერე შენ მკვდარსა.[491]

მამალი მტრედის მიერ დედალი მტრედის მოკვლა

არვის დაადო თითი შენ წინ დაუხედავად,
როგორც მამალმა მტრედმა მოკლა დედალი თავად.[492]

თაგვის მიერ ჯატის ბადის გადაჭრა

ჭკუით დაიხსენ შენი თავი ამ გვირაბიდან,
როგორც რომ თაგვმა იხსნა ჯატა ერთხელ მახიდან.[493]

ბაიყუში, შაჰი და უფლისწული

წადი, გაფრინდი, რომ ამ ქსელში არ გაიხლართო,
ვით ბაიყუში, – ამ ქონგურით გაფრინდა მარტო.[494]

მწირი ტურა და მხეცების ბეზღება ლომის წინაშე
სიმართლით ძალგიცს, რომ გადარჩე მჭრელი
ხმალისგან,
როგორც რომ იგი მწირი ტურა ლომის თვალისგან.[495]

ყარიბი, ოქრომჭედელი და გველი
სიყეთე ჰქმენი და ნუ შიშობ მტრის ხელისაგან,
სიყეთით იხსნა სული მგზავრმა იმ გველისაგან.[496]

ვაჭრის, მიწის მუშის, მდიდრისა და ხელმწიფის შვილები
ბედის განგებით ეძლევა ყაცს ღირსება მისი,
ვაჭრის შვილიდან თვით შაჰამდე, ვინც ყია ღირსი.[497]

ლომის წასვლა სანადიროდ და მისი ლეკვების მონადირება
სისხლის სასმელად ნუ გექნება ფრჭხილები მჭრელი,
ულეკვოდ დარჩა ლომი ამით სისხლისა მღვრელი.[498]

* * *

რომ თქვა ეს სიტყვა იმ მოხუცმა თავისებური,
ხოსროვი გახდა ცხე-ჟოშჟი ამ საგანძურის.
მან დაინანა ქნანი თვისის უსამართლობის
და ჩაისახა მასში ფუძე გულჯეთილობის.

სიბრძნე და ანდერძი ბრძენი ნიზამისა

ჳ

ულო, სანთელის სხივისაებრ აენთე ისევ,
სანთლისაგან ცეცხლის თაყვანისცემა მით შეითვისე.
მომართე ფიქრი შენი, გულო, ცეცხლთაყვანებით,
ცეცხლის ტაძრიდან შექმენ ფიქრი მისი ხსენების.
მე თვით მიწა ვარ, იმ მიჰრაბთან ძირს დაცემული,
მის სიბრძნისჟენ ვარ ასნაირად ყურმიქცეული.
ბევრი მაქვს მე თვით საგულისხმო სიტყვა სათქმელი,
რა ვთქვა, ჯალთაში არ ჩამჭიდა არავინ ხელი!
მე თვით მცოდნე ვარ მთელი ქვეყნის საქმის, რაობის,
ქვეყნის ყოველგვარ საიდუმლოს და მოძრაობის.
ზეცის სხეულთა აღნაგობა და ყველაფერი
ასტროლოგიურ ცოდნის სიბრძნით მე გადავჭერი.
მაგრამ ვინც მაითხა საიდუმლო იმავ ზეცისა,

ვერ ავუხსენი, ვით რიგია, ვერც ერთი ისა.
თავით ფეხამდე მე ამჟამად ძველი ვარდნარი
სულ გავანათე შენთვის, თუ გაქვს სმენის უნარი.
იმ წერტილიდაწ, სხვადსხვა რომ იყო ხაზები,
პირველი ბრუნვა რომ დაიწყო, იყო ალეფი.[499]
როდესაც იმ ხაზს შეუერთდა სხვა ხაზის თავი,
იმისი სივრცე შეიქმნა თვალდასანახავი.
სამი ხაზი რომ შეუერთდა ერთმანეთს რგვალად,
იმ სივრცისაგან შეიქნა ეს სხეული ჯვალად.
ხაზია სივრცე, სხეულებად ერთად შეკრული,
რომ სამ განზომით შექმნილია მთელი სხეული.
შესაძლო არის ქვეყნის ცოდნა ამ სამ მიზეზით,
თავით ბოლომდე ვინც მიჰყვება ამნაირ წესით.
გონებისათვის ნიმუში რომ იქნა აშკარა,
თავი და ბოლო ერთ ნახტომით გადაიარა.

ღმერთია მხოლოდ, რომ არ უჩანს ხედვის საზღვარი,
მისი არსების თავბოლოა მიუღწევარი.
იცან უფალი, ვინაც არის წინდახედული,
ფარდა უფლისა მისთვის არის ზე აწეული.
სცან შენი თავი ჭეშმარიტი ცოდნის შეგნებით,
შეიცნობ უფალს, თუკი თავის მცნობი იქნები.
იმ სიახლოვით, შენს წინ როა სარკე დადგმული,
ზეცის სიშორე გექნება შენ მით შეგნებული!
შენ მის სხივი ხარ, რომ ანთია ჩარხის სანთელად,
ამ ორი ქვეყნის სახედველი შენშია მთელად!
ნიზამი, აწი საიდუმლო რაც გაქვს ფარული,
ნუ იტყვი, სანამ ამ ამბავით ხარ შენ გართული!

შირუიეს აღწერილობა და ხოსროვის საქმის დასასრული

როცა ხოსროვმა შეითვისა გამოცდილება,
არჩია ამ დროს იმან ქვეყნით განდეგილობა.
მარიამს დარჩა ვაჟი ერთი რამ საძაგელი,
ვერაგი იყო, შირუიე ერქვა სახელი.
[ვირი, მუტრუკი, უკიათი, ვერაგი სრული,
მის გულცივობით გაუწყალდა ზეცასაც გული.
უშნო სახისა, ლურჯთვალა და უპეწითელი,
დამჭკნარი ვარდი, – არა ოქროს ზოდი ყვითელი.

იმისგან ყველა ერთიანად ზიზს განიცდიდა,
არც ბედით ის და არც სიმდიდრით არაფრად ღირდა.
სიგლახის მეტი არ უქნია წუთისოფელში,
არა-რა ქმნილა რიგიანი საქმე მის ხელში.
ქვეყანა მისი ყოფნით იყო პირგალანძღული,
ქვეყანას მისგან ჰქონდა მთელად გული მოკლული.]

გამიგონია, რომ ის ბიჭი, ბუნებით მკვლელი,
თვით ბავშვობაში, რომ გაუხდა მას მეცხრე წელი,
როცა შირინი გოგო იყო, ასე ამბობდა:
რა იქნებოდა, რომ შირინი ცოლად მყოლოდა?
მის ტრფობაზედაც, აბა, რა ვთქვა და მის მტრობაზე,
იმის ცოლნაზე, იმის ბედსა და მის რწმენაზე.
შაჰის სასახლე იყო მისგან ბოლით ავსილი,
მისდამი მუდამ იყო იგი ბოლმით ავსილი.
მან ბოზორგომიდს უთხრა: „ჰოი, ხარ დიდი ბრძენი,
მე გულს მიწუხებს ამ გულმკვდარი ბავშვის საქმენი!
ამ ცუდ ვარსკვლავზე შობილისგან ვარ შიშმოცული,
ბედუკუღმართი რომ არს იგი, მაქვს შეგნებული.
ის ცუდ საქციელს თავის თავში რომ დაატარებს,
ვით მგელი, დედას ნდობით ახლო არ გაიკარებს.
იმ მახინჯისგან ყარგი ქცევა არ წარმოსდგება,
როგორც ცეცხლისგან მარტოოდენ ნაცარი რჩება.
არ იტყვის ისეთს, ყაცს რომ გულზე მოეფონება,
სულ იმას ამბობს, რაც რამ თვითონ მოეწონება.
ღირსებითა და ხასიათით უღირსი მასზე
მე არ მინახავს, ის გაურბის ამათ ფარსანგზე.
ვით ბოლი, ჩემი ცეცხლით არის ის წარმომდგარი,
ჩემგან შობილი, მაგრამ ჩემგან წასული არი.
მას არც შირინის და არც ჩემი აქვს სიყვარული,
არც მის ტოლებთან აქვს ენა მას ტკბილად აღძრული.
ეშმაკის თვალით უცქერის ამ ფერიის ჰირსა, –
ყურტნის ოსტატი იმ თავითვე არ მოსწონს ვირსა,
გამშორდი, მე ხომ შხამიანი გურზა ვარ თვითონ,
დიახ გველი ვარ, რომ გამიჩნდა ასეთი ხვითო.
ყველა ქალი ხომ ქალს არა ჰგავს, ყველა შვილი – შვილს,
ყველა ლერწამი ყანდს არ მოგვცემს და ყვავილი – ხილს.
ბევრმა შობილმა მოჰკლა თვითონ იგი, შვა ვინაც,
რკინა ქვით მოდის, მაგრამ მერე ქვას ამტვრევს რკინა.
ბევრი უცხოა, რომ ნამდვილი აქვს ერთგულება.

თავისიანზე მეტ ნაცნობად ის ეგულება".

ბოზორგომიდმა თქვა: „ჰოი, ხარ წინდახედული,
მაგ შენს წმინდა გულს ავიც, ჯარგიც აქვს შეგნებული.
ვფიქრობ, ეს ბიჭი თუმც სადარდო შენი ყოფილა,
ისიც ხომ, მეფევ, შენი გვარით წარმოშობილა!
არ შეიძლება, შვილთან მტრობა რომ დაიჭირო,
შენს გულის ჯავშირს გული აღარ დაუჯავშირო.
ბრონეულს არვინ წიხლს არა ჰკრავს მეფეო, ჟინით
რადგან ნაყოფი თავზე ადგას როგორც გვირგვინით.
ხოლო თუთის ხეს მიტომ ხვდება წიხლი მაგარი,
რომ მას შვილები ჰყავს ყოველთვის ყირაზე მდგარი.
სიჯეთისაგან ცუდი ზნე შვილს არ გამოჰყვება,
რადგანაც იგი თვის მამის თესლს მიემსგავსება.
ოქროს საჯაბეს ჯერვის დროს რომ ჩამოეჭრება,
ის ჯვლავ ოქროა და ჯვლავ რამედ გამოგადგება.
თუ რომ ამჟამად ის ყმაწვილი შმაგად ირჯება,
დრო დაამშვიდებს მას, ამაზე ნუ გედარდება.
ჭაბუჯს ამ ზომით დღეს სისხლი რომ აუდუღდება,
მას სიბერეში ეს სიშმაგე დაავიწყდება".

ხოსროვის დაჯდება ცეცხლის ბაძარში

როგორც ხოსროვმა თავის ფიქრში წარმოიდგინა,
ცეცხლის ტაძარში ამის შემდეგ ექნება ბინა.
არ გამოდგება თვის ტოლებთან რომ იჯდეს თავად,
როგორც ქურუმი, დაჯდება თვით ცეცხლსალოცავად,
როცა ხოსროვმა ცეცხლის სახლში დაისადგურა,
მძვინვარ ლომივით შირუიემ ტახტს მიაშურა.
მუდმივ სასმელად იმას ღვინო ჯათხაში ჰქონდა,
შორიდან შაჰზე სხვანაირად იგი ფიქრობდა.
ბოლოს ჯი იმან გაუყარა ხოსროვს ბორკილი,
ქვეყნის გარეშე ერთ ჯუთხეში მისცა ადგილი.
ამ სიმწარეში იმას მოვლა ჰქონდა ისეთი,
არვინ დატოვა იმან მასთან შირინის მეტი.
ხოროვის გული შირინის წინ ისე ლხინობდა,
რომ ას ბორკილშიც თავისუფლად თავის თავს გრძნობდა.

დასვამდა მთვარეს და ეტყოდა: „დამიგდე ყური,
ყველას წინ უდგას ცხოვრების დღე თავისებური.
ქარისგან ვინმეს თავზე ქუდი რომ მოეხდება,

ბალახი მაშინ მშვიდად არის, სარო წუხდება.
იგი, რომელიც წინამძღოლი ნადირის არი,
მონადირისგან იმას უწინ ხვდება ისარი.
მიწის ძვრისაგან როდესაც მთა ორად ინგრევა,
ძირს დანარცხების შიში მაღლებს უფრო ერევა.
ხომ იცი, ბატკანს კბილები რომ ამოეზრდება,
მას უკან ბევრი მგელის კბილი გამოუდგება.[500]
სადაც ცეცხლია ყვითელ ოქროს გასაბოლავად,
იმისი ბოლი დიდებისკენ გაიწევს თავად.
შენ ხომ ხელში ხარ, სამეფო თუ წავიდა ხელით,
როდესაც შენ ხარ, ჩემია ეგ სამეფო მთელი!"
შირინის ბრუნვას არ იყო ეს აქ მოულებული,
აძლევდა თვის გულს მის მსახურად გამზადებული:
„ამ ქვეყანაზე ამნაირად მრავალი ხდება,
ხან ლხენა არის, ხანაც ტანჯვა და მწუხარება.
დუხჭირი საქმე როცა ვინმეს დაატყდა თავსა,
იგი მოკვდება, ვინც ეძლევა სიმძიმილს ავსა.
რამოდენიმედ უნდა იყოს სახე გახსნილი,
თავ-ფეხზე ერთად ხომ არ უნდა გედოს ბორკილი.
რომ გაიმწარო შენი თავი, არ შეიძლება,
ქვეყნად მრავალი ავადმყოფი საფლავში წვება.
განა ყველა სალს ციება არ მოეკიდება?
არა ყველა ის, რომ აციებს, დაიღუპება.
ბევრი გგონია საკეტი რამ უჩინარი,
შიგ რომ ჩახედავ, რა საკეტი, – ის კლიტე არი.
ბრძენისებურად მოიშორე გულიდან ჭირი,
ჭირი ჭირს იჭერს, როგორც იჭერს ნამს ქვიშის პირი.
თუ რომ შენს ადგილს შენი მტერი დაეუფლება,
მუყანამაც კი იცის ხოლმე მთვარის კეთება.
მაგრამ თუ წყალით ჭა თავამდე ამოივსება.
ქვეყანას სხივი რკინისაგან ვით ეღირსება?[501]
ამ ქვეყანაზე ყველაფერი უკუღმა რომ დგას,
ბნელი რომ ნათობს და რომ შავობს ქაფურის მოდგმა.
უნდა შეეწყო უნებურად მათ ურიგობას,
თუ დაგიწყებენ მახინჯები დაცინვით გმობას.

ქვეყანა ესე, ჩვენ რომ გვერგო ავი და ფლიდი,
დასტოვო უნდა, გულისტკენა არ გმართებს დიდი,
ორი ვინმეა, ვის საწუთროს ექცევა რბილად:
ერთი, ვინც მოკვდა, მეორე – ვინც ჯერ არ შობილა.

არავინ დარჩა ამ წარმავალ ქვეყნის გამზირზე,
შენც არ დარჩები და წინასწარ მას შეეთვისე.
ამ ქვეყანას რომ ჰქონებოდა რამ საფუძველი,
ვით გახდებოდა ყველა ჯაცი ქვეყნის მპყრობელი?
ზეცა სამეფოს ჯარგ საფუძველს თუ დაუდებდა,
მეფეს მეფეზე სამტროდ როგორ გადაჰკიდებდა?
იგი, ვინც გულით ამ ვარდის ბაღს შეიყვარებდა,
მეტს იტირებდა, ვიდრე იმით გაიხარებდა.
თუ რომ საწუთრო არ შეგრჩება, ნუ ატირდები,
შეიგნე, რომ მით ჩამოგშორდნენ ზურგზე ტვირთები.
შენგან ქონება დარჩება ან თვით შენ დარჩები,
სჯობს, ის არ დარჩეს, რომ მის შემდეგ თვით შენ დარჩები.
როგორც ბარბითი, სიამით გულს ვინც გაიხურებს,
მას მწუხარება უსათუოდ აუწევს ყურებს.
ალანთე ცეცხლი, ვითარცა მზემ, ამ ტაძრად მოდი,
უიესოდ ვირს ეძლევა პატივი როდი![502]
რა გველი არის ზოჰაქივით სისხლის შემსმელი,
თან მაგ შენს ზურგზე ამოყავს მას იმგვარი გველი![503]
ვნებათა ნამცეცს შენი ზურგით რომ ეზიდები,
შეხედე სასჯელს, თუ რა რიგად უზურგო რჩები!
მე ამას გირჩევ, არ დატვირთო ეგ შენი ზურგი,
მუცლისა ტვირთი გინდა, ზურგის ტვირთია ურგი.
შეხედე ცვედანს და ბერწ ქალსა, დაასჯვენ მითი
მათ ვერც მუცელი დაიტვირთეს, ვერც ზურგი ტვირთით.
თუ შენ ჭკუა გაქვს, ვნებისაგან შორით გაჩერდი,
ის, რაც შენა გაქვს, იკმარე და იმას დასჯერდი.
არა სჯობია ვნებათაგან განმარტოება?
თავშეკავებით განცხრომა არ მოიპოვება?
თუ ჰური არის, შეიძინე წყალი სასმელი,
არის ქვეყანა ბუნებრივად შვების მომგვრელი,
ვნებათაღელვას განერიდე, თუ გსურს საშველი,
თავდავიწყებით მისკენ ლტოლვა საქმეა ძნელი.
ის განდეგილი, ბეჩოს ჯალთას რომ შეეფარა,
ხალხისგან წასვლით შვება ნახა, ბედს შეეყარა.
ის მწირი, შორე მთის ჭურღმულში რომ იმალება,
ამ შორს გაფრენით მოიპოვა ჯმაყოფილება.
ქვეყანა, როგორც გველი, წელში რომ იკლაკნება, –
სჯობია, თუ შენ მისგან ხელში არ-რა გექნება.

თუკი შენ თვითონ არას მოგცემს თვით შენი ხელი,
სხვისი ხელების შემწეობით დაიჭი გველი.
თუნდა ტყვე იყო, ნუ იქნები გულატკენილი,
თუ შენ განძი ხარ, ხომ განძია ყუთს ჩაკეტილი!
თუნდ გექნეს ჭაში სამუდამო სამყოფი ბინა,
დიდ იოსების ბედის წიგნი დაიდე წინა.
[ამ ზღვაში გზა რომ შხამისკენ მიედინება,
ვის ძირი უყვარს, მარგალიტიც მასვე ერგება.
თუ ზევით უნდა აიწიო, ქვევით იყავი,
სჯობს, ლომის კუდი ვიდრე იყოს თვით ლომის თავი.]
თუ ძირს ღირსების შესაფერად გექნა ადგილი,
სცნობდე მას ალმად შენზე მაღლა როა აწვდილი.
გგონია შენა, ღირსებით ხარ დამცირებული,
შენ ხარ, ორ ქვეყნად რომ მეფობა გაქვს მოცემული.[504]
ქვეყნის გული ხარ, თავი მცირედ ნუ გეჩვენება,
ამგვარად ძალგიძს, თუ გატანა ლელოს გენება.
იცოდე, ღმერთმა შენ სხვათაგან გამოგარჩია,
ქვეყანა ესე მხოლოდ შენთვის მოუფარჩია.
ასეთ შეგნებით მხიარული როცა გახდები,
ტახტის და თაჯის ბორკილიდან თავისუფლდები.
თაჯზე და ტახტზე არ გჭირდება ამდენი გარჯა,
ეს მიწა – ტახტად და მზე ჯიდევ იგულე თაჯად".

გულს უმშვდებდა იგი ხოსროვს ასე და ასე,
ამგვარ არაჯით გულს უტკბობდა ვარამით სავსეს.
ღამე მოვიდა, საუბრობდა ასე სარო და
ხოსროვი იმით ნეტარებდა, გულით ხარობდა.

ხოსროვის მოკვლა შირუეის მიერ

ამის სიბნელემ ნათლის შუქი ნაართვა მთვარეს,
ზეცა ავსულმა გადააგდო გზიდან სხვა მხარეს.
უძლური იქმნა ამა ქვეყნის ათასი ხელი,
ცის ასი ათას თვალს გადეკრა უკუნი ბნელი.
შაჰსა ფეხები შემოკრული ოქროს ჯაჭვებით
ედო შირინის ვერცხლისფერი ფეხების გვერდით.
ტურფამ ჯაჭვები შავი თმისა ვერცხლისფერ ხელით
გადაანასკვა ოქროს ჯაჭვებს ნაზი სიფრთხილით.
გრძნობით ავსილი შეკრულ წვივს ხელს უსობდა რბილად,

უზელდა ნაზად ფეხებს და ზედ ჰკოცნიდა ტკბილად.
მშვენიერ ზღაპრებს ვნების აღმძვრელს ის უამბობდა
იმ ტკბილ ზღაპრებით დაძინება შეიძლებოდა.
ყოველ სიტყვაზე მისი პირით ნექტარს აძლევდა,
იმის ლაპარაკს შაჰინშაჰი ყი ყურს უგდებდა.
ხოსროვს ძილმა რომ შეუმცირა პირზე ღიმილი,
თვითონ შირინსაც მოერია იმავ დროს ძილი.

როცა ორ სატრფოს მშვენიერებს ტკბილად ეძინათ,
ფხიზელ სამყაროს თვალზე ცრემლი გადმოედინა,
ქვეყანა ბჭობდა: „აღდგა შფოთი გიჟი და ურჩი!"
მაგრამ სიბნელემ მას ლურსმანით შეუყრა ტუჩი.
ძირს ჩამოეშვა სარკმელიდან დემონი ავი,
არ იყო მასში სიყვარულის გრძნობა ოდნავი.
როგორც ყასაბი, სისხლის ჭინით მთვრალი ავადა,
თვალებიდანაც ცეცხლისმსროლი როგორც ნავათი
ქურდივით სახლში აქეთ-იქით თვალს აცეცებდა
და შაჰის საწოლს დაჟვირვებით იგი ეძებდა.
საწოლს მიაგნო და მახვილი აღმართა ხელით,
ჩასცა შაჰს გვერდში და ჩააქრო უცებ სანთელი.
მან ისე ჩასცა შაჰს გულ-ღვიძლში ნალესი რკინა,
ვით ღრუბლით – ელვა, სისხლი ღვარად გადმოედინა.
როგორც ყი მთვარეს განაშორა მზე განაცივი,
გავარდა გარეთ სარკმელიდან, როგორც არწივი.
მეფე ძილის დროს, მახვილისგან გვერდგაგლეჯილი,
ხედავდა თვალით, სასიკვდილოდ იყო დაჭრილი.
სისხლის მორევში სარეცელი მისი ცურავდა,
გულს შეწუხებულს სასიკვდილო წყურვილი ჰკლავდა.
გულში თქვა: „შირინს ტკბილ ძილში აქვს წასული თვალი,
გამოვაღვიძებ, მსურს დავლიო შარბათის წყალი".
შემდეგ წარმოთქვა მან ფარული გულის ბალღამით:
„არ უძინია, ვენაცვალე, იმას ამ ღამით.
რომ დაინახავს, თუ როგორ ვარ ბედგანამწარი,
არ დააძინებს იმას შემდეგ მოთქმა და ზარი.
უმჯობესია, მან ეს სიტყვა არ მოისმინოს,
მოვკვდები მე და იმან მაინც მშვიდად იძინოს!"
ამ სიმწარეში სული იმან ავ სიკვდილს მისცა,
ხოლო მძინარე შირინი ყი არ გააღვიძა.

ნახავ ვარდის ბუჩქს, აყვავებულს წმინდა მზის გვარად,
მწვანის სიტურფით იმედსა ჰგვრის ქვეყანას მარად.

დგება უეცრად სქელი ნისლი გიჟი, უხეში
და ანადგურებს ყვავლთა ველს მახვილით ხელში.
ამ საშინელ დროს მოდის სეტყვა ციდან ნასროლი,
იმ ვარდისაგან ალარ რჩება შტო და ფოთოლი.
როცა მებაღე წაართმევს თავს განთიადის ძილს,
ბაღში ვარდს იგი ვეღარ ნახავს ვეღარც სხვა ყვავილს.
ტანჯულმა ვარდის სისხლი თვალით ვით არ დალვაროს,
ვარდი დაცვივდა, ვარდის წყალი ვით არ დაღვაროს!

შირინის გალვიძება

ემდეგ შაჰის ტანს რომ გასდინდა სისხლი, ვით წყალი,
ტაბილი ძილიდან გამოერკვა შირინის თვალი.
აქამდე ღამით, როცა ბედი ანებივრებდა,
მას სალამურის და ფანდურის ხმა აღვიძებდა.
ახლა, როდესაც ბედი იქნა ცივი, უგბილი,
მას შაჰინშაჰის ცხელი სისხლით დაეფრთხო ძილი.
შეშფოთდა იგი, ვით ფრინველი, უცებ დამფრთხალი,
თითქოს ცუდ სიზმარს ხედავდა ან იმისი თვალი.
მან შაჰის საწოლს სახურავი რომ გადახადა,
ნახა ზღვა სისხლი და ვაის თქმით ის შეიცხადა.
ღამისგან იგი მოელოდა ნათელ სხივს მზისას,
ვაი, რომ თვალი უცქეროდა ნაშთს თავის ქმრისას.
იხილა მეფე, ალარ ჰქონდა თავზე გვირგვინი,
ჩირაღის ზეთი გაეტაცნა მტერს ავი ჟინით.
ხაზინის ჯარი გაღებული, განძი დაცლილი,
ჯარი წასული, ჯარის თავი ჯი გარდაცვლილი!
ტირილით შავი ღამე უფრო შავად აქცია,
ბევრი იტირა და მის შემდეგ სხვა გზას ეწია.
ვარდის წყალსა და მუშკამბარს ის ერთად ურევდა,
და შაჰის სხეულს სისხლში გასვრილს ზე ასხურებდა.
ისე განბანა ვარდის წყლით და ქაფურით ისა,
რომ ახლა იგი ელვარებდა, ვით სხივი მზისა.
მან ისე მორთო ყველაფერი მდიდრულ-მეფურად,
არვინ მორთულა მეფეთაგან ჯერ მისებურად.
როდესაც შაჰი ასე ჰყავდა იმას მორთული,
მუშკით და ამბრით რომ განბანა მისი სხეული,
ამასთანავე იგი ისე მოირთო თავად,
რომ სიკეკლუცით ასი გული დაიგირავა.

ჯირუიეს მიერ შირინის ხელის თხოვნა

ჯირუიეს გულს თვით შირინზე ფიქრი ჰკვეთავდა,
მაგრამ გამხელას ვერავისთან ვერა ბედავდა.
ჩუმად მას ჯაცი გაუგზავნა და დააბარა
„ერთი ჯვირისა მწუხარება ხოსროვზე ჯმარა.
ჯვირა რომ გავა, ორი ჯვირის მთვარე გავსილი
მოვა ჩემს ბაღში, როგორც ვარდი წითლად გაშლილი.
მას გავაღმერთებ და ყოველმხრივ დიდებულსა ვყოფ,
ხოსროვზე უფრო ავამაღლებ და ხელს შევუწყობ.
ვითარცა განძსა მე მას მოვრთავ ოქროთი თავად,
მივცემ გასაღებს საგანძურის, ნუ მიმზერს ავად"!

შირინმა რომ ეს გაიგონა, ისე შეწუხდა,
ძმრად გადაიქცა, მაჭარივით იგი ადუღდა.
ცრუ სიტყვა მისცა, რომ ჰქონოდა მას მოთმინება,
რომ მის მოჯლულ გულს მისცემოდა სიცრუით შვება,
[შირუიესთან გააგზავნა თვის მოციქული:
„თუ გსურს ხარობდეს ჩემი ნახვით ეგ შენი გული,
ის შეასრულე, რასაც ჯი შენ მე გეუბნები
და მეც უეჭვოდ მოყვარული შენი ვიქნები!
დიდი ხანია ისე გადის წუთისოფელი,
შენა ხარ ჩემი სატრფიალო გულთამყოფელი.
მაგ შენს ტრფობაში რადგანაც ვარ მე აღგზნებული,
ის ამისრულე, რასაც ითხოვს ეს ჩემი გული!
რაგინდ ამ საქმეს ჰქონდეს ჰირი მძიმედ შეჯრული,
ჩემთვის იქნება საიდუმლოდ ის დაფარული.
რომ მოვა დრო და შევიყვრებით ერთი ჯავშირით,
მე ყოველ სათქმელს მოგიყვები თვით ჩემი ჰირით.
ასე უბრძანე: ეს სასახლე თვის აივანით
სატურნს რომ სწვდება, დააქციეთ, ძირს დაიყვანეთ.
მოსპონ აგრეთვე მთელს არეში ეს შენობები,
გაანადგურონ ეს ტახტი და ძვირფასი ქვები.
ეს შრამელები და ქონება ეს უამრავი,
ცეცხლს მისცენ ერთად თვით ჯარავი და საბურავი.
ძვირფასი ქვები ააცალონ ჯამს ჯემშიდისას,
ბრწყინვალება და ელფერი რომ მიუგავთ მზისას!
როს უფარვიზოდ რჩება ტახტი თვითონ ფარვიზის,
უბრძანე შემდეგ: მოსჭრან ცალი ფეხი შაბდიზის.
როცა სიმართლეს ამოჯლებენ ისინი მთელად,
მით იქცევიან შემდეგ ვით ბრმა განურჩევლად.

სალხინო ლალი და ჭადრაჯი რომა ციალებს,
გულს რომ ალხენს და აგრეთვე დარდს აცილებს თვალებს;
შემდეგ ფირუზის სუფრა როა, დალეწონ იგი,
ბეჭდის თაჯის და ფარღულისაც დადგესო რიგი!
მომღერალ ბარბადს აწი ნუღარ გაიმეგობრებ,
იმას აწ შენს თავს სამეგობროდ ნუ დაუყადრებ!
თუ ამ ჩემ თხოვნას შეასრულებ შენი შეგნებით,
მაშინ მე შენი ქედმოხრილი მონა ვიქნები.
სიცოცხლეს მუდმივ სიხარულით შენ ჩაგაბარებ
და საიდუმლოს მხოლოდ მაშინ მე ვაღიარებ".

რომ გაუგზავნა შირუიეს მაცნე შირინმა,
შეიპყრო იგი სასიამო მეფურმა ჟინმა.
რაც მან უბრძანა, მას გადასცა ყველა ადვილად,
ჰქმნა ყველაფერი, ოღონდ იგი ჰყოლოდა წყვილად.
გადასცა შირინს, რომ სურვილი მისი ასრულდა,
შირინის გული ამის გამო გამხიარულდა.]
შემდეგ რაც ხოსროვს დარჩა ნივთი და საქონელი,
ფარჩეულობა თუ სხვა ტანის შესამოსელი,
მოიხმო ყველა უქონელი, გაჭირვებული,
გადასცა მათ, რომ მოიხსენონ შაჰინშას სული!

შირინის სიყვდილი ხოსროვის ასლდამაში

როს განთიადმა სიამის ძილს წაართვა თავი
და შირინის სულს დაემუქრა სულთამხუთავი,
იმ შავ აბაშელს რომ ქაფური მოჰქონდა ხელით,
შუა გზაზე ჯი იმ ქაფურის გატყდა ჭურჭელი.
ციხიდან ზანგი თვალში მთვარეს მისჩერებოდა,
მთვარე ციხეში შევიდა, ზანგს ელიმებოდა.[505]

მისი ბრძანებით იგი ჯუბო მეფური წესით
მორთეს სამოსი ფარჩეულით უძვირფასესით.
თვით იგი ჯუბო ოქროს ტახტზე იყო დადგმული,
ძოწ-მარგალიტით და ლალებით იყო მორთული.
მეფეთა გვარად ვით იცოდნენ ეს ფარსისტანში,
მეფე ხოსროვი ჩააწვინეს ჯუბო-აჯვანში.
დასდო შაჰების მხრებზე იმან ჯუბო მეფისა
და სამარისკენ წაასვენეს განთიადისას:
იმას ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მეფეთა გვარნი,
და იმ ჯუბოსთან იყვნენ ყველა გარშემომდგარნი.

ბარბადს ლერწამის სალამური თითიდან გასძვრა,
როგორც ლერწამი, მან თითები თვისი მოიჭრა.
ბოზორგომიდის ხომ იმედი სულ აღარა ჰქონდა,
იმას ტირიფის ფოთოლივით ტანი უთრთოდა.
მოსთქვამდა იგი უღონობით ჯანმილეული:
„შაჰის სიყვდილმა ამომაძრო მე თვითონ სული!
ირანის შაჰთა მძლე მფარველი აწ სადღა არი?
მეფის ალამი, ხმლის ხმარება აწ სადღა არი?
სად არს ხოსროვი, ქვეყნის მფლობელს რომ ეძახიან,
ხან ფარვიზს და ხან ხოსროს სახელს რომ ეძახიან?
თუ მოვა დრო და სიყვდილის გზით წაესვენება,
რისი ჯემშიდი, რის ქასრა და ხოსროს ხსენება?"
თავშიშველ მონა ქალ-ვაჟთ გუნდი მას მიჰყვებოდა,
ვით სარო, შირინ იმათ შორის მიირხეოდა.
მარგალიტები და რგოლები ჰქონდა ყურებზე,
თმების ხუჭუჭთა რგოლები მას ეყარა მხრებზე.
მას შავი სურმით შეეღება მთვრალი ნარგიზი,
ჰატარძალივით მოეხატა ხელები თვისი.
თავზე ყვითელი მოსახვევი ჰქონდა მზის ფერად,
ტანზე წითელი აბრეშუმი, როგორც ვენერა.[506]
იმ ჯუბოს უკან მიჰყვებოდა და მთვრალსა ჰგავდა,
ვინც შეხედავდა, იგი მყისვე გონსა ჰკარგავდა.
გაშალა ფეხი სიყვარულის დიდ მოედანზე
და გიჟურ როკვით მიჰყვებოდა მის ჯუბოს გზაზე.
ყველას ეგონა, ვინც კი შირინს თვალს ადევნებდა,
შაჰის სიყვდილი ვითომც იმას არ აწუხებდა.
თვით შირუიეც ამის გამო ასე ფიქრობდა,
რომ აწ შირინი მის სიყვარულს არ ჩაიქრობდა.
მთელი გზა ასე ცეკვით ხტოდა ის ბადრი მთვარე,
იქამდე, სადაც იყო შაჰის სახლი-სამარე.
მის უკან მონა ქალ-ვაჟები მწუხარედ იდგნენ
და ნარგიზიდან ჯასმინს ვერცხლისწყალს ზე ალვრიდნენ.[507]
[როცა შირინმა ნახა მათი მოთქმა-გოდება,
შაჰის გულისთვის წუხილი და თავგამოდება,
ახადა ფარდა საიდუმლო, თუ რამე იყო
და მთელ ჯრებაში მან მედგარი ხმა ამოიღო:

„ჰოი, მეფენო, გული რომ გაქვთ მძლავრი ლომისა,
ქვეყნისა თვალნო, მეომარნო, ხალხნო ომისა,
თავით ბოლომდე იცით ჩემი უბედურება,

ამ ჩემი ყოფნის საიდუმლო თქვენ გეყურებათ.
სანამდე ვიყავ შაჰის ფარდის ქვეშ მოქცეული,
არ მქონდა სახე მზით და მთვარით განათებული.
მე მინათებდა თვით ფარვიზის სახის ნათელი
მთელ სამყაროში იყო ჩემი სადიდებელი.
ახლა საწუთრო რომ შეიქნა იმის მფარველად,
გამჩენი იყოს იმის სულის შვების მომგვრელად.
როცა წავიდა, ათი რამე დატოვა მანა,
იმ ათი რამით დაუდებენ ტოლს ვინმე განა?
ათთაგან მე ცხრა გავაფუჭე ასეთი დღისამ,
ის გავერანდა, ასე მოხდა და აწ რას ვიზამ.
ერთი ათთაგან თუ მეც თვითონ მათგვარი ვიყავ,
ამ ქვეყანაზე სილამაზით ზღაპარი ვიყავ.
ჯერ ხოსროვის დროს ამ ურწმუნო, ცრუ ჰიროვნებას
ეწადა ჩემთან რომ ეპოვნა თავისი ვნება.
და რომ ხოსროვის სიცოცხლის დღე შემოკლდა ახლა,
ჩემდამი ძველი ჟინი იმან კვლავ განაახლა.
თუ მან ხოსროვზე ალმართა აწ სიწამხდრის ხელი,
მეც წავახდინე მისთვის შაჰის საბრძანებელი".
ამ დროს სახეზე საბურავი ჩამოიხადა,
რომ ხოსროვს მისი ტურფა სახე ენახა ცხადად.
„არ შეიძლება იმის ტრფობას უსაყვედურო,
რომ ამგვარ სახეს იმან მუდამ მშვიდად უყუროს.
ხოსროვის გული ჩემი ტრფობით იყო აღძრული,
რადგანაც ჩემ გულს ჰქონდა მისი ღრმა სიყვარული.
მე თვით ვცოცხლობდი მისი წმინდა სიცოცხლით მტკბარით,
ხარობდა გული მისგან მოსულ მტკვრით და ქარით.
როცა ხოსროვმა მიატოვა ამდაგვარ ვნებას,
ვერვინ იპოვოს თვისი ვნება-წადილის ნება.
მაშინ გავყვები შირიუეს ბედშავს მე ცოლად,
როს მამამისებრ უგვირგვინოდ მოუწევს ძრწოლა.
ქონების ლაფში, როგორც ვირი, ის ჩაეფლობა,
ჩემდამი ვნება მას ისევე გულში ჩარჩება".
შირინმა ხალხში ეს სიტყვები რომა თქვა ყველა,
გულის დუღილი ერთდროულად მით გაინელა.]
იმ შაჰის ჯუბო გუმბათის ქვეშ რომ მიაბარეს,
დიდებულები დარაზმული იდგნენ ერთ მხარეს.
ქურუმის თვალწინ შირინმა თვით შეიკრა წელი
და შიგ გუმბათში ნახა შაჰის მან სარეცელი.

ხალხის წინაშე იმ გუმბათის ჯარი დახურა,
და დანით ხელში მეფის ჯუბოს მან მიაშურა.
მეფეს გულმკერდთან მან სამოსი წამს მოაშორა
და ჭრილობის ჰირს მის ჯიგართან ის ეამბორა.
ის დაჯვირვებით დააცქერდა ხელმწიფეს წყლულში,
დაიცა დანა იმ ადგილზე თავის სხეულში.
ხან თბილი სისხლით გარეცხა სულ ის სარეცელი,
და განუახლა შაჰის სხეულს ჭრილობა ძველი.
შემდეგ იგი შაჰს შემოეჭდო გამწარებული,
დაადო ტუჩი ტუჩზე მას და სხეულს – სხეული.
უცებ აღმოხდა მას გულიდან სიტყვა მედგარი
და გააჯვირვა იმ ძახილით ყველა იქ მდგარი.
რომ შეუერთდა სული სულს და სხეული სხეულს,
სული და ხორცი განუყრელ აქვს ტრფობას ჯერთხეულს.

იყოს ხოსროვთან ის სანთელი სხივით მოსილი,
ჯერთხეულ იყოს შირინისთვის ეს ტკბილი ძილი!
ჯეთილი ეყოს იმ მეგობარს, ვინც აქ გაივლის
და შესანდობარს ის გულწრფელი მადლობით იტყვის:
„ჰოი, უფალო, გადმოხედე შენს მიწის შვილებს,
შეუნდე ცოდვა ორივეს ამ შეყვარებულებს“!
ვაშა შირინს და ვაშა მის ტკბილ გარდაცვალებას,
ვაშა სიცოცხლის მიცემას და ვაშა წაღებას!
მას ისე სწამდა სიყვარულის ეშხით სიჯდილი,
რომ შეყვარებულს ჩააბარა სიცოცხლე ტკბილი.
არა ყველა ქალს არაჯაცის სახელი ჰქვია,
ქალია ჯაციც, თუ ფეხებზე საქმე ჰკიდია.
ბევრი ქალია, ლომჯაცივით რომ უძგერს გული,
ბევრია დიბა, შიგ ლომია გამოხვეული.

ავარდა გზიდან ბოროტების ნაშობი მტვერი,
შამშიდს და ასჯილს შიშისაგან უცვალა ფერი.
გაჩნდა ღრუბელი წამოსული მწუხარების ზღვით,
წალეჯა დიდმა ნიაღვარმა ქვეყანა რისხვით.
უდაბნოს ველით ატყდა უცებ მრისხანე ქარი,
ბუქით და მქვერით გაასწორა მან მთა და ბარი.
დიდებულებმა საიდუმლო მათი რომ ნახეს,
იმ დროს ერთბაშად მაღალი ხმით წამოიძახეს:
„დიდება, ჰოი, შენ სამყაროვ, და ვაშა მიწას,
მეფე-დედოფლის წესები რომ ასე დაგიცავს!
ზანგი და რუსი თუნდაც იყვნენ მის მემუსიჯედ,[508]

არ შეიძლება ქორწინება ამაზე უკეთ.
ორ გვირგვინოსანს ერთი ტახტი მათ გაუკეთეს,
და იმ გუმბათში ორივენი ერთად ჩაჰკეტეს.
იქიდან ისევ მწუხარენი დაბრუნდნენ გზაზე,
და დააწერეს ეს ამბავი მიწის დაფაზე.
„შირინის გარდა, ამ მიწას შიგ ვინც ჩაუძირავს,
არვის არვისთვის ასე თავი არ გაუწირავს".

საკვლევი ქვეყნისადმი

ვულს ნუ მიანდობ ქვეყანას, ის ცივია სრულად,
არ მოექცევა იგი არვის თვითონ ერთგულად.
ეს წამხდარი დრო რამდენსაც ჯი აჩუქებს ჯაცებს,
მას სათითაოდ ბოლოს თვითვე ჯვლავ გამოსტაცებს.
ასნაირ ჯერით ის სიცოცხლეს აძლევს პირველად,
და ბოლოს ერთი ჯერის დროთი წაართმევს ხელად.
თუ ეშმაკური თილისმობით მას შეუჩნდები,
რომ დაეცემი, დაიმტვრევი და გაფუჭდები,
აბა, მაჩვენე ამ ხუნდის ვინმე სტუმარი,
ყულფი არ ჰქონდეს გადაცმული, იყოს მდუმარი.
ვერცა ხუნდითურთ გაიქცევი, ვერა და ვერა,
არცა ამ ხუნდის გაღების და გახსნისა მჯერა.
აბა, ამ ხუნდის ჩვენ გაღებას შევიძლებთ ვითა,
სხვებმაც ამაოდ სცადეს იგი, გარბოდნენ ვითამ.
ისა სჯობია, მიწის შიშით რომ ვართ მოცულნი,
თვით მიწის ჯავრით ჩვენ მიწაზე ვიყოთ მორთხმულნი?
ვიტიროთ თვით ჩვენ ერთობ ჩვენი წუთისოფერი,
რადგან ჩვენ ცოტა გვეყოლება დამტირებელი!

გამიგონია, რომ დიდ პლატონს დღე-ღამე მთელი
მტირალი ჰქონდა თურმე თვალი ქვეყნის მაშვილი.
ჰკითხეს მას ერთხელ: „სატირალი რა გაქვს შენ ბრალი?"
უთხრა: „ამაოდ არ იტირებს არავის თვალი, –
იმასა ვტირი, სხეული და იმისი სული
ერთგვარად არის დიდი ხნიდან გადაქცეული;
ერთი მეორეს განშორდება ეს ორი პირი,
ამ განშორების დღეს ახლავე მწარედ დავტირი".

შენ გზაზე წახვალ, გრძელი არის გზა წასავალი,
უსაგზლოდ ნუ იქმ, მას არა აქვს თვითონ საგზალი!
სულზე დაყრდნობით შეგიძლია ახვიდე ცაზე,

დასტოვე ციხე, მიწის მტვერი თვითონ მიწაზე!
საწუთროს ბანზე ნუ იტყვი, თუ ვით მოექცევი,
ჯი მოექცევი, თვითონ შენს თავს ნუ გაექცევი!
ჰკითხეს გონიერს, ვინაც არის შორს გამსჭვრეტელი:
ამ სახლის ბანზე როგორ არის გზა ასავლელი?
ბრძენის ბრძანებით გონება რომ გექნება სავსე,
ასწი ალამი ამ მაღალი სასახლის თავზე.
შენთვის შეიხის საჯამაო ბრძნული აზრები,
იმასა ჰკითხე, რასაც სხვას ვერ შეეკითხები.
სიტყვა ნათქვამი ბრძენ კაცისგან თუ არ იქნება,
მოხუცთ ამძიმებს და ის სიტყვად არ ჩაითვლება.
ჭკუა ფეხია და ბუნება ხუნდია ფეხის,
ყოველი სუნთქვა ქლიბია და ამ ხუნდებს ხეხავს.
ამ ოქროს ჯოშში სიმდიდრე მას აქვს მოხვეჭილი,
ვინც თავისთავად მოიშორა რჯინის ბორკილი.
მტრები, რომელნიც მეგობრებად დღემდე გამოგყვნენ,
იმას ცდილობენ, რომ როგორმე ფეხი გამოგკრან.
ამ ძნიდან ერთი მარცვალიც ჯი ალარ შესჭამო,
შიშობდე შენი თავისთვის და თრთოდე მის გამო.
როგორც იესომ, ვირი ბრბოსგან გარეჯა გარეთ,
ხარებს ჯი ჩალა ცოტა მაინც ძირს დაუყარე!
იმ ცხრა ხარიდან რომ არიან ჯაცს მჭამელი,
ამ მიწისგვარად იმ ხარს ბარგი დაადე ხელით.[509]
თუნდ ზოჭრა იყავ, ხარის ბორჯში გზად მიმავალი,
შენ ამ ხარ-ზურგზე ხარის ზურგზე გეჭიროს თვალი.[510]
ბევრი მწყურვალი მოატყუა ველთა არილმა
და მსხვერპლი თვისი იმ მარილმა დაამარილა.[511]
ბევრი ჰაჯია, აქლემიდან ძირს გადმოვარდა,
რომ მწარე ბალახს მჟაუნასგან ვერ არჩევს ჯარგად.[512]
თავზე ცარგვალი გვადგას როგორც საკანი მძიმე,
წელთ გველეშაპად შეუბამს მას ნახტომი ირმის.
რამდენად მწარე უნდა ჭქონდეს ჯაცს ყველაფერი,
რომ გველეშაპთან შეისუნთქოს იმან ჰაერი!
როგორც ბაჰმანმა ამ ბინიდან აიკარ ბარგი,
სანამდე გინდა ძმობა გქონდეს ვეშაპთან ჯარგი.
თუ მარტოობით სარგებელი შენ არ გექნება,
გველეშაპისგან ვით გექნება თავისუფლება?
რა სამოყვაროა იგი, რაიც, ჯაცი რომ ყვდება,
ვიღაც მტერსა და ოხერს ასე ხელში რომ რჩება!

ღირსეულ იყავ, ამ ქვეყნით რომ იბრუნებ პირსა,
ჰბაძე იესოს, მეგობარო, არა მის ვირსა.
ჯეთილი გელის, თუ არ გინდა სხვის შეწუხება,
ცუდს მაგიერად უდიდდება მოთქმა-გოდება.
ამ სამყაროსგან მცენარე რომ ამოიზრდება,
ხეებს და ფრინველთ მით სიცოცხლე მიენიჭება.
დაჲეცე დროშა, ამ ქვეყანას ვიწრო ყელი აქვს,
მოსწიე ალვირს, რადგან იგი ჯოჭლი ცხენიაl
ამოისუნთქე შენ ამ ქვეყნის ვიწრო ყელიდან,
გახსენი ჯვანძი ამ ბებერი ჯოჭლი ცხენისაl
ამ ქვეყანაზე რაოდენიც გექნეს ადგილი,
ყელზე რგოლი გაქვს რჯინისა და ფეხზე – ბორჯილი.
ამ ყოფადიდან, არყოფნა რომ ჩქარა უდგება,
ყოფნა-არყოფნას გასცდი ლხენით, რაც შეიძლებაl
ქონება, სახლი, შვილი, ცოლი, რაც გქონდა დღემდე,
ყველა ესენი თუ მიგყვება შენ სამარემდე.
წამოვა ყველა შენთან ერთად მწუხარედ გზაში,
მაგრამ არავინ არ ჩაგყვება ამ დროს მიწაში.
ძმა-მეგობრები ისე ცუდად მოიქცევიან, –
ყველა მათგანი შენგან უკან მობრუნდებიან.
სიკვდილ-სიცოცხლით იქნება თუ ძილ-სიმთვრალეში,
შენ ხარ, შენ თვითონ სადაცა ხარ, შენს სიცოცხლეში.
ეს მოჩვენების ქარავანი რომ მიდის გზაში,
ნაართვი თავი და ალამი აღმართე ცაშიl
მარცხი მასშია, რომ ყოველგვარ საქმის ადგილი
შენ დაგაბრკოლებს და არაა ძლევა ადვილი.
სუნთქვა კაცისა ზე ამოდის, ძმობილო, მიტომ,
რომ მას ტუჩიდან ჭიპამდე აქვს სასუნთქი ვიწრო.
თუ რომ ჭკუა გაქვს, შენც გაფრინდი აქედან ასე,
თორემ შენებრი აქ მოუკლავთ ათასჯერ ას.
მიწა, რომელსაც უნდა ჩვენი სისხლს დაქცევა,
ქარს გაატანე, – მტვერის მეტი რა მოეძევაl

ქადაგება

ჱულო, ნუ ზიხარ, მეგობრები სხედან აღარა,
შეკარი ბარგი, გამგზავრების დაჭრა ნაღარამl
ამ გემში მოცდას რომ არა აქვს დიდი ხნის ბოლო
ეს ბარგი ბოლოს ზღვაში უნდა გადაისროლო.

ნუ ფიქრობ ზღვაში მოიშორო თავიდან დარდი,
ნუკი ისუნთქავ, ჩაიყვინთე მორევში მარდად!
ის სილამაზე, ჯაცს რომა აქვს მინიჭებული,
ციურიც იყოს, მიწითაა გაკეთებული.
ქვა დაიმტვრევა და აგრეთვე მიწაც გაცვდება,
ვიწრო ბეჩოში საბოლოოდ არვინ დარჩება.
ეშმაკთა ჯვალი ამ ბეჩოში აწ მიატოვე,
ანგელოზივით ამ მიდამოს გამოეთხოვე.
ის ვაჟკაცები, რომ არიან გმირნი ნამდვილად,
სიკვდილის კლანჭებს უსხლტებიან უფრო ადვილად.
იმას არა აქვს სიკვდილის დროს სიცოცხლის დარდი,
სიკვდილზე ფიქრებს შეეჩვია ვინაც აქ ადრე.
ველარ დარჩები, მოლოდინში თუკი იქნები,
მოკალ სხეული, სანამდე შენ თვით არ მოკვდები.
ბევრი სხეული რკინასავით იყო მაგარი,
ასნაირ ტანჯვით ახლა მაინც მიწაში არი.
თუ მიწის სხეულს გაჰქექავ და დააკვირდები,
ყველანი მიწის მტვერი იყვნენ, თვით დარწმუნდები.
სად არს ზააქი, ფერიდუნი ანდა ჯემშიდი?
ჩაკვდნენ მიწაში, ვაშა მიწას! ეჰ, ჰაი გიდი!
ჯიგარს უყურე, სისხლითაა მიწის მღებავი,
არ ვიცი მე ჯერ, თუ რა ზღვაა ეს დამღუპავი.
ვინ ნახე აქ, რომ არ მოვიდა ქოსებით თუნდა
და არ წავიდეს ისევ უკან. წესია მუდამ.
თუ მიწად იქცა, მიწა ამით ცუდს არა შვრება,
ყოფნა ხომ ბოლოს არყოფნითღა განისაზღვრება!

ხედავ ქვეყანას: ვით გვექცევა მტრულად ნამდვილად?!
ზეცას უცქირე: როგორ გვაშთობს, როგორ ადვილად!
ნიზამი ყმარა, შეაჩერე ეს საუბარი,
რად ამბობ, ქვეყნის ყური სავსე თუ ბამბით არი!
ქვეყნის საჩივარს რამდენს იტყვი ოხვრით და ახით,
დაფარე ბარემ ეს ტირილი მოცინარ სახით.
წინ რას მოგვიტანს საწუთრო, რომ ჯვლავ არ გაბრუნდეს,
რას აამაღლებს ეს მიწა, რომ აღარ დაბრუნდეს?
ხეს ნახავ, ზოგჯერ ძირი ახლად რომ გაეზრდება,
ერთ დღეს გამხმარი, იგი ლურსმნის წერა გახდება.
ახლა გაზაფხულს საწუთრო რომ ააღვარებს,
მოვა დრო, და ჯვლავ წასაღებად ქარს მიაბარებს.
მისცემს, წაართმევს და სხვა რამე არ გააჩნია,

ალებ-მიცემის მეტი საქმე არ გააჩნია.
შეცოდებანი იმ ცხრა ვიწრო შუშის რომ არი,
სულ ერთ შუშაში მოაქციე და ქვა დაჯარი.[513]
რომ საწუთროთი, სულ რომ შუღლის გამხდარა ბინა,
დაიმტვრეს იქნებ იმის მიერ ეს მწვანე მინა.[514]
საწუთროს ვალი ნუ გსურს იგი შენს საჩაგრავად,
რომ ჩაგითრიოს შიგ შენც, იგი ბრუნავს ერთავად.
უარყავ თავი, რომ სამაროს ოთხი თვისება
შვიდი რჯინის ცას ვერასოდეს გაეთიშება![515]
ლაფი და ქვაა ესე ბინა, აწ დაქცეული,
ჩვენ ორივ ხელით და ფეხებით ვართ შიგ ჩაფლული.
ამ ქვას და ლაფში ჯაცი ვინაც მუშაობს მასზე,
ვერც ლაფი ლაფზე დაადო და ვეღარც ქვა ქვაზე.

ხოსროვ-შირინის ამბის შედეგი

მენ ამჟამად რომ ამ ამბავის ხარ მიმდევარი,
არა გეგონოს, მოგესმინოს რამე ზღაპარი.
ამ ამბავმა ჯი ცრემლი უნდა გამოიწვიოს
და ვარდის წყალი მწარე ტაბილზე გადააფრქვიოს.
რადგანაც იგი ჯერ უდროოდ და ადრე ასე
როგორც ყვავილი, გაჰყვა ნიავს სიცოცხლით სავსე.[516]
მნათობი იგი ჩემთვის ჯერჰი ყივჩაღის იყო,
აფაყი ერქვა, ჩემთვის მართლა ცის თაღი იყო.
ბედით მოსილი ლამაზი და ჭკუით აღსავსე,
გამომიგზავნა მე დერბენდის მფლობელმა ასე.
ფარჩის პერანგი რჯინის ჯავშნად ეცვა მას ტანზე,
ჯაბის სახელო ვიწრო იყო იმის პერანგზე.[517]
ვინც უნდა იყოთ, მას სიტურფით ამაოდ ედრეთ,
იგი გამიხდა თანამდგომად, თანამეცხრედ.
ვითარცა თურქი, მან მახეტა მეც იძულებით,
და ჩემი ბარგი გადავეცი თურქებს სრულებით.[518]
უფალო, რადგან განმაშორე მე ჩემი თურქი
თურქის შობილის მიმართ მაინც არ იქნე ურგი![519]


დარიგება თავის შვილის მოჰამედისა

ეცადე, ჩემო თვალთ სინათლევ, შვიდი წლის ბალღო,
ისრის მანძილზე უფალს ჩვენსას რომ მიეახლო.[520]
მე შენა გზრდიდი და უფალმა მოგცა საჭმელი,

უფალმა გარქვა, მე ჯი არა, შენ ეს სახელი.[521]
ვით ახალ მთვარეს, ახლა გმართებს პირზე ღიმილი,
ჩვენც ვიცინოდით, რომ ცოტახანს დღე გვქონდა ტკბილი.
რომ გამოჩნდება ხალხში შენი ჭაბუკი მთვარე,
აანთებს ვარსკვლავთ შენი სახე სხივმოელვარე.
გაჰკარ ჯალამი სიტყვას, იგი ფუჭი ვნებაა,
ცოდნას მისდიე, ცოდნა რადგან თვით ღვთაებაა!
ნამდვილ ნამუსით, როგორიც ჯი ხალხს მოსწონს ბრძენსა,
მიეცი გონი, შემოქმედო, ნიზამის ძესა!

ხოსროვის მიერ ფაიღამბარის ნახვა სიზმარში

ასე ამბობდა ის მეტყველი ღამის მთევალი,
თუ ვით დაადგა ხოსროვ ფარვიზს დღე საშინელი.
რომ ერთხელ ღამით, ვით ნათელი გავსილი მთვარის,
ნახა მან ძილში თვით მუსტაფა ფაიღამბარის,
მოაგელვებდა იგი თავის არაბულ ცხენსა,
ხოლო ნაწნავი ქამანდივით ეყარა მხრებზე.
გულსავსედ უთხრა: „ჰოი, ვაჟო, ხარ დიდი გმირი,
ისლამს მიმართე, სხვა რჯულიდან იბრუნე პირი!"
პასუხი მისცა მას: „რაღა ვქნა აბა უთავოდ,
ჩემს რჯულს და ადათს შენახვა და დაცვა უნდაო".
მხედარმა ფიცხმა წასვლა როგორც ჯი დააპირა,
ფიცხად მათრახი იმას თავზე გადაუჭირა.
როდესაც ტკბილ ძილს ხოსროვ-შაჰმა წაართვა თავი,
ტკივილდან ცეცხლის ბოლი უცებ ავარდა შავი.
შიშმორეული სამ თვეს იგი სულ ძაგძაგებდა,
ვერ იძინებდა ღამით, ტანჯვა სულს უწუხებდა.
ერთხელ სიმთვრალით დაღვრემილმა ფხიზლური ქცევით
შესძახა შირინს მან ხმამაღლა: „ადექი ზევით!
მო, საგანძურში რომ გვაქვს განძი აუარება,
ვნახოთ, რომ მისგან განვიქარვოთ ეს მწუხარება.
რაც არის ითრი, აბრუშემი და განძეული,
ავწონოთ, რაც ჯი სალაროში გვაქვს დატეული.
მით უქონელებს ვუწყალობოთ ესე ქონება,
რომ სულს მიეცეს მით სიმშვიდე და მოსვენება".
საგანძურისკენ გაემართა ორივე ერთად,
განძის სიმრავლით შიგ ადგილი არ იყო მეტად.
სავსე ტომარა ტომარაზე იდო შეკრული,



ქაიხოსროდან ხოსროვამდე მოგროვებული.
ორმოცი სახლი ავსებული რომ იყო სრულად,
ერთი რომ ჩანდა, ათი შიგვე იყო ფარულად.
ყველა სალარო სათითაოდ ნახეს, გააღეს,
შიგ საქონელი რაც ჯი ჩანდა, მათ დაინახეს.
რაც არა ჩანდა, ყურადღება მას მიაქციეს
და ყველა ფარულ საგანძურის ულიტე მოძიეს.
ულიტე და ნუსხა ქონებისა მოლარემ მისცა,
განძის სიმძიმით და სიმრავლით დამძიმდა მიწა.
ფარული განძი ნახეს იმათ ხელმისაწვდომი,
ნახეს ყოველი საგანძურის ულიტე-ბოქლომი.
მათ შორის ნახა ოქროს ულიტე ფერად ყვითელი,
აფრქვევდა ყვითელ სხივებს იგი, როგორც სანთელი.
სხვა ჯაცებისგან მოიჯითხა მან განძის ჯარი,
მისი ბოქლომის ულიტე იყო ჯერ უჩინარი.
მისცეს ნიშანი და, შაჰმა რომ ნახა ის ბინა,
მყის იმ ადგილზე იმან მიწა მოათხრევინა.
გრანიტის ქვიდან ბლომად მიწა რომ გამოთხარეს,
გამოჩნდა იქვე ერთი დიდი თაღი ერთ მხარეს.
შიგ მარმარილოს ყუთი იყო ჯარდახურული.
და იყო ყუთი ოქროებით დამძიმებული.
შაჰის ბრძანებით ყუთის ჯარი მალე გააღეს,
რაც შიგნით ნახეს, ყველაფერი გარეთ დააწყვეს,
ნახეს თილისმა, სადა ვერცხლით გაჯეთებული
და ოქროს დაფა მასთან იყო შიგ ჩადებული.
და იმ დაფაზე ოქრო-ვერცხლის შენარევ ფერად
ოქრო და ვერცხლით მოხატული რაღაც ეწერა.
მოიხმეს ბრძენი მოხუცი მის წასაკითხავად,
შაჰინშა იმის წაკითხვისგან დაღონდა თავად.
როცა ნახატი შეამოწმეს, ვით იყო რიგი,
მის გამომცნობმა ამნაირად განმარტა იგი:
„შაჰი არდაშირ ბაბაქანი ჭკუაფხიზელი
იყო ჭაბუკთა წინამძღოლი და ხელმძღვანელი.
მან დასასრული ამ ქვეყნისა იცოდა ყველა,
მთელ სამყაროზე წარმოდგენა ჰქონდა ნათელად.
შვიდი მნათობი იმან გარეთ გამოიყვანა
და შორს ქვეყნიდან ვარსკვლავთ ხომლში გარია თანა.
ამ მნათობთ შორის გამოჩნდება ნიშანი იმის,
არაბთა ქვეყნად ჯარგ ვარსკვლავზე დაბადებულის.

ენამეტყველი, მამაცი და ჯარგ საქმის მჭნელი,
მართალი, მართლის შემომქმედი და მართლის მთქმელი.
ზეცის მნათობი არიან მის საქმის შემხედნი,
მისი მორჩილნი არიან თვით წინამორბედნი.
იგი რჯულებზე დააწესებს ფადიაშაჰობას
და შარიათით ეწევა ის მათზე მეფობას.
ფადიშაჰობა თავის თავის ვინც შეიძინა,
მას შარიათის სიბრძნე მუდამ ექნება წინა.
ბრძენი, რომელიც გამოიჩენს მისდამი ნდობას,
ბრძოლით იგი მარცხს მოიხვეჭს და ზავით – მშვიდობას".

შაჰი იმ სურათს დაჰვირვებით რომ დააცქერდა,
სული და გული ფიქრისაგან მას აუძგერდა.
გულში თქვა, რომ ეს მთელი ქვეყნის მნათობი სახე
ის მხედარია, იმ ლამით რომ სიზმარში ვნახე.
იმგვარად ტანში სული იმას აუმღელვარდა,
რომ ძვლიდან ტვინი მთელად გარეთ გადმოუვარდა.
ჰკითხა მათ, ვინაც იყო მისი ამბის მიმტანი:
ქვეყნად ამგვარი თუ ნახულა ადამიანი?
ყველამ თქვა: „იგი სურათი, რომ ახლა ბრწყინვალებს,
გულს თვალს ანიჭებს მოწყალებით და სხივს ჯი – თვალებს.
არვინ ყოფილა მისებრ წმინდა, წინასწარმთქმელი,
მტკვრს ქააბისას ჰქონდა მისგან ამბრის სურნელი.
მოჰამედ! – ღმერთმა რომ დასახა ხალხში რჩეულად,
იმისი ენა ქვეყნის ბოქლომს გააღებს სრულად".

შაჰი მწუხარე საგანძურით გავიდა გარეთ,
იმ განძისაგან იმას თავში ქვა მოხვდა მწარედ.
ნახა შირინმა შაჰის ტვინი ადუღებული,
იქნა ლამაზი ლამაზისგან აღშფოთებული.
შაჰს უთხრა: „ჰოი, დიდო ბრძენო და მწყალობელო,
ქეიყობადის ტახტ-გვირგვინის შემამკობელო!
ამა სურათით, ჩვენამდე რომ აქ შენახულა,
სიტყვა, იცოდე, რომ ამაოდ მათგან არ თქმულა.
რა ხანი არის ამ საქმისთვის რომ ჩვენზე წინეთ
იკვლევდნენ ზეცას და ეს სახე აღმოაჩინეს.
ქვეყნის პატრონი რომ იყო ის ფაიღამბარი,
მასზე ძველადვე ეს ამბავი ითქვა ამგვარი.
დიდებულების მას ღვთიური აქვს დამტკიცება,
მისცემს იმის რჯულს, რაც მოწმობით დაიფიცება.
გზა და ადათი სათამაშოდ აღარ გახდება,

მის წინააღმდეგ ვერავინ ვერ გაამაყდება.
იმის რჯულს შაჰი თუ სურვილით მოეკიდება,
ეჯალ-ბალახი ამ გზაზე არ აღმოიზრდება.
ღვთის რისხვისაგან იგი უკვე თავისუფლდება,
ბედნიერ ყოფას იგი მთელად უკავშირდება.
იმას კეთილი სახელი თუ მიენიჭება,
სამემკვიდრეოდ შაჰობა მას მარად დარჩება".

შირინს ხოსროვმა უთხრა: „მითხარ, აბა მართალი,
ამ მოვლენაში თუა რამე სიმართლის კვალი?
იქედან, სადაც შემოქმედი არის მორჭმული,
ჩემს წინაპართა დროინდელი გამოსჩანს რჯული.
მე წინაპართა გზასა და რჯულს თუ მივატოვებ,
ძველ შაჰებიდან ჩემ შერცხვენას მით მოვიპოვებ.
გულს უნდა, მაგრამ ვერ ითვისებს მას ჩემი ბედი,
ბედი რასაც სცნობს, ის იქნება, რა გინდა მეტი!"
[იმის სიტყვაზე იყო იმ დროს თანახმა გული
მაგრამ თავში კი იყო აზრი აკანკებული.
ფადიშაჰობის ქედმაღლობას ის აუხირდა,
ფადიშაჰობა მის წინაშე მეტად დამცირდა,
ასე ამბობდა ის მართალი, ჭკუამზიანი,
რომ ხოსროს საქმეს მით მიადგა დიდი ზიანი.]
იმ დროს, როდესაც იყო იგი ქვეყნის მმართველი,
ჰქურდა აღმოსავლ-დასავლეთით მისი სახელი.
და მოციქული თავის რჯულის წესებს იცავდა
და თავის სამწყოს წყალობითა გადახედავდა.
ზოგჯერ მთვარესთან იყო იგი კეთილგანწყობით,
ზოგჯერ კი მთვარეს ექცეოდა ხერყაბაზობით.[522]
ზოგჯერ იდუმალ იგი ქვასთან ლაპარაკობდა,
ზოგჯერ მისი ქვა თავისთავად ამბავს ამბობდა.
ძალი იმისი მთას დრეკავდა და კლდეს ბზარავდა,
რისხვა იმისი ქარს აჩენდა და ხალხს ზარავდა.
განძის გაცემას ის არაფრად აღარ აგდებდა,
ყველა ქმნილებას აწოდებდა ის თავის ჯამსა,
ყოველ სულიერს თვისკენ იხმობს ყოველსა ჟამსა.
საჩუქარ ნივთთან მან ვარდისწყლის შერევა ბრძანა,
ყველას სახელზე ავგაროზი დასწერონ თანა.
აბაშის სახე მან ხელახლა ააელვარა,
აჯამის საქმე წესიერად მან მოაგვარა;
და დაასრულა მან ნეგუსის სურათი როცა,
ხოსროს სახელზე დაბეჭდილი წიგნი გამოსცა.

ფაიღამბარის მიერ წიგნის მიწერა ხოსროვთან

„ მერთი, რომელიც შემქმნელია მთელ სამყაროსი,
არსება მისი სიუხვეა წმინდა წყაროსი;
უბრძნესი, რომლის დასაწყისი არ ვიცით, ხოლო
იგია, რომლის დასასრულსაც არა აქვს ბოლო.
იმის ღირსების აღსაწერად ტუჩს ვერვინ დასძრავს,
ბრძენი რომ ერთი ამოსუნქვით გონებას დასწვავს.
სუყველა მწირი, რაც ამ ქვეყნად ჯი იმყოფება,
მისი ბრძანებით სულ ჯოჯოხეთს მიეკუთვნება.
ყველა შემცოდე თვის ცოდვათა მოსანანებლად
გაგზავნა იმან სამოთხეში მოურიდებლად.
დიდ ჰირს მიზეზად სიუძლურე არა სჭირდება,
აღებ-მიცემა დიდთაგან ნუ გაგიკვირდება.
ერთ ჯოღოს მისცემს სპილოს გვირგვინს და მორთულობას
და ჭიანჭველას მიანიჭებს ფაიალმბრობას.
სიმორღს წაართმევს მისთა ქვეყთა საქმეთა, ხოლო
ფარვანას ჯარის უფროსობას არგუნებს ბოლოდ.
შეაქე იგი, თუკი ძალგიძს მისი შექება,
ჯმარა შეგნებად, თუკი შენ გაქვს მისი შეგნება.
ყოველ ხსენების დროს უმისოდ ტუჩი აღძარი,
რაც უნდა იყოს მისი რჯული სცანი, რაც არი!
ყოველ ლოცვის დროს შემეცნების ღმერთი ის არის,
ყოველი აზრის მძლე ხელმწიფე ერთი ის არის.
ნუ დიდობ შენ, თვით ეგ დიდობა ბედზე ჰკიდია,
შენა ბრძანებლობ, ბრძანებლობა ღვთისა დიდია.
ღვთაებრიობა არ აღსდგება მცირე წრისაგან,
ღვთაებრიობა წარმოიშვის თვით ღმერთისაგან.

ჰოი, უძლურო, შენ ხოსროვ რომ გქვია სახელად,
თუმც ქაიხოსროს ასი ჯამი გქონდეს სასმელად,
ვითა სხვა, შენაც უნდა მოკვდე, რომ გავა ვადა,
სად შენ, მოკვდავი, უკვდავება ან კიდევ სადა!
ვინ უწყის ახლა მუჭა მიწა, კაცი რომ ჰქვია,
რა ფიქრებს არჩევს, კარგს ფიქრობს თუ ავს არჩევს გვიან.
თუ უსიკვდილოდ იქნებოდა ფადიშაჰობა,
ღვთისადმი ბევრი აღვიდოდა ლოცვა-მადლობა.
ნუ სცემ თავს თაყვანს, ჩვენ ასეთ ხალხს ვეძახით ბრმასა,
სულ თავს ნუ უმზერ, უფალს შეხე, ერთადერთ არსსა.
ნუ იამაყებ, თვით განგებით განსაზღვრულია,

რაც შემომქმედის ანგარიშით მიღებულია.
მიწა თვით მისი გამჩენისგან არს ასე მრგვალი
მის მეოთხედზე მცხოვრებლებს ჯი გარსა აქვს წყალი.
ერაყი ამ ერთ მეოთხედზე ალაგი არის
და ამ ალაგზე მადიანი ქალაქი არის.
და იმ ქალაქში დაფუსფუსებს ჯაცი მრავალი,
შენ იმ ჯაცთაგან ერთერთი ხარ, ძილში მავალი.
ერთი შენს თავს და მთელ სამყაროს შეხედე ჯარგად,
მასთან შენ რა ხარ, შენს საზღვარს და ზომას რომ ჯარგავ?
ეცადე, საქმე სადიდებლად წარმართო ღვთისა,
ღვთისქმნილს რა ძალუძს, – უძლურია და სუსტი ისა.
იმ სხეულისგან, როა ასე ფეხით ნათელი,
უფლობის ჰოვნა საეჭვოა და მეტად ძნელი.
მერწმუნე, ქვეყნად რომ არსებობს ნამდვილად ღმერთი,
სად? როგორ გითხრა, მას ადგილი არა აქვს ერთი.
ღმერთმა ჯაცს ქვეყნად ბელადობა რომ მიანიჭა,
მოციქულობა მისი მხოლოდ მე მომანიჭა.
ცეცხლის თაყვანისმცემლობას შენ გაშორდი მალე,
სცანი სამოთხე და ჯოჯოხეთს ჯი გაეცალე!
იყავ იმ ბაღში ფრენით, როგორც ფარშევანგთ გუნდი,
როგორც ფარვანა მწველ ცეცხლიდან უკან გაბრუნდი.
ცეცხლის ქურუმთა სახლი არის ბოლით ავსილი,
ვინც ცეცხლს აღანთებს, ის იქნება ნებროთ ცნობილი.
ცეცხლშია იგი და ტკივილი არის მისაგან,
მიჰყევი ისლამს, იხსენ თავი იმ ცეცხლისაგან.
[შორს ეშმაკისგან, და ნუ გინდა მისი უკმური,
მით ნუ იქნები ურწმუნო და ცეცხლის მსახური".]

როცა გათავდა დასაწერი ბარათი იგი
და მოჰამედმა ზედ ბეჭედი დაასვა რიგით.
გადასცა ხელში შიკრიკს იგი ფრიად საჩქაროდ
და გაუგზავნა, რომ თვით ფარვიზს მან ჩააბაროს.
როცა შიკრიკმა მიართვა მას ახალი წიგნი,
ხოსროვის სისხლი ამის გამო ადუღდა შიგნით.
ყოველი სიტყვა, რომლის ჯითხვით იგი აზრობდა,
ისე, ვით თრიაქდალეული, ისე ათრობდა.
თმა ხოსროვისა, როგორც შუბი, ისე გახევდა,
ყოველი ძარღვი სიცხისაგან თვით ცეცხლს აფრქვევდა.
როცა ხოსროვმა წერილს მისას შეავლო თვალი,
გეგონებოდა, ცოფიანმა ნახაო წყალი.[523]

ნახა ნაწერი მოხატული გულამაძგერი,
„მაჰმადისაგან ფარვიზს“ – იყო ზედ დანაწერი.
მან დაამცირა სიამაყე ფადიშაჰური,
„ჩემნაირ შაჰთან აქვს მოქცევა მას ამაყური.
ვინ გამიბედა, შეურაცხმყოს პატივსაცემი,
თვის სახელის ქვეშ ვინ დასწერა სახელი ჩემი!“

სახე აენთო ნითლად, როგორც ცეცხლის ტაძარი,
სიბრაზისაგან ფიქრი ექცა, ვით უმეცარი,
დახია წიგნი მაშინათვე მისი მლახველი, –
წიგნი ჯი არა, გაიფუჭა თვისი სახელი.
შიკრიკმა როცა ნახა შაჰი აშლილი მთელად,
შემოაბრუნა ფეხი იმან შინ წასასვლელად.
ის ცეცხლისაგან იმან ბოლო რომ გაატარა,
ჩირაღთა ჩირაღს ესე ცნობა წაუღო თანა.
სიცხემორევით ის ჩირაღი ქედდაწეული
შეუდგა ლოცვას, ვით ფარვანა ფრენას ჩვეული.
აჯამს იმისი ლოცვით ცუდი რამ დაემართა,
მის მეფეს თაჯი ძირს თავიდან ჩამოუვარდა.
მუსტაფას ჯანონს ის ცუდად რომ ეჯიდებოდა,
ფადიშაჰობა სწორედ მიტომ უცუდდებოდა.
ცამ შაჰის ტახტი წაიღო მის საბრძანებელში,
მის მოსაჯლავად შვილმა ხმალი აიღო ხელში.
გახდა გრიალი, მბრუნავი ცა მთელად შეინძრა,
მისი სახლის ბჭე ერთიანად ძირს ჩამოინგრა.
ტიგროსზე ხიდი, რკინისაგან ნაშენი მთელად,
მოვარდა ღვარი და ის ხიდი წაიღო ხელად.
გამოჩნდა ამ დროს ცეცხლის გვარი სამუმის ქარი,
მოსპო თავლაში გოლგუნი და შაბდიზი ჩქარი.
ზიყარის ომში იმის ლაშქარს უმტყუნა ბედმა,[524]
მთის არწივს ცხვირში მჯიღი მაგრად გაარტყა მტრედმა.
მოვიდა ჯაცი, ხელით ჯოხი შემოათრია,
განრისხებულმა იგი ჯოხი თვით დაამტვრია.
უთხრა: „ფოლადის ხელი მაქვს მე ღვთით მოცემული,
რომ ამნაირად დავამტვრიო მე შენი რჯული“.
იმ სამეფოში სასწაული ამისი გვარი
მრავალი იყო, მაგალითი მრავალი არი.
ერთი, გულქვანი ნახე თვალით, რომლებმაც ნახეს
და ღვთის ნებასთან შეერთება არ განიზრახეს!
თუმც რჯულის ნათელს ბოლი ზედ არ აედინება,

თუ თვალი ბრმაა, მაინც არა შეეძინება.
ყურანის ლექსი არის ისე დამაფიქრალი,
რომ მის წყალობას ელოდება ყველა მაშვრალი.
ვაშა მოციქულს, ვინაც შეჰქმნა შიში, იმედი,
ჯემშიდ-ფერიდუნს რომ მიაგო ასეთი ბედი;
ვაშა ქედმაღალს, მისი თაჯით ვნებააღძრული,
ყოველი ქედი არის მისი ჯაჭვით მორთული;
ვაშა მამაც თურქს შვიდგვარ ხალხს რომ ეპატრონება,
თევზით მთვარემდე ყველა იმის მადლს ემონება;
ვაშა ჰირბადრსა, მიწაში რომ მშვიდადა სძინავს,
მიწიდან ცამდე მისი სხივის ნათელი ბრწყინავს;
ვაშა დიდ მხედარს, შემოქმედის მოწყალე ხელით
მიწაზე არის ამოჭრილი მისი სახელი;
ვაშა წინამძღვარს წინამძღვართა ქვეყნის ყოფნისა,
განკითხვის დღემდე აღწევს ძალა მისი სიტყვისა![525]
დილით აღმართა ხუთი დროშა დედამიწაზე,
დაღამებისას ოთხი ტახტი დაიდგა ცაზე.

ამაღლება ფაიღამბარისა

Ერთ ნათელ ღამეს ამ წარმავალ წუთისოფლიდან
სახლში, რომელიც დგას მარტოჯა მუდამ სხვებიდან,
მოვიდა წმინდა გაბრიელი წმინდა ტაძრიდან,
ელვის მერანი მისი უხვად სხივებსა ჰყრიდა.
იყო ნახატი ანგელოზის, ვით სახე ბაღის,
თავზე აღვირი არა ჰქონდა, გავაზე – დაღი.
არა ღრუბელი, მაგრამ ჩქარი, ვიდრე ღრუბელი
და ქარზე უფრო უაღვიროდ მსრბოლი, ფიცხელი.
მას უნაგირი მარგალიტით ჰქონდა მორთული,
და თანაც რაღაც სურათები ამოქარგული.
წელმაგარი და მძიმე ნალი, ჩქარი მავალი,
ცქვიტი, გამფრენი; და ჰქონდა თან მახვილი თვალი.
ვაჟი, თვალწვრილი და შვიდ ცამდე თვალმოუაშუაშე,
მერანზე მჯდარი გამოცხადდა შაჰის შინაშე.
როგორც ფრინველი, მედინიდან გამოფრენილი,
მივიდა იგი ღრმა გრძნობებით გამოჩენილი.
ჯერ მოციქულთან პატივცემა გამოიჩინა
და თავდაბლური მორჩილებით წარუდგა წინა.

რადგან მოციქულს წინამძღოლად ის მოევლინა,
ამ დიდებულ პირს ის მაშინვე წაუძღვა წინა.
იქაურობა მიატოვა, გარეთ გავიდა,
დააგდო ზეცა შემოსილთა ტანზე მწვანითა.[526]
ამ მორევიდან, ვით სამოთხის ნიავი ნელი,
ცის შუა გულზე მიიყვანა თავისი გემი.
ცის შუაგულზე ღრიანკალი გახვრიტა თავით
ლომს შუბლზე ხელი სტაცა მარგად, ერჩოდა მკლავი.[527]
ირმის ნახტომი ბურაყს მისას უყრიდა მზესა,
მარჩიბემა მისთვის ქერის ჭმევა დაიწყო წესად.[528]
მშვილდოსანს მისცა თვისი სიტყვით მან ძალი მეტი,
სასწორს სულ მუდამ აწონინა კეთილი ბედი.
საწუთროს დედათ საშოს იგი გამოეთხოვა,
ქალწულთა რიგი და ადათიც შორს მოიტოვა.
მან განუდიდა მუშთარს თავის თაჯი და ბედი,[529]
და გამოსტაცა მზეს ხელიდან ოქროს ბეჭედი.
ავსულთა შორეს გასადევნად ცაში რომ არი,
ბუდიდან მისცა მან მარჩიბივთა ერთი ისარი.
ვით იოსები, ის მერწყულით შარბათსა სვამდა,
როგორც იონა, თევზის გვამში სულს მოითქვამდა.
ხომლი იმისი მერნით არის შიშით მოცული,
ვით ბელადს მას აქვს ავგაროზი ბეჭზე შებმული.
იმან დაჯაბნა თვის სიმაღლით ვარსკვლავი ორი;
ნასრე ტაირი – შავარდენი და ვაყე – ქორი.[530]
ფერად ყვავილით ისე იყო იმ ბაღის ხედი,
რომ თავის თვალებს დაადო მან ბინდის ბეჭედი.
მწვანე მოედანს როცა იგი თვითონ გაშორდა,
ის უდაბნოდან უდაბნოში ცხენით დარბოდა.
და იმ ცისფერსა ფარშევანგსა ამგვარ გაფრენით
ჩამოუყარა მან ფრთამალმა ლამაზი ფრთენი.
როს გაბრიელი იმის მერანს ჩამორჩა ჯარგა,
მყის მიქაილმა მისი დევნის იმედიც ჯარგა.
მოვიდა ამ დროს ისრაფილი, დაისვა ფრთაზე
და მიიყვანა იგი ასე რაფრაფის ჯარზე.
მან რაფრაფიდან სამოთხის ხეს დროშა დაჰკიდა,
ხოლო იქიდან სადრის ხეზე იგი ავიდა.
ის ნაწილ-ნაწილ წიგნის კითხვით არ ისვენებდა,
ველიდან ველში თავის მერანს მიაჭენებდა.

და რომ დაეცა მან ხალები ხალებზე ასე
გაიხსნა მისი მომავალი მეცხრე ცის ტახტზე.
მერანი იმას მიაქროლებს ორ ქვეყნის იქით,[531]
უფალთან დადგა ორი ისრის მანძილზე იგი.
ძველი პირბადე მოიშორა სახიდან თვისა,
არსობის ფარდა იგი არის არ ფარავს ვისაც.
მხარეთა შუბლი დაიფარეს, შენიღბეს მარდად,
სივრცეთა ირგვლივ მოიბურეს სახეზე ფარდა.
და უადგილო, იდგა იგი ადგილზე თავად,
ჩანდა ნიშანი მისი მუდამ შეუნიშნავად.
სიტყვა მარადი მოისმინა იმან უთქმელად,
ქვეყნის უფალი უშუალოდ ნახა პირველად,
იწყო მის ტანის ყველა ასომ ცეკვა, ტრიალი,
იმისი გულის ყველა ბეწვმა გააღო თვალი.
საკვირველება, რაც მის საქმის ჯურღმულში იყო,
გული მის თვალში და თვალი კი მის გულში იყო.

გაისმა სიტყვა: „რადგან ჩემი სასახლე ჰპოვე,
რაიც გწადია, ნუ დამალავ, მოდი და მთხოვე!"

სიძუნწისაგან დაიცალა სიუხვის ბინა,
წყალობის განძთა ყლიტეს ითხოვს მოწყალის წინა.
შემცოდე პირნი, ვინც ირწმუნა, დალოცა ყველა,
ყველა მისდამი მსასოებელთ აღუქთვა შველა.
როცა სიკეთის მოწყალება უფალმა მისცა,
სიწმინდის განძით ავსებული დაბრუნდა მიწად.
წავიდა ვარდად, სარო სრული დაბრუნდა იგი,
წავიდა მთვარე, გაბადრული დაბრუნდა იგი.
ყველა არსთათვის წიგნი შვების მან მიიტანა.[532]
ჯოჯოხეთიდან გამოშვების ხსნა მოიტანა.
ჩვენგან მას, ვითა სასურველსა ქება ეძღვნება,
ყოველ ნაბიჯზე და ყოველ წუთს ეკუთვნის ქება!

ანდერძი და დასასრული წიგნისა

ვეი, ნიზამი, სანამ ცოცხლობ, დახარე თავი,
დახარე-მეთქი, თუ არ გინდა გეწიოს ავი!
არ გინახავს შენ მარგალიტი, ზღვა რომა ზრდიდა,
დაცემის შემდეგ ღირსებით ის როგორ განდიდდა.
როგორც მარცვალი, თუ დაეცი, ამოიზრდები,

როგორც თაველი, თავს თუ ასწევ, ამოიფხვრები.[533]
თავი დაიჭი, ქვეყნის ჩარხი ავი ზნის არი,
იყავი სათნო, ყოფადს ფუძე არ აქვს მაგარი.
წახდა ჰაერი, მტვერსა და ქარს აწ შეურიგდი,
გაქრა წამალი, შენს სატკივარს აწ შეურიგდი!
საწუთრო ჩვენდა სამკურნალოდ ჯადოს ამზადებს,
ვით თვალთმაქცები, ათნაირად თავს აფერადებს.
ხან ნეშტრით შახამავს, თითქოს ასოთ სასმელი არი,
ხან ფქვილს ამჟავებს, თითქო სუფრის საჭმელი არის.
მის მოსარჩენად ყურზე უნდა დაირტყა დანა
ან სიაუშის სისხლი შესვა, ეს ხსნაა განა?[534]
ამ მალამოთი ჭრილობა არ განიკურნება,
ამნაირ წამლით ტანჯულ გულს არ ესალბუნება.
ვით ბავშვი თითს სწოვს ამ აკვანში, შენც ისე ქმენი,
შენი სისხლიდან ხან რძე და ხან თაფლი შექმენი.
მომჭირნეობა შეითვისე თვითონ ლელვისგან,
ის თან ბავშვია, თან ძუძუ და თან რძეა ხისა.[535]
ის დანაწერი ჭადრაკის ბედს რომ შეედრება,
მცირე თამაშის დროს შამათით რომ იმუქრება,
ვაი, ის არის სახიფათო და საშიშარი,
რომ შენი როქი მიწის როქთან უძლური არი.
რად დატრიალებ ამ ჯარავში ფეხშენსაკვენი? –
ჯისერზე თოკი რომ გაქვს, მაინც შემოიხსენი!
გაიძვრე ფეხზე ვიწრო წალი თუ შეიძლება,
ვიწრო წალებით ფეხს ჯოჭლობა არ მოეშლება.
ფეხი დასძარი, გაიარე გზა წასასვლელი,
თან შეიგნე, რომ არ გინახავს ჯერ ეს სოფელი.
ყოველ სიხარულს თანვე ახლავს ტანჯვა მრავალი,
ერთ ვარდის ფოთოლს თანვე ახლავს ასი ეკალი.

მწარით და მჟავით სიჭაბუკე წავიდა მთელი,
სევდა-ნაღველით მოიშხამა წუთისოფელი.
სიცოცხლის დროზე მწუხარებით ვართ შებოჭილი
და მგლებთანა ვართ ტომარაში ერთად ჩაყრილი.
სიკვდილის დროზე ასი დაღის ქვეშ მოვექცევით
და გორგანიდან ქერმანისკენ ჩვენ გავიქცევით.[536]
გზა გორგანიდან ქერმანამდე ცოტა როდია,
მაგრამ ჩვენსა და სიკვდილს შუა ბეწვი არცკია.
თავიღა შეგვრჩა, იგიც არის თავლაფდასხმული,
მწუხარებისგან თავქვე არის იგი დაბმული.

თავი, რომელმაც დაინახა თვისი ჯალათი,
როგორღა გაძლებს ანდა იდგეს რომელ ძალათი?
ნახე ეს მხარე, როა ჩვენი თავშესაყარი,
მხარე ჯი არა, საპატიმრო დილეგი არი!
სიმხურვალისგან ჩვენ როდესაც გვედება ალი,
სულ სველ ჯიგარზე ცივი გვინდა დავისხათ წყალი,
როდესაც თოვლის ბეწვი ცვივა, ჩვენც ფრთები გვცვივა
და ცხოველთა ბეწვს ვეფარებით ჩვენ, ისე გვცივა.
ამნაირ ფეხით ჩვენ რანაირ გზას დავადგებით,
ამნაირ ფრთებით ჩვენ საიდან სად გავფრინდებით!
ყველა საქმეში მტარვალი ვართ ჩვენ სხვების მიმართ,
ნეტავი ჩვენა, რა ჯარგნი ვართ! და ვაი იმათ!
ვინც ჭინჭველის ფრთას დაატეხა თვისი სიცხარე,
უხსენებელმა მას ჯეფაზე უკბინა მწარედ.
მე ჩემი თვლით ვნახე ერთხელ გზათა გამიზირზე,
რომ ჭიანჭველას სცემდა ჩიტი, მოსული ჭინზე.
ჯერე მსხვერპლისთვის მას ნისჯარტი არ გაეყარა,
გაჩნდა სხვა ჩიტი, საქმე მისი მან დაამთავრა.
ავს რომ ჩაიდენ, შემდეგ ხიფათს ვეღარ ასცდები,
სამაგიეროდ შენც სიავის წერა გახდები.
ზეცა სიმართლის სარჯე არის და, შეიძლება.
რასაც რომ შენგან ნახავს, შენც ის არ მოგეშლება.
ემცნო ქვეყანას – ცუდი საქმე ვინც ჩაიდინა,
არა სხვების სულს, მან თავის სულს ცუდი შესძინა.
ნუთუ არ იცი ნაამბობი ამ გზის გამგისა:
„ვინც ჭასა სთხრიდა, თვითონ ჭაში ჩავარდა ისა“.
აზრი უფლისა უაზროდ არ წარმოითქმება,
მინა და ზეცა უსამართლოდ არ შეიძლება.
ქვა, ხევისაა თუ მადანშია იგი ნახული,
ლალ-მარგალიტი არის მაში შემონახული.[537]
იესოს გვარად თუ თუთია თვალზე უცხია,
ყოველ ბალახის წამლად რგება მას შეუძლია.[538]
თუ რომ სამზერად ჩვენი თვალი არის წამხდარი,
როგორ გავიგებთ, ვარდია თუ ბალახი არი?
ვიცი ნამდვილად ამ საწუთროს ულმობელ ხელით
დაბოლოს შენც ჯი დაიწვები, ვით საჯმეველი.
თუნდ ჯალინუსის მსგავსი იყავ ექიმი ბრძენი,
მოვა სიკვდილი, ჯალინუსის გეწევა დღენი!
ბოლოს სიკვდილით თუ თავდება ეს ფართი-ფურთი,

თუ გინდ პლატონი ყოფილა, თუნდ უბრალო ქურთი!
ისევ ისა სჯობს, ამ რჩევას თუ შეურიგდებით
და სიკვდილამდე თუ ერთ ჯერად თვით ჩვენ მოვკვდებით.
ვინც დარდს თვალები დაუხუჭა მან უძლო ვარამს,
თუთის არაკი ხომ გსმენია, იგავად კმარა.[539]
შენ ამ ბებერ მგელს, ნუ ენდობი, დამიგდე ყური,
იოსებივით მის მეგობრად იქცევა ნურვინ![540]
შენს გუდა-ნაბადს აგიკიდებს შენს ვირზე ძალით
და ცალი თვალით რომ გაცინებს, გატირებს ცალით.
აბა რა იცი, ზეცას რომ აქვს ეს სუფრა შვიდი,
ზედ სისხლსა და ძვალს არ დადგამენ, როგორ ხარ მშვიდი!
ეს მიწის დოქი სანამ გინდა წყლის ჩასასხმელად,
ეს ცხრილი სანამ უნდა გექნეს მიწის საცრელად?
დაბოლოს მაინც სამუდამოდ ალარ დარჩება
ამ ცხრა სამზადში ოთხ სახლიდან არც ერთი წყება.[541]
როცა დრო მოვა, დრო რომ მოვა უკანასკნელი,
ფარული ყოფნა შეიქმნება ცხად საჭვრეტელი:
ვერ შეხედავენ ვეღარაფერს შენი თვალები,
გარდა ამ მიწის, წიაღში რომ ჩაიმალები.
აქედან საზრდო წაიღე, იქ არ იშოვება,
განძი აქ არის, სადაფი იქ მოიპოვება.[542]

ამ საიდუმლო სადაფებში, როა ფარულად,
მრავალ მარგალიტს ნახავ თვალით აზროვანს სრულად.
ახალ მაგალითს ნახავ ამით გულგასახარელს,
ახალ ჰანგს მისას გაიგონებ ახლად საყვარელს.
ძველმა პირებმა თქვეს უმანკო აზრთა სიტყვები,
ააცვეს ძაფზე სიტყვის წმინდა მარგალიტები.
დედაბერია იგი ძველი სიტყვების მთქმელი,
ყოპწიობს, მაგრამ მის სიტურფეს ამაოდ ელი.
ვერ შეაჩერებ ჩარხის ბრუნვას ზეცისას, ვერა
მარგარიტის პირს გადააქცევს ის ყვითელ ფერად.
არ ვამბობ, ოქრო ძველი ახალს რომ არ უდრიდეს,
დაყიანუსის ოქროს მაინც ძვირად არ ვთვლიდეთ.[543]
ხუთას სამოცდა თექვსმეტ წელს აწ გადაემეტა,
ასეთი ხალი ლამაზს ვერვინ ვერ გაუკეთა.[544]
რადგან ვიცოდი, ყველას ვისაც აქვს წმინდა გული,
ჩემი ტრფიალის პატარძალი რომ ჰყავს ჩაკრული.
ჩემი თილისმა მე გავწყვიტე, ძვირფასი ესე
და ყოველ ბეითს ჯადოსნურად შიგ ჩავალექსე.

ვისაც რომ ჩემი ნახვის აზრი უღვივის თავში,
ჩემი სულის ტკივნს დაინახავს იგი ამ ტყავში.
თუ მე სული მაქვს დაფარული ტანი ეს არის,
იოსები ვარ და ჰერაგნი ჩემი ეს არის.[545]
ჰატარძალს მიწის ჯალთა თუჯი დაფარავს მართლა,
გულს იგი როდი მიეფარვის, ეფარვის თვალთა.
ყველა ფარული არის ჩემთვის თვალშესახედი.
ხიზრიო? ხიზრი აგერ არის, შეხედეთ ერთი.[546]
ხოლო ნიზამი თუ გწადია გაიცნო გულით,
ჰა, ნაიკითხე წიგნი ჩემი, ნაფიქრი, თქმული.
შენთვის ფარული როდი არის ეს ელვარება,
ყოველ ბეითში საიდუმლოს გესაუბრება.
ასი წლის შემდეგ რომ იკითხო: „სად არის იგი!"
ყველა ბეითი გეტყვის: „აგერ, აქ არის იგი!"
თუ ყაჭის ჭიად გადავიქეც ჩემი ნაქმნარით,
აბრუშუმსა ვქმნი ფოთლისაგან ჩემი უნარით.
შხამად შემერგოს, ცუდი წყლით თუ მოვკლა ნყურვილი,
თუ ღირსეულად არ ვყო ჩემი ნება-სურვილი!
არ დავიძინებ ღამით, თუ არ ავწონე განძი,
საგანძურს ჩემსას განა სხვისებრ ბოქლომი აძევს!
მიწის გვარი ვარ მე თვით ჩემი შრომით და ძალით,
რომ მრავალნაირ განძს მოვიყვან ერთი მარცვალით.
თუ ერთ მუჭ მარცვალს დავხარჯავ მე თავდაპირველად,
მის მომკის დროზე შეკონილ ძნას მოგართმევთ ხელად.
იმ მიწას ექმნეს ათასგვარი ქება-დიდება, –
ერთ მუჭ მარცვალს სჭამს და წინ განძი გადმოიყრება!

მოშურნეთა საყვედურად თქმული

ისაც ნიზამის შეჯიბრება თვით განუზრახავს,
არ ისმენს ვაის და თვალზედაც ცრემლს ვერა ნახავს!
მოდი, შეხედე, ღამით მადანს თუ როგორა ვთხრი,
მადანს ჯი არა, ნახე, ჩემ ჯანს თუ როგორა ვთხრი!
ყველა მარგალიტს, რაც მაქვს პირით ამოსაყრელი,
ერთი მეორის გვერდზე აწყობს ეს ჩემი ხელი.
ასნაირ ცეცხლით ვწვავ ჩემ ტკივნსა და ვაელვარებ,
ღამით ღამისად მას ჩირაღად ხელში ვატარებ.
გავგზავნი შაჰთა სასახლეში მათ ასაწონად,

და ცოტაოდენ მარცვალს ვითხოვ მე მათი მონა.
[იმდენ განძს მივცემ უსასწორობოდ, აუწონელად,
მიწას, საწუთროს ხარზე მბრუნავს ეჩვენოს ძნელად.
ჰო, მკვდარი ვირისგან ლეშის მეტი არა დარჩება.
მისგან ნადირთა ხროვის გარდა ვერ გასუქდება.]
უფალო, ჯილო გამომდებნი საფარში სხედან,
მომეც საფარი, რომ ჩემ სიტყვას მათ ვერ შეხედონ!
სიტყვა ნათქვამი უკუარგოდ არ შეიძლება,
ბევრს ჰსურს ჯარგი თქვას, მაგრამ ხშირად ეს არ ხერხდება.
მაგრამ მან, ვისაც გონება აქვს მინიჭებული,
იცის, რომ სიტყვა მისი არის ლაზათით თქმული.
თუ რომ ლომი ხარ, უცხო პირებს ნუ მოსპობ სრულად,
უცხოებს მხოლოდ ეპყრობიან ძალღები მტრულად.
ბევრი მოძულე იყო, ხმალზე ეკიდა ხელი,
მე ჩამკრა ხმალი და ჩააქრო თვისი სანთელი.
ბევრი მოსიტყვე იყო, ჩემთან ხმა გაიმიდა,
სიგრძე იმისი ენისა რომ ყურთან მივიდა.
მას, იესოზე მლოცველს, ჰქონდა მუხლი მოხრილი,
ვირივით მაინც იყო იგი ლაფში შთენილი.[547]
რას მიზამს ძრახვა და გინება წყლის და მიწისა,
როცა დარაჯა ხელთ მიჭირავს ელვარე მზისა?
ჩემგან ვარსკვლავმა თუ სანთელი ააგიზგიზა,
ვერავინ ჩემგან მზიურობა ვერ შეითვისა.
თუ რომ ჩემ გზაზე მე იოტი ერთი მოვძიე,
მე თვით სახელად ეს ალამი მაღლა ავწიე.
თუ პირიდან ქვა განასროლი ამ ჩემ ჯამს მოხვდა,
გამარგალიტდა, როგორც ჯი ის ჩემს ალმასს მოხვდა.
[ჩემი ზღვის თვალი სამკაულად თუ დაიკიდეს,
უკან ფარულად მოიპარეს და წინ გაყიდეს.
როგორც მთით, ჩემგან იმათ წყალი რომ გაიტანეს,
ისევ მე მასმენ და მეც დავლევ, რას მიზამს ან ეს!]
ამას რას ვითმენ, ვხედავ, სახლში შემოდის ქურდი,
და სამსახურიც გავუწიო არ უნდა ცუდი!
ხან იმ უსმენოს უნდა თვითონ ავუწყო საზი,
ხან ამ ბეღურას ვარქვა უნდა მიმინო, ბაზი.
მე ყოველ ყვავში შავი თვალის მეტს არას ვხედავ,
ყოველ დაწყევლილს შექების მეტს არა ვუბედავ.[548]
ჯამით შხამივით მწარესა სვამს ეს ერთი ყური,

მეორე ყურში მაქვს გაყრილი რგოლი მონური.
მე ვუფრთხილდები ოსტატურად ასეთ ყოფაში
ჩირაღს ანთებულს ამ ცხოვრების ქარის ქროლაში.
ყველა ქვეყნიდან ეს ჩირაღი რომ აინთება,
ყველა ჯამიდან იმას ზეთი მოემატება.
თუკი აქ ამბრის სანთელი სხივს იძლევა მთელად,
ასხამენ ქაფურს, რათა იგი ჩააქრონ ხელად.
შაქარით შხამი გამზადილი უნდა შესჭამო,
ყოველ სალანძღავ გაგონილი სიტყვისა გამო.
მე ჯალთით, ვით ზღვამ, მარგალიტი დავყარე გზაზე,
საყვედურის ქვით საყელო მაქვს ახლა აღსავსე.
როგორც აგური, წყალში არის ქვა ჩაგდებული
და ქვის მსროლელს ჯი ჯერ არა აქვს ეს გაგებული.
ხახა ხალხისა ტყბილი არის ჩემი ნათქვამით,
ჩემი ხახა ჯი მწარე არის მოსაყლავ შხამით.
წისქვილის ბორბლის ხარებივით ვერ ისვენებენ,
მთელ გზაზე მარცვალს ისვრიან და მარცვალს ეძებენ.
ელოვისდაგვარად ის ტკბილ ღიმილს არ დაგარიდებს,
წყლის მორევშია და ამავ დროს ჯი ცეცხლს უკიდებს.
განძი ხარ, გულო, და გველთაგან რად ხარ მწუხარი?
თავისუფალი გველებისგან განძი არ არი.[549]
როგორც სამოთხის ფარშევანგი გამოვა გარედ,
იქნება რგოლის მაგიერად გველი მეკარედ.[550]
ამ ფარშევანგებს ის გველები უყრიან ხვითოს
მოსაშხამავად, მაგრამ ნესარს უყრიან ვითომ.

სხვადასხვა ჯიშით წარმოსდგება სურათი ესე:
მამა ინდოა და თურქი ჯი დედაა მისი.
აქ ოქროც არის და სპილენძიც ოქროის ფერი,
აქ განძიც არის და ვეშაპიც – ორივე ბევრი.
მარგალიტი ზღვის გულში არის ღრმად ჩადებული,
ხოლო ჩირაღი ჯვარზე არის დაკიდებული.
გაუშვი ზღვა და მარგალიტი შენ მოიპოვე
და ის ჩირაღი იმ ჯვარიდან გაამარტოვე!
ნუ უცქერ, რომ ვარ ცეცხლი ტაძრის მაჩვენებელი,
შეხედე, ტალჯი გარს რომა აქვს საწვავად ძნელი.[551]
ტახტით და თაჯით შემკობილი ნახე ქალწული,
მთელი არსებით ღვთაებამდე ამაღლებული!

როდესაც ამა ჰატარძლისა მორთვა-მოკაზმვას
მოვრჩი. მე დიდი არ მომიხდა ხანისა დაზმა,
ყოველ ბრძენთაგან კურთხევა ჩემ ჭკუას რომ ჰქონდა,
„ჭკუას ერთი აქვს გზა", – ნათქვამი მე მომაგონდა.
[რამოდენიმედ მქონდა ბედთან მე საჩივარი,
რომ ამ ჩემს მკლავში მქონდა მშვილდი მეტად მაგარი.
ბევრი ისარი ამ შვილდიდან ვისროლე, მარა
ის არც ერთ ქალალდს, რაც კი ვცადე, არ მიეკარა.
თუკი ჩვილის ხმა იქნება გულშემზარავი,
ალარ დარჩება მარგალიტი გაუყიდავი.]
ამ ქეჯავოში, ნილაბ ქვეშ რომ არის ეს მთვარე,
თუმცა რა მთვარე, სიტყვა არის მზეებრ ელვარე, –
იგი იყიდეს ესოდენად გულმოსაძებნი
და აიყვანეს ცამდე, როგორც დიდად საქები.
ბევრი მოიღეს, ვით სიმდიდრე, ჩემთვის ქონება,
რომ დააჯერონ იმათ გული ჩემს მოწონებას.
ბევრი ფარჩაა ჩინისა, ჯერ არ გადაჭრილა,
გარდა მუმკისა, მასზე მტკერი ჯერ არ დაყრილა.
ხათლური რაში მოგელავე, თავისებური,
ოქროს ალვირი აქვს თავზე და ძეწკვი მეფური.
ჩემს გასამრჯელოს ირგვლივ იყო თათბირი მათი,
ხუთი მხევალი ითქვა, მონა აგრეთვე ათი.
მაგრამ დახედეთ, თუ ამ საქმეს რა დაემართა.
დაკოჭლდა ვირი და ტვირთი ძირს როგორ დავარდა!
მიმღებმა როგორ თავის ბარგი აიკრა ხელად,
ნათესი ყანა მიატოვა მან მოუმკელად.[552]
ეს მწუხარება განვიცადე მე საშინელი,
დავიწვი იმ დროს ჩემ თავად, ვით ქარში სანთელი.

მოულოდნელად წიგნით ხელში შიკრიკი გაჩნდა,
საჩქაროდ ქება შემასხა და მაშინვე დაჯდა:
„ოცდაათი დღით მოემზადე, წამოდი ჩქარა",
(თვითონ ხელმწიფე აქ ოცდაათ ფარსანგზე მდგარა).
შენი ნახვა ჰსურს ორიოდ დღის განმავლობაში,
მაგ შენს გასაღებს ნუ დასტოვებ უძრავად კარში".
ბარათი მომცა, თქვა: „სურვილი შაჰისა არის,
წყალობა დიდი, ავგაროზი გზის ხსნისა არის".
შაჰის ბრძანება მე მაშინვე მივიღე თავთან

და მერე, როგორც წესი იყო, ვაკოცე სამგან.
გადავიკითხე ის ბრძანება შეგნებით თვითონ,
ულიტე რჯინისგან გამოვიდა და რჯინა – ქვიდან.[553]
შაჰის მორჩილი ადგილიდან ზე წამოვდექი
და წასასვლელად იმ წუთშივე განზე გავდექი.
გაველი გარეთ უდაბნოსკენ მე გაჩქარებით,
გადავიარე ცეკვით ყველა მთა მე მინდრებით.
გარეულ ჯანჯარს გავუსწარი ჩქარა რბენაში,
მოვუგე ფრინველთ სანაძლეოო შორს გაფრენაში.
გზაზე ცეკვისგან ვეღარ გაძღა ეს ჩემი გული,
ცეკვავდა უფრო ჩემ ქვეშ ცხენი გაჭენებული.
ვღუნავდი თავს ძირს ლერწამივით გზად მიმავალი
და სიბნელეში გზას ვზომავდი, როგორც ფარგალი.
ყოველ ბინიდან გზაზე, სადაც სავალი მქონდა,
შაჰის დოვლათის განდიდების ლოცვა მესმოდა.
ყოველ წყაროზე, სადაც ჯი წყალს ახლად შევსვამდი,
შაჰის შესახებ ახალ ლოცვას მყის წარმოვსთქვამდი.
ნიავს მთიდან და მდინარიდან რომ ვისუნთქავდი,
შაჰის წყალობით სადიდებელ ქებას ვასხამდი.
მუშჯის სურნელი იმ შაჰისა რომ მოდიოდა,
მიწას ჩემ ქვევით, ვითა ამბარს, სუნი სდიოდა.

როცა ჩემი გზის სიძნელე მე თვით შევამცირე,
მიწაზე ჯოცნა შაჰის მიმართ მე გავახშირე.
შევიდა მაცნე ამ დროს შაჰთან და მიახარა,
„წყარომო უკვე ზღვას ნაპირი გადმოიარა!"
[შაჰს რომ მოესმა საგანძურში ხმა სასიამო,
როგორც სანთელი, აენთო თვის ფარვანას გამო.
უთხრა შამსედინ მოჰამედს მან: ადექი, ყმარა,
მოიყვა იგი პირნათელი მწირი აქ ჩქარა!]
ეკიბი ერთი ის სასახლის ბჭის გამოვიდა
და მყვინთავს თვითონ მარგალიტი უბოძა ზღვიდან.[554]
მაშინვე შაჰის სასტუმროსკენ მე გამატარეს,
და ოტარიდი მორიდებით მიჰგვარეს მთვარეს.[555]
იქ იჯდა შაჰი დიდებული, ვით ბრწყინვალე მზე,
ქეოყობადის გვირგვინით, ზედ ჯემშიდის ტახტზე.
მიწაზე ჯოცნის შეიქნა თვით ზეცა მწყურვალი,
მის დარაჯისგან ღამით მთვარეს მოხვდა ხანჯალი.
მის თაჯის სხივმა ქვეყანა რომ ჩაიგდო ხელში,
მთელი სამყაროს სამოსელი ჩააგდო ბნელში.

სამარყანდიდან საყსინამდე მისი მომხრენი
სადარაჯოზე მის ჯარებთან იდგნენ მოთმენით.
გააღო ყველამ მთელი ქვეყნის ხაზინის ჯარი
და დატვირთული აქლემები იყვნენ დამდგარი.
ზღვას დაემსგავსა ლილის ფერი მისი ჯარავი,
შიგ მარგალიტი იყო და თან ხვითქი მზარავი.
იქავე მდგარმა ყიზილ-შაჰმა ტახტის თავიდან
დაადო თაჯი დოვლათისა თავზე ბედს თვითონ.[556]
სამოთხის ლხინი, სამოთხისა ფერი და მსგავსი,
აუზებიდან წმინდა ღვინით გაივსო თასი.
იმისი უხვი ხელი ყველას აძლევდა ჯილდოს,
ზოგს ფული მისცა, ზოგს ქალაქი უბოძა თითო.
ისე შეეჯრათ თურქ ვაჟკაცებს ჯარნი და გზანი,
ვერ შეაღწევდა მის ჯარებში თვით ყადარ-ხანი.
არღნის ხმაური და ჩანგის ხმის ჯვნესა და სევდა
მბრუნავ ზეცაში თვით ზოჰრამდე უკვე აღწევდა.
იქით დამკვრელნი სასიმღერო ხმას აუწევდნენ,
აქეთ მსახურნი აბრეშუმის ჰერანგს იხევდნენ.
[მოსიმღერენი სულ ერთნაირ ხმაზე ამბობდნენ,
სხვადასხვანაირ ჰანგზე თავის ჩანგებს აწყობდნენ.]
ნაირი ხმები, ერთი ჰანგის წარმოშობილნი.
ერთხელოვანი და თვით სულის დამატებილნი.
და თვით ღაზელებს ნიზამისას ის მომღერალნი
უკრავდნენ ჩანგზე სევდიანად ვნებით დამთვრალნი.
ღვინის დამსხმელებს ჯამით ღვინო ეჭირათ ხელში,
შაჰინშა ღვინოს სვამს ნებივრად, მტერი კი ხვნეშის.

რომ მოახსენეს: „მოვიდაო უკვე ნიზამი!"
მას მოემატა სიამეზე სიამის ჯამი.
ჰატივი ჩემი მწირობისა იმ წუთში ჰქონდა,
არა მატყლისთვის, რომელიც მწირს მის ქუდში ჰქონდა.
უბრძანა, ღვინო გაეტანათ ყველაზე წინათ,
ჰატივისცემა ჩემდამი რომ გამოეჩინათ.
მწდენი მეფემან დაითხოვა მაშინვე თვისი,
მუტრიბთაც უთხრა: იყუჩეთო! – რა გითხრა სხვისი.
ჩემებრი მწირის შესაფერად მოიქცა ამით, –
ნიზამი უნდა განვბანოთო ჩანგით და ჯამით.
მისი ლექსები ყოველ ჩანგზე უკეთესია,
მისი სიტყვები ყოველ ჰანგზე უკეთესია.
ხიზრი მოვიდა, ღვინოს აღარ მივეკარებით,

სიცოცხლის წყაროს მხოლოდ ხიზრით ვეზიარებით.
მოვიდა ამ დროს იქ ეჯიბი და მითხრა ტაბილად:
„შემოდი, ჯენტო, მყოფო ყოველ სიბრძნესთან წყვილად!"[557]
შიგ შეველ, ტანმა ძეწნასავით ჯანჯალი მიწყო,
მე რა ვიყავი? ბეწვი, მაგრამ მზე იყო ის ხომ!
მორცხვობისაგან მე ჯისერზე დავჯიდე თავი,
თავჩაქინდრული მის წინაშე ჩუმად ვიყავი.
მსურდა იმისთვის მიწის გვარად მეკოცნა ფეხზე,
მაგრამ თვითონ ის ზეცის დარად აიჭრა ზეზე.
მოვიდა ჩემთან, ჩამეხვია, ვით გითხრათ ენით,
მომექცა ისე, ვით ჭინჭველსა სოლომონ ბრძენი.
მისი გავლენით მღელვარებამ მე ამიტანა,
ჩავიკარ გულში სიხარულით ცა და ქვეყანა.
მის სალოცავად, ვით მსახურმა, მოვხარე ქედი,
მისმა იღბალმა როცა მითხრა – „დაჯე"! დაჯექი.
[როდესაც ფეხზე წამოვდექი, მითხრა: „დაჯექი!"
მაფიცა, დამსვა. „ამ ბინისო გქონდეს იმედი".
მისი ბრძანებით იმ ადგილზე მე სადაც ჯი ვარ,
ვზივარ იმ გვარად მე ყოველთვის, როგორც იქ ვზივარ.
გააღეს ჩემი გატეხილი ყულაბის ჯარი,
ალმომიჩინეს დახმარება მე ყოველგვარი.]
სიტყვას ვამბობდი, როდესაც ბედს მისი დრო ჰქონდა,
სიტყვებს ისეთებს, რომელიც ჯი ჩემს ბედს მოსწონდა.
იმგვარ საამოს, ანგელოზსაც ჯი იამება,
ენა ყურამდე თუ მიაღწევს გაეღიმება;
რჩევებს იმნაირს, რომ შაჰებსაც გამოადგება,
ანდერძებს ისეთს, ყველა ჯარი მით გაიღება.
ბევრი ნაწური ზაფრანისა მე მეგობრულად
შაქარმოღიმარს ჩემი ნებით მივე ფარულად.
ხან, ვით ღრუბელი, ვიაძულე ეწყო ტირილი,
ხან, როგორც ვარდი, სიხარულის მივეც ღიმილი.
ისე ვთქვი, თვითონ შაჰი ვაშას მეუბნებოდა,
ბრძენი ფხიზლობდა და უგნურს ჯი ეძინებოდა.
ჩემი სიმღერით მერიქიფეთ შფოთვა დაიწყეს,
თვით მომღერლებმა თვისი ჰიმნი გადაივიწყეს.
მოვიდა რავი მარგალიტი აყარა, თვალი.
მეფის მეჯლისში სულ განძებით აავსო ხალი!
ჩემს დასთანს ხოსრო დაჯვირვებით ყურს რომ უგდებდა,
მისი სიტყბოთი იგი ხარბად ხახას ივსებდა.[558]

ლექსები როცა ესოდენად გამოდგა ტკბილი,
ამბავი ხოსროვ და შირინის იყო ნამდვილი.
შაჰინშამ ხელი დამკრა ბეჭზე, როგორც მოვიდა
და დიდის ქებით მან მე ყურზე რგოლი დამკიდა.
მაყრიდა შაქარს წყალობისას თავის სიუხვით,
გატაცებული „ხოსროვის და შირინის" კითხვით.
თქვა: „მარგალიტის მძივით დასდევ შენ საფუძველი,
ოსტატობაში სიტყვაც მიეცა სიმართლე ძველი.
უზომო ახსნა-განმარტებას მაძლევდა ისა,
და იმ დროს იმან მე სრულიად გამახალისა.
[არც ვარდს აქვს ესდენ სილამაზე და სათნოება,
არც ბულბულს ასე ლამაზი ხმა მოეპოება".
გამართა კითხვა, მიაყოლა ბაითს ბაითი,
სუსტსაც კი ისე გადიოდა, ვით წმინდა ზეთი.
მისი ფარჩა რომ გაისვარა იმ ზეთით სრულად,
ხან ცეცხლის ძიძად გადაიქცა, ხან კი – ყინულად.
როდესაც ჰალვა იმდენს ჯარის წინ წამოდუღდა,
ვინც კი შეჭამა, ნეტარების ოხვრა აღმოხდა.
იგი ნაწური თავისთავად რძეს რომა ჰგავდა,
ღირსებით იგი თავის სიტკბოს არა ჰკარგავდა.]
„ქალი, რომელიც იყო ცხენზე კოხტად შემჯდარი,
და საბურავით დაფარული მისი ემარი,
იმან რომ ჩვენს კბილს აგრძნობინა სიტურფის ძალი,
რას მიიღებდი გასამრჯელოდ თმების და ხალის?
ეგ შენი შრომა ჩემთვისა და ჩემი ძმისთვისა
საზრდო შეიქნა საგანგებო, ვით რძე დედისა.
ჩემი ძმა ქვეყნის შაჰინშაჰად რომ ითვლებოდა,
თან ფალავანად და თან შაჰად რომ ითვლებოდა,
ამ წიგნის გამო, რომ იშრომე შენ მთელი წლები,
რა მოგცა ქირად მან, განძის და მარგალიტების?
გავიგე, იმან ჯენჭი ჰყარა შენდა საშველად,
ორი სოფელი მხოლოდ შენთვის დასწერა მთელად.
რას იტყვი, იგი სოფელი შენ მოგცეს თუ არა,
სოფლის სიგელი ჩაგაბარეს იმ დღეს თუ არა?
როდესაც ვცანი, რომ სიუხვეს ხელმწიფის ზღვისას
დასაჩუქრება მარგალიტით ეწადა სხვისა.
ოხერს ნაშენად გადააქცევს იმისი ქცევა,
ბორკილგაყრილი თავისუფალ კაცად იქცევა", –
ხელახლად ლოცვა იმის ბედზე მე აღვავლინე

და მარგალიტით ტახტი მისი შევუმკე მძიმედ.
მე ალვავლინე ქვეყნის შაჰზე ლოცვა ახალი
და მოვახსენე, ვითარ იყო ბედის ტრიალი.
რომ იაგუნდი ამ გვირგვინის მოსაპაზმავად
როდი ჩამისვამს ჯილდოსათვის მე ჩემდა თავად.
[მე ვნახე ჯარი, სატურნამდე იგი სწვდებოდა,
მისებრ ღირსების მთელ ქვეყანას არ შეხვდებოდა.
მასზე დავწერე ეს სურათი, რომ დარჩეს მარად,
ილოცოს, ვინც ჯი წაიკითხავს ჩემ გასახარად.]
მე საგანგებოდ ამ მშვენიერ ტაბილ ამბავიდან
მეფეთა ლოცვა გამიხდია მიზეზად თვითონ.
მეფის წყალობა როცა ენას დღეს მოხვდა ჩემსას,
ანი რად მინდა შაქრის ჭამა ან ტაბილის შესმა.
[ჩემი ამბავი ჯალატოზის არაჯი არის,
რომ უპურობის გამო ჰსურდა საჭმელი ცხარი.
პური მიეცა მას როდესაც აგურის ნაცვლად,
მის სულს სიცხარე და სიმწარე ამითი აცდა].
„დიახ, რომ შაჰმა ბედნიერმა, რაიც თქვენ ბრძანეთ,
მისი გაცემა ჩემზე ბრძანა. იქნება მან ესე.
მისი სიცოცხლის გემი როცა ზღვაზე გაცურდა,
არა მე მარტო, სხვაც გახადა ამითი ცუდად.
მაგრამ როდესაც არის ქვეყნად შაჰი შენგვარი
და ძენი შენნი ამა ქვეყნის შემამკობარნი,
ვიცი, რომ თქვენი მოწყალება მექნება მარად,
თქვენი წყალობა ძნელბედობას გადმოიქცევს არად.
[ერთი სოფელი ამ ორთაგან შაჰს უნდა მივცე,
თვითონ ჯი შაჰის შვილებისგან მივიღო ისევ".

განძის გამცემმა შაჰმა იგი რომ მოისმინა,
დილის სხივივით მისმა სახემ ჯვლავ გაიცინა.]
მიიღო შაჰმა ლოცვა-ქება მისდამი თქმული,
წმინდა გულიდან რომ იყო ის ამოღებული.
როცა წარმოსთქვა იმან ქება ჩემზე გულწრფელად,
სოფელი მისი „ჰამდუნიან" მაჩუქა მთელად.
თანაც ბოძების წიგნი მომცა გამზადებული,
თვით ყიზილ-შაჰის მიერ ბეჭდით დამტკიცებული:
„ესე სოფელი ებოძა აწ, ვით საჩუქარი,
ჩვენგან და იგი საკუთრება ნიზამის არი.
იგი მამული მივეც ღალის გადაუხდელად,
განკითხვის დღემდე მას უღალოდ ექნება მთელად.

ვინც ამ საქმეში არ იქნება დარწმუნებული,
მე მტერი ვექმნე და ღმერთი ჯი იყოს მსაჯული.
თუ რომ დაძრახავს ვინმე ფლიდი და გულწამხდარი,
სიგლახის გარდა ნურც ჰყოლია მას მეგობარი,
იყოს წყეული ვიდრე არის წუთისოფელი,
მის შთამომავალს ექნეს წყევლა აურაცხელი!"
საქმეწაქცეულს რომ დაუდგა საქმის წესრიგი,
გააღო ჯარი საგანძურის და მორთო იგი.
ჩემს შინაგან არსს მიენიჭა შეწევნა ღვთისა,
ჩემს გარეგნობას ჯი ხალათი ერგო შაჰისა.
ეს ჩემი ჯოლდო როს მანშურით დამიდვა წინა,
თვის მორჩილების ბჭესთან თვით მეც მიბოძა ბინა.
წავედი შაჰთან, ავსებული ბედის სიყეთით,
მოველ იქედან ბედნიერი მაჰმუდის ბედით.[559]
წავედი, როგორც ქააბისკენ მოსალოცავად,
როგორც ზეციდან მოჰამედი, მოვედი თავად.

მითხრეს: „მოშურნეს, მათგან რომ გაქვს შენ გაგებული, –
ქურდს ფულის ქისა ხომ მუდამ აქვს გადამალული, –
იოსებრივი სახისას აქვს მგელივით ჯბილი
და ტყბილ ნამცხვარში მას ალმასი აქვს შიგ გაყრილი:
„ვაგლახ, – უთქვამს მას, – არ იციან ნიზამის ფასი,
ეს რა ჯილდოა, ამოდენი გეუთვნის ასიც.
ასეთ ჰატარძალს, ფეხებსაც რომ უკოცნის ცაო,
ერთ ჰარტახ სოფლად ვინ აფასებს! ვითომცა რაო?
სოფელი, მაგრამ რა სოფელი, ვიწრო ხევია,
სიგრძე-სიგანით ფარსანგზე ვერ მიუღწევია.
უშემოსავლო, და ხარჯი ჯი ბევრია მისი,
თანაც აბხაზთა სანახევრო ყოფილა ისიც.
[უჰატრონობით ის მიწაა სულ დანგრეული,
ურწმუნოთაგან არის იგი გაფუჭებული".][560]

ჩემს მოშურნე ჰირს მე ჰასუხად ეს მივახალე:
„წყალობის მქონე შენ ურწმუნოდ რატომ ჩათვალე!
რა უნდა იყო, ჰოი ქურდო, მოსილო ნიღბით,
იმ ნანგრევებში ჩავარდნილი მთვარის სხივივით!
ჰამდუნიანის რა მცოდნია, სცან მისი ქება,
ჰამდუნიანი ქებას მისას ოციც ედრება?[561]
თუ იმ სოფელში ნახავ თვალით დახნულ-დანათესს,
ჩემს ყოველ ნათქვამ სიტყვაში შენ ნახავ სამოთხეს.
თუ იმასა აქვს მარცვალისგან სავსე თაველი,

მე მომაქვს მუჭით მარგალიტი დაულეველი.
თუ იმასა აქვს ღრუბლის უხვი ევფრატის წყალი,
მე ტუჩებში მაქვს უხვად ყოფნის წყალი ახალი.
თუ იმასა აქვს ატეხილი ფართე ტყე-ველი,
[ათასი ველი მაქვს მე უდით ასაკმეველი.
თუ მე ამ ქვეყნის ძვირი განძი საშიშარი ვარ,
სჯობს სიიაფე, მე მიწისთვის იაფად ვღირვარ.
მაგრამ ზეცას რომ ამნაირი აქვს საფუძველი,
უნდა ყოველ ჟამს ვადიდო მე უფლის სახელი.]
სიმდიდრის გამო არა მსურს მე მისდამი ქება,
არამედ მიტომ, რომ ნამდვილად იგი მერგება.
და თუკი იმას არ უვარგა გზა მისასვლელი,
გაუკეთდება, ხელმწიფისგან წყალობის ველი.
მთელ ხარვარ სადაფს მარგალიტი სჯობს ერთი ცალი,
მთელ მორევსა სჯობს წმინდა წყაროს ანკარა წყალი.
არა თუ მარტო ეს სოფელი დიდ შაჰსა ჰქონდა,
ათს მაჩუქებდა, თუ რომ იგი მე მდომებოდა.
მაგრამ, როს მეფემ ნახა ჩემი ქმაყოფილება,
მან მთელი ოლქი აჩუქა მას, ვინც ჯი ინება.
[მე ვიმყოფინებ იმას ერთი სოფლის ქონებას,
რომ ამგვარ მიზნით ვებრძვი მკაცრად ცრუ ჩაგონებას.
ვით მეთვალყურე, იქ სარბენად ვარ გამზადილი,
ყოველ ღამობით სიბრძნის ხმალი მაქვს ამოწდილი.
და ვცემ ყოველ ღამ იმ მახვილით ხელამართული
ურწმუნოს ქედზე, ვით მებრძოლი თავდადებული.]
თუ მე ვხარობ და მწყალობელმაც მით გაიხარა,
შენ რა გაწუხებს, შენს საყვედურს მით მორჩი ჩქარა!"

მწუხარება შამს ედ-დინ მოჰამედ ჯაჰან-ფაჰლუანის სიკვდილის გამო

აე რას ვამბობდი, სად წავიდა სიტყვა სავარგი,
სად მივდიოდი და სად დარჩა ეს ჩემი ბარგი?
როდესაც შაჰმა სულტნობისა დასცა ჯარავი,
დააცხრო შფოთი, არ აურჩა არვის არავინ,
ხუთმა ნოვბათმა მისმა ცამდეც ჯი მიაღწია,[562]
მისმა განჭვრეტამ შვიდის სფერო ცის გაარღვია.
დოლის ხმაური, იტყოდი თუ, ორ მილზე არის,
და ვინ იცოდა, დოლი მისი სიკვდილის არის.

ქოსის გუგუნი თვით ორ მთვარეს აშორებულა,
ვის ჰქონდა გულში, თუ შაჰი შორს გამგზავრებულა?
იმ ტახტზე მისი მშვიდი ყოფნა მცირედი იყო,
მოსვლა და წასვლა, როგორც ელვა, ისეთი იყო.
ვეღარ იგემა სიჭაბუკის ბაღიდან ხილი,
ვით ალექსანდრემ, ვერ მოიკლა წყალის წყურვილი.
მოელო ბოლო სამუდამოდ ბოროტის ხელით
და იმ ქვეყნადაც საზღაური მეტი მოელის.
სამფეხი ცაში აიტანა მან ამ ქვეყნიდან,[563]
ესე ქვეყანა უსაფუძვლო დასტოვა თვითონ.
თუ ის ზღვა წარხდა, მარგალიტი ხომ ბევრი არი,
მისთა მემკვიდრეთ სწადთ გაგვიხვნან სიუხვის ჯარი.
თუ მისი გვარი სიკეთისკენ ილტვოდა მუდამ,
იმისი მოდგმაც ხარობდეს და სუფევდეს უნდა.
თუ მას მერქიფე უხვ წყალობას აძლევდა ღვარად,
ქვეყანა, დეე, მის მემკვიდრეთ შემორჩეთ მარად,
თუ იმას მიწამ მისცა ტახტი თავისი ხელით,
დაე, არ ჰქონდეს ტახტის მფლობელთ აქ ყოფნა ძნელი!
თუ ის უთაჯო იქნა, თაჯი რად უნდა სწუხდეს,
თაჯის მფლობელთა თავსაც იყოს, რაც ჯი მოუხდეს!
ეს საგანგებო სამკვიდროა ყველა შაჰების
და სათვალყურო სალოცავი ჯეთილ პირების:
ნუსრათ ედ-დინი, ის რომლითაც ქმნილებამ მიწის
თვალთა სინათლე თუ რა არის, ნამდვილად იცის;
ათაბეგ დიდი, ხოსროვანთა თავშესაფარი,
ფერდიდუნისებრ მთელი ქვეყნის მოწყალე არი;
აბუბექრ მაჰმად, თვით სამართალს რომ დაამყარებს,[564]
აბუბექრსა და მოჰამედს მით გულს გაუხარებს,[565]
შაჰობის თაჯის მაჩუქარი თაჯოსნებისა,
მთელი ქვეყნისთვის სახსოვარი მეფეებისა.
შვიდი ვარსკვლავი მას შესცქერის პირმოლიმარი,
მის დასაცავად ცხრა ცასა აქვს წელზე ქამარი.
ვარსკვლავი ფეხთა სადგომია მისი ტახტისა,
ზეცას საყოცნად აქვს ფლოქვები მისი ცხენისა.
მისი სატახტო არე არის მთელი ქვეყნისა,
მტკიცების წიგნით მიეცა მას ქვეყანა ღვთისა!
ქვეყანა ასე ჯაჰან-შაჰის სამზერად იყოს,
რაც იმედი აქვს, ქვეყანაზე მის ჯერად იყოს.
ბედი მოყვარე იყოს მისი ბედნიერების,

შემწე იმისი სიცოცხლისა და ძლიერების,
საბედნიეროდ სიტყვა ჩემი მე დავასრულე,
ფურცელი, აქ რომ მოვალწიე, უკვე დავხურე.
ჰოი, უფალო, რაც რამ ჩემი შეცდომით არი,
შემინდე შენი მოწყალებით შესანდობარი!
და სული იყოს წყვილი ჩვენი სალხინო ჟამის,
რომ ითქვას: უფლის მოწყალება ექმნეს ნიზამისს!

განმარტებანი

[1] იგულისხმება დავითის (იხ.[80]) ფსალმუნი, რომელიც ცნობილი იყო ისლამის ქვეყნებში, როგორც ღვთაებისადმი მიძღვნილი შედევრი.

[2] იგულისხმება წინამდებარე პოემა „ხოსროვი და შირინი".

[3] ნიზამი გულისხმობს მეტაფორებსაც, რითაც ასე მდიდარია მისი პოეზია და მეტაფორებით გამოსახულ იმ რთულ ქვეტექსტებს, რითაც აგრეთვე გამოირჩევა მისი ფრაზები.

[4] ნიზამი უკვე ამზადებს ნიადაგს, რათა მკითხველმა იცოდეს, რომ მის გმირს შირინი ერქმევა. შირინი ტკბილს ნიშნავს სპარსულად.

ერთარსების მიმართ

[5] იგულისხმება ცუდად მხედველი, ახლომხედველი, არა შორსმჭვრეტელი.

[6] სუფიზმით, უფალს ის შეერწყმის, ვინც თავის „მეს" დათრგუნავს.

[7] აღმოსავლური შუასაუკუნეების ასტრონომია ცას ცხრა სფეროდ ყოფდა.

[8] ნიზამი გულისხმობს საგნის ექვს მხარეს, ესენია: ზედა, ქვედა, წინა, უკანა, მარჯვენა, მარცხენა.

[9] იგულისხმება ოთხი მხარე; შეიძლება ოთხი სტიქიაც იყოს მნიშნებული: წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი.

[10] იგულისხმება ცის მნათობნი.

[11] ისლამის ქვეყნებში ძველად არამუსლიმებს, ქრისტიანებსა და ცეცხლთაყვანისმცემელთ, ზონარი ერტყათ წელზე ან ყელზე ჰქონდათ ჩამოკიდებული.

[12] იგულისხმება ამბავი ბიბლიური აბრაამისა (იხ.) მან დაამსხვრია კერპები, რომელსაც ერთ დროს თაყვანს სცემდა.

[13] მუსლიმთა რწმენით ქვეყანა ზროხის (ხარის, ძროხის) რქაზეა დამყარებული, ხოლო თავად ზროხა თევზის ზურგზე დგას. ნიზამი ხშირად მიმართავს თევზს, როგორც სამყაროს უღრმესი სფეროს გამოხატულებას. აქვე პოეტი იძლევა მის ყონტრასტს, ზედა სფეროს, რომელსაც მთვარით გამოხატავს. აქ ორიგინალში ზმაცაა: თევზს სპარსულად მაჰი ენოდება, ხოლო მთვარეს – მაჰ.

[14] იგულისხმება ცარგვალი.

[15] იგულისხმება ცრუ რწმენა. ნარბის ან ნამწამის ღერო რომ ჩამოუვარდებათ, წერილს მოელიან; ასევე, ფრჩხილში თეთრი ლაქის გაჩენა ვითომ ახალი ტანსაცმლის შეკერვას მოასწავებს.

[16] ეს ბაითი ერთ-ერთი ურთულესი ადგილია პოემისა, მისი სპარსული ტექსტიც არაა დადგენილი. ცნობილია ორი წაკითხვა:

1) „ბედავ, კუი, ბიაბი აზ შაბე ნურ;
ნიაბი, ჩუნ ნე ზუ კუი, ზე მაჰ ნურ".
2) „ბედავ, კუი, ბიაბი აზ მაბაშ ჰურ;
ნე ზუ კუი, ნიაბი დარ ყამარ ნურ".

მეორის თარგმანი ასეთია: „გაიქეც, ეძიე და მაბაშისგანაც (ბნელისგან. მაბაში აბისინიელს ნიშნავს და ბნელის მეტაფორაა) მოიპოვებ სინათლეს; თუ მისგან არ ეძიე (თუ მასში არ ეძიე), მთვარისგან [აც?] ვერ ელირსები სინათლეს". ჩვენ ვარჩევთ პირველ ვარიანტს. როგორც რუსული გამოცემის მთარგმნელები და ა. ჭელიძე, მაგრამ იგი მათგან განსხვავებულად გვესმის. აქ შაბე უნდა იყოს. „ვინც მას იქონიებს, ავი თვალი არ ეცემა და ცეცხლი ვერ დასწვავს. თუ თავზე ჩამოიკიდებს, თავის ტკივილს დაეუჩებს. და თუ ვინმეს თეთრი თვალის ხედვა აქვს და თუ ვინმეს თვალთ ბურესი ჩამოეწვება და თვალთ უბნელდება, ამისგან სათვალეს იკეთებენ და ატარებენ. თვალს ძალას აძლევს და იმ ავადმყოფობას შველის..." (ბორჰანი, გვ. 1248). ე. ი. ნიზამი ურჩევს მკითხველს. თვალთ მუქი სათვალე გაიკეთე (შაბე შავია), თორემ სინათლეს ვერ ელირსები, რადგანაც ჭეშმარიტება რომ შეიცნო, ამისთვის შენ თვალთახედვა არ გოვარგაო.

[17] ზოგი ჰურის მარცლებზე მკითხაობს და იგი სწამს, მისჯენა აქვს თვალი და ყური მიპყრობილი, როგორც მესლიმს მეჩრხაბისკენ (იხ.) აქვს თვალი. ზოგიც ასტროლაბიას იმარჯვებს ღვთაებრივი საიდუმლოებისა და მომავლის სამკითხაოდ. მაგრამ ერთნიც და მეორენიც ამაოდ ცდილობენ უფლის შეცნობას, ამ გზით იგი არ შეიცნობა.

[80] უცნობი სიტყვების ახსნა იხილეთ აქ დართულ ლექსიკონში.

[18] იგულისხმება უფალთან შეერთება, ღვთაებასთან განზავება (სუფიზმისთვის დამახასიათებელი შეხედულება).

შენდობისათვის

[19] ისლამში სამოცდათორმეტ სექტას ითვლიდნენ. თვითოეულ სექტას მიაჩნდა, რომ იგი ერთადერთი იდგა ჭეშმარიტ გზაზე, ხოლო დანარჩენი ცდებოდა.

[20] ვარდისწყალს ვარდისგან ღებულობენ, ვარდისწყლის გაჩენას ენირება ვარდი. ნიზამი თავის ამქვეყნიური სიცოცხლის შენყვეტას თხოვს ღმერთს იმ იმედით, რომ მარადიულ სასუფეველს დაიმკვიდრებს.

ქება წინასწარმეტყველისა

[21] იგულისხმება ისლამის რელიგიის შემოღება.

[22] ობოლი მარგალიტი მუჰამედის (იხ.) ერთ-ერთი ეპითეტია. ობოლი მარგალიტი სწორუპოვარ, დიდ მარგალიტს ეწოდება.

[23] თუთიათი თვალს მყურნალობდნენ აღმოსავლეთში.

[24] იგულისხმება ოთხი პირველი ხალიფა: აბუ ბექრი (632-634), ომარი (634-644), ოსმანი (644-656) და ალი (656-661).

[25] მაჰმედი, საკუთარი სახელია, ქებულს, მორჭმულს ნიშნავს.

[26] იგულისხმება ანგელოზთა მიერ მოლის, „მწვანის" ჩაცმა, მოსხმა, რითაც ისინი ზებუნებრივ თვისებებს იძენდნენ. ეს „მწვანოსანი ფერიები" თუ „მწვანოსანი ანგელოზები" სხვადასხვანაც გვხვდება ჰოემაში. ვეფხისტყაოსანში იგი იყოთხება მოლის სახით („მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა", 1276, 3).

[27] ალბათ ოთხი ხალიფა იგულისხმება (იხ. შენიშვნა 24). შეიძლება – მისი ოთხი მოციქულიც. ძველად მეფეთა ჯარზე ხუთჯერ სცემდნენ ძელს, ამან კი მათ ნაცვლად ოთხი მოციქული გააჩინა დარაჯად.

[28] მაჰდი, მუსლიმთა მეთორმეტე იმამი, რომელიც ვითომ გადაიყარგა ამა ქვეყნიდან, მაგრამ ერთი დღე იქნება, მოვა.

[29] ლალს ერთგვარი ქანიდან მოიძიებენ, მარგალიტი კი ნიჭარაში ჩნდება, ნიჭარა „ქვაა".

[30] აქ ერთი ბაითი აკლია.

ამ წიგნის დაწერის შესახებ

[31] ხალიფათი იგულისხმება მზე. აღმოსავლეთის მეფეთა ჯარზე დღე-ღამეში ხუთჯერ უკრავდნენ ერთგვარ მუსიკას. აქ – ფრინველთა გალობა განთიადისას.

[32] შვიდ ფახფურით (იხ.) იგულისხმება შვიდი მთიები.

[33] იხ. ლექსიკონში.

[34] ე. ი. თვითონ ოტარიდის, სიბრძნის ღვთაების, ჯალამიც კი ერთ ადგილას დააჭედე, „გაყინე", რომ შემდგომ ვერავითარი სიბრძნე ვერ წეროს. ასევე დამართე ვენერას (მუსიკის ღვთაებას). მან შენი შერით ტანზე ჯაბა შემოიხია, შენმა ლექსის მუსიკალობამ ისე გაახუნა ის.

[35] იესოს (იხ.) მსგავსად შენ გააცხოველე სული.

[36] აქ – სოლომონის (იხ.) ჯადოსნური ბეჭედი.

[37] ფირდოუსის (იხ.) მაჰმად ღაზნელი (იხ.) ვითომ „შაჰ-ნამეს" დანერაზე გაურიგდა და თითო ბაითში (იხ.) თითო დინარს (ოქროს ფულს) დაჰპირდა, მაგრამ მერე ვითომ პირი გაუტეხა და ბაითში თითო დირემი (ვერცხლის ფული) გაიმეტა. ფირდოუსიმ ამის ჰასუხად მაჰმუდის გასათრევი ლექსი დაწერა, ის ფული ლუდში დახარჯა და გარდიხვეწა.

[38] აღმოსავლური თქმულებებისა და რწმენის მიხედვით განძი მიწაშია გადამალული ან ვერან ადგილას მოიპოვება, აქ კი მას გველი დარაჯობს.

სადიდებლად ტოღრულ-არსლანისა

[39] ნიზამის ამით უნდა თქვას, რომ მეფე ლაშქრობაზე ბრძანდებოდა, შეაგვიანდა და ამიტომ ასე გვიან მიეცა შესაძლებლობა, მისთვის მიერთმია ეს წიგნი. პოეტი ასახელებს ერთმანეთისაგან შორს მყოფ ქალაქებს და ამით უნდა გააფართოოს თავისი საქები მეფის სამფლობელო.

[40] სამეფო საჩრდილობლის ნაცვლად ახურავს ონყას, ზღაპრული ფასკუნჯის ფრთებს. ვისაც ფასკუნჯის ჩრდილი ჰფარავს, მას ბედნიერება და ძლევამოსილება ენიჭება, მაგრამ ფასკუნჯი ამქვეყნად არ ჩანს.

[41] შენ ქაიხოსროვის (იხ.) მსგავსი მეფე ხარ და ჩემზე (იხ.) ნაკლები რითი ხარო. რუს კომენტატორთ ესმით: ჯამზე (ჰროვინციაა ხორასანში) ნაკლები რა უნდა აჩუქო ნიზამისო.

[42] თევზი და მთვარე აქვს პოეტურ სახედ გამოყენებული ნიზამის როგორც სამყაროს ორი ერთმანეთისაგან უკიდურესად დაშორებული ცნება: თევზი წყალშია, მთვარე – ცაში. თანაც ზმაა – მთვარეს მაჰ ეწოდება, თევზს – მაჰი.

სადიდებლად უდიდეს ათაბაგ შამს ედ-დინ აბუ ჯაფარ მოჰამედ ბენ იალდიგეზისა

[43] შამს ედ-დინი საკუთარი სახელია და ნიშნავს: „მზე სარწმუნოებისა" (არაბ.).

[44] სიტყვა მუჰამედი ორ მანს შეიცავს, სამყარო კი (არაბულ-სპარსული ალემ) – ერთს.

[45] მარგალიტს ზღვაში მოიძიებენ, ლალს – ქვაში. ამ შემთხვევაში ძვირფასი თვალით მთარგმნელი ლალს გულისხმობს.

[46] შვიდი სამეფო – შვიდი სარტყელი ქვეყნისა. ექვსი კარავი – ექვსი განზომილება საგანთა. ცხრა ცა – ცის ყველა სფერო.

[47] იგულისხმება თვალი, რომელიც სხვის თვალში ბეწვსაც ხედავს. წუნია, სხვისი ნაკლის მაძიებელი და შარის მომდები. ასეთი თვალის მქონე ხალხს სჯისო, ამბობს ნიზამი.

[48] ორი ქვეყანა – სააქაო და საიქიო.

[49] ინდური ხმალი ცნობილი იყო როგორც საუკეთესო. ინდოელებიც ხშირად იხსენიება ნიზამისთან როგორც ავაზაკი ან რაინდი.

ხოტბა და თაყვანისცემა

[50] მისი ხმალი სიკვდილთან ისე ახლოა, რომ მათ შუა ბეწვი თუ გაეტევა. ე. ი. მისი ხმალი სიკვდილს მიგაახლოვებს, მოგკლავს.

[51] ირანელთა მითიური მეფე, ძლევამოსილი ჯემშიდი (იხ.) მოღალატეთა ვერაგობით ძლია ზაჰჰაქმა (ზოჰჰაქმა) (იხ.), ჯემშიდი დიდხანს ემალებოდა ზაჰაკს, მაგრამ მიაგნო მას და შუაში გაახერხინა. ცის ვეშაპნი – ციური ძალები.

[52] ძველად სარკეს ლითონისაგან აკეთებდნენ. თავად სარკეში ნიზამი აქ ბრწყინვალებას, ქეიფსა და სიმღერა-ლექსაობას უნდა გულისხმობდეს. ვითომ, ომს ძლევამოსილად მორჩი, ახლა პოეზიისთვის მოიცალე და ყურადღება მომაქციეო!

[53] ე. ი. მინდა ჩემი ნაკლი არ დავფარო და საამპარაოზე გამოვიტანო.

ქება მეფე მოზაფერ ედ-დინ ყიზილ-არსლანისა

[54] რესი აქ წითელის მეტაფორად იხმარება. პოეტი ამბობს: სისხლის მდინარეს ადენს მისი ხმალიო.

[55] ხალხის რწმენით, დევი, ავი სული, გაურბის რკინას.

[56] ყისრის მოფხანა საგონებელში ჩავარდნაა.

[57] მუშაი მიიღება ერთგვარი შველის ჭიპიდან.

[58] მას ესესხება სიბრძნეში თვით ოტარიდი (იხ.), მისგან მიაქვს მას თავთავი. ზმაა: ხუშა თავთავსაც ჰქვია და ოტარიდის ზოდიაქოს სახელიცაა.

[59] მისი ხმლის დარტყმა ქვესკნელს, ხარს, რომლის რქაზედაც დგას დედამიწა ისე მაღლა აისვრის, რომ მთვარეს მიუახლოვებს.

ამ წიგნის შედგენის გამო

[60] ვარდივით ცოტახანს ილაპარაკე, ბევრს ნუ ლაყბობ, თორემ შრომანასავით დაგემართება, მრავალენოვნობის გამო პირი დაბმული რომ აქვს.

[61] რადგანაც ოსტატებმა იციან მარგალიტის ფასი, ხელი უკანკალებთ, ეშინიათ: გახვრეტის დროს არ შემოგვემტვრიოს ხელშიო! და ამით მართლა ემტვრევათ მარგალიტი. ამის გამო შაგირდებს აძლევენ გასახვრეტად, რადგან მათ მისი ყადრი არ იციან და ხელი არ უკანკალებთ.

[62] იგულისხმება ისლამის წინაღროინდელი, ცეცხლთაყვანისმცემელთა ყოფა, რაც ასახულია პოემაში.

[63] პოემა „საიდუმლოებათა საგანძური" უკვე დაწერილი ჰქონდა ნიზამის.

[64] ე. ი. ჯერჯერობით არაა ეს სიუჟეტი სათანადოდ დამუშავებული.

[65] იგულისხმება ფირდოუსი (იხ.) და მისი პოემა „შაჰ-ნამე", სადაც ჩართული არის ხოსროვ ფარვიზის მეფობის ამბავი, მაგრამ ეს ეპიზოდი იქ რომანტიკული არაა, საგმიროა, მიუხედავად იმისა, რომ ხოსროვს აქაც უყვარს შირინი.

პატიების თხოვნა წიგნის გაკეკლუსის გამო

[66] ღამე გადნა დღეში.

[67] ერაყის ნაღდი ანუ ერაყული მონეტა ბაკაღლო იყო და ფასობდა. თავად ნიზამი წარმოშობით

ერაყული იყო, ამიტომაცაა, თავის ლექსს ერაყულ ნაღდს რომ უწოდებსო, განმარტავს დასთგარდი.

[68] შენ თვითონ ახალგაზრდა ხარ და შენი დოვლათიც არაა დაბერებული.

[69] ვისაც ზღაპრული ჰომაი (ფასკუნჯი) გადაუფრენს, მისი ჩრდილი გადაუვლის, იგი ბედნიერი ხდება.

[70] იესო ქრისტე ისლამის ლიტერატურაში სასწაულმოქმედად ითვლება, იგი მკვდრებს აცოცხლებდა, მაგრამ მოსე ვერ გააცოცხლა.

ხოსროვისა და შირინის ამბის დასაწყისი

[71] იგულისხმება სასანიანთა მეფე ხოვროვ ანუშირვანი (531-579), „ანუშირვან სამართლიანად" წოდებული. მის შემდეგ მეფობდა ჰორმუზი (579-590), შემდეგ კი ხოსროვ II, ფარვიზი, ჰორმუზის ძე (590-628).

[72] იგულისხმება საგნის ექვსი მხარე: ზედა, ქვედა, მარჯვენა, მარცხენა, წინა და უკანა.

[73] გამჭრიახი გონებისა და ზუსტი, მოკვეთილი სიტყვის პატრონი იყო.

[74] თეთრი დევი ირანული მითების პერსონაჟია, დაამარცხა როსტომმა (იხ.).

[75] ზუალის ფარგალი შეიძლებოდა გაგვეგო როგორც ზუალის რგოლი, მაგრამ ამას ხელს შეუშლიდა არა ის, რომ მაშინ ტელესკოპი ჯერ კიდევ არ იყო და მისი დანახვა არ შეეძლოთ, როგორც ეს რუსული თარგმნის კომენტატორებს აქვთ შენიშნული (გვ. 464), არამედ სხვა რამ, კერძოდ, ის, რომ ამავე პოემაში ეს ფარგალი ვერძის ზოდიაქოსთვისაც გვხვდება – „ფარგარე ჰამალ" (II გამოც. გვ. 166).

ხოსროვის ქეიფი მინდორში და ჰორმუზის მიერ მისი დასჯა

[76] იგულისხმება მზე.

[77] იგულისხმება დაისის სხივები.

[78] სულთანი მზეა. მზე უბრძოდა სიბნელეს, მაგრამ დამარცხდა, დანებდა მას, ფარი წყალში გადააგდო, ე. ი. ფარ-ხმალი დაჭყარა.

[79] შავმა ღამემ ცის ქვეშ მზე გამოაჩინა.

[80] ე. ი. სიმწარე გაანელეს, უსამართლობა აღკვეთეს.

[81] ე. ი. მსჯელობამ საშიში ხასიათი მიიღო. მაზდეანიზმის ქებასა და ისლამის კრიტიკას შეყოლილმა ნიზამიმ ენას ყბილი დააჭირა.

მოხუცების შუამავლობა ხოსროვის მამასთან შვილის შესაკედრებლად

[82] დამნაშავეთ ან დამარცხებულთ, განმკითხავის წინაშე რომ მიდიოდნენ, სუდარა და ხმალი მიჰქონდათ თან. ვითომ, თუ გვაჩუქებ სიცოცხლეს, ხომ კარგი, თუ არა და სასიკვდილოდ მოშზადებული მოვსულვართ: მოსაკვდინებელი ხმალი და გასახვევი სუდარა წინდაწინ მოგვიტანიაო.

[83] იგულისხმება იოსებ მშვენიერის (იხ.) ამბავი.

შირინის სილამაზის აღწერა

[84] ორი ზანგი – ორი ნაბანავი.

[85] მისი ტბილი ტუჩების მოგონება თვით ტკბილ ხურმასაც კი პირში ნერწყვსა ჰგვრიდა.

[86] ე. ი. მისი ყბილების მარგალიტებს სადაფის მარგალიტი შორიდან დაემარცხებინა და მისგან გირჩაო აეღო.

[87] ნარგიზი თვალებია.

[88] ცეცხლს შაქრის ჩაყრა უფრო აღაგზნებს. შირინის შეხედვა კაცს გულში სიყვარულის ცეცხლს უნთებდა, ხოლო დაილაპარაკებდა თუ არა (შაქარივით ტკბილად ამეტყველდებოდა თუ არა), უფრო ღუივებდა კაცს ამ ცეცხლს.

[89] ვაშლი შირინის ლოყებია, მასში ჩარჭობილი დანა ან მახვილი – სწორი და თხელი ცხვირი.

[90] ძველი ალმოსავლური რწმენით, მთვარე თხელ ფარჩას ალაქავებს თუ ამოსწვავს. შირინი მთვარეა, ფარჩასაც კი ამოსწვავს და დაალაქავებს, მაგრამ თავად მას სახეზე ერთი ლაქა არა აქვს, განსხვავებით მთვარისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ლაქებიანია.

[91] სიო როდესაც უბერავს, მას თმებს აუშლის და ხან შავი თმები ჩანს, ხან – თეთრი პირისახე. ყარყუმი თეთრია, წავი – შავი.

[92] ძეძეები სპარსულ პოეზიაში უმეტესად ვერცხლის ბროწეულსაა შედარებული. წითელი ძეძესთავები შედარებულია ვარდის ფურცლებს, რომელიც ისე დაჭყრია, თითქოს მოწითალო დინარის მონეტები გადაყარესო.

[93] ლალი ტუჩებია. ყოცნას ყოცნითვე ვერ უპასუხებს, რადგან საშიშია, პირში არ ჩაებნეს.

[94] ელამი ან მთვრალი ნარგიზი ლამაზი თვალებია, იგი ერმის (იხ.) ბაღის ყვავილებსაც აჯობებდა სილამაზით.

[95] ბაგე ლალის ფერი, წითელი, ბადილი ყი მარგალიტის მსგავსი.

[96] ლალითა და მარგალიტით შაქრის ბნევა ბაგითა და ბადილებით ღიმილია. ძველად ძვირფასი თვლების ფხვნილს ჯაცს ნამლად აძლევდნენ. ჰოეტს უნდა თქვას: სიყვარულით დაზაფრულ შემხედვართ შირინი უღიმოდა და იმით არჩენდაო.

[97] შირინი ტაბილს ნიშნავს.

შაბდიზის აღწერა

[98] იგულისხმება ცის შვიდი სფერო.

[99] შაბდიზი შავს ნიშნავს. თავისი სიშავით ღამესთან უფრო ახლო იყო, ვიდრე შაბავიზი, რომელიც ღამის ფრინველს ნიშნავს.

[100] ჩინელი ოსტატები, ჯერმოდ მხატვრები, მთელს აღმოსავლეთში ნაქებნი იყვნენ.

[101] შაქარი შირინია, მასსავით ტკბილი, ხოლო ხუზისტანი – საშაქრეთი, შირინის სამშობლო. ხუზისტანი (იხ.) ცნობილი იყო თავისი შაქრით. ხოსროვი ავალებს შაფურს: შირინის სამშობლოში ნადიო!

[102] თუ დაუჯარავია და გულქვა, თავი დაანებე, თუ არა და იმოქმედე, რომ გამირიგოო.

შაფურის წასვლა სომხეთში შირინთან

[103] ე. ი. არ დავიძინებ, სანამ შენ უძილობას არ მოგაშორებ და არ მოგასვენებო.

[104] იხ. განმარტება 29.

შაფურის მიერ ხოსროვის სურათის ჩვენება პირველად

[105] მზე ჩაინვა. ნარდის ფიცარი აბნუსის (შავი) ფერისა ღამეა, სანდარუსის (ყვითელი) ჯამათელი – მთვარე.

[106] ლაპარაკია ზეცის ჩარხზე, განგებაზე.

[107] ბნელს გამოეყო სინათლე.

[108] სუფანდი (იხ.) დასწვეს ავი სულების დასაფრთხობად. ატყუებდნენ შირინს, ამ ველზე ავი სულები ბინადრობენ და მათ მოიტაცეს სურათიო.

შაფურის მიერ ხოსროვის სურათის გამოჩენა მეორედ

[109] ვარდისფერი რაში დილის მზეა, წითლად რომ ამოდის.

[110] ე. ი. ვარდივით ლამაზი ქალები წავიდნენ იმ ველიდან.

შაფურის მიერ ხოსროვის სურათის ჩვენება მესამედ

[111] შავი ფასკუნჯი ღამეა, ერთი ცალი იაგუნდი – მზე. ღამემ შთანთქა მზე.

[112] მზე ამოვიდა ცაზე.

[113] ობობას ქსელივით ნატიფად შესრულებულმა ნახატმა როგორ დაიჭირა ასეთი ჰუმაი, ბედნიერების მომტანი ფრინველი – შირინი.

[114] მწარე ღვინო არც ისე ხშირია სპარსულ პოეზიაში, სადაც სულ ტკბილ ღვინოს სვამენ. ეს პოემა ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისთაგანია.

შაფურის გამოჩენა

[115] მუშკი გარდა იმისა, რომ სურნელოვანია, სალებავიც არის. მას თმაზე იყრიდნენ გასაშავებლად.

[116] თოკინებით მოთამაშე სანუთროა, ტიკინებივით რომ ათამაშებს ხალხს, ე. ი. საწუთრომ დაიწყო თავისი საქმიანობა.

[117] ინდოელი ავაზაკის ეპითეტია. შაფურმა თავისი ნახატით შირინს გული ისე წაართვა, როგორც ავაზაკი ჯაცს ძარცავს, მაგრამ თურქივით (ამის ერთ-ერთი მნიშვნელობაც ავაზაკია) მაგრად დაუხვდნენ და თავიანთი თურქობით (თურქი ლამაზ ქალსაც ნიშნავს) მოინდომეს მისი გამკლავება.

[118] მარგალიტის ყური ნიჟარაა. ნიჟარა სადაფისაა, საჭვრეტელადაც სამო. შირინმა თავისი მარგალიტების საყურეებით შემაული და თეთრი ყური შაფურს მიაჯყრო, რათა მისგან ნახატის ვინაობა მოესმინა.

[119] იხ. განმარტება 13.

[120] შირინს ალუქუბა უხდებოდა და პოეტი ალტაცებულია მითი, ვინც ააღელვა შირინი.

[121] მთვრალი ნარგიზი თვალია, მარგალიტების ძენჯი – გაბმული ცრემლი, მთვარე – თავად შირინის სახე. – ტირიდა შირინი და ცრემლი ჩამოსდიოდა სახეზე.

[122] ე. ი. წვერი არ ამოსვლია ჯერ.

[123] წითელ მარჯანს, ბაგეებს, წაართმევს მარგალიტებს ანუ სიტყვებს.

[124] ღაზი (იხ.) რჟულისთვის წმინდა ომია. მოქადაგეებისთვის (ხატიბებისთვის) ღაზის მახვილის მიცემა ამას ნიშნავს: წმინდა ომისთვის მებრძოლნი მისი ხმლის გვერდით ისევე უქმნი არიან, როგორც ხატიბების ხმალი. ხატიბებს ხმალი მუდამ ეპყრათ ქადაგების დროს, მაგრამ ქარქაშიდან ჯი არ ამოაძრობდნენ და იჟანგებოდა შიგ. უქმი იყო.

შირინის გაქცევა მეშინ-ბანუსგან მადაინს

[125] მეხახინე დილაა, მარგალიტის ჯუთი – ცა, ოქროს რაზა ჯიდეჯ – მზე, – ე. ი. დილამ ვარსკვლავებიან ცაზე მზე ამოაბრწყინა.

[126] იხ. ლეკსიკონში ხიზრი.

[127] თვალებით მტვრის ახვედა თაყვანისცემაა. ჯინმეს წინ მიწის ჯოცნა მორჩილების ნიშნად.

[128] ბეჟანი, ირანული მითიური გმირი და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" პერსონაჟი, რომელიც აფრასიაბმა (თურანელთა მეფემ) დაიჭირა თავისი ქალიშვილის, მანიჟეს სიყვარულისა გამო და ღრმა ჭაში, ორმოში, ჩაამწყვდია (მერე როსტომმა დაიხსნა).

[129] ორი ჯვირის მთვარე სავსეა. შირინი სავსე მთვარესავით იყო გაბადრული.

შირინის ბანაობა წყაროს წყალში

[130] ვარსკვლავები გაქრნენ და მზე ამობრწყინდა.

[131] სოჰაილივით (იხ.), ვარსკვლავივით, ჯაშუშა ტანი ჰქონდა.

[132] ყარუმი (იხ). თეთრია, სინჯაფი (იხ.) – ნაცრისფერი. მაგრამ სპარსულში სინჯაფი მწვანისა და ღამის სინონიმადაც უთქვამთ.

[133] მუშაი შირინის შავი თმაა, ქაფური – თეთრი ტანი.

ხოსროვის მიერ შირინის ნახვა წყაროზე

[134] ყორანი შაბდიზია. შავი იყო.

[135] გადმოგვცემენ, რომ შუა აზიაში არსებთა წინააღმდეგ აჯანყების მეთაურმა იბნ მუყანამ (VIII ს.), სასწაული რომ უნდოდა მოემოქმედებინა (ღვთაებრივი წარმოშობისა ვარო, ალბათ უნდოდა ამით ხალხისთვის ეთქვა), ვერცხლისწყლისაგან მთვარე გააეთა ქალაქ ნახშებში (იხ.).

[136] ია თმის უპითეტია.

[137] აღმოსავლეთში გავრცელებული რწმენით, განძს ვითომ გველი იცავს. აქ ნაწნავი გველსაა შედარებული, ელვარე ტანი ჯი – განძს.

[138] როცა მთვარე წყლის საქანელას ზოდიაქოში დგას, იტყვიან: წვიმა მოვაო. ხოსროვი ცრემლებსა ღვრიდა.

[139] ხადანგი მაგარი ჯიშის ხეა, მისგან ისარსა და უნაგირს ამზადებდნენ. მერე და მერე ისარს და უნაგირსაც ნიშნავდა. აქ უნაგირი იგულისხმება.

[140] ორ მიჭრაბისყენ (იხ). ერთდროულად ვერ მიიქცევ პირს, ან ერთის პირდაპირ უნდა იღოცო, ანდა – მეორისა. ან რა საჭიროა, არცაა ნება, – ერთ რელიგიას ერთი მიჭრაბიღა უნდა, მეორე სხვისა უნდა იყოს. ორ კულტს ჯი ერთი ჯაცი როგორ ემსახურება?!

[141] ისე ჩჯარა მირბოდა მისი ცხენი და ისე მაგრად სცემდა ფეხს მინაზე, რომ მისი ხმაური ძირს ქვესკნელში ისმოდა. თევზზე დგას ხარი, ხოლო ხარის რქაზე – დედამიწა. ნიზამი არც იმას ითაკილებს, რომ ხარი გავიგოთ როგორც ჯუროს ზოდიაქო, ცაში. თუ ასეა, მაშინ ამასაც შეიძლება ამბობდეს: მისი ფეხის ხმა ქვესკნელში თევზს ესმოდა, რაზედაც მიწა დგას, და მაღლა ცაში – ვარსკვლავებსო.

[142] ე. ი. ხან ტირიდა, ხანაც სასონარკვეთილებაში ვარდებოდა. თითქოს დაპირისპირებაა, მაგრამ სინამდვილეში ორივე პოეტური სახე ერთ აზრს გამოხატავს, – ცრემლით ხიდის გაეთება ტირილს ნიშნავს, ხიდის განგრევა ჯი – უმნეო მდგომარეობაში ჩავარდნას.

[143] ქორი შირინია, ყვავი – შაბდიზი.

[144] ბერთის სათამაშო ჩოგანს ტირიფისგან ამზადებდნენ. აქ ორმაგი შედარებაა: დარდით ხოსროვი ისე მოიღუნა, როგორც ჩოგანი (ჩოგანი ახლანდელი ჰოკეის სათამაშო ჩოგნებს ჰგავდა, თავში მოღუნული იყო), რომელსაც ტირიფისგან ამზადებდნენ. მაგრამ პოეტს ისიც უნდა გაგვახსენოს, რომ ტირიფიც წელშია მოღუნული და ხოსროვი მას ამითაც ჰგავდა.

[145] შირინი წყალში ნარგიზივით იყო და მისი სიმშვენიერით წყალი ისე გაოცებულიყო, რომ

გარინდებულიყო და გაყინულიყო.

[146] ოქროს მაძიებელთ თურმე ოქრო გაყინულ წყაროთა ქვეშ ეგულებათ. ე. ი. შირინის სიტურფით გაოცებული წყარო გაირინდა და გაიყინა, მაგრამ გაყინულ წყალში ოქროს მოიძიებენ. მე ჯი ჩემი ოქრო და განძი, შირინი, რაკომ ვერ ვნახე, ვერ მოვიხელე ამ წყაროში და ის საროს მსგავსი ასული ვერცხლისწყალივით დაუდეგარი რაკომ აღმოჩნდა და რაკომ გამექცაო?!

[147] გუარი მარგალიტია. ვითომ ცრემლების მარგალიტებით მკერდს მოვირთავო.

[148] იგულისხმება ბიბლიური სოლომონ ბრძენი, რომელსაც ჰქონდა სასწაულთმოქმედი ბეჭედი, რითაც ავ სულებსა და ფერიებსაც იმორჩილებდა.

[149] ცივი რკინის ჭედვა წყლის ნაყვას ნიშნავს.

შირინის მისვლა მადაინს ხოსროვის სასახლეში

[150] ბედი სანამ რამეს გაგიყეთებდეს, ჯერ ცუღლუტურ საქმეს გიზამს. მის წყალობას იოლად ნუ ელი. ხომ ხედავთ, გლეხი რამდენ ოფლს ღვრის ჭირნახულის მოსაწევად.

[151] ჰირზე წყლის შესხმა მზადყოფნას ნიშნავს.

[152] ხოსროვთან შეყრის იმედი მიეცა.

შირინისთვის ჯოშჯის აგება

[153] ძველი რწმენით, ცის ჩარხი გამალებით ბრუნავდა.

[154] იხ. განმარტება 29.

ხოსროვის წასვლა სომხეთში მეჰინ-ბანუსთან

[155] ორიგინალში ზმაა: ღამე შირინ შირინზე დარდსაც ნიშნავს და ტკბილ დარდსაც.

ხოსროვის მიერ ლხინის გამართვა და შაფურის დაბრუნება

[156] დასთგარდი (გვ. 92) და რუსული თარგმანის კომენტატორები (469) აქ ვითომ შუა აზიაში არსებულ ქალაქს ალანს გულისხმობენ. ჩანს, ისინი ძველ ლექსიკონებს ეყრდნობიან. ალანთა ქვეყანა დღევანდელი ოსეთიდან მოყოლებული შუა აზიამდე სწვდებოდა (იხ. В. В. Бартольд, Сочинения, т. II, часть 1, Москва, 1963 г. стр. 866). ნაბადი ოსებმა ახლაც ყარგი იციან.

[157] სომხურ შავ ნახშირს წითელი ცეცხლი უკიდია, საკვირველია, როგორ შეიღება იგი წითლად, აკი შავი ფერი სხვაფერად არ იღებებაო ია იმკუბა, ე. ი. მუქი, შავი ფერი ქრება (შავი ნახშირი იწვის) და წითელი ყაყაჩოსავით წითელი ფერის ცეცხლის ალი ისადგურებს. და ისე, როგორც თავისივე ფრთისაგან გაჟეთებული ისრით (ისრის ფრთა არწივის ფრთისგან ჯეთღება) არწივი დაიჭრა (ამაზე იგავიცაა და ნასერ ხოსროვმაც გალექსა), ასევე ემართება ნახშირს, – თავისივე სიმხურვალე თვითონ სწვავს. ცეცხლის ენები ისე ცეკვავენ, თითქოს შავმა გველმა ჰირიდან ხვითო ამოაგდო და ათამაშებსო. ნახშირი ინდოელ მოგვს ჰგავს, რომელსაც თავიანთი რჯულის მამამთავრის ზარდუშთის (იხ.) მსგავსად, ხელში ზენდი დაუჭერია. თავად ზენდი აქ ტალკვესია (ტალკვესი მართლაც ეჭირათ ხშირად ცეცხლის ქურუმთ), და პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ, იმ სომხური ნახშირის ცეცხლი, ქურუმთა ტალკვესსაა შედარებული. მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი – ზენდ ცეცხლთაყვანისმცემელთა საღვთო წიგნის ზენდ-ავესტას სახელიცაა და პოეტს უნდა მისი ასოციაციაც გაგვიჩნდეს. ლალის ყელსაბამი თავად ცეცხლია, იგი ღამეს უკიაფებს, ხოლო თეთრკანიანი ფრანგი ისევ ცეცხლი გახლავთ, რომელიც შავ ზანგს, ე. ი. ღამეს სპობს ანუ ანათებს. ჰაბაშელი, ანუ აბისინიელი, შავია და ნახშირის მეტაფორაა, ბულღარები (იხ.) თეთრნი არიან. აბისინიელი ბუღარეთში წავიდაო სხვა არაფერია თუ არა ის, რომ ნახშირი ვერცხლის თეთრ მაყალში ჰყრია, მხოლოდ მდივნად იმიტომმაა გამოყვანილი, რომ ცეცხლის ჯიღევ ერთი მეტაფორა მოაგონდა ნიზამის – სინგური, რომელიც წითელია და მხატვრები და გადამნუსხავები ხმარობენ თავსართებისა და სათაურების სანერად.

[158] მიჯნურებმა ვერ დამალეს თავიანთი საქციელი.

შაფურის მიერ შირინის ამბის მოტანა ხოსროვთან

[159] იხ. განმარტება 135.

[160] მუშაის ქამანდი – შავი თმა. მუშაი შავია.

[161] სპარსულ პოეზიაში ჯერჯი ლამაზი საატრფოს ეპითეტია. იგი ალბათ სამი ნიშნით გახდა ასეთი: ლამაზნიც იყვნენ (ინდური ქანდაკებანი სილამაზით გამოირჩეოდნენ), სათაყვანონი (მათ თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთაებას) და გულქვანიც (ისინი ხომ ქვისგან იყვნენ გამოძერწილი).

[162] ორი ქვეყნით ორი ნაწილი იგულისხმება ტანისა: წელს ზედა და წელს ქვედა. ეს ორი ნაწილი

მას ერთი თმით ღერით ე. ი. თმასავით ვიწრო წელივითა აქვს შეკავშირებულიო.

[163] ნარგიზი – თვალები, ლალი – ბაგე.

შაფურის მეორედ წასვლა შირინის მოსაწვევად

[164] ფასკუნჯი (ჰუმა) გადაბარგულია, მისი არსებობა იციან, მაგრამ არავის უნახავს.

[165] იხ. განმარტება 13.

[166] შირინი ისე იჯდა იმ ვიწრო ქვის ჯოშში, როგორც ლალი ქვაშია ჩაჭედილი, ლალს სილამაზითაც ჰგავდა და მდგომარეობითაც. ხოლო იგი რომ ნახა, დაიმორცხვა შაფურმა და სახე ლალისფრად გაუნითლდა.

[167] ჩინის ნახატი ჩინური ნახატია, ლამაზი შირინი. ჩინის მხატვარი ჯიდეჯ – შაფური, ჩინელ მხატვრებივით ჯარგი ოსტატი რომ იყო.

ხოსროვის მიერ მამის სიკვდილის შეტყობა

[168] სპილო ხოსროვია, ხოლო რაკი სპილოს შეადარა ღონითა და ტანით, ბარემ მისი სამშობლოც გაუიგივება.

[169] ინდოეთი ჰორმუზის თვალებია, შავი. ჰორმუზის თვალებს ბედმა უღალატა და მეტად ალარ დაიცვა ხიფათისაგან. ჰორმუზს თვალები დათხარეს აჯანყებულმა ბაჰრამ ჩუბინემ და მისმა მომხრეებმა, მერე კი ხოსროვს გადააბრალეს: ეს რა ყაცია, მამა გასწირაო.

[170] როდესაც მისი იუსუფივით (იხ.) მშვენიერი და სამართლიანი ხელმწიფობა შეწყვიტეს და მისი დივანის (იხ.) ჯეთილი საქმიანობანი გააუქმეს (ე. ი. ჩამოაგდეს ტახტიდან), ესეც არ აპატარეს და როგორც იაკობი (იხ.) დაბრმავდა თავისი შვილის, იუსუფის, დაკარგვის გამო მგლოვიარობითა და ტირილით, ასევე დაბრმავეს, – თვალები დათხარეს.

[171] ე. ი. ჯოჯას ყოველთვის დაამტვრევს ქვის მეზობლობა, შდრ. ანდაზა.: „ლიტრას ქვა ეცა და – ვაი ლიტრის ბრალი, ლიტრა ქვას ეცა და – ვაი ლიტრის ბრალიო".

[172] მიცვალებულის ტანსაცმელს განბანვისას მის განმბანველს აჩუქებდნენ, ასე რომ საფლავში მისი სამოსი არ მიჰყვებოდა.

[173] ვაჰიდ დასთგარდი ამაზე ბრძანებს, პერის მარცვალია ჯუზიანიო. იქნებ, თვითონ პერის მცენარე იგულისხმებოდეს, წელში მოხრილი რომ არის თავთავის სიმძიმისა გამო.

ხოსროვის ტახტზე ასვლა მამის მაგიერ

[174] იხ. განმარტება 29.

შაფურის მიერ შირინის მოყვანა მეჰინ-ბანუსთან

[175] მეჰინ-ბანე შირინის დედა არაა, მამიდაა. მაგრამ დედასავით ზრდიდა და ამიტომ ეუბნება (სხვაგანაც მიმართავს ასე). შეიძლება ტერმინების ასეთივე ზოგად მნიშვნელობებთან გვქონდა საქმე „ვისრამიანის" ფალაურ ვერსიაში, საიდანაც იგი ახალ სპარსულზე გადმოაჯეთეს. იქნებ მანდ ვირნო არ იყო ღვიძლი შვილი შაჰროსი, ხოლო ვისი – ღვიძლი და ვიროსი. მაშინ, თანამედროვე ირანელებისთვისაც ასე საგრძნობ რეალურად არსებულ უხერხულებას იქნებ „მოევლებოდა".

[176] ფუჭად ეუბნებოდა: მაჭარს თავს თუ დაუხურავ, გახეთქავს ჭურს. ასევე შეუძლებელია მზის ტალახით გაგლესვა. ეს ბოლო სახე ნიზამის უყვარს და სხვაგანაც მიმართავს მას („ლეილ-მაჯნუნიანში".)

ხოსროვის გაქცევა ბაჰრამ ჩუბინისაგან

[177] იხ. განმარტება 170.

[178] ე. ი. ამხედრდა შაბდიზზე და გაიქცა.

[179] ჭადრაკის თამაშის ანალოგიით გადმოცემულია, რომ ბაჰრამმა დაამარცხა ხოსროვი.

ხოსროვის და შირინის შეხვედრა ნადირობაზე

[180] იხ. განმარტება 49.

[181] შირინი ისეთი ლამაზი იყო, რომ ასობით ხელმწიფეს თავს აყარგვინებდა და მათ მეფობას მსხვერპლად იწირავდა.

[182] ერთი – ხოსროვია, მეორე – შირინი. ხოსროვს ვარდივით ლამაზ პირისახეზე ახლად აშლოდა წვერები, სუბმულივით სათუთნი და ლამაზნი. შირინს კი ვარდის სახე ირგვლივ ზილფებით მოეკონა; ხოსროვს ყურებთან ამბრივით შავი და სურნელოვანი ხუჭუჭები დაყროდა, შირინს

ჯი თმის ქამანდები ეყიდა; ხოსროვს ყელზე სამეფო ყელსაბამი ჰკვია (მეფობის ატრიბუტი ისე, როგორც გვირგვინი და ტახტი) ეყიდა, შირინს კი ღაბაბი ჰქონდა ყელსაბამად. ლამაზი ქალისათვის ღაბაბი ნუ გაგიკვირდებათ, სპარსულ პოეზიაში იგი სილამაზის ატრიბუტი იყო.

183 ძველად ეგონათ, რომ დედამიწა ხარის რქაზე იდგა, ხარი კი – თევზზე. ე. ი. მიწამ თავისი გაჭირვება მასთან ახლოს მყოფს, ხარს, შესჩივლა.

184 ქამრის შეკვრა – მომაზადება რაიმე საქმის გასაკეთებლად.

185 აღმოსავლეთში ძველად სტუმარს პატივისცემის ნიშნად ფეხქვეშ უყრიდნენ ძვირფას თვლებს, ფულს, ყვავილს, ტაბილეულს, ამას ნესარი ერქვა.

მეშინ-ბანუს მიერ შირინისთვის ანდერძის მიცემა და დამუნათება

186 რამინმა, „ვისრამიანის“ გმირმა, დააგდო ვისი, გარდაიხვენა და უცხოეთში სხვა შეიყვარა, მშვენიერი გული შეირთო ცოლად.

187 ლეილა და მაჯნური აღმოსავლეთში გარკვეულებული ლეგენდის გმირები არიან. არაბ მგოსანს ყაისს ისე შეუყვარდა ლეილი, რომ ჭკუა დაკარგა და საქციელი წაუხდა. ამიტომ მას მაჯნუნი შეარქვეს, ვითომ გიჟიო (აქედანაა ქართული მიჯნური). ნიზამიმ „ხოსროვი და შირინის“ შემდეგ სწორედ მათი სიყვარული აღწერა და შექმნა მსოფლიო პოეზიის შედევრი „ლეილი და მაჯნუნი“ (1188 წ.)

188 თუ მას შენ უბრალო ვნების დასაცხრობად სჭირდები, თავის ვნებას რომ დაიცხრობს, შენ რეგვენად დარჩები და გაბრიყვდები, ცოლად არ შეგირთავს და ვისივით გაბახდები. ვისის „ვისრამიანის“ გმირ ქალს, საკმაოდ ცუდი სახელი დაუვარდა როგორც ირანში, ისე ჩვენში, თვითონ ფახრ ედ-დინ გორგანელის პოემა „ვისი და რამინი“ სამისო მასალას არ იძლევა. ვისი დედამისმა ვიროზე გაათხოვა, მაგრამ სანამ შეუღლებოდა, მანამ მოაბადმა ჩაიგდო ხელთ. ვისს მოაბადი არ ჰყვარებია, ეზიზღებოდა კიდეც, მასთან ცოლქმრული ურთიერთობაც არ ჰქონია, შეუყვარდა მას რამინი და ბოლომდე მისი მოჯურნრობის ერთგული დარჩა. შეიძლება, ვისის ცუდი სახელი მოდიოდეს ფალაური ვერსიიდან, რომელიც გორგანის პოემას დაედო საფუძვლად, ანდა სხვა რომელიმე ვერსიიდან, რომელიც ხალხში იქნებოდა ცნობილი (ვისისა და რამინის რომანს რომ მრავალი ვერსია გააჩნდა, ჩანს ტრისტანისა და იზოლდას რომანიდან, რომელიც მის პარალელად უნდა ჩაითვალოს).

ჩოგბურთის თამაში ხოსროვისა შირინთან

189 მარგალიტები ვარსკვლავებია, წითელი ლალი – მზე. მზე ამოვიდა და ვარსკვლავები გაიკრიფნენ. მუშთარი და ვენერა ხოსროვი და შირინია. მუშთარი (ხოსროვი) მარტო იყო, ვენერას (შირინი) კი ვარსკვლავები (სეფექალები) ეხვია.

190 საროსტანა ქალიშვილებს წელზე არყის ხისაგან გამოთლილი ისრები (არყის ისრები საუკეთესო ხარისხისაა) დაეკიდათ კაპარჭით. თავად კი, საროს ხესავით სწორნი, არყის ხისაგან გამოთლილ კეხებზე ისხდნენ.

191 მუშკის ნიღბიანები მუშკისფერი შავი თმის მქონე ლამაზი ქალები თუა.

192 ჩოგანს წითელი ტირიფიდან აკეთებდნენ. იმდენი ჩოგანი ტრიალებდა მოედანზე, რომ იგი ტირიფონად იქცა. მთვარის სახიან ქალიშვილებს ტირიფისაგან გაკეთებული სანდლისფერი, ანუ წითელი ჩოგნები ეჭირათ ხელთ.

193 ლომი ხოსროვია, ირემი – შირინი, ხოხბები – შირინის სეფექალები. მზე ხოსროვია (მზე საერთოდ მამაკაცის ეპითეტია სპარსულ პოეზიაში), მთვარე კი – შირინი (ასევე, ქალის ეპითეტი მთვარეა).

194 შაბდიზი შავი იყო, გოლგუნი – ვარდისფერი.

195 იმდენი შუბი მოახვედრეს კანჯარს (გარეული ვირს), რომ გეგონებოდათ, ლერწმის ტყეაო.

196 დალამდა.

გამოზაფხულება და ხოსროვისა და შირინის ნეტარება

197 გაზაფხულს დაეძლია ზამთარი.

198 ე. ი. ვარდი იყო საროზე ამხედრებული ანუ საროსტანოვან ქალს ვარდივით ლამაზი პირი ჰქონდა.

ხოსროვის მიერ ლომის მოკვლა ქეიფის დროს

199 შირინს ყოცნისაგან ლურჯი ლაქები დაჩნდა, თითქოს წითელი ვარდის პირზე ლურჯი ია ამოვიდაო. ქალს ამ ლურჯი ლაქებისა ისე რცხვენოდა, რომ თვალთ უბნელდებოდა, ქვეყანა ლურჯად ეჩვენებოდა. წარა-მარა ხელში თეთრი უმარული ეჭირა, ლურჯი ლაქების დასაფარავად.

200 ღალიის (იხ.) ზელა – საამო სურნელების ქმნა.

201 თონე ცხელია ე. ი. დრო ახლაა.

202 ხდება ისეც, რომ მონადირე თავად მომკვდარა და მისი საჭმელი ნადირს დარჩენია.

203 მზე ხოსროვია, მთვარე – შირინი. ხოსროვი მიდიოდა შინისკენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მზე იყო, მთვარესავით უხვევდა გზიდან.

204 შაქრის საწყობი პირია, საიდანაც ტკბილი სიტყვები ამოდის.

205 ყველა იგავი ერთ ამბავს გულისხმობს, – ხოსროვმა იჯოვა თავისი შირინი.

206 სამოთხის ფარშევანგისა და გველის იგავია.

207 ნუშის გული მწარეა, შაქრით სასიამო ხდება.

208 შაქარი ქალები არიან (შირინი და მისი სეფექალნი); ნუში ხოსროვია, იგივეა მიმინო, მტრედების (ქალების) გუნდში გარეული.

209 იის ჯონა ზილფ-ჯაებია ქალისა თუ ჯაცისა. ია თმის ეპითეტია საერთოდ ისლამურ ლიტერატურაში.

შირინისაგან ხოსროვის განაწყენება...

210 საროსტანიან ქალწულთ ვარდივით ლამაზი სახე ჰქონდათ.

211 ე. ი. ხიდი წყალზე თუ არ დევს და მშრალზე თუა დაგებული, რა სარგებლობა აქვს, რა საჭიროა, თუნდაც ძვირფასი მასალით იყოს გაკეთებული? ეს ანდაზა საერთოდ, გავრცელებულია აღმოსავლურ პოეზიაში, ხშირად მიმართავს მას „ვისრამიანის" ავტორი (XI ს.) სელმან სავეჯი (XV ს.), საიბი (XVI ს.) და სხვ.

212 მთარგმნელი ასე გადმოგვცემს ახალ, ქორფა, ნედლ მარგალიტს.

213 შაქარი აღმოსავლურ მედიცინაში წამლად ითვლებოდა, მაგრამ ეკეთვნოდა ე. წ. ხურვალ წამალთ და გაცხელებას არ რგებდა, ვნებდა. შირინი ეუბნება: შენ ვნებით გახურებული ხარ და მე, შაქარმა, ვაი თუ განყინოო. გაიაროს ამ შენმა ატეხილმა ვნებამ და მერე მე შენით დავტკბები და შენ ჩემით იამეო!

214 შემდეგ ბაგეებს ჯბილი დააჭირა და ხოსროვის წვერ-ულვაშის ზურმუხტი რომ არ მოჯარებოდა, ნანნავების გველი დაიყენა დარაჯად, სახე თმით დაიფარა ხოსროვისაგან (ვითომ დამშვიდდა!) ზურმუხტი გველის მტერიაო, განმარტავს დასთგარდი. ქორფა ულვაში ზურმუხტოვან მდელოსაა შედარებული.

215 ზურგი თეთრი გოგირდივით უელავდა. მას ეგონა რომ ზურგის ჩვენებით დაანელებდა ხოსროვის აღეხილი ვნების ცეცხლს, მაგრამ პირიქით მოხდა: ცეცხლს გოგირდი ჯი არა ანელებს, აფიცხებს და შირინმაც თავისი ზურგის გოგირდით უფრო ააბრიალა მიჯნურის ხანძარი.

216 შირინის ზურგი გოგირდს შეადარა პოეტმა, მაგრამ აქ არ გაჩერებულა. ახლა ადარებს სპილოს ძვლის დაფას. შირინმა ზურგი აჩვენა ხოსროვს, სპილოს ძვალივით თეთრი ზურგი დაანახა და ამით სპილოს ძვლით მოხარატული თავისი დაჯარგული ტახტი მოაგონა, ნადი და ის დაიბრუნე, გვიკობსო!

შირინის პასუხი ხოსროვს

217 იხ. განმარტება 213.

ხოსროვის ვედრება შირინის წინაშე

218 ძვირფას თვლებს ძველად დანაყავდნენ და წამლად ხმარობდნენ. აქ იგულისხმება ლალის ტუჩები შირინისა.

219 იაგუნდი მზეა, იგივეა სამყაროს შაჰი. ღამის შაჰი მთვარეა, გათენდა.

220 შდრ.: „ნა, შეები ხატაელვა" და სხვ. (379,2)

ხოსროვის წასვლა შირინისაგან

221 „ჯამჩი მარილისთვის სხვენზე აჭყავდათო", რეგვენებზე უთქვამთ.

222 მე ჯიდევ ცეცხლის შემონთება მინდა, ასე მიჯნურ ჯაცს?

223 ხურჯინში პურის ჩადება სტუმრის საგზლით გასტუმრება, ჯარის ჩვენებაა.

224 ეს ამბავი უფრო დაწვრილებით აღწერილი აქვს ფირდოუსის თავის „შაჰ-ნამეში".

ხოსროვის ომი ბაჰრამთან და ბაჰრამის გაქცევა

225 ბაჰრამის ჯავშანი ჯაბასავით იქცა, ვერ დაიფარა ჰატრონი, თავზე ჩაჩქანი ჯამივით დაემტვრა, – დამარცხდა.

[226] სვავებს მკვდრები დარჩათ.

[227] მანკუყი დროშის ნახევარმთვარეა, მას სამკაულად ხატარა ტაბტებს უკეთებდნენო, განმარტავს დასთგარდი. შეიძლება თვითონ „მთვარე“ იყო ღრმელი და შიგ ისხმებოდა სისხლი.

[228] ბაჰრამი ისე დაამარცხა ხოსროვმა, როგორც ერთ დროს ბაჰრამ გური (იხ.) ამარცხებდა და ისრის სროლით მიწაზე სცემდა ჯანკრებს. შეიძლება, ნიზამი იმის ნართაულსაც ამბობდეს, ბაჰრამ გური რომ გადაიჯარგა, რადგან ბაჰრამ ჩუბინიც ერთხანს გადაიჯარგა ამ ბრძოლის შემდეგ. დასთგარდის ეს ადგილი განმარტებული არ აქვს, ხოლო საფიქრებელია, ნიზამის იმისი შეხსენებაც ჰქონდა გულში რასაც რუსული თარგმანი იძლევა: „დაამხო ბედმა, როგორც გური იქნა დამხობილი“ (გვ. 175).

[229] საწუთროს ნიზამი ყომარბახს ადარებს.

[230] ამლაყი ცხენი ჭრელია. ეს ქვეყანა ჭრელია და დაუნდობელიო, ამბობს პოეტი. იგულისხმება ამავე დროს დღე-ღამის ცვალება, სიჭრელე.

ხოსროვის ტახტზე ასვლა მადაინში ხელმეორედ

[231] ლაპარაკია ვასრულვათა ბედნიერ განლაგებაზე, რამაც ხოსროვის გამარჯვება განაპირობა.

[232] ხორასანი სპარსული სიტყვაა და მზის ამოსავალს ნიშნავს. აქედანაა მისი მეორე მნიშვნელობა – ირანის აღმოსავლეთი პროვინცია.

[233] იესო ქრისტესთვის ყურანს მიუთვნებული ჰქონდა ცის მეოთხე სფერო.

[234] შუმი ღვინო, ორგინალის „ნაბიდ ხამ“ იგივე მწარე ღვინო უნდა იყოს, რაც ხშირად გვხვდება პოემაში. წითელი ღვინო – ცრემლებია.

[234] ეტყობა, რაღაც იგავიდან უნდა იყოს, იგავი თვით ვაჭიდ დასთგარდისთვისაც არაა ცნობილი. ჩანს, მისი აზრი ასეთია: ეს ვირი ან ჩოჩორს მოიგებს ან ზინგანამდე ჩაალწევსო. ჩოჩრის მოგება ზინგანის გზის სიძნელეს უნდა გამოეწვია.

[234] მე ბულბული ვარ და ჩემი უბრალო ბედიდან დიდებულ გარემოში მოვხვდი, მაგრამ რად გინდა, – თავისუფლება დავკარგე.

შირინის მოთქმა ხოსროვის განშორების გამო

[237] მარგალიტის ცრემლები გადმოჰყარა თვალთაგან და იგი წამწამებით აკინძა. ზემოთაც, ამ თავის დასაწყისში ტირილზეა ლაპარაკი. მანდ სველი ნუში მტირალი თვალებია, ჯარისწყალი – სისხლიანი ცრემლი მიჯნურისა: ნუშის ყვავილი – ფერადოვანი ღაწვები.

[238] ყაყაჩო და ვარდი ლოყებია.

[239] ნარგიზი – თვალია, ყაყაჩო – ლოყა. თვალები ცრემლით ალტობდა ლოყებს.

მეჰინ-ბანუს ანდერძი შირინს

[240] ნარგიზი თვალია, მთვარე – სახე, ჯარსკვლავები – ცრემლები.

[241] შუშას ქვისაგან ამზადებდნენ. აქ იგულისხმება სიცოცხლე.

შირინის გამეფება

[242] ნიზამი ამ სამყაროს გულისხმობს. იხ. განმარტება. 13.

[243] მძინარე თვალები ღამაზი თვალებია.

შირინის მისვლა მადაინს

[244] იხ. განმარტება 29.

[245] იხ. განმარტება 29.

[246] იხ. განმარტება 29.

ხოსროვის მიერ ბაჰრამ ჩუბინის სიკვდილის შეტყობა

[247] შაჰი ცისკარია; რუმის ლაშქარი თეთრი ღამეა, ანუ სინათლე; ზანგები ღამეა. იოსები (იხ.) ღამაზი სახისა იყო და აქ მზეს გამოხატავს, ყვითლად ამოდიოდა და ამიტომაა ნარინჯით ხელშიო, რომ ამბობს პოეტი. ზელიხა ანუ ზოლეიხა იოსების საკრფო იყო. იმასაა შედარებული თურინჯივით ყვითელი მთვარე.

[248] ჩუბინ ნიშნავს: ხისა. ზმაა: ხის ჯოხით იქნა ნაცემი ბაჰრამი.

[249] ლაპარაკია ბაჰრამ გურზე (იხ.) გური იმიტომ შეერქვა, რომ გურზე (ჯანჯარზე) ნადირობა უყვარდა. მაგრამ აქ ზმაა: გურ ნიშნავს საფლავსაც.

[250] მგელმა თავისი წინდაუხედაობით მახეში ნადირთ მისატყუებლად ჩადებული თევზი შენიშნა და თვითონ მახე კი – ვერა, მელა კი მიუხვდა. მგელი გაება, მელა – არა.

[251] იგულისხმება დღე-ღამე, სიჭრელე ქვეყნისა.

[252] ე. ი. ხალხს მოუარე.

[253] ყოველთვის კილოს გამობმაზე ნუ ხარ, ჯარგიც დაინახე ამ ქვეყნად. სულ ფარშევანგის ფეხებს ნუ უყურებ (ფარშევანგს ულაზათო ფეხები აქვს), ყვავის თვალებიც ნახე (ყვავს ლამაზი თვალები ჰქონია).

[254] ხანჯალზე გამოხატული ჯურღმული აბა რისი მაქნისია, მიუხედავად იმისა, რომ ხანჯალზე ახატია, მაინც ჯურღმულია.

[255] ნარიგიზი თვალია, ჯამი – ღვინის ჯამი, ქეიფი.

ოცდაათი ჰანგი ბარბადისა

[256] „ქარის მოტანილი განძი" და სხვა მელოდია, რომელსაც აქ ბარბადი უკრავს და მღერის, ჩანს, ირანული უძველესი მელოდიებია. ზოგ მათგანს მოიხსენიებს ფირდოუსი თავის „შაჰ-ნამეში", როცა ასევე ამღერებს ხოსროვ ფარვიზთან ბარბადს.

[257] „ნათხარი (ამონათხარი) განძი" მელოდიაა, სიმღერა, რომელსაც საფუძვლად უდევს ვითომ გადმოცემა, რომლის მიხედვით ერთ-ერთი მეფის დროს შემთხვევით იპოვნეს, მიწიდან ამოთხარეს განძი. მათ შორის იყო ოქროს ხარის გამოსახულება. ჟფიქრობთ, ეს უკანასკნელი მომენტი ხალხური ეტიმოლოგიის ნაყოფი უნდა იყოს. სპარსულად ნათხარი განძი „განჯე ქავ"-ია. ქავ, ჩანს, გაიგეს აგრეთვე როგორც გავ, რაც ზროხას ნიშნავს. რომ აქ ამონათხარი განძი იგულისხმება, ჩანს მისი სპარისპირო მეორე მელოდიიდან „ქარის მოტანილი განძი". ასევე ვერ გაუგიათ მერე და მერე და თავისებურად გაუაზრებიათ „განჯე სუხთე" (იხ. განმარტება 258).

[258] ორიგინალში: „განჯე სუხთე" სუხთე გვიანდელ სპარსულში დამწვარს ნიშნავს, მაგრამ წინათ აწონილს უდრიდა. ჩვენი აზრით, იგულისხმება დაცული, მოვლილი, აღრიცხული, ოფიციალურად ცნობილი განძის ცნება, სანინაალმდეგოდ ქარის მოტანილი ან შემთხვევით მიწიდან ამოთხრილი განძისა. რესულ თარგმანში, მაგალითად, ასევე დამწვარი ესმით (გვ. 202), ჩვენშიც გაიგონებთ დღეს: „დამწვრისა დაუკარიო"! მაგრამ, ვიმეორებთ, ასეთი ეტიმოლოგია და გააზრება, ჩვენი აზრით, მცდარია.

[259] შადრევანი სპარსული სიტყვაა. ახალ სპარსულში მას გამოთქვამენ შადორვან ფორმით. ნიშნავს შადრევანსაც, მაგრამ უმეტესად სამეფო ფარდაგებსა თუ მოფარდაგეულს ეტყვიან.

[260] თაყდისის ტახტი ხოსროვის თაღისმაგვარი ტახტი იყო.

[261] ხოთანი (იხ.) განთქმული იყო მუშკით, ირანში მუშკი იქიდან შემოჰქონდათ.

[262] ზოჰრა (ვენერა) სპარსულ პოეზიაში ციურ მუსიკოსადაა ცნობილი, ხელოვნების მფარველად. ე. ი. როცა სამონადირეო დაიწყო, ვენერაც მოხიბლა ამ მელოდიით.

[263] სიაუში ირანელი მითიური გმირია, ამას ცოლად ჰყავდა თურანელთა მეფის აფრასიაბის (იხ.) ქალიშვილი ფერანგისი. აფრასიაბი ბოროტი ხალხის ჩაგონებით თავს დაესხა სიაუშს და მოაკლა. როსტომმა (იხ.), სიაუშის გამზრდელმა, სასტიკად იძია შური.

[264] ირეჯი ირანელთა მითიური მეფის ფერიდუნის (იხ.) ვაჟია. იგი მისმა ძმებმა სალმმა და თურმა მოაკლეს ღალატით (აქედან წარმოსდგა ირანელების – ირეჯის მემკვიდრეთა – და თურანელების – თურის მემკვიდრეთა – მითოლოგიური შეურიგებელი ომი). ირეჯის შური იძია მისმა შვილიშვილმა მანუჩარმა.

ხოსროვი შირინს მარიამს შეავედრებს

[265] ბაბელს ანუ ბაბილონს სპარსულ პოეზიაში უკავშირდებიან ჯადოქრული ძალები.

[266] თიხის ჭურჭლები გარედან ყია ლამაზად მოხატული, მაგრამ შიგნით იგივ თიხაა.

[267] იგულისხმება ბიბლიური ამბავი, ღმერთმა ადამს ევა გვერდიდან რომ ამოუყვანა.

[268] მუშკის ბანარი ნაწნავია. მარიამი ამბობს: ჩემივე ნაწნავებით დავიხრჩობ თავსო.

შირინის საყვედური შაფურის მიმართ

[269] წყალი (იხ.) აქ ნიშაპს, სიცოცხლის ხალისს ნიშნავს.

[270] მე ბაბილონელებზე უფრო ცბიერი ვარო (იხ. ბაბელი).

[271] ნალის ცეცხლში ჩაგდება მიჯნურის ტანჯვას ნიშნავს. შირინი ამბობს: ეს მე ვარ, ხოსროვს რომ ვწვავ, ის კი არ მწვავს მეო.

[272] ზმაა: ღელანში საბრ მოთმენასაც ნიშნავს და ერთგვარ მწარე მენარენასაც (ალოეს?).

[273] უნაბი ბაგეებია, შაქარყინული კი ბაგეთაგან დაცდენილი საამო ხმა.

[274] იგულისხმება ჭაღრაყის თამაში: მეფე როქს ვერ დაუდგება.

[275] ფარის მდინარეში ჩაგდება ფარ-ხმალის დაყრას ნიშნავს. ახლა დაყარე შენი ჯიუტობის ფარ-ხმალი – უთვლის შირინი ხოსროვს – აქამდე რაკომ არ გაგახსენდიო?

[276] ესაა ირონია მარიამის მიმართ.

ფარჰადის ტრფობის დასაწყისი

277 იხ. განმარტება 13.

278 სანთელივით, ცვილივით რბილია მისი ნაჯახის ქვეშ მარმარილო, მარმარილოს ადვილად იმორჩილებს.

279 ყველაფერში ოსტატობაა საჭირო. შენ თუ ოსტატი არა ხარ და მაინცდამაინც გინდა ბეჭედი გააკეთო, შენი ნებაა, გააკეთე, მაგრამ ლითონისა კი არა, – თიხის ან სანთლისა.

280 ოსტატმა შაფურს ყალმით ხატვა შეასწავლა, ფარჰადს კი – მოქანდაკეობა.

281 ჰირი გააღო და ლაპარაკი დაიწყო.

282 ხუზისტანი (იხ.) ცნობილია თავისი შაქრით.

283 ლალს ქვიდან მოიძიებენ. ლალი აქ ფარჰადის სურვილის შესრულებას გულისხმობს.

შირინის წასვლა ფარჰადის სანახავად

284 ფერია სიტყვით შეიძლება პოეტი თავად შირინს გულისხმობდეს, ამ ქვიან ადგილს მოსულს. შეიძლება ისიც იგულისხმებოდეს, ფარჰადმა, რომ ყლდეზე ამოკვეთა ხოსროვი, შაბდიზი და შირინი. მაგრამ ეს ამბავი უფრო გვიან მოხდა, როცა ბისოთუნის მთას ჭრიდა ფარჰადი. იქნებ, ეს დეტალი (ქვაზე შირინის გამოკვეთა) ლეგენდიდან აიღო ნიზამიმ და აქ უადგილოდ იხმარა.

ფარჰადის მოთქმა შირინის სიყვარულისა გამო

285 წელში მოიხარა, მოიკაკვა.

286 იგულისხმება ადამიანის ტანის შვიდი ნაწილი: თავი, ორი ხელი, ორი ფეხი, მუცელი და მკერდი.

287 ხალხის რწმენით, ეშმაკი და ავი სული რკინას გაურბის, ჯადოს კი შელოცვით ხსნიან.

288 შირინი ტაბილს ნიშნავს, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ შირინს ახსენებდა, სხვას არაფერს ამბობდა ტაბილს, დანარჩენი სულ მწარე მოთქმა და გოდება გამოუდიოდა.

289 ე. ი. უკვე აღარ იყო ცოცხალი, სული, მეფე სიცოცხლისა, წასული იყო.

ბჭობა ხოსროვისა ფარჰადის საქმის შესახებ

290 მეფეები ფეხებს გიჯოცნიან ერთგულების ფიცით.

ხოსროვის მიერ ფარჰადის მოწვევა

291 ხალათის ბოძება – მეფის მიერ დასაჩუქრებაა.

292 იაგუნდი ქვაშია. უდაბნოსა და ყლდე-ტრეში ვერსად ნახეს მათი სასურველი სანახავი.

293 ტიტა შედარებულია ნითელი ღვინით სავსე ბროლის ჯამს.

294 ზანგთა მეფე ღამეა, მისი ბაირაღი – მთვარე; რუსი მეციხოვნე – ცისკარი. ოქრომკედით ნაკერი ფარჩა – დღის შუქი. ხოლო ოქროსფერი თასი თუ გვირგვინი მზეა.

ხოსროვისა და ფარჰადის გაბაასება

295 აღმოსავლეთში იცოდნენ, რომ სულით ავადმყოფებზე მთვარე ცუდად მოქმედებს. ფარჰადი ამით ამბობს: თუ სიყვარულით შმაგი ხარ, მთვარეს შორით უნდა უმზირიო. ამავე დროს აქ იგულისხმება სუფიური, მისტიური სიყვარული: შეყვარებულისაგან შორს უნდა იყო.

296 იხ. განმარტება 265.

297 ოქროს ქვით სინჯავენ. ხოსროვი ამბობს: ოქრო შევაძლიე და ვერ გავაბრიყვე, ახლა ქვით ვსინჯავ საქმეს ისე, როგორც ოქროს ქვით სინჯავენო. ქვით ხოსროვი ბისოთუნის ყლდეს გულისხმობს.

298 დედაბერი ბებერი და უმსგავსო საწუთროა.

მთის კვეთა ფარჰადის მიერ და მისი გოდება

299 თვალთაგან მონადენი ცრემლით იღარავდა ლოყას.

300 დროშა მთვარეა, სულთანი – მზე.

301 ლალი – სურვილი.

302 ფარჰადი ეუბნება შირინის ქანდაკებას, რომელიც მან ბისოთუნის ყლდეზე გამოიყვანა: შენ ქვაში ლალის დარად (ლალი ქვაშია) ფეხი გიდგას, მე კი ამ ქვებით ისე ვიმტვრევი, თითქოს ლალი დაამტვრიესო. გული გამიტყდაო, რომ ამბობს, ამაში ორი რამე იგულისხმება: სიყვარულისგან

გულის შეღონება და ამდენი ჯაფით ფიზიკური დაღლა.

[303] უბოძო თარგმანია ბისოთუნ სიტყვისა (იხ.). მას ბეჰისთუნსაც უწოდებენ.

[304] შირინი რომ ინახულა, ამას უწოდებს ქაბის მოლოცვას. ქაბა მუსლიმთა წმინდა ალაგია, რომელსაც მაჰმადიანები მოილოცავენ, პოემის გმირები ცეცხლთაყვანისმცემლები არიან, მაგრამ ამას აქ მნიშვნელობა არა აქვს, თანაც ფიგურალური თქმაა.

[305] რძე და შაქარი შირინის ენა და ბაგეა.

[306] სილამაზეში ყარიბი და უამხანაგო ხარ, განსაკუთრებული და სწორუპოვარი ხარ, მაგრამ ამიტომ ყარიბთ და ღატაკთ განუკითხავად ნუ დააგდებ, თორემ იქნებ შენც ჩავარდე მათ დღეში!

[307] ფარჰადი თავს ადარებს იმ ჩამონგრეულ და ვერან ბურჯებსა თუ მალალ გუმბათებს, რომელზედაც ღამით ფრინველები სხდებიან.

[308] სპარსულად ფარვიზი, შირინი და ფარჰადი ხუთ-ხუთი ასოთი იწერება: ფრვიზ, შირინ, ფრჰად.

[309] წინ ფარჰადს ახლა ჯლდე და ქვა უდგას. ქვის შუბლი არა მაქვსო, ამბობს (ქვის შუბლი სქელი შუბლის ბადალია), მე უსირცხვილო არა ვარო.

[310] ია მორცხვად ითვლება, ნარგიზი – უტიფრად (ია თავჩაქინდრულია, ნარგიზი – თავაწეული). ამაყე დროს იას ლურჯი ფერი ადევს, ნარგიზი კი ფეროვანია.

[311] მარგალიტი ფარჰადის სიტყვებია, მოთქმით რომ ამბობდა.

შირინის წასვლა ბისოთუნში და მისი ცხენის წაფორთხილება.

[312] შურისტანი ცუდ ადგილს ნიშნავს, ხაშურს და ხაშმიანს, გურესტან კი გურების (ჯანყრების) იალაღს გულისხმობს, მაგრამ აქ ზმაა: გურესტანი სასაფლაოსაც ნიშნავს, ე. ი. ფარჰადი გაურბოდა ცუდ ადგილს და ისწრაფოდა შირინისკენ, მაგრამ სინამდვილეში სიკვდილს იახლოებდა.

ხოსროვის მიერ შირინის ფარჰადთან წასვლის შეტყობა

[313] იხ. განმარტება 303.

[314] უკვდავების წყალი ჯურღმულში ეგულებათ.

[315] ქვეყანა სამსჯავროს ნაცია, ჩვენ ზედ გვსლავენ. მეფე თუ ვინმეს მის თვალწინ სიკვდილით ასჯევინებდა, ნატებს დაფენდნენ, ზედ ნაცარს დააყრიდნენ, რომ სისხლს იქაურობა არ დაესვარა.

[316] იხ. განმარტება 128.

[317] იგულისხმება საკუნე.

[318] იგულისხმება საწუთრო.

[319] 1186 წლისათვის ასტრონომებმა იწინასწარმეტყველეს გრიგალი. ამ დროს ნიზამი სწერდა „ხოსროვშირინიანს".

[320] ძველად ჭრილობაზე მიწას იყრიდნენ, სოფლელები ახლაც იყრიანო, განმარტავს დასთგარდი.

[321] იგულისხმება ციცერუსოვანი ხილის შებოლვა გოგირდით, მისი გახმობის მიზნით.

[322] იგულისხმება აღმოსავლეთში გავრცელებული ბიბლიური ამბავი: ზოლეიხას იოსების შეცთენა უნდოდა, მეფემ შემოესწრო მათ. ქალი არ დაიბნა და იოსებს პერანგი შემოახია, ჩემი ხელყოფა უნდოდაო.

სანუგეშო წიგნი ხოსროვისა შირინთან, დაცინვის მიზნით

[323] ე. ი. მჭევრმეტყველური წერილის მიწერა.

[324] სუმბული თმაა, წითელი ვარდი – ღაწვები; ნარგიზი თვალებია, თეთრი ჯასმინი – პირისახე; ვერცხლისწყალი – უწყვეტელი ცრემლი. ე. ი. მოთქვამდა შირინი, თმა გაეშალა და თვალთაგან ცრემლებს აფრქვევდა.

[325] საროს ხე შირინის ტანია, რომელიც დარღისაგან ორად მოხრილა. სახეზე წითელი ფერი წასვლოდა და გალურჯებულიყო.

[326] თეთრი ჯასმინი სახეა, ლურჯი ია – თმები. სახეზე თმები ჰქონდა მოყრილიო, განმარტავს ვაჰიდი. ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, თუ აქ იას გავიგებთ როგორც ლურჯ ლაქებს, რომელსაც აჩენდა ბაითის მეორე სტრიქონში გამოხატული მოქმედება: ტაბიტი ხურმა ტეჩებია, რომელიც ძვლებით (ანუ კბილებით დაიჭამა).

[327] ტიტა შირინის წითელი ფრჩხილებია, რომლითაც იგი ვარდის ფურცლებივით წითელ ლოყებს იფხრიწავდა; მთვარის ყურე, შირინის მთვარესავით მანათობელი სახის ერთი განაპირა ნაწილი, ბაგეებია, რომელსაც იგი მარგალიტის მსგავსი კბილებით იჭამდა.

[328] მთვარე სახეა, მას სახურავი შემოაცალა მწუხარებისაგან შირინმა და გამწარებისაგან თმა დაიშალა.

მარიამის სიკვდილი

[329] მარიამის ხელი ხუთთითა ბალახი ყოფილა, რომელსაც მოლოგინე ქალები თურმე წყალში აგდებენ და ისხურებენ, რათა მშობიარობა გაუადვილდეთ. ცოტა ზემოთ კი ინდოელთა ჰიჰნოზზეა ლაპარაკი.

[330] მარიამის ხე ერთგვარი ინდისხერმაა, რომელიც გამხმარი იყო, მაგრამ ღვთისმშობლისთვის ისევ იხარა და ნაყოფი მოისხა. აქ ზმაა: როგორც კი „მარიამის ხემ" ნაყოფი ვერ მოისხა და ხოსროვის ცოლი მარიამი ვერაფერს გახდა სიკვდილთან, ე. ი. გარდაიცვალა მარიამი, ხოსროვმა ამით ისე გაიხარა როგორც „მარიამის ხემ" გახმობის შემდეგ.

შირინის მიერ სანუგეშო ბარათის მიწერა ხოსროვთან მარიამის სიკვდილის შესახებ სამაგიეროს გადახდის მიზნით

[331] ხან ნათელს გვფენს, ხან – ბნელს.

[332] იხ. განმარტება 13.

[333] იხ. განმარტება 38.

[334] გოვარი (მარგალიტი) რაც უფრო დიდია, მით უფრო ფასობს. დიდ მარგალიტს ობოლ მარგალიტს უწოდებენ.

ხოსროვის დაჯდომა თაყდისის ტახტზე საქეიფოდ

[335] ერმის (იხ.) ბაღი მის ბაღთან შედარებით არაფერი იყო. მისი სასახლე ისე დიდებული იყო, რომ ცარგვალი ჯარებზე დასარეჯ რგოლად ეკიდა.

[336] გახეხილი მარგალიტი უფრო ელვარებს. აქ ყბილები იგულისხმება.

[337] მუშაკი მიიღება ერთგვარი შველის ქიპისაგან.

ხოსროვის მიერ ისფაჰანელი შაქარის ღირსების გაგება

[338] იხ. განმარტება 282.

[339] ნარგიზი ლამაზი თვალების ეპითეტია. ე. ი. ნარგიზზედაც ლამაზია შაქარის თვალები.

[340] იოსები (იხ.) მშვენიერი იყო. ჰოუეს უნდა თქვას, რომ იოსებსაც აჯობებს სილამაზითო.

[341] ე. ი. შაქარი იყოს შირინის რაყიფი და ამით იმ თურქის (შირინის) გული თურქულად აიკლონ.

ხოსროვის წასვლა ისფაჰანში შაქარის სანახავად

[342] შაქარი შირინზე უკეთესი ეჩვენა. შირინი თუ ჯოშკი იყო, შაქარი – მთელ ქუჩად გამოიყურებოდა.

[343] ასეთი დიდებული სტუმარი რომ მიჰყავდა, ხოსროვი ამით თვითონაც ამაყობდა და თავი ცას უწვდებოდა ქედმაღლობით.

[344] რატომ არ გინდა, რომ ანცობის ხმალი ქარქაშში ჩაადგო, შენი ანცობა მოიშალო? რატომ ეთამაშები ბასრ მახვილს?

ხოსროვის მიერ ცნობების მოპოვება შაქარზე და შერთვა

[345] ე. ი. სანამ სანთელი თაფლს არ გამოეყოფა, მანამ არ აინთება. ხოსროვს ბედნიერება თუ უნდოდა და თავისი სურვილის აღსრულება შირინთან, ჯერ თაფლივით ტკბილ შაქარს (მის ცოლს) უნდა გაჰყროლდა.

[346] იხ. განმარტება 213.

[347] ე. ი. მაინც ჩემს საკუთარ ქვეყანაში ვარ ჩემთვის.

შირინის მარტო დარჩენა და გოდება

[348] მედოლეე საერთოდ ხმაურის გამომწვევს ნიშნავს. თითქოს მედოლეს ხელზე გველმა უკბინაო, არ აბრახუნებდა დოლს, ე. ი. სიჩუმე იყო. ასევე, ვარსკვლავებს თითქოს ფეხზე ეკალი შეერჭოთ, არ იძვროდნენ, გარინდებულნი იყვნენ.

[349] სასახლეში ღამის დარაჯებს მათი უფროსი ძელის ჯვრით აფხიზლებს. ისეთი მყუდროვება იყო, ყარაულთ უფროსიც არ ახმაურებდა თავის ჯოხს.

[350] მარგალიტი ზღვაშია. ზეცამ თითქოს ზღვა გადმოაპირქვავაო, ვარსკვლავების მარგალიტები გადმოყარა.

[351] რატომ არ თენდება, ცისკარი რატომ არ იელვებს ისე, თითქოს შავი ზანგი თეთრი კბილებით იცინისო.

შირინის მიერ ქების წარმოთქმა ღვთისადმი

[352] იხ. განმარტება 29.

ხოსროვის წასვლა შირინის ჯოშაისაენ ნადირობის საბაბით

[353] მზე ამოვიდა.

[354] ღამის (იხ.) ზურგით ტარება მორჩილებას ნიშნავს. ხოლო რომ ამბობს, იმისმა ცხენმა მთვარეს რგოლი ყურს გაუყარაო, ამით ეს უნდა თქვას: მთვარეზე უფრო მაღლა იყოო.

[355] დურბაში (იხ.) ახლო არავის არ უშვებდა მეფესთან, საიმედოდ იცავდა მას.

[356] ამბარი, შავი სურნელოვანი ნივთიერება აქ ღამის დასახატავადაა მოხმობილი.

[357] გაყინული მინა და წყალი, ლოლუები და ყინულის ფიგურები ხმლებსა და ხანჯლებსაა შედარებული. რითი გამოჭედეს ისინი, აკი ჭედვას ცეცხლი სჭირდება, მინაზე კი ცეცხლი კი არა, ყინვაა? – იმ ცეცხლით, რომელიც მინის გულში იმალებაო, – ჰასეხობს ჰოეტი.

[358] ექიმებმა ძარღვი გაუხსნეს ზეცას და სისხლი გამოუდინეს, – წითლად ინათა.

[359] ალმოსავლეთში თუთიათი მკურნალობდნენ თვალის სნეულებას.

[360] ხოხობს აქ ცხენია შედარებული.

[361] თურქი აქ მტერსაც ნიშნავს და ლამაზ ქალსაც (ე. ი. შირინს). უთხარი: მე, მსახური გეახელი და არა თავად შირინი. ამავე დროს ნიშნავს: სამსახურად გეახელი და არა სამტროდ.

[362] მოკაზმვით ფარშავანგს ჰგავდა, გოგმანით – ხოხობს, ხოლო ხოსროვთან ბედნიერება მიჰქონდა ისე, თითქოს ფასკუნჯი (იხ.) ყოფილიყო.

ხოსროვის მიერ შირინის ნახვა და საუბარი

[363] მთვარესთან და ფერიასთან ახლოს მისვლა სახიფათოა: მთვარის სიახლოვე აგიჭებს ჯაცს, ხოლო ფერია აჯადოებს.

შირინის პასუხი ხოსროვს

[364] ბორკი (იხ.) აქ ბინაა. შენ ორგან ბინის დადებას ნუ ცდილობ: ჩემთანაც და შაქართანაც. ერთი რომელიმე არჩიეო.

[365] ერთი ბურთით ითამაშე, ჩოგან-ბურთს ხომ ერთი ბურთით თამაშობენ. ინდოელთა ათი ბურთი თუ რა არის, არ ვიცით. დასთგარლიც ყოყმანობს: იქნებ, ათი ბურთით თამაშობდნენ ინდოელები ჩოგანბურთსო. საეჭვოა. შეიძლება, ჯამბაზთა ბურთებით თამაში იგულისხმებოდეს.

[366] ესაა ერთგვარი თეთრი თიხა, რომელით თავს იბანენ საპნის მაგივრად.

[367] იგულისხმება ტანსაცმლის შემოხევა მწუხარებისაგან.

ხოსროვის პასუხი შირინს

[368] ტაბარხუნი აქ უნაბია, რაც ტუჩებს ნიშნავს. ტაბარზადიც შაქარია და იგივ ბაგეების აღმნიშვნელი. ლაპარაკია ხოსროვისა და შირინის ბაგეებზე, – ერთად იყვნენ, სულობსო.

[369] იხ. ლექსიკონში ყარუნი.

შირინის პასუხი ხოსროვს

[370] სლავებს ხშირად მიმართავს ნიზამი როგორც წითელი ფერის მქონს.

[371] მე თერაზელ ყრეპთა ანუ თერაზელ ლამაზთა მშვენება ვარ და საერთოდ ლამაზთა მბრძანებელი, ისე როგორც ლამპარს ემონება ფარვანა და გარს უვლის, ასევე მემონება მე თვითონ ლამპარი, ისე ვკაბინ მე მას ელვარებით. ხალხი მთვარის სიახლოვით გიჭდება, მაგრამ მთვარესთვის მე თვითონ გამხდარვარ მთვარე.

[372] ისეთი სურნელება ამდის, რომ აქედან ხოთანამდე (იხ.) აღწევს.

[373] ჩემი მთვრალი ნარგიზები ანუ ლამაზი თვალები არავის არ ყლავენ, რადგან ამის ღირსად არავის სცნობენ, არ მოსწონთ.

ხოსროვის პასუხი შირინს

[374] შაქარი მას აქეთ გაუგემურდა, რაც შენ საჭვრეტელად ლალივით წითელი და საყოცნელად შაქარივით ტკბილი ტუჩები გაჩნდა ამ ქვეყნადო. თავად ლალი ქვისაგან მიიღება.

[375] სადაც შენი თაფლია, იქ მკვდრებიც ცოცხლდება. მუმიას თაფლით აპეთებენ.

[376] მარგალიტი სადაფში ჩნდება. შენი ბიცი ისეთი ელვარე მარგალიტია, რომ სადაფშიაც მარგალიტს გააჩენს.

[377] შაქარივით ტკბილი ხმა გამოსცა და ამით დაატყვევა მისი მსმენელი. ყურში მონობის რგოლი, საყურე, გაუყარა.

[378] მარგალიტივით ლამაზი კბილების ყუთს, პირს წითელი იაგუნდის საკეტი ანუ ტუჩები ახსნა და სათქმელი უფრო და უფრო გაატკბო, ხერმასავით ტკბილი სიტყვები აფრქვია, მაგრამ ხერმასაც ჩვეულებრივი სიტკბო კი არ ჰქონდა, არამედ – ბადაგივით დამათრობელი.

[379] მთვარე შირინის პირისახეა, რომელსაც მუშკივით შავი და სურნელოვანი თმები ფარდის გამწვავად (მოსამსახურედ) დაუყენებია.

[380] ხოსროვის პატივისცემის ნიშნად ციხის გალავანზე დებდა თავს და ამით თმის ამბრის სურნელებას აგურს გადასდებდა.

[381] ფალუდე მაშინ ვარგა საჭმელად, როცა ქონი და სიტკბო აქვს, მე კი, თუმცა „ტკბილი" მქვია (შირინი ხომ ტკბილს ნიშნავს), სახელიღა შემრჩენია ასეთი, თორემ ბედით გამწარებული ვარ.

[382] ჭადრაკზეა ლაპარაკი. ალბერ ასეთი წესი ყოფილა: ჰპირით მეფეს ვერ მიეკარებოდით.

[383] სეფანდს (იხ.) ავი სულების დასაფრთხობად სწვავენ, ყარს, უდი კი სურნელოვანია და საამებლად აკმევენ.

[384] მეორე ყასაბი ერთგვარ თხელ ქსოვილს ნიშნავს. შირინი ეუბნება ხოსროვს: უნდა იცოდე ხალხის გარჩევა, შენ მე შაქარი არ გეგონო, შენი ცოლი; ყასაბი და ფეიქარი ერთმანეთისაგან უნდა გაარჩიო, ფარჩის საქსოვი დაზგა და ლოდსატყორცი ერთურთისაგან უნდა განასხვაოო.

[385] სიცხიანს შაქარს არ აძლევენ, იხ. განმარტება 213.

[386] მთვარე აქ ლამაზის ეპითეტია. ამავე დროს მთვარე ცის მნიშვნელობითაცაა ნახმარი, თევზი კი – ჯურღმულისა (თევზზე დგას ხარი, ხარზე – დედამიწა). ან ცაში ინავარდე, ან მიწაში ჩაძვერიო, შეიძლება ამასაც ეუბნებოდეს შირინი ხოსროვს.

[387] ყასაბი აქ საწუთროს ნიშნავს.

[388] ორიგინალში ზმაა: ყანდი შაქარია, სამარყანდი – ერთგვარი მაგარი ხე.

[389] შდრ. რუდაბე რომ ზაალს ნაწნავს ჩამოუგდებს ჯოშაიდან („შაჰ-ნამეში").

[390] როდესაც ხალხალს (იხ.) ისწორებდა, ამ მიხვრა-მოხვრით უფრო აგიჟებდა მის შემყურე მიჯნურთ.

[391] შვიდი სილამაზე შვიდი ჯოსმეტიკური საშუალებაა: ჰინა, სურმა, ბასმა, ფერი, უმარილი, ოქროს ფურცელი და ღალია (სურნელი) ან ხალი.

[392] ორიგინალში ზმაა: ქოშთან მოკვლას ნიშნავს, ქაშთან – თესვას.

[393] ყორბანი მსხვერპლთშეწირვას ნიშნავს, დღესასწაულიცაა.

[394] ფერხარის, თავისი ქალაქის კარები რაღომ უნდა ჩაუკეტონ ფახფურს (იხ.), ამ ქალაქის მეფეს, – შევიდეს და ინეტაროს. ანდა მულიანი (იხ.) რატომ უნდა გადავკეტოთ, დღე, იდინოს და ასიამოვნოს ხალხი.

[395] ნუშის გული ტკბილი არაა.

[396] მე სარკის მსგავსად იმაზე მიგითითებ, რაც ნამდვილად ხარ.

[397] მძინარე გველები ნაწნავებია.

[398] იგულისხმება სისხლის გამოშვება, ძარღვის გახსნა, რაც საქმის ცოდნას მოითხოვს და ყველას არ ძალუძს.

[399] ბაბილონი ჯადოსანთა ქვეყნად ითვლებოდა. ამიტომაც ბაბილონში ფუჭად არ უნდა მიმართო ჯადოს, წყლის ნაყვაა.

[400] ლალი ტუჩებია, ქვები კი – მკვახე სიტყვები. ნუ მომმართავ ასე მკვახედო, ეხვეწება ხოსროვი შირინს.

[401] ე. ი. როგორც ცეცხლის ალი უარყოფს ყინულს, ისევე შენც ნუ გაქვს ჩემზე გული გაყინული, გაითბე ჩემი სიყვარულითო.

[402] იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი, (იხ.) რომელმაც ეძია უკვდავების წყალი.

[403] ჯემშიდის მიჯრაბი მზეა. აქ კი შირინის პირისახე იგულისხმება.

[404] შენ იმის საწინააღმდეგოს აკეთებ, რაც მე მინდა, ისე როგორც უმეცარი შეგირდი ძაფის ხვევის დროს.

შირინის ჰასუხი ხოსროვს

[405] ქაფური თეთრია, აქ თოვლია ნაგულისხმევი. ორიგინლაში ზმა იყო: ჰავა ორჯერაა ნახმარი, ერთგან ჰაერს ნიშნავს, მეორეგან – ვნებას, სიყვარულს, მაგრამ თავისთავად მეორე ჰავა ორნაირად შეიძლება გავიგოთ: „ჰავა, ჰაერი თუ გაცივდა“ და „ვნება თუ გაცივდა“.

[406] ზმაა: თურქი ავაზაკი თურქსაც ნიშნავს და ლამაზ ქალსაც. უბრალო თურქი არ გეგონო, არაბულიც ვიციო.

ხოსროვის გაბრუნება შირნის ჯოშკიდან

[407] მუშაის უპე შავია და აქ ღამეს გულისხმობს. ლამაზი შველი მზეს გამოხატავს. მუშაის უპე შველსა აქვს. ე. ი. ხოთანით, ალმოსავლეთით ამოსული მზე ჩავიდა. შველის ნუკრები ვარსკვლავები არიან.

[408] ენის თმად ქცევა ენის დანვრილებაა, ეს კი ბევრი ლაპარაკის მეტაფორაა სპარსულში. ხაყანი შირვანიმაც (XI-XII ს.) ხშირად იცის მისი ხმარება.

შაფურის ჰასუხი ხოსროვს

[409] ქაფურის წყალი ცეცხლს აქრობს.

[410] იხ. განმარტება 213.

[411] ჯონტრასტებზეა ლაპარაკი. მარგალიტი თეთრია, გიშერი – შავი. რამეს რომ მოოჭავენ, ზედ თეთრი მარგალიტიცაა და შავი გიშერი, ხან ასეა ეს ცხოვრება, ხან ისე. ხან გვასიამოვნებენ ქალები, ხან თავს გვაბეზრებენო, აშოშმინებს შაფური მეფეს.

შირინის სინანული ხოსროვის წასვლის გამო

[412] ასკილის ყვავილის ფერი (თეთრი) სახე დაიფხოჭნა და ვარდისფერად გაისისხლიანა, შავი თმები მთავრის მსგავსად მანათობელ სახეზე ჩამოიყარა.

[413] ალმოსავლურ ატსროლოგიაში ზეცის ჩარხი წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც მბრუნავი.

ხოსროვის მიერ მეჯლისის გამართვა სანადირო ადგილზე

[414] როცა ინათა, ალმოსავლეთი ცეცხლისფერად გააწითლა ცისკარმა და მზის აკვანი დაირწა (მზე ჯერ კიდევ არ იყო აკვნიდან წამომდგარი, ამოსული). უცბად ალმოსავლეთით სინათლე ქურდივით ამოვიდა და ვარსკვლავები დაიპარა. ქურდს შირველმა ფრინველებმა და მოახლე ქალებმა უგრძნეს (მათ ლეკიძებათ ადრე), ფრინველებმა ერთი ჭივილ-ხივილი ასტეხეს, ხოლო მოსახური ქალები ხალხალთა (იხ.) ჭღარუნით შეუდგნენ თავიანთ საქმიანობას.

[415] იხ. განმარტება 256.

[416] ისა იესო ქრისტეა, იგი ცნობილი იყო ალმოსავლეთში როგორც სასწაულთმოქმედი, მკვდრებს აცოცხლებდა.

[417] ზოჰრა (იხ.) ციურ მემუსიკედ ითვლებოდა.

[418] მზე ჩავიდა და მთვარე ამოვიდა.

ნაქისას მიერ ლაზელის თქმა შირინის ჯარნახით

[419] უდი (იხ.) მწარეა.

ნაქისას სიმღერა შირინის ჯარნახით

[420] ქაბა მუსულმანთა სალოცავი ტაძარია და ვინმე ჯერჰის წინ თუ ლოცულობს, ამით ქაბას როდი ადიდებს, პირიქით, მისი უარყოფა გამოუდის.

ბარბადის სიმღერა ხოსროვის ჯარნახით

[421] ე. ი. „ისფაჰანურით“ (მელოდიით) დაიწყო სიმღერა. „ისფაჰანური“ ისეთივე მელოდიაა, როგორც „რასთი“, „ერაყული“ და სხვ.

[422] ვარდი საკრფოა, ყვავი – განშორება. შეიძლება, ასეც ავხსნათ: ვარდი – სახე, ყვავი – შავი ზილფები.

[423] ფერიები გაჯერანებულ ადგილებსა და სასაფლაოებში იცის ალმოსავლური ზღაპრების მიხედვით. ვერან ადგილებში ეგულებათ განძიც. ამ ფერიას და განძსაა შედარებული შირინი. იგი ხომ თავის ჯოშში ცხოვრობს.

[424] შეიძლება, იგულისხმებოდეს ომის დროს შემნილბავი ჯვამლის გამშვები პირი, რომელთაც ყადოყრობადაც უთვლიდნენ ხელობას (ალი აჰბარ ნაფისი); შეიძლება იგულისხმებოდეს ნავათი (ომის დროს ნავთისა და სხვა მისთანა საწვავი ნივთიერების მსროლელი საგანგებო მანქანებით).

[425] ლალის ყუთი – წითელი ტუჩებით ჩარაზული პირისა, შიგ დაცული მარგალიტები – კბილები.

[426] მუშაის მარცვალი ხალებია, ნარგიზები – თვალები, სუმბული – თმები, მარგალიტი – კბილები, იაგუნდის ბოკლომი – ბაგეები, ორი ნუში – თვალები, ორი უნაბი – ბაგეები.

[427] ვერცხლის ბროწეულები ლამაზი ქალის მკერდია.

[428] ყარყუმი თეთრია, შირინის თითები ყარყუმზე უთეთრესიაო, ამბობს ხოსროვი.

ნაქისას სიმღერა შირინის ჯარნახით

[429] იგულისხმება მონღოლური ვიწრო თვალები, რაც სპარსულ პოეზიაში ძუნწის მეტაფორაა (ქართულშიც, ყურძოდე, დასავლურ კილოებში ქვაწვია კაცს თვალმოწკურულს ეძახიან). აქ შირინი ბოდიშობს: თუ ძუნწობა გამოვიჩინე შენს მიღებაში (ახლოს არ მოგიკარე და სურვილი არ აგისრულე), ჯოშკთან რომ მოდი და მეხვეწებოდი, შემიშვიო, და რომ არ შემოგიშვი, მაპატიეო!

[430] სპარსულ პოეზიაში თვალ-წარბი მშვილდ-ისარსაა შედარებული. გადაჭიმული წარბები მშვილდია, გრძელი წამწამები – მნახველთა გულის გასაგმირავად გამზადებული მასზე გადებული ისარი.

[431] მე შენზე გაბრაზებული ვიყავი და თმა აფოფრილი მქონდა. მაგრამ ახლა დავსაკე ჩემი თმები ამის გამო და მონობის რგოლები გავუყარე ყურთ. ე. ი. ხვეული თმები მაქვსო.

[432] ალბათ ის იგულისხმება, ფისტა რომ იხლიჩება.

[433] თურინჯი და ვაშლი შირინის სახეა, ხურმა – ტკბილი ბაგეები. თუ ვინმე წამეპოტინა, მოვატყუებ, ჩემი სახის ვაშლს არ გავაყარებ, სათამაშო, სანთლისგან გაკეთებულ ყალბ ვაშლს შევაჩეჩებ ხელში, ბავშვს რომ ატყუებენ, ისეო.

ბარბადის მიერ ლაზელის თქმა ხოსროვის ჯარნახით

[434] ყასბები თხის ჭლიაებს ხელთ დაიჭერენ, შეულოცავენ და ასე იჭერენ ფარაში მსუქან ცხვრებსაო, განმარტავს დასთგარდი.

ნაქისას სიმღერა შირინის ჯარნახით

[435] ისლამის ქვეყნებში (უმეტესად, ირანულ სამყაროში) ახალი წელი გაზაფხულზე, 21 მარტს მოდის.

შირინის გამოსვლა ჯარვიდან

[436] მთვარე სახეა, ვარსკვლავები – კბილები.

[437] ხან თვალებს უსობდა მის მოხატულ სახეზე, ხან თავისი თმა შირინის კულულებში ეხლართებოდა, ხანაც მის ვერცხლივით თეთრ მკერდს შეახებდა ხელებს.

[438] მისი ბაგეების სიტკბოს იგემებდა.

[439] ე. ი. შირინი უბიწო იყო.

[440] როცა შირინი, ის სუფთა ვერცხლი, ქვაში, ანუ ქვის ჯოშკში დაიმალა, მისი ბადალი და მასსავით ძვირფასი ალარაფერი დარჩა მის იქით.

ხოსროვის მიერ შირინის მიყვანა ჯოშკიდან მადაინს

[441] საწუთრო ისე არ გარბოდა, როგორც ის ჯორები.

[442] თევზის ზურგზე დგას დედამიწა. აქ მიწის სიღრმეს აღნიშნავს.

[443] ვერძის ბორჯი, ზოდიაქო, მარტია. ალბათ მზის ცხოველმყოფელობა იგულისხმება.

ხოსროვის და შირინის ქორწილი

[444] ზოჰრა, ციური მემუსიკეც კი ქედს იხრიდა მის წინაშე.

[445] იხ. განმარტება 391.

[446] აყიყი, წითელი ქვა, აქ ტუჩებს აღნიშნავს არაბულ-სპარსული ასო, მანის მარყუჟივით მომრგვალებულ წითელ ტუჩებს კი შიგნით, თითქოს მუქში აქვსო, კბილების მარგალიტთა ქვები აქვს გამომწყდეულები.

[447] სასწორის ყაფანი ზილფებია, რომელთა შუა ხალია ჯენჭის გირებივით; სასწორის თამაში, აწევა და დაწევა ზილფთა რხევაა.

[448] თურქესტანი აქ ლამაზი ყურპების (ქალების) სამშობლოდ უნდა იყოს მიჩნეული (შდრ. თურაზის ყურპი). შირინი ისეთი იყო, რომ მთელს თურქესტანს, ლამაზთა ქვეყანას, შურდა მისი. ხოლო ხუზისტანი შაქრის ქვეყანაა, – ვითომ შირინი ისე ტკბილი იყო, რომ ხუზისტანზე მეტად ფასობდაო. დასთგარული ბრძანებს: ხუზისტანი განთქმული იყო თავისი შემოსავლ-გასავლით და ამიტომ ამბობს ნიზამიო. შეიძლება ესეც იყოს, მაგრამ ჩვენ უფრო ის გვგონია, რომ მთელი ხუზისტანის შაქრის მოსავალი იგულისხმებოდეს, – ვითომ: შირინი მაინც უფრო ტკბილი იყოო.

[449] მისი ლოყების შურით ვარდს ცვდი დღე ალგა.

[450] ე. ი. თითქოს უფრო შეიმალაო.

[451] იგულისხმიება ხიზრის (იხ.) ამბავი, უკვდავების წყალს რომ მიაგნო.

[452] ვინც გაჭაღარავდება და თმა ვერცხლისფერი გაუხდება, იგი ვერცხლისტანიან ყურპებს, ანუ ლამაზ ქალებს ისე გაუკვირდა, როგორც ვერცხლისწყალი (ეს უკანასკნელი ხომ ადგილზე არ ჩერდება).

[453] მთვარე ოცდარვა დღეში მოიკვეცა, ხოლო მის ნახევარში, თოთხმეტ დღეში, აღივსება ხოლმე. ასევეა ჯაიც, შუა ხნისაა სრულყოფილი.

[454] როცა ხოსროვის შავი თმა გათეთრდა, როცა დაბერდა ხოსროვი.

შირინის ანდერძი ხოსროვს სამართლიანობის და ცოდნის შესახებ

[455] იგულისხმება საწუთრო.

[456] ცხრა ფარდათი ცის ცხრა სფერო იგულისხმება. გაიგე შენი მომავალი, მისი საიდუმლოებანიო! – არიგებს ნიზამი მკითხველს.

ხოსროვისა და ბოზორგომიდის კითხვა-პასუხი

[457] ბოზორგომიდ სპარსული სიტყვაა და დიდ იმედს ნიშნავს. აქ ორგინალში ზმა იყო, რომელსაც თარგმნის შემდეგ აზრი ეკარგება.

ფაილამბარის მოციქულობის შესახებ

[458] ე. ი. ღმერთი, ალაჰი, რომელიც შემქმნელია ყოველთა და რომლის მოციქულიც იყო მუჰამედი.

ორმოცი იგავის თქმა „ქილილა და დამანადან"

[459] შუთურბა და ლომი ერთმანეთთან სიამტკბილობით ცხოვრობდნენ, მაგრამ ტურა დამანამ მათ შორის მტრობა ჩამოაგდო და ლომს უდანაშაულო შუთურბა მოაკვლევინა. ლომმა მერე ინანა თავისი აუნონავ-დაუწონავი საქციელი.

[460] მაიმენი ცდილობდა მორიდან სოლი ამოეღო, მაგრამ ჭკუა წააგო და სარცხვინელი შიგ გაეკვეტა.

[461] ერთი მსუნაგი მელა დოლს წააწყდა, რომ ბრახუნებდა. იფიქრა: რამხელაა, მსუქანიც იქნებაო, მაგრამ მოტყუდა. რომ გასინჯა, ცარიელი აღმოჩნდა.

[462] ერთმა განდეგილმა ერთი ქერდი შეიხიზნა და ამით მოსასხამი დაჯარგა.

[463] ერთმა გველისგან თავმობეზრებულმა ყვავმა ერთ ქალს ყელსაბამი მოსტაცა და იმ გველის სოროსთან დააგდო. ხალხს მიასწავლა გველის გზა.

[464] ყანჩა ვითომ კიბოს ატყუებდა: უეთეს ადგილს გადაგიყვანო, მაგრამ კიბომ გაუგო და მოაბმთო.

[465] აქ ის არაკი იგულისხმება, ლომს ყურდღელი რომ უნდა შეეჭამა და ამან კიდევ თავად ლომი ჭამი ჩააგდო ხერხით.

[466] ერთმა დაჭერილმა თევზმა თავი მოიმკვდარუნა და გადარჩა.

[467] ტურამ, მგელმა და ყვავმა აქლემი გაანრიყვეს: მეფე ლომი შეუძლოდ არის, შია და ნადირობა აღარ შეუძლია, ჩვენ თავს შევაჭმევინებდითო, მაგრამ მანყინარი ხორცი გვაქვსო. აქლემმა შეაჭმევინა თავი.

[468] ერთ ტიტვის (იხ.) ხეზამ ბარტყები დაუხოჩრო. ამან კიდევ ხეზას ფრინველთა მეფესთან უჩივლა და ბარტყები დააბრუნებინა.

[469] იხვებს კუ ერთი გამმრალი მდინარიდან მეორეზე გადაჰყავდათ. კუ პირით ჯოხს იყო ჩაფრენილი, ჯოხი კი იხვებს მიჰქონდათ ფრენით. გააფრთხილეს, ხმა არ ამოიღოო, მაგრამ რაღაცის თქმა მოუნდა, პირი დააღო, ჩამოვარდა და მოკვდა.

[470] ზამთარში მაიმენებს ციცინათელა ცეცხლი ეგონათ და ზედ ეფიცხებოდნენ. ერთმა ფრინველმა დაუშალა: არაა ცეცხლიო. მაიმენებმა ის ფრინველი დაგლიჯეს.

[471] ვერაგი ალაპის ფულის მითვისებას ცდილობდა, მაგრამ სასამართლოში წააგო და ფანდები არ გაუვიდა (ფული რომ გადამალეს).

[472] ბაყაყმა გველის მოშორება განიზრახა და თრითინას მისკენ გზაზე თევზი დაუყარა: მივა და შეჭამსო, მაგრამ თრითინამ გველიც შეჭამა და ბაყაყიც ზედ დააყოლა. არაბულში იხვია ბაყაყის ნაცვლად, ქაშეფის (XVI ს.) სპარსულ „ქილილა და დამანაშიც" ბაყაყი გვხვდება.

[473] ერთმა კაცმა ერთ ვაჭარს მიბარებული რკინა გაუყიდა და უთხრა: თაგვმა შეჭამაო. იმ კაცმაც შვილი მოპარა ჩუმად და მეორე დღეს უთხრა: შენი შვილი ქორს მიჰქონდაო. ქორი ბავშვს როგორ წაიღებდაო! გაოცდა ის კაცი. – თუ თაგვი რკინას შეჭამდა, ქორი ბავშვს როგორ ვერ მოიტაცებდაო?!

[474] ერთი მხატვარი სხვის ცოლს გაეწყო და თავისი მოსასხამის ნიშნებით დაუთქვა შეხვედრა. შეგირდმა მოჰპარა ამას ყური და მისი მოსასხამით იმ დიაცს ლოგინი გაუყო. მხატვარი მიხვდა თავის უღირს საქციელს და ის მოსასხამი დასწვა.

[475] ერთმა რეგვენმა ექიმობა მოიგონა და ცუდად შემზადებული წამლით მეფის ასული შემოაკვდა.

[476] ბადეში გაბმულმა ჭკვიანმა მტრედმა სხვებიც აიყოლია, ბადითურთ აფრინდნენ და თავი დაიხსნეს.

[477] ამათ მახეში გაბმული თაგვი დაიხსნეს.

[478] ერთხელ მწირმა თაგვს სორო ამოუყარა და შიგ ოქრო ნახა.

[479] მგელი მკვდარ მონადირეს და მის ნანადირევს წააწყდა. ხარბმა მგელმა იფიქრა: ესენი ხომ ჩემია და ჩემი. მოდი, მშვილდს შევჭამო. ისარი მოხვდა და სული განუტევა.

[480] აქ იმაზეა ლაპარაკი, ბეები ყვავებს რომ ვერ ეწყობიან. თავად ეს არაკი „ქილილა და დამანაში" მრავალ ჰაპარა არაკს აერთიანებს.

[481] ყურდღელმა მოხერხებით სპილოებს წყაროზე ააღებინა ხელი.

[482] ვითომ ღვთისმოსავი ყაბა მოჩხუბარ ყურდღელსა და დურაკს აზავებდა. ორივე ახლოს მოიტყუა და თავი წააგდებინა.

[483] აქ ის არაკი იგულისხმება, მწირს რომ თხა მიჰყავდა, ქურდი აეჩნდა და საშველი არ მისცა, ძაღლიაო. არაბულ ვერსიაში ცხვრის ნაცვლად ძროხაა.

[484] ცოლს თავისი მახინჯი ქმარი არ უყვარდა და ახლოს არ იკარებდა, მაგრამ ერთხელ თავად ჩაეხეტა ქმარსა, – ქურდი შემოსულიყო და მისი შეშინებოდა.

[485] მწირთან საქურდღლად და მოსაკლავად მისული ქურდი და უმმაყი ერთმანეთს წაეჩხუბნენ: არა მე ვიზამ ჯერ ჩემს საქმეს, არა მეო! ამ ხმაურში მწირს გამოეღვიძა და ნადავლი ხელიდან წაუვიდათ.

[486] მოღალატე ცოლმა თვალწინ გააბრიყვა რეგვენი ქმარი, ხოლო როცა ნახა, ქმარი ტახტქვეშ შემძვრალიყო, მის გასაგონად საყვარელს უთხრა: ქმარი მიყვარსო.

[487] ღვთისმოსავის ლოცვით თაგვი ქალად იქცა. გათხოვება ყველაზე ძლიერზე მოუნდომეს. მზემ თქვა: ჩემზე ძლიერი ღრუბელიაო, ღრუბელმა – ქარიო, ქარმა – მთაო, მთამ – თაგვიო. მე ჰაპარა ვარ, ქალი – დიდი, როგორ შევირთოო, თქვა თაგვმა. რა ქენაო? ღმერთს თხოვა ღვთისმოსავმა და ის გოგო ისევ თაგვად აქცევინა. ზოგი ხალხის ვერსიაში ამათ გარდა სასიძოც გამოყვანილია: ხარი, რომელიც მთას რქენს; ლომი, რომელიც ხარს ჯობნის და თოკი, რომლითაც ლომი ება.

[488] ჯუმ მაიმენი ხერგზე შეისვა და წყალში შეიტყუა, ვითომ შინ მიჰყავდა გასამსპინძლებლად. გზაში გამოეტყდა, რასაც უპირებდა: გული უნდა ამოერიდებინა და ცოლისთვის ეჭმია. მოხერხებულმა მაიმენმა მოატყუა ბრიყვი და ვერაგი მეგობარი: გული შინ დამრჩა ხეზეო. დაბრუნდნენ და მაიმენი ხეზე ავიდა. რას წაჰყვებოდა!

[489] მელამ ვირი ლომს მიუყვანა და მისი გული თავად შეჭამა, მაშინ როცა ლომს სწორედ ეს გული უნდოდა წამლად. მგელმა მოატყუა ლომი: ამ ვირს გული არ ჰქონდაო.

[490] ეს არაკი სპას რომ აქვს, ისაა: ქილა ერხო რომ ნახა გლახაკმა და რა არ იოცნება, ბოლოს ვითომ ხარებს შეუძახა და სახრები გაყრილი ქილა გატეხა. ოღონდ აქ გლახაკის ნაცვლად ღვთისმოსავია, თანაც კი არ ნახა ქილა, არამედ თავად მოაგროვა ერბო, ოცნებაში შვილიც გაუჩნდა და ერთხელ, ვითომ მას რომ სცემდა, მაშინ გატეხა ქილა.

[491] მწირმა ბავშვი დატოვა მარტო, რომ შემობრუნდა, ნახა გასისხლიანებული თრითინა. ბავშვი შემიჭამა ალბათო, გაიფიქრა და მოკლა. თურმე გველი მიიპარებოდა ბავშვთან და თრითინას ის დაეგლიჯა.

[492] დედალ-მამალმა მტრედმა ზამთრისთვის საკენკი შეინახა. მერე რომ გასინჯა მამალმა, აკლდა. დედალს დააბრალა და მოკლა. თურმე ნედლი იყო და რომ გამშრალიყო, დაეკლო.

[493] თაგვი, სხვა გზა რომ არა ჰქონდა, ბადეში გაბმულ კაცას ჩაუარდა. მაგრამ კაცამ იგი არ შეჭამა, რადგან იცოდა, ბადის დაჭრა თაგვს შეეძლო. ასე იხსნა კაცაც და თაგვიც, მაგრამ მერე კი ახლოს არ გაეკარა, – იცოდა, შეჭამდა.

[494] ბაიყუშმა თვალები ამოკორნა უფლისწულს, რომელმაც მას ბარტყი მოუკლა. მეფეს შურისძიება უნდოდა, იტყუებდა ფრინველს, მაგრამ ვერ მოატყუა.

[495] ღვთისმოსავი ტურა შერიანმა მხეცებმა ლომთან დააბეზღეს, მაგრამ თავისმა სიმართლემ გადაარჩინა.

[496] ერთხელ გველი ოქრომჭედელთან, ვეფხთან და მაიმუნთან ერთად მახეში მოხვდა. ისინი ერთმა ყარიბმა გაანთავისუფლა. იმ კაცმა დასალუპავად გასწირა კეთილისმქმნელი, გველმა კი

დაიხსნა.

[497] ამათი შვილები დამეგობრდნენ და ყველამ თავისი საცდელი სცადა. ყველაზე უკეთესი ბედისა უფლისწული აღმოჩნდა.

[498] ლომი სანადირობოდ იყო წასული და ლეკვები მონადირემ ამოუსხა.

სიბრძნე და ანდერძი ბრძენი ნიზამისა

[499] ალეფი, არაბულ-სპარსული ანბანის პირველი ასო, შვეული ხაზით გამოიხატება.

ხოსროვის დაყუდება ცეცხლის ტაძარში

[500] როცა ბატკანი წამოიზრდება და ჯიბეები ამოუვა (მეტი თავისუფლება ეძლევა და დამოუკიდებლად იწყებს ძოვას), მაშინ არის საშიში, რომ მგელმა არ შეჭამოს.

[501] იხ. განმარტება 135.

[502] იგულისხმება იესო ქრისტე და მისი ვირი.

[503] იგულისხმება ირანელთა მითიური დამპყრობი ხაარი (იხ.), რომელიც ეშმაკმა აცთუნა და მხრებზე გველები ამოუზარდა. ამქვეყნიური ცხოვრების მაცთუნებელი ტკბილი ისეთივეა, როგორც ხაარის მხრებზე ამოსული გველები.

[504] ორი ქვეყანა – საახალო და საიქიო ცხოვრება.

შირინის სიკვდილი ხოსროვის აკლდამაში

[505] შავი აბაშელი ანუ შავი აბისინიელი ღამეა. მას განთიადის ქაფური მოჰქონდა, ჭურჭელი გაუტყდა და ცისკარი გადმოლეწვარა. ციხე ჰორიზონტია, ზანგის ღიმილი – ცისკარი.

[506] აღმოსავლური ასტრონომიის მიხედვით, ყველა ვარსკვლავს თავისი ფერი ჰქონდა: სატურნი შავი იყო, მარსი – ვარდისფერი, ვენერა – წითელი და ა. შ.

[507] თვალთაგან თეთრ ღანვებზე ცრემლს იდენდნენ.

[508] ზანგი – ღამე, რუსი – დღე.

საყველური ქვეყნისადმი

[509] ამ ქვეყნიდან ისე გადი, თითქოს ვირზე ამხედრებული იესო იყო. მიატოვე ეს ცხოვრება და ხარკი გადაუხადე ხარებს. ერთი ხარით ცის ყუროს ზოდიაქო იგულისხმება, მეორით ის, დედამიწა რომ ადგას რქებზე. ნიზამი ეუბნება მკითხველს: მიატოვე ეს ცხოვრება, სული ცაში აუშვი, ხოლო სხეული – ქვესკნელშიო. ცხრა ხარი ცის ცხრა სფეროა. ხოლო ხარს ბარგი დაადევი მიწის მსგავსადო, რომ ამბობს, ეს ამას ნიშნავს: შენი ბარგი-ბარხანა აყრიფე და ხარის ზურგზე ისე დადევი გასამგზავრებლად (ხარს სახედრადაც ხმარობენ), როგორც დედამინა დგას ხარის რქაზეო.

[510] ხარ-ზურგი დიდი ზურგია (ხარ დიდს ნიშნავს. შდრ. ხართუთა) და ცის ეპითეტად ხმარობს ნიზამი. ზოჰრა ხარის ზოდიაქოშია. ხარის ზურგი ამ ქვეყნიდან გამგზავრების მეტაფორაა. ე. ი. რაც არ უნდა იყო, ამ ქვეყნიდან მაინც გახვალ და ახლავე მოემზადე საამისოდო.

[511] ბევრ მწყურვალს უდაბნოში მარილის არიღი (წირი) მდინარე ეგონა და იქით გასწია, მაგრამ მის დევნაში როგორც ხორცს ამარილებენ, ისე დაამარილა, ე. ი. სული აღმოხადა.

[512] ბევრმა ჰაჯიმ, ჰილიგრიმმა, რომელიც მექას (იხ.) მოსალოცად ასე შორი გზა გაიარა, მჟაუნა შხამიანი ბალახისაგან ვერ გაარჩია და სული განუტევა.

ქადაგება

[513] ცხრა შუშა ცის ცხრა სფეროა. ე. ი. ამ ცის შეცოდებებს გაუსწორდი, უარჰყავი იგი.

[514] მწვანე მინა იგივე ცისფერი მინაა და ცას გულისხმობს. იქნებ ისე მოხდეს, რომ ამ საწუთომ დაამხოს ეს ქვეყანა.

[515] სამყაროს ოთხი თვისება ოთხი სტიქიაა: ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა. უარყავ თავი, თორემ ამქვეყნიური არსებობა ცხრაკლიტულში ყოფნაა.

ხოსროვ-შირინის ამბავის შედეგი

[516] ლაპარაკია ნიზამის ცოლზე, რომელიც მას გარდაეცვალა ამ დროისათვის. იგი ყივჩაღი იყო წარმოშობით და აფაყი ერქვა. აფაყი ჰორიზონტს, თვალისსაწიერს, ნიშნავს.

[517] ე. ი. დაცული, უბინო იყო.

[518] თურქი ავაზაკივით გამძარცვა და მაჯობა მისმა სიყვარულმა.

[519] თურქი ლამაზი ქალის ეპითეტია. უფალო, რადგან მე ჩემი ლამაზი აფაყი განმაშორე, მისი შვილი მაინც მიდღეგრძელეო.

დარიგება თავის შვილის მოჰამედისა

[520] ამაზე უფრო ახლო ვერც ერთი სულიერი ვერ მივა უფალთან, უახლესი მანძილია მასთან, ასე ახლოს ალაჰთან მხოლოდ შენი, მუჰამედის, სენია მოციქულმა მიაღწია.

[521] მუჰამედი არაბულად ქებულს ნიშნავს. მოციქულსაც რომ ერქვა, იმის ნართაულიცაა.

ხოსროვის მიერ ფაიღამბარის ნახვა სიზმარში

[522] ის იგულისხმება, მუჰამედმა რომ ვითომ მთვარე ჩამოიღო ციდან და ხერყაში (ჯაბაში) გაიხვია.

ფაიღამბარის მიერ წიგნის მიწერა ხოსროვთან

[523] ცოფიანს წლის დანახვა უფრო აცოფებს.

[524] ზიყარის ომი პირველი ბრძოლა იყო არაბებისა სპარსელებთან, სადაც ეს უკანასკნელნი დამარცხდნენ.

[525] იგულისხმება ყურანი (იხ.)

ამაღლება ფაიღამბარისა

[526] მწვანით მოსილი ანუ მწვანოსანი ანგელოზი თუ ფერია... ეს ის გრძნეულია, რომელმაც „მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა" (ვეფხისტყაოსანი, 1276.3).

[527] თავი ჯიბორჩხალას ზოდიაქოზე (მეშვიდე სფერო ცისა) აღიმაღლა და ღრმის თანავარსკვლავედსაც გადააჭარბა.

[528] ირმის ნახტომში გაერია მისი ცხენი ბურაყი, იქ იყო, სადაც მარჩხივია, ასე მაღლა.

[529] საწუთროს დედა შეიძლება, ოთხი სტიქია იყოს: წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი. მეშთარი (იუპიტერი) შეიძლება, რგოლმემოვლებული ჰყავდათ წარმოდგენილი ზუალის (სატურნის) მსგავსად, რომელსაც მართლაც აქვს ეს რგოლი. ასეა თუ ისე, იგი მრგვალია. ასეთივეა მეშთარი ნიზამი არუზის (XII ს.) „ჩაჰარ მაყალეში" (ოთხი ნარკვევი), სადაც ვკითხულობთ: „არა მარტო იუპიტერსა და სატურნზე უფრო მრგვალნი იყვნენ, არამედ ელვარებითაც სჯობდნენ მათ".

[530] აქ ჩამოთვლილია ზოდიაქონი და მზათობნი ცისა, იმისათვის, რომ მუჰამედის ძლევამოსილება დაგვიხასიათოს. ჯერძოდ, მშვილდოსანი, სასწორი, ქალწული, მეშთარი, მზე, მერწყული, თევზის (მეთორმეტე) ზოდიაქო, ხომალი, ნასრე ტაირი, ნასრე ვაყე, რომელეთაც გადააჭარბა მუჰამედმა სიმაღლით, ძლიერებითა და სილამაზით. ბიბლიური იონა ვეშაპმა გადაყლაპა და სამი დღე მის მუცელში იყო. იოსები ბიბლიური იოსებია (იხ.).

[531] ორი ქვეყანა – საჯაო და საიქიო.

[532] იგულისხმება ყურანი, მუსლიმთა საღვთო წიგნი, რომლის ერთი ნაწილის ავტორი ალბათ თვით მუჰამედია. იგი მას ალაჰმა ჩააგონა.

ანდერძი და დასასრული წიგნისა

[533] აქაც, ისე როგორც სხვა ლირიკულ წიაღსვლებში თავის ჰოემებისა და ზოგი პერსონაჟის სიტყვებშიაც, ნიზამი აბარებს სუფიურ ფილოსოფიას. ეს ბაითი კი ძალიან გვაგონებს ულასიკური სუფი პოეტის ჯელალ ედ-დინ რუმის (XIII ს). მოტივებს („რომელი თესლი ჩასულა მიწაში, რომ მცენარედ არ ამოზრდილიყოს, რომელი ვედრო ჩასულა ჭაში, წყალი არ ამოეტანოს", და სხვ.).

[534] თავის ტკივილს ძველად ყურებთან ძარღვის გახსნით კურნავდნენ ან სიაუშის სისხლით (ერთგვარი ბალახია). ეს უკანასკნელი ალბათ ან არსასიამოვნო იყო რითიმე, ანდა აქ, შეიძლება, სიტყვის ზმაზე იყოს აქცენტი, – სიაუში (იხ.) აფრასიაბმა მოკლა ვერაგულად.

[535] ლეღვის ნაყოფი ბავშვი იმიტომაა, რომ თავისი დედის, ხის, წვენს წოვს; ძეძე იმიტომაა, რომ ძეძეს ჰგავს ფორმით და იმითაც, რომ რძე ჭონავს მისგან; რძე იმიტომაა, რომ რძიანია საერთოდ.

[536] ზმაა: გორგანი მხარეა ირანში, ქერმანიც. მაგრამ გორგან აქ ნიშნავს მგლებს, ქერმანი კი – მატლებს. ეს მგლების ხროვით სავსე ქვეყანა უნდა დაეტოვოთ და მატლებით სავსე მინაში უნდა ჩავიდეთო. ნიზამის სხვაგანაც აქვს ასეთი ზმა. ერთგან იგი ამბობს: „გილანში მიმეჩქარებაო". გილანი ირანის პროვინციაა, მაგრამ ამავე დროს ჰოეტი აქ გულისხმობს მინას – გილ, – მიწაში მიმეჩქარება, ვკვდები ჯაცით.

[537] ხეღვის ქვა სადაფია, რომელშიაც მარგალიტი ჩნდება. ქვის მადანში ლალს მოიძიებენ.

[538] თუთია თვალის სამკურნალო წამალია. იესო ქრისტე სასწაულმოქმედ მკურნალადაა ისლამის ქვეყნებში მიჩნეული.

[539] თუთიყუშმა თავი მოიმკვდარუნა და პატრონმაც იგი გალიიდან გააგდო.

[540] იგულისხმება ბიბლიური იოსების (იხ.) ამბავი.

[541] შვიდი სუფრა ალბათ შვიდი ნაწილია ამ ქვეყნისა, როგორადაც აღმოსავლეთში ჰყოფდნენ

მსოფლიოს. ცხრა სამზადი (სამზარეულო) – ცის ცხრა სფერო თუა, ხოლო ოთხი სახლი – ოთხი მხარე.

[542] თუ გინდა იქ, სასუფეველში ჯარგად იყო, აქიდან წაიღე საგზალი, – ეს საგზალია ამქვეყნიური სისპეტაკე და საკეთარი თავის უარყოფა.

[543] დაყიანესის დრო მეტად ძველად ითვლება. დაყიანესი რომის იმპერატორი დეციუსია (III ს. ჩვენი წელთაღრიცხვით).

[544] აქ პოეტი მოხერხებულად გადადის თავის პოემის ქებაზე. ძველს უწოდებს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს", რომელშიც იკითხება ხოსროვისა და შირინის ამბავი. ჰიჯრის 576 წ. ჩვენებურად 1181 წელია. „ხოსროვისა და შირინის" დაწერის თარიღი.

[545] ძმებმა უღალატეს იოსებს, ბიბლიურ გმირს, და ჭაში ჩააგდეს, მისი პერანგი კი ნანადირევის სისხლში მოსვარეს და მამას, იაკობს, მიუტანეს: იოსები ნადირმა დაგლიჯაო. მერე იოსების პერანგით მამამისს ტირილით დაბრმავებული თვალები აუხილა. ნიზამი იოსების პერანგებს ადარებს თავის პოემას: ერთით საკუთარ ტკივილებს გვაცნობს, მეორით – პოემის ჯადოსნურ ზემოქმედებას მკითხველზე. ეს სახე გვხვდება რუდაქის (X ს.) ერთ ლექსშიც. მასთან იხსენიება იოსების მესამე პერანგიც (ზოლეიხამ რომ შემოახია).

[546] ხიზრმა, წინასწარმეტყველმა, მიაგნო უკვდავების წყალს, დალია იგი და ამიტომაც იცოცხლებს მარად.

მოშურნეთა საყვედურად თქმული

[547] ვფიქრობთ, აქ რომელიმე ქრისტიან პოეტთან შეჯიბრება უნდა იგულისხმებოდეს. იქნებ ვინმე ქართველი მგოსანი გაეჯიბრა ნიზამის, და იმას იგონებს.

[548] ყვავს ლამაზი თვალები აქვს. ე. ი. მე ცუდში ყოველთვის ჯარგს ვიძიებ.

[549] განძს, აღმოსავლური თქმულებების მიხედვით, უხსენებელი იცავს.

[550] ჯარის რგოლად გველი იქნება.

[551] ტალეში ცეცხლი ვერ ატანს.

ტოღრულ-შაჰის მიერ ნიზამის მიწვევა

[552] ამ საჩუქრებს ჰპირდებოდა ნიზამის ჯუჰან-ფაჰლავანი, მაგრამ იგი მოჰკლეს პოემის დამთავრებამდე.

[553] ბედნიერების გასაღები გამეჭედა რჟინისაგან.

[554] ნიზამი თავის თავს ადარებს მყვინთავს, რომელიც ზღვაში მარგალიტს მოიძიებს.

[555] ჩემი შეხვედრა შაჰთან ისეთი იყო, თითქოს ოტარიდი (ის). და მთვარე შეყრილიყვნენ (შდრ. ვეფხისტყაოსანი: „ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს". 1421,2).

[556] ყიზილ-შაჰი ჯუჰან-ფაჰლავანის ძმა და ტოღრულის ბიძა იყო.

[557] ჯენტი ხარ, ბადალი არ გყავს ქვეყანაზე.

[558] რავიმ (ის.) ასე ჯარგად რომ ნაიკითხა ჩემი პოემა, ხოსრო (ხელმწიფე) დატება. ჰოემის პირველი ვარიანტი დამთავრებულია. მას უკვე კითხულობენ.

[559] იგულისხმება მაჰმუდ ღაზნელი, მორჭმული ხელმწიფე (ის.).

[560] ეტყობა, ეს სოფელი ჰამდუნიანი მდებარეობდა საქართველოს საზღვარზე. ურწმუნოებით ალბათ ქრისტიანი ქართველები იგულისხმება.

[561] სოფელ ჰამდუნიანს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ის, რომ მეფემ მაქოო. ნიზამი აქ ირონიას მიმართავს. ეტყობა, თავად ეცოტავა საჩუქარი და ვითომ მოშურნეს ალაპარაკებს თავის სათქმელს, როგორც მერე სა'დიმ (XII-XIII ს.) დერვიშს ათქმევინებს თავისი სათქმელი „გოლესთანის" VII ჯარში. იქაც სა'დი ნიზამივით „ეკამათება" თავის მოპირდაპირეს, სინამდვილეში კი მის მხარეზეა, მას გამოათქმევინებს საკუთარ შეხედულებას, რომლის აშკარად თქმისა გარკვეული მიზეზების გამო ეშინია. ქვემოთ ნიზამის ირონია სატირულ ხასიათს იღებს.

როგორც თავად ნიზამი აღნიშნავს, ჰოემა თითქოს მიეძღვნა დიდ ათაბაგს შამს ედ-დინ ჳა დ-დუნია აბუ ჯაფარ მუჰამედ ჯუჰან-ფაჰლავანს (1174-1186), ილდიგიზის ძეს. მაგრამ სანამდის ნიზამი ჰოემას დაამთავრებდა, იგი გარდაიცვალა და მისი ძმა მუზაფარ ედ-დინ ყიზილ-არსლანი გამეფდა (1186-1191). ბოლოს ნიზამის დაიბარებენ და ჰოემის საფასურად სოფელ ჰამდუნიანს აჩუქებენ. მაგრამ ვინ არის ის, ვინც დაიბარა ნიზამი? ჰოემაში ეს ამბავი მოთხრობილია, მაგრამ უმეტეს ხელნაწერსა და გამოცემებში ასეთად მიჩნეულია (მხოლოდ თავის სათაურში, თორემ შიგ თავში არაა დასახელებული) ტოღრული II (1174-1194), რომლის ქება უპირველესად აქვს წიგნის თავში ნიზამის. ვ. ბახერი ამბობდა: იგი ყიზილ-არსლანმა დაიბარაო. საქმე ისაა, რომ ის, ვინც ნიზამის გამოიბარებს და ასაჩუქრებს სოფლით, მუჰამედ ჯუჰან-ფაჰლავანს იხსენიებს როგორც თავის ძმას, ხოლო ტორული არ იყო მისი ძმა, ძმა ყიზილ-შაჰი იყო. თანაც სიგელი ყიზილ-შაჰის ბეჭდით დაადასტურესო, წერს ნიზამი. თუ ტოღრული იყოო, ადასტურებს ვ. ბახერის აზრს ე. ბერტელსი,

ყიზილ-არსლანის დასტური ჯიღევ რაღად დასჭირდებოდათო. არ ვიცით, რატომ, მაგრამ ე. ბერტელსი უგულვებელყოფს ორ საბუთს, რომელიც მას უჭერს მხარს: ერთია ლენინგრადის ხელნაწერი, სადაც ნაცვლად ტოღრულისა, ყიზილ-შაჰი იკითხება (ბაქოს გამოცემა, გვ. 782), მეორე კი ცნობილი ინდოელი მეცნიერი შიბლი ნო'მანის მოსაზრება. იგი წერს: ტოღრულმა მისცა შეკვეთა (შიბლი ნო'მანი, გვ. 229), ხოლო ნიზამი ჯუჰან-ფაჰლავანის სიკვდილის შემდეგ ყიზილ-შაჰმა დაიბარა და მან დაასაჩუქრაო (იქვე, გვ. 230). ვ. დასთგარდი ფიქრობს, ვინც ნიზამი დაიბარა და დაასაჩუქრა, ტოღრული იყოო, ხოლო ის, ვინც „ბეჭედი დაუსვა" – ტოღრულის ბიძა ყიზილ-შაჰი. ტოღრული ჯუჰან-ფაჰლავანს, საერთოდ, ძმას უწოდებდაო. (ხოსროუ ო შირინ, გვ. 455). დასთგარდი არც განიხილავს იმ საკითხს, თუ რატომ დასჭირდა ტოღრულს ერთი სოფლის სიგელის გაცემაზე ჯიღევ ვიღაცის დასტური, ხოლო ე. ბერტელსი ამას მნიშვნელოვან დეტალად მიიჩნევს და ამიტომაც არ იზიარებს დასთგარდის აზრს. ვფიქრობთ, სანამ რაიმე ახალი მასალა არ აღმოჩენილა, ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. მაგრამ ერთს კი აღვნიშნავთ: არავინ არ მსჯელობს ლენინგრადის ნუსხაზე. თუ მას ანგარიშს გავუწევთ, სადავო არაფერი რჩება. ნიზამი ყიზილ-შაჰმა დაიბარა და თავისიკე ბეჭდით დაუდასტურა. ამავე დროს დასთგარდის პოზიციაც არაა სუსტი: არ ვიცით, სიგელის სხვის მიერ დადასტურებას როგორ მოუვლება, მაგრამ ტოღრული ჯუჰან-ფაჰლავანს ძმას რომ უწოდებს, ამაში, ჩვენი აზრით, უცნაური არა უნდა იყოს რა. ძმა შეიძლება ყოველთვის ღვიძლ ძმას არ ნიშნავდეს. თუ მართალია, რასაც დასთგარდი გვაუწყებს, ყიზილ-შაჰი ტოღრულის ნათესავი გამოდის (მას ყიზილ-შაჰი და ყიზილ-არსლანი სხვა და სხვა პირი ჰგონია) და ნათესავისთვის შეიძლებოდა, ძმა ეწოდებინა. გავიხსენოთ, რომ „ხოსროუშირინიანშიჲ" შირინის მამიდა მეჰინ-ბანუ დედობითაა მოხსენებული. ესეც დამაეჭვებელია: ნიზამი ოცდაათი დღის სავალზე იხმეს, ყიზილ-არსლანი იქნებოდა ასე შორს? ყ. ალიევი იმეორებს შიბლის აზრს თავის მონოგრაფიაში. მასაც მიაჩნია, რომ ტოღრულმა შეუკვეთა ნიზამის პოემა, შიგ არის ქება ჯუჰან-ფაჰლავანისა და სოფელი აჩუქა ამ უკანასკნელის ძმამ ყიზილ-არსლანმა (Г. Алиев, გვ. 60).

თავის თავად ინტერესს იწვევს ის სოფელი, რომელიც ნიზამის აჩუქეს. მას ჰამდენიანი ერქვა. დავლეთ შაჰი იუწყება: ნიზამის „ხოსროუშირინიანის" საფასურად ოთხი სოფელი აჩუქესო (დავლეთშაჰ, თაზჲერიათ უშ-შუარა (სპარსულ ენაზე), ლონდონი-ლეიდენი, 1091 წ. გვ. 242) დავლათშაჰის ეს ცნობა (ჩარ დიე-ოთხი სოფელი), ი. ჰამერმა გაიგო როგორც თოთხმეტი სოფელი (ჩარდე – თოთხმეტი). ზოგს კიდევ იგი ორი სოფელი ჰგონია: ჰამდ და ნიანი. ჩანს, მათ შორის მოთავსებული უნი და ჯაჭირად მიიჩნიეს. თავად ნიზამის ცნობისათვის არავის გაუწევია ანგარიში. პოემაში ნათქვამია: ეს ერთი სოფელია, ისიც ქურასავით ვიწრო, ნახევარი ფარსანგი (3-4 კილომეტრი) სიგრძე-სიგანისაო. სოფელი ნიზამის მულქად მისცეს: „ეზოძა ეს სოფელი ჩვენგან მთლიანად ნიზამის მოდგმას ტელფად (ე. ი. ნება დართულად, ალალად) მისი მულქი (საკუთრება) გახდა მეორედ მოსვლამდე". სოფელი პოემაში არაა ნაქები, იგი ოხერი ყოფილა, „შემოსავალი არ აქვს, ხარჯი – კი, მისი სანახები აბხაზთა (ქართველთა) საზიაროა" (გვ. 556).

ეს სოფელი ორი რამით არის საინტერესო: 1) იგი საქართველოს საზღვარზე ყოფილა და, მაშასადამე, მას თუ მივაკვლიეთ, მაშინღელი საქართველოს საზღვარი ზუსტდება. ნიზამის, შესაძლოა, ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ქართველებთან, რადგან ეს სოფელი მას იყებათი კი არ მიეცა (ასეთ შემთხვევაში მას მხოლოდ სოფლის შემოსავლის ნაწილი მიეცემოდა, ისე, რომ შეიძლებოდა, ეს სოფელი თვალითაც არ ენახა. ანდა შესაძლოა, მერე ისევ ჩამოერთმიათ და საერთოდ დაეკარგა მასთან ჯაჭირი), არამედ მულქად, საკუთარ მამულად. შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ნიზამი ცხოვრობდა ჯიღევ ამ სოფელში. აქ ყურადღებას იქცევს ჯიღევ ერთი რამ: მეფე ეკითხება ნიზამის: გამიგონია, რომ შენ სოფლის ორი ნაკვეთი (დო ფარე) გიბოძეს, რას იტყვი, ის სოფელი მოგცეს თუ არა, სოფლის სიგელი გამოგიგზავნეს თუ არაო? აქ როგორც დასთგარდის, ისე ბაქოს გამოცემაშიც „დო ფარე" იკითხება, რაც, ვიმეორებთ, ორ ნაჭერს, ორ ნაკვეთს ნიშნავს. თუ ასეა, შეიძლება ლაპარაკი იყოს არა მთელ სოფელზე არამედ სოფლის ორ ნაკვეთზე. მაგრამ გაუგებარია, იქვე სოფელს რატომ უწოდებს ამ ნაჭრებს მეფე („სოფელი მოგცეს თუ არა")? ვფიქრობთ, შეიძლება, ეს ფრაზა წავიკითხოთ როგორც დო ბარე, რაც ნიშნავს „ორკერ". მაშინ გამოვა, რომ მეფე ეკითხება ბოლოს და ბოლოს იგი, დაგიმტკიცეს თუ არა სიგელითო? ნიზამი პასუხობს: მივიღეო. ასეა თუ ისე, ერთი სოფელია ეს თუ ორი ნაკვეთი სოფელში, მაინც გასარკვევია: ეს სოფელი იგივე სოფელი ჰამდენიანი ხომ არაა? თუ დამტკიცდება, რომ იგივეა, მაშინ ჩანს, ნიზამის პოემის დაწყებისას, თუ მისი პირველი ვარიანტის დამთავრებისას მიეღია იგი, მთელი მისი დაწერის პერიოდი, 5-6 წელი ჰქონია და ახლა ერთხელ ჯიღევ სიგელით დაუმტკიცეს. თუ არადა, უნდა ვიფიქროთ, რომ ნიზამის ახლა ჯიღევ ერთი სოფელი აჩუქეს.

თუ პირველი ვარიანტი სწორი გამოდგა, თუ ჰამდენიანი ადრე ჰქონდა მას მიღებული და პოემის დაწერის პერიოდში სარგებლობდა იმით, არაა გამორიცხული ნიზამის, პოემაზე სადღაც რაიმეთი არეულიყო ქართული ყოფა. განჯაში საქართველო უამისოდაც ეცოდინებოდა ნიზამის, მაგრამ ამ მომენტის დამახსოვრებაც არაფერს დაგვშავებდა[81].

[81] აქ გავიხსენებთ ირანისტიკაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ პოემაში შირინს შეიძლება პროტოტიპად თამარ მეფე ჰყავდეს. ეს მოსაზრება წამოაყენა იური მარმა (იხ. Ю. Н. Марр, К вопросу

ნიზამი მაინცდამაინც ამაყოფილი არ არის ამ სოფლით. მის სანახებს თუ შემოგარენს მონახევრეები (მოზიარეები) ჰყავს, ჯერძოლ აბხაზების (ქართველების) სახით. თუ აქ ქართველთა მეზობლობით უამაყოფილებაში ამ უკანასკნელთა თავდასხმებს ვიგულისხმებთ, როგორც დასთგარდის მიაჩნია, ყველაფერი გასაგებია[562]. შეიძლება აქ ერთ სოფელში ქართველთა ჩაზიარება იგულისხმებოდეს. მაშინ „დო ფარე" ორიგინალისა უნდა გაგვეგო როგორც ორი ნაკვეთი (ასეთი ტერმინი არსებობდა[563]) და უნდა გვეფიქრა, რომ ნიზამის ერთ სოფელში ორი ნაკვეთი მიეცა მიწისა. მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოემის ცნობას: „აბოძა ეს სოფელი ჩვენგან მთლიანად".

მწუხარება შამს ედ-დინ მოჰამედ ჯუჰან-ფაჰლავანის სიკვდილის გამო

[562] იგულისხმება ხუთჯერ დარეკვა სასახლეში. შდრ. განმარტება 31.

[563] სამფეხი იყო ერთგვარი იარაღი, რომელზედაც აყრავდნენ დამნაშავეს. ე. ი. თავისი ძლევამოსილება ცაში აიტანა.

[564] იგულისხმებიან ნიზამის საქები ჰირნი (იხ. პოემის შესავალში).

[565] იგულისხმებიან პირველი ხალიფა აბუ ბექრი (იხ.) და თავად მუჰამედი (იხ.).

о позднейших толкованиях Хакани, Сборник «Хакани – Низами – Руставели, Москва-Ленинград, 1935 г., стр. 7). მაგრამ შემდეგ უარყოფილ იქნა ა. კრიმსკის მიერ იმ მოტივით, რომ თამარი 1184 წ. გამეფდა, ხოლო პოემა 1181 წელსაა დასრულებული (იხ. А. Крымский, Низами и его изучение. Сборник «Низами», Баку, 1947 г. стр. 177). ნუთუ საჭირო იყო მაინცდამაინც გვირგვინოსანი მეფე ყოფილიყო თამარი, რომ მისი სახე არეკლილიყო საქართველოს სამეფო ჯარისთვის ასე ახლო ურთიერთობაში მყოფი ქალაქის, განჯის, მთავარი პოეტის შემოქმედებაში? ჯუჰან-ფაჰლავანი 1186 წ. გარდაიცვალა, ხოლო პოემაში მისი სიკვდილი ვიცით, ასე რომ პოემა 1186 წელს კიდევ იწერება. ამ დროისათვის კი თამარი უკვე ორი წელია გვირგვინოსანი მეფეა.

[82] დასთგარდი განმარტავს: აქ ქართველთა თავდასხმა იგულისხმება, აბხაზი მოძალადედ და მგარვალად უთქვამთო (ძველი სპარსული ლექსიკონები მართლაც ასე განმარტავენ აბხაზს, მაგრამ მათ მაინც მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მასზე. იგი შუა აზიაში ეგულებათ. ბორჰანე ყათე, ტ. I, გვ. 78). დასთგარდის ასეთი განმარტების ნებას უფრო აძლევს მომდევნო ბაითი, რომელიც მას არ უცვნია ნიზამისეულად და სქოლიოში ჩამოუტანია (ბაქოს გამოცემაში კი ნიზამისეულადაა მიჩნეული, გვ. 794): „არაა დაცული და აოხრებულია, მუსულმანები შრომობენ და ურჯულოები ჭამენ".

[83] О. Д. Чехович, Среднеазиатские аграрные термины. Народы Азии и Африки, 1964 г. № 2, стр. 112.

ლექსიკონი

აბაში – იხ. ჰაბაში

აბრაამი – ბიბლიური აბრამი, ებრაელთა პატრიარქი. მისი ნების გამოსაცდელად ღმერთმა მას მისი სიბერის შვილის, ისააკის, მსხვერპლად შეწირვა მოთხოვა. აბრაამი დათანხმდა და დანა აღმართა შვილზე, მაგრამ ღმერთმა იხსნა ისააკი.

აბრუ – ღირსება, პირისწყალი.

აბუბექრი – არაბთა პირველი ხალიფა (623-634).

აბხაზი – ასე უწოდებდნენ სპარსულად იმ დროს საქართველოს, ქართველს. ამის შესახებ იხ.: В. В. Бартольд, Сочинения, т. II, часть I, Москва. 1963 г. стр. 861. „ხოსროშირინიანის" მიხედვით აბხაზში დადის სანადირო მეპინ-ბანუ. სოფელი ჰამდუნიანი, რომელიც ნიზამის ამ პოემის გასამრჯელოდ აჩუქეს, აბხაზის საზღვარზეა.

ათაბეგი – სელჯუყ მეფეთა ტიტული. ადრე მხედართუფროსებსაც ერქვა სელჯუყთა ჯარში.

ათაბეგ შამს ედ-დინ აბუ ჯაფარ მოჰამედ ბენ ილდიგეზი – აზერბაიჯანული იელდიგეზიანთა ფეოდალური დინასტიის დამაარსებელი.

ათარი – სურნელოვან ნივთიერებათა და ნელსაცხებლებით მოვაჭრე.

აიაზი – მაჰმუდ ღაზნელის, დიდი სულთნის (998-1030) საყვარელი მონა.

ალექსანდრე ალექსანდრე მაკედონელი (356-323).

ალექსანდრეს სარკე – გადმოცემით იდგა მაღალ კოშკზე ქ. ალექსანდრიაში, ზღვის პირას, მომხვდურებზე სათვალთვალოდ. გადატანით: ჯადოსნური სარკე, რომელშიც ყველაფერი ჩანს.

ამირა – ემირი, მმართველი.

ანუშირვანი – სასანიანთა (იხ.) ირანის მეფე (531-579), ხოსროვ ფარვიზის, ამ პოემის მთავარი გმირისა და ირანის მეფის (590-628) პაპა, მამის მამა. აღმოსავლურ თქმულებებში ცნობილია როგორც მართლმსაჯული ხელმწიფე.

ანჯარაქის ველი – ლექსიკოგრაფებმა და ნიზამის კომენტატორებმა არ იციან, სადაა იგი. ვარიანტები ილჯავაქ და ანჯავაქ ფორმასაც იცნობენ. ანჯარაქ ერთგვარ ყვავილსაც ეწოდება.

არანი – „მხარე აზერბაიჯანში. განჯა (იხ.) და ბარდა (იხ.) მასში შედიოდნენ". კავკასიის ალბანეთი.

არასი – მდინარე არაქსი.

არდაშირ ბაბაქანი – სასანიანთა დინასტიის (იხ.) დამაარსებელი ირანის მეფე.

არჟანგი – ნახატთა მითიური გალერეა, რომელიც ზოგიერთთა რწმუნებით, ვითომ მანის (იხ.) უნდა დაეხატა; ზოგი განმარტავს: მანის მოხატული წიგნიაო.

არლავანი – წითელი ხე.

ასტროლაბია – ხელსაწყო, რომლითაც წინათ არკვევდნენ სიგრძედებსა და განედებს ასტრონომიაში.

ასფურცელა – ვარდის სინონიმია.

აფრასიაბი – თურანის მითიური მეფე, ირანის დაუძინებელი მტერი, „შაჰ-ნამეს" გმირი.

აყიყი – უმეტესად წითელი ფერის ძვიფასი ქვა, სპარსულ პოეზიაში იხმარება ტუჩებისა და ლოყების ეპითეტად.

ახორი – თავლა.

აჯამი – არაარაბი; ირანელი, ირანი.

ბაბელი – ძველი ბაბილონი, სპარსულ ლიტერატურაში მას უკავშირებენ ჯადოქართ და გრძნეულთ.

ბაზი – ქორი, მიმინო.

ბალყისი – ბიბლიური სოლომონ მეფის მეუღლე. როცა გვიგვინოსანი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ფერობენ, სპარსულ პოეზიაში მაშინ იტყვიან: სოლომონსა და ბალყისს ჰგვანანო.

ბალხი – ძველი ბაქტრია; ქალაქი დღევანდელ ავღანეთში.

ბარბითი – ერთგვარი საკრავია. იგი უკავშირდება ბარბადს, ხოსროვის ლეგენდარულ დამკვრელს. შეიძლება ეს უკანასკნელი არც არის საკუთარი სახელი, არამედ მხოლოდ ამ ინსტრუმენტის დამკვრელს გულისხმობდეს. ასევეა იქნებ ნაქისაც (შდრ. ქოსან).

ბარდა – ბარდავი, ქალაქი არანში დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

ბარსამი – ერთგვარი მცენარე, ზოროასტრიელთა (ცეცხლთაყვანისმცემელთა) მიერ წმინდა მცენარედ მიჩნეული. მისი ტოტი ეჭირა ხელთ მობედს (იხ.) საღვთო წიგნთან ერთად, ასე სინჯავდა და აკურთხევდა მეფეთა სუფრას.

ბაჰრამ გური – სასანიანთა (იხ.) ირანის მეფე ბაჰრამ V (421-438), რომელსაც გადმოცემით კანჯარზე ნადირობა უყვარდა და მიტომ შეერქვა მეტსახელი „გურ“ – კანჯარი.

ბაითი (ბეითი) – ნყვილი სტრიქონი არაბული, სპარსული, თურქული ლექსისა; ლექსი; ბაიათი.

ბეჟანი – მითიური ირანელი გმირი, „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი, გივის ძე. შეიყვარა ირანელთა მტრის, თურანის მეფის აფრასიაბის ასული მანიჟე, რის გამო მას ღრმა ორმოში (ჭაში, დილეგში) დაამწყვდევენ. ბეჟანს ათავისუფლებს როსტომი (იხ.)

ბეყამი – ბრაზილიის ხე, წითელი ფერისა.

ბეჭედი სოლომონისა – იხ. სოლომონის ბეჭედი.

ბისმილლა – დასაწყისი ფრაზა ლოცვისა: „სახელითა ალაჰისა მოწყალისა შემწყნარებლისა“. აქ: „მადლობა ღმერთს“.

ბისოთუნი იგივე **ბეჰისთუნი** – მთაა ირანში ჰამადანსა და ქერმანშაჰს შორის. ეს მთა, შეიძლება, იმიტომ აირჩია ფარჰადის სამოღვაწეოდ ლეგენდამ, რომ აქ მართლაც არის ლურსმნული წარწერები და ბარელიეფები.

ბორჯი, ბურჯი – ზოდიაქო; დრო. ჟამი, ბორჯალი.

ბულღარეთი – იგულისხმება ვოლგის ბულღარეთი, მუსლიმური სამეფო. ბულღარელი – თეთრის სინონიმად გეხვდება სპარსულ პოეზიაში.

გაბრიელი – გაბრიელ მთავარანგელოზი.

გებრი – ცეცხლთაყვანისმცემელთა ქურუმი.

გიზია იგივე **ჯიზია** – გადასახადი, რომელსაც არაბები ახდევინებდნენ არამუსლიმ მოსახლეობას.

გოვარი – იხ. გუარი.

გოლაბი – იგივ გულაბი, ჯულაბი, ვარდისწყალი.

გოლგუნი – სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „წითელი ფერისა“.

გუარი (გოვარი) – მარგალიტი.

გუმბათი – ერთგვარი აკლდამა, მავზოლეუმი, რომელსაც მიცვალებულს უშენებდნენ საფლავზე

მდიდარი ჭირისუფლები.

დავითი – ბიბლიური გმირი, ებრაელთა მეფე. მას მიეწერება საგალობლები, ფსალმუნნი დავითისა. აღმოსავლეთში ჩინებული მუსიკოსის სახელი აქვს გავარდნილი.

დამასკის ხმალი – ქალაქ დამასკოში გაჭედილ ხმლებს სხვადასხვა გამოსახულებანი ამკობდა.

დარაკა – ფარი.

დარიოსი – იგულისხმება აქემენიდთა უკანასკნელი მეფე დარიოს III კოდომანი (336-330), რომელიც დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა.

დასთანი – ამბავი; პოემა; თქმულება.

დასტური – ვეზირი; მრჩეველი.

დაყანთრვა – გადაწონვა.

დაჰრუდი – ერთგვარი ათსიმიანი საკრავი.

დემავენდი – მთა ირანში თეირანთან.

დერბენდის ზღვა – კასპიის ზღვა.

დია – დიაღაც; ძალიან.

დივანი I – სამეფო საბჭო.

დივანი II – ლექსების კრებული.

დიჯლა – მდინარე ტიგროსი, წყალუხვი მდინარის სინონიმი აღმოსავლურ პოეზიაში.

დოვლათი – დავლათი (ქონება), სახელმწიფო; დიდება.

დურბაში – „შორს!", ორკაპიანი შუბი, რომელიც ხელთ ეპყრათ მეფის მცველთ.

ევკლიდოსი (V–IV ს.) – ბერძენი ფილოსოფოსი.

ელბრუსი – მთა ირანში. განასხვავებენ კავკასიის ელბრუსს და ირანისას.

ემარი – ერთგვარი გადახურული საჯდომი აქლემზე, ნიშნავს ბალდახინსაც.

ერამი – ზღაპრული ბაღი არაბეთში; მიწიერი სამოთხე.

ეჯიბი – კარისკაცი; სასახლის მსახური.

ზარდუშთი (ზარდუშტი) – იგივე ზარატუსტრა. ნახევრად მითიური პიროვნება, რომელსაც მიეწერება ზოროასტრიული (მაზდეანური) რელიგიის ჩამოყალიბება.

ზააქი – იხ. ზოჰაქი.

ზეზი – სირმასთან ერთად დართული ძაფი.

ზოროასტრიელი – ზარდუშთის (იხ.) რელიგიის მიმდევარი, ცეცხლთაყვანისმცემელი.

ზოჰაქი – ზააქი, მითიური ხელმწიფე, რომელიც შეუკრა ეშმაკს და ამ უკანასკნელმა მხრებზე გველები ამოუყვანა. მტკრვალი მეფე იყო, დაამარცხა ფერიდუნმა (ფრიდონმა).

ზოჰრა – პლანეტა ვენერა. იგი ითვლებოდა სიყვარულის, მშვენიერებისა და მუსიკის მფარველად.

ზუალი – პლანეტა სატურნი.

თამბური – ერთგვარი სიმებიანი საკრავი.

თამყაჯი – დღევანდელი პეკინი.

თაღგერი – ადგილია ბისოთუნთან (იხ.)

თაყანშა – მეფე ძველ თურქესტანში (შუა აზიაში).

თაჯი – გვირგვინი.

თევზი – აღმოსავლეთის ხალხთა რწმენით დედამიწა ეყრდნობა ზროხის რქას, ეს უკანასკნელი კი თევზზე დგას. ნიზამი ხშირად ხმარობს ჯურღმულის, მიწის უღრმესი წერტილის მნიშვნელობით.

თერაზი (ტერაზი) – ლექსიკონები განმარტავენ როგორც ქალაქს ძველ თუქესტანში, განთქმულს ლამაზი ქალებით. პოეზიაში კი თერაზელ კერპებს აქებენ. ჩანს, ბუდისტური სამყარო აქვთ მხედველობაში.

თრიაქი – თერიაქი, ოპიუმი, შხამის საწინააღმდეგოდაც ხმარობდნენ.

თუთი – თუთიყუში.

თუღრა – სულთანთა საგანგებო ხელრთვა, მისი ტიტულის და ზედწოდებათა აღნიშვნით. ჩვეულებრივ რთული ხლართებითაა დაწნული.

იაკობი – ბიბლიური გმირი, იოსებ მშვენიერის (იხ.) მამა. დააბრმავა შვილზე ნიადაგ ტირილმა. ბოლოს თვალი აეხილა (მისი შვილის, იოსების, სასწაულმოქმედი პერანგი ამოისვა თვალზე).

იაყუთი – წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

იესო – იესო ქრისტე, რომელიც ყურანსა და მუსლიმურ სამყაროში, მიუხედავად რელიგიური წინააღმდეგობისა, პატივისცემით იხსენიება, როგორც სასწაულთმოქმედი.

ითრი – სურნელება, ნელსაცხებელი.

ინდო, ინდოელი – ქურდის ეპითეტია.

ინდური ხმალი – განთქმული იყო აღმოსავლეთში, ხშირად იხსენიება „შაჰ-ნამეშიც“.

იოსები – ბიბლიური გმირი იოსებ მშვენიერი, იაკობის (იხ.) ძე.

იოსებ მისრელი – იხ. იოსები.

ისა – იესო ქრისტე.

ისრაფილი – ერთ-ერთი მთავარანგელოზი.

ისფანდიარი – მითიური ირანელი გმირი; „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო პერსონაჟი, გოშთასფის შვილი. მოკლა როსტომმა.

ისფაჰანი – ქალაქი ირანში.

იუსუფი – იხ. იოსები.

იყტა – ნაბოძები მიწა.

კერპი – ლამაზი ქალი; სატრფო.

კონსტანტინე კეისარი – კონკრეტულად არ უნდა გულისხმობდეს ნიზამი რომელიმე კონსტანტინეს.

კურო – იგივ ხარი, ზოდიაქო (აპრილი).

ლათი – ერთ-ერთი კერპი, რომელიც იდგა ქააბაში (იხ.) ისლამის რელიგიის მიღებამდე.

ლაჰავერი – ქალაქი ლაჰორი.

ლეილი – აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული რომანის გმირი, უყვარდა მაჯნუნი. მათ სიყვარულს პირველმა ნიზამიმ უმღერა თავის პოემაში „ლეილი და მაჯნუნი“.

ლულუ-ზარი – ერთგვარი სამკაული.

მადაინი – ქტეზიფონი, ძველი ქალაქი ტიგროსზე.

მანი – მანიქეველთა რელიგიის დამაარსებელი (III ს.). აღმოსავლეთში დიდ მხატვრად თვლიდნენ და მიანერდნენ არჟანგის (იხ.) დახატვას, – შეიძლება იმიტომ, რომ მანიქეველთა ტაძრები მდიდრულად იყო მოხატული.

მანშური – მეფის სახალხო ბრძანება, სიგელი ვინმეს მაღალ თანამდებობაზე დასანიშნავად.

მარავი – ქალაქი მერვი, აწინდელი მარი (თურქმენეთში).

მარზანგუში – „თაგვისყურა", სურნელოვანი ყვავილია.

მარზბანი – მაზრის უფროსი, ოლქის მმართველი.

მარიხი – პლანეტა მარსი.

მარლზარი – მწვანით მოსილი მინდორი; წალკოტი.

მარცახი – თევზის საჭერი სამკბილა ბარჯი.

მაღრიბი – დასავლეთი; ისლამის სამყაროს დასავლეთი მხარეები.

მაშრიყი – აღმოსავლეთი; აღმოსავლეთის ქვეყნები.

მაჰმუდი – მაჰმუდ ღაზნელი დიდი სულთანი (998-1030).

მეჯნუნი იგივე მაჯნუნი – იხ. ლეილი.

მეჰდი ანუ **მაჰდი** – მეტორმეტე იმამი, რომელიც შიიტთა რწმენით გადაიკარგა და ერთი დღე იქნება, გამოჩნდება.

მეჰინ-ბანუ – „დიდი ქალბატონი".

მეჰრეგანი – მზისა (მიჰრ) და ჭირნახულის უძველესი ირანული დღესასწაული.

მეჰსეთი – მეჰსეთი-ხანუმ განჯელი, XI-XII ს. აზერბაიჯანელი პოეტი ქალი. შემორჩენილია მისი რობაიები და ღაზელები.

მისრი – მისრეთი, ეგვიპტე.

მიქაილი – მიქაილ მთავარანგელოზი.

მიჰრაბი – ნიში მეჩეთში, გამოჭრილი მექის, მუსლიმთა წმინდა ქალაქის მიმართულებით. მუსლიმები ლოცვის დროს ამ ნიშისკენ, ე. ი. მექასკენ იყურებიან.

მობედი – ქურუმი; მრჩეველი.

მოსე – ბიბლიის პესონაჟი, ებრაელთა წინასწარმეტყველი.

მოშგუ – ჰარამხანა.

მულიანი – მდინარე ბუხარაში.

მუსტაფა – „რჩეული", მოციქული მუჰამედის ერთ-ერთი ეპითეტი.

მულანი – იგულისხმება მულანის ველი (აზერბაიჯანში).

მუშთარი – პლანეტა იუპიტერი.

მუშკ-ამბარი – მუშკი და ამბარი, სურნელოვანი ნივთიერებანი.

მუშკ-ნაფე – ერთგვარი სურნელოვანი ბალახი.

მუჯამარი – საცეცხლური.

მუჰამედი (570-632) – ისლამის, მუსულმანური რელიგიის დამაარსებელი, იგივე მაჰმადი (აქედან მაჰმადიანი – მუჰამედის რელიგიის მიმდევარი, მუსულმანი).

ნაბიდი – ერთგვარი მაგარი სასმელი.

ნადიმი – თანამეინახე.

ნავათი – მეომარი, რომელიც ცეცხლსასროლ იარაღს ედგა. ჩვეულებრივ ნავთის ცეცხლს ისროდნენ.

ნარვანა – ლამაზი და ჩრდილოვანი ხე.

ნახშები – ქალაქი შუა აზიაში (ანინდელი ყარში).

ნებროთი – ბიბლიური მტარვალი მეფე.

ნეგუსი – აბისინიის მეფის ტიტული.

ნესარი – ძვირფას სტუმარს ფეხქვეშ ან თავზე ტკბილეულს, ფულს ან ყვავილს უყრიდნენ. ამას ერქვა ნესარი.

ნიატუსი – დამახინჯებული თიადუსი, თეოდოსიუსი – ბიზანტიის იმპერატორის მავრიკიოსის შვილი, რომელიც სარდლობდა ხოსროვ ფარვიზის მაშველ ჯარს.

ნიჭი ქონება.

ნოვრუზი (ნავრუზი) – „ახალი დღე", ახალი წელი ირანულ სამყაროში, რომელიც ჩვეულებრივად 21 მარტს უნევს, ამ დღეს დღესასწაულობენ.

ნუშირვანი – იხ. ანუშირვანი.

ომანი – ომანის ყურე.

ონყა (ანყა) – ზღაპრული ფენიქსი, რომელიც არ ჩანს, გადაკარგულია.

ოტადირი – პლანეტა მერკურიუსი, სიბრძნის მფარველი.

ოყაბაინი – რკინის ოთხფეხი, რომელზედაც ანვენდნენ მსჯავრდებულთ საროზგავად.

პილოტანი – „სპილოს ტანის მქონე", ვეება; დევგმირი. „შაპ-ნამეს" გმირის, როსტომის ეპითეტი.

პირისწყალი – აბრუ, ღირსება.

პლატონი – ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი (V-IV ს.)

რავი – დეკლამატორი, რომელიც პოეტის თვალწინ, მის ნაცვლად რეჩიტატივით კითხულობდა ლექსს.

რასათი – რაცათი, ტელესკოპი.

რაფრაფი – ციური კარავი.

როსტომი – ირანელთა ყველაზე საყვარელი და პოპულარული მითიური დევგმირი. ზაალის ძე, ზურაბის მამა. იბრძოდა თურანელთა წინააღმდეგ და მრავალი გამარჯვება მოუტანა ირანსა და მის სამეფო ტახტს. „შაპ-ნამეს" მთავარი პერსონაჟი.

რუდი – ერთგვარი სიმებიანი საკრავი.

რუმი – ბიზანტია.

სადრის ხე – ხე სამოთხეში, რომლის წვერზე ავიდა მუპამედი. ეს არის უკიდურესი წერტილი, რომლის იქით ორიოდე ნაბიჯიღა რჩება ალაპამდე. აქამდე მხოლოდ მუპამედმა მიაღწია მოკვდავთაგან.

საზი – საკრავი.

სამერი – ჯადოქარი, რომელმაც მოლაპარაკეხბოგააკეთა. ქალაქსამერიდანიყო (იერუსალიმთან ახლოს).

სარაფადა – სამეფო კარავი.

სარალუჯი – ქალთ თავსახურავი.

სასანიანები – ირანის სამეფო დინასტია, რომელიც მართავდა ამ მხარეს 226-651 წლებში. სათავე დაუდო არდაშირ ბაბაქანმა (იხ.).

საყსინი – ამ მხარეს თუ ქვეყანას ზუსტად ვერ უთითებენ ლექსიკოგრაფები. ზოგი მათგანს იგი ძველ თურქესტანში (შუა აზია) ეგულება.

სეფანდი – ერთგვარი მცენარეა, რომელსაც ცრუმორწმუნენი წვავენ ავი თვალისა თუ ავი სულების წინააღმდეგ.

სიაოში – იგივე სიაუში, ირანელთ მითიური გმირი, ირანის მეფის ქეიქაოსის შვილი, როსტომის (იხ.) გაზრდილი და აფრასიაბის, თურანელთა მეფის სიძე. ამ უკანასკნელმა ეერაგულად მოკლა იგი. მისი შური იძია როსტომმა, თურანი აანიოკა.

სინჯაფი – თრითინა, ციყვი.

სიქა – ტვიფარი ლითონის ფულზე, ხელმწიფის სახელის წარწერით.

სოლომონი – ბიბლიის პერსონაჟი, სოლომონ ბრძენი, ებრაელთა მორჭმული ხელმწიფე.

სოლომონის ბეჭედი – გადმოცემით, სოლომონ ბრძენს, ებრაელთა მეფეს, ჰქონდა ჯადოსნური ბეჭედი, რითაც იგი ყველას იმორჩილებდა.

სოჰაილი – ძველი რწმენით, ბედნიერების მომასწავებელი კაშკაშა ვარსკვლავი, კონოპუსი.

ტაბარზადი – ერთგვარი შაქარი.

ტაბლაქი – პატარა ტაბლა, მონადირენი დაუკრავენ ქორშევარდენთა გამოსატევებლად.

ტიტევი – ერთგვარი ფრინველი.

უდი – ერთგვარი მცენარეა, რომელიც წვის დროს საამოდ ფშვენს.

უზაბარი – ლომი.

ფაილამბარი – მოციქული. უმეტესად იგულისხმება მუჰამედი (იხ.).

ფალაური – საშუალო სპარსული. აქ ერთგვარ სიმღერაზე უნდა იყოს ლაპარაკი. ფაჰლავი ნიშნავს გმირულსაც.

ფარდი – მუსიკალური ტონი.

ფარსანგი – სიგრძის საზომი ერთეული, 6-7 კმ.

ფარსი – ფარსისტანი, ირანის სამხრეთი პროვინცია; სპარსეთი.

ფარსისტანი – იხ. ფარსი.

ფარჩამი – შუბის წვერებთან მიბმული ქსოვილი ან მსგავსი რამ; დროშა.

ფახფური – ინდური ბაგაპუტრა, უფლის შვილი; უფლისწული; ჩინეთის იმპერატორი.

ფერიდუნი – იგივე აფრიდონი, გინა ფრიდონი. ირანის მითიური ხელმწიფე, რომელმაც დაამარცხა ზააქი (იხ.).

ფირდოუსი – გენიალური სპარსელი პოეტი (X-XI ს.) ავტორი უკვდავი „შაჰ-ნამესი", რომელშიაც გალექსილია ირანის ისტორია ქვეყნის გაჩენიდან არაბთა შემოსევამდე. მასში თავმოყრილია და გადამუშავებული უამრავი ირანული მითი, ლეგენდა, ქრონიკა, შეიცავს ას ათასზე მეტ სტრიქონს.

ფრიდონი – იხ. ფერიდუნი.

ქააბა – ტაძარი მექაში, მუსლიმთა წმინდა ქალაქში. ქააბაში ინახება „შავი ქვა", რომელიც მუსლიმთა სალოცავია.

ქავიანური დროშა – დროშა, რომელიც ჰქონდათ ფერიდუნის (იხ.) ჩამომავალ მეფეებს. ფერიდუნს სამეფო ტახტი დააბრუნებინა მჭედელმა ქავამ, რომელიც აუჯანყდა მტარვალ ზააქს (იხ). და ხალხს წინ ნაუძღვა მჭედლის წინსაფრისგან გაკეთებული დროშით.

ქაიანური დროშა – ირანელთა სამეფო გვარის (ქაის გვარის) დროშა.

ქაიხოსრო – „შაჰ-ნამეს“ გმირი ქაიხოსროვი, სიაოშის (იხ.) ძე, ქეიქაუსისა (იხ.) აფრასიაბის (იხ.) შვილიშვილი.

ქასრა – კეისარი, ხოსროვი, იმპერატორი.

ქაუსი – იგივე ქეიქაუსი, ირანის მითიური მეფე. „შაჰ-ნამეს“ გმირი. ქაიყობადის ძე. მჩატე ჭკუისა იყო და როსტომი (იხ.) უმაგრებდა ტახტს. მისი მეფობაში გათამაშდა ზურაბისა და სიაოშის (იხ.) ტრაგიკული სცენები.

ქეივანი – პლანეტა სატურნი.

ქეიყობადი – ირანელთა მითიური მეფე, დროისტარების მოყვარული პირი.

ქერმანშაჰი – ქალაქი დასავლეთ ირანში. ქერმანშაჰის ახლოს თურმე ახლაც უჩვენებენ ნანგრევებს, რომელსაც „შირინის კოშკს“ ეძახიან.

ქეჯაო – ერთგვარი ჩასაჯდომი, რომელიც მანდიკურად ჰკიდია აქლემის იქეთ აქეთ.

ქოლგა – აქ: მეფეთა საჩრდილობელი.

ქოსი – ერთგვარი დოლი, რომელსაც უმეტესად ომში ხმარობენ.

ქოჰესტანი – „მთიანეთი“.

ღაზელი – აქ: სიმღერა, სამღერელი სატრფიალო ლექსი. ნაქისასა და ბარბადის სიმღერებს ნიზამი ღაზელს უწოდებს (იხ. ორიგ. გვ. გვ. 359, 566). სინამდვილეში ღაზელის ფორმის (აა ბა გა და ეა და ა. შ.) ლექსს კი არ მღერიან ისინი, არამედ ჩვეულებრივ მესნევის, როგორც პოემაა (აა ბბ გგ დდ). შეიხის თურქულ მიბაძვაში კი ბარბადის დიალოგი მართლაც ღაზელის ფორმითაა გაწყობილი და ჩართული მესნევიში (გვ. 441). ასევე ღაზელის ფორმით მოთქვამს ფარჰადი (გვ. 188). იხ. ანანიაშ ზაიონჩკოვსკი, პოემა ირანსკი ხოსროვ უ შირინ ე ვერსიი ოსმანსკო-ტურეცკეი შეიხი (პოლონურ ენაზე), ვარშავა, 1963 წ.

ღაზი – მუსლიმთა საღვთო ომი.

ღალია – სურნელოვანი ნელსაცხებელი.

ღაფლობა – სირეგვნე, საქმეში ბრიყვად დარჩენა.

ღაშია – დიდგვაროვანთ უნაგირის გადასაფარებელი ჩული (ყაჯარი). ღაშიის მატარებელი – მოსამსახურე; მორჩილი.

ღული – ავი სული, რომელიც უდაბნოში დაეხეტება; დევი.

ყაისური – ქალაქი აღმოსავლეთში.

ყარახანი – ერთ-ერთი მეფე ძველ ინდოეთში.

ყარუნი – მეტად მდიდარი, მაგრამ ძუნწი მითიური პიროვნება, რომელიც ქვაწვიობის გამო ღმერთმა თავისი სიმდიდრითურთ შთანთქა მიწაში.

ყარყუმი – თეთრბეწვიანი ცხოველი. ნიზამი ხშირად ხმარობს თეთრის სინონიმად.

ყიბლა – მიმართულება მექისკენ.

ყურანი – მუსლიმთა საღვთო წიგნი, რომლის შედგენას მიაწერენ მუჰამედს.

შამი – სირია.

შარიათი – ისლამის კანონთა კრებული.

შაჰრუდი – „დიდი მდინარე“. ეს სახელი ბევრ მდინარეს ერქვა ძველ ირანში. მათ შორის, ჩანს, დღეანდელ ტიგროსსაც.

შემშადი, შიმშადი – 1) წიფელა. 2) ერთგვარი ყვავილი.

შვიდი ქვეყანა – მუსლიმებს ქვეყნიერება შვიდ სარტყელად ჰქონდათ დაყოფილი. შვიდი მათთვის საკრალური რიცხვია.

შუშთარი (შუშტარი) – ძველი ქალაქი ხუზისტანში (ირანში).

ჩარხი – ზეცის ჩარხი, სიმრგვალე ცისა; განგება.

ჩაჩი – იგივე ჩაჯი, აწინდელი ტაშკენტი.

ჩაჯი – იხ. ჩაჩი.

ჩინი – ჩინეთი.

წრფელი – სწორი.

წყალი – ნიშატი; ხალისი; ელვარება.

ხაზარი – ხაზარეთი.

ხათლი – პროვინცია ირანში, კარგი ცხენები იცოდა.

ხალიფა – „მოადგილე", იგულისხმება ღვთის მოციქულის, მუჰამედის, მოადგილე როგორც სასულიერო, ისე საერო მმართველი არაბებისა.

ხალიფათი – სახალიფო, არაბთა სახელმწიფო.

ხალოხი – ქალაქი შუა აზიაში, განთქმული თავისი მუშკით.

ხალხალი – რგოლი, რომელსაც კოჭებზე სამკაულად იკეთებდნენ ქალები აღმოსავლეთში.

ხარაჯა – ხარკი, მიწის გადასახადი.

ხარვარი – „ვირის ტვირთი", ტვირთი, რომელსაც ერთი ვირი ზიდავს.

ხარისძირა – ერთგვარი შხამიანი მცენარე, სპარსულად „ხარზაპრე" („ვირის შხამი" ან „დიდი შხამი"). ქართულში სპარსულიდან ჩანს შემოსული, მაგრამ ხარისშუბლას, ხარისფაშვას, ხარისკბილას, ხარისთვალას და მისთ. ანალოგიით ასე გაფორმდა (შდრ. მეგრ. ხარძენი, სვან. ხარზილ.).

ხასი – მეფესთან დაახლოებული პირი; დიდებული.

ხაყანი – მონღოლთა და თურქთ სამეფო ტიტული.

ხვითქი – ნიანგი.

ხიზრი – წინასწარმეტყველმა ხიზრმა მიაგნო უკვდავების წყალს, დალია და ამიტომ იცოცხლებს მეორედ მოსვლამდე.

ხოთანი (ხოტანი) – ქალაქი იყო აღმოსავლეთ თურქესტანში. ცნობილი მუშკით, ლამაზი ქალებითა და აბრეშუმით.

ხორასანი – ირანის აღმოსავლეთი პროვინცია.

ხორეზმი – იგივე ხვარაზმი, სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა აზიაში და დაწინაურდა შუა საუკუნეებში.

ხოსროვი – ხელმწიფე.

ხოჯა – ბატონი, პატრონი.

ხუზისტანი – პროვინცია ირანში, ძველი სუზიანა. ნიშნავს აგრეთვე შაქრის ლერწმის ტყეს. პოეზიაში ხშირად ტკბილის ეპითეტად იხმარება, რადგან ხუზისტანში შაქრის ლერწამი ხარობს.

ჯალინუსი – ცნობილი რომაელი ექიმი და ბუნებისმეტყველი კლავდიუს გალენი (II საუკ.).

ჯამი – იგივე ჯემი, მეფე ჯემშიდი (იხ.).

ჯეიფალი – ერთ-ერთი ინდური სამთავროს მფლობელი.

ჯეიჰუნი – ჯეონი, მდინარე ამუდარია.

ჯემი (ჯამი) – იხ. ჯემშიდი.

ჯემშიდი – ირანელთა მითიური მორჭმული ხელმწიფე, „შაჰ-ნამეს“ გმირი. დაამარცხა ზააქმა (იხ.) და შუაზე გახერხა.

ჯემშიდის სარკე – ერთგვარი ჯადოსნური ჯამი თუ სარკე ჯემშიდისა (იხ.), რომელშიაც მთელი ქვეყანა ჩანდა.

ჯემშიდის ჯამი – იხ. ჯემშიდის სარკე.

ჯიზია – იხ. გიზია.

ჯულაბი იგივ **გულაბი** – ვარდის წყალი.

ჰაბაში – აბისინია, აბისინიელი; ზანგი, შავკანიანი.

ჰალილა – ერთგვარი წამალი.

ჰარუთი – ანგელოზი, რომელიც ციდან გამოაძევა ღმერთმა ხორციელთა მიმართ გამოჩენილი ვნებების გამო.

ჰომაი – იხ. ჰუმაი.

ჰუმაი – ფენიქსი, ზღაპრული ფრინველი სიმურღი. ვისაც ის გადაუფრენს, ბედნიერი იქნება, მაგრამ თავად ამ ქვეყნად არა ჩანს.

სარჩევი

ზოგი რამ ნიზამის „ხოსროვშირინიანის" შესახებ . . . 3

ერთარსების მიმართ . . . 25

მფარველობისა და შემწეობის შესახებ . . . 28

შენდობისათვის . . . 30

ქება წინასწარმეტყველისა . . . 32

ამ წიგნის დაწერის შესახებ . . . 34

სადიდებლად ტოღრულ-არსლანისა . . . 36

სადიდებლად უდიდეს ათაბეგ შამს ედ-დინ აბუ ჯაფარ მოჰამედ ბენ იალდიგუზისა . . . 38

ხოტბა და თაყვანისცემა . . . 41

ქება მეფე მოზაფერ ედ-დინ ყიზილ არსლანისა . . . 44

ამ წიგნის შედგენის გამო . . . 48

რამდენიმე სიტყვა სიყვარულის შესახებ . . . 51

პატიების თხოვნა წიგნის გალექსვის გამო . . . 53

ხოსროვისა და შირინის ამბის დასაწყისი . . . 56

ხოსროვის ქეიფი მინდორში და ჰორმუზის მიერ მისი დასჯა . . . 59

მოხუცების შეამავლობა ხოსროვის მამასთან შვილის შესავედრებლად . . . 62

ხოსროვის მიერ პაპის ანუშირვანის სიზმარში ნახვა . . . 63

შაფურის ნაამბობი შირინისა და შაბდიზის შესახებ . . . 64

შირინის სილამაზის აღწერა . . . 68

შაბდიზის აღწერა . . . 69

შაფურის წასვლა სომხეთში შირინთან . . . 70

შაბდიზის წარმოშობა . . . 72

შაფურის მიერ ხოსროვის სურათის ჩვენება პირველად . . . 73

შაფურის მიერ ხოსროვის სურათის გამოჩენა მეორედ . . . 75

შაფურის მიერ ხოსროვის სურათის ჩვენება მესამედ . . . 76

შაფურის გამოჩენა . . . 78

შირინის გაქცევა მეჭინ-ბანუსგან მადაინს . . . 86

შირინის ბანაობა წყაროს წყალში . . . 89

ხოსროვის მიერ შირინის ნახვა წყაროზე 91
შირინის მისვლა მადაინს ხოსროვის სასახლეში 100
შირინისთვის ჯოშჯის აგება 101
ხოსროვის წასვლა სომხეთში მეჰინ-ბანუსთან 104
ხოსროვის მიერ ლხინის გამართვა და შაფურის დაბრუნება 106
შაფურის მიერ შირინის ამბის მოტანა ხოსროვთან 108
შაფურის მეორედ წასვლა შირინის მოსაწვევად 111
ხოსროვის მიერ მამის სიყვდილის შეტყობა 116
ხოსროვის ტახტზე ასვლა მამის მაგიერ 118
შაფურის მიერ შირინის მოყვანა მეჰინ-ბანუსთან 119
ხოსროვის გაქცევა ბაჰრამ ჩუბინისაგან 120
ხოსროვის და შირინის შეხვედრა ნადირობაზე 122
მეჰინ-ბანუს შირინისთვის ანდერძის მიცემა და დამუნათება 126
ჩოგბურთის თამაში ხოსროვისა შირინთან 129
გამოზაფხულება და ხოსროვისა და შირინის ნეტარება 132
ხოსროვის მიერ ლომის მოკვლა ქეიფობის დროს 134
იგავის თქმა ხოსროვის, შირინის, შაფურისა და გოგონების მიერ 136
შირინისაგან ხოსროვის განაწყენება და წასვლა რუმისაკენ 145
ხოსროვის პასუხი შირინს 148
შირინის პასუხი ხოსროვს 151
ხოსროვის ვედრება შირინის წინაშე 152
ხოსროვის წასვლა შირინისაგან 156
ხოსროვის ომი ბაჰრამთან და ბაჰრამის გაქცევა 159
ხოსროვის ტახტზე ასვლა მადაინში ხელმეორედ 162
შირინის მოთქმა ხოსროვის განშორების გამო 166
მეჰინ-ბანუს ანდერძი შირინს 170
შირინის გამეფება 175
შირინის მისვლა მადაინს 176
ხოსროვის მიერ ბაჰრამ ჩუბინის სიყვდილის შეტყობა 177
ლხინის გამართვა ხოსროვის მიერ 182
ოცდაათი ჰანგი ბარბადისა 182
ხოსროვი შირინს მარიამს შეავედრებს 185
ხოსროვის მიერ შაფურის გაგზავნა შირინის მოსაყვანად 187

შირინის საყვედური შაფურის მიმართ . . . 188
ფარჰადის ტრფობის დასაწყისი . . . 201
შირინის წასვლა ფარჰადის სანახავად . . . 206
ფარჰადის მოთქმა შირინის სიყვარულის გამო . . . 207
ხოსროვის მიერ ფარჰადის სიყვარულის შეტყობა . . . 211
ბჭობა ხოსროვისა ფარჰადის საქმის შესახებ . . . 212
ხოსროვის მიერ ფარჰადის მოწვევა . . . 213
ხოსროვისა და ფარჰადის გაბაასება . . . 218
მთის ჯვეთა ფარჰადის მიერ და მისი გოდება . . . 223
შირინის წასვლა ბისოთუნში და მისი ცხენის წაფორხილება . . . 231
ხოვროვის მიერ შირინის ფარჰადთან წასვლის შეტყობა . . . 236
სანუგეშო წინი ხოსროვისა შირინთან, დაცინვის მიზნით . . . 244
მარიამის სიყვდილი . . . 247
შირინის მიერ სანუგეშო ბარათის მიწერა ხოსროვთან მარიამის სიყვდილის შესახებ სამაგიეროს გადახდის მიზნით . . . 248
ხოსროვს შირინის ბარათი მიუვიდა . . . 252
ხოსროვის სიუხვისა და მოწყალების აღწერა . . . 253
ხოსროვის დაჯდომა ტაყდისის ტახტზე საქეიფოდ . . . 254
ხოსროვის მიერ ისფაჰანელი შაქარის ღირსების გაგება . . . 257
ხოსროვის წასვლა ისფაჰანში შაქარის სანახავად . . . 258
ხოსროვის მიერ ცნობების მოპოვება შაქარზე და მისი შერთვა . . . 263
შირინის მარტო დარჩენა და გოდება . . . 267
შექება დილისა . . . 270
შირინის მიერ ქების წარმოთქმა ღვთისადმი . . . 271
ხოსროვის წასვლა შირინის ჯოშუისაენ ნადირობის საბაბით . . . 273
ხოსროვის მიერ შირინის ნახვა და საუბარი . . . 280
შირინის პასუხი ხოსროვს . . . 281
ხოსროვის პასუხი შირინს . . . 284
შირინის პასუხი ხოსროვს . . . 286
ხოსროვის პასუხი შირინს . . . 290
შირინის პასუხი ხოსროვს . . . 292
ხოსროვის პასუხი შირინს . . . 296
შირინის პასუხი ხოსროვს . . . 299

ხოსროვის პასუხი შირინს . . . 304
შირინის პასუხი ხოსროვს . . . 307
ხოსროვის გაბრუნება შირინის ჯოშჯიდან . . . 310
შაფურის პასუხი ხოსროვს . . . 313
შირინის სინანული ხოსროვის წასვლის გამო . . . 315
ხოსროვის სიზმარი და შაფურის მიერ მისი ახსნა . . . 318
ხოსროვის მიერ მეჯლისის გამართვა სანადირო ადგილზე . . . 319
ნაქისას მიერ ღაზელის თქმა შირინის ჯარნახით . . . 323
ბარბადის სიმღერა ხოსროვის ჯარნახით . . . 324
ნაქისას სიმღერა შირინის ჯარნახით . . . 326
ბარბადის სიმღერა ხოსროვის ჯარნახით . . . 327
ნაქისას სიმღერა შირინის ჯარნახით . . . 330
ბარბადის მიერ ღაზელის თქმა ხოსროვის ჯარნახით . . . 332
ნაქისას სიმღერა შირინის ჯარნახით . . . 334
ბარბადის სიმღერა ხოსროვის ჯარნახით . . . 336
შირინის გამოსვლა ჯარვიდან . . . 338
ხოსროვის მიერ შირინის წაყვანა ჯოშჯიდან მადაინს . . . 342
ხოსროვის და შირინის ქორწილი . . . 344
შირინის ანდერძი ხოსროვს სამართლიანობისა და ცოდნის შესახებ . . . 353
ხოსროვისა და ბოზორგომიდის ჯითხვა-პასუხი . . . 354
პირველი ბიძგი . . . 355
ცის ვითარება . . . 355
ვარსკვლავები . . . 355
ამქვეყნიური და იმქვეყნიური ყოფა . . . 356
გასვლა ამ ქვეყნიდან . . . 356
მარადისობა სულისა . . . 356
სიზმრის ვითარების შესახებ . . . 357
სიცოცხლის მოგონება სიკვდილის შემდეგ . . . 357
რაობა მიწისა და ჰაერისა . . . 358
ჯანსაღობის დაცვა ზომიერებით . . . 358
სხეულისაგან სულის გაყრის შესახებ . . . 358
პირველი ქურუმის იგავი . . . 359

მეორე ქურუმის იგავი 359
მესამე ქურუმის იგავი 359
მეოთხე ქურუმის იგავი 360
ფაიღამბარის მოციქულობის შესახებ 360
ორმოცი იგავის თქმა „ქილიღა და დამანადან" 361
სიბრძნე და ანდერძი ბრძენი ნიზამისა 365
შირუიეს აღწერილობა და ხოსროვის საქმის დასასრული 366
ხოსროვის დაყუდება ცეცხლის ტაძარში 368
ხოსროვის მოკვლა შირუეის მიერ 371
შირინის გაღვიძება 373
შირუიეს მიერ შირინის ხელის თხოვნა 374
შირინის სიკვდილი ხოსროვის აკლდამაში 375
საყვედური ქვეყნისადმი 379
ქადაგება 382
ხოსროვ-შირინის ამბის შედეგი 384
დარიგება თავის შვილის მოჰამედისა 384
ხოსროვის მიერ ფაიღამბარის ნახვა სიზმარში 385
ფაიღამბარის მიერ წიგნის მიწერა ხოსროვთან 389
ამაღლება ფაიღამბარისა 392
ანდერძი და დასასრული წიგნისა 394
მოშურნეთა საყვედურად თქმული 398
ტოღრულ-შაჰის მიერ ნიზამის მიწვევა 401
მწუხარება შამს ედ-დინ მოჰამედ ჯაჰან-ფაჰლავანის სიკვდილის გამო 408

განმარტებანი 411
ლექსიკონი 437

Nizami Ganjavi
Khosrov and Shirin

Responsible for release: SEVIL ISMAYILOVA
Design & Layout: ALEXANDRA SAMUYLOVA
Technical Director: ALLAHVERDI KARIMOV
Publishing Director: RASIM MUZAFFARLI

BAKI 2014

www.eastwest.az
www.fb.com/eastwest.az

Printed in accordance with provided materials
in OJSC "Sharq-Qarb" ("East-West") Publishing House
Address: 17 Ashig Alaskar Str. Baku AZ1123 Azerbaijan.
Tel.: (+99412) 374 83 43, Fax: (+99412) 370 18 49

Copy deadline 10.04.2014. Format 70x100 1/8
The offset printing method. Printer's sheet 56,5
Order № 14062. Edition 1000 copies